ვარსკვნა

თხზულებანი
ცხრა ტომად

ტომი მეხუთე

ჭეიძე

ქართლის ცხოვრების ქრონიკები

წიგნი მეოთხე

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

„ქართლის ცხოვრების ქრონიკების“
გამოცემა დაიწყო 1973 წელს

რედაქტორი:	**დავით ჭელიძე**
ცხრატომეულის რედაქტორი	**ემზარ კვიტაიშვილი**
დამკაბადონებელი	მავრა ბანცური
ოპერატორი	ლია სულაქველიძე

© ვახტანგ ჭელიძე
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-406-53-9 (ცხრავე ტომი)
ISBN 978-9941-16-160-5 (V ტომი)

წიგნი

IV

თავი I

„ნიკოფსიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმულ სახელმწიფოს შენარჩუნება სჭირდებოდა

თამარის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა ლაშა გიორგიმ 18-20 წლისამ ჩაიბარა სამეფო – მაშინდელი მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია გადაჭიმული იყო „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“. მოსახლეობა რვა მილიონზე მეტს შეადგენდა, ხოლო საკუთრივ საქართველოსი – ხუთნახევარ მილიონს. ქვეყანა ძლიერი იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ✦ ლაშა გიორგის გაორებული ბიოგრაფია ✦ ლაშა გიორგი ზეობის მოკლე პერიოდში განუწყვეტელ ომებში იყო ჩაბმული სამეფოს ტერიტორიის შენარჩუნებისთვის ✦ 1220 წლის შემოდგომაზე, როცა ქართველი მეფე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ემზადებოდა, საქართველოს საზღვარი მტრის დიდმა მხედრობამ გადმოლახა ✦ ლაშა გიორგის სამისიონერო მოღვაწეობა მთაში – „ლაშარის ჯვარი“ და „ბუდანის ჯვარი“ ✦ ლაშა გიორგიმ ათიოდე წელს იმეფა და სულ ახალგაზრდა, 30 წლისა გარდაიცვალა

მსოფლიო ისტორიას რომ კითხულობ და ცალკეულ სახელმწიფოთა მარად ცვალებად თავგადასავალს ეცნობი, ხშირად აღგეძვრის ხოლმე კითხვა: რა უფრო ძნელია — დიდი სახელმწიფოს შექმნა თუ მისი მოვლა და პატრონობა.

ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს ეს კითხვა — თითქოს გულუბრყვილოც — მაგრამ მაინც საგულისხმო და საინტერესო... და რთულიც, უნდა გამოვტყდეთ.

გაგვიჭირდება, მაგალითად, თქმა, რა უფრო ძნელი შეიძლებოდა ყოფილიყო — ისეთი სახელმწიფოს შექმნა, როგორიც მეცამეტე საუკუნის დასაწყისისთვის საქართველო იყო, თუ ამ სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა, მისი დიდებისა და ძლიერების შენარჩუნება.

როცა კონკრეტულად დავსვით კითხვა, ამგვარი დაპირისპირება მართლაც უხერხული გამოჩნდა... და თუ მაინც ვცადეთ, მხოლოდ იმიტომ, რათა თავიდანვე მთელი სიმძაფრით წარმოვიდგინოთ, რა ძნელი ზეობა შეხვდება ახალგაზრდა მეფეს, რომელიც ეს არის ქვეყნის დამოუკიდებლად მართვას შეუდგა.

დიდი და ძლიერი სახელმწიფო ჩაიბარა 18-20 წლის ჭაბუკმა მეფემ გიორგი მეოთხემ ანუ ლაშა გიორგიმ, როცა მისი სახელოვანი დედა გარდაიცვალა. წინა წიგნში ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, როგორი იყო ეს ქვეყანა: რა მაღალი და თავისთავადი კულტურის მატარებელი, რა მდიდარი და აყვავებული, როგორი ავტორიტეტული — მტრების რისხვა და მეგობრების ქომაგი, როგორი ერცელი — „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმული.

ბოლო სიტყვები მემატიანეებს ეკუთვნით, წინა წიგნში მოვიტანეთ კიდეც.

„ნიკოფსიდან დარუბანდამდე!“

ხშირად შეგვახსენებენ ხოლმე მემატიანეები დაუფარავი სიამაყით, როცა თავიანთი ქვეყნის ძლიერებაზე ჩამოაგდებენ სიტყვას. „ნიკოსფიდან დარუბანდამდეო“, ასე ზოგადად გვიხასიათებენ მის სიდიადეს... ჩვენც მემატიანეთა ზოგადი სიტყვებით მივანიშნეთ მკითხველს ქვეყნის ტერიტორიულ სიდიდეზე, მის თვალუწვდენელ საზღვრებზე. უფრო კონკრეტულად ჯერ არ გვიცდია, მოგვეხაზა ეს საზღვრები. არადა, საინტერესოა. სწორედ ახლაა საინტერესო, უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, როგორი ქვეყანა ჩაიბარა ახალგაზრდა მეფემ.

მოვხაზოთ მისი საზღვრები. ამაში თვით ჩვენი და უცხოელი მემატიანეები და ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა სახის ისტორიული საბუთები და ძეგლები დაგვეხმარებიან, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვაგვარ ვითარებაში, სულ სხვადასხვა მიზნით გამოთქმული მინიშნებანი.

სწორედ იმ ძველი წყაროებისა და მატიანეების გაფანტული ფრაზების მიხედვით ჩამოაყალიბებენ ხოლმე მაშინდელი საქართველოს საზღვრებს. „...ჩრდილოეთით საზღვარი ქედს გადაღმა იმიერკავკასიაში ჰქონდა, სამხრეთით ჩრდილოეთ სპარსეთში და მცირე აზიაში იყო შესული, შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული მთელ მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერესი სახელმწიფო იყო...“

ამას ივანე ჯავახიშვილი წერს.

აგერ, თანამედროვე მეცნიერის — მამისა ბერძნიშვილის მიერ, იმავე წყაროების მიხედვით, სასურველი სიზუსტით მოხაზული იმ-დროინდელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.

ვისარგებლოთ ამ მონახაზით.

დავიწყოთ სწორედ ნიკოფსიით, რომელიც ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის უკიდურეს წერტილს წარმოადგენს (ახლა კრასნოდარის მხარეში უნდა ვიგულისხმოთ ეს ადგილი). ნიკოფსიაცა და მთელი ჯიქეთიც (სადაც ეს ქალაქი მდებარეობდა) რომ უხსოვარი დროიდანვე საქართველოს ეკუთვნოდა, ამის დასტურად მეცნიერი სუმბატ დავითის ძის სიტყვებს შეგვახსენებს, ბაგრატ მესამეზე თქმულს: ბაგრატმა „დაიპყრო ყოველი კავკასია... ჯიქეთითგან, ვიდრე გურგანამდე...“ ასევე იყო მომდევნო საუკუნეებშიაც. „ისტორიასა და აზმანში“ ერთ-ერთ დიდ გაელენიან პირზეა ნათქვამი: „ლიხთაქით პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთიქით ნიკოფსამდის უცილობლად მქონებელიო...“ (იქნებ მიხვდით კიდეც, ამას ვარდან დადიანზე ამბობს მემატიანე და ისიც მოგაგონდებოდათ, რა ვითარებაში ითქვა ეს...)

ამრიგად, ნიკოფსია ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის უკიდურესი წერტილია. მოვყვეთ ბარემ ჩრდილოეთის საზღვარს, მით უმეტეს, რომ ეს სულაც არ გაგვიძნელდება, რადგან იგი ბუნებრივ ზღუდეს — კავკასიონის ქედს გასდევს. ჩვენც ამ დიდ, მარად თოვლიან ქედს გავაყოლოთ თვალი და შამახიას მთამდე მივიდეთ. აქ უკვე ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის უკიდურესი წერტილი მოვიძიოთ და აღმოსავლეთის საზღვარი მოვხაზოთ.

აღმოსავლეთის საზღვარი შამახიას მთა და მის დასავლეთ ფერდობზე გაწოლილი მდინარე თეთრი წყალი — ანუ ჩაღან უსუნია, რომელიც, — თითქოს საგანგებოდ იმიტომ, რომ საზღვარი არ გაამრუდოს, — სწორხაზოვნად მიედინება. რომ ეს საზღვარიც ზუსტია, ამის დასადასტურებლად მემატიანეს იმოწმებს მეცნიერი: „წარვიდა ყაენი ქვეყნად შარვანშასა, საზღუართა საქართველოსათა, რომელსა უწოდიან ჩაღან უსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“.

სამხრეთით ადარბადაგანს ესაზღვრებოდა, მოჰყვებოდა მდინარე არეზს (რახსს) და ნახჭევანს ჩაუვლიდა; არეზის შუა წელი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე იყო მოქცეული, საზღვარი კი ფართოდ გადაჭიმულ ხლათის დიდ სასულთნოს ემიჯნებოდა.

სამხრეთ-დასავლეთით, კარნუ-ქალაქის საამიროდან მოყოლებული, სასაზღვრო ხაზი გვერდზე ჩაუვლიდა საქართველოს ისტორიულ

პროვინციებს სპერსა და ჭანეთს, რომლებიც იმჟამად ტრაპიზონის საკეისროში იყო მოქცეული. აქედან მთელ დასავლეთ საზღვრად, ჩრდილო საზღვრის მსგავსად, ბუნებრივი ზღუდე ჰქონდა — შავი ზღვის სანაპიროს მიპყვებოდა. და მიადგებოდა ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს წერტილს ნიკოფსიას, საიდანაც ჩვენ ქვეყნის საზღვრების მოხაზვა დავიწყეთ.

მაგრამ მაშინდელი საქართველოს ტერიტორიის ასეთი მონახაზი ზუსტი არ იქნება, თუ ახლავე არ შევახსენეთ მკითხველს, რომ აქ ნაგულისხმევია მხოლოდ ის მიწა-წყალი, რაც უშუალოდ ეჭირა საქართველოს სამეფოს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამის გარდა იმდროინდელ საქართველოში ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნებიც შედიოდა; თანაც, ყოველ მხარეს იყო ასეთი ქვეყნები, ყველა მიმართულებით, გარდა დასავლეთის ბუნებრივი ზღუდისა; ისეთი ძნელად მისადგომი ზღუდის გადაღმაც კი, როგორიც იყო ჩრდილოეთით გრძლად გადაჭიმული კავკასიონის ქედი, მთელი საზღვრის გასწვრივ განფენილი ქვეყნები — ქაშაგეთი, ოსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი, დარუბანდი საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ (ყველა კარი კავკასიონის გადასასვლელისა ქართველებს ეჭირათ, მათ კონტროლს ემორჩილებოდა); ყმადნაფიცი იყო აღმოსავლეთით — შარვანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — რანი; სამხრეთითაც მოხარკე ქვეყნები ეკრა — ნახჭევანი, ხლათის დიდი სასულთნო, კარნუ-ქალაქისა და ერზინკის საამიროები... გარდა ამისა, საქართველოს სამეფოს გავლენის სფეროში იყო მოქცეული ტრაპიზონის იმპერია, რომლის დაარსებაში, როგორც უკვე ვნახეთ, ქართველებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

აქვე გავითვალისწინოთ: ქვეყნის მართვას ისიც ართულებდა, რომ, როგორც ვნახეთ, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები დიდად სცილდებოდა მის ეთნიკურ საზღვრებს — აქ არაქართველი მოსახლეობაც შემოდიოდა. არაქართველი და არაქრისტიანი. ეროვნებითაც განსხვავებული და რჯულითაც.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაც. რაკი წყაროებს ამის პირდაპირი ცნობა არ შემოუნახავთ, ზუსტი განსაზღვრა, რაღა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მიახლოებითი ვარაუდი მაინც ხერხდება. მკვლევარების გამოანგარიშებით, რაც ჩვენამდე მოღწეულ სხვადასხვა სანდო წყაროებს ეყრდნობა (ქვემოთ უფრო კონკრეტულად გავეცნობით ამ ვარაუდის საფუძველს), მაშინდელი მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა რვა მილიონზე მეტს შეადგენდა, ხოლო

საკუთრივ საქართველოში ხუთნახევარი მილიონი იყო. იმ ეპოქისათვის ეს ციფრი დიდი გახლავთ... (ამაზე ცოტა უფრო ადრინდელი აღწერით, ინგლისის მოსახლეობა დაახლოებით ორ მილიონამდე სულს შეადგენდა...).

ხუთნახევარი მილიონი!.. უნებურად მიუბრუნდები ამ ციფრს, რადგან მაშინვე გაიელვებს გონებაში მეორე უკიდურესად შემცირებულ-დაკნინებული ციფრი, რითაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ მტრებისაგან დარბეულ, სისხლისაგან დაწრეტილ საქართველოს მოსახლეობას აღნუსხავენ...

თუმცა მოსახლეობის სიმრავლეს რომ ვამბობთ, განსაკუთრებით კი არ ვუსვამთ ხაზს ამ ფაქტს. ეს როდია მთავარი... მთავარი ის არის, რომ ახლა, ამ ეპოქაში, რომლის ამბებსაც ამჟამად ვეცნობით, საქართველო სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. მაშინდელი მასშტაბებისა და საერთო დონის მიხედვით, ქვეყანა ძლიერია პოლიტიკურად, ეკონომიურად. როგორც ითქვა, მას ანგარიშს უწევენ. დიდია მისი გავლენის ძალა საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობაზე... მისი მაღალგანვითარებული მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება თავისი ცალკეული დარგებით, მაშინდელი მსოფლიოს კულტურას აძლევს ტონს. მტკიცედნაგებ შარაგზებზე, რითაც მთელი ქვეყანაა დასერილი, ხალხმრავლობაა, ზღვა ხალხი მოდის და მიდის — საიდან აღარა და საით აღარა, გაცხოველებული ვაჭრობა და აღებმიცემობაა... ქალაქებში არც დღისით, არც ღამით, წელიწადის არც ერთ დროს არ ნელდება ცხოვრების რიტმი... მომრავალებულ სოფლებში მჩქეფარე ცხოვრების გაბმული ზუზუნი დგას, ყანებიდან და ზერებიდან სიმღერის გუგუნი მოისმის...

ეს მჩქეფარე პულსაცია მაშინდელი სისხლსავსე ცხოვრებისა დღესაც კარგად ისინჯება „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ: როცა სისხლსავსე და მჩქეფარე ცხოვრებაზე ელაპარაკობთ, ეს, რაღა თქმა უნდა, სრულ ჰარმონიასა და კეთილდღეობას არ ნიშნავს. ჩვენ უკვე ვნახეთ, თამარის მეფობის ბოლო წლებში რა შინა ბრძოლები დატრიალდა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და რა სასტიკად გაუსწორდა ივანე ათაბაგი მამაც მთიელებს, რა სისხლის ფასი დაჯდა მათი „დაშოშმინება“. ქვემოთ სხვა მძიმე ყოფით სურათებსაც ვიხილავთ.

დიდი ქვეყანა ოკეანესა ჰგავს და თუნდა ტალღები ყალყზე არ იდგეს და რისხვით არა გრგვინავდეს, მაინც მოუსვენარია — განუწყვეტლივ ფუთფუთებს, ბორგავს, მღელვარებს.

მკითხველს პატიება უნდა ვთხოვოთ გაჭიანურებული შესავლისთვის. წინა წიგნში აკი ვცადეთ, გავცნობოდით ჩვენი ხალხის მაშინდელ ცხოვრებას... და ახლა რომ შევდექით და უკან მოვიხედეთ, ისევ რომ მოვაველეთ თვალი ქვეყნის შორს გადაჭიმულ საზღვრებს და მისი ქალაქებისა და სოფლების ზომიერად აჩქარებული მაჯისცემაც გავიხსენეთ, მკითხველმა იქნებ იფიქროს, თითქოს ფეხს განგებ ვითრევდეთ, თითქოს ვცდილობდეთ, რაც შეიძლება დავაყოვნოთ გახედვა იმ პირქუში საუკუნეებისკენ, რაც მალევე მოჰყვა ჩვენ მიერ უკვე მოთხრობილ ამბებს.

ნაწილობრივ ალბათ ასეც არის. ისეთი უეცარი და მოულოდნელი იყო ცვლილება, რაც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მოხდა, ისეთი ალოგიკური გეჩვენება შემდგომი განვითარება მისი ისტორიისა, რომ ახლაც, ამდენი საუკუნის შემდეგაც, არ გინდა შეურიგდე უკვე მომხდარ ფაქტს, გულს თითქოს ახალგანცდილი საშინელების ტკივილი გჩხელეტს... ახსნა ვერ გიპოვნია იმისთვის, რაც მოხდა.

და სწორედ აქ აღიძვრის უნებურად კითხვა, რითაც ეს წიგნი დავიწყეთ: მართლაც, რა უფრო ძნელი შეიძლებოდა ყოფილიყო — ასეთი ქვეყნის შექმნა თუ მისი მოელა-პატრონობა, მისი დიდების შენარჩუნება?

ეს კითხვა ჩვენ არ აღგვძვრია პირველად. იგი მაშინვე გაჩნდა, იმ ძნელბედობის ჟამს და მერე თითქმის პირვანდელი სიმძაფრით მოჰყვება ჩვენს ისტორიას. ჩვენდაუნებურად, ისეთი კატეგორიული ფორმით ყალიბდება ეს კითხვა გონებაში, რომ ამგვარსავე პირდაპირ პასუხს მოითხოვს. და ორი საპირისპირო მნიშვნელობის პასუხი ამ კითხვისა თითქმის იმდროიდანვე მოდის, მოუშუშებელი ჭრილობის სიმწვავით იფეთქებს ხოლმე დროდადრო და ბუნებრივ, თუმც კი ფუჭ დავას იწვევს.

სწორედ ასე ჩამოყალიბდა ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება საქართველოს მაშინდელი მეფის გიორგი მეოთხის მოღვაწეობაზე. და ეს გრძელი შესავალიც იმიტომ დაგვჭირდა.

ორი ქართველი მემატიანის მონათხრობით ვიცნობთ ძირითადად იმ ეპოქას და ის საპირისპირო აზრი თუ შეფასებანი გიორგი ლაშას მოღვაწეობისა სწორედ იმათგან მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მეფის დახასიათების დროს მათი შეხედულებანი ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს. ამ ორ მემატიანეთაგან ერთი თანამედროვეა მეფისა (ისტორიოგრაფიაში ასეევა ცნობილი — ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე), მეორე კი, რომელსაც ჟამთა-

აღმწერელის სახელით იცნობენ, გაცილებით უფრო მერმინდელია, მეთოთხმეტე საუკუნის მოღვაწე გახლავთ. თუმცა აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მომხდარ ამბებსა და მოვლენებს იგი ზეპირად და ყურმოკვრით კი არ გადმოგვცემს, არამედ მის ხელთ არსებულ უტყუარ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა. და ამდენად, ძირითადად, სრულიად სანდო და სარწმუნოა მისი ცნობები. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი მემატიანის მონათხრობი გაცილებით უფრო მოკლეა, მეორესი — ერცელი; თუმცა ორივე ცდილობს, ახალგაზრდა მეფის დახასიათება სრულად მოგვცეს.

აქედანვე იწყება მეფის დახასიათების გამო ამტყდარი გაუთავებელი დავა, რამაც ჩვენს დღეებამდე მოაღწია და, უნდა ითქვას, არანაკლები სიმწვავით, ვიდრე ალბათ დასაწყისში იყო. ივანე ჯავახიშვილი ამ დავის დასაწყისს ხედავს მეფის თანამედროვე მემატიანის თხზულებაშიც, რომელიც იქ მოთხრობილი მოვლენების თითქმის კვალდაკვალ იწერებოდა. როცა ეს მემატიანე ხოტბას ასხამს მეფეს, იქვე წერს: „და ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდეს...“ მართლაც, თუ აქ საწინააღმდეგო აზრსა და მოწინააღმდეგეს არ გულისხმობს, მობოდიშება რად დასჭირდებოდა — როდის ყოფილა მეფის შექების გამო მის ბიოგრაფოსს ასეთი კომენტარები დაერთოს, და თავისმართლებას მოჰყოლოდეს, არა ვტყუიო. თანაც, მემატიანის სიტყვებში აშკარად გამოსჭვივის, რომ იგი არა მარტო თანამედროვეებს, არამედ შემდეგი საუკუნეების სავარაუდებელ მოწინააღმდეგეებსაც ეკამათება.

სამწუხაროდ, ჩვენ მის „თანამედროვე მოკამათეებს“ არ ვიცნობთ, იმდროინდელ სხვა ორიგინალურ წყაროებს არ მოუღწევია ჩვენამდე. თუმცა, ალბათ არსებობდა, რადგან სწორედ მათ ეყრდნობა ჟამთააღმწერელი. ჩვენთვის ცნობილი პირველივე მოკამათე კი, როგორც ითქვა, მართლაც საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ გამოჩნდა... თანაც, ისეთი ძლიერი არგუმენტებით, რომ პირველი მემატიანის დებულებები საფუძვლიანად შეარყია, და თუმცა მომდევნო საუკუნეებშიაც საკმაოდ ავტორიტეტული მხარდამჭერნი გამოუჩნდნენ პირველ მემატიანეს, მკაცრი ლოგიკა ჟამთააღმწერლის მრისხანე არგუმენტებისა კელავ მღრღნელი ეჭვის სიჯიუტით მიიკვლევს გზას შორეული შთამომავლების გულებისკენ.

გიორგი ლაშას „მეფური და ადამიანური ქცევა სხვადასხვანაირად ყოფილა განსჯილი და დაფასებული, როგორც თანამედროვეთა მიერ, ისევე მომდევნო თაობათა განმაელობაში და მთელი XIII საუ-

კუნის სიგრძეზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ბანაკად გაყოფილი ჩანს და ლაშა-გიორგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა არ დამცხრალა, არამედ, ოდნავ დროგამოშვებით მიყუჩებული, კელავ უფრო მეტი სიმძლავრითა, ენებათა ღელვით და პარტიული სიმწვავით განახლებულა. ამიტომ ლაშა-გიორგის პიროვნების შესახებ პირუთვნელი, დამშვიდებული, მიუდგომელი მსჯელობა არც მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს შეეძლოთ: ყოველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე თუ ისტორიკოსი უნებლიეთ, ან მომხრეთა, ან მოწინააღმდეგეთა დასში იქნებოდა", — წერს ივანე ჯავახიშვილი და იქვე დასძენს: — „ეს გარემოება თანამედროვე მკვლევარს მეტად უძნელებს საქმეს..."

აქედანაც კი კარგად ჩანს, რა მწვავე ყოფილა საკითხი, რომელსაც ჩვენ მივადექით.

კორნელი კეკელიძე, როცა ლაშა გიორგიზე გამოთქმულ ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებებსა და ფაქტებს განიხილავს, პირდაპირ მოუწოდებს მკვლევარს: „ყოველგვარი დასკვნებისას საჭიროა სიფრთხილე, ყოველ შემთხვევაში თავშეკავება კატეგორიული და უაპელაციო ტონისაგან".

დასკვნების გამოტანას ჯერ ნურც ვეცდებით, თანმიმდევრობით მივყვეთ მოვლენებს.

●

„...რაჟამს მიიცვალა თამარ... დაუტევა მეფობა ძესა თვისსა, ხოლო ნათესავსა ქართველთასა ცემა, მწუხარება, ვაება და გლოვა".

ასე იუწყება ჟამთააღმწერელი დიდი საშინელების მოახლოებას თავისი ერცელი თხზულების დასაწყისშივე. და თუმცა ეს სიტყვები კატასტროფის დიდი ხნის შემდეგ არის დაწერილი, იგი უკვე მომხდარი ფაქტის ობიექტურ გადმოცემას კი არა ჰგავს, არამედ თითქოს ბიბლიური წინასწარმეტყველის მხილების სიმკაცრით რეკს და იერიქონის საყვირის სიძლიერით აზანზარებს ქვეყანას.

ჯერ კი ქვეყნად ისევ სიმშვიდე სუფევს. ჟამთააღმწერელის ზემოთმოტანილ სტრიქონს თითქმის მოსდევს მისივე სიტყვები — „იშუებდა, იხარებდა, და ყოველგნით იყო მხიარულება". და თუ მაინც დაეშურა ავტორი, ასეთი მკაცრი შესავალი წაემძღვარებინა თავისი თხზულებისთვის, ეს იმიტომ, რომ იგი თავიდანვე გვაცნობს საკუთარ პოზიციას, მოვლენებისადმი თავის დამოკიდებულებას გვიმხელს.

ამჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესო ის არის, და იმიტომაც შევაჩერე მკითხველის ყურადღება, რომ ამ სიტყვებში უკვე ნათლად გამოიკვეთა ახალგაზრდა მეფისადმი ჟამთააღმწერლის დამოკიდებულებაც. აბა, დავაკვირდეთ ზემოთ მოტანილი სიტყვებს: „...დაუტევა მეფობა ძესა თვისსა, ხოლო ნათესავსა ქართველთასა ცემა...“ აქ ხომ აშკარად ჩანს, რომ უბედურებას, რაც ამის შემდეგ ქვეყანას დაატყდება, მემატიანე ახალგაზრდა მეფეს უკავშირებს... წინადადებაც ისეა აგებული, რომ ამას მოგვანიშნებს... აქ თითქოს სახელოვანი მეფის მიმართაც გაისმის შეფარული საყვედური, რადგან დიდი ქვეყანა და ხალხის ბედი მან თავის ძეს დაუტოვა...

მემატიანის ამ სიტყვების შემდეგ, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაგვიცხოველდა ინტერესი ლაშა გიორგის მიმართ, მოგვინდა, უფრო ახლოს გავიცნოთ იგი.

ის რამდენიმე გამოსახულება მეფისა, რომლებიც უძველესი ტაძრების კედლებს შემორჩენია, ვერავითარ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის ახალგაზრდა მეფის გარეგნობასა და, მით უფრო, მის ხასიათზე, რადგან ეს პორტრეტები ბავშვობის დროინდელია. მაგრამ გვაქვს აღწერილობითი პორტრეტები — მემატიანეებისეული დახასიათებანი. და მიუხედავად იმისა, რომ მემატიანეთა ცნობები, ერთი შეხედვით მწირია, სხვა დამატებით ცნობებთან ერთად, მაინც გვაძლევენ საშუალებას, ცოცხლად წარმოვიდგინოთ ქვეყნის ახალგაზრდა მბრძანებელი — მისი გარეგნობაც, და უფრო მეტად კი მისი ხასიათი.

„...ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა... მშვიდი და განურისხებელი... მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკერელი, მშვილდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი... დაჭირვებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე...“

თქვენ უკვე ხედებით, რომ ეს ლაშასდროინდელი მემატიანის დახასიათებაა. მეფის თანამედროვე მწიგნობარი ყოველნაირად ცდილა მეფის ამაღლებას, ქება-დიდების სიტყვები არ დაუკლია, რათა შთამომაველობის თვალში წინაპართა ღირსეულ მემკვიდრედ დაესახა ქვეყნის ახალგაზრდა მბრძანებელი.

უფრო სრულყოფილად ეხედებით მეფის დახასიათებას ჟამთააღმწერლის თხზულებაში. მაგრამ რაკი მის პოზიციასა და მეფისადმი დამოკიდებულებას უკვე გაეცანით, არ იფიქროთ, თითქოს მეტისმეტად ცალმხრივად, მხოლოდ უარყოფითის მხრით ჰყავდეს დანახუ-

ლი და დახატული მწიგნობარს მეფე. ეს დახასიათებანი სხვადასხვა ადგილას უნდა ამოვკრიფოთ — გაფანტულია ვრცელი თხზულების იმ მცირე მონაკვეთში, რომელიც უშუალოდ ლაშა გიორგისა და მისი ზეობის დროს შეეხება.

„...ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი...“ ვკითხულობთ ერთგან ჟამთააღმწერლის თხზულებაში...

ანდა სხვა ადგილას:

„...იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისათვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ და განმკითხველ და მოწყალე...“

ანდა, აგერ კიდევ, ამჯერად როცა მოქმედებაში გვიხატავს მემატიანე მეფეს:

„...წინა მიეტევა მხნედ და ძლიერად, თვით გოლიათი მკლავითა სვიანითა და ხელითა გოლიათითა...“

მარტო ამ და ზემოთმოტანილი დახასიათებებითაც ცოცხლდება ჩვენს თვალწინ ლაშა გიორგი — შესანიშნავი ვაჟკაცი, მამაცი, უშიშარი მეომარი, ლმობიერი, გულმოწყალე და გამკითხველი, ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში უბრალო...

ეს ისეთი თვისებებია, რაც დიდად ამკობს საერთოდ ადამიანს და მით უფრო ქვეყნის გამგებელს, თითქმის იდეალურად წარმოგვიჩენს მას...

და თითქოს გამოიკვეთა კიდეც პორტრეტი ახალგაზრდა მეფისა.

მაგრამ ეს პორტრეტი ჯერ არ არის სრული; მას ბევრი შტრიხი აკლია. და ამ შტრიხებსაც უხვად გვთავაზობს ჟამთააღმწერელი.

როგორც ითქვა, დახასიათებანი მეფისა გაფანტულია თხზულებაში სხვადასხვა ადგილას. ამასთან, როცა მემატიანე დადებით თვისებებს ჩამოგვითვლის, იქვე ჩაურთავს ისეთებს, რაც აშკარად მანკიერია, ან მემატიანეს მიაჩნია მანკიერებად და ჩვენ კი იქნებ ვერც დავეთანხმოთ.

აგერ, მაგალითად, ისევ გვიხასიათებს იგი მეფეს, ზოგ ისეთ თვისებასაც გაიმეორებს, რაც უკვე გვითხრა, ოღონდ სხვა სიტყვებით — ჩამოგვითვლის, რომ „იყო ესე ლაშა გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება, ვითარცა მითქუამს, უხვი, სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ მოყუარე...“

როგორც ეხედავთ, აქ ერთმანეთშია არეული კარგი და ცუდი თვისებები მეფისა, და ჩვენ, ჩვენი თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, ხელად გამოვარჩევთ მათ. მაგრამ ჩვენი თვალსაზრისი ყოველთვის

ვერ დაემთხვევა მემატიანისას, და ალბათ არც ის გაგვიძნელდება, მიხვდეთ, რა მიაჩნია მემატიანეს საქებურად და რა — საძრახისად.

ამპარტავნებას, თავხედობას, თვითბუნებობას (ანუ თავნებობას) და ზოგ სხვა რამეს რომ მანკიერებად უთვლის, ეს რაღა თქმა უნდა, აშკარაა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ის არის, რომ სილაღესა და სახიობის მოყვარეობასაც ნაკლად უთვლის მორალისტი მწიგნობარი. ამის შემდეგ, თითქოს უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ, როცა მემატიანე წერს, მეფე „მხიარულითა პირითა მოელიდეს სამეფოსა თვისსა განსაგებელთა საქმეთათვისო", მას არც ეს — „მხიარულითა პირითა" მოვლა ქვეყნისა — უნდა მოსწონდეს.

მაგრამ ჯერ საბოლოოდ გამოკვეთილად მაინც ნუ ჩავთვლით ახალგაზრდა მეფის პორტრეტს. ჯერ ისევ გვაქვს საშუალება მისი შევსებისა.

ერთ ეპიზოდს მეფის ცხოვრებისა სულ რამდენიმე სტრიქონით გადმოგვცემს მემატიანე, მაგრამ იმდენად ბევრისმთქმელი და მნიშვნელოვანია, რომ საგანგებოდ უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ჯერ ზოგადად შენიშნავს, ახალგაზრდა მეფე სმას, მღერას და დროსტარებას იყო გადაყოლილიო, და განაგრძნობს:

„...ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მისლვასა არა მგონებელნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუემელნი ძლიერად ვიდრემდე ერთიცა თუალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს".

მოტანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ჟამთააღმწერელს ძალიან სამარცხვინოდ მიაჩნია რინდებთან ურთიერთობა, და ამ ეპიზოდს გვიამბობს არა უბრალოდ, როგორც მეფის ბიოგრაფიის ერთ ტრაგიკულ მონაკვეთს, როცა მას ბრმა შემთხვევის გამო ცალი თვალი დაუვსეს და მას შემდეგ მთელი სიცოცხლე ასე დარჩა; არა, ეს სიტყვები გაისმის როგორც მკაცრი და დაუნდობელი გაკიცხვა, მეფის უზნეობის სასტიკი მხილება, პირდაპირი მინიშნება, რომ გარკვეულ ნაწილს საზოგადოებისა, ვისზედაც ქვეყნის ბედია დამოკიდებული, ხრწნა შეჰპარვია...

რაც განსაკუთრებით საგულისხმოა — ეს არის ერთგვარი შესავალი იმ საშინელი ბრალდებისა, რასაც ცოტა უფრო ქვემოთ გამოუტანს ჟამთააღმწერელი მეფესა და მთელ საზოგადოებასაც, ხალხისა და ქვეყნის ბედის არად ჩაგდებისა და დაღუპვისათვის.

ასეთი სიმკაცრით ჟღერს ეს სიტყვები ჟამთააღმწერლის მოთხრობაში და ჩვენც ამიტომ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

პირველად, რაღა თქმა უნდა, ის უნდა ვიკითხოთ — ვინ იყვნენ რინდები, ვისთან ურთიერთობისთვისაც ასე ჰკიცხავს მემატიანე მეფეს. თუ ამ კითხვას გავეცით ჯეროვანი პასუხი, მერე ბევრი რამ გაირკვევა და ბევრ მომდევნო კითხვას თავისთავად გაეცემა პასუხი. მაგრამ სწორედ ეს კითხვა გახდა ძნელი გადასაწყვეტი, ეს კითხვა იწვევს დაეჭვებას, აზრთა სხვადასხვაობას, ესა ხვევს გაურკვევლობის ბურუსში ლაშა გიორგის პიროვნებასა და მოღვაწეობას.

„რინდ“ სპარსული სიტყვაა, და მკითხველი „ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემის ლექსიკონშივე ამოიკითხავს მის მნიშვნელობას — „მსმელი“, „ლოთი“...

ამის შემდეგ, რა განაჩენიც არ უნდა გამოუტანოს ჟამთააღმწერელმა ჭაბუკ მეფეს, გადაჭარბებულ სიმკაცრედ ვეღარ ჩავთვლით. ამოდენა ქვეყნის მბრძანებელის, სახელოვან წინაპართა ახალგაზრდა მემკვიდრის ასეთი ახლო ურთიერთობა ვიღაც გადამთიელ ლოთებთან და მსმელებთან, მათ წრეში ტრიალი, მათთან „განძღება სიბილწისა თვისისა“ და მათთან მდაბიურ ჩხუბში თვალის გამოთხრა, რაღა თქმა უნდა, დიდად საძრახისია, ყოველგვარ გაკიცხვას იმსახურებს და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ლაშა გიორგის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის ეჭვქვეშ დაყენების მთავარი მიზეზი სწორედ ეს ფაქტი გახდებოდა.

ჩვენც, თითქოს, აღარაფერი უნდა გვეთქმოდეს — იმ ნათელ პორტრეტს მეფისა, რომელიც მემატიანეთა მიერვე მოწოდებული დეტალებით გამოიკვეთა, თითქოს ერთბაშად მიადგა ჩრდილი და ჩვენი წარმოდგენით ლაღი, კეთილშობილი და დიდსულოვანი რაინდი, თავისი დროის ნამდვილი შვილი — დიდად განათლებული, თავისუფლად მოაზროვნე ჭაბუკი მეფე ერთბაშად სულ სხვაგვარად წარმოგვიდგა.

როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ახლაც არ გინდა დაიჯერო, არ გინდა შეელიო იმ პირველ შთაბეჭდილებას: თითქოს აღარ გეთმობა მომხიბლავი თვისებებით შემკული ჭაბუკი მეფე.

მაგრამ თურმე არც არსებობს საფუძველი ასეთი დაეჭვებისა, როცა გავიგებთ, რომ ზემოთ მოტანილი განმარტება მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობაა სიტყვისა, ხოლო ისინი, ვისაც რინდები ერქვა, სინამდვილეში სულ სხვა ხალხი იყო — სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ და სხვა წარმოდგენა ჰქონდათ ცხოვრებასა და მოვ-

ლენებზე, სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდათ საკუთარ თავზედაც. მათ ეამაყებოდათ რინდობა, ვაჟკაცობის, კეთილშობილებისა და პატიოსნების მქადაგებლად მიაჩნდათ თავი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბევრი დაწერილა ამის შესახებ. ამჟამად მოვიშველიებ ქართველი მწერლისა და მეცნიერის თამაზ ნატროშვილის საინტერესო გამოკვლევას, რომელიც ყველაზე ბოლოდროინდელია და რომელშიაც გათვალისწინებულია სხვა ქართველ თუ უცხო მეცნიერთა მოსაზრებანიც.

უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ საკითხი, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა დავასახელოთ. ამას ჯერ ისევ ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა თავის გამოკვლევებში: იმ აუგად სახსენებელ რინდებს თურმე მე-14 საუკუნის გამოჩენილი სპარსელი პოეტი ჰაფეზიც მიეკუთვნება!

„ლაშა-გიორგი და ჰაფეზი... — შენიშნავს თავის ნარკვევში თამაზ ნატროშვილი, — ქართველი მეფე და სპარსელი პოეტი... დროსა და სივრცეს რომ არ დაეშორებინა ისინი, ვინ იცის, ეგებ შეხვედროდნენ ერთმანეთს რინდების წრეში“.

და იმავე გამოკვლევაში ვკითხულობთ:

„რინდის სახეს ღრმა გენეტიკური ფესვები მოეპოვება აღმოსავლეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ისტორიაში... ეს სახე ჰაფეზმა დახვეწა და მაღლა ასტყორცნა, როგორც სიმბოლო ამაყი და თავისუფალი ადამიანისა“.

სიმბოლო ამაყი და თავისუფალი ადამიანისა!..

თითქოს არა მარტო ახალი შუქით განათდა ჩვენს წარმოდგენაში ჩამოყალიბებული პორტრეტი ახალგაზრდა მეფისა, არამედ ბევრი რამ გვენიშნა კიდეც.

მაგრამ თამაზ ნატროშვილის იმავე ნარკვევში რინდების ჰაფეზისეულ დახასიათებას მივუბრუნდეთ:

„ჰაფეზის ლექსებში ხშირად შეხვდებით რინდს — უსახლკარო მოქეიფეს, უდარდელსა და ენამახვილს...“ აქ „ფარისეველური მორალით შებორკილ საზოგადოებას უპირისპირდება რინდი — არწივივით ლაღი, გულითა და გონებით მდიდარი, ერთგული მეგობარი, შმაგი მიჯნური“.

„გათავდა მარხვა და მოვიდა გაზაფხული“, — ეკითხულობთ ჰაფეზის სტრიქონებს, — გაიარა ფიცისა და პირმოთნე ლოცვათა ჟამმა. დგება ჟამი რინდებისა — მხიარული ჟამი. ტკბებიან რინდები სიმღერითა და ღვინით. რა არის დანაშაული მსმელთა? რა ბრალი

მიუძღვით? სჯობს იყო ალალი რინდი, ვიდრე ფარისეველი, შავ სინდისს რომ მალავს. ჩვენ ასკეტები არა ვართ, ჩვენ ლაღი რინდები ვართ. ჭეშმარიტების ცოდნა — აი ჩვენი ერთადერთი სიდუმლო".

ერთი სიტყვით, ეს გაერცობილი ცნება „რინდისა" სავსებით განსხვავდება იმისაგან, რასაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა გულისხმობს. და ასეთი გაგებით რინდები თავისუფლებას, ჭეშმარიტებას და ადამიანურ სიყვარულს ეტრფიან.

„ჰაფეზ, არც ერთი წამი უღვინოდ, არც ერთი საათი უსიყვარულოდ!"

ესეც ჰაფეზის სტრიქონია.

ბუნებრივია, ეს განწყობილება კარგად მიესადაგებოდა თავისუფლად მოაზროვნე, პროგრესულ, ჰუმანისტურ იდეებზე აღზრდილ მეფეს, რომელსაც, ამასთან, მამა-პაპათაგან მოსდგამდა, ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი რელიგიური შემწყნარებლობა, სხვათა რწმენისა და სარწმუნოების მიმართ პატივისცემა. რინდების მაპმადიანობა არავითარი დაბრკოლება არ უნდა ყოფილიყო მეფისთვის, მათთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ხოლო ახალგაზრდა მეფის იმჟამინდელ პირად განწყობილებასაც თუ გავითვალისწინებთ, გასაკვირი აღარც გამოჩნდება, რომ ლაშა გიორგი მათთან ურთიერთობაში ალბათ ერთგვარ ნუგეშსა და სულიერ სიმშვიდესაც ჰპოვებდა.

მაგრამ სანამ მეფის იმჟამინდელ პირად განწყობილებაზე განვაგრძობდეთ საუბარს, ისევ ჟამთააღმწერლის ცნობას დავუბრუნდეთ:

კორნელი კეკელიძემ ყურადღება გაამახვილა ერთ ისტორიულ წყაროზე, რომელიც ახალგაზრდა მეფისთვის თვალის გამოთხრის ამბავს სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს; არა ისე, როგორც ეს ჟამთააღმწერლის ნაამბობიდან ვიცით.

ამ წყაროს მიხედვით, ბურთაობის დროს მეტოქე რაინდს შემთხვევით ჩოგანი მოუხვდა და მეფეს თვალი დაუზიანა. იქვე ნათქვამია, — და ეს დეტალიც ერთ შტრიხს ჰმატებს მეფის პორტრეტს, — რომ „მეფემან არცაღა თუ ერთი ურიგო სიტყუაი ჰკადრა ყრმასა მას".

ეს ცნობა ამოღებულია იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან". მართალია, თვითონ ეს ისტორიული თხზულება მოგვიანო პერიოდისაა, მაგრამ, როგორც ავტორი გვაუწყებს, მასში მოტანილი მრავალმხრივ საინტერესო ცნობები ამოღებულია ძველი წყაროებიდან. ამჟამად ის ძველი წყაროები აღარ ჩანს, დაკარგულია, მაგრამ იოანე

ბატონიშვილის კეთილსინდისიერება და განსწავლულობა უფლებას გვაძლევს, ანგარიში გაეუწიოთ იმ ცნობებს და სათანადო შეჯერების შემდეგ დავეყრდნოთ კიდეც მათ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ დასტურდება ჟამთააღმწერლის ცნობა (რაც ლაშასდროინდელ მემატიანეს გამოტოვებული აქვს) მეფისათვის თვალის გამოთხრის შესახებ. ხოლო მეორე ნაწილი ამ ცნობისა, თუ ვინ გამოთხარა, და რა ვითარებაში თვალი მეფეს — „კალმასობის“ მიხედვით, თითქოს უფრო სარწმუნო ჩანს.

●

ახლა კი განვაგრძოთ შეწყვეტილი საუბარი მეფის იმჟამინდელი პირადი განწყობილების შესახებ. უნდა მოგითხროთ ერთი სვედიანი ამბავი ლაშა გიორგის ცხოვრებიდან. ლაშას დროინდელ მემატიანეს ესეც გამოტოვებული აქვს. ამ ამბავს გადმოგვცემს ჟამთააღმწერელიც და გადმოგვცემს აგრეთვე „კალმასობაც“. ოღონდ ორივე წყარო — სულ სხვადასხვანაირად. ჯერ ჟამთააღმწერელს მოვუსმინოთ.

მემატიანეს ეს ამბავიც ახალგაზრდა მეფის გასაკიცხად და მისი უზნეობა-გარყვნილების დასტურად მოაქვს.

თავის სამეფოში ჩვეულებრივი მოგზაურობის დროს, ახალგაზრდა მეფემ კახეთის ერთ სოფელში — ველისციხეში — დაინახა ლამაზი ქალი („ფრიად ქმნულ-კეთილი“) და ერთბაშად შეუყვარდა. აღარაფერს გაუწია ანგარიში — არც იმას, რომ ქალი გათხოვილი იყო, არც იმას, რომ ქვეშევრდომის შერთვა მეფეს არ შეეძლო... შეეძინა შვილი, რომელსაც დავითი დაარქვა. საქართველოს სამეფო კარზე თითქმის დაკანონებული წესის თანახმად, ყრმა აღსაზრდელად მისცა თავის დას — რუსუდანს. ახლა მით უფრო გამართლებული იყო ეს, რადგან დედა უფლისწულისა მდაბიო გახლდათ.

დიდებულები უკმაყოფილონი დარჩნენ. მაგრამ, ეტყობა, იმედი ჰქონდათ, რომ დრო გავიდოდა და მეფეს ველისციხელ ქალზე გული აუცრუვდებოდა.

დრო გადიოდა და მეფეს გული არ უცივდებოდა.

მაშინ კატეგორიულად მიმართეს — მხევალი გაეშვა და თავისი შესაფერი კანონიერი ცოლი შეერთო. მეფე არა ტყდებოდა. ბოლოს უკიდურეს ღონეს მიმართეს — „შეკრბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი“ და მოახსენეს — „არა ჯერ არს, რათა მხევალი გესვას

და არა ცოლიო“, კატეგორიულად მოსთხოვეს, გაეშვა ქალი. მეფე გაჯიუტდა...

ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მემატიანის ნაამბობიდან, თორემ გაჯიუტება რა მოსატანია — კი არ გაჯიუტდა, უყვარდა მეფეს ეს ქალი და უმძიმდა, არ შეეძლო განშორება...

მაგრამ ისეთი დელეგაცია ეახლა, რომ ალბათ თვითონვე მიხვდა, ამათ წინაშე ვერაფერს გახდებოდა... ძალით წაართვეს — „წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს“...

დაწერილებით არ გადმოგვცემს მემატიანე, როგორ „წარგვარეს“ ქალი, მაგრამ ჩვენ ამისი წარმოდგენაც არ გაგვიჭირდება, როცა გავიხსენებთ, როგორ წარგვარეს ქალი თითქმის ასეთივე ვითარებაში ახალგაზრდა მეფის შორეულ წინაპარს აშოტ კურაპალატს.

მეფემ მაინც არ უღალატა პირველ სიყვარულს და ბოლომდე ერთგული დარჩა მისი: ცოლი ვერა და ვერ შეართვევინეს — „ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებლად“.

როგორც ითქვა, „კალმასობაშიაც“ არის მოთხრობილი ეს ეპიზოდი მეფის ცხოვრებისა, მაგრამ განსხვავებულად. „კალმასობის“ მიხედვითაც, კახეთში, ჭერემის ეკლესიის დღესასწაულზე შეხვდება შემთხვევით ახალგაზრდა მეფე ქალს, „რომელიცა სთნა მეფესა და მშვენიერებამან მისმან მოიცო გული მეფისა, ვინაითგან მეფეცა იყო ჭაბუკი კაცი“.

ამ ვარიანტის მიხედვით, ქალი გათხოვილი არ არის — სწორედ ამჟამად სთხოვს მის ხელს მშობლებს ველისციხელი გლეხი „შვილისა თავისათვის სასძლოდ“.

და აქვე ერთ დეტალს დააკვირდით — ქალს კი სთხოვენ სასძლოდ, მაგრამ „დედ-მამა ამა ქალისა არა მნებელობენ“ — მშობლები უარზე არიან.

ეს არ არის უმნიშვნელო დეტალი...

თავად ახაშენიდან არიან ქალის მშობლები. თანაც, ქალი შთამომავალია კლდეკარის ერისთავთა ძველი გვარისა, ოდესღაც გადმოხვეწილან (ჩვენ ხომ ვიცით კლდეკარის ერისთავთა ისტორია — ალბათ მაშინდელ მეფეს გამოექცნენ) და მას შემდეგ კახეთში ჩარჩენილან, გაღარიბებულან, დაკნინებულან, ძველი დიდებისა აღარაფერი სცხიათ; ისე დაკნინებულან, რომ ახლა გლეხის ოჯახიც უბედავს — ქალი რძლად მოგვეციოთო.

სხვათა შორის, გრიგოლ აბაშიძეს სწორედ ეს ვარიანტი აქვს გამოყენებული თავის ცნობილ რომან „ლაშარელაში“.

კიდევ რამდენიმე დეტალს დავაკვირდეთ: ქალი რომ მოეწონა და „მშვენიერებამან მისმან მოიცო გული მეფისა“, მან ჯერ სანდო კაცი გაუგზავნა, რათა ჩუმად გამოიკითხოს ამბავი — „ქალის ვისიშვილობა და ანუ უქორწინია თუ არა...“ და როცა ყველაფერი დაწერილებით გაიგო მეფემ, „მოუწოდა მ ო ძ ღ უ ა რ ს ა თვისსა და აფუცა არავის უთხრას მღუდელმან მან საიდუმლო ესე მეფისა, და წ ა რ გ ზ ა ვ ნ ა მ ღ უ დ ე ლ ი ი გ ი დ ე დ-მ ა მ ი ს ა თ ა ნ ა მ ი ს ქალისა და ი თ ხ ო ვ ა ც ო ლ ა დ თ ვ ი ს ა დ“.

მშობლებს გაუძნელდებათ — „ძნიად აღუჩნდათ საქმე ესე და თქვეს: ჩვენ აწ თითქმის გლეხად შერაცხილნი ვართ, და აწ ვითა ეგების მეფემან ჩვენმან გლეხთა ასული მოიყვანოს ცოლად თვისაო!..“

მეფემ მეორედაც მიუგზავნა მღვდელი, წამოიყვანა ქალი და „იდუმალ ყოველთა იკურთხა მოძღვრისა თვისისაგან გვირგვინი...“

დააკვირდით, რა საოცარი ტაქტითა და სიფაქიზით მოქმედებს მეფე. ოდნავადაც კი არ არღვევს ზნეობრივ და სამართლით დაკანონებულ წესსა და ადათს, როგორც ეს ჭეშმარიტ რაინდსა და კეთილშობილ ადამიანს შეეფერება.

მაგრამ ჯერჯერობით სასახლეში ვერ მიპყავს მეფეს დედოფალი, იცის, რომ აუმხედრდებიან, და არა მარტო იმიტომ, რომ დედოფლობის შესაფერი არ არის ეს ქალი, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ „მრავალთა დიდებულთა ნებავდათ, რათა მეფისათვის მიეთხოვებინათ ასულნი ანუ დანი თვისნი, ვითარცა სუროდა იოანე მხარგრძელსა, შალვა ახალციხელსა და ვარდანის ძესა“.

კიდეც რომ არ გადმოგეცემდეს ამ ფაქტს მემატიანე, ისედაც უნდა ვიგულისხმოთ: მეფესთან დამოყვრება მუდამ სანატრელ ოცნებად ჰქონდათ კარის დიდებულებს, არაფერს იშურებდნენ, ოღონდ კი საწადელისთვის მიეღწიათ, და ამით არა მარტო უბრალოდ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი პატივმოყვარეობა, არამედ ფეოდალური იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ.

ერთი სიტყვით, აქ შურიც მოქმედებს, და სანამ დიდებულები მათთვის ამ უსიამოვნო ფაქტს შეურიგდებოდნენ, მეფე იძულებულია თიანეთში დატოვოს დედოფალი.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსუდანიცა და დიდებულებიც აუმხედრდნენ მეფეს, მოსთხოვეს გაეშვა ცოლი — „ვითარ ეგების თამარ მეფისა ძესა ესვას ცოლად გლეხთა ასული და ვიყვნეთ ხელსა ქუეშე მისსა და ეხადოდეთ დედოფლად?“

ვერ გასტეხეს მეფე — „ხოლო მეფე იგი არარასა პასუხსა უგებდა დასა თვისსა და სხვათა დიდებულთა...“

„კალმასობის“ მიხედვით, ბოლოც განსხვავებულია ამ სასიყვარულო თავგადასავალისა: აქაც ტრაგიკულად მთავრდება, მაგრამ განსხვავებულად.

მთაში დატოვებული დედოფალი მეფის დავალებით გაემგზავრა მთის ამბოხებული სოფლების დასაშოშმინებლად: ფშავ-ხევსურნი „დიდის პატივითა და სიხარულით“ მიეგებებიან დედოფალს და „ყოველნიეე დამორჩილდენ ბრძანებასა მისსა...“ მაგრამ მთაში მოგზაურობის დროს გაცივდა ქალი და „ვერა არგო რა მკურნალმანაც, და მთის ამოსავალს საშუალ ადგილს გარდაიცვალა დედოფალი იგი... მეფე იქმნა დიდად მწუხარე და მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოის ეკლესიასა შინა... ხოლო ყრმა იგი დავით წარმოიყვნა და მიაბარა დასა თვისსა რუსუდანს...“

ამ ვარიანტის მიხედვითაც: „შემდგომად ყოელისა ეეედრნენ დიდებულნი, რათა შეირთოს ცოლი მეფემან, გარნა არღა ინება და დაადგრა უცოლოდ“.

ეტყობა, რამდენიმე წყარო ჰქონდა „კალმასობის“ ავტორს, როცა ამ ეპიზოდს წერდა, რადგან ერთი პატარა, სევდიანი სურათი ტექსტში კი არ შეუტანია, შენიშვნაში მოუთავსებია. იმდენად პოეტურია ეს ცნობა, რომ ძნელია შეელიო, და მინდა აქვე მოვიტანო.

„სადაც დედოფალი ესე მიიცვალა, მუნ არს ცხრა ანუ ათერთმეტი ხე არყისა მდგომარე, და ყოველწლივ ფშაველნი მივლენან მუნ, მიიყვანენ საკლავთა და ჰკლავენ და ისადილებენ მუნ. და გარდაიხდიან აღაპსა, შესმენ ღვინოსა და ლუდსა და შეაევედრებენ ღმერთს სულსა დედოფლისასა, რომელიცა აწ არს ესრეცა“.

ასე სევდიანად დამთავრდა მეფის პირველი და ერთადერთი სიყვარული. ლაშა გიორგი სიკვდილის დღემდე ერთგული დარჩა ამ სიყვარულისა.

აკაკი ბაქრაძე აბესალომ და ეთერის ტრაგიკული სიყვარულის ამბავს იხსენებს, როცა ლაშა გიორგიზე წერს.

და საინტერესო ის არის, რომ ეს შესანიშნავი რომანი სევდიანი სიყვარულისა, რომელიც ადამიანის უმაღლეს გრძნობებს — სიყვარულს, თავისუფლებას, ერთგულებას უმღერის, სწორედ იმ ხანებშია შექმნილი... ამით ის კი არ მინდა ვთქვა, თითქოს დიდებულ ხალხურ ეპოსს საფუძვლად ქართველი მეფის ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული ამბავი დაედო. არა, ჩვენ ლაშა გიორგის პორტრეტის გამოკვე-

თას ეცდილობდით და მისი ცხოვრების ამ ტრაგიკული ეპიზოდით ახალი შუქი მოეფინა მეფის მომხიბლავ პორტრეტს. აქაც იგი, კიდევ ერთხელ, მოგვეელინა, როგორც თავისუფლად მოაზროვნე, პატიოსანი რაინდი, თავისი დროის შვილი, იმ ჰუმანისტურ იდეებზე აღზრდილი, რაზედაც წინა წიგნში გვქონდა ლაპარაკი.

ზემოთ ჟამთააღმწერლის ცნობა მოვიტანეთ, რომ მეფეს წესად ჰქონდა, დროდადრო მოეელო თავისი სამეფო — „მხიარულითა პირითა მოვლიდის სამეფოსა თვისსა განსაგებელთა საქმეთათვის...“

ამას „კალმასობის“ ავტორიც ადასტურებს. და თან ისეთ დეტალს ეხვდებით იოანე ბატონიშვილის ნაამბობში, ეფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის; ესეც კიდევ ერთი შტრიხით შეავსებს ლაშა გიორგის პორტრეტს.

ზემოთ რომ მეფე კახეთში ვიხილეთ, ეს სწორედ ჟამთააღმწერლის მიერ გადმოცემული ჩვეულებრივი „შემოვლა“ იყო ქვეყნისა... „ინება მეფემან ლაშა კახეთსა შინა წასვლა და წარვიდა მცირისა უკუე კაცითა და მოვლო ადგილ-ადგილ კახეთისა ადგილნი და გამოიკითხა საქმენი მათნი; და ვისაცა მოხელეთა შეეწუხებინათ ვინმე უსამართლოთ, იგი მოხელენი განაპატიჟნა (დასაჯა) და ყოველთა აჩვენა კმაყოფილება...“ ხოლო როცა ჭერმის დღესასწაულზე წავიდა მეფე, „მოილოცა წმინდა ესე ეკლესია და მერე იწყო ქვეითად სიარული ერთა შორის და ჭვრეტა განცხრომათა მათთა...“

უნებურად გაგონდება დავით აღმაშენებელი. ჩვენ გაეცანით მისი ისტორიკოსის ცნობას და ვნახეთ, რომ სწორედ მას ჰქონდა ასეთი წესი დროდადრო ქვეყნის შემოვლისა, მოხელეთა საქმიანობის შემოწმებისა... იქნებ პირველი მემატიანეც სწორედ ამ ჩვეულებას გულისხმობდა, როცა ლაშა გიორგის მის დიდ წინაპარს ადარებდა...

დავით აღმაშენებელი, რაღა თქმა უნდა, მაინც ცალკე დგას — სამწუხაროდ, ლაშა გიორგის ვერ აღმოაჩნდა სიმტკიცე მისი დიდი წინაპრისა.

●

ათიოდე წელი იმეფა ლაშა გიორგიმ, საესებით ახალგაზრდა — 30 წლისა გარდაიცვალა. ჩვენ ვნახეთ, რა სევდიანად წარიმართა მისი პირადი ცხოვრება, და იმასაც ვერ ვიტყვით, თითქოს სახელმწიფო მოღვაწეობაში ყოფილიყოს სვებედნიერი.

წინა წიგნში, თამარის სამეფო კარსა და საკაზიროს რომ გავეცანით, იმის მოწმენიც გავხდით, როგორ გამოგლიჯა მეფეს ათაბაგობა იოანე მხარგრძელმა, როგორ გახდა ქვეყნის პირველი ვაზირი. ბუნებრივია, ამბიციები განდიდებული ფეოდალისა თამარის გარდაცვალების შემდეგ ახალი ძალით იფეთქებდა.

ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს თუ მეორე არ წაწყმიდოსო — ერთი დიდებულის ასეთი განდიდება, რაღა თქმა უნდა, სხვათა უფლებების შეუზღუდავად და სხვა ვაზირების ლოცვა-კურთხევით არ მოხდებოდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი შულღი იქნებოდა მათ შორის... ისიც ადვილი წარმოსადგენია, რა ხშირად, რა ქედმაღლურად შეახსენებდა პირველი ვაზირი მეფესა და სხვა დიდებულებს სამეფო კარისა და ქვეყნის წინაშე თავის ბოლო დიდ დამსახურებას: მთიელთა აჯანყება ხომ სულ ახლახან ჩაახრჩო მან სისხლში... ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, თამარის გარდაცვალებისთანავე, როგორა ცდილობს ყველა დიდებული, თავის გაელენის ქვეშ მოაქციოს ახალგაზრდა მეფე და მისი ძალა მეორე დიდებულის წინააღმდეგ გამოიყენოს.

დიახ, სამეფო კარზე დამშვიდებული ცხოვრება არ ყოფილა, თუმცა ორივე მემატიანე გვარწმუნებს — დიდი სიმშვიდე სუფევდა და მეფე „დაწყნარებულობათა შინა“ იყოო...

თვით მემატიანეთა თხზულებებში გაბნეული ცალკეული ფრაზები სულ სხვა რამეს მიგვანიშნებენ. მეფეს თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა სამეფო კარზე. ჟამთააღმწერელი ფაქტებს ძალიან ლაკონიურად გადმოგვცემს და მისი ცალკეული ფრაზები ბევრ რამეზე მიგვანიშნებენ, ღრმა ქვეტექსტებს შეიცავენ, როცა იგი წერს, მეფემ „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და... შეიყუარნა თანამოპასაკენიო...“ აქ თითქოს პირდაპირ არის მინიშნებული, რომ ახალგაზრდა მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, დიდი ცვლილებები მოეხდინა სამეფო კარზე, „გაეახალგაზრდავებინა“ საკაზირო, ახალი აზროვნებისა და იდეალების ადამიანებით შეევსო...

შემთხვევითი არ უნდა იყოს პირველივე მძაფრი შეჯახება დიდებულებთან, რასაც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს და რაც არა სამეფო კარზე, არც ასეთი დაპირისპირების დროს, არამედ სულ სხვა ვითარებაში მოხდა.

გარდაიცვალა თუ არა თამარი, მოხარკე და ვასალურ ქვეყნებს, როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინვე ჩაესახათ იმედი, ჩამოსცილებოდნენ საქართველოს სამეფო კარს და სრული თავისუფლება მოეპოვებინათ. ეტყობა, დიდხანს ელოლიავებოდნენ ამ იმედს და აი, ყველაზე ხელსაყრელი ეჩვენათ ეს მომენტი: ტახტზე ახლა ახალგაზრდა მეფე იჯდა, გამოუცდელი ჭაბუკი... ქვეყნის შიგნითაც, მათ თვალში, სიწყნარე არ იყო: მთიელთა ამასწინანდელი ამბოხების ამბავი, რა თქმა უნდა, მათთვისაც ცნობილი იქნებოდა; სამეფო კარზე რომ დაძაბულობა გამწვავდებოდა ახალი მეფის მოსვლის შემდეგ, ფაქტიური ცნობებითაც რომ არ სცოდნოდათ, ისედაც იგულისხმებდნენ, ამისი გამოცდილება თავადაც ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ხელსაყრელი დრო დადგა, რათა სრული თავისუფლება მოეპოვებინათ.

ყველას განძის ათაბაგმა დაასწრო: ხარკის ძლევა შეწყვიტა — „არღარა მოსცეს მეფესა ხარკი". ეს, ეტყობა, თამარის გარდაცვალების შემდეგ მალევე მოხდა. ლაშა გიორგიმ მაშინვე გაითვალისწინა, რომ განძის ათაბაგისთვის დათმობა იმას ნიშნავდა, ყველა ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნისთვის მიეცა თავისუფლება, რადგან, ბუნებრივია, ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ, რა მოხდებოდა; განძის ათაბაგს თუ აპატიებდა ურჩობას საქართველოს სამეფო კარი, ხვალ სხვები შეუწყვეტდნენ ხარკის ძლევას...

ეს ძნელი მისახვედრი არ იყო, და მეფეს დიდ სიბრძნედ ვერც ჩაეუთვლით. ლაშა გიორგიმ მაშინვე შეპკრიბა ლაშქარი, თანაც „მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა იმერთა და ამერთა..."

ამოდენა ჯარი იქნებ არც იყო საჭირო განძის ათაბაგის დასამარცხებლად, მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს იყო ახალგაზრდა მეფის პირველი დამოუკიდებელი ომი, და ბრწყინვალე გამარჯვება უნდა ეზეიმნა.

გალაშქრების წინ მეფემ სიტყვით მიმართა დარბაზს, და ეს სიტყვა სრულად უნდა მოვიყვანოთ, ისე, როგორც ჟამთააღმწერელმა შემოგვინახა.

„ვინაითგან მეფეთა შორის ბრწყინვალემან და სანატრელმან დედამან ჩემმან დამიტოვა მეფობა, ყოველნი წინააღმდგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი მოხარჯედ შექმნა და დღეისამდე მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არიან. აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიე

და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა; მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძასა ზედა და თქუენ შრომასა შეგამთხვიო. რამეთუ ძალითა და თანადგომითა თქუენითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩუენთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი, და აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი და აღვიმხედროთ განძასა ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნეთ. შეწევნითა ღმრთისათა და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა და სიქველითა თქუენითა ვსძლიოთ მტერთა და წინააღმდგომთა ჩუენთა“.

აბა, დააკვირდით, ტონი ამ სიტყვისა ნუთუ არ მიგანიშნებთ იმ საერთო განწყობილებაზე, რაც მაშინ სამეფო კარზე სუფევდა! მეტისმეტი თავდაჯერება, ქედმაღლობა, წინაპართა დამსახურებით იმაზე მეტი გაამაყება, ვიდრე ეს საჭირო და მოსათმენია; იქნებ ცოტა ტლანქად გამომეიდეს, მაგრამ ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტით მეტისმეტად გაამპარტავნება... ეს არ არის მარტო ახალგაზრდა მეფის განწყობილება; ეს საერთო განწყობილებაა — სამეფო კარისა და სარდლობისა. სამეფო კარზე სუფევს ასეთი განწყობილება და იმიტომაც მოვიტანეთ ახალგაზრდა მეფის სიტყვა სრულად. მოელენათა შემდგომი განვითარება დაადასტურებს, რომ ეს ნამდვილად ასეა.

მაგრამ წინ ნუ გავიჭრებით, მივყვეთ თანმიმდევრულად ჩვენს ამბავს.

განძის ათაბაგის ლაშქარი უკან იხევდა. ქართველი მეფე კი შეუჩერებლივ წინ მიიწევდა — „ვერ წინა აღუდგეს განძელნი, და მოაოხრეს ქუეყანა განძისა: აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი და მოადგეს ქალაქსა განძისასა“.

და აქ უკვე დაიწყო ბრძოლა. მაგრამ არა გადამწყვეტი; მცირე მასშტაბის ბრძოლები — „ყოველთა დღეთა გამოვიდიან ქალაქის კარსა ბრძოლად ჩალიბად, აქათცა და მუნითცა ურჩეულესნი ებრძოდიან“.

როგორც ხედავთ, ფალავნების ბრძოლასა ჰგავს. წინა წიგნებიდან ჩვენ ვიცით ასეთი ბრძოლები.

რატომ გამოკეტილა ქალაქში განძის ათაბაგი და რას ელოდება, ძნელი სათქმელია. იქნებ იმის იმედით არის, რომ დაღალოს შორიდან მოსული მხედრობა, ქანცი გაუწყვიტოს, მერე კი ერთბაშად გამოუხდეს და შეუტიოს...

ქართველთა ლაშქარსაც სხვა რა გზა აქვს, ელოდება. ჩინებულად გამაგრებული ქალაქის აღება ძალიან ძნელი იქნება, დიდ

მსხვერპლს მოითხოვს და გამარჯვება იქნებ არც მაშინ იყოს გარანტირებული.

ქართველთა ლაშქარს ალყაში ჰყავდა მოქცეული ქალაქი: „ერთ-კერძო მხარგრძელნი დგეს, და ერთ-კერძო პერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი (ე. ი. ქართლელნი) და თორელნი; ერთ-კერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანი და ლიხთ-იქითნი ზედმოკიდებით ურთიერთას...“

დრო გადიოდა, ფალავანთა ბრძოლებს ბოლო არ უჩანდა... მართლაც დაიქანცა ლაშქარი, გაბეზრდა მეფეც და სარდლებთან შეუთანხმებლად (იქნებ იმიტომაც, რომ იცოდა, სარდლები არ დათანხმდებოდნენ) გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა.

სხვებისგან შეუმჩნეველად წაუძღვა თავის მხედრობას — ოთხიათას რჩეულ ვაჟკაცს (მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, რომ „ამათ შინა უმეტეს მესხნი იყვნეს“) და ქალაქს შემოუარა; აშკარაა, იმ მიზნით, რათა ქალაქიდან მოწინააღმდეგის მხედრობა გამოიტყუოს. ახალგაზრდა მეფეს, ეტყობა, იმედი ჰქონდა თავისი მხედრობისა.

ასე იყო თუ ისე, განძელებმა რა დაინახეს შედარებით მცირე მხედრობით მეფე „ვითარ მოვიდა მტკურისაკენ ქვემოთ“ (მხოლოდ ეს მხარე იყო თავისუფალი), გახსნეს ქალაქის კარები „და ვითარ მხეცნი ზედა მიუხდეს“. ქართველი მეფეც ამას მოელოდა; მან, რალა თქმა უნდა, იცოდა, რომ მტერი უფრო მრავალრიცხოვანი ჯარით შემოუტევდა, და მზად იყო საბრძოლველად. თავისი მხედრობა ადრევე დაჰყო რაზმებად და წინამძღოლები დაუდგინა — შესანიშნავი მეომრები და ვაჟკაცები „ყუარყუარა ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურკელი, ბოცო ბოცოს ძე მემნას ძმა“ (ამ შესანიშნავ მამულიშვილებს ჩვენ კიდევ შეეხვდებით)...

გაიმართა გააფთრებული ხელჩართული ბრძოლა. განძელების მრავალრიცხოვან ჯარს არ დაუფრთხია ქართველთა მხედრობა. პირიქით, მეფე გაამხნევეს: „სიკუდილად განმწირველნი თავთა მათთანი ეტყოდეს: დაედვათ თავი სასიკუდილოდ, და არა ვარცხვინოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისასა“. მეფე თვითონ აძლევდა მაგალითს მამაცობითა და უშიშრობით.

ეტყობა, მალე დამთავრდა ყველაფერი. განძის ათაბაგი და მისი ჯარი არ მოელოდა, მეფის შედარებით მცირერიცხოვანი მხედრობა თუ გაუძლებდა ორჯერაც უფრო მეტი ჯარის გააფთრებულ შეტევას (მეფეს რომ 4000 მეომარი ახლდა, ეს უკვე ითქვა, ქალაქის კარიბჭიდან კი, მემატიანისაავე სიტყვით, 10.000 მუსულმანი ჯარისკაცი გამოიჭრა), და თვითონვე შედრკნენ, უკანვე მიაწყდნენ ქალაქის

კარიბჭეს. მაგრამ იმ საშინელ არეულობაში რამდენი მოასწრებდა ვიწრო კარიბჭეში შესვლას?! სულაც არ არის გასაკვირი, რომ „მცირედნილა შეესწრნეს ქალაქად, და უმრავლესნი ტყუე ყვეს და ზოგი მოსრნეს“.

ეს იყო მეფის ბრწყინვალე გამარჯვება პირველივე დამოუკიდებელ ომში.

და გაკვირვებას იწვევს ის, რაც ამას მოჰყვა.

მეფის მხედრობა, რაღა თქმა უნდა, ქალაქში აღარ შეჰყოლია დამარცხებულ ჯარს. ეს შეცდომა იქნებოდა. გამარჯვებული მხედრობა ურიცხვი ტყვეებით უკანვე გამობრუნდა, რათა ძირითადი ლაშქრისთვის ეხარებინა მოულოდნელი გამარჯვების ამბავი.

მაგრამ გამძვინვარებული ბრძოლის ზრიალმა, დამარცხებული ქალაქელების ყვირილმა და წივილ-კივილმა უფრო ადრე ამცნო ქართველთა ძირითად მხედრობასა და მათ სარდლებს მომხდარი ამბავი. და ისინი „მსწრაფლ“ გამოეშურნენ მეფისაკენ.

გამარჯვებულს არა სჯიანო, ძველი სიბრძნე ამბობს. აქ პირიქით მოხდა: მეფეს პატარა საყვედური როდი აკმარეს. იმის ნაცვლად, რომ გახარებოდათ, გამარჯვება მიელოცათ და მადლობა ეთქვათ, ცხვირი ჩამოუშვეს, გაებუტნენ, განდგომითაც დაემუქრნენ: აღარც სალაშქროდ გამოგვყვებით სხვა დროს და არც სამეფო კარზე გაგეკარებითო! — „დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა“.

ბრწყინვალე ბრძოლაგადახდილ, გამარჯვებულ მეფეს ჰკიცხავენ, რომ მან სამხედრო წესი დაარღვია და სარდლობასთან შეუთანხმებლად გაილაშქრა.

ეს იქნებ მართლაც სასაყვედურო იყო, მაგრამ არა ასეთი სიმკაცრით; მით უმეტეს, რომ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს მეფემ და მისმა მხედრობამ... მაშ, რა მოხდა, რითი შეიძლება აიხსნას ეს?.. აქ ალბათ სხვა რამე უნდა ვიგულისხმოთ; მეფის თვითნებური გალაშქრება არა ყოფილა მთავარი.

ვაზირებმა იციან მეფის განზრახვა, იციან, რომ იგი „თანამოპასაკენის“ დაწინაურებას და მათთვის დაპირისპირებას აპირებს. და გადაწყვიტეს, ახლავე აგრძნობინონ მეფეს, რომ პოზიციებს არ დათმობენ, რომ მათი დამარცხება ადვილი ნუ ეგონება მეფეს, რომ რაც თვით დიდმა თამარმა ვერ მოახერხა, მით უფრო აღემატება მისი შვილის, გამოუცდელი ყმაწვილის ძალას... გადაწყვიტეს, ეს მარჯვე შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვათ და ახლავე ეგრძნობინებიათ

მეფისათვის, ახლავე, ვიდრე იგი თავისი განზრახვის შესრულებას შეუდგებოდა.

ეს იყო მეფის პირველი შეჯახება ვაზირებთან.

აქამდე იქნებ არც უგრძვნია მეფეს, რა ძალას უპირისპირდებოდა, ვისთან შებმას აპირებდა... დიდებულებმა იქნებ ისიც აგრძნობინეს მეფეს, რომ ურთიერთ შუღლის მიუხედავად, მის წინააღმდეგ ისინი შეერთებული ძალით გამოვიდოდნენ.

და ეს მაშინვე იგრძნო ლაშა გიორგიმ. ყმაწვილი კაცისთვის უჩვეულო სიბრძნე გამოიჩინა, ხელადვე აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა, ყველაფერი გაითვალისწინა, საოცრად ბრძნული თავდაჭერა და მოთმინება გამოიჩინა, საკუთარ თავს მოერია...

ეს ხელად მოხდა, თვალის დახამხამებაში.

იგი „ჰუნისაგან ჩამოხდა... და უმეცრებით ქმნულისათვის შენდობა ითხოვა“.

ამით მან ფაქტიურად განაიარაღა გაგულისებული ფეოდალები და თვითონვე გაიადვილა სამომავლო საქმე — დიდებულთა უჩვეულო, ამ შემთხვევისათვის მეტად გაზვიადებულ საყვედურს, რასაც ფაქტიურად უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა, ლოკალური მნიშვნელობა მისცა, თითქოს ვერც კი მიხვდა საქმის ნამდვილ არსს, და ამრიგად იმ დღეს მეორე ბრძოლაც მოიგო. ამჯერად — დიპლომატიური.

უნებურად გაგონდება, გარეგნულადაც კი ანალოგიური სურათი — ახალგაზრდა მეფის დიდი წინაპრის ვახტანგ გორგასალის ასეთივე ბრძნული თავშეკავება... ისიც ცხენიდან ჩამომხტარი და მოულოდნელობისგან ასევე გამშრალი, როგორ ერთბაშად მოეგება გონს!..

ოღონდ მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა მაშინ და სხვაგვარი განვითარება უწერია ამჟამად.

პირველივე შეტაკებაში მძიმე დამარცხებანაგემები განძის ათაბაგი კვლავ მაგრად გამოიკეტა ქალაქში, მაგრამ ახლა მისი ლაშქარი მორალურად გატეხილი იყო, ქალაქის მოსახლეობა — უკმაყოფილო და გამწყრალი.... მომავალი ბრძოლების იმედი, ფაქტიურად უკვე გადაწურული ჰქონდა, სხვა აღარა დარჩენოდა-რა, იძულებული გახდა, სინანული გამოეთქვა და პატიება ეთხოვა ქართველი მეფისათვის, — ძველებურადვე ვიკისრებთ ხარკსო, აღუთქვა — „შემჭირდა ათაბაგი განძისა და ვევედრა, რათა განუჩინონ ხარკი პირველი...“

მეფემ შეიწყნარა, ტყვეები უკანვე დაუბრუნა, და კვლავ ყმადნაფიცობის პირობით შემოიმტკიცა განძა.

მემატიანე დაწვრილებით აღარ მოგვითხრობს, მაგრამ ასეთივე „ურჩობა“ გამოუჩენიათ სხვა ყმადნაფიც ქვეყნებსაც. ამჯერად სამხრეთით. და აქაც წარმატებით ულაშქრია ქართველ მეფეს. ლაშასდროინდელი მემატიანის ცნობით, „მეფემან აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისი...“ „...მოწუა და მოარბივა ხლათისა ქუეყანა, შემოიხუეწა ხლათელი და ძლევაშემოსილმან მას ზედა მისცა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებლობასა შინა წყობისანი. და სხუა შემოიხუეწა კარნუ-ქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა...“ ეს ლაშქრობანი, ეტყობა, ივანე ათაბაგის სარდლობით მოხდა.

ამის შემდეგ „აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ხრმლითა და ომითა მისათხრობელთა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“. დააკვირდით, რა ქებით მოიხსენიებს მემატიანე ამ შესანიშნავ ვაჟკაცს.

●

პაელე ინგოროყვა განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ლაშა გიორგის ხლათისკენ გალაშქრებაზე. მისი აზრით, „ხლათის სასულთნოს შემოყვანა საქართველოს გავლენის სფეროში, ეს იყო ერთი დიდი აქცია დასავლური პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ამ ეპოქაში საქართველო“.

სამხრეთ-დასავლეთით ლაშა გიორგის ლაშქრობანი მკვლევარს იმ შორსგამიზნული პოლიტიკის გაგრძელებად მიაჩნია, რამაც თავის დროზე ტრაპიზონის საკეისროს დაარსება განაპირობა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ამიტომაც საგანგებოდ ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

„ამავე დასავლური პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, — განაგრძობს მკვლევარი, — უდიდესი მნიშვნელობის აქტი საქართველოს სახელმწიფოს ისტორიისა — ტრაპიზონის სამეფოს დაარსება დიდი თამარის მიერ XIII საუკუნის დასაწყისში. ტრაპიზონის სამეფოს სახით საქართველომ შექმნა ხიდი, მტკიცე დასაყრდენი ევროპასთან კავშირის დასამყარებლად კონსტანტინოპოლის გზით. ხოლო საქართველოს გავლენის სფეროში შემოყვანა ხლათის ქვეყნისა, ეს იყო ახლად გადადგმული ნაბიჯი, რომელიც საბოლოოდ ისახავდა მიზნად უშუალო კავშირის დამყარებას დასავლეთ-ევროპელებთან, რომლებიც ამ დროს დამკვიდრებულნი იყვნენ სირია-პალესტინაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე“.

ზემოთმოტანილი მახვილგონიერული ვარაუდი რომ ახლოს დგას სინამდვილესთან, ამას ადასტურებს ლაშა გიორგისაეე ურთიერთობა ჯვაროსნებთან, რაც მალევე მოჰყვა სამხრეთ-დასავლეთისკენ გალაშქრებას (იქნებ უფრო გაბედულადაც ითქვას: იქნებ ეს გალაშქრებაც ერთი რგოლი იყოს ჯვაროსნებთან ურთიერთობის ჯაჭვისა), ამასვე ადასტურებს აგრეთვე საქართველოს სამეფო კარის მერმინდელი ცდებიც დასავლეთთან კავშირის აღდგენა-განახლებისა, რასაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გავეცნობით.

დასავლეთში რომ მართლაც იყვნენ დაინტერესებულნი ხლათისა და კარნუ ქალაქისკენ ქართველი მეფის გალაშქრებით, და, საერთოდ, საქართველოთი, ეს მრავალი საბუთით დასტურდება. შემონახულა პალესტინისა და იერუსალიმში მყოფ ჯვაროსანთა წერილები, სწორედ იმხანად გაგზავნილი საფრანგეთში.

აი, ერთი მათგანიც, რომელიც ბეზანსონის მთავარეპისკოპოსის სახელზეა გაგზავნილი:

„ივერიითგან — ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით, ღმრთის აღმაფრთოვანებელი დახმარებით, ძალითა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ, და აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთა შორის წარჩინებული ყოფილა და დიდი... ზემოთ აღნიშნულნი (ივერიელნი) წმინდის ქალაქის იერუსალიმის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მათი წარჩინებული მეფე თექვსმეტი წლისაა[1], ალექსანდრეს ბადალი (იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი), ძალითა და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით“...

გამოქვეყნებულია, და მკვლევარები ხშირად იმოწმებენ ბევრ სხვა წერილსაც, სადაც მჟღავნდება დასავლელ ჯვაროსანთა და მოღვაწეთა ინტერესი საქართველოსა და ქართველი მეფის მიმართ, შექებულია ქართველი მეომრები და თვითონ მეფე, რომელიც ზოგჯერ ლეგენდარულ პირად წარმოუდგენიათ; ჯერ დაეით აღმაშენებელზე თხზავდნენ ასეთ ლეგენდებს დასავლეთში, და ახლაც, აგერ, ისევ ქართველ მეფეზე ლეგენდა...

---

1 აქ უზუსტობაა, ქართველი მეფე ამ დროს უფრო დიდი ხნისა იყო.

ეს შემთხვევითი არ არის. საქართველო დიდი ქვეყანა იყო და მისი ძლიერების სახელი შორს განეფინა, ქრისტიანობის ბურჯადა სთვლიდნენ მთელს მახლობელ აღმოსავლეთში.

სწორედ ამ ხანებში ჯვაროსანთა ახალი ძლიერი ტალღა დაიძრა, და პირველად დიდ სამხედრო წარმატებებსაც მიაღწიეს, აიღეს მნიშვნელოვანი ქალაქი და ნავსადგური ეგვიპტის ჩრდილოეთში, ნილოსის შესართავთან — დამიეტა. ეს მოხდა 1219 წელს...

დააკვირდით თარიღს: სწორედ ამ დროს ლაშა გიორგი წარმატებით ლაშქრობს სამხრეთ-დასავლეთით!

შემთხვევითია ეს?

განა წინასწარ საგულდაგულოდ მოფიქრებულ სამხედრო მანევრს არა ჰგავს, როცა მოკავშირეებს მოწინააღმდეგის რკალში მოქცევა გადაუწყვეტიათ?!

ქართველთა წარმატების ექო, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, გაზვიადებით აღწევს ჯვაროსნებამდე. სწორედ იმხანად გახშირდა ქართველთა ხსენება ევროპელ ჯვაროსანთა წრეებში. დიდი ქართველი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი საგანგებოდ ახსენებს „იმ დროის ევროპის მწერლებს, რომელნიც ქართველთა ჯვაროსნობას იხსენებენ“.

ჯვაროსნები გრძნობდნენ, რომ დამიეტას აღება იყო მხოლოდ პირველი წარმატება და ამას განმტკიცება სჭირდებოდა. ისინი მუსულმანური ქვეყნების კოალიაციის გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და, ბუნებრივია, თავადაც ეძებდნენ მოკავშირეებს. რაღა თქმა უნდა, მით უფრო უკეთესი იქნებოდა, აღმოსავლეთში თუ ეყოლებოდათ მათ ასეთი მოკავშირე.

არც ის არის გასაკვირი, რომ თავის მხრივ, ქართველებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ჯვაროსანთა ბრძოლებს. „ფრანგებისაგან დამიეტის აღების შემდგომ, — წერს მიხეილ თამარაშვილი, — ქართველებმა დასავლეთის ჯვაროსნებს წიგნი მოსწერეს, შეატყობინეს თავიანთი მზადყოფნა საომრად და დაიფიცეს, რომ ომით აეღოთ ერთი დიდი და შესანიშნავი პალესტინის ქალაქი...“

და ამ დროს ქართველ მეფეს დახმარებასა სთხოვს თვით რომის პაპი, ჰონორიუს მესამე.

საგულისხმოა, რომ ეს მოწოდება მეფემ სწორედ დამიეტიდან მიიღო. რომის პაპისადმი საქართველოდან უფრო მოგვიანებით გაგზავნილ ერთ წერილში, რომელსაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გავეცნობით, ეკითხულობთ: „დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან

მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა (იგულისხმება ლაშა გიორგი) წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად".

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია არც მეფისადმი გამოგზავნილ წერილს და არც ქართველი მეფის პასუხს. მაგრამ სხვა საბუთებიდან ჩანს, რომ ქართველი მეფე უყოყმანოდ დათანხმდა დახმარებაზე. და არა მარტო იმიტომ, რომ ახალგაზრდა მეფის რაინდულ ბუნებას კარგად ეხმაურებოდა რომანტიკულ საბურველში გახვეული, ათასგვარი გაუთვალისწინებელი ხიფათებითა და თავგადასავლებით სავსე ჯვაროსნული ლაშქრობანი (თუმცა, რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორია და უსათუოდ გასათვალისწინებელი), არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ისახებოდა დიდი პერსპექტივები, იშლებოდა ახალი, ფართო ასპარეზი ხალხის კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისა, ისახებოდა დასავლეთის ქვეყნებთან კავშირის კონკრეტული გზები...

მეფე მაშინვე შეუდგა გამალებულ მზადებას, ჯარისა და ცხენების შერჩევა-მომზადებას, იარაღ-საჭურველის განახლებას, სურსათის მომარაგებას... საქმე ეხებოდა გაურკვეველი დროით შორს გალაშქრებას და საჭირო იყო საგულდაგულოდ მომზადება, ყველაფრის გათვალისწინება. ეს არ გახლდათ იოლი საქმე, თუნდაც ისეთ ორგანიზებულ ქვეყანაში, როგორიც მაშინ საქართველო იყო. ამას დაძაბული შრომა და ენერგია, მეფის მთელი ყურადღება სჭირდებოდა.

●

ამრიგად, თუ გავიხსენებთ ლაშა გიორგის ზეობის მოკლე პერიოდს, აშკარა გახდება, რომ იგი განუწყვეტელ ომებში ყოფილა ჩაბმული, თავგამეტებით უბრძოლია, რათა, ჯერ ერთი, შეენარჩუნებინა თავისი წინაპრების მიერ შექმნილი დიდი ქვეყანა, და მეორეც, განეხორციელებინა წინაპრებისავე დიდი გეგმა, დასავლეთთან უძველესი დროიდანვე დამყარებული კულტურული და პოლიტიკური კავშირის აღდგენისა; ამას კი სწორედ იმ დროს, ქვეყნის იმ გარემოცვის პირობებში, ბიზანტიის დიდი სახელმწიფოს დაცემის შემდეგ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მაღალი კულტურის, არამედ, საერთოდ, ხალხის არსებობის შენარჩუნებისთვისაც.

იმ ბრძოლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდა მეფეს წარმატებითაც გაურთმევია საქმისთვის თავი.

აი, რითი შეიძლება აიხსნას, რომ მეფემ ჯერ ვერ მოახერხა იმ ცვლილების გატარება სამეფო კარზე, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, თუმცა დაძაბული ურთიერთობა, როგორც ვნახეთ, ლაშა გიორგის კვლავაც ჰქონია ძველ დიდებულებთან.

მეფის გეგმის განხორციელებას, ალბათ ხელი შეუშალა საშინაო ეკონომიურმა მდგომარეობამაც.

ჩვენ რომ მთიელთა დიდი აჯანყების ამბავს მოვყევით, ეს შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. ამას თავისი სოციალური საფუძველი ჰქონდა. ზემოთ ითქვა კიდეც — ქვეყნად ისეთი სიმშვიდე და ჰარმონია არ სუფევდა, როგორც მემატიანეები გვარწმუნებენ.

ამას ადასტურებენ კიდევ უფრო ძველი წყაროები, ვიდრე მემატიანეთა თხზულებანია; თუმცა, როგორც ვნახავთ, ავტორებს იმ „წყაროებისა“ აზრადაც არ მოსვლიათ — მათი ნაწერი ოდესმე ვინმეს თუ გამოადგებ̀ოდა არსებული სოციალური სურათის აღსადგენად.

ივანე ჯავახიშვილს მოაქვს ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელიც ცხოვრების გაძვირებაზე მიგვანიშნებს; და თუმცა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთ მხარეს შეეხება, კერძოდ, ეკლესიისა და მრევლის ურთიერთობას გვიხატავს, მეცნიერის დასკვნით, საერთოდ იმდროინდელი ყოფის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. „ამ დროისათვის საგრძნობი შეიქმნა ჯერჯერობით გამოურკვეველი მიზეზების გამო ამტყდარი ეკონომიური კრიზისის დასაწყისიც: ფასები გაზრდილა და ცხოვრება გაძნელებულა“, — წერს მეცნიერი.

ძეგლი, რომელიც ამ ფაქტს გადმოგვცემს, 1218 წლისაა, ესე იგი, დაახლოებით იმ პერიოდისა, როდესაც ლაშა გიორგი სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ლაშქრობს.

1910 წელს, ანისში არქეოლოგიური გათხრების დროს, ნიკო მარი წააწყდა ქვებზე ამოჭრილ ქართულ წარწერებს. რამდენადაც ეს აშკარად ძველი ძეგლი იყო და შეიძლებოდა რაიმე თვალსაზრისით საინტერესო გამომდგარიყო, მეცნიერი დაინტერესდა, შეაგროვა წარწერიანი ქვები და ერთმანეთს მიუსადაგა. ეს ადვილი საქმე არ იყოო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს. ზოგიერთი წარწერიანი ქვა დაკარგული ან დაშლილი აღმოჩნდა, მაგრამ მეცნიერმა მაინც მოახერხა არა მარტო ძირითადი აზრის გამოტანა, არამედ მთელი იმ საკმაოდ ოდიოზური თავგადასავლის აღდგენა, რასაც ახლავე მოგითხრობთ.

ადგილობრივ სამღვდელოებას ანისის ქართველ და ქალკიდონიან სომეხ სამწყსოსათვის საეკლესიო მისაცემელი გაუძვირებია და, რო-

გორც წარწერებიდან ჩანს, საგრძნობლადაც: მარტო დამარხვისათვის ან ჯვრისწერისათვის თურმე 100 დრამას თხოულობდნენ; დაახლოებით სამჯერ იმაზე მეტს, რაც დაკანონებული იყო. ერთხანს უთმენია მრეველს, მერე წუწუნს მოჰყოლია, საყვედურები გაუხშირებია, მაგრამ რაკიღა მღვდლებმა ყურად არ იღეს მათი თხოვნა და ჩუმი პროტესტი, მღვდლებისა და სამწყსოს ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებულა — „ხუცესნი და მრეველი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ქცეულან". საქმე იქამდე მისულა, რომ ზოგიერთ ეკლესიაში ხალხი სულ აღარ მიდიოდა წირვა-ლოცვაზე, ზოგან კი განაწყენებული ხუცესი ამბობდა უარს თავის მოვალეობაზე. ეს ამბავი გახმაურებულა და ქართლის კათალიკოსის ყურამდე მიუღწევია.

და, აი, 1218 წელს ანისში თვით კათალიკოსი ეტიფანე ჩასულა, კარგად გასცნობია საქმეს, და რაკი უკმაყოფილება ფართოდ იყო ფესვებგამდგარი მრეველში, ეტყობა, იძულებული გამხდარა, ადგილობრივი სამღვდელოება გაეკიცხა და საქმე მრეველის სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

ეს ძეგლიც სწორედ ეტიფანე კათალიკოსის განჩინებას წარმოადგენს.

„იტყვის ხმაი საღმრთოი: უსასყიდლოდ მიგიღიეს, უსასყიდლოდ მისცემდით... უკუეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჯერ არს სყიდაი ლოცვათა ერისა მიმართ... ყოელად უწესო არს აღებაი თქვენგანცა გურგუნთა კურთხევისათვის ასისა დრამისა"...

ამ სიტყვებით იწყება ეს განჩინება და დასაწყისიდანვე ჩანს, ვისი მხარე დაუჭერია კათალიკოსს.

აქ აღარ გავაგრძელებთ ამ საგანზე საუბარს. ჩვენთვის ახლა იმდენად ის კი არ არის საინტერესო, როგორ წარიმართა დავა ანისის მრეველსა და სამღვდელოებას შორის; ამ ფაქტის გახსენებით ჩვენ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება დავადასტურეთ იმის შესახებ, რომ ქვეყნად ძნელადმოსაგვარებელი ეკონომიური სიძნელეები წარმოქმნილა და, უკვე ნახსენებ საგარეო ვითარებასთან ერთად, ახალგაზრდა მეფეს ალბათ ესეც უშლიდა ხელს, თავიდანვე განზრახული ცვლილებები მოეხდინა უმაღლეს მთავრობაში.

სულ რომ არ აუღია მეფეს ხელი ამ საქმეზე და ძველი დიდებულებისთვის მიუღებელი წრის ხალხთან კვლავაც საქმიანი და მჭიდრო კავშირი რომ ჰქონია, ამას ჟამთააღმწერელიც კარგად მიგვანიშნებს, როცა ისევ და ისევ, ჯიუტად შეგვახსენებს ხოლმე

ულირს ხალხს, რომლებიც სამეფო კარზე ტრიალებენ — „უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა-ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“...

ხედავთ, რა მრისხანე ლაკონიურობით ამოთქვა თავისი გულისწყრომა ჟამთააღმწერელმა!

მაინც ვინ იყვნენ ეს ულირსნი კაცნი?..

კონკრეტულად არ გვისახელებს მემატიანე. ისე კი ჯიუტად იმეორებს თავის რისხვას...

„არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და ავსა წესსა, რომელსა იქმ“.

ასეთი მოურიდებლობითა და უკიდურესი კატეგორიულობით ჰკადრებენ მეფეს პროტესტის გამოცხადებას ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი. ასე გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი.

ხედავთ, როგორ დაძაბულა ვითარება სამეფო კარზე! როგორ გამწვავებულა შინაგანი ბრძოლა! ლაშა გიორგის ვერ აღმოაჩნდა სათანადო ძალა და სიმტკიცე, სიმტკიცე თავისი სახელოვანი წინაპრებისა, თუნდაც სეხნია-პაპისა, რათა მის წინააღმდეგ აბორგებული დიდებულები დაეთრგუნა ან სულაც მოეშორებინა თავიდან. პირიქით, იგი თითქოს დაშინებულიც კი ჩანს და ცდილობს შეირიგოს მეტისმეტად გაამაყებული დიდებულები.

მაგრამ ისევ და ისევ არ გასვენებს კითხვა — მაინც ვინ არიან ეს „ავის წესის“ მიმდევარი „ბოროტნი კაცნი?“

ამაზე თითქოს სდუმს მემატიანე.

მაგრამ აკი უკვე გაგვიმხილა მან, როცა თქვა — „შეიყუარა თანამოჰასაკენიო!..“

დიახ, ესენი მეფის თაობის ხალხია, ახალი აზრებით, ახალი იდეალებით განსჭვალულები, ჰუმანისტურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც „გავლენიან კონსერვატიულ წრეებს“ დაუპირისპირდნენ.

ასეთი ვარაუდის საფუძველი მართლაც არსებობს... მაგრამ კორნელი კეკელიძისა არ იყოს, კვლავ ძიება და ძიებაა საჭირო, რათა საბოლოოდ გამოიკვეთოს სახე ჩვენს ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანის, და იქნებ ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პიროვნებისა. ბოლოს და ბოლოს, დაცემა საუკუნეობით სისხლითა და ოფლით ნაშენები დიდი ქვეყნისა ხომ მისი ზეობის დროს დაიწყო!

და აი, მივადექით კიდეც.

1220 წლის შემოდგომაზე, როცა ქართველი მეფე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადებით იყო გართული, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მტრის დიდმა მხედრობამ გადმოლახა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეს მოვლენა უჩვეულო იყო, რადგან უკვე დიდი ხანია მტერი ასე აშკარად და ჯიქურ შემოჭრას ვერა ბედავდა; იმითაც იყო უჩვეულო, რომ შემოჭრილი ლაშქარი ახლომახლო სასულთნოების ჯარს არა ჰგავდა, საერთოდ არ ენახათ ასეთი უცხო და უცნაური ხალხი (ასევე მოიხსენიებს მათ ლაშასდროინდელი მემატიანე), და კიდევ იმით იყო უჩვეულო, რომ ქვეყნის სიღრმეში კი არ მოდიოდნენ — თითქოს გზად გამოიარესო, გეზი აღმოსავლეთით, აზერბაიჯანისკენ ეჭირათ.

მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს საზღვრებში უცხო და უცნაური მხედრობის გამოჩენით ამ დიდი ქვეყნის დაცემა უნდა დაწყებულიყო.

მტრის შემოსევის ამბავი მენაპირე რაზმმა მაშინვე შეატყობინა თავის მთავარს... მეფის სასახლეშიაც მალე გაიგეს (წინა წიგნში ჩვენ საგანგებოდ შევნიშნეთ: მტრის გამოჩენის შეტყობინებაცა და ჯარის გადაყვანაც ძალიან სწრაფად ხდებოდა იმ დროს საქართველოში). სასწრაფოდ გამოიყვანეს 10.000 მხედარი და მტერს დაედევნენ. მეტის გამოყვანა უცებ ალბათ ვერ მოასწრეს, ან იქნებ საჭიროდაც არ ჩათვალეს... რადგან უშუალოდ ამის წინა თუ ახლო წარსულის ძლევამოსილი ლაშქრობებით ჯარიცა და მისი სარდლებიც გაამაყებულნი და თავდაჯერებული იყვნენ.

მტერს ამასობაში მოესწრო სოფლების გადათელვა და გადაბუგვა, ხალხის გაჟლეტა, მეურნეობის განადგურება... მიდიოდნენ და გზად ყველაფერს აოხრებდნენ. არაადამიანური გულქვაობისა და აუხსნელი სისასტიკის სურათები ხვდებოდა მტრისთვის დადევნებულ ქართველ ლაშქარს — დახოცილი ქალები, ბავშვები, მოხუცები, მუცელგამოფატრული ორსული ქალები...

და თუმცა შურისძიების რისხვით ინთებოდნენ, სამაგიერო მაინც ვერ მიუზღეს ქართველმა მეომრებმა: ბალის წყალზე წამოეწიენ, მაგრამ რიცხვით გაცილებით უფრო მეტ მტერს ვერაფერი დააკლეს; თვითონვე დამარცხდნენ, მათვე გაუჟლიტეს ათასობით მეომარი... და ასე უცნაურად და მოულოდნელად დამარცხებული ქართველი ჯარი უკანვე შემოიქცა.

მტერი არ დადევნებია. ისინი შებრუნდნენ და თავისი გზა განაგრძეს.

ესეც უჩვეულო ჩანდა.

ისევე უეცრად გაუჩინარდა ეს უცხო ლაშქარი, რა უეცრადაც გამოჩნდა. ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათი ასავალ-დასავალი, ვინაობა თუ სადაურობა არც საქართველოს სამეფო კარს და, მით უფრო, არც უბრალო ხალხს არ გაუგია.

ასე მიაჩნდათ ძველად, წინა თაობების ისტორიკოსებს. ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ წერდა: „მოულოდნელად სრულებით უცნობი და შორეული ქვეყნებისგან მოსული მტერი... საქართველოს საზღვრებს მოადგა“.

ახლა, ბოლოდროინდელ გამოკვლევებში, საეჭვოდ არის მიჩნეული, თითქოს საქართველოს სამეფო კარს არაფერი სცოდნოდეს ამ „უცხო“ ლაშქრის მოახლოების შესახებ. ამ მოსაზრებას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. დამატებით მოპოვებული წყაროები ალბათ მეტ სინათლეს შეიტანენ ბუნდოვან და ძალიან საინტერესო საკითხში.

მაგრამ რით უნდა აიხსნას, რომ მეფის თანამედროვე მემატიანე, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მომხდარი ამბების კვალდაკვალ აღწერდა მოვლენებს, ამ უცხო ხალხის სახელსაც კი ვერ ამბობს — „და შემოვიდეს უცხო თესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს“... — ამასღა გადმოგვცემს, დაუსახელებლად. მათი ვინაობა რომ სცოდნოდა, ხომ უსათუოდ დაწერდა. რატომ დაფარავდა, რატომ გამოტოვებდა. გამოცანებით რად დაიწყებდა ლაპარაკს ისეთი ხასიათის თხზულებაში, რაც სრულ სიზუსტესა და კონკრეტულობას მოითხოვს?! არ იცოდა სახელი და ვინაობა და იმიტომაც ასე გაურკვეველად და ზოგადად თქვა — ვინმე უცხოთესლიო.

მათ სახელსა და ვინაობას მხოლოდ ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომელიც მთელი საუკუნის შემდეგ აგვიწერს მომხდარ ფაქტებსა და მოვლენებს. .

საოცარი კია, როგორ უნდა გამოჰპარვოდა ასეთი მტრის მოახლოება საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო მესვეურებს. ჩვენ ხომ წინა წიგნიდან ვიცით, რა მაღალ დონეზე იდგა იმ დროს დაზვერვისა და ქვეყნის დაცვის საქმე. აკი მენაპირეთა დიდი ინსტიტუტი სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. წმინდა საისტორიო წყაროები რომ არ გადმოგვცემდეს, „ვეფხისტყაოსანში“ ხომ მაინც თვალსაჩინოდ და მთელი სიღრმით ჩანს, რას წარმოადგენდნენ ეს მენაპირეები!

მაშ, რა მოხდა? ასე რამ მოადუნა ყველას ყურადღება სამეფო კარზედაც და სანაპირო კუთხეებშიაც?

მტრის ლაშქრის ასეთ მოულოდნელ შემოჭრასა და გაუჩინარებას მოსდევს მოელენები, რომელთა ახსნა და ერთმანეთთან დაკავშირება, ცოტა არ იყოს, ჭირს.

შემოდგომაზე ერთბაშად შემოჭრილი და ასევე ერთბაშად გაუჩინარებული მტერი, სულ ცოტა ხნის შემდეგ, ესე იგი, 1221 წლის იანვარში ისევ გამოჩენილა, ისევ შემოჭრილა, ახლა კიდევ უფრო მეტი სიმწარე უგემებია ხალხისთვის. ლაშასდროინდელი მემატიანე ამ მეორე შემოსევასაც ძალიან მოკლედ გადმოგვცემს — „მეორესა წელიწადსა კულაცა, მომართეს და დადგეს ბარდავის ჭალასა...“ და, მის სიტყვებს თუ ვერწმუნეთ, ასევე უეცრად გაუჩინარებულან, ქართველები ვერც კი წამოწვეიან — „და ვიდრე ზედამისვლამდე გაექცნეს, გარდაიხუეწნეს, განვლეს დარუბანდისა გზა“.

ამრიგად, ეს უკვე მეორე შემოჭრაა იმ „უცხოთესლ ლაშქრისა“. ახლაც ერთბაშად მოსულან და ასევე ერთბაშად წასულან, ქვეყნის დაპყრობა არც კი უცდიათ. ეს არ იყო მაშინ მათი მიზანი. უნდა ვიფიქროთ, სხვა რამე უნდოდათ: ეთქვათ, საკვები ჯარისთვის, ცხენებისთვის...

ამ მეორე შემოჭრას მხოლოდ ლაშასდროინდელი მემატიანე გადმოგვცემს, ჟამთააღმწერელი ამაზე არას ამბობს, ის მარტო ერთი შემოჭრის ამბავს გვაუწყებს, ერთადერთი შემოჭრის ამბავს... ოღონდ, ეტყობა, არც იმ პირველი შემოსევისას, არც მეორესას, არამედ მესამე ლაშქრობის ამბავს. რადგან ეს „უცხო ლაშქარი“ მესამედაც შემოჭრილა საქართველოში.

მესამე შემოსევის ამბავს ლაშასდროინდელი მემატიანე აღარ გადმოგვცემს, ეს უცხო წყაროებიდან ვიცით. უცხო წყაროთაგან კი შედარებით უფრო გავრცობილად, სამივე შემოსევის ისტორიას მეთორმეტე საუკუნის არაბი მემატიანე იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს.

იბნ ალ-ასირის ცნობებს საქართველოს ისტორიის ბევრი მკვლევარი იყენებს — დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ჯავახიშვილი და სხვები. თანამედროვე მეცნიერმა ბენიამინ სილაგაძემ საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა არაბი ისტორიკოსის თხზულებაში გადმოცემულ იმ ცნობებს, რაც უშუალოდ საქართველოს შეეხება.

„უცხო ლაშქრის“ მეორე შემოსევაზე შევჩერდით.

როგორც ვნახეთ, ლაშას დროინდელი მემატიანე მარტო ფაქტს გადმოგვცემს — კვლავ გამოჩენილა მტერი და ისე გაუჩინარებულა,

რომ ქართველთა მხედრობა ველარც კი დაწევია. არაბი მემატიანე უფრო ვრცლად გადმოგვცემს ამ შემოსევის ამბავს.

ზემოთ ითქვა, პირველი შემოსევის შემდეგ მტრის ლაშქარი აზერბაიჯანისკენ გაემართაო. იქ მათ დაიბანაკეს, დაუკავშირდნენ იქაური ათაბაგის — უზბეგის — ერთ-ერთ თურქ მამლუქს, სახელად აკუშს, დაავალეს შეეკრიბა ადგილობრივი ჯარი, რათა თავიანთი ლაშქარი შეევსოთ, და, აკუშისავე მეგზურობით ის-იყო საქართველოსკენ დაიძრნენ კიდეც. თანაც, თავიანთ ძირითად ლაშქარს წინ აკუშის მიერ შეკრებილი მოხალისე რაზმები წაუძღვარეს. მოდიოდნენ საქართველოს გულისკენ და გზად ყველაფერს აოხრებდნენ, ანგრევდნენ, ძარცვავდნენ, ჟლეტდნენ.

თბილისს რომ მიუახლოვდნენ, აქ ქართველთა ჯარი დაუხვედათ. გაიმართა გააფთრებული ხელჩართული ბრძოლა. ბევრი გაიჟლიტა ორივე მხარეს. მაგრამ უცხო ლაშქარს ხომ წინ აკუშის რაზმები მოუძღოდა: ფაქტიურად ისინი ებრძოდნენ ქართველებს, ეს რაზმები და ქართველები იჟლიტებოდნენ... ხოლო როცა „უცხო“ მტრის ძირითადი ლაშქარი ჩაება ბრძოლაში, ქართველების ჯარი უკვე დაქანცული და შეთხელებული იყო. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ ბრძოლებში გამოწრთობილ მტრის ლაშქარს, რომელიც ახლა დასვენებულიც იყო და ბრძოლა სწყუროდა, აღარ გაუჭირდებოდა ქართველების დამარცხება.

ეტყობა, მალე დამთავრდა ბრძოლა. ალ-ასირისავე ცნობით, უამრავი ქართველი გაიჟლიტა, მათ ველარ გაუძლეს მრავალრიცხოვანი მტრის მოწოლას და უწესრიგოდ გაქცევა იწყეს. მტერი კი მოსდევდა და ხმლით უწყალოდ ჩეხავდა.

მაგრამ მტერი არც ამჯერად გაჩერებულა საქართველოში — ახლაც გაბრუნდნენ და რბევა-რბევით კელავ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გასწიეს, გაიარეს თავრიზი და მარაღაში მივიდნენ... იქაც აზერბაიჯანისა და არ-რანის ქალაქები ერთიანად გაძარცვეს, გაანადგურეს და ააოხრეს. როგორც უკვე ითქვა, ეს მოხდა 1221 წლის პირველ ნახევარში.

ხოლო იმავე წლის მიწურულს თუ 1222 წლის დასაწყისში (სომეხი მემატიანის ცნობით, ეს მოხდა 1222 წელს) ისევ დაიძრნენ საქართველოსკენ. ეს უკვე „უცხო ლაშქრის“ მესამე შემოსევაა...

და ეტყობა, სწორედ, ეს შემოსევა აქვს გადმოცემული ჟამთააღმწერელს.

ამჯერად ქართველები კარგად მომზადებული დახვდნენ მტერს. მეფეს უკვე დიდი ჯარის შეგროვება მოესწრო, ეს ახლა არც გაუძნელდებოდა — ჯარს ხომ დიდი ხანია ამზადებდა დასავლეთისკენ გასალაშქრებლად, ჯვაროსნების მისაშველებლად.

ქართველთა ლაშქარი რომ მიუახლოვდა მტერს, „იგინი, დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა, მყის ამხედრდეს და ეწყვნეს ურთიერთს. და იქმნა ძლიერი ბრძოლა. [მტერი] ნახევარი იელტოდეს, და ნახევართა მზირი ეყო, და უკანით მოუხდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო უსჯულოებათა და ცოდვათ ჩუენთათვის, და იელტოდეს ქართველნი და სპანი და თვით მეფე ლაშა, და ურიცხვი სული ქრისტიანე მოკუდა... აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა...“

ჟამთააღმწერელისა და იბნ ალ-ასირის, აგრეთვე სხვა უცხო წყაროთა ცნობები თითქმის ემთხვევიან და ავსებენ ერთმანეთს. იბნ ალ-ასირის ცნობით, ქართველებისთვის ამ ომში მოუკლავთ ოცდაათი ათასი კაცი. ამასვე წერს სპარსი მემატიანე რაშიდ ად-დინი (ჟამთააღმწერელი, როგორც ვნახეთ, ზუსტ რიცხვს არ ასახელებს, ზოგადად ამბობს „ურიცხვი სული ქრისტიანე მოკუდაო“).

ალ-ასირის ცნობით, ამ ბოლო შემოსევის დროს პირველსავე შეტაკებაში დამარცხების შემდეგ, მეფეს კვლავ შეუკრებია ლაშქარი და ისევ დახვედრია მტერს, რათა ქვეყნის სიღრმეში მაინც არ შემოეშვა. მაგრამ ამჯერადაც სძლია მტერმა — „მათი შეკავება აღარც მთებს შეეძლო, აღარც ხევებსა და აღარც სხვა რამეს. ამიტომ ქართველების ჯარმა დატოვა“ ბრძოლის ველი, მტერი კი „რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ — ძარცვავდნენ, ჰკლავდნენ, ანადგურებდნენ“.

ქართველი მემატიანე ამ ბრძოლის მსვლელობასაც თვალსაჩინოდ (თუმცა ძუნწად და ლაკონიურად) გვაჩვენებს. დააკვირდით მის სიტყვებს: „...ნახევარი იელტოდეს, და ნახევართა მზირი ეყო და უკანით მოუხდეს...“ იბნ ალ-ასირი მტრის ამ ტაქტიკურ ხერხზე არას ამბობს, რაშიდ ად-დინი კი ზუსტად იმასვე გადმოგვცემს, რასაც ჟამთააღმწერელი: მტრის ლაშქარს ორი სარდალი მოუძღოდა. ისინი, როგორც ვნახეთ, შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და დაბანაკდნენ, ქართველების მისვლას დაელოდნენ.

ქართველები რომ მიუახლოვდნენ, მტრის ლაშქარი ორად გაიყო: ხუთი ათასი კაცი, ერთი სარდლის მეთაურობით, „მოხერხებულ ადგილას, გუშე-იპანხანს ჩასაფრდა“, მეორე რაზმი კი ქართველებს

შეეგება. ერთხანს იბრძოლეს, მერმე ისე მოაჩვენეს ქართველებს თავი, თითქოს ველარ გაუძლეს და უკუიქცნენ, ოღონდ მწყობრად. ქართველი სარდლები მოტყუვდნენ და გამოუდგნენ „დამარცხებულ“ მტერს. როცა ლაშქრის იმ ჩასაფრებულ ნაწილს გასცდნენ, მტრის ხუთი ათასი ჯარისკაცი საფრებიდან გამოვარდა და უკან მოექცა მოწინააღმდეგეს. ამრიგად, ქართველები მტრის შუაში აღმოჩნდნენ, და უკვე გასაგებიც არის, რა მოხდებოდა.... როგორც ითქვა, ეს უკვე მესამე შემოსევა იყო.

ეს „უცხო ლაშქარი“ ამჯერადაც დიდხანს არ გაჩერებულა საქართველოში. ერთხანს არბიეს ქვეყანა — ჟლიტეს, ძარცვეს, ანადგურეს და უკანვე გაბრუნდნენ.

ასე დაიწყო ასეული წლობით ნაშენები დიდი ქვეყნის დაცემა.

რა მოხდა? ზედიზედ სამჯერ როგორ დამარცხდა უკვე რამდენი ხანია დამარცხებას გადაჩვეული, მრავალბრძოლაგადახდილი, გამოცდილი მხედრობა? თანაც საკუთარ ქვეყანაში, რიცხვით უფრო ნაკლებ მტერთან!

იქნებ რაიმე ბრმა შემთხვევის ბრალი იყო?

მაგრამ სამჯერ ზედიზედ?!

მაშ რა მოხდა?

ქვემოთ ჩვენ უფრო ახლოს გავეცნობით, დაწვრილებით გამოვიკვლევთ, ვნახავთ, ვინ იყო ის მრისხანე მტერი, ის „უცხო თესლი ლაშქარი...“ სანამ საქართველოს მოადგებოდა, მან მთელი შუა აზია დაიპყრო, მრავალი დიდი და ძლიერი ქვეყანა მიწასთან გაასწორა, მრავალი უძლეველი არმია დაამარცხა... ამის შემდეგ თითქოს გასაკვირი არ უნდა იყოს ქართველთა მხედრობის დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ ახლა საგანგებოდ საქართველოს დასაპყრობად არ წამოსულა ის ლაშქარი, საგანგებოდ არ მომზადებულა... თანაც, დიდი და ძლევამოსილი ლაშქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო გამოგზავნილი!

გასაკვირი და ასახსნელი სულ სხვა რამ არის. მთელი იმ ამბიდან, რაც მაშინ მოხდა და რისი გადმოცემაც ჩვენ ვცადეთ, ან რასაც ახლა დავსძენთ, ყურადღებას იქცევს საქართველოს სამხედრო ხელისუფალთა და პოლიტიკოსთა საოცარი დაუდევრობა და დაბნეულობა. უკვე ითქვა და კიდევ უნდა გავიმეოროთ — ძნელი ასახსნელია, როგორ გამოეპარათ მათ ასეთი მრისხანე და აგრესიული ძალის ჯერ აღზევება და მერე მისი ლაშქრის ერთი ნაწილის საქართველოსკენ წამოსვლა?!

როგორ მოხდა, რომ პირველი ბრძოლის შემდეგ, როცა აშკარა გახდა მტრის ძლიერებაცა და არაადამიანური სისასტიკეც, კელავ დაიარხეინეს გული და არსებითად არაფერი გაუკეთებიათ?!

მართალია, იბნ ალ-ასირი ასეთ საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემს: პირველი ბრძოლის შემდეგ საქართველოს სამეფო კარი თითქოს ცდილა, მეზობელ ქვეყნებშიც მოკავშირეები გაეჩინა: მოლაპარაკება ჰქონდა, მაგალითად, აზერბაიჯანის მფლობელ უზბეგთან, თითქოს შეთანხმდნენ კიდეც, „რომ შეკრებილიყვნენ, როცა ზამთარი გავიდოდა. ელჩები გაუგზავნეს აგრეთვე ალ-ჯაზირის მფლობელს ალ-აშრაფს...“

მაგრამ, კიდეც რომ ვირწმუნოთ ეს ცნობა, — რაც თითქოს საეჭვო უნდა იყოს, შემდეგ მომხდარი ამბების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — მოლაპარაკება მაინც არა ჩანს სერიოზული და საფუძვლიანი. აბა, რას ნიშნავს, ზამთრის გასვლას ელოდნენო, როცა მტერი იქვე, ცხვირწინ ჰყავდათ დაბანაკებული! თანაც, ქართველებს ხომ ფაქტიურად უკვე მზადა ჰყავდათ ჯარი (მართალია, სხვა მიმართულებით გასალაშქრებლად, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს). ესეც გავიხსენოთ: მტრის ჯარს ამ საკარაუდებელი მოკავშირის კაცი მოუძღოდა!

მრისხანე მტერი იქვე იდგა, კელავ გამოსალაშქრებლად გამზადებული, სამეფო კარი კი ამ დროს ისევ ჯვაროსნულ გალაშქრებაზე ზრუნავდა და ოცნებობდა. თანაც, არა მარტო მტრის პირველი შემოსევის შემდეგ, არამედ მეორე და, წარმოიდგინეთ, მესამე ლაშქრობის შემდეგაც კი!

რა მოხდა? რით შეიძლება ეს აიხსნას?

●

დაუდევრობა რომ ვახსენეთ, ეს უმთავრესად სამხედრო ხელისუფალთ შეეხებოდა, და ალბათ მეტისმეტი თავდაჯერების შედეგი იყო. საკუთარი თავის რწმენას რა სჯობს, გაგიხარიათ, ყველა საქმეში კარგია, და გამონაკლისი არც ბრძოლებია — აქაც იგი ერთგული მოკავშირე და თანაშემწეა. მაგრამ წრეგადასული თავდაჯერება არსად არ გამოდგება, ბრძოლის დროს კი, მით უფრო, ორგულ და ბაქია მოკავშირედ იქცევა ხოლმე. ჩვენ ახალგაზრდა მეფის სიტყვა მოვიტანეთ, განძაზე გალაშქრების წინ წარმოთქმული, და იქვე შევნიშნეთ — თავდაჯერება და ქედმაღლობა, რაც აშკარად გამოსჭვიეის

ამ სიტყვიდან, სამეფო კარის მაშინდელ საერთო განწყობილებას გამოხატავსო. აქ, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ხელისუფალნი იგულისხმება.

ისე მოჭარბებულად ჰქონიათ ეს გრძნობა, რომ საშინელი განსაცდელის დროსაც კი ვერ მოერივნენ. აგერ, მწარე დამარცხება განიცადეს და თავს მაინც არ უტყდებოდნენ... ზედიზედ მეორედაც დამარცხდნენ, მესამედაც, მაგრამ მაინც არა სჯეროდათ, თუ იხტიბარს არ იტეხდნენ. პირიქით, ის ეგონათ, მტერი ჩვენ თვითონ დავამარცხეთო.... ამის თქმის უფლებას რომის პაპისადმი მიწერილი ბარათებიც გვაძლევს, რომელთაც ქვემოთ გავეცნობით... ყოველ შემთხვევაში, გაშორდა თუ არა მტრის ლაშქარი ქვეყნის საზღვრებს, სარდლობამ გული დაიარხეინა. „საქართველოში ჩვეულებრივი მყუდროება გამეფდა, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ყველას ეგონა, რომ „უცხო ნათესავი“ შემთხვევით შემოიჭრა საქართველოში და ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნდაო“.

რაკი მტერი გაიგულეს, ხელადვე დამშვიდდნენ და იქით აღარც კი გაუხედავთ. არადა, ყველაზე დიდი განსაცდელი, რაც კი ოდესმე დასტყდომია ჩვენს ქვეყანას, სწორედ ახლა მოელოდათ, და სწორედ იმ მხრიდან!..

რა შეიძლება ამას ეწოდოს, თუ არა დაუდევრობა?!

სხვა სამხედრო ხელისუფლებზე წყაროებს თითქმის არ შემოუნახავთ ცნობები, მთავარსარდლის ამბიციასა და დაუდევრობაზე კი ჩვენამდე მოღწეული, სხვადასხვა წყაროში გაფანტული ფაქტები მიგვანიშნებენ. დაუდევრობა და ყოყოჩობა არავისთვის არ არის მოსაწონი, სავაზიროს არც ერთი წევრისთვის, მაგრამ პირველი ვაზირისა და მხედართმთავრისთვის განსაკუთრებით მიუტევებელი და მომაკვდინებელია. ეს დასაძრახი თვისებები, ეტყობა, ადრევე ჰქონდა ივანე მხარგრძელს, მაგრამ სანამ უმაღლეს თანამდებობებს დაეუფლებოდა, იმდენად თვალში საცემი არ ყოფილა.

ცოტა უკან დავიხიოთ და ერთი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი და მრავლისმთქმელი ეპიზოდი გავიხსენოთ.

10-12 წლის წინანდელი ამბავია. დიდი თამარი ჯერ ისევ ცოცხალია. ცოცხალია გმირი მთავარსარდალი ზაქარია მხარგრძელიც. ქართველი მხედრობა წარმატებით ლაშქრობს სამხრეთით, ზედიზედ რამდენიმე ქალაქის აღების შემდეგ ქართველებს, აგერ, ალყაში მოუქცევიათ სამხრეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი ხლათი — მნიშვნელოვანი ეკონომიური თვალ-

საზრისითაც, პოლიტიკურითაც, სტრატეგიულითაც... ხლათის აღებას თითქოს ბევრი აღარაფერი უნდა, წინააღმდეგობა ფაქტიურად გატეხილია, ქალაქის ბედი უკვე გადაწყვეტილად მიაჩნიათ არა მარტო ქართველებს, არამედ ხლათის მაშინდელ მფლობელსაც: და თუ იხტიბარს მაინც არ იტეხს და არ ნებდება მოწინააღმდეგე, მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელია დამარცხებასთან შერიგება; გაურკვეველი იმედის იდუმალი გრძნობა მაინც ცოცხლობს და აკავებს, ქვეცნობიერად ცდილობს, რაც შეიძლება გადასდოს მოწინააღმდეგისადმი ოფიციალური დამორჩილებისა და საკუთარი მარცხისა და უძლურების აღიარება...

და მართლაც არ უმტყუნა იმ სუსტმა იმედმა ხლათის გამგებელს. როგორც წინა წიგნიდან უკვე ვიცით, ქართველებმა ვერ მოახერხეს თითქმის გამარჯვებამდე მიყვანილი საქმის დაგვირგვინება. ქალაქი ვერ აიღეს. მოულოდნელად საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. ამ უბანზე ქართველ მხედრობას მაშინდელი მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი წინამძღოლობდა. აქამდე როგორ სარდლობდა ამ ბრძოლას მსახურთუხუცესი, ან თავად როგორ იბრძოდა, ამაზე არას ამბობს წყაროები, ბოლოს კი, ერთი უცხოური წყაროს გადმოცემით, მისთვის მოთმინებას უმტყუნია, და გადაუწყვეტია, მოელენებისთვის გაესწრო. ომის ელემენტარული წესი დაარღვია სარდალმა — აბუჩად აიგდო მოწინააღმდეგეც, საკუთარი მხედრობაც და ომის კანონებიც; ჯერ კარგად შეზარხოშდა, გული მოიცა და ალყაში მოქცეულ ქალაქში განავარდება მოუნდა... აღარაფერს შეეპუა...

თქვენ ალბათ გეხსომებათ, როგორ დაისაჯა ამ გაუფრთხილებელი და უგუნური საქციელისთვის ქართველი სარდალი. და არა მარტო სარდალი... იგი მაშინვე შეიპყრეს ქალაქის მცველებმა და საქართველოს სამეფო კარს მერე ძალიან ძვირი დაუჯდა მისი გამოსყიდვა. იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ მოწინააღმდეგის ხუთი ათასი ჯარისაკაცი, რომლებიც წინა ბრძოლებში ჩაეგდოთ ტყვედ, მოწინააღმდეგისთვის დაებრუნებინათ უკვე აღებული ციხესიმაგრეები, კარგა დიდი თანხა გადაეხადათ (ასი ათასი დინარი) და პირობა დაედოთ, რომ სარდლის მშვენიერ ასულს თამთას ცოლად მიათხოვებდნენ ხლათის მეფეს.

ასეთი მძიმე შედეგი მოჰყვა სარდლის ყოვლად მიუტევებელ დაუდევრობასა და ყოყოჩობას.

სხვათა შორის, პირველი შეცდომის შემდეგაც იქნებ ასე ძვირი არ დამჯდარიყო ტყვედ ჩავარდნილი სარდლის გამოსყიდვა, რომ

მასვე ზედიზედ მეორე უცნაური დაუდევრობა თუ სულწასულობა არ გამოეჩინა. ამას უკვე მეორე უცხოური წყარო გადმოგვცემს.

ჯერ გამოსასყიდ პირობებზე შეთანხმებული არ იყვნენ, მოლაპარაკება გრძელდებოდა, რომ ტყვედჩავარდნილი, აწ უკვე გამოფხიზლებული მსახურთუხუცესი, — თითქოს უცებ რაღაც მოეჩვენაო, — ერთბაშად აჩქარდა თურმე: არიქა, თუ მათავისუფლებთ, ბარემ იჩქარეთ და დროზე გამათავისუფლეთ, სანამ ჩემს თანამდებობაზე სხვა დაუნიშნავთო!.. კაცმა არ იცის, რა მოელანდა, ან მართლა ჰქონდა თუ არა საფუძველი მის შიშს!.. თუ რაიმე საფუძველი ჰქონდა, თუ მართლა უპირებდნენ გადაყენებას და ამას თვითონვე გრძნობდა მსახურთუხუცესი, მით უფრო, თავიდანვე მეტი სიდინჯე და სიფრთხილე მართებდა.

ერთი სიტყვით, სულწასულობა გამოუჩენია.

ამისი გამართლება რითიღა შეიძლება!

რაღა გასაკვირია, ასეთ ვითარებაში მოწინააღმდეგე უფრო მაგრად დამდგარიყო და გამოსასყიდად რაც შეიძლება მეტი მოეთხოვა. ახლა მაინც რომ არ გამოეჩინა მსახურთუხუცესს სულსწრაფობა, რაღა თქმა უნდა, ნაკლები დათმობა დასჭირდებოდა, იქნებ შვილიც არ გაეწირა. მთავარი კი ის არის, რომ მისი დაუდევრობის გამო ქართველებმა დროული დახმარება ვეღარ გაუწიეს აჯანყებულ მოძმე ხალხს, და შეფერხდა აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი გეგმა ჯვაროსნებთან დაახლოებისა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი კავშირის შეკვრისა. თამაზ ნატროშვილს თავის წიგნში მოაქვს სიტყვები ცნობილი ორიენტალისტის მინორსკისა, რომელიც ივანე მხარგრძელის ამ მოქმედებას „უანგარიშო მამაცობას“ უწოდებს (He `became the victim of his own foolhardiness“ — ინგლისურად უფრო მძაფრადაც ჟღერს ეს სიტყვა).

მამაცობა ერთ-ერთი უძვირფასესი სამკაულია ადამიანისა, და სარდალს, რაღა თქმა უნდა, მით უფრო აამაღლებს და დაამშვენებს ეს ადამიანური სიკეთე; მაგრამ უ ა ნ გ ა რ ი შ ო მამაცობა, პირიქით, საწინააღმდეგო თვისებას გამოხატავს: ამ უხერხული და უსიამოვნო მსაზღვრელის მიმატება კი არაფერს მატებს სიტყვას, არამედ შინაარსს უცვლის და უკიდურესად აკნინებს — „უანგარიშო მამაცობა“ სარდლისთვის ფაქტიურად უგუნურებას ნიშნავს.

პლუტარქე წერს ერთგან — ხშირად სულ უმნიშვნელო და არადჩასაგდები მოქცევა, სიტყვა ან ხუმრობა უფრო კარგად გაგვაცნობს ადამიანის ხასიათს, ვიდრე წინამძღოლობა დიდი მხედრობისა, ქა-

ლაქების ალყა ან აღწერა ბრძოლებისა, რომლებშიაც ათიათასობით ადამიანი იღუპებაო...

გავიხსენოთ სხვა ფაქტიც, რაც ივანე მხარგრძელის ხასიათის კიდევ ერთ თვისებას წარმოგვიდგენს.

ეს მოხდა იმ სამი მწარე დამარცხების შემდეგ, რაც ზედიზედ განიცადეს ქართველებმა შორიდან მოსულ „უცხოთესლ" მხედრობისაგან. სულ მცირე დრო გავიდა იმ ბრძოლების შემდეგ, ლაშა გიორგი უკვე ცოცხალი აღარ არის, სამეფო ტახტზე მისი და რუსუდანი ასულა... და, აი, რომის პაპი ჰონორიუს მესამე საქართველოდან ღებულობს ორ პირად წერილს, რომლებშიაც ლაპარაკია სწორედ იმ უცხო მტრის შემოსევაზე საქართველოში, მეფის გარდაცვალებასა და მისი დის გამეფებაზე...

ერთი წერილის ავტორი ახალგაზრდა ქართველი მეფე რუსუდანია, ხოლო მეორესი — ქართველი ათაბაგი და მხედართმთავარი ივანე მხარგრძელი. ამ წერილს რომ გადაიკითხავთ, ერთბაშად მიიქცევს თქვენს ყურადღებას მათი იდენტურობა — გეგონება, ერთი წერილი მეორის ასლიაო. და საკვირველი სწორედ ის არის, რად დასჭირდა ქართველ ათაბაგს თავისი ხელმოწერითაც გაეგზავნა რომის პაპისათვის იგივე შინაარსის წერილი, როგორსაც მისი მეფე უგზავნიდა. რისი შეტყობინებაც სურდათ პაპისათვის, იმას ხომ რუსუდანის წერილითაც კარგად გააგებინებდნენ. მაშ, ათაბაგის ისეთივე წერილი რაღა საჭირო იყო?! ჩვენთვის ამჟამად იმით არის საგულისხმო და საყურადღებო ეს მოვლენა, რომ ქართველი ათაბაგის ხასიათს გვაცნობს, მის ამბიციასა და პატივმოყვარეობას უსვამს ხაზს.

წერილში მოტანილია ცნობა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, და ჩვენთვის ესეც მხოლოდ იმით არის საინტერესო, რომ ათაბაგის ხასიათის კიდევ ერთ მხარეზე მიუთითებს. ქართველი მხედართმთავარი პაპსა სწერს, თითქოს ბრძოლებში — სადაც ფაქტიურად ქართველებმა მძიმე დამარცხება იგემეს, — მტრის ოცდახუთი ათასი მხედარი მოეკლათ, ბევრი დაეტყვევებინოთ და დანარჩენი ქვეყნის საზღვრებიდან განედევნოთ. — „...ოცდახუთი ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდგან გავდევნეთ".

ეს ერთი წინადადება სამ დიდ სიყალბეს შეიცავს. დავიწყოთ ბოლოდან: მტრის განდევნაზე, რაღა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ყველა ბრძოლაში გამარჯვება მტერსა

ხედა; გამარჯვების შემდეგ რომ თვითონვე მიატოვა მტერმა ჩვენი ქვეყანა და თავისით წავიდა, ეს ხომ „განდევნას“ არ ნიშნავს!..

საეჭვოა, რომ ტყვეებიც წამოეყვანოს დამარცხებულ ჯარს. ყოველ შემთხვევაში, ეს იმდენად უმნიშვნელო იქნებოდა, რომ სალაპარაკოდაც არა ღირს;

რაც შეეხება მტრის 25000 მხედრის გაწყვეტას, ეს უკვე მეტისმეტად უხერხული სიყალბეა, რადგან ორი ყველაზე სარწმუნო უცხოური წყაროს მიხედვით, მტრის ლაშქარი სულ 30000 მეომრისგან შედგებოდა. ის კი არადა, ზოგიერთი ცნობით, 20000 იყო, ხოლო ჟამთააღმწერელს თუ ვერწმუნეთ, 12000-ს არ აღემატებოდა. მკვლევარებს ყველაზე სარწმუნოდ მაინც ამ ორი უცხოური წყაროს ცნობა მიაჩნიათ, რის მიხედვით მტრის ლაშქარი 30000-ს შეადგენდა.

მართლა რომ 25000 მტრის ჯარისკაცი მოეკლათ ქართველებს, ეს ხომ გამარჯვება იქნებოდა, თანაც საარაკო გამარჯვება! 25000 კაცი რომ მოეკლათ და ზოგნი კიდევ ტყვედ ჩაეგდოთ, ქვეყნის საზღვრებიდან გასადევნი ვიღა დარჩებოდა?!

როგორ მოხდა ყველაფერი სინამდვილეში, ეს ჩვენ უკვე ვიცით. უცხოური სარწმუნო წყაროების მიხედვით, ბოლო ბრძოლებში 30000 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა (პაპს კი სწერენ, 6000-მდე კაცი დაგვეღუპაო!), ხოლო მოწინააღმდეგის მსხვერპლი, ეტყობა, იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ქართველი მემატიანე არც კი აღნიშნავს მას.

რომის პაპისადმი ასეთი ყალბი ცნობის მიწოდებას არავითარი გამართლება არ ჰქონია. პირიქით რომ ყოფილიყო, იქნებ მაშინ უფრო ადვილად აგვეხსნა ათაბაგის საქციელი. მაშ, რა მოხდა, რისთვის დასჭირდათ წერილების ავტორებს ასეთი სიყალბე?! ესეც ხომ იმ ადამიანურ სისუსტეზე მიუთითებს, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი!

ეს კიდევ არაფერი. ზედიზედ ასეთი მძიმე დამარცხების შემდეგ, როცა უკვე აღარც მეფეა ცოცხალი და ტახტზე სავსებით გამოუცდელი ახალგაზრდა ქალი ზის, როცა აღმოსავლეთიდან კიდევ უფრო მრისხანე, ყოვლისწამლეკავი ზვავი დაძრულა და ქვეყანა საშინელი განსაცდელის წინაშე დგას, სრული განადგურების საფრთხე ემუქრება... ასეთ ვითარებაში გამოცდილი და მრავალბრძოლაგამოვლილი მხედართმთავარი მხურვალედ არწმუნებს რომის პაპს — ორმოციათასიანი მხედრობა მზადა მყავს და თქვენს ბრძანებასღა ველი, რომ მოსაშველებლად გამოვეშუროო.

ამაზე მეტი დაუდევრობა შეიძლება განა!..

მხარგრძელის წერილი რუსუდან მეფის წერილის ასლიაო, ვთქვით და ძირითადად მართლაც ასეა. მაგრამ არის ერთი თითქოსდა უმნიშვნელო განსხვავება, და იქნებ ესეც დაგვეხმაროს ქართველი ათაბაგის ხასიათის უფრო სრულად წარმოჩენაში. უწმინდესი პაპისადმი ოფიციალურად მიღებული მიმართვის შემდეგ, ქართველი დედოფალი კათოლიკური ეკლესიის მამამთავარს აუწყებს ძმის გარდაცვალებისა და მისი გამეფების ამბავს და მერე უკვე საქმიან ლაპარაკს იწყებს... ათაბაგის წერილში ცოტა უფრო სხვაგვარად არის. სანამ უშუალოდ საქმეზე გადავიდოდეს, იგი ჯერ მიმართავს მთელი საქრისტიანოს მთავარს (როგორც თვითონ უწოდებს წერილში), „უკეთუ ჩემს ამბავს იკითხავთ, თქვენის წმინდა კურთხევით კარგად გახლავართო“.

უკეთუ ჩემს ამბავს იკითხავთო!.. ნეტა მართლა სჯეროდა, რომ კათოლიკური ეკლესიის მამამთავარს ქართველი ათაბაგის ჯანმრთელობის ამბავი ძალიან აინტერესებდა?! თითქოს განსაკუთრებული არაფერია ამაში, მაგრამ ერთგვარად ესეც ხომ არ მიგვანიშნებს ათაბაგის პატივმოყვარეობაზე! რაკი სხვა ნიშნებიცა გვაქვს ამისა, ეს ფრაზა უფრო სხვაგვარად აჟღერდა... იმიტომ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება.

სახელოვანი მეფის — თამარის — გარდაცვალების შემდეგ ისედაც გაყოყოჩებულ თავნება მხედართმთავარს მეტი თავისუფლება მოესურვა. ჩვენ უკვე ვნახეთ, დასაწყისშივე როგორა სცადა, თავისი ძალა ეჩვენებინა ახალგაზრდა გამოუცდელი მეფისთვისაც და მთელი სამეფო კარისთვისაც. გონიერი ხალხი, რაღა თქმა უნდა, არ გამოილეოდა სამეფო კარზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ათაბაგი პირველი ვაზირი იყო და უმაღლესი უფლება ჰქონდა, აგრერიგად ვერავინ გაუბედავდა სიტყვის შებრუნებას. თანაც, მომხრეც ბევრი ეყოლებოდა მას. გარდა ამისა, ყველაფრით ჩანს, რომ ათაბაგი ცბიერად და ვერაგულად იქცეოდა. იგი სახელს უტეხდა მეფეს, მის „ცოდვებს“ აზვიადებდა, მაღალი ზნეობის სახელით გამოდიოდა, და მომგებიანი პოზიცია მიიღო, რადგან მეფის ლაღი და თავისუფალი მოქმედება კონსერვატიულად განწყობილი ადამიანების თვალში მართლაც დასაგმობი გამოჩნდებოდა. მით უმეტეს, როცა ამას თვით ათაბაგი, მეფის „მამა“ და მზრუნველი, მისი პირველი მრჩეველი და ვაზირი წარმოაჩენდა.

ყველაფერი ეს კიდევ უფრო მუხტავდა დაძაბულ ატმოსფეროს. წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობები, რაც სხვა სამხედრო ხელმძღვანელთა ხასიათსა და განწყობილებას გადმოსცემდეს, თორემ საშუალება გვექნებოდა, უფრო სასურველი სიცხადით წარმოგვედგინა სურათი. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ მხოლოდ. ხოლო იმის ვარაუდი, რომ სარდლებს შორის ურთიერთობა დაძაბული იყო და ამან ბევრი ავნო საქმეს, რომ განხეთქილება და შური მძვინვარებდა, უფრო თამამად შეიძლება ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, რომელთაგან ზოგიერთს ქვემოთ გავეცნობით.

აი, ასე უნდა წარმოვიდგინოთ ვითარება, რამაც ის გასაკვირი დაბნეულობა გამოიწვია, რამაც თვალი აუბა ყველას, აღმოსავლეთიდან მოახლოებული დიდი საშიშროება დროზე დაენახათ და თუ ვერ შეაჩერებდნენ, მომზადებულნი მაინც დახვედროდნენ.

მემატიანე ზოგადად გამოთქვამს გულისწყრომას... და ასეთ ვითარებაში, იგულისხმება, ყველაზე მეტი ბრალი მაინც მეფეს ედება. საერთოდ, ისე ერთბაშად დაატყდა აყვავებულსა და სწრაფი განვითარების გზაზე შემდგარ ქვეყანას კატასტროფა, რომ ყველას თავზარი დასცა, შექმნილ ვითარებაში ველარ გარკვეულიყვნენ.

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ხალხი და მოწინავე წრეები თავზარდაცემულები იყვნენ. ეს უბედურება ასე მწვავედ იმიტომ იყო საგრძნობი, რომ ხანგრძლივ მშვიდობიან და ძლევამოსილებას შეჩვეულ ქვეყანას იგი უეცრად დაატყდა თავს... ამგვარმა მოულოდნელმა უბედურებამ ადამიანთა რწმენა შეარყია და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო“.

სწორედ ასეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანებს აწვალებდა მწვავე კითხვა, რითაც ჩვენ ეს წიგნი დავიწყეთ... ხშირად გაისმოდა ხოლმე ეს კითხვა იმ გრძელი საუკუნეების განმავლობაში, როცა ქვეყნად დიდი ღამე ჩამოწოლილიყო, როცა თავისუფლება და ადამიანური ცხოვრება სანატრელი გამხდარიყო, ძველი დიდება ტკბილმწარ მოგონებად ქცეულიყო. დროდადრო ახალი ძალით, ახალი სიმძაფრით იფეთქებდა ხოლმე ეს გულისწყრომა... და, ბუნებრივია, რომ ყველას მაშინვე ახალგაზრდა მეფე წარმოუდგებოდა თვალწინ.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რა ულმობელი სიმკაცრითა სდებს მას ბრალს ჟამთააღმწერელი.... და არა მარტო ჟამთააღმწერელი.

ასეთ სასოწარკვეთილ შეძახილსა ჰგავს მინაწერი ჟამთააღმწერლის ერთ-ერთ ხელნაწერზე, შემდეგი დროის რომელიღაც გადამწერის მიერ. მატიანეში მოთხრობილია, როგორ დაიძრა კიდევ ერთი ძლ-

იერი ტალღა ქვეყნის წასალეკად. მემატიანე მკითხველს შეამზადებს საზარელი ამბის მოსასმენად... და იქვე, — ისე, რომ ჯერ ამ ამბავს არც კი გავცნობივართ, — ხელნაწერის ერთ-ერთ ვარიანტზე საშინელი გულისწყრომისა და სიმწრის გამომხატველ მინაწერს ვკითხულობთ, როგორც უმკაცრეს ბრალდებას ლაშა გიორგის მიმართ — „ხოლო მეფე გიორგი (ამ დროს) იყო რა ტფილისს, იშუებდა და განცხრებოდა!“...

თუმცა, როცა ის ამბავი მოხდა, მეფე გიორგი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

მკითხველის ყურადღება უნდა შეეაჩეროთ ლაშა გიორგის მოღვაწეობის ერთ საგულისხმო ფაქტზე, რასაც ქრონოლოგიური ადგილი ვერ მოუძებნეთ მის მოკლე ზეობაში; ქრონოლოგიური ადგილი რომ ვერ მოუძებნეთ, ეს იქნებ არც იყოს მაინცდამაინც გულდასაწყვეტი, რადგან ის, რასაც ახლა მოგითხრობთ, მთელს მის მოღვაწეობას ამკობს და განსაკუთრებული შუქით ანათებს.

ზემოთ რომ „კალმასობის“ ერთი ცნობა მოვიტანეთ, იქ დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია ნახსენები, მაგრამ ისე სასხვათაშორისოდ, რომ იქნებ ყურადღება არც კი მიაქციეთ. საქმე შეეხება ლაშა გიორგის სამისიონერო მოღვაწეობას მთაში. „მაშინ მეფე გიორგი წავიდა ფშავს, — გვაუწყებს „კალმასობის“ ავტორი, — და წარიღო მოჭედილი ჯუარი და ნაწილი წმიდისა გიორგისა; მოეგებნენ ფშაველნი, მეფემან შეიწყნარა კარგად და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ქმნა მცირე ეკლესია და დაასვენა მუნ ჯუარი იგი... აგრეთვე ხევსურეთსა შინაცა მიბრძანდა და მათცა მისცა ჯუარი და ბავრაყი... ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას „ლაშარის ჯუარსა“, ხოლო ხევსურნი „გუდანის ჯუარად“...

აი, საიდან მოდის ფართოდ ცნობილი „ლაშარის ჯვარი“ და „გუდანის ჯვარი“.

ეახუშტი ბატონიშვილი წერს: „ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდენ ლაშას ჯვარს და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად“...

ლაშა გიორგის მისიონერობა მთაში თავისთავად საგულისხმო საკითხია, მაგრამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაღრმავდება,

როცა ამ სამისიონერო მოღვაწეობის უშუალო მიზეზს გაიგებთ.

ამაში ისევ „კალმასობა“ დაგვეხმარება. ზემოთ ერთხელ უკვე გავიხსენეთ ერთი ადგილი ამ თხზულებიდან. მეფეს მთიელთა აჯანყების ამბავს მოახსენებენ („კვალად შეიქნა არეულობა მთასა მას შინა“) და იგი მაშინვე „მიუწერს დედოფალს“ (რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, მთაში ჰყავს დატოვებული), „რათა გარდავიდეს და დაამშვიდოს ისინი. ხოლო დედოფალი უკვე წარვიდა, მოეგებნენ სრულად ფშაველ-ხევსურნი და დიდისა პატივითა და სიხარულითა მიიღეს, და ყოველნივე დამორჩილდნენ ბრძანებასა მისსა“.

აი, რატომ მივაქციეთ ყურადღება ამ ფაქტს. ჯარი კი არ გაგზავნა მეფემ აჯანყების სისხლში ჩასახრჩობად, თუმცა ამისი მაგალითი და გაკვეთილი უკვე ჰქონდა მას, არამედ მშვიდობიანი გზით გადაწყვიტა საქმის მოგვარება, დედოფალი გაგზავნა მოსალაპარაკებლად და დასაშოშმინებლად. მეფის მთელი სამისიონერო მოგზაურობაც უსათუოდ ამ მოვლენას უკავშირდება.

ამას კარგად ადასტურებს ვაჟა-ფშაველას ერთი საგულისხმო ცნობაც. აბა, დააკვირდით ვაჟა-ფშაველას სიტყვებს მის ერთ ეთნოგრაფიულ წერილში.

„ზეპირ-გადმოცემით, ლაშამ ეს ხატი შესწირა ზ ა ვ ი ს გ ულ ი ს ა თ ვ ი ს ძველის ჩვეულებისამებრ და ეკლესიაც იმიტომ ააშენა“... ასე ვკითხულობთ წერილის ერთ ვარიანტში, რომელიც პოეტის სიცოცხლეში არც დაბეჭდილა...

და იქვე:

„სწორედ წმიდის გიორგის ხატის შეწირვიდამ ლაშასაგან ერქმევა დღეობას ლაშარობა... მართლაც თუ ლაშასაგან არ იყოს შეწირული ხ ა ტ ი ზ ა ვ ი ს ა, ერთგულებისათვის, თორმეტი ტომი ფშაველისა არ მიიჩნევდა იმას საერთო სალოცავად... ფშაველებს ჰქონდათ ლაშარის ჯვარის დროშა, სამეფო დროშა, ხევსურებს თავისი, გუდანის ჯვარისა“, — წერს მწერალი და იქვე ხალხური ლექსი მოაქვს:

„თუშთა, ფშაველთა, ხევსურთა
ერთად პირობა შეკრიან,
უბრძანებს ლაშარისჯვარი
ახვაში ჩასვლა მწადიან“. და სხვ.

როგორც ვხედავთ, ივანე მხარგრძელის მრისხანე ლაშქრობას მთა დიდი ხნით ვერ დაუშოშმინებია... აჯანყებამ ისევ იფეთქა... —

ივანე მხარგრძელის სისხლიანი ექსპედიციის შემდეგ იქნებ უფრო მწვავედაც!.. მთიელთა აჯანყების საკითხი და მთელი ეს პრობლემა დიდი თემაა, ცალკე კვლევის საგანია; ჩვენ აქ მხოლოდ იმიტომ შევეხეთ, რათა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოგვეკვეთა ახალგაზრდა მეფის მოღვაწეობის ხასიათი, მისი ჭეშმარიტი ჰუმანიზმი...

ხომ საკმაოდ აშკარად და თვალსაჩინოდ გამოჩნდა, როგორ ერიდება მეფე უაზრო სისხლს და განსაკუთრებით კი მოძმეთა შორის სისხლისღვრას!.. ამის შემდეგ გაზვიადებული აღარ უნდა მოგვეჩვენოს ლაშასდროინდელი მემატიანის დახასიათება, როცა იგი ახალგაზრდა მეფის ლმობიერებასა და გულმოწყალებაზე ლაპარაკობს („...მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი...“)

უაზრო და გაუმართლებელი სისასტიკე უცხოა ლაშასთვის.

სისასტიკე — თუნდაც მტრის მიმართ გამოჩენილი — სიმამაცედ და სიმტკიცედ სულაც არ ჩაითვლება. სისასტიკე არ ამკობს არც მეფეს და არც მხედართმთავარს. ხოლო იმ სისასტიკეს, რაც მთაში სამთვიანი ბრძოლის დროს გამოიჩინა ივანე მხარგრძელმა, სულ სხვა სახელი უნდა გამოეძებნოს. მოძმეთა სისხლის დაღვრა არასოდეს ყოფილა გამართლებული. წარსულის ამბებს რომ ვყვებოდით, ჩვენ არაერთხელ გაეხდით მოწმენი, თუ როგორ ერიდებიან მას გონიერი გამგებელნი ქვეყნისა..

ათაბაგის მიერ მთაში გადახდილი ბრძოლები იმიტომაც გავიხსენეთ, რომ მეფეს ალბათ შეხვდა კიდეც წინააღმდეგობა სამეფო კარზე სამხედრო ხელისუფალთა მხრივ, როცა მთიელთა ახალი ამბოხების საკითხს განიხილავდნენ... ადვილი შესაძლებელია, ისინი უფრო სასტიკ ზომებს მოითხოვდნენ აჯანყების ჩასაქრობად, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ მოხდა ათაბაგისეე სარდლობით, და მეფემ არ დაანება!.. იქნებ მემატიანის არაერთგზის მინიშნებული წინააღმდეგობა მეფესა და მის ვაზირებს შორის კონკრეტულად ამაშიაც გამოვლინდა!..

„კალმასობის“ ზემოთმოტანილ ცნობას რომ გაეცანით და დედოფლის დიპლომატიური მისიის ამბავი გავიგეთ, უნებურად მოგვაგონდა თითქმის ასეთივე სურათი, როცა თამარ მეფე მანდილოსნებს გაგზავნის ამბოხებულ დიდებულებთან მოსალაპარაკებლად... ოღონდ ახლა იმიტომ კი არ გაგვიხსენებია ეს ფაქტი, რომ ორ ისტორიულ ეპიზოდს შორის უბრალო მსგავსება მიგვენიშნებინა, არამედ იმ დიდად მნიშვნელოვანი მოვლენის საჩვენებლად, რომ

საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტი სამოღვაწეო ასპარეზი ეძლევა ქალს... ესეც იმ დიდი ჰუმანისტური სულისკვეთების გამოვლინებაა, რაზედაც უკვე ვისაუბრეთ... აქედანვე კარგად ჩანს, რომ რუსთაველის პოემას არა მარტო ზოგადი იდეები, არამედ ცხოვრებისეული ფაქტები ედო საფუძვლად და მისი მხატვრული სიმართლე ამითაც აიხსნება.

●

ათიოდე წელი იმეფა ლაშა გიორგიმ დამოუკიდებლად და გარდაიცვალა 1222 წლის 18 იანვარს, ჯერ ისევ ახალგაზრდა, 30 წლისა. როგორც ვხედავთ, ბოლო ბრძოლის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია (ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან გარდაიცვალა). თუ აქამდე მაინც გვქონდა აქა-იქ გაფანტული, კანტიკუნტი ცნობები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ახლა, სიცოცხლის ბოლო პერიოდისა თითქმის აღარაფერი ვიცით. მემატიანე მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ მეფეს გარდაცვალების წინ თავისი და შარვანშაჰისთვის მიუთხოვებია. თვითონვე გამგზავრებულა ქორწილში, „გაკაზმად მიცემად დისა მისისა"; იქ ათი დღე დაუყვია და, როცა უკან გამობრუნებას აპირებდა, მოულოდნელად გარდაცვლილა. მეფის ცხედარი წაასვენეს და დაკრძალეს გელათში.

ეს არის და ეს. სხვა არაფერი ვიცით. ვარაუდობენ, — და ამ ვარაუდს თითქოს საფუძველს უმაგრებს რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის წერილები რომის პაპისადმი, — რომ ქართველი მეფე კვლავაც განაგრძნობდა მზადებას ჯვაროსნული ლაშქრობისათვის.

აქ თითქოს გასაკვირი არაფერია — ქართველ მეფეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, მოკავშირეობის რომანტიკული გატაცება არ ეწეოდა ევროპელ მეომრებთან, არამედ დასავლეთთან სასურველი კავშირის აღდგენის ისტორიული მისია უნდა შეესრულებინა, ამით ეხსნა თავისი ერი, თავისი ხალხის დიდი კულტურა!.. და ჯვაროსნებთან ურთიერთობა ერთ-ერთი საშუალება იყო ამ კავშირის განმტკიცებისა...

მაგრამ იყო კი ამისი შესაძლებლობა და დრო ახლა, იმ უცხო ლაშქრის ავისმაუწყებელი გამოჩენისა და ზედიზედ განცდილი სამი დამარცხების შემდეგ?!

რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის წერილებში არც არის მინიშნებული, თითქოს მეფეს ბოლო ბრძოლების შემდეგაც ჰქონოდა განზრახული ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობა... იმ წერილებით სხვა რამეს ვგებულობთ...

ერთი სიტყვით, ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ზემოთ მოტანილი ვარაუდი. არადა, საინტერესოა, სწორედ ახლაა საინტერესო, როცა არ ვიცით, რას ფიქრობდა მეფე ბოლო ბრძოლებში განცდილ მარცხზე;

ხედავდა თუ არა იმ დიდ საშიშროებას, რაც მის ქვეყანას უახლოვდებოდა;

გრძნობდა თუ არა, რომ აღმოსავლეთის შორეული ქვეყნიდან დაძრული შავი გრიგალი შეუპოვრად მოიწევდა მისი ქვეყნისაკენ...

იქნებ სწორედ ჯვაროსნებთან კავშირით ფიქრობდა მეფე ამ გრიგალის შეჩერებას!..

იქნებ დის შარვანშაპისათვის მითხოვებაც კონკრეტულად გამიზნული პოლიტიკით იყო ნაკარნახევი — მოყვრობით განმტკიცებული დიდი სამხედრო კავშირი იკვრებოდა და ამისი დაგვირგვინება მეფეს არ დასცალდა!..

თუ... მეფეც ვერა ხედავდა ამ საშიშროებას!..

...თავისით მოჯარდა ეს ფიქრები, როცა მეფის ცხოვრების დასასრულს მიეუახლოვდით. დასაბუთებული პასუხი კი, რაც ჩვენამდე მოღწეულ ცნობებს უნდა დაეყრდნოს, არა ჩანს. ძირითადი წყარო — ჩვენი მრისხანე მემატიანე — ამაზე ჯიუტად სდუმს... მან მხოლოდ ბიბლიური წინასწარმეტყველის სიმკაცრითა და სისასტიკით გვამცნო საშინელების მოახლოება და ერთი თავი თავისი წიგნისა დახურა; თითქოს განგებ არ ამბობს ბოლომდე სათქმელს, განგებ არ უპასუხებს თავისივე აღძრულ კითხვებს, რათა სიმწვავე არ მოაკლოს და მომავალი თაობების სიფხიზლე არ მოადუნოს!..

იქნებ უფრო გაბედულად მიეენდოთ ჩვენივე ვარაუდებს; აკი ჩვენამდე მოღწეულმა ძუნწმა ცნობებმა საშუალება მოგვცეს, გამოგვეკვეთა მეფის პორტრეტი, თვალი გაგვედევნებია მისი მოკლე ცხოვრების გზისთვის...

ამის შემდეგ იქნებ უფლება გვქნოდეს უფრო გაბედული ვარაუდებისა...

მაშინ ალბათ მეტისმეტად მკაცრი და კატეგორიული გამოჩნდება ტონი იმ შეკითხვისა, რითაც ეს წიგნი დავიწყეთ და რაც პასუხს თითქოს თავისივე თავში შეიცავს...

როგორც ვხედავთ, ეს კითხვა საუკუნეების განმავლობაში მოჰყვება ჩვენს ისტორიას და პირველადელი სიმწვავით შეგვახსენებს თავს. ჩვენ არცა ვცდილვართ ასეთივე კატეგორიული პასუხის ჩამოყალიბებას. ეს შეუძლებელიცაა: კატეგორიული და ერთადერთი პასუხი ამ

კითხვაზე არ არსებობს... ერის ისტორიაში არის ხოლმე მოვლენები, რომლებიც მოუშუშებელი ჭრილობის სიმწვავით მოჰყვება ხალხის ცხოვრებას, მოდის, თაობათა დაუსრულებელ დავას იწვევს, შთამომავლობის ფიქრს ტანჯავს და აწვალებს, სიცხადეს მოითხოვს... დროდადრო თითქოს მიყუჩდება, თავს დაგვავიწყებს, რათა კვლავ ახალი სიმწვავით იფეთქოს... შეხორცება კი ამ ჭრილობას არ უწერია... და კატეგორიული დასკვნებისგან თავი უნდა შეეიკავოთ.

ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ, გვასწავლის ძველი სიბრძნე.

●

ლაშა გიორგის ხომ ვაჟი ჰყავს. და რაც დაიბადა, მერე აღარ გაგვხსენებია. იგი ახლა მამითაც დაობლდა და მამიდა ზრდის, აწ საქართველოს მეფე რუსუდანი.

ჟამთააღმწერლის გადმოცემით, სიკვდილის წინ ლაშამ ანდერძად დატოვა — ჩემს შემდეგ რუსუდანი ავიდეს ტახტზე, ხოლო როცა ჩემი შვილი დავითი გაიზრდება — „რაჟამს ეძლოს მეფობა და მხედრობა“ — ტახტი მას დაუთმოსო...

ალბათ გაგახსენდათ ზუსტად ასეთი ანდერძები, მეფის წინაპართაგან დატოვებული. მაშინ დიდი დაბრკოლებები შეხვდა იმ ანდერძთა შესრულებას, სისხლიც ბევრი მოჰყვა... ახლა რა მოხდება? როგორ აღზრდის ახალი მეფე თავის ძმისწულს? ან საბოლოოდ რას იზამს, გამოიჩენს ძმის ერთგულებას, თუ შური და ამბიციები იმძლავრებს?

ამას ქვემოთ ვნახავთ.

თავი II

საფრთხის თავიდან ასაცილებლად არაფერი გაკეთებულა

ლაშა გიორგის ანდერძის თანახმად, სამეფო ტახტი მისმა დამ, რუსუდანმა ჩაიბარა, დროებით, ვიდრე გარდაცვლილი მეფის შვილი, დავითი გაიზრდებოდა ✦ რუსუდანის გამეფების შემდეგ პირველი საბუთი, რაც ჩვენამდე შემორჩენილა, გვიდასტურებს, რომ არც მეფეს და არც მის ვაზირებს ოდნავადაც კი არ აქონიათ შეგნებული იმ საფრთხის სერიოზულობა, რაც არა მარტო ამიერკავკასიის ქვეყნებს, არამედ მთელ მცირე აზიას ემუქრებოდა ✦ რომის პაპისადმი მიწერილი თითქმის იდენტური წერილები მეფისა და მხედართმთავრის, ათაბაგ მხარგრძელისა ✦ მონღოლთა შემოსევები ✦ მონღოლთა და ხვარაზმელთა ომი

ძნელი სათქმელია, რა გეგმები ჰქონდა ლაშა გიორგის, კელავ ელოდა თუ არა საშიშროებას იმ მხრიდან, საიდანაც ამას წინათ „უცხოთესლი ვინმე ლაშქარი“ გამოჩნდა, ან რა ჰქონდა მოფიქრებული, რა ღონისძიებას სახავდა, რა სამხედრო კავშირის შეკერას ცდილობდა...

თუ მართლა ჰქონდა ასეთი გეგმები, ეტყობა, თან გაჰყვა, რადგან არავითარი კვალი და ნიშანი არ არსებობს იმისა, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ სამეფო კარზე, მთელს ქვეყანაში, ვინმეს რაიმე ეზრუნოს მტრის დასახვედრად, თითქოს რაღაც დაემართა, უცნაურმა გულმავიწყობამ წამოუარა ერთბაშად ყველას — გუშინ განცდილი მწარე მარცხი და უბედურება დაავიწყა და ხელ-ფეხი შეუბორკა.

ქართველი მემატიანე მხოლოდ იმას გვაუწყებს, როგორი ზეიმით აკურთხეს ახალი მეფე, როგორ „შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი... იმერნი და ამერნი... ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე... და მეფე ყვეს რუსუდან, დასვეს საყდართა სამეფოთა, და მიულოცეს მეფობა წესისამებრ“.

ისე საგანგებოდ არის ახალი მეფის კურთხევის ზეიმი აღნიშნული, რომ უნებურად იქცევს ყურადღებას.

ზემოთ მეფის ანდერძი ვახსენეთ. თუ მართლაც დატოვა ასეთი ანდერძი ლაშა გიორგიმ და რუსუდანმაც მისი შესრულება აღუთქვა, მაშინ ქართველ დედოფალს, შექსპირის ერთი პერსონაჟი დედოფლისა არ იყოს, „მეტად მძიმე აღთქმა დაუდვია...“ და მეორე დღესვე გასძნელებია მისი შესრულება.

ჩვენ უკვე არაერთგზის ვნახეთ, და სხვა ქვეყნების გამოცდილებითაც კარგად ვიცით — ასეთი აღთქმის შესრულება სამეფო კარზე მეტისმეტად უძნელდებათ ხოლმე.

ანდერძის მიხედვით, რუსუდანი მხოლოდ დროებით უნდა ასულიყო ტახტზე და გარკვეული ხნის შემდეგ მეფობა ძმისწულისთვის დაეთმო... დროებითი მმართველის „წესისაებრ“ კურთხევა კი საჭირო არ იყოო, ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს: რაკი „რუსუდანმა თვითონაც მოინდომა მეფედ კურთხევის წესის აღსრულება და დიდებულთაც ამის ნება მისცეს, მაშ იმთავითვე გადაწყვეტილი ყოფილა, რომ რუსუდანის მეფობა დროებითი არ არის და სამეფო ტახტიც კანონიერად მას ეკუთვნის“, დაასკვნის მეცნიერი.

როგორც მოვლენათა შემდგომი განვითარება გვაჩვენებს, ეს მართლაც ასეა. რუსუდანმა თავიდანვე კანონიერ მეფედ ჩათვალა და გამოაცხადა თავი.

მკითხველი გრძნობს, რომ რუსუდანს არ გაუჭირდებოდა მეფის ანდერძის დარღვევა და ტახტის მითვისება, სამეფო კარზე წინააღმდეგობას არ შეხვდებოდა: სავაზიროს ხომ ლაშას შვილი უკანონოდ მიაჩნდა, აკი ამაზე ჰქონდათ დავა, ძალით „წარგვარეს“ ცოლი მეფეს, და ახლა უკანონო შვილს ტახტზე როგორღა აიყვანდნენ!.. ასე რომ, უეჭველია, რუსუდანს სავაზირომ გაუადვილა და შეუმსუბუქა იმ „მძიმე აღთქმის“ დარღვევა.

ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ათაბაგის ერთ ფრაზაზე, პაპისადმი მიწერილ ბარათში — რუსუდანი „მეფედ ამოვირჩიეთო“. რუსუდანი ცოტა სხვაგვარად სწერს პაპს — ჩემი ძმა მიიცვალა და „მეფობა მე დამრჩაო“. „ერთი ამბის ორ გამონათქვამს შორის განსხვავებას“ ივანე ჯავახიშვილი იმით ხსნის, რომ ეტყობა, სავაზიროს უმსჯელია, მეფის ანდერძიც განუხილავს, მდგომარეობაც შეუფასებია, უკანონო შვილის ტახტზე დასმა შეუძლებლად მიუჩნევია და რუსუდანის გამეფება გადაუწყვეტია, იგი „აურჩევიათ მეფედ“.

უნდა ვიგულისხმოთ, მეფის ძესაც ეყოლებოდა მხარდამჭერნი დარბაზში, მაგრამ ეს ჯგუფი იმდენად სუსტი იყო, რომ ვერ გაიმარჯვეს, მით უფრო, რომ რუსუდანს მხარს დაუჭერდა თვით ათაბაგი, ლაშას ძის მომხრეებმა იქნებ არც კი ჩათვალეს გონივრულად თავიანთი სურვილის გამჟღავნება და დრომდე დაიცადეს.

დრომდე!..

მეფის ძე ამ დროს კვლავ მამიდასთან არის და მამიდა ზრდის. ის ჯერ პატარაა, ჯერ იქნებ ვერც კი უწვევს ანგარიშს, რა ხდება მის ირგვლივ. ჩვენ ნუ დავიიწყებთ, ნუ დავკარგავთ მხედველობიდან. იგი მალე გამოჩნდება ასპარეზზე.

ამრიგად, ჯერ რუსუდანის მეფედ კურთხევის ამბავს მოგვითხრობს მემატიანე, შემდეგ კი აგვიწერს მის მომხიბლავ გარეგნობას და ჯიუტად იმეორებს, ახალი მეფეც როგორ თავდავიწყებით მიეცა ამქვეყნიურ სიამტკბილობას, როგორ „ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა...“ და არა მარტო მეფე — საერთოდ როგორ „იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან, და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ“.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ჟამთააღმწერლის მრისხანე ტონს და იქნებ ვიფიქროთ, რომ აქაც ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს იგი.

მაგრამ, მართლაც რომ არავითარი ზრუნვა არა ჩანს მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაშორებლად! პირიქით, რუსუდანის გამეფების შემდეგ პირველივე საბუთი, რაც ჩვენამდე შემორჩენილა, სწორედ იმას გვიდასტურებს, რომ არც მეფეს, არც მის ვაზირებს ოდნავადაც კი შეგნებული არა ჰქონიათ იმ საფრთხის სერიოზულობა, რაც არა მარტო ამიერკავკასიის ქვეყნებს, არამედ მთელ მცირე აზიას ემუქრებოდა.

ეს საბუთი უტყუარია, რადგან თვით მეფესა და მხედართმთავარს ეკუთვნით. თქვენ უკვე ხვდებით, რომ მხედველობაში მაქვს ზემოთ რამდენჯერმე მოხსენიებული წერილები რომის პაპისადმი. წერილებს თარიღები არა აქვს, მაგრამ მკვლევარები ვარაუდობენ, რომ დაწერილი უნდა იყოს 1223 წელს (რაკიღა პაპის საპასუხო ბარათები 1224 წლის 12 მაისით არის დათარიღებული, — ანუ ლაშა გიორგის გარდაცვალების რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მეფის კურთხევის დიდი ზეიმი მოითავეს, როცა ალბათ დაცხრა თითქმის ერთმანეთში არეული განცდები და ემოციები წინა მეფის გლოვისა და ახალი მეფის კურთხევის სიხარულისა, როცა ცხოვრება თითქოს დაშოშმინდა და სამეფო კარზე ახალმა მეფემ და ვაზირებმა ერთგვარად გაარკვიეს ურთიერთ დამოკიდებულებანი.

მიხეილ თამარაშვილისა არ იყოს, რაკი ეს წერილები „ჩვენს ძველს და დიდებულს დროს ეკუთვნის“, და რაკი განებივრებულები არა ვართ ასეთი საბუთების სიუხვით, აქვე მთლიანად მოვიტანოთ ბარათი ივანე მხარგრძელისა, მიუხედავად იმისა, რომ არც მეფისა და არც მხედართმთავრის ბარათს პირვანდელი სახით არ მოუღწევიათ, ისინი ლათინურიდან ითარგმნა.

„უწმინდესს მამას და წმიდა პეტრეს ტაძარზე მჯდომარეს. მთელს საქრისტიანოს მთავარს. მე, ივანე, კაცი მორჩილი, მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარი, უმდაბლესად თავს დაგიკრავთ და მოგესალმებით.

„უკეთუ ჩემს ამბავს იკითხავთ, თქვენის წმიდა კურთხევით კარგად გახლავართ. გაუწყებთ, რომ ჩემი ბატონი მეფე მიიცვალა და მის ადგილს თქვენის ლოცვა-კურთხევის მადლითა და ძალით სხვა ავირჩიეთ მეფედ. თქვენმა წმიდა და მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვიელინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ რა ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ეაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვართ წარმძღვანებელნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსიათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდგომ რა ესცანით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ, თქვენის ლოცვის ძალით და წმიდა ჯვრის შემწეობით წინა აღვუდექით, 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგნიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდან გავდევნეთ. ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ვერ შეეასრულეთ თქვენი ბრძანება თქვენის ელჩის მიერ გამოცხადებული. გარნა დიდათ გავიხარეთ, რა შევიტყეთ, რომ გიბრძანებიათ იმპერატორისა და დასავლეთის სხვა ქრისტიანებისათვის, რათა წამოვიდნენ წმიდა ადგილების დასახსნელად. აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზად გახლავართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად; მე თვით მზად ვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ. მზგავსადვე გაუწყებთ, რომ როგორც მე, ეგრეთვე ჩვენის ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა; სხვაფრივ, ვეეედრები თქვენს უწმინდესობას, რომ გვიბოძოთ თქვენი კურთხევა თუ ჩვენ და თუ ჩვენს ქვეყანას, რათა თქვენი კურთხევით და ღვთის მადლით კარგად ვიბრძოლოთ უფლის ბრძოლა. გთხოვთ ამ წიგნის მომტანს, მამა დავითს, ჩვენს ეპისკოპოსს ერწმუნოთ ისე,

როგორც ჩვენ, ყველაფერში, რასაც ჩვენის მხრით მოგახსენებსთ. ჩემი ძმისწული შანშე, ბატონი თხუთმეტის დიდის ქალაქისა, უმდაბლესად თავს გიკრავსთ და ითხოვს თქვენს კურთხევას".

ზემოთაც შევნიშნეთ, იმ ფაქტითაც, რომ მეფესთან ერთად, რომის პაპს ზუსტად ასეთივე შინაარსის წერილს უგზავნის ივანე მხარგრძელი, უკვე აშკარად ჩანს არა უბრალოდ ამბიციები მაღალი მოხელისა, არამედ ისიც, თუ როგორა ცდილობს ათაბაგი და მხედართმთავარი, თავისი უპირატესობა აჩვენოს მწიგნობართუხუცესსა და სხვა ეაზირებს; ახლავე დააკანონოს ეს უპირატესობა შინაურისა თუ გარეულის თვალში.

ამას თუ ვირწმუნებთ, უკვე თავისთავად უნდა ვიგულისხმოთ, როგორ კიდევ უფრო გამწვავდებოდა და დაიძაბებოდა ურთიერთობა სამეფო კარზე.

მაგრამ მემატიანე ჯერჯერობით არას ამბობს, არც სხვა წყაროებიდან ვიცით და საშუალება არა გვაქვს, უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ეს.

ქართველი მემატიანე იმ ბრძოლებზედაც არაფერს გვეუბნება, რაც ეტყობა, უშუალოდ მოპყვა რუსუდანის გამეფებას. ჟამთააღმწერელმა, ჩანს, ქვეყნის ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანად მიიჩნია და საჭიროდ აღარ ჩათვალა, მოეთხრო; იგი უფრო დიდი მოვლენის საამბობლად ემზადება და ამზადებს მკითხველს... მაგრამ ეს ბრძოლები თავისთავად საინტერესოა და რაკი საშუალება გვაქვს, ბარემ გავეცნოთ მათ. თანამედროვე ქართველ მკვლევარებს ეს ცნობები ამოკრეფილი აქვთ უცხო წყაროებიდან, უმთავრესად იბნ ალასირის თხზულებიდან.

●

ქვეყნის მესამე დალაშქვრის შემდეგ უკანვე რომ გაბრუნდა „უცხოთესლნი ვინმე ლაშქარი", პირი თურმე დარუბანდისკენ ქნა, ჩრდილო კავკასიაში გადავიდა და ახლა ყივჩაყები დაარბია... ყივჩაყები თავად კარგი მეომრები იყვნენ, — ჩვენ ეს უკვე ვიცით, — მაგრამ მრისხანე მტერს მაინც ვერ გაუმკლავდნენ, აიყარნენ თავისი სამყოფელიდან და შარვანისკენ დაეშვნენ.

მომთაბარე ხალხისთვისაც რომ ძნელი და უჩვეულო იქნებოდა სამყოფელი ადგილების გამოცვლა!

ერთი სომხური წყაროს მიხედვით, ამ დეენილმა ყიჩაყებმა თურმე ქართველ მეფეს სთხოვეს, თქვენ შეგვიფარეთო, მაგრამ იმდენი იყვნენ, რომ მათი შევრდომება, ეტყობა, სახიფათოდ მიიჩნიეს და უარი უთხრეს. მაშინ ქალაქ ყაბალას შეესივნენ და დაარბიეს. და რაკი ყაბალა იმ დროს საქართველოს მფლობელობაში შედიოდა, ქართველები, რა თქმა უნდა, არ აპატიებდნენ მის დარბევას; მართლაც, გადაუწყვეტიათ მაშინვე დაესაჯათ ასეთი თავხედობისთვის. თან, იმისი შიშიც ექნებოდათ, ეს თავხედობა თუ შევარჩინეთ, გათამამებულები დაიძრებიან და ახლა ქვეყნის სიღრმეში შემოიჭრებიანო. აქამდე აღარ მიიყვანეს საქმე, შეკრიბეს დიდი მხედრობა და იეანე მხარგრძელის წინამძღოლობით გაეშურნენ, რათა საკადრისად დაესაჯათ.

მაგრამ მოწინააღმდეგემ დაასწრო — სალაშქროდ მიმავალ ქართველთა მხედრობას ყიჩაყთა ერთი დიდი რაზმი გზაში დაუხვდა, თავად დაესხა მოულოდნელად და დაამარცხა, დიდძალი ტყვე და ნადავლი იგდო ხელთ.

ესეც კი, ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანს გამოცდილი და სახელგანთქმული ქართული მხედრობისთვის: თავად საომრად მიმავალს, მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ როგორ დაესხა მოწინააღმდეგის რაზმი და ასე იოლად როგორ დაამარცხა!.. თითქოს ესეც კი მიგვანიშნებს მეტად უცნაურსა და გაუმართლებელ დაუდევრობაზე... მეტისმეტ თავდაჯერებაზე...

ყიჩაყთა ერთი რაზმი დაუხვდაო, ვთქვით, მაგრამ აკი ისიც ითქვა — ყიჩაყები ძალიან ბევრნი გადმოიხვეწნენ ჩრდილო კავკასიიდან; მეორე რაზმმა რომ გაიგო ქართველების ასე იოლად დამარცხების ამბავი, ეტყობა, გული დაწყდათ. იფიქრეს, ჩვენც ხომ შეგვიძლია დავამარცხოთო, და ახლა ისინი შემოიჭრნენ, სასაზღვრო კუთხეები დაარბიეს, ააოხრეს...

ესენი კი აღარ დაუტოვებიათ ქართველებს დაუსჯელი. უკან გაბრუნებულებსა და ნადავლით დატვირთულებს წამოეწივნენ, მოულოდნელად დაესხნენ, დაამარცხეს და ნადავლიც დაატოვებინეს. ამჯერად, ეტყობა, მწარე დამარცხება აგემეს ქართველებმა.

ამდენი რბევით ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობაც აიჯანყეს ყიჩაყებმა. შეჰკრეს ამათ პირი და, ქართველების მხარდაჭერით, მტკიცედ შეუტიეს, სასტიკი დამარცხება აგემეს, იმდენი დაატყვევეს, რომ ყიჩაყი ტყვე ყველაზე იაფად იყიდებოდა დერბენდ-შირვანში. საბოლოოდ, აიძულეს ყიჩაყები, ამიერკავკასიიდან აყრილიყვნენ და უკანვე გაბრუნებულიყვნენ.

ამის შემდეგ იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს ერთი გალაშქრების ამბავს, რომელიც ისე განსხვავდება საერთოდ ქართველთა ლაშქრობებისგან, რომ, ეტყობა, არაბ ისტორიკოსსაც უკვირს და საგანგებოდ უსვამს ხაზს.

ქართველებს ქალაქი ბაილაყანი დაულაშქრავთ.

ეს არ უნდა იყოს გასაკვირი და მოულოდნელი. ეგრეთ წოდებული მარბიელი ლაშქრობანი ადრეც მოუწყვიათ ქართველებს. უსიამოვნოდ გასაკვირი ის არის, რაც ამის შემდეგ მოხდა.

ქართველ მკვლევარს არაბი ისტორიკოსის სიტყვები მოაქვს: მუსლიმანები ქართველებს ყველაზე კეთილ მტრად მიიჩნევდნენ, რადგან ისინი გამარჯვების შემდეგ მოსახლეობას არ არბევდნენ და არ აწიოკებდნენ. აიღებდნენ ხარკს და თავს ანებებდნენ, თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებოდნენ.

და გასაკვირი სწორედ ის იყო, რომ ამჯერად ასე არ მოხდა. ჯერ ის უნდა გავიხსენოთ, რომ ბაილაყანმა ამის წინ საშინელი რბევა განიცადა — ქალაქი დაანგრია და მიწასთან გაასწორა სწორედ იმ „უცხოთესლმა ლაშქარმა“, რომელმაც საქართველოსაც ისეთივე უბედურება დაატეხა. ამჟამად მოსახლეობა თურმე მტრისგან დანგრეულ ზღუდეებსა და სახლებს აღადგენდა, როცა მოულოდნელად ქართველები დაესხნენ...

ბაილაყანის მცხოვრებთ იმედი ჰქონდათ, რომ, ჩვეულებრივ, ხარკს გადაიხდიდნენ და გადარჩებოდნენ, ქართველები მოსახლეობის აწიოკებას არ მოჰყვებოდნენ. ასეთი ჩვეულება არა ჰქონია მათ. მაგრამ, არაბი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებმა მოსახლეობა გაჟლიტეს და იმ „უცხოთესლ“ ლაშქარზე უფრო ულმობლად დაარბიესო.

რატომ უღალატეს ქართველებმა თავიანთ ჩვეულებას და ცხოვრების წესს, რატომ გამოიჩინეს ისეთი სისასტიკე, რომ უცხოელ მემატიანესაც უკვირს?

ივანე ჯავახიშვილი ვარაუდს გამოთქვამს: შირვანშაჰი ამის წინ ყიჩაყებს უწყობდა ხელს ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობაში და ახლა იქნებ დასჯეს, რათა მომავალში მაინც „საქართველოზე გამოლაშქრების მადა დაეკარგვინებინათო“.

ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, სარწმუნოა. მაგრამ აქ დამატებით იქნებ კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი იყოს გასათვალისწინებელი. საქართველოში სამეფო ტახტზე ამჟამად გამოუცდელი ახალგაზრდა ქალი ზის. სულ ახლახან აკურთხეს იგი მეფედ. და სარდლო-

ბამ, ეტყობა, თავს ნება მისცა, თვითნებურად ემოქმედა, ისეთი შიში არა ჰქონდათ მეფისა. შეუძლებელია ეს გაებედათ ლაშა გიორგის მეფობის დროს, რომელიც გულმოწყალეობითა და ლმობიერებით გამოირჩეოდა. შეუძლებელია ეს გაებედათ ადრინდელი მეფეების დროს, რომლებიც, როგორც უკვე ვიცით, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ლაშქრობას. დიახ, ეს ქართველი ლაშქრისთვის უჩვეულო სისასტიკე, რომელიც უცხო რჯულის მემატიანესაც უკვირს, ეტყობა, სარდლობის, მხედართმთავრის თვითნებობით მოხდა.

არაბი მემატიანე ქართველთა კიდევ ერთი ბრძოლის ამბავს მოგვითხრობს. ეს მოხდა სამხრეთით და უფრო განსხვავებულ ვითარებაში. სომხეთის ოლქის სურმარის ამირას, — რომელიც დროებით განაგებდა საამიროს, რადგან ნამდვილი გამგებელი იმ დროს ხლათში იყო წასული, — გადაუწყვეტია, პატარა ლაშქრობა მოეწყო და პატრონის დაბრუნებამდე ცოტათი გაენავარდა, ნადავლი მოეპოვებინა. რაკი საქართველოს სამეფო ტახტზე გამოუცდელი ქალი ეგულებოდა, ეტყობა, დიდი შიში არა ჰქონია; შემრჩებაო, იფიქრა. შეიჭრა მოსაზღვრე კუთხეში და საქართველოს რამდენიმე სოფელი დაარბია. „შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი ქართველებმა და ამათმა ერთერთმა უდიდესმა სარდალმა ივანემ, რომელიც დვინს განაგებდა... მაშინვე გაემართნენ მტერზე შურის საძიებლად...“

და იძიეს კიდეც შური. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა.

ის-იყო, ქართველები შინ ბრუნდებოდნენ, რომ სურმარის გამგებელი დაბრუნდა ხლათიდან. ახლა ამან გადაწყვიტა შურისძიება და ქართველებს გამოუდგა. წამოეწია კიდეც და, რაკი ზურგიდან წამოეპარა, დიდი უსიამოვნებაც მიაყენა. არაბი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველი სარდალიც კი ტყვედ ჩაუგდიათ. მერე რუსუდანს კატეგორიულად მოუთხოვია ხლათის მბრძანებელ მელიქ ალ-აშრაფისათვის ქართველი სარდლისა და სხვა ტყვეების გათავისუფლება და აშრაფის ბრძანებით, სურმარის ამირას მაშინვე გაუთავისუფლებია ტყვეები.

კიდევ რამდენიმე ასეთი წვრილი ლაშქრობის ამბავს გადმოგვცემს არაბი ისტორიკოსი. ჩვენ არ ჩამოვთვლით ამას. ეს ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ლაშქრობებია... ქართველ მემატიანესაც კი საჭიროდ არ ჩაუთვლია მათი აღნუსხვა და გადმოცემა... შეიძლებოდა, ჩვენც გამოგვეტოვებინა და სულ არ გვეხსენებინა...

არ გამოეტოვეთ მხოლოდ იმიტომ, რათა კიდევ ერთხელ მიგვენიშნებინა, რა დაუდეერად იქცეოდა სამეფო კარი და ქვეყნის სამხედრო ხელისუფალნი — კარს საშინელი განსაცდელი პქონდათ მომდგარი, და იმის ნაცვლად, რომ თავისი დიდი ავტორიტეტი და ძალა გამოეყენებინათ, მეზობელ ქვეყნებთან სამხედრო კავშირის დამყარებას ცდილიყვნენ, ისინი სწორედ ამ ქვეყნებთან წვრილი, უაზრო და ყოვლად გაუმართლებელი ბრძოლებით იყვნენ გართული; თითქოს საგანგებოდ იმის ცდაში არიან, რათა შორიდან დაძრულ მტერს საქმე გაუადვილონო.

●

მკითხველი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ ლაშასდროინდელი მემატიანის მიერ მოხსენიებული „უცხოთესლი ვინმე ლაშქარი", რომელიც სამჯერ ზედიზედ შემოიჭრა საქართველოში, მონღოლები იყვნენ. ოღონდ ეს არ ყოფილა მთავარი შემოსევა მონღოლებისა, როცა მათ მთელი ქვეყანა დაარბიეს და თავიანთი ბატონობა დაამყარეს.

„მონღოლების პირველი გამოჩენა" — ასე მოიხსენიებენ ხოლმე თითქმის ყველა პოპულარულსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ შემოსევებს. და ეს მართლაც წუთიერ გამოჩენასავით იყო. ერთი ჩამოიქროლეს, თითქოს გვერდი წაჰკრეს ჩვენს ქვეყანას და ისევ გაუჩინარდნენ. მართალია, ამ ხანმოკლე გამოჩენითაც დიდი მწუხარება მიაყენეს ქვეყანას, მაგრამ იმ უბედურებასთან შედარებით, რაც შემდეგ დაატრიალეს მათ საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში, მაინც უმნიშვნელო იყო. მოლანდებასავით გამოჩნდნენ და გაქრნენ.

ჟამთააღმწერელმა თანდათანობით შეგვამზადა იმ დიდი განსაცდელის საჩვენებლად, რაც ჩვენს ხალხს მოელის. ჯერ, როგორც გამოცდილ მწერალს შეეფერება, მოკლედ, მაგრამ ძალიან მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გაგვაცნო მონღოლების ისტორიაცა და ხასიათიც, მათი ზნე-ჩვეულებანი. და აქ ქართველი მემატიანე დიდ მეცნიერულ სიღრმესა და გასაოცარ ობიექტურობას იჩენს. საოცარია, მაგრამ იგი გაბოროტებით კი არ ლაპარაკობს, თუმცა მთელი იმ უბედურების თვითმხილველი იყო, არამედ ფილოსოფიური სიმშვიდით, სამართლიანად; არ ერიდება, მტრის დადებითი თვისებებიც შენიშნოს და შემდეგ მკითხველს გააცნოს.

მაგალითისთვის ერთი პატარა ნაწყვეტი მოვიტანოთ ჟამთააღმწერლის თხზულებიდან, კერძოდ, ის ადგილი, როცა ქართველი მემატიანე მონღოლების გარეგნობას აგვიწერს.

„...რამეთუ არიან უცხო-ენა, უცხო-სახე, უცხო-ცხოვრება, პურისა გემო არა იცოდიან, ხორცითა და პირუტყუთა სძითა ცხოენდებოდეს. ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან, და ძლიერ ფერხითა, შუენიერ და სპეტაკ ხორცითა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლბრტყელ, ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდა უმსგავსო სახე. და ნუ ვის გიკვირს, რომელ აღმატებული რამე შუენიერება აქუნდა ამათ ყოველთა, მამათა და დედათა. ხოლო ამას თანა მოეგოთ სიმხნე და მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან საჭურველმან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყვნენ მხნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საჭურველისა არასა მქონებელნი მშვილდისა და ისრისა კიდე.

ესე იყვნეს კაცნი განსაკვირვებელნი, რამეთუ, იხილნი რა, სულელ საგონებელ იყვიან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის, და ყოველი გონიერება მოეგოთ, მცირემეტყველება, და ტყუვილი სიტყუა ყოვლადვე არა იყო მათ შორის. არა თუალახუნიან პირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს, ჩინგიზ-ყაენისაგან განჩენილნი, რომელთა თვითეულად წარმოთქმა გრძელ არს.

ამათ აქუნდათ სჯულად ერთისა ღმრთისა უკვდავისა თაყუანისცემა, პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა-თითის წუერისა ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარაი...“

მეცამეტე საუკუნის დასაწყისამდე მონღოლები ცალკე ტომებად ბინადრობდნენ ცენტრალური აზიის ველებზე და ამ ტომებს საერთო სახელწოდება არა ჰქონიათ. ერთ-ერთ ტომს თათრებს ეძახდნენ და თანდათანობით ეს ყველა ტომის საერთო სახელიც შეიქნა. ოღონდ იმ „ძირითადი“ თათრებისაგან რომ განესხვავებინათ, სხვა ტომებს „შავი თათრები“ შეარქვეს, ამათ კი „თეთრ თათრებს“ ეძახდნენ. „მონღოლებს“, ოფიციალურად, მეცამეტე საუკუნიდან უწოდებენ, მაგრამ ამის შემდეგაც ხშირად მაინც „თათრობით“ მოიხსენიებენ

ხოლმე. ზოგჯერ თათარ-მონღოლებსაც უწოდებენ. ჟამთააღმწერელმა, მაგალითად, ორიეე სახელწოდება იცის: „ესენი ენითა მათითა უწოდიან თავთა მათთა მონღოლ, ხოლო ქართველნი — თათრად, რომელთა ეგონებ ერთსოფლელად“.

ქართველმა მემატიანემ ისიც კარგად იცის, რომ მათნი „ნათესავნი მრავალ გუარად განყოფილ იყენეს და არიანცა ჯერეთ...“ მისდეედნენ უმთავრესად მეჯოგეობას და მომთაბარე ცხოვრების წესიც ამას უკავშირდება. ამასთანვეა დაკავშირებული ისიც, რომ „პურის გემო არა იცოდიან, ხორცითა და პირუტყუვის სძითა ცხოენდებოდეს...“ თუმცა, როცა გაუჭირდებოდათ, არც უფრო მდარე საჭმელს თაკილობდნენ. ჟამთააღმწერელი იქვე შენიშნავს: „...ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ხორცსა კატისასა, ძაღლსა და ყოველსავე“.

ქართველი მემატიანე აღარ ჩამოთვლის, რა იგულისხმება იმ „ყოველსავეში“; ეს ჩვენ სხვა წყაროებიდან ვიცით (საერთოდ ძალიან დიდი ლიტერატურა არსებობს მონღოლების შესახებ; ისე მოკლე ხანში დაიპყრეს მრავალი ქვეყანა და ხალხი, რომ მათ მიმართ ინტერესი მუდამ დიდი იყო). მეცამეტე საუკუნის მწერალი ფრანცისკელი ბერი პლანო კარპინი, რომელიც რომის პაპის მიერ საგანგებოდ იყო გაგზავნილი მონღოლებთან პოლიტიკური და რელიგიური მისიით, და, ამდენად, როგორც ამ ხალხის ცხოვრების თვითმხილველს, სარწმუნო ცნობები აქვს, წერს:

„..მონღოლები ჭამენ ყველაფერს, რისი დაღეჭვაც კი შეიძლება: ძაღლებს, მელიებს, ცხენებს, გაჭირვების დროს ადამიანის ხორცსაც... თვით ტილებსა და თაგვებსაც...“

უფრო საოცარ ამბავსაც გადმოგვცემენ: ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როცა თავად ჰყავდათ მოქცეული ალყაში მოწინააღმდეგის ქალაქი, საჭმელი შემოელიათ და ძალიან იოლი გამოსავალი იპოვნეს: ერთმანეთს დაერიენენ, ერთმანეთის ხორცსა სჭამდნენ; თანაც უცნაურად შემაძრწუნებელი წესრიგით: ყოველ მეათე ჯარისკაცს დაკლავდნენ და შეექცეოდნენ...

ასე დაწვრილებით იმიტომ გადმოვცემთ ძველ მოგზაურთა, მისიონერთა და მემატიანეთა ჩანაწერებს, რათა უფრო თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, როგორი მტერი შემოესია საქართველოს... ასეთი ჩანაწერები უამრავია, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს, საესებით უმნიშვნელო ნაწილს გაგაცნობთ...

„ხელები ძალიან უჭუჭყიანდებათ ქონით, — განეაგრძობთ კარპინის სიტყვებს, — როცა გაძღებიან, ჩექმებზე, ბალახზე, ან რაც მოხვდე-

ბათ, იმაზე იწმენდენ... ჭურჭელს არ რეცხავენ, ხოლო თუ ხანდახან ხორცის წვენს გააელებენ, ხორცთან ერთად ისევე ქოთანში ასხამენ...“

არც მათი სიმღერა მოსწონს ფრანცისკელ ბერს: „სიმღერის დროს ხარებივით ზმუიან ან მგლებივით ყმუიან და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახიან“.

„ხელებისა და თავის დასაბანად თათრები პირს წყლით ივსებენ, მერე ცოტ-ცოტას ხელებზე ისხამენ და იმავე წყლით თმასა და თავს ისველებენ“, — ამას გადმოგვცემს რომის პაპის მეორე ელჩი რუბრუკვისი, რომელიც აგრეთვე მეცამეტე საუკუნის შუა წლებში ეწვია მონღოლეთს.

და ისევ რუბრუკვისის სიტყვები: „როცა მათ სტომაქის დაცლა მოუნდებოდათ, ჩვენ როდი გვშორდებოდნენ, პირიქით, თავიანთ უწმინდურობასა და მრავალ სხვა გულისამრევ საქმეს ჩვენთან საუბრის დროს აკეთებდნენ...“

და ეს ხალხი „ისეთი გულზვიადები არიან, — ისევ რუბრუკვისის სიტყვები მომაქვს, — რომ ჰგონიათ მთელი ქვეყნიერება მათკენ მიისწრაფვის, რათა მათთან მშვიდობიანად იცხოვროს. თავიანთ თავს ქვეყნიერების ბატონებს უწოდებენ და ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება რამეზე უარი უთხრან...“

და იქვე, ველარ ერევა ემოციებს პაპის ელჩი:

„ნებადართული რომ მქონდეს, მთელ ქვეყანას შემოვივლიდი მათ წინააღმდეგ ომის საქადაგებლად...“

ამ ხალხის საოცარ ყოყოჩობას პლანო კარპინიც საგანგებოდ აღნიშნავს:

„...ყოყოჩობენ თავიანთი მრავალრიცხოვნობით და ფიქრობენ, რომ არავის, არავითარ ხალხს არ შეუძლია მათ წინააღმდეგობა გაუწიონ: იმიტომო, ამბობენ ისინი, რომ ჩვენ დიდ მდინარეს ვგავართ, რომელიც გაუვალია თავისი არაჩვეულებრივი სიღრმის გამო“.

პლანო კარპინი თვალსაჩინოდ გვიხასიათებს მათ არაადამიანურ გულქვაობასაც:

„ისეთი სასტიკები არიან, რომ არავითარ სიბრალულს არ გრძნობენ არც მოხუცებისა, არც ბალღებისადმი. სისხლის დაღვრას ისინი ისე უცქერიან, როგორც წყლის დაღვრას, ხოლო ადამიანთა გართხმულ გვამებს ნაკელის გროვად თვლიან... ისინი ყოყოჩობენ ადამიანთა დახოცვით და სულიერად მეტისმეტად ტკბებიან, როცა ბევრ ადამიანს კლავენ: ზოგს მთიდან აგდებენ, ზოგს თავს ქვაზე დაადებინებენ და ქვით უჭეჭყავენ ტვინის დანთხევამდე, სხვებს კიდევ ქვის ხერხით

კისერს ჭრიან, როცა სახლებში შედიან, იქ მცხოვრებთ, რომელნიც ცოცხალმკვდარნი არიან შიშისაგან, გულში დანას ურჭობენ, და იმ დროს, როცა მსხვერპლი სისხლისაგან იცლება, ისინი სხდებიან, სჭამენ და სვამენ, დროდადრო ხელახლა ჭრილობებს აყენებენ".

როცა სისასტიკესა და გულქვაობაზე ლაპარაკობენ, დააკვირდით, როგორა ჰგვანან ერთმანეთს სხვადასხვა მემატიანისეული დახასიათებანი მონღოლებისა, თუმცა ეს მემატიანეები ერთმანეთის თხზულებებს არ იცნობენ:

„ხოლო რომელსაცა ქუეყანასა მოვიდოდა, იავარპყოფდა და წარსტყუენავდა ყოველთა და არა ეწყალებოდა არცა კაცი და არცა პირუტყვი", წერს სომეხი მემატიანე სტეფანოს ორბელიანი.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირიც ასე ახასიათებს მათ: ადამისა და ევას გაჩენიდან დღემდე სამყაროს ასეთი საშინელება არ განუცდია... მატიანეებში ამისი მსგავსი არაფერი წერია... ისინი არაფერს ზოგავდნენ, ხოცავდნენ კაცებს, ქალებს და ახალშობილთ; მუცელს უფატრავდნენ ორსულებს და სპობდნენ ჩანასახებს...

აი, ეს ხალხი უნდა დაიძრას ჩვენი ხალხის დასაპყრობად... არა მარტო ჩვენი ხალხის, მთელი მაშინდელი კულტურული მსოფლიოს დასაპყრობად და დასარბევად.

მაგრამ სანამ სხვა ხალხებისა და ქვეყნების დასაპყრობად დაიძრებოდნენ, ჯერ ერთმანეთში აქვთ გააფთრებული და დაუნდობელი ბრძოლა. ჯერ ცალკეული ტომები ერთმანეთში შუღლსა და ბრძოლებს უნდა მორჩნენ, გაერთიანდნენ, ძალა მოიკრიბონ...

თანდათანობით ხდება ეს, მაგრამ შედარებით ჩქარი ტემპით...

და, აი, 1206 წელს, ე. ი. დაახლოებით იმ ხანებში, როცა საქართველოში თამარმა თავისი შვილი, ჯერ ბავშვი ლაშა თანამესაყდრედ დაისვა, შეიკრიბა მონღოლთა ტომების წარმომადგენელთა ყრილობა ყურულთაი, მდინარე ონონის ნაპირზე, და ოფიციალურად ჩამოყალიბდა მონღოლთა გაერთიანებული სახელმწიფო. უზენაეს ხელმწიფედ ერთ-ერთი ტომის მონღოლი — თემუჩინი აირჩიეს, რომელსაც ამიერიდან ჩინგიზ ყაენი ეწოდა („და დაჯდა ტახტსა ზედა ონხანისა და უწოდეს თემურჩის სახელად ჩინგიზ ყაენი", — აქაც არა ღალატობს სიზუსტეს ჩვენი მემატიანე).

სანამ მონღოლები დაქსაქსულები იყვნენ და მომთაბარე ტომები ერთმანეთს ეომებოდნენ, სხვა ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს რა უჭირდა.. 1206 წლის შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა და მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ყველაფრის წარმოდგენა ახ-

ლაც კი, როცა უკვე მომხდარ ამბავს ვადევნებთ თვალს და ანალიზს ვუკეთებთ, ძალიან ძნელია.

ტომების გაერთიანება, თავისთავად, პროგრესული მოვლენაა, მაგრამ გაერთიანებაც არის და გაერთიანებაც. ჩვეულებრივ, ასეთი გაერთიანების დროს (როგორც ეს თუნდაც საქართველოში მოხდა), ეროვნული პოტენცია ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისთვის წარიმართება... მონღოლთა ტომების გაერთიანებას, ბევრი ხალხისდა საეალალოდ, არ მიეცა სასურველი ბუნებრივი განვითარება, მთელი ეროვნული ენერგია სხვა ხალხების დაპყრობა-განადგურებისაკენ წარიმართა...

მონღოლები, საერთოდ, ჩინებული მეომრები იყვნენ. სულ პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ბავშვებს ცხენზე ჯდომასა და იარაღის ხმარებას („...როცა მათს ბავშვებს ორი-სამი წელი შეუსრულდებათ, მაშინვე ცხენზე ჯდომასა და ჭენებას სწავლობენ", — წერს კარპინი. გავიხსენოთ ჩვენი მემატიანის სიტყვები: „...აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის...")

შესანიშნავი მოისარები იყვნენ. ჟამთააღმწერელს არც ამისი აღნიშვნა დავიწყნია: „...მოისარნი იყვნეს რჩეულნი"... სომეხი მემატიანე მათ „მოისართა ტომს" უწოდებს...

ერთი სიტყვით, ჩინებული მეომრები იყვნენ და ამიტომ ჩინგიზ ყაენს გაუადვილდა დისციპლინიანი არმიის ჩამოყალიბება. ჯარი დაყოფილი იყო ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად ანუ დუმანებად. ამასთან ჩინგიზ ყაენს თავისი პირადი გვარდიაც ჰყავდა, ქეშიკად წოდებული.

ომების დროს კიდევ უფრო გაიწვრთნენ. ახალი იარაღ-საჭურველი გაიჩინეს და ამითაც გაძლიერდნენ. ის ვერაგული წესი, რომ ჯარისკაცი თვითონვე იყო ვალდებული ეშოვნა იარაღიცა და საჭმელიც, ჯერ ერთი, ძალიან აადვილებდა ჯარის სწრაფ მოძრაობას და მეორეც, წააქეზებდა მეომარს, უფრო თავგამოდებით ებრძოლა, მეტი ნადავლი ეშოვნა.

ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად ჩინგიზ ყაენმა დიდი მეზობელი ქვეყნის — ჩინეთის — დაპყრობა დაისახა, და საოცრად მოკლე დროში განახორციელა თავისი განზრახვა. სამიოდე წლის განმავლობაში მან ორჯერ დალაშქრა ჩინეთი და მეორე ლაშქრობის დროს პეკინი აიღო. ეს იყო 1215 წელს. მკვლევარები საგანგებოდ აღნიშნავენ: ჩინეთთან ომს ის მნიშვნელობაც ჰქონდა მონღოლებისათვის, რომ მათ გადმოიღეს მოწინააღმდეგის შესანიშნავი სამხედრო ტექნიკა,

ხელში ჩაიგდეს იარაღ-საჭურველი, მათ შორის ფილაკავნები, რაც შემდეგ ბრძოლებში გამოადგათ და რამაც სხვა ქვეყნების დაპყრობაც გაუადვილა. ჩინეთიდანვე წამოიყვანეს იარაღ-საჭურველის დახელოვნებული ოსტატები. აქვე საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლები არავის ინდობდნენ გარდა ხელოსნებისა. ხელოსნებს უფრთხილდებოდნენ, არ ხოცავდნენ, მოპყავდათ და იყენებდნენ.

აღარ გავაგრძელებთ მონღოლების ლაშქრობათა აღნუსხვასა და აღწერას, ეს შორს წაგვიყვანს, და ჩვენს მიზანს არც შეადგენს. მაგრამ არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ ერთ დიდ სახელმწიფოსთან მონღოლთა ურთიერთობასა და მათ შორის ბრძოლებზე, რადგან ამას უშუალოდ უკავშირდება შემდგომ მომხდარი მოვლენები.

●

იმ დროისათვის, რომლის ამბებსაც ახლა ვყვებით, ესე იგი, მეცამეტე საუკუნის დასაწყისისთვის, მთელს აღმოსავლეთში ყველაზე დიდი და ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფო ხვარაზმი იყო. იგი მდებარეობდა კასპიის ზღვის აღმოსავლეთით, შუა აზიაში, და ერცლად იყო გადაჭიმული. ეს სახელმწიფო განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა თექეშის დროს, ანუ 1172 წლიდან (სწორედ ამ ხანებში, როგორც ვიცით, საქართველოში გიორგი მესამემ თანამესაყდრედ თამარი დაისვა).

ტერიტორიის გაფართოებისთვის ბრძოლები არც თექეშის მემკვიდრის დროს შენელებულა, თანდათანობით ხვარაზმის მფლობელობაში მოექცა ირანის დიდი ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი ავღანეთი. შაჰი თექეში ჩინგიზ ყაენს არ მოსწრებია, იგი 1200 წელს გარდაიცვალა. ჩინგიზ ყაენის თანამედროვე შაჰი მოპამედია, და როგორც ახლავე ვნახავთ, ურთიერთობა სწორედ ამათ შორის გამწვავდა და დაიძაბა.

სანამ ჩინგიზ ყაენი ჩინეთში ლაშქრობდა, მოპამედი შორიდან ადევნებდა თვალს მონღოლთა წარმატებულ ბრძოლებს და, როგორც გადმოგვცემენ, გული წყდებოდა, რომ მონღოლებმა დაასწრეს: ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ იგი თვითონვე აპირებდა თურმე ჩინეთზე გალაშქრებას. ამრიგად, ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ორ დიდ სახელმწიფოს შორის უთანხმოებას საფუძველი უკვე ამ დროს ჩაეყარა.

მაგრამ ჩინგიზ ყაენი ჩინეთის ამბებით არის გართული, და დასავლეთისათვის ჯერ ვერ მოიცლის, ჯარს ვერ დაქსაქსავს, ხოლო მოჰამედი ყოყმანობს, ვერ გაუბედავს: სწორედ ახლა დაესხას მონღოლებს, როცა იგი ჩინეთში ბრძოლებით არის გართული (და ამდენად გამარჯვების მიღწევა უფრო ადვილი იქნება), თუ გადასდოს. როგორც ვნახავთ, საერთოდ ჭოჭმანა და მერყეევი კაცია ხვარაზმ-შაჰი. მემატიანეებს კონკრეტული მაგალითები მოაქვთ, რომ სახელმწიფოს ფაქტიურად დედამისი განაგებდა, უიმისოდ არაფერი მნიშვნელოვანი საკითხი არ წყდებოდა. და თუ რამეს გადაწყვეტდა, დედამისს ყოველ წუთს შეეძლო იმის გაუქმება, ვერავინ შეედავებოდა და წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა.

ახლა იმიტომაც ჭოჭმანობს ხვარაზმშაჰი, რომ ამ უზარმაზარი მუსლიმანური სახელმწიფოს მბრძანებელს ქვეყნის შიგნით მყარი მშვიდობა არა აქვს. ბევრი მოწინააღმდეგე გასჩენია, ეურჩებიან და მუდმივ შიშშია.

ასე შიშითა და დაეჭვებით შეპყურებს შორიდან დიდი ხვარაზმის მბრძანებელი მონღოლების ძლევამოსილ სვლას.

მაგრამ ზემოთ რომ უთანხმოება ვახსენეთ, ეს მხოლოდ გულშია ჩასახული და გარეგნულად არ ჩანს. პირიქით, ამ ორ ქვეყანას შორის ძველებურადვე გრძელდება ვაჭრების გაცხოველებული მიმოსვლა, რაც მშვიდობიანი ცხოვრების უტყუარი ნიშანია. ურიცხვი ძვირფასი საქონელი მიაქვთ და მოაქვთ, გზებზე აქლემების ქარავნების განუწყვეტელი მოძრაობაა...

სწორედ ვაჭრებით დაიწყო ყველაფერი.

ხვარაზმშაჰმა ვაჭრებს ელჩები გააყოლა, თან გაატანა ძვირფასი საჩუქრები ჩინგიზ ყაენთან, მეგობრობა და სიყვარული შეუთვალა. იგულისხმება, რომ ელჩებს დავალებული ჰქონდათ, კარგად შეესწავლათ იქაური ვითარება, შეემოწმებინათ, რამდენად მართალი იყო შორიდან მოსული ხმები — მართლა ასე ძლევამოსილი იყო ჩინგიზ ყაენის ლაშქარი თუ ზედმეტად აზვიადებდნენ მის სიძლიერეს, თვით ჩინგიზ ყაენის განწყობილებას და განზრახვებსაც ჩასწვდომოდნენ.

მონღოლეთის დიდმა მბრძანებელმა პატივით მიიღო მეზობელი სახელმწიფოს ელჩები, მოეფერა, დაუყვავა; მათი მბრძანებელი მოიკითხა; მამაშვილურად მიყვარსო, ელჩები დაარწმუნა, ჩემი დიდი მოკითხვა გადაეცითო. დასავლეთში ის არის უმაღლესი მბრძანებელი და აღმოსავლეთში მეო (მისთვის ხვარაზმი დასავლეთი იყო), ვიყოთ ასე მეზობლური სიამტკბილობით და ერთმანეთს შორის ვაჭრობას ნუ მოვშლითო...

ეს არ იკმარა ჩინგიზ ყაენმა, მალე თავისი ელჩებიც აახლა მოპამ-ედს, ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და ისეთივე სიყვარული შეუ-თვალა: გაგებული მაქვს შენი კეთილდღეობა და სიდიადე, ვიცი, რა ვრცელია შენი სამფლობელო; ამდენი ქვეყნის მბრძანებელი ხარ და ვალდებულადაც კი მიმაჩნია თავი, შენთან მშვიდობიანი მეზობლობა მქონდესო; ასე მგონია, ჩემი ყველაზე ძვირფასი შვილი იყოო; ალბათ შენც გეცოდინება და რატომ უნდა დაგიმალო, მე ჩინეთი დავიპყარი, ვერცხლის გამოულეველი საბადო მაქვს, სიმდიდრეში ვცურავ და სხვაგან ქონების ძიება სულაც არა მჭირდება... თუკი შენც დათანხ-მდები და ვაჭრებს ორივე ქვეყანაში გახსნილი ექნებათ გზა, ეს შენი ქვეყნისთვისაც სახეირო იქნება და ჩემი ქვეყნისთვისაცო.

ჩინგიზ ყაენის ელჩებში ერთი ხვარაზმელიც ერია. ხვარაზმშაპმა ღამით ცალკე დაიბარა იგი და მოელაპარაკა. ჩვენებური ყოფილხა-რო, უთხრა, როგორ დავიჯერო, ჩვენი ქვეყნის მიმართ პატივისცემა და სიყვარული არ გქონდესო...

ეს კი უთხრა, მაგრამ, ეტყობა, ისიც იფიქრა, ცარიელა სიტყვები იმდენს ვერ გასჭრისო, და სამომავლოდ დიდ ჯილდოსაც შეპპირდა; ახლა კი სამაჯურიდან ძვირფასი ქვა ამოაძრო და მისცა. დაავა-ლა, კარგად დააკვირდი, რას აპირებს ჩინგიზ ყაენი, საერთოდ, რას აკეთებს და საქმიანობს და ყველაფერი დაწერილებით შემატყობინე ხოლმეო.

ამ ამბებს რომ გადმოგვცემს მეცამეტე საუკუნის მწერალი, თავი-სივე აღწერილი ამბების მომსწრე, ოფიციალური პირი — ხვარაზმ-შაპ მოპამედის შვილის პირადი მდივანი ან-ნასავი, იქვე დასძენს: არ ვიცი, შიშით თუ ჭეშმარიტი კეთილგანწყობილებით, მაგრამ ვაჭარმა თანხმობა მისცაო.

რაც გულით არა გსურს, იმას ძნელადაც იჯერებ ხოლმე. ხვარაზ-მშაპი გულის სიღრმეში, ეტყობა, მაინც ვერ ელეოდა სუსტ იმედს, და ახლა, გადმობირებული ელჩი რომ მოიგდო ხელთ, ჰკითხა: ნუ დამიმალავ, მართალი მითხარი — ჩინგიზ ყაენმა ნამდვილად დაიპ-ყრო ჩინეთი თუ მე მატყუებსო. სრული ჭეშმარიტება�ა, არ მოერი-და ვაჭარი; ეს ისეთი დიდი მოვლენაა, რომ სად დაიმალება, მალე ყველაფერს დაწერილებით გაიგებო. პატივმოყვარე შაპს ვერაფრად ეპიტნავა ასეთი პასუხი (თქმით კი უთხრა — ნურაფერს დამიმალავ, ყველაფერი მითხარიო, მაგრამ სიმართლე როდი ესიამოვნა) და საყ-ვედურის კილოთი უთხრა: შენ ხომ იცი ჩემი საბრძანებელი სადამდეა გადაჭიმული და რამოდენა მხედრობის პატრონი ვარ, ეს წყეული

ყაენი ვინა მყავს ასეთი, შვილს რომ მიწოდებს (შეურაცხყოფად მიულია, ყაენმა შვილი რომ უწოდა)... რამოდენა ჯარი ჰყავს მაგასაო?

მშვიდად დაიწყო შაჰმა და სულ უფრო მოერია ბრაზი. ასე გაცოფებული რომ ნახა გამოცდილმა და ცბიერმა ვაჭარმა, დაფრთხა და სულ სხვანაირად აჭიკჭიკდა — რა ბრძანებაა, უთხრა, როგორც ღამის წყვდიადთან კვამლის პატარა სვეტი, ისეა მაგისი ჯარი შენს განთქმულ მხედრობასთანო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ხვარაზმშაჰმა თანხმობა შეუთვალა ყაენს და თითქოს საფუძველი ჩაეყარა ორ დიდ ქვეყანას შორის კეთილმეზობლობასა და მშვიდობიან სავაჭრო ურთიერთობას.

მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ეს მხოლოდ თვალთმაქცური შეთანხმება იყო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს თავიდანვე კარგად იცოდნენ მონღოლეთის მბრძანებელმაც და ხვარაზმის შაჰმაც.

ერთ მშვენიერ დღეს დიდი სავაჭრო ქარავანი მონღოლეთიდან ხვარაზმისკენ დაიძრა. მას ჩინგიზ ყაენის ელჩიც მიჰყვებოდა. ზოგი წყაროს ცნობით, ქარავანში ოთხასამდე ვაჭარი იყო, ხუთას აქლემს აკიდებული ჰქონდა ოქრო-ვერცხლი, ფარჩა, აბრეშუმი, სხვადასხვანაირი ძვირფასი საქონელი... მემატიანეს თუ ვერწმუნეთ, ჩინგიზ ყაენის ელჩს მოჰამედისთვის, ცოტა არ იყოს, უცნაური დანაბარები მიჰქონდა: მე ჩინგიზ ყაენი ვბრძანებ, რომ ამიერიდან მთელს ქვეყანაზე მშვიდობა სუფევდეს, ვაჭრებმა უშიშრად იარონ ყოველი კუთხით, ღარიბებმა და მდიდრებმა შეხმატკბილებულად იცხოვრონ...

როგორც ეხედავთ, თვით ფორმა ამ ბრძანებისა, იმ წინა შეთანხმებების შემდეგ, უცნაურია, და, ამდენად, გამომწვეეიც. აბა, რაღა დაბარება სჭირდებოდა, მშვიდობიან ურთიერთობაზე ხომ ადრეე შეთანხმდნენ... თანაც დააკვირდით, რა კატეგორიულად და მედიდურად უთვლის — ვბრძანებ, მთელ ქვეყანაზე მშვიდობა სუფევდესო. მშვიდობის ჭეშმარიტი მოსურნე ასეთი კატეგორიული ტონით და ასე გამომწვევად არ დაიწყებდა ლაპარაკს. ადვილი მისახვედრია, რა გუნებაზე დადგებოდა ხვარაზმშაჰი, ეს დანაბარები რომ მიუვიდოდა.

მაგრამ შაჰამდე არ ჩაუღწევია ქარავანს. საზღვრისპირა ქალაქშივე — ოთრარში — იგი ადგილობრივ ნაიბს ქაირ-ხანს (ინ-ალ-ხანს) დაუკავებია. ნაიბი შაჰის ბიძაშვილი იყო დედის მხრით, და გარდა იმისა, რომ ასეთი ნათესაობით ჰქონდა ზურგი მაგარი, თავადაც დიდი მხედრობის პატრონი ყოფილა — ოცი ათასი მეომარი ჰყავდა საომრად გამზადებული. რაღა გასაკვირია, რომ ყოყოჩობდა, ბუზს არ იფრენდა, გამომწვევად იქცეოდა...

სხვა სიკეთესთან ერთად, ნაიბი ხარბიც აღმოჩნდა — ამდენი სიმდიდრე რომ ნახა, ცთუნებას ვეღარ გაუძლო და გადაწყვიტა, ქარავანი დაერბია. შაპს წერილი მისწერა — ეს ხალხი, ვაჭრის ტანსაცმელში რომ გამოწყობილან, ვაჭრები სულაც არ ჩანან, მზვერავებად ჰყავს გამოგზავნილი ჩინგიზ ყაენს და სადაც არაფერი ესაქმებათ, ყველგან ცხვირსა ჩრიანო...

ეს ალბათ ნაწილობრივ მართალიც იყო.

შაპმა შეუთვალა: დააკავე ქარავანი და, სანამ შემოგითვლიდე, როგორ მოიქცე, თვალი კარგად გეჭიროს მაგ ვაჭრებზეო.

ნაიბმა ეს პასუხი საკმარისად ჩათვალა, თავის ნებაზე მოქცეულიყო. მოხვია ხელი ვაჭრებს და ისე გააქრო, იმათი ასავალ-დასავალი აღარავის გაუგია, გაქრა, რაღა თქმა უნდა. ზოგი წყაროს მიხედვით, ხვარაზმშაპს თითქოს ნება მიუცია, ვაჭრები გაქრეს და საქონელი გაპყიდეო, ფული კი თავად მიუთვისებია.

ასე იყო თუ ისე, ვაჭრები დახოცეს, მხოლოდ ერთმა მოახერხა გაქცევა. მაგრამ ამბის მიმტანად ერთიც კმაროდა. მივიდა ის კაცი ჩინგიზ ყაენთან და მოახსენა, რა უბედურებაც დატრიალდა ოთრარში.

ჩინგიზ ყაენს მაშინვე არ გაულაშქრია ხვარაზმშაპის წინააღმდეგ. ჯერ ელჩები გაუგზავნა — სამი გაელენიანი პირი — და დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: შენ საკუთარი ხელმოწერით დაადასტურე შეთანხმება, მაგრამ ვერაგობა გამოიჩინე და სიტყვა გატეხე; ვერაგობა, საერთოდ, სიბილწეა, ხოლო ისლამის სულთნისაგან — ორგზის სიბილწე. თუ დაადასტურებ, რომ ეს ყველაფერი შენთან შეუთანხმებლად მოიმოქმედა შენმა ნაიბმა და შენ ბრალი არ გიდევს, მომეცი ის ნაიბი, ჩვენ მას დავსჯით და დიდ სისხლისღვრას თავიდან ავიცილებთ; ხალხს დავამშვიდებ, თუ არა — ომი გარდაუვალი იქნებაო.

ამ ცნობას თუ ვერწმუნეთ, ჩინგიზ ყაენი ჯერ მართლაც არ აპირებდა დასავლეთით გალაშქრებას, ალბათ მოუცლელი იყო; თორემ დღეს თუ ხვალ რომ უსათუოდ დასძრავდა ლაშქარს დასავლეთით, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

როგორც ვნახეთ, ჩინგიზ ყაენის ულტიმატური მკაცრი და კატეგორიულია, და თუ ხვარაზმის სულთანს (ხვარაზმის შაპს მემატიანეები სულთანს უწოდებენ) ომი არა სურდა, ცოტა უფრო სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო...

ჩინგიზ ყაენთან ომი იმჟამად, იქნებ მართლაც არა სწადდა სულთანს, მაგრამ ერთბაშად ისე დაშინდა, რომ ჭკუა დაკარგა. თუმცა,

კაცმა რომ თქვას, მართლაც გამოუვალი მდგომარეობა შეექმნა... მისი მხედრობის ერთი დიდი და ყველაზე განთქმული ნაწილი სწორედ იმ მხრიდან იყო, ოთრარიდან. მიდი ახლა და შეიპყარი ამ კუთხის მბრძანებელი, ხელფეხშეკრული გაუგზავნე ყაენს!..

აკი ვთქვით, შაჰი ჭოჭმანა კაცი იყოო, დიდი მამაცობით ვერ დაიკვეხნიდა; და ახლა, როცა სხვა ნაიბების მუდმივი შიში ჰქონდა, და, უნდა ვიგულისხმოთ, თავისი ბიძაშვილის — ოთრარის ნაიბის მხედრობით აშინებდა მათ, ამ ნაიბს როგორღა გასწირავდა. ეს ხომ საკუთარი თავის გაწირვასაც ნიშნავდა!.. ალბათ ამან უფრო შეუბორკა ხელები შაჰს, ვიდრე ნათესაურმა გრძნობებმა. ისე დაიბნა ეს ამოდენა ქვეყნის მბრძანებელი, რომ მეტი გონიერული ვერაფერი მოიგონა, ადგა და ყაენის ელჩები იქვე გაჟლიტა (ერთი ელჩი მოკლა, ხოლო ორ დანარჩენს წვერები დაპარსა და გაუშვაო, მეორე მემატიანე შენიშნავს)...

ეს იყო 1218 წელს.

(ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართველი მეფე ამ დროს სამხრეთით ლაშქრობს. მან და მისმა სარდლებმა არ იციან, რომ შორს, აღმოსავლეთში ორ დიდ ქვეყანას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, და ომის ცეცხლი, რომელიც ახლა აქ უნდა დაინთოს, მალე მათს ქვეყანასაც მისწვდება...).

ხვარზმშაჰმა მაშინვე სამხედრო საბჭო შეჰყარა. მაგრამ ნეტა რად უნდოდა საბჭო, თუ ყურს არ დაუგდებდა!.. საბჭოზე ურჩიეს, მაგალითად, მთელი ჩვენი ლაშქარი ერთ ადგილზე შევყაროთ, მდინარე სირდარიას ნაპირზე, იქ დაეუხვდეთ ჩინგიზ ყაენს, და როგორც კი გამოჩნდება მისი მხედრობა, მაშინვე დიდი ძალით დაეესხათ, იმოდენა გზით დაღლილ-დაქანცულებს ადვილად დავამარცხებთო.

მეორე რჩევაც იყო: შემოეუშვათ მონღოლები მავერანაჰრში და მერე ერთბაშად შევუტიოთ, ბრძოლას ის გაგვიადვილებს, რომ ჩვენ კარგად ვიცნობთ ადგილმდებარეობას, ისინი კი არ იცნობენო.

სხვა რჩევებიც იყო, მაგრამ როგორც ითქვა, სულთანმა არც ერთს არ დაუგდო ყური და მეტად საეჭვო და. საჩოთირო გადაწყვეტილება მიიღო: თავისი დიდი ლაშქარი დააქუცმაცა და ცალკეულ ქალაქებში ჩააყენა. ფაქტიურად მოწინააღმდეგეს გაუადვილა საქმე. ბუნებრივია, ასე გაფანტული რაზმების ცალ-ცალკე დამარცხება არ გაუჭირდებოდა ჩინგიზ ყაენის შესანიშნავად გაწვრთნილ მხედრობას.

სულთანმა იცოდა, რომ მტერი პირველად ოთრარს მიადგებოდა, და იქ გაგზავნა 10.000 მეომარი, ყარაჩა-ხანის სარდლობით.

გადაწყვიტა სამარყანდის გარშემო ქვის დიდი კედელი აეშენებია. სასწრაფოდ დააგზავნა მოხელეები დამატებითი ბეგარის ასაკრეფად და ბრძანა კედლის შენება დაეწყოთ...

ან-ნასაეი სინანულით შენიშნავს — ასე რომ არ დაექსაქსა მოჰამედს ჯარი და შეერთებული ძალით ერთ ადგილზე დახვედროდა მტერს, კუდით ქვას ასროლინებდა და ერთ მონღოლსაც არ გააჭაჭანებდაო...

ხვარაზმშაჰი ისე სულელი არ ყოფილა, არა სცოდნოდა, რომ ჯარის ასეთი დაფანტვით საქმეს ირთულებდა. მაგრამ რა ექნა, მას თავისი გასაჭირი ჰქონდა — სარდლების ერთად შეყრისა ეშინოდა, არ მოილაპარაკონ ერთმანეთში და მეევ არ მომიშვირონ იარაღიო. აკი ზემოთ ითქვა, ქვეყნის შიგნით დაშშეიდებული ცხოვრება არა ჰქონია შაჰს, გამუდმებულ შიშში იყო.

აქვე ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. ჩინგიზ ყაენი კარგი მეომარიც იყო და ცბიერი პოლიტიკოსიც. ეტყობა, გაიგო, რომ სულთანი ბუნებით ეჭვიანი იყო და ხმები გააერცელა ღალატის შესახებ. მოელაპარაკა სულთანისავე ქვეშევრდომ ამირებს. რომელთაც გულში წყენა ჰქონდათ თავიანთი მბრძანებლის მიმართ, ყალბი წერილები დააწერინა და გააერცელა... ეს ხმები თითქოს შემთხვევით, თავისით, აღწევდა სულთნის ყურამდე და ისედაც ეჭვიან კაცს აცოფებდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

●

1219 წელს (ივლის-აგვისტოში) ჩინგიზ ყაენმა ყურულთაი მოიწვია და ხვარაზმზე გალაშქრება გადაწყვიტა. წინასწარი საგულდაგულო მომზადების შემდეგ კი იმავე წლის შემოდგომაზე მონღოლების დიდი არმია (მკვლევარების აზრით, 200.000 მხედარი) ხვარაზმისაკენ დაიძრა.

ეს იყო დასაწყისი ჩინგიზ ყაენის დასავლეთით ლაშქრობისა...

(ალბათ გახსოვთ, ამ წელს ჯვაროსნებმა დამიეტა აიღეს და იქიდან, პაპის დავალებით, წერილი გაუგზავნეს ქართველ მეფეს — თქვენი განთქმული მხედრობა მოგვაშველეო. ლაშამაც თანხმობა მისწერა რომის პაპს და გამალებით შეუდგნენ სალაშქროდ მზადებას. მთელი გულისყური იქითკენ აქვთ. მათ ჯერ არ იციან, რომ შორს, აღმოსავლეთში, საფუძველი ეყრება დიდ, გამანადგურებელ ლაშქრობას...)

ლაშქრობაში ჩინგიზ ყაენს თან ახლდნენ თავისი შვილებიც — შესანიშნავი მეომრები. ზემოთ დაგვავიწყდა გვეთქვა: ჩინგიზ ყაენს ხუთასამდე ცოლი და ხასა ჰყავდა. ცოლთაგან ყველაზე პატივცემული ბორთე-ფუჯინი იყო, და ამ ქალის ნაშობ შვილებსაც მეტ პატივს სცემდა. ესენი იყვნენ: ჯოჩი, ჩაღათა, უგედე — იგივე ოქოთა და თულუი, იგივე თული.

ოთრარს რომ მიადგნენ მონღოლები, ჩინგიზ ყაენმა ჩაღათასა და ჯოჩს დაავალა ქალაქის აღება, აქაური ნაიბის საგანგებოდ დასჯა. ქალაქი კარგად გამაგრებული აღმოჩნდა და პირველივე შეტევით ვერ აიღეს. ქაირ-ხანი მამაცი მეომარი იყო და გაწვრთნილი ჯარი ჰყავდა. ახლა, როგორც ვიცით, 1000-იანი მხედრობაც მიაშველა სულთანმა, ყარაჩა-ხანის სარდლობით. ხუთი თვე ალყაში ჰყავდათ ქალაქი მონღოლებს... ბოლოს, ეტყობა, ყარაჩა-ხანი გაბეზრდა, თან იმასაც მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა ჰქონდა, მაინც ვერაფერს გახდებოდნენ, და რაკი აქაური ნაიბი ვერ დაიყოლია, დაენებდეთო (თუმცა კი ბევრს ურჩევდა), ერთ ღამეს გაიპარა და მონღოლებს ჩაბარდა. ამან გააადვილა ქალაქის დამორჩილება (სხვათა შორის, მოღალატე სარდალი მალევე დაისაჯა ვერაგობისთვის: ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ჩაღათამ და ჯოჩიმ თქვეს — საკუთარი პატრონის მოღალატე ჩვენ რა ხეირს დაგვაყრისო, და ყარაჩა-ხანიცა და მისი მეომრებიც ერთიანად გაჟლიტეს). საინტერესოა ბედი ქაირ-ხანისა, რომელიც ამ დიდი ლაშქრობის უშუალო საბაბი გახდა. ნასავი გადმოგვცემს, რომ იგი შეიპყრეს, ვერცხლი და ოქრო გადაადნეს და ოქრო-ვერცხლს დახარბებულ ნაიბს თვალებში და ყურში ჩაასხეს.

ბუხარის ასაღებად თავად გაემგზავრა ჩინგიზ ყაენი და თან გაიყოლა თული. გზად რამდენიმე ქალაქი უბრძოლველად აიღო. არც ბუხარას გაუწევია დიდი წინააღმდეგობა — ორიოდე კვირაში აიღეს და იქიდან სამხრეთისაკენ გაემართნენ.

ხვარაზმშაჰმა ადრევე დატოვა ქალაქი, დედაწულიანად აიყარა და პირი ირანისაკენ ქნა, იმის იმედით, რომ იქ მაინც ვერ მისწვდებოდა მტერი. თან წაასხა ერთი ნაწილი თავისი მრავალრიცხოვანი ჰარამხანისა და, რაღა თქმა უნდა, ხაზინიდან განძიც წაიღო.

ჩინგიზ ყაენს მზვერავების დიდი ქსელი ჰყავდა, თვით მაჰმადიანი ვაჭრებისგან იღებდა ცნობებს. ადრევე გაიგო, რომ სამარყანდს საგანგებოდ ამაგრებდნენ ხვარაზმელები და თვითონაც დაიჭირა თადარიგი, რათა უფრო დიდი ძალით შეეტია. შორიდანვე გადაჭ-

რეს სამარყანდისკენ მიმავალი გზები. შვილებიც, — რომლებიც სხვადასხვა მხრით ჰყავდა დაგზავნილი ქალაქების დასარბევად, — თანდათანობით იყრიდნენ თავს სამარყანდის ირგვლივ. ერთი წყაროს მიხედვით, ჩინგიზ ყაენი ორი დღის განმავლობაში გარს უელიდა ქალაქს, რათა კარგად გაეთვალისწინებია ყველაფერი. ჭკვიანი კაცი იყო, გამოცდილი მეომარი, საალალბედოდ არ გაიხადა საქმე, სხვა ხალხი არ ენანებოდა და განურჩეველად ულეტდა, თორემ თავისას ყოველ ჯარისკაცს უფრთხილდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხვარაზმშაჰის ბრძანება ვერ შესრულდა, სამარყანდის ირგვლივ კედლის ამოშენება ვერ მოასწრეს, მუშაობაც კი არ დაუწყიათ.

ჩინგიზ ყაენი სიფრთხილეს იჩენდა. მას შიში ჰქონდა — ხვარაზმშაჰმა იქნებ იმიტომ დატოვა ქალაქი, რომ წრედ შემოგვერტყას და შუაში მოგვიქციოსო. რას იფიქრებდა, რომ ამოდენა სახელმწიფოს მბრძანებელი და ამხელა ჯარის პატრონი გაიქცეოდა და თავშესაფარს დაუწყებდა ძებნას. ჩინგიზ ყაენმა გადაწყვიტა, როგორმე შეეპყრო შაჰი, რათა დამშვიდებული ყოფილიყო, იმის შიში არა ჰქონოდა, მოწინააღმდეგე ჯარს შეკრებს და მოულოდნელად დამესხმისო... გამოპყო თავისი საუკეთესო სარდლები — ჯებე და სუბუდაი — 30.000-იანი მხედრობა ჩააბარა და ხვარაზმშაჰის დასადევნებლად და შესაპყრობად გაგზავნა.

სწორედ ეს ჯებე და სუბუდაი შემოიჭრნენ საქართველოში თავისი 30.000-იანი ჯარით... და ახლა მკითხველისთვის ალბათ ადვილი ასახსნელია მათი მოულოდნელი გამოჩენაცა და სწრაფი გაუჩინარებაც: ისინი ხომ ხვარაზმშაჰს მისდევდნენ, მისი შეპყრობა ჰქონდათ ნაბრძანები, თან მომავალში დასაპყრობად გათვალისწინებული ქვეყნების წინასწარი დაზვერვა, და საქართველოში დიდხანს ვერ დაყოვნდებოდნენ. ჯერ იქ უნდა მოეთავებინათ საქმე. საქართველოსთვის მერე მოიცლიდნენ.

ამრიგად, გაგზავნა ჩინგიზ ყაენმა ჯებე და სუბუდაი, შაჰს დაადევნა, და თვითონ კი სამარყანდისთვის ბრძოლა დაიწყო!.. ბარემ ახლავე ვთქვათ: ისე იოლად აიღო ეს დიდი ქალაქი, რომ თვითონაც გაუკვირდა და ქალაქის მცველებსაც.

ზოგი ისტორიკოსის ცნობით, სამარყანდს 110.000 კაცი იცავდა და თითქოს ისე ადვილად ვერ უნდა აეღო მოწინააღმდეგეს. პირველად მართლაც გააფთრებულ წინააღმდეგობას შეხვედრიან მონღოლები. მაგრამ იმ პირობებში, როცა ქვეყნის გამგებელი თვი-

თონ თაექუდმოგლეჯილი გარბის უგზოუკელოდ და ქვეყანა ბედის ანაბარად მიუტოვებია, როცა მასზე ათასნაირი ხმები დარხეულა, — ხოლო ჭორი ასეთ ვითარებაში ქარით გაძლიერებულ ხანძარსა ჰგავს, შემაძრწუნებელი სისწრაფით ვრცელდება და ფართოვდება, — როცა ჯარს ფაქტიურად სარდლობა აღარა ჰყავს, რა თაეგანწირულადაც არ უნდა იბრძოლონ მეომრებმა, გაუჭირდებათ და საბოლოოდ გატყდებიან.

ახლაც ასე მოხდა. პირველი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, როცა ორივე მხარეს ბევრი მეომარი გაიჟლიტა, ქალაქზე შეტევას სათავეში ჩინგიზ ყაენი ჩაუდგა: როგორც უკვე ითქვა, მონღოლები მოწინააღმდეგეს ჟლეტდნენ უმოწყალოდ, თორემ საკუთარ მეომრებს ძალიან უფრთხილდებოდნენ; და, აი, რაკი ნახა ჩინგიზ ყაენმა, რომ ქალაქის აღება დიდი მსხვერპლის ფასად ჯდებოდა, თვითონ წარუძღვა ბრძოლას. გამოცდილი და ნიჭიერი სარდალი იყო. მარტო მისი გამოჩენაც კი თავზარს დასცემდა მოწინააღმდეგეს. მართლაც, მეორე დღესვე აშკარა გახდა, რომ წინააღმდეგობა უაზრო იქნებოდა — ქალაქის დამცველებმა დიდი ზარალი განიცადეს. წინააღმდეგობა მესამე დღესაც გაგრძელდა, მაგრამ ახლა უკვე განწირული ხალხის გაბრძოლებასღა ჰგავდა. ჩინგიზ ყაენს მიეახლნენ მუსლიმანური ეკლესიის მესვეურები და ქალაქი ჩააბარეს.

ირანელი მემატიანის რაშიდ ად-დინის სიტყვები კარგად ადასტურებს იმას, რაც ზემოთ ითქვა. ქალაქის დამცველებს 20 სპილო ჰყოლიათ, მაგრამ ისე დამარცხდნენ, რომ ბრძოლის დროს მათი გამოყენება არც კი უცდიათ!

ყველაფრით მტკიცდება, რა მიუტევებელი დაუდევრობით იქცეოდა ხვარაზმშაჰ მოჰამედი...

სამარყანდის აღება დიდი მორალური მნიშვნელობის მოვლენა იყო. აქამდე მაინც თუ ვინმეს ჰქონდა სუსტი იმედი, ახლა ესეც გადაეწურათ. ერთადერთი ჯალალ ად-დინი — ხვარაზმშაჰ მოჰამედის ერთ-ერთი შვილი — არა ჰკარგავდა თურმე მხნეობას, მამას ურჩევდა — ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება, შეეკრიბოთ დაფანტული ლაშქარი და მტერს შევუტიოთო. მაგრამ მოჰამედი ისე იყო დაშინებული, აღარაფერი ესმოდა, იგი დევნილი ნადირივით აქეთ-იქით აწყდებოდა და საიმედო თავშესაფარს ეძებდა. სადაც მივიდოდა, ყველგან ციეად ხვდებოდნენ, რადგან ჩინგიზ ყაენს მთელს ქვეყანაში

მუქარის წერილები დაეგზავნა — არ გაბედოთ და ხვარაზმშაპი არ შეიფაროთო.

მონღოლების შიში ხომ ჰქონდა სულთანს, მაგრამ არანაკლებ ეშინოდა შინაურებისა. ზოგჯერ დაღლილ-დაქანცული მივიდოდა რომელიმე ქალაქში, მაგრამ, დამფრთხალსა და დაფეთებულს, რაღაც მოეჩვენებოდა (ხშირად არცთუ უსაფუძვლოდ: მართლაც მოუწყვეს რამდენჯერმე თავდასხმა), — სულის მოთქმასა და დანაყრებასაც აღარ აცლიდა თავის მხლებლებს, აიყრებოდა და ახლა სხვა ქალაქისკენ აიღებდა გეზს. ასე დაწანწალებდა ქალაქიდან ქალაქში, ასე გაწამებული ჰყავდა მხლებლები. ხმები მის შესახებ განუწყვეტლივ მოდიოდა, მაგრამ როგორც ვნახეთ, ვერცხლის წყალივით მოძრაობდა და ჩინგიზ ყაენის საგანგებოდ დადევნებული გამოცდილი სარდლებიც კი ვერა და ვერ მისწვდნენ. არადა, ჩინგიზ ყაენისგან მტკიცე დავალება ჰქონდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, უსათუოდ შეეპყრათ ხვარაზმშა. რაშიდ ად-დინის სიტყვით, სამი წლის ვადა მისცა თურმე ყაენმა სარდლებს. ამ ხნის განმავლობაში უსათუოდ უნდა ეპოვნათ და უკანვე დაბრუნებულიყვნენ.

ჯებემ და სუბუდაიმ ვერ შეასრულეს თავიანთი მბრძანებლის დავალება, ხვარაზმშაჰ მოჰამედს თურმე სხვა რამე ეწერა ბედის წიგნში, იგი კასპიის ზღვის ერთ პატარა კუნძულზე თავისით უნდა მომკვდარიყო. ერთხელ მდევარი ლაშქრის ერთი რაზმი თითქოს მისწვდა კიდეც, საპალნის ცხენი ისრით დაუჭრეს... მაგრამ მდევრები ვერ მიხვდნენ, რომ ეს დევნილი ხვარაზმშაჰის ამალა იყო და რაკი ეჩქარებოდათ, აღარ გამოდევნებიან, მათ შესაპყრობად აღარ გამოუდვიათ თავი.

ერთი სიტყვით, ხვარაზმშაჰი პატარა კუნძულზე მოკვდა და იქვე დაასაფლავეს.

ნასავი აგვიწერს ხვარაზმშაჰის უკანასკნელ დღეებს და მკითხველისთვის, ალბათ საინტერესო იქნება.

კუნძულზე რომ მივიდა სულთანი, უკვე ავად იყო და სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. ამდენ წანწალში გაცივდა და პლევრიტი გაუჩნდა. ერთგული ხალხი თანდათანობით შემოეცალა. ახლა უკვე სამოწყალოდ თუ ვინმე მიუტანდა საჭმელს; და მადლიერებით გულაჩუყებული, ამ ერთგულ ქვეშევრდომზე მაშინვე ბრძანებას დაწერდა — მაღალ თანამდებობას მიუბოძებდა, ან რაიმე დიდი საჩუქრით დააჯილდოებდა... ამჯერად დიდ გულუხვობას იჩენდა — როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სიკვდილის მოახლოებასთან ერთად, სულ

უფრო და უფრო უფაქიზდებოდა მადლიერების გრძნობა; მაგრამ მის ახლანდელ ბრძანებებს რაღა ძალა უნდა ჰქონოდა — ეს ფაქტიურად შვილთან მიწერილი წერილები იყოო, ნასავი შენიშნავს... მართლაც, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ აწ უკვე შაპად შერაცხილი ჯალალ ად-დინი დაბრუნდა, მოჰქონდათ მასთან ეს „კარვის თამასუქები“ (ასე უწოდებს ნასავი, რადგან ხვარაზმშაჰი კუნძულზე პაწაწინა კარავში იწვა) და ისიც უყოყმანოდ ასრულებდა მამის ნებასაო.

ერთხელ, სიკვდილის წინ, ცხენის ფეხის ხმა მოენატრა თურმე — ნეტა ერთი ცხენი მომცა, ამ კარვის ირგვლივ დაჭენობდესო (უნებურად მოგაგონდება შექსპირის ერთი პერსონაჟის — ასეთივე ტირანის — განწირული შეძახილი: ცხენი, ცხენი! ნახევარ სამეფოს ერთ ცხენში მიეცემო). ნასავი იქვე შენიშნავს — ამას ამბობდა კაცი, რომლის მეჯინიბეს 30.000 ცხენი ჰყავდა და ხშირად იტყოდა ხოლმე: ახლავე შემიძლია სამოცი ათასიც მყავდესო. ასეა! ჭკვიანმა კაცმა კარგად უნდა შეიგნოს ეს ორი განსხვავებული მდგომარეობა და გაკვეთილად გამოიყენოსო, — დაასკვნის მემატიანე.

ასე უსახელოდ და ლაჩრულად დაასრულა სიცოცხლე კაცმა, რომელიც უდიდეს სახელმწიფოს განაგებდა და საკუთარ ხალხსაც და მეზობელ ქვეყნებსაც შიშის ზარს სცემდა...

სიკვდილის შემდეგ სუდარაც კი ვერ იშოვეს და იძულებული გახდნენ, ერთ-ერთი ქვეშევრდომის პერანგში გაეხვიათ და ისე დაემარხათ...

ზემოთ ხვარაზმშაჰის დედა ვახსენეთ. ამ ქალის ბედიც საინტერესოა. იგი შვილზე უფრო მტკიცე და გულადი გამოდგა. ან-ნასავის ცნობით, იგი ხორეზმში ყოფილა, როცა შვილის უიმედო წანწალის ამბავი მიუტანეს; და რაკი მოწინააღმდეგის მხედრობა უახლოვდებოდა ქალაქს, სწრაფად მოხვია თურმე ხელი სულთნის იქ დარჩენილ ცოლებს, მისივე მცირეწლოვანი ბავშვებიც თან წაიყვანა, წაიღო ხაზინა მთლიანად და ქალაქიდან გავიდა... მაგრამ მალევე შეიპყრეს მონღოლებმა და ჩინგიზ ყაენს მიჰგვარეს.

საოცარი სიამაყე გამოიჩინა ქალმა: ერთგულმა მხლებლებმა შესთავაზეს, გაპარვას მოვახერხებთ და შენს შვილიშვილთან ჯალალ ად-დინთან გავიქცეთ, იგი შეგვიფარებს და გადაგვარჩენსო. მაგრამ თერქენ-ხათუნს (ასე ერქვა ხვარაზმშაჰის დედას) არ უყვარდა თურმე ჯალალ ად-დინი, და უარი უთხრა მსახურს: ისე როგორ უნდა დავეცე, რომ აი-ჩიჩენის შვილს (აი-ჩიჩენი ჯალალ ად-დინის დედას რქმევია) თავშესაფარი და მოწყალება ვთხოვო; ის მირჩევნია, სამუდამოდ დავრჩე ჩინგიზ ყაენის ტყვედ და აქაური დამცირება ავიტანოო.

საოცარ სურათს გვიხატავს რაშიდ ად-დინი: ჩინგიზ ყაენი მონღოლეთში წასვლას აპირებდა და რამდენიმე დღით სამარყანდში შეჩერდა. გამგზავრების წინ მან თერქენ-ხათუნსა და ხვარაზმშაპის ცოლებს უბრძანა, ქუჩაში ჩამწკრივებულიყვნენ და, სანამ მათ წინ მონღოლეთის მხედრობა ჩაიელიდა, ხმამაღლა გამოეტირათ ხვარაზმშაპების სახელმწიფო...

მონღოლები ზედიზედ იღებენ შუა აზიისა და ირანის ქალაქებს. ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო სუსტდება. მაგრამ ეს სულაც არ ანელებს მტრის სისასტიკესა და გულქვაობას. მათ თავისი კანონები აქვთ. ამ ბოლო ბრძოლებშიაც კარგად გამოიკვეთა მონღოლების საომარი წესი. თავიანთ მეომრებს განსაკუთრებით უფრთხილდებიან. ქალაქების აღების დროს თუ ველზე ხელჩართულ ბრძოლაში წინ მიუძღვით ე. წ. ჰაშარები, ანუ წინა ბრძოლებში დამარცხებული ტყვედ წამოყვანილი მეომრები და ჯერ იმათ შეაჟლეტენ მოწინააღმდეგეს; თვითონ ზურგში უდგანან ამ ჰაშარებს და უკანდახევის საშუალებას არ აძლევენ. როცა მოწინააღმდეგე დაიქანცება და დაზარალდება ჰაშარებთან ბრძოლით, როცა ეს ჰაშარებიც გაწყდებიან, საქმე უკვე გაადვილებულია, და თვითონვე ჩაერევიან ხოლმე ბრძოლაში; ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ადვილადაც იმარჯვებენ.

აღებული ქალაქის მოსახლეობას არ ინდობენ, უმოწყალოდ ჟლეტენ — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს; ჯანმრთელი მეომრები, როგორც ითქვა, ჰაშირებად მიჰყავთ... და მხოლოდ ხელოსნებს გადაარჩევენ, სარდლები გაინაწილებენ მათ.

თავად გულადი და უშიშარი მეომრები არიან. მკვლევარებს საგანგებოდ მოჰყავთ ხოლმე ერთი ადგილი იბნ ალ-ასირის თხზულებიდან, სადაც ლაპარაკია, თუ როგორ ახასიათებს ერთი ქართველი წარჩინებული მონღოლ მეომრებს: თუ ვინმემ გითხრათ, თათრები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ ან ტყვედ ჩავარდნენო, ნუ დაუჯერებთ, — უთქვამს ამ წარჩინებულს, — თუ თქვეს, ერთიანად გაწყდნენო, ეს უფრო დასაჯერებელია, რადგან გაქცევით ისინი არასოდეს არ გარბიან: ერთხელ ტყვედ ჩავიგდეთ ერთი თათარი, მაგრამ განგებ გადმოვარდა ცხენიდან, თავი ქვას დაუმიზნა და დაარტყა, იქვე მოკვდა, ცოცხალი არ დაგვნებდაო.

სულ მოკლე დროში დაიპყრეს მონღოლებმა შუა აზია და ირანი, და ყველგან ერთნაირი სურათი იყო, ყველგან ხოცვა-ჟლეტა, ყველგან ნგრევა და განადგურება. ქვეყნად შავი სიკვდილი დათარეშობდა.

დამახასიათებელია სათაური ერთი თავისა ან-ნასავის თხზულებიდან, როცა იგი ხორასანის ამბავს აგვიწერს: „მოკლე აღწერა, თუ რა მოხდა ხორასანში სულთნის გაქცევის შემდეგ (ან კი რა საჭიროა დაწვრილებით მოგითხროთ, როცა ერთი ამბავი მეორესა ჰგავს — ყველგან სიკვდილი და ნგრევა)“

●

სიკვდილის წინ ხვარაზმშაჰ მოჰამედმა შვილებს მოუხმო და ძალაუფლება ჯალალ ად-დინ მანკბურნის გადასცა, თუმცა ადრე მეორე შვილი ჰყავდა გამოცხადებული ტახტის მემკვიდრედ. ალბათ ადრეც იცოდა, რომ შვილებში ყველაზე მამაცი, მტკიცე და ენერგიული სწორედ ჯალალ ად-დინი იყო, მაგრამ რაკიღა შაჰის დედას — თერქენ-ხათუნს — სძულდა ჯალალი, ხოლო დედის საწინააღმდეგოდ შაჰი მოჰამედი ვერაფერს გაბედავდა, ეტყობა, ამ შემთხვევაშიაც მოერიდა და თავიდან მეორე შვილი ჰყავდა გამოცხადებული მემკვიდრედ. მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა: ქვეყანა უკვე ინგრეოდა, შაჰი სიკვდილის პირას იყო, სულს ეყრებოდა, თან ისიც იცოდა, რომ დედამისი ტყვედ ჰყავდა ჩინგიზ ყაენს... და როგორც იქნა, გაბედა, ჯალალ ად-დინი გამოაცხადა მემკვიდრედ, მას გადაულოცა განადგურებული ქვეყნის მბრძანებლობა, მოუწოდა — არ გატყდე, მტერს ვაჟკაცურად შეუტიეო...

თავად რა ვაჟკაცობა გამოიჩინა მოჰამედმა, ეს უკვე ვნახეთ, და ახლა შვილს მოუწოდა გმირობისაკენ — ჩემ მაგიერ შენ უნდა იძიო შურიო, დაავალა, წელზე თავისი ხელით შეაბა ხმალი, და ამის შემდეგ ბევრი აღარც უცოცხლია.

ეს მოხდა 1220 წლის დეკემბერში, დაახლოებით იმ დროს, როცა მონღოლთა დიდი ლაშქრის ერთი ნაწილი გამოცდილი სარდლების ჯებესა და სუბუდაის წინამძღოლობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. როგორც უკვე ვიცით, ეს სარდლები მოჰამედის შესაპყრობად იყვნენ გაგზავნილები, მაგრამ იმდენი იწანწალა ხვარაზმის სულთანმა, რომ თავადაც აებნა თავგზა და მდევრებსაც გზაკვალი აურია. ამიტომაც არა ცდილან მონღოლი სარდლები ქვეყნის სიღრმეში შემოსვლას. მათ ხომ მტკიცე დავალება ჰქონდათ. არც ხვარაზმშას სიკვდილი გაუგიათ მაშინვე.

ასეთი იყო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნიდან არცთუ ძალიან დაშორებით, აღმოსავლეთში, როცა ერთ დროს ძლიერი და ერცელი, აწ

ფაქტიურად არარსებული სახელმწიფოს სულთანი ჯალალ ად-დიხი გახდა.

მოვლენები, რასაც ზემოთ გავეცანით, უშუალო შესავალია იმ დიდი ნგრევისა, რამაც ახლა უფრო დასავლეთით უნდა გადმოინაცვლოს. შუა აზიაში დანთებული ხანძარი ნელ-ნელა მოიწევს ჩვენი ქვეყნისაკენ.

თავი III

მონღოლთა ურდოები საქართველოსაც მოადგნენ

ჩვენი ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენები ✦ მონღოლთა ურდოები ზედიზედ იპყრობენ შუა აზიის ქვეყნებს ✦ ხვარაზმის ახალგაზრდა სულთნის დაუდევრობა ✦ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ჯალალ ად-დინმა ქართველებს შემოუთვალა, დამმორჩილდითო, რაც ომის გამოცხადებას ნიშნავდა ✦ ქართული ლაშქარი ივანე მხარგრძელის სარდლობით მტრის სამჯერ დიდი ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად მოემზადა

ძველი მწერლების საყვარელი გამოთქმაა — წუთისოფელი სცენაა და ამ სცენაზე ყველას თავისი როლი აქვს, თავთავის დროზე შემოდიან და გადიანო... ამჟამად ეს გამოთქმა გაგვახსენა არა იმდენად აქ ნაგულისხმევმა ფილოსოფიურმა აზრმა, არამედ უფრო გარეგნულმა ვითარებამ, იმან, რომ დიდი დრამის იმ ნაწილში – ანუ დროის იმ მონაკვეთზე — რომლის ამბებსაც ახლა ვყვებით, მართლაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა სამი მთავარი მოქმედი პირი: ჩინგიზ ყაენი, ჯალალ ად-დინი და, რაკიღა ჩვენი ქვეყნის ისტორიას ვეცნობით და დრამის მოქმედებაც სწორედ აქ იშლება, ქართველთა მეფე რუსუდანი.

დრამა ვახსენეთ. ძველ დრამას თავისი შეუვალი კანონები ჰქონდა... ერთ-ერთ ძირითად კანონს თუ დავიცავთ და მოქმედების ადგილს მტკიცედ შემოვფარგლავთ, მაშინ იმ სამთაგან ერთი მთავარი მოქმედი პირი სცენაზე სულაც არ გამოჩნდება, როგორც ზოგიერთ დრამაში ხდება ხოლმე. ჩვენ მას უშუალოდ ვერ შეეხვდებით, ჩვენი თვალთახედვის მიღმა მოქმედებს... ჩვენ მხოლოდ გვესმის ის საშინელებანი, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული, სხვათა გადმოცემით ვგებულობთ მის სისხლიან ამბებს, იმ არაადამიანურ სისასტიკეს, რაც მთელ ქვეყნიერებას აძრწუნებს და აზანზარებს...

ვისაც საქართველოს ისტორია ჯერ არ წაუკითხავს და მისი ცალკეული ეპიზოდები მხოლოდ ყურმოკვრით და სხვათა გადმოცემით იცის, იქნებ გაუკვირდეს კიდეც, როცა გაიგებს, ჩინგიზ ყაენი საქართველოში საერთოდ არა ყოფილა, და მონღოლთა მთავარი შემოსევა — ჩვენი ქვეყნის მათგან დაპყრობა — მის სიცოცხლეში არ მომხდარა, მერე მოხდა, უფრო მოგვიანებით... გაუკვირდება იმიტომ, რომ იმ ავადსახსენებელ ადამიანთაგან, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩადენილი ბოროტება და ენით გამოუთქმელი სისასტიკე, და რომელთაგან ზოგიერთს უკვე გავეცანით, ერთ-ერთ ყველაზე საშინელი სიავის ჩამდენ მტარვალად ხალხის მეხსიერებას სწორედ ჩინგიზ ყაენი შემორჩენია.

სამი მთავარი მოქმედი პირიო, ვთქვით და ბუნებრივია, ამან უფრო გაგვიცხოველა ინტერესი, გვინდა მეტი ყურადღებით მივადევნოთ თვალი მათ.

როგორ ავიდა სამეფო ტახტზე ძმის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი და რა ხდებოდა საქართველოში მონღოლების პირველი გამოჩენის მომდევნო წლებში, ეს ჩვენ უკვე ვნახეთ. აღმოსავლეთში კვლავ მეტად დაძაბული ვითარებაა: მონღოლების ურდოები ზედიზედ იპყრობენ შუა აზიის ქვეყნებს, ქალაქებს მიწასთან ასწორებენ, მოსახლეობას ჟლეტენ... ხვარაზმის დიდი სახელმწიფოს ძველმა მბრძანებელმა ვერ გამოიჩინა საჭირო სიბრძნე და სიმტკიცე... რას იზამს ახალგაზრდა სულთანი — მას თუ აღმოაჩნდება იმის ძალა, რომ მრისხანე მტერს გაუმკლავდეს და ქვეყანა სრული დაღუპვისაგან იხსნას?

ჩვენ უკვე მოვასწარით ახალი სულთნის გაცნობა, ვნახეთ, რომ მამისაგან განსხვავებით, რომელიც იმოდენა სახელმწიფოს მბრძანებელისთვის შეუფერებელმა სისუსტემ და გაუმართლებელმა მერყეობამ დაღუპა, ახალი შაჰი მამაცი, მტკიცე და შეუპოვარია. ასე ახასიათებს ჯალალ ად-დინს ყველა უცხოელი მემატიანე. ქვემოთ ვნახავთ, თვით მისი დაუძინებელი მტერი ჩინგიზ ყაენიც კი აღაფრთოვანა ახალგაზრდა ხვარაზმშას მამაცობამ და შეუპოვრობამ. აგერ, ქართველი ჟამთააღმწერელისეული დახასიათებაც:

„ჯალალდინ... იყო კაცი მხნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარ უხორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო...“

თითქოს ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს უკეთესი დახასიათება სახელმწიფოს მბრძანებლისა, მით უფრო, როცა ასეთი დახასიათების ავტორია არა შაჰისაგე ქვეშევრდომი — მისი მწიგნობარი და ისტო-

რიკოსი, არამედ სულ სხვა კაცი, მისგანვე დაპყრობილი ქვეყნისა და ხალხის შვილი...

თითქოს იმედი ჩაისახა — რაკიღა ასეთი ძლიერი პატრონი გამოუჩნდა იმ დიდ ქვეყანას, რაკი ხვარაზმის უთვალავი მხედრობა ასეთი „მხნე და შემმართებელი" სარდლის ხელში აღმოჩნდა, იმ კაცის ხელში, რომელიც აქამდე თვითონვე ჩასჩიჩინებდა მამას, ვრცელ ქვეყანაში გაფანტული ლაშქრისთვის თავი მოეყარა და აღმოსავლეთიდან დაძრულ მრისხანე მტერს მედგრად დახვედროდა, ახლა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერს იღონებს, და თუ პირველ ხანებში ადვილად ვერ დაამარცხებს, გასტეხს მაინც მტრის წინააღმდეგობას, მის ძლევამოსილ სვლას შეაჩერებს...

ბუნებრივია ვიფიქროთ, ასეთი იმედი მიეცემოდა არა მარტო ჩინგიზ ყაენისგან აწიოკებულ ხვარაზმის დიდი სახელმწიფოს ქვეშევრდომთ, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც, და, პირველ ყოვლისა, საქართველოს, რომელმაც უკვე გამოსცადა მონღოლთა მხედრობის მთელი სისასტიკე და რომელიც მისივე ახალი შემოსევის მოლოდინში უნდა ყოფილიყო.

ვითარების ლოგიკური ანალიზის მიხედვით, ჩვენ ალბათ იმასაც კი ველით, რომ საქართველოს მმართველობა არ დააყოვნებდა, რათა სამხედრო კავშირი შეეთავაზებინა შორეული მტერ-მოყვარე მეზობლისთვის. ასეთი კავშირი სავსებით ბუნებრივი და გამართლებული იქნებოდა. როგორც ითქვა, მოსალოდნელიც კი იყო. მით უმეტეს, საქართველოსთანა ქვეყნისაგან, სადაც რელიგიური შემწყნარებლობა უკვე ტრადიციად ქცეულიყო, სადაც მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობა და მეგობრობა ხალხს ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და სადაც ასეთი სამხედრო-პოლიტიკური კავშირები დასაბამიდანვე უცხო არ ყოფილა.

როგორც ითქვა, ასეთი კავშირის სასწრაფოდ შეკვრას ხვარაზმის ახალგაზრდა სულთანიც უნდა ცდილიყო. ბოლოს და ბოლოს, მან ხომ უკვე გამოსცადა, რა ძლიერი და სასტიკი მტერი შემოიჭრა მის ქვეყანაში. რა გულდაჯერებულიც არ უნდა ყოფილიყო, როგორი იმედიც არ უნდა ჰქონოდა თავისი ლაშქრისა, შექმნილი ვითარება მოითხოვდა, სახელმწიფოთა ურთიერთობის წესი უკარნახებდა, სასწრაფოდ შეეკრა კავშირი მეზობელ ქვეყნებთან, და მათ შორის დასავლეთის ძლიერ სახელმწიფოსთან — საქართველოსთან, რომელსაც საკუთარი, საკმაოდ ძლიერი მხედრობის გარდა, ჩრდილო კავკასიის ქვეყნებიდანაც შეეძლო ჯარის გამოყვანა. ეს უნდა სცოდ-

ნოდა ხვარაზმის ახალ მბრძანებელს. ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მონღოლთაგან უკვე ჭრილობამიყენებულ საქართველოსთან ადვილად შეიძლებოდა საერთო ენის გამოძებნა და თავისთვის ხელსაყრელ სამოკავშირეო ურთიერთობასაც ადვილად დაამყარებდა.

ასე უნდა განვითარებულიყო მოვლენები. მდგომარეობის ლოგიკური ანალიზი მოითხოვდა ამას.

ვეშურები მკითხველს შევახსენო, რომ ეს მხოლოდ მწარე სინანულია უკვე მომხდარი სავალალო ამბების შემდეგ. სინამდვილეში მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართა. ხვარაზმის ახალ მბრძანებელს ჯალალ ად-დინს არც პოლიტიკური და თუნდაც სამხედრო შორსმჭვრეტელობა აღმოაჩნდა და, სამწუხაროდ, არც თავისიანი მამაცობისთვის შესაფერი ვაჟკაცობა.

როგორი განწყობილება სუფევდა საქართველოში, ანუ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რა განწყობილება ჰქონდათ საქართველოს სამხედრო მესვეურებს, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ. და ისიც ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობა შეიქმნებოდა ახალგაზრდა გმირი მეფის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, როცა სამეფო ტახტზე გამოუცდელი ქალი დაჯდა და სამხედრო ხელისუფალთა უფლებები თავისთავად გაიზარდა.

თითქოს მთელმა ქვეყნიერებამ შეჰკრა პირი, ისე ემოქმედათ, რომ მონღოლებს გაადვილებოდათ საქმე. ხვარაზმის ახალგაზრდა სულთანს, ეტყობა, არც კი უფიქრია, სამოკავშირეო ურთიერთობა გაება სხვა ქვეყნებთან საერთო მტრის წინააღმდეგ. მან შვილის ვალი მოიხადა — მამის ცხედარი ძლივს ნაშოვნ სუდარაში გაახვია და იმავე პატარა კუნძულზე მიაბარა მიწას: ოღონდ დროებით, რათა როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი დრო დაუდგებოდა, გადაესვენებინა და ისფაჰანში დაემარხა. თვითონ კი ადგა და მცირე ამალის თანხლებით ხვარაზმისაკენ გაემართა, რათა დაფანტული ჯარი შეეგროვებინა და მის ქვეყანაში თავისუფლად მოპარპაშე მტრისთვის შეეტია, ის გაეკეთებინა, რასაც აქამდე ამაოდ ჩასჩიჩინებდა მამას. ჯალალ ად-დინს თან ახლდა თავისი ორი ძმაც. მოპამედი, როგორც ვიცით, 1220 წლის დეკემბერში გარდაიცვალა, ახალი სულთანი კი 1221 წლის დასაწყისშივე ჩავიდა ხვარაზმში.

ურგენჩში ახალგაზრდა სულთანს იმაზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, ვიდრე თავიდან შეეძლო წარმოედგინა. მდგომარეობა ძალიან დაძაბულიყო. თერქენ-ხათუნის იქიდან წასვლის შემდეგ შინაბრძოლები გამწვავებულიყო, ყველაფერი არეულიყო, ყველა

ჯგუფი ხელისუფლების მოპოვებას ცდილობდა და სხვას არავის სცნობდა... სულთან მოპამედის სიკვდილი რომ გაიგეს, სულ აიშვეს და აიწყვიტეს. ახალი სულთანი ვერაფრად ეპიტნავათ, სახელმწიფოს სათავეში ძლიერი და მტკიცე ადამიანი სულაც არ იყო მათთვის ხელსაყრელი და სასურველი.

როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ ახალ სულთანს თერქენ-ხათუნის მომხრეები. ისინი დაუკავშირდნენ ჯალალ ად-დინის ძმას უზლაღ-შაჰს და შეთქმულება მოაწყვეს — სულთანზე თავდასხმა მოამზადეს... შეთქმულების ამბავი გაიგო სულთნის ერთმა ერთგულმა ქვეშევრდომმა და მაშინვე შეატყობინა ჯალალ ად-დინს, ურჩია — სწრაფად გაეცალე აქაურობასო...

ჯერჯერობით ბედი სწყალობს ჯალალ ად-დინს, და ამით მარტო ის კი არ იგულისხმება, რომ შეთქმულების ამბავი დროზე გაიგო და თავდასხმას გაექცა... ამ გაქცევით იგი სხვა განსაცდელსაც გადაურჩა. ჩინგიზ ყაენი ამ დროს ჩრდილოეთ აღანეთის დაპყრობისათვის იბრძოდა, და როცა გაიგო, ხვარაზმშაჰ მოპამედის შვილები ურგენჩში დაბრუნდნენო, სწრაფად გაგზავნა იქით დიდი მხედრობა (საგულისხმოა, რომ ამ ლაშქრობაში ჩინგიზ ყაენის სამი შვილი მონაწილეობდა — ჩაღათა, უგედეი და ჯუჩი). ფეხად გამოასწრო ჩინგიზ ყაენის მხედრობას ახალმა სულთანმა. შეატყობინეს თუ არა შეთქმულების ამბავი, მაშინვე დატოვა ურგენჩი და სამასამდე ერთგული მხედრის თანხლებით ხორასანისკენ გაეშურა.

ხორასანში ჩასვლა ასე ადვილი არ იყო — მათ უნდა გადაეცალოთ ყარაყუმის ერცელი და საშინელი უდაბნო.

ხვარაზმის დედაქალაქიდან კი გაასწრო სულთ^ანმა შეთქმულებასაც და მონღოლებსაც, მაგრამ თურმე ხორასანშიაც საფრთხე ელოდა. ჩინგიზ ყაენს სიფრთხილე უხმარია, ბრძანება გაუცია, რათა უდაბნოს საზღვრის გასწვრივ, — ქალაქების მერვისა და შაჰრისტანს შორის, — ანუ იმ ადგილებში, სადაც უფრო მოსალოდნელი იყო სულთნის გამოჩენა, თუკი იგი ურგენჩიდან გაქცევასა და ხორასანისკენ წასვლას გადაწყვეტდა, — საგუშაგოები გაეძლიერებინათ და რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეეპყროთ ჯალალ ად-დინი.

ჩინგიზ ყაენის სიფრთხილე საფუძვლიანი გამოდგა და მისი ვარაუდიც გამართლდა: ჯალალ ად-დინი მართლაც შაჰრისტანის მახლობლად გამოვიდა უდაბნოდან და ქალაქ ნასაში მივიდა.

სწორედ აქ მოხდა შეტაკება ჯალალ ად-დინის მცირერიცხოვან მხედრობასა და მონღოლების რაზმებს შორის.

ასე დაწერილებით იმიტომ ვყვებით ჯალალ ად-დინის თავგადასავალს, რათა თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ მისი საოცარი მამაცობა და შეუპოვრობა, და გავითვალისწინოთ, რა წარმატებით შეეძლო მას შებრძოლებოდა მონღოლთა ურდოებს, ამ მამაცობის შესაფერი შორსმჭვრეტელობაც რომ ჰქონოდა...

ჯერჯერობით ბედი სწყალობსო, ზემოთ რომ ვთქვით ხვარაზმის სულთანზე, მარტო იმას კი არ ვგულისხმობდით, ხვარაზმის დედაქალაქიდან ისე იღბლიანად რომ გამოიქცა და შეთქმულებასაც დაღწია თავი და ურგენჩში მის შესაპყრობად გაგზავნილ მონღოლთა დიდ ლაშქარსაც, არა, ბედს სწორედ ახლა ეწია.

ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, რა ძნელი იქნებოდა ყარაყუმის ვრცელი უდაბნოს გადალახვა ისეთი სისწრაფით და ისეთ პირობებში, ხოლო ამას რომ წარმოვიდგენთ, აღარც იმის ეარაუდი იქნება ძნელი, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ დევნილი სულთნის მხლებლებიცა და განსაკუთრებით კი მათი ცხენები. სავაჭრო ქარავნები ჩვეულებრივ თექვსმეტ დღეს ანდომებდნენ ამ უდაბნოს გაელას, ჯალალ ად-დინმა და მისმა მხლებლებმა კი სულ რამდენიმე დღეში გადალახეს. არაქათი გამოლეული ჰქონდათ, ფეხზე ძლივს იდგნენ... სულთანი კი სწრაფად უნდა ჩასულიყო ხორასანის ერთ-ერთ დიდ ქალაქ ნიშაბურში. ნისადან ნიშაბურამდე კარგა დიდი მანძილი იყო, და საშინელ უდაბნოს გამოღწეულ სულთანს ახლა ახალი და კიდევ უფრო ძნელი საფიქრალი გასჩენოდა — რა მოეხერხებინა ამ დაქანცული ცხენებისთვის.

ამის ფიქრში იყო, რომ უცებ მონღოლების დიდმა რაზმმა გადაუჭრა გზა. ვაის გაეეყარე და ვუის შეეეყარეო — ამას ალბათ აღარ მოელოდა სულთანი. ჩინგიზ ყაენის საოცარი სამხედრო ნიჭი და ვერაგობა აქამდეც აკი ბევრჯერ გამოსცადა საკუთარ თავზე, მაგრამ იმ უდაბნოს თავდაღწეული და თითქოს სამშვიდობოს გამოსული, აქაც თუ მტერს შეეჩეხებოდა, ამას ვერც იფიქრებდა სულთანი, ძნელი იყო ამის წარმოდგენა... ერთბაშად გაიმართა ხელჩართული შეტაკება — სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა სულთნის ქანცგაწყვეტილ, უდაბნოში რამდენიმე დღის ძნელი მგზავრობით გატანჯულ, მშიერ-მწყურვალ მხედრობასა და მონღოლების დასვენებულ, წინასწარ საომრად განწყობილ რაზმს შორის.

ბედი მამაცს ანებივრებსო. საოცარი ამბავი მოხდა. სულთნის დაქანცულმა მხედრობამ არა თუ სძლია მონღოლების რაზმს, არამედ ერთიანად გაანადგურა... და ბედიც სწორედ ის იყო, უდაბნოზევე რომ

დახვდა მონღოლების რაზმი! მონღოლები უნებურად თვითონვე დაეხმარნენ მოწინააღმდეგეებს: თითქოს საგანგებოდ დაახვედრეს სამარქაფო ცხენები. სულთნის გამარჯვებულ მხედრებს ცხენების გამოცვლის საშუალება მიეცათ, მოახტნენ მონღოლების დასვენებულ ცხენებს და ნიშაბურისკენ გაქუსლეს. არ ვიცი, რა გეეშველებოდა, ნიშაბურამდე როგორ ჩავაღწევდით, თათრებს დასვენებული ცხენები რომ არ დაეხვედრებინათო, უთხრა თურმე ჯალალ ად-დინმა უფრო მოგვიანებით თავის მდივან-მწიგნობარს, როცა ამ ბრძოლის ამბავს იხსენებდა.

როგორც ითქვა, ჩინგიზ ყაენი ამ დროს უფრო აღმოსავლეთით არის, ახლანდელი აღანეთის მიწა-წყალზე იბრძვის, იქ იპყრობს ქალაქებს... თან კი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ჯალალ ად-დინის მოძრაობას. მოხუცი მტარვალი გრძნობს, რომ ახალი სულთანი ძლიერი მეტოქეა, მამას არა ჰგავს, და ჩინგიზ ყაენი ფრთხილად მოქმედებს; განუწყვეტელი ბრძოლებით თანდათან უახლოვდება ჯალალ ად-დინის საუფლისწულო მამულს და ქალაქ ღაზნას. თითქოს გული უგრძნობს, რომ დეენილი ნადირი, ადრე თუ გვიან, თავის ბუნაგს უნდა დაუბრუნდეს (მიახლოებითი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ეს ქალაქი — ღაზნა — ქაბულის მახლობლად მდებარეობს, მის სამხრეთ-დასავლეთით). სულ უფრო და უფრო ვიწროვდება და იკვრება რკალი ამ ქალაქის ირგვლივ.

მაგრამ რაც უფრო სამხრეთით მიიწევს ჩინგიზ ყაენი, მით უფრო უძნელდება, მით უფრო გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება, ადგილობრივი მოსახლეობა თავგანწირვით იბრძვის. და მით უფრო ძლიერდება მონღოლი დამპყრობელის სისასტიკე. სხვადასხვა ქვეყნების მემატიანეებს შემოუნახავთ კონკრეტული აღწერილობა ამ დაუნდობელი და გაუმართლებელი ხოცვა-ჟლეტისა, მაგრამ ყველას ვერ მოვიტანთ აქ; ანკი რა საჭიროა — ზოგადი წარმოდგენა, მგონი, უკვე შეგვექმნა მათ არაადამიანურ სისასტიკეზე. მხოლოდ ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო ისევ მტარვალის დასახასიათებლად. ამ ეპიზოდს რაშიდ ად-დინი გადმოგვცემს.

განსაკუთრებულ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ მონღოლები ბამიანის აღების დროს. ეს ქალაქი ქაბულის დასავლეთით მდებარეობს, მთებში, და ალბათ ადგილმდებარეობაც ხელს უწყობდა ქალაქის დამცველებს, დიდხანს გამკლავებოდნენ რიცხვით მათზე აღმატებულ მტერს. ქალაქისთვის ბრძოლაში ჩინგიზ ყაენის შვილიშვილიც მონაწილეობდა, ჩაღათას შვილი მუთუგენი, რომელიც ქა-

ლაქიდან გამოსროლილმა ისარმა სასიკვდილოდ დაჭრა. მეომრის დაჭრა ასეთ გააფთრებულ ბრძოლაში თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ისეთი ადამიანისთვის, რომელიც სადაც მივიდოდა, ყველგან სისხლის მორევს აყენებდა და გული გაქვავებული ჰქონდა. ასე არ მოხდა, — და იმიტომაც გავიხსენეთ ეს ფაქტი, იგი უფრო კარგად გვიხასიათებს მტარვალის ბუნებას, — შვილიშვილის მოკვლამ ისე გააბრაზა ჩინგიზ ყაენი, რომ შურისძიების ჟინით გაცოფებულმა, ქალაქის აღების შემდეგ, ბრძანება გასცა — გაეწყვიტათ არა მარტო ყველა მცხოვრები განურჩევლად, არამედ ყოველგვარი ცხოველი, შინაური თუ გარეული, რასაც კი ქალაქში წააწყდებოდნენ, ჩიტებიც ხეებზე... არც ერთი ტყვე აქედან არ წაეყვანათ, არავითარი ნადავლი არ წაეღოთ; როცა ყველაფერს გაწყვეტდნენ და ამოხოცავდნენ, ცეცხლისთვის მიეცათ ყველაფერი, ერთიანად დაენგრიათ და გაენადგურებინათ, გადაეხნათ, უდაბნოდ ექციათ, ისე რომ ამ ქალაქის აღორძინება აღარასოდეს აღარ ყოფილიყო შესაძლებელი. დამახასიათებელია, რომ ასეთივე ბნელმა შურისძიებამ მოიცვა ყაენი კიდევ ერთი ქალაქის აღების დროს, ხორასანში, სადაც მას სიძე მოუკლეს — ის ქალაქიც ასევე ააოხრა, გადაწვა და მერე გადაახნევინა, რათა სიცოცხლის ნიშანწყალი სავსებით გამქრალიყო.

ჯალალ ად-დინი ამასობაში ღაზნასაკენ მიემართება და გზადაგზა თავის ლაშქარს ამრავლებს. თანდათანობით შეუერთდნენ სხვადასხვა კუთხეების მმართველები — ზოგი ოცდაათიათასიანი ჯარით, ზოგი ორმოციათასიანით... ღაზნას რომ მიაღწია, უკვე დიდი ლაშქარი პყავდა; მემატიანეები სხვადასხვა ციფრს ასახელებენ და ერთმანეთს თუ შევუფარდებთ ამ ცნობებს, ასი ათასამდე მეომარი მაინც უნდა შეგროვებოდა ხვარაზმელ სულთანს.

ერთი სიტყვით, ჯალალ ად-დინი ღაზნაში ჩავიდა. სულთნის მემატიანეს თუ ვერწმუნეთ, ქალაქის მცხოვრებლები დიდი სიხარულითა და იმედით შეხვედრიან თავიანთ მბრძანებელს — როგორც გვალვისგან გატანჯული შეხვდება ჟუჟუნა წვიმასო, აღმოსავლური მაღალფარდოვნებით გადმოგვცემს ან-ნასაი.

ორი დიდი მტარვალი ერთმანეთს მიუახლოვდა... და აღარც დაუყოვნებიათ, ერთმანეთთან შესახვედრად დაიძრნენ. ჩინგიზ ყაენი ჩრდილოეთით არის, ჯალალ ად-დინი კი სამხრეთიდან, თავის ქალაქ ღაზნადან ნელ-ნელა მიიწევს ჩრდილოეთისკენ; ამითაც ეტყობა, რომ გული არხეინად აქვს — უკვე მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს და

გამარჯვებაში დარწმუნებულია. გადამწყვეტი ბრძოლა ახლოვდება.

ეს ბრძოლა 1221 წლის ზაფხულის მიწურულს გაიმართა, ქაბულის ჩრდილოეთით, ფერვანთან. ზოგი წყაროს მიხედვით, მონღოლებს ოცდაათი ათასი მეომარი ჰყოლიათ ამ ბრძოლაში, ზოგის მიხედვით — ორმოცდახუთი ათასი; ჯალალ ად-დინის მხედრობა, ეტყობა, რიცხვით გაცილებით სჭარბობდა. იმიტომაც არის გამარჯვებაში დარწმუნებული სულთანი.

ფერვანის გენერალური ბრძოლის წინ ჯალალ ად-დინის მხედრობა ჯერ მონღოლების მეწინავე რაზმს შესტაკებია (ფერვანის ოდნავ სამხრეთით) და სამდღიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ უკუუქცევია. იბნ ალ-ასირი ამ ბრძოლას ჯალალ ად-დინის პირველ გამარჯვებას უწოდებს. სრულ განადგურებას იმან გადაარჩინა მონღოლების მეწინავე რაზმი, რომ უკუქცეულები მდინარე ფანჯშირზე გავიდნენ და ხიდის ჩანგრევა მოასწრეს, მოწინააღმდეგეს საშუალება მოუსპეს, დასდევნებოდა.

მაგრამ, როგორც ითქვა, ეს მხოლოდ მეწინავე რაზმთან შეტაკება იყო და სრულ გამარჯვებას არ ნიშნავდა. გადამწყვეტი ბრძოლა წინ ელოდათ მოწინააღმდეგეებს. ჯალალ ად-დინი, რაღა თქმა უნდა, თვითონვე გრძნობდა, რომ მონღოლები ასე ადვილად არ დაჰყრიდნენ ფარ-ხმალს. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ გააცოფებდა ხოლმე მონღოლებს ყოველი მარცხი, თუნდაც პატარა და უმნიშვნელო.

ამას რომ გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა გამძვინვარებით დაიძრებოდა მონღოლების ძირითადი ლაშქარი, რომელსაც ჩინგიზ ყაენმა გამოცდილი სარდალი, თავისი ახლობელი და ერთგული ადამიანი, ერთ-ერთი ცოლის შვილობილი — შიქი-ყუთუყუ უწინამძღვრა...

სწორედ ეს ბრძოლა მოხდა ფერვანთან და მონღოლთა სრული განადგურებით დამთავრდა. ეს უკვე ჯალალ ად-დინის მეორე გამარჯვება იყო.

მემატიანეები დაწვრილებით აღწერენ, რა გააფთრებით იბრძოდნენ მოწინააღმდეგენი. ჯალალ ად-დინს მარტივი სამხედრო გეგმა ჰქონდა — მთელი ჯარი სამ ნაწილად დაჰყო, ცენტრს თავად ხელმძღვანელობდა, მარჯვენა და მარცხენა ფლანგები კი გამოცდილ სარდლებს ჩააბარა. რა სამხედრო ხერხსა და ეშმაკობას არ მიმართა ჩინგიზ ყაენის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა სარდალმა, საიდან არ სცადა გაერღვია ფრონტი, მაგრამ ყველგან შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა, და ორი დღის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ,

როგორც ითქვა, იძლია. თვითონ გადარჩა, მაგრამ მეომრები თითქმის სულ გაუჟლიტეს. და სასტიკად დამარცხებული, დიდი ჯარის ნაშთებითღა დაბრუნდა ჩინგიზ ყაენთან.

როგორც ითქვა, ეს იყო ჯალალ ად-დინის ზედიზედ მეორე ბრწყინვალე გამარჯვება და მონღოლების პირველი ყველაზე მწარე მარცხი.

ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდა ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ჯალალ ად-დინი — უკვე დამთავრებულად თუ მიაჩნდა ყველაფერი... მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს არ ყოფილა საბოლოო ბრძოლა; გადამწყვეტი ბრძოლა თურმე წინ იყო.

ჯერ კი გამარჯვებით გალაღებული მხედრობა ნადავლის განაწილებას შეუდგა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო — ყოველი დიდი ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული ნადავლსაც მოიპოვებდა ხოლმე, და მერე ამ ნადავლს ინაწილებდნენ. მით უმეტეს, ახლა, მემატიანეების ცნობით, ჯალალ ად-დინის მხედრობას ძალიან დიდი ნადავლი ჩაუგდია.

სწორედ ამ ნადავლმა დაღუპა ჯალალ ად-დინიცა და მისი ჯარიც.

ძნელი დასამყარებელია წესრიგი, როცა სარდალს ასეთი ჭრელი შემადგენლობის მხედრობა ჰყავს. გამარჯვების შემდეგ, ეტყობა, ყველას გაზვიადებულად მოეჩვენა თავისი წელილი, და ნადავლის გაყოფის დროს ყველამ ლომის წილი მოინდომა. ჩხუბი მოუვიდათ, და არა მარტო უბრალო მეომრებს, არამედ სარდლებსაც. ორივე ფლანგის სარდლებს ერთი ნადავლი ცხენი მოსწონებია. ვერანაირად ვერ მორიგებულან, არც ერთმა არ დათმო. ვერ მორევიან სიხარბეს და მეომრების თვალწინ მეტად უკადრისად წაკინკლავებულან. მარჯვენა ფლანგის სარდალი სულთანს ნათესავად მოხვდებოდა და, ეტყობა, უფრო დიდ გულზეც იყო — გაბრაზდა, ამას როგორ მიბედავენ, როგორ მეცილებიანო, მოიქნია მათრახი და თავზე გადაუჭირა მარცხენა ფლანგის სარდალს... — ეს, რა თქმა უნდა, დიდი დანაშაული იყო, მით უმეტეს, ომის დროს, რომლის ბედი იმ ვითარებაში, წინა ბრძოლებში ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, არ შეიძლებოდა გადაწყვეტილად მიეჩნიათ გამოცდილ სარდლებს.

ამინ-მალიქი (მარჯვენა ფლანგის სარდალი) უსათუოდ დასჯას იმსახურებდა. ეს იქნებოდა ერთადერთი სამართლიანი გადაწყვეტილება, და მაშინ შეიძლებოდა წესრიგი აღმდგარიყო. მაგრამ ჯალალ ად-დინმა დასასჯელად ვერ გაიმეტა თავისი ახლობელი. და დიდი

შეცდომაც მოუვიდა. შერცხვენილმა და განაწყენებულმა სარდალმა დაჰკრა ფეხი და წავიდა, გაეცალა, თან გაიყოლა თავისი ორმოცი ათასი მეომარი.

განაწყენებულ სარდალს თავისი მომხრეები აღმოაჩნდნენ და ისინიც გაჰყვნენ (თავთავიანთი მხედრობით). ჯალალ ად-დინს მარტო თავისი ნათესავი შერჩა.

ადვილი წარმოსადგენია სულთნის მდგომარეობა. როგორ წარმოიდგენდა, ასე თუ გამწვავდებოდა საქმე, რას იფიქრებდა, ნადავლის გაყოფა და ცხენისთვის წაკინკლავება დიდ განხეთქილებად თუ გადაიქცეოდა. ახლაღა აწრიალდა ჯალალ ად-დინი. დატრიალდა — ხან ერთს ეხვეწა, ხან მეორეს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ძირითადი ნაწილი თავისი დიდი ლაშქრისა გაეცალა...

მკითხველი ალბათ გრძნობს კიდეც, რომ ჩინგიზ ყაენი ფერვანთან სასტიკ დამარცხებას ვერ შეურიგდებოდა და ისევ დასძრავდა თავის მხედრობას ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. რაღა თქმა უნდა, იგი უსათუოდ გაიგებდა მოწინააღმდეგის მხედრობაში მომხდარ განხეთქილების ამბავს და შეტევას დააჩქარებდა, რათა მოწინააღმდეგისთვის საშუალება მოესპო ახალი ლაშქრის შეგროვებისა. ყაენი ახლა თავად წამოუძღვა ჯარს.

ჯალალ ად-დინმა რომ გაიგო, ყაენი თვითონვე დაიძრა დიდი ჯარითო, ერთბაშად დაფრთხა (ამას არც მისი ერთგული მწიგნობარი მალავს), აშკარა იყო, ასეთ ვითარებაში იგი მოწინააღმდეგეს ვერ გაუმკლავდებოდა, და უკან დახევა იწყო; სამხრეთით დაეშვა და ნელ-ნელა თავისივე ქალაქ ღაზნაში დაბრუნდა.

ამასობაში რამდენიმე დღე გავიდა. მოწინააღმდეგე შეუჩერებლივ მოიწევდა, საშუალებას არ აძლევდა სულთანს, ჯარის შეკრებისთვის ეზრუნა. ღაზნას რომ მიუახლოვდა ყაენი, ჯალალ ად-დინმა, ბუნებრივია, აქაც აარიდა თავი ბრძოლას და დარჩენილი ჯარით ქალაქიდან გავიდა, გადაწყვიტა მდინარე ინდისკენ დაეხია: თუ იქითაც გასდევდა მოწინააღმდეგე, თავის ჯარს გემებზე დასხამდა და მდინარეს გადასცურავდა, რამდენიმე ხნით გაეცლებოდა იქაურობას; მერე განაწყენებულ სარდლებს შეირიგებდა, ან არადა, ახალ ძალებს შემოიკრებდა, და კვლავ გაუმართავდა ბრძოლას მრისხანე მტერს.

ასე ფიქრობდა ხვარაზმის სულთანი, მაგრამ ცბიერი ყაენი მიუხვდა და მდინარისკენ გზა გადაუჭრა, იძულებული გახადა, ბრძოლაში ჩაბმულიყო, გარდა იმისა, რომ სისხლით გაუმაძღარ ყაენს შურისძიება სწყუროდა წინა ბრძოლებში განცდილი მარცხისთვის, მას

მამაცი სულთნის თავისუფლად გაშვებაც აფიქრებდა: ცბიერ დამპყრობელს თავისი გეგმები ჰქონდა — თითქოს გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს, უნდოდა ჩქარა მოეთავებინა საქმე შუა აზიაში, რომ მერე მთელი ძალები დასავლეთისკენ დაეძრა და მსოფლიო ბატონობა მოეპოვებინა. კარგად ჰყავდა შესწავლილი ახალგაზრდა სულთანი, იცოდა მისი დაუდგრომელი ბუნება, და ახლა თუ არ შეიპყრობდა და თავის ნებაზე გაუშვებდა, ამით საქმეს გაირთულებდა, თავისსავე სამომავლო გეგმებს დააბრკოლებდა.

ერთი სიტყვით, მოახლოდა დრო, როცა ორი დიდი მტარვალი ხელჩართულ ბრძოლაში უნდა შეხვდეს ერთმანეთს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ახლავე ითქვას — ეს ბრძოლა თანაბარი ვერ იქნება, ერთი ურიცხვ ლაშქარს მოუძღვის, მეორე კი ძლივს აკავებს იმ უაზრო განხეთქილების შემდეგ შემორჩენილი ჯარის ნაშთებს. თანაც, — ესეც საგულისხმოა, — ჯალალ ად-დინი ამ დროს ავად იყო: მისი მემატიანე გადმოგვცემს, ისეთი ჭვალები ჰქონდა, რომ ტკივილისგან იწმახნებოდა და ცხენზე ძლივს მაგრდებოდაო.

ღაზნადან გასული სულთანი ამ დროს მდინარეს უახლოვდებოდა. და იქნებ გაესწრო კიდეც მშვიდობიანად, მაგრამ რაღაცამ წამოუარა: როცა გაიგო, ყაენის მეწინავე რაზმი გადიზში შევიდაო (ეს ქალაქი ღაზნას აღმოსავლეთით მდებარეობს, მდინარე ინდის მიმართულებით, ღაზნადან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით), ძნელი სათქმელია, რისი იმედით, შემობრუნდა, ღამით იარა და ის-იყო თენდებოდა, როცა მოწინააღმდეგეს დაესხა. გამოფხიზლება არ აცალა და, ბუნებრივია, დიდი ზარალიც მიაყენა. ეს იყო უკანასკნელი გამარჯვება — თუკი შეიძლება გამარჯვება ეწოდოს. ამ ცნობას მხოლოდ სულთნის მემატიანე გადმოგვცემს, და თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ, ეტყობა, ახალგაზრდა სულთანს დიდი შეცდომა მოსვლია, გულისთქმას ვერ მორევია: როგორც ითქვა, მან ამით მდინარის გადალახვა დაგვიანა და მოწინააღმდეგეს გაუადვილა საქმე.

როგორც მოსალოდნელი იყო, სულთნის შეუპოვრობამ კიდევ უფრო გააცოფა ჩინგიზ ყაენი და ახლა მეტი სისწრაფით გაემართა. ჯალალ ად-დინმა კი დაგვიანა, გემებს ვეღარ მოუყარა თავი, რითაც ჯარი უნდა გადაეყვანა გაღმა; მხოლოდ ერთი გემი აღმოჩნდა ნაპირთან, — როგორც შემდეგ გამოირკვა, ისიც დაზიანებული, — და ამ გემზე დედა, ცოლები და ახლობლები დასხა... და გამოჩნდა კიდეც ჩინგიზ ყაენი.

ეს იყო 1221 წლის 25 ნოემბერს.

მდინარის გადალახვაზე უკვე ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ეს აღარ მოესწრებოდა. შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ჯალალ ად-დინი ან უნდა დანებებოდა მოწინააღმდეგეს (და ვინ იცის, ეს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა თუ არა), ან ხმალი შეემართა და განწირულ ბრძოლებში ჩაბმულიყო.

ამას ჩვენ ვამბობთ ასე, თორემ ხვარაზმის სულთნისთვის ასეთი არჩევანი, ეტყობა, არ არსებულა — მას ფიქრის დროც კი აღარ ჰქონდა, ხმალი იშიშელა და გააფთრებით ეკვეთა მოწინააღმდეგეს. გაიმართა ისეთი მძვინვარე ბრძოლა, რომ იმასთან შედარებით ყველა წინა ბრძოლები საბავშვო თამაშობას ჰგავსო, წერს იბნ ალ-ასირი...

საგულისხმოა სათაური წიგნის იმ მონაკვეთისა, სადაც ამ ბრძოლის ამბავს გადმოგვცემს სულთნის მემატიანე: „ამბავი ჯალალ ად-დინს და ჩინგიზ ყაენის შერკინებისა მდინარე ინდის ნაპირზე, ხოლო ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, და ერთ-ერთი უსაშინელესი უბედურება“.

თავისთავად იგულისხმება, რომ ისეთ ვითარებაში ორივე მხარეს ბევრი გაიჟლიტებოდა, მაგრამ, მემატიანეების ცნობით, მონღოლთაგან გაცილებით მეტი დაცემულა. ოღონდ საქმე ის არის, რომ იმავე მემატიანეების გადმოცემით, მონღოლები ამჯერად აურაცხელნი ყოფილან.

სულთანი მოწინააღმდეგის შუაგულში შეიჭრაო, ნასავი გადმოგვცემს. და პირველივე შეტაკებით გატეხეს კიდეც მონღოლების წინააღმდეგობა...

ასე მოეჩვენა სულთანსაც და მის მეომრებსაც. მაგრამ, როცა გულმოცემულები, „დამარცხებულ“, „უწესრიგოდ გაქცეულ“ მონღოლებს გამოედევნენ, ყველაფერი აშკარა გახდა. ჩინგიზ ყაენს თავისი საყვარელი სამხედრო ეშმაკობა გამოუყენებია — ის ხერხი, რითაც ჯებემ და სუბუდაიმ ბოლო ბრძოლაში ქართველები დაამარცხეს, — იქვე ათიათასიანი რაზმი ჰყოლია ჩასაფრებული, მათ გაატარეს უკან დადევნებული მხედრობა სულთნისა, საფარიდან გამოვარდნენ, ზურგს უკან მოექცნენ მოწინააღმდეგეს და უწყალო ჩეხვა დაუწყეს. სხვათა შორის, ამავე ბრძოლაში მოკლეს ის სარდალი სულთნისა, ვის გამოც ამის წინ ხვარაზმელთა ჯარი დაიშალა და გაიფანტა.

ჩინგიზ ყაენის ბრძანება იყო, სულთანი ცოცხლად შეეპყრათ. მონღოლებმა ალყაში მოიქციეს ჯალალ ად-დინი. წრე თანდათანობით ვიწროვდებოდა. და მხოლოდ საოცარი მამაცობის წყალობით,

ყველას გასაკვირად, ახალგაზრდა სულთანმა გაარღვია რკალი და გავიდა, პირდაპირ მდინარეს მიადგა. უკან — შემართული ხმლები მოსდგომოდა, და წინ — ვეებერთელა მდინარეო, წერს მემატიანე. ბრძოლის ჩახჩუხიდან გამოსულს ერთბაშად სწორედ მდინარიდან შემოესმა განწირული კივილი — დაზიანებული გემის ბანზე დედა და ცოლები გამოშლილიყვნენ, ხელები შეემართათ და სასოწარკვეთილი ადამიანების განწირულებით კიოდნენ, შველას ითხოვდნენ, სულთნის მემატიანეს თუ ვერწმუნეთ, დაგეხოცეთო, ითხოვდნენ, ტყვეობას სიკვდილი გვირჩევნიაო... ასე წერს ნასავი, მაგრამ ვინ გაარჩევდა, სინამდვილეში რას ითხოვდნენ საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანები.

ჯალალ ად-დინს ფიქრის დრო არცა ჰქონდა, ერკვია, რას მოითხოვდნენ განწირული დედა და ცოლები. მდევრების ყიჟინა სასტიკი სისწრაფით უახლოვდებოდა; მან ხელით ანიშნა, ჩაეძირათ გემი და თვითონ კი მდინარეში შეაგდო ცხენი. დედა, ცოლები, შვილები სულთნისა ხელადვე ჩაიხვია დიდი მდინარის ტალღებმა და გააქანა...

მხოლოდ ერთი შვილი გადაურჩა დახრჩობას, 7-8 წლის ბიჭუნა, იგი ბრძოლის დროსვე შეეპყროთ და მერე დიდ მბრძანებელს მიპგვარეს. მოწინააღმდეგის გაქცევით გულდაწყვეტილ ყაენს ამით მაინც ასიამოვნეს: სულთნის შვილი მოჰგვარეს და იქვე აკუწეს ჩინგიზ ყაენის თვალწინ; მამის სისხლმოწყურებულს, შვილის სისხლით ოდნავ მაინც მოუკლეს შურისძიების წყურვილი...

მაგრამ ისევ ჯალალ ად-დინს მივუბრუნდეთ.

სულთანი და მისი ცხენი მდინარის ტალღებს მიაპობდნენ. ცხენიც მამაცი პატრონის ღირსი გამოდგა... შემაძრწუნებელი სიდიადის გამომხატველი სანახაობა იყო: სტიქიასთან შეჭიდებული ადამიანი და მისი ერთგული პირუტყვი — ერთ სხეულად შენივთებული, ერთ არსებად ქცეული; თითქოს ღმერთი საგანგებოდ ცდის თავისივე გაჩენილ არსებათა სულიერ მხნეობასა და გამძლეობასო... ძველ მითებში სტიქიასთან ასეთი შეჭიდება ღმერთების თვალწინ, მათივე ნებით ხდება ხოლმე...

ჩინგიზ ყაენი ნაპირზე იდგა და გაოცებული გაჰყურებდა ამ საოცარ სანახაობას, ალბათ ერთადერთსა და განუმეორებელს. მაგრამ ამ სურათით შეძრულს კი არ წარმოუთქვამს ეს სიტყვები: „მამას ამისთანა შვილი უნდა ჰყავდეს!.. ამ საშინელ განსაცდელს რომ დააღწევს თავს, ასეთი კაცისგან ყველაფერს უნდა ელოდო“.

ჩინგიზ ყაენის ეს სიტყვები მემატიანეების გადმოცემით ვიცით, და ახლა ბევრ გამოკვლევასა და ნარკვევში შეხვდებით. ზოგი ამის მიხედვით მონღოლ დამპყრობელს წარმოგვიდგენს, როგორც ღირსეული მეტოქის ღირსეულ დამფასებელ ვაჟკაცს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასე იყოს. მაშინ ის როგორღა ავხსნათ, თითქმის იმავე წუთში, იქვე სულთნის შვიდი წლის ბავშვი რომ მოაკვლევინა!.. სინამდვილეში ერთიცა და მეორეც — ჩინგიზ ყაენიცა და ჯალალ ად-დინიც — ულმობელი მტარვალები იყვნენ, ხოლო მტარვალი, რომელსაც არაეითარი გულმოწყალება არ გააჩნია და გაუმართლებლად და განურჩეველად მუსრს აელებს ყველა სულდგმულს, ჭეშმარიტი ვაჟკაცობისგან, რაღა თქმა უნდა, შორსა დგას. ზემოთ მოტანილი სიტყვები კი ჩინგიზ ყაენმა წარმოთქვა მეტად ციკი და პრაქტიკული ანგარიშით — თავისივე შვილების გასაგონად, რომლებიც ერთმანეთშიაც მტრობდნენ (ამით კი ბევრი ზიანი მიაყენეს ყაენს) და რუმ-ჩუმად მამის უკმაყოფილონიც იყვნენ. ყაენის ყურამდეც მიეღწია ხმას, ერთ-ერთი შვილი, ჯოჩი, მოკვლას გიპირებსო; მერე ისე სწრაფად გაქრა ეს ჯოჩი, რომ არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ, მამამ მოაწამლინაო...

მდინარეში დადევნებას აზრი აღარ ჰქონდა, და მერე გაგზავნა ყაენმა ინდოეთში დიდი რაზმი (20.000 მეომარი!) სულთნის შესაპყრობად. როგორც ითქვა, იგი ვერ მოისვენებდა, სანამ ხვარაზმის სულთანს ან ცოცხალს არ შეიპყრობდა და ან არ მოაკვლევინებდა. მაინც ვერ შეიპყრეს სულთანი – მონღოლებმა ინდოეთის სიცხეს ვერ გაუძლეს და ხელცარიელი დაბრუნდნენ.

მკითხველი იქნებ დააინტერესოს იმ ცხენის ბედმაც, რომელსაც ჯალალ ად-დინზე ნაკლები სიმამაცე და შეუპოვრობა როდი აღმოაჩნდა — მან ადამიანის შესაფერი სულიერი გამძლეობა გამოიჩინა, რათა პატრონი გადაერჩინა... მადლიერების ნიშნად პატრონმა გადაწყვიტა, სადაც წავიდოდა, ყველგან თან წაეყვანა პირუტყვი, ოღონდ ზედ არ შემჯდარიყო. სულთნის მემატიანის ცნობით, მერე თბილისშიაც ჩამოუყვანია ეს ცხენი ხვარაზმის სულთანს... საგულისხმოა სულთნისავე თანამედროვე პოეტის სტრიქონები, ჯალალ ად-დინისადმი მიძღვნილი: „შენებრ, რომელ ხელმწიფეს შეუძლია დაიკვეხნოს — ჩემს ცხენს ინდის წყალი ეასვი და თბილისს ქერი ვაჭამეო...“

ამრიგად, სულთანს ველარ მისწვდა ჩინგიზ ყაენი, და მწველი შურისძიების ჟინის დასაცხრობად უფრო იოლი გზა გამოძებნა —

ჩამოუარა და იმ ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების ნგრევას მოჰყვა, სადაც ჯალალ ად-დინისგან ამას წინათ გაქცეულ, განაწყენებულ სარდლებსა და მეომრებს შეეფარებინათ თავი.

რამდენიმე წელს კიდევ არბია ჩინგიზ ყაენმა შუა აზიის ქვეყნები და ქალაქები, მოსახლეობა ჟლიტა, სადაც კი მიეიდა, სისხლის ნიაღვრები დააყენა, სიცოცხლე ჩაკლა.. მაგრამ სისხლით ვერა და ვერ გაძღა. სულ ომსა და ბრძოლაში იყო — ყოველწლიურად, წლის ყოველ თვესა და ყოველ დღეს... რამდენი ხმალი მოუღერებიათ მისთვის, რამდენი ისარი უტყორცნიათ, რამდენი ჩუგლუგი, შუბი და აფთი შემართულა მის მოსაკლავად, მაგრამ არაფერი არ ეკარებოდა, თითქოს უხორცო იყო... თავად სიკვდილის მთესს, სიკვდილი გაურბოდა... და ბედის დაცინვაა, აბა რა შეიძლება ამას ეწოდოს — სულ უბრალო შემთხვევამ იმსხვერპლა. ნადირობა უყვარდა და სწორედ ეს გატაცება გამოდგა საბედისწერო. ხვარაზმშაჰის საბრძანებლიდან დაბრუნების შემდეგ საკუთარ ქვეყანაში, ნადირობის დროს ცხენიდან ჩამოვარდა და დაშავდა, ტახმა კინაღამ გაგლიჯა. უკვე მოხუცი იყო და ადვილად დასნეულდა. საამქვეყნო პირი უკვე აღარ ჰქონდა, მაგრამ სისხლის წყურვილი არც ახლა დასცხრომია და მისი ყოველი ბრძანება ამის შემდეგაც ხალხის განუწყვეტელ ხოცვა-ჟლეტას შეიცავდა...

გადმოცემით, ჩინგიზ ყაენი რომ დაიბადა, მარჯვენა ხელში შედედებული სისხლი ეჭირა. და 72 წლის მოხუცს სიკვდილმაც მაშინ მოუსწრო, როცა ხელები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი: უკვე დასნეულებული იყო, როცა უკანასკნელ ბრძოლაში წავიდა; ეტყობა, იგრძნო აღსასრულის მოახლოება და განგებ წავიდა ომში, რათა შინ მოსვენებულად არ დაელია სული... ბრძოლის დროს ცუდად შეიქნა და როცა სულის ამოხდომის ჟამი დაუდგა, მისი უკანასკნელი ბრძანება ყოფილა, ასაღებად გამზადებული ქალაქის მოსახლეობა ერთიანად გაეჟლიტათ და ქუჩებში სისხლის ნიაღვრები დაყენებინათ... თუმცა წინასწარ მოახსენეს, მოწინააღმდეგის ქალაქი მორჩილებას გვიცხადებს და გვნებდებაო...

გარდაიცვალა ჩინგიზ ყაენი 1227 წლის აგვისტოში.

ჯალალ ად-დინმა რამდენიმე წელი დაპყო ინდოეთში. და, ეტყობა, შემთხვევითი არ არის, რომ მისი ინდოეთიდან წასვლა ჩინგიზ ყაენის მონღოლეთში დაბრუნებას ემთხვევა. ეს მოხდა 1225 წელს. აშკარად ჩანს, სულთანმა ვერ გაბედა ინდოეთიდან წამოსვლა, სანამ მის სამფლობელოში ჩინგიზ ყაენი თავად თარეშობდა. იმ საბედისწერო შეტაკებისა და დამარცხების შემდეგ, ეტყობა, მონღოლების მიმართ შიში შეჰპარვია. ოთხი ათასი მეომარი ახლდა თან ხვარაზმის სულთანს, როცა ინდოეთიდან ქერმანში მივიდა, და საინტერესო და საგულისხმო ის არის, რომ ეს მეომრები ყველანი ცხენებზე კი არ ყოფილან ამხედრებულნი, ზოგნი ძროხებსა და სახედრებზე ისხდნენ...

ასეთ დღეში იყო ხვარაზმის სულთანი, როცა სამშობლოში დაბრუნდა. და საგულისხმოა, რომ სულ ცოტა ხანში ზღაპრული, ჩინებულად შეიარაღებული დიდი არმიის სარდალი გახდა. საოცარი სისწრაფით მოიარა მან ირანის ქალაქები. თითქმის ყველგან მორჩილებით ხვდებოდნენ სულთანს, ყველგან ძვირფას საჩუქრებს მიართმევდნენ ხოლმე. თუ ვინმე ურჩობას გაბედავდა, იმას ადვილად გატეხდა და იმის საბრძანებელს აიკლებდა, რათა სხვებს აღარ გაებედათ ურჩობა...

ქერმანის შემდეგ შირაზში რომ მივიდა (როგორც ხედავთ, გეზი დასავლეთით აქვს აღებული ხვარაზმის სულთანს), იქაურმა ათაბაგმა სრული მორჩილების ნიშნად გზაშივე მიაგება 500 ცხენი, ოქროვერცხლი და ათასგვარი ფარჩეული, მონები... და თავისი ქალიც მიათხოვა (ეს ქალი, ეტყობა, განსაკუთრებით შეუყვარდა სულთანს: უმძიმესი განსაცდელის დროს, როცა უკვე სასიკვდილოდ იყო განწირული და ველარაფერი უშველიდა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილსა და ბედს შერიგებულს, სწორედ ეს ქალი გაახსენდა)... აქვე მიეახლა მას იეზდის ათაბაგი, მორჩილება გამოუცხადა და, შენი ვარსკვლავის ამობრწყინებას მიეესალმებიო, მოახსენა. იმდენი მონა და საჩუქარი მიართვა, რომ ტევა აღარ იყოო, მემატიანე შენიშნავს...

სულთანიც, თავის მხრივ, სხვადასხვა წოდებებს ანიჭებს მათ — ზოგს ყარინდაშ-ხანობას უბოძებს (ანუ „ძმა-ხანი“), ზოგს ათა-ხანობას („მამა-ხანი“)... ეს წოდებები ძვირი არ უჯდება, და ისიც გულუხვობას იჩენს. შირაზიდან ისფაჰანში მივიდა სულთანი და აქაური ყადიც იმგვარივე მორჩილებით შეხვდა. ყველაზე სანუკვარი საჩუქარი — რაც იმჟამად ძალიან სჭირდებოდა სულთანს — სწორედ ისფაჰანის

მმართველს მოემზადებინა: დიდი რაოდენობით იარაღ-საჭურველი მხედრობისათვის. სულთანსაც და მის მეომრებსაც გულს მოეფონათო, მემატიანე წერს: ახლა მათ უკვე ჩასაცმელიც ჰქონდათ და იარაღ-საჭურველიცო. და იქვე დასძენს: მახლობელი მხარის ერთერთმა ათაბაგმა რომ გაიგო, რა მძიმე დღეში იყო სულთანი, თავისი მხედრობა შესთავაზა — 30.000 მეომარიო...

ასე და ამნაირად, ჯალალ ად-დინმა, ძველი მდგომარეობა აღიდგინაო, წერს მისი მემატიანე. ხანები და ამირები მოდიოდნენ და პატიებას სთხოვდნენ (ძველი ურჩობისა და უნებური და იძულებითი ღალატის გამო), ცხვირ-პირი ტალახით მოეთხვარათ და თავი მდაბლად დაეხარათ... შიშმა აიძულა ისინი, ციხე-სიმაგრეებიდან გამოსულიყვნენო.

ასე თანდათანობით მრავლდებოდა ჯალალ ად-დინის ლაშქარი. და სულ მალე იგი მრისხანე ძალად იქცა.

მკითხველი, ბუნებრივია, მოელის, რომ ხვარაზმის ახალგაზრდა შაჰი, რომელიც თავს მთელი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა ქომაგად და მფარველად თვლის, ამ მრისხანე ძალას მონღოლების წინააღმდეგ დასძრავს, რომელთაც ქვეყანა დაუნგრიეს, ქალაქები მიწასთან გაუსწორეს, მეურნეობა გაუნადგურეს, მოსახლეობა გაუჟლიტეს, რჯული შეუგინეს. ასეთი უნდა ყოფილიყო ლოგიკური გაგრძელება მისი ცხოვრებისა და მმართველობისა...

ასე არ მოხდა. და იქნებ არა მარტო იმიტომ, რომ ინდთან იმ საბედისწერო ბრძოლის შემდეგ საბოლოოდ დათრგუნა იგი ჩინგიზ ყაენმა... ამოდენა ლაშქრის პატრონი, როცა ამავე დროს მთელი ხალხის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაინც უნდა მორეოდა თავს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართა მტრისთვის...

ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, სულთანი რომ ჭეშმარიტი პატრიოტი ყოფილიყო, ერთგული და მოსიყვარულე შვილი თავისი სამშობლოსი. ეს უკეთილშობილესი გრძნობა ჯალალ ად-დინს არ აღმოაჩნდა. სწრაფმა გამდიდრებამ, რასაც მან ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ მალევე მიაღწია, სულ სხვა გრძნობა გაუმახვილა და სხვა მიმართულებით წარმართა მისი ფიქრები...

აკი ითქვა, ჯალალ ად-დინს თავისი საოცარი მამაცობისა და შეუპოვრობის შესაფერი ვაჟკაცობა არ აღმოაჩნდა.

საოცარი სიზუსტით და გამომეტყველად გადმოგვცემს მის უბადრუკობამდე დასულ ფიქრებს ჟამთააღმწერელი.

„...სულთანი ჯალალდინ, უღონო იქმნა რა ბრძოლილი თათართაგან, მოუწოდა სპათა თვისთა და რქუა მათ: „იცით და გახსოვთ ყოველთა მარზაპანთა და ერისთავთა ჩუენთა კეთილი და წყალობა პაპათა და მამათა ჩემთა, და აწ იცით თუ რა მოიწია ჩემ ზედა და თქუენ ზედა უცხოთა ნათესავთა თათართაგან. და მრავალგზის ბრძოლა ვყავთ, და მრავალი ღუაწლი დავითმინეთ, და განგებითა ზეგარდმოთა ყოველგან ვიძლიენით, აწცა მოახლოებულ არს მდინარესა ჯეონისასა, და წინამბრძოლად წარმოავლინა ძე მისი უხუცესი. და აწ ესე არს განზრახვა ჩემი: ვინათგან მისცა ღმერთმან ძლევა, უკეთუ გთნავს, დაუტეეოთ ქვეყანა ესე, აღვიღოთ დედაწული, სიმდიდრე და ჯოგი, და წარვიდეთ საბერძნეთს და მუნ დაევმკვიდრნეთ. დაღათუ ჩუენ თათარნი გუძლეევენ, გარნა ყოველთა ნათესავთა ჩვენ ვსძლიოთ...“

დააკვირდით, რა გესლიანი ცინიზმი გამოსჭვიეის ამ სიტყვებში, და რა მწარე ირონიით გადმოგვცემს მას ქართველი მემატიანე.

ჩვენ თუ მონღოლებმა გვძლიეს და აგვიკლეს, ჩვენც ავდგეთ და სხვა ხალხები გაეანადგუროთო!

ჭეშმარიტი მამულიშვილი ამას, რაღა თქმა უნდა, არ იტყვის; ხოლო ჟამთააღმწერლის მიერ მოტანილი სიტყვები რომ ზუსტად გამოხატავს ხვარაზმის სულთნის ფიქრებსა და განწყობილებას, და ეჭვიც არ შეიძლება შეგვეპაროს, რომ ეს სწორედ ჯალალ ად-დინის ნათქვამია, ამას მისივე შემდგომი საქმიანობით დავინახავთ.

ამრიგად, ჯალალ ად-დინი სულ უფრო და უფრო მიიწევს დასავლეთისკენ, თანდათანობით უახლოვდება აზერბაიჯანს. ჩვენი ქვეყნის მახლობლად თავს იყრის თავით ფეხამდე შეიარაღებული დიდი და საშიში არმია, რომელსაც მამაცობითა და შეუპოვრობით გამორჩეული მხედართმთავარი მოუძღვის. ბრძოლის ჟინით ანთებული თვალები მხედართმთავრისა დასავლეთით არის მიმართული.

ბედის მწარე დაცინვაა — დაპყრობილი ქვეყნის შვილს თავისი დამცირებული და გაუბედურებული ხალხისთვის ზურგი შეუქცევია და მახვილი სხვის დასაპყრობად შეუმართავს!

●

ახლა საქართველოში მოვბრუნდეთ. ვნახოთ, რას ფიქრობენ სამეფო კარზე? რა შეფასებას აძლევენ იმდროინდელი ჩვენი პოლიტიკოსები და სამხედრო ხელისუფალნი აღმოსავლეთში მომხდარ

ამბებს, ან რა სიზუსტით მოდის ცნობები იქ დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის შესახებ?..

სწორი არ იქნება იმისი თქმა, თითქოს სამეფო კარზე სისტემატურად არ ღებულობდნენ ცნობებს აღმოსაელეთიდან, იქაური მდგომარეობის შესახებ. საქართველო დიდი სახელმწიფო იყო, საერთაშორისო ურთიერთობათა მდიდარი ტრადიცია ჰქონდა და ეს ტრადიცია გრძელდებოდა... ისეთი აწყობილი სახელმწიფო აპარატი მიიღო ახალმა მთავრობამ მემკვიდრეობით, რომ საგანგებოდაც რომ ცდილიყვნენ, ასე მალე ვერ მოშლიდნენ. შეუძლებელია, საქართველოს მმართველ წრეებს და, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ხელისუფალთ დაწერილებით არა სცოდნოდათ ჩინგიზ ყაენისა და ჯალალ ად-დინის ურთიერთობის ამბავი, არა სცოდნოდათ, როდის გაემგზავრა ყაენი მონღოლეთში და როდის დაბრუნდა ინდოეთიდან ხვარაზმის ახალგაზრდა შაპი, როგორ ზედიზედ აიღო მან ირანის ქალაქები.

სულ სხვა საქმეა, როგორ აფასებდნენ ისინი შექმნილ მდგომარეობას, როგორ უყურებდნენ აღმოსაელეთიდან მოახლოებულ დიდ საშიშროებას. ქართველ პოლიტიკოსთა და სამხედრო ხელისუფალთა მთავარი შეცდომა ის იყო, რომ საკუთარ სამხედრო და თავდაცვით ძალას აზვიადებდნენ, მოწინააღმდეგისას კი აკნინებდნენ, ქედმაღლურად უყურებდნენ... წარსულმა დიდებამ და სახელოვანმა გამარჯვებებმა იმაზე მეტად გააამაყა ისინი, ვიდრე ეს მოსათმენი იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სულაც არა ცდილობდნენ, სამხრეთითა და აღმოსაელეთით მოსაზღვრე პატარა ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან კეთილი მეგობრობა აღედგინათ და ახალი სამოკავშირეო ურთიერთობა ჩამოეყალიბებინათ. თითქოს ვერა გრძნობდნენ, რომ აღმოსაელეთიდან ისეთი საშინელი ძალით დაძრული ზავი, რომელიც სულ უფრო დიდდებოდა და საშიში ხდებოდა, დღეს არა ხვალ, ამიერკავკასიამდეც მოაღწევდა, კიდეე უფრო მეტი ზავთითა და ძლიერებით...

იქნებ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ხვარაზმის დიდ სახელმწიფოსთან დაძგერებულ გრიგალს ძალა თანდათან შეუსუსტდებოდა, იმ ვრცელ ქვეყანაში გაიფანტებოდა და აქამდე ვერ მოაღწევდა!..

მართლაც ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, იმოდენა ქვეყანას, ისე მდიდარსა და ისეთი სამხედრო ძალის პატრონს, თითქმის სულ უომრად და წინააღმდეგობის გაუწევლად შემოეშვა დამპყრობელი (წინააღმდეგობას ხომ ფაქტიურად ქალაქებისა და სოფლების არაორგანიზებული

მასები უწევდნენ — ცალ-ცალკე, უსისტემოდ, სტიქიურად... და ამის გამო მსხვერპლი და ზიანი კიდევ უფრო მეტი იყო).

მით უფრო ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რაც შემდეგ მოხდა, ჯალალ ად-დინის ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ...

ამას ყველაფერს გათვალისწინება და ფრთხილი ანალიზი სჭირდება, როცა იმდროინდელ პოლიტიკოსთა და ქვეყნის მესვეურთა მოღვაწეობას ვაფასებთ.

რა სამწუხაროა, რომ ქართული ორიგინალური საისტორიო წყაროები, ის ქრონიკები, რაც აქ მომხდარი მოვლენების კვალდაკვალ იწერებოდა, მომდევნო წლებსა და საუკუნეებში განადგურდა და მხოლოდ უმნიშვნველო ნაწილი გადარჩა... მაგრამ ის მასალაც, რაც მკვლევარებს წლების განმავლობაში მოუპოვებიათ და შეუგროვებიათ, ზოგად წარმოდგენას მაინც გვიქმნის... ამ მასალების მიხედვით, არ შეიძლება თქმა, რომ საქართველოს მაშინდელ პოლიტიკოსებს კარგად გაეთვალისწინებინოთ აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა და კარგად მოფიქრებული, შორს გამიზნული პოლიტიკა ჩამოეყალიბებინოთ. პირიქით, როცა მომხდარ ფაქტებს აანალიზებ, დაბნეულობა და სტიქიურობა უფრო ჩანს, რეალური მდგომარეობის შეუფასებლობა და გაუთვალისწინებლობა.

ჩვენ ვიცით, როგორ აფასებდა დავით აღმაშენებელი დასავლეთის კულტურას, როგორ უწყობდა ხელს ქართული კულტურის კერების გავრცელებას დასავლეთის ქვეყნებში... როგორ აგზავნიდა ნიჭიერ ყმაწვილებს ბიზანტიაში დიდი ბერძნული კულტურის გასაცნობად და ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობის შემდგომ გასამტკიცებლად. ეს, რა თქმა უნდა, მისი დიდი მოღვაწეობის ერთი პროგრესული მხარეა. მაგრამ იგი არ ივიწყებდა ასეთივე ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თვით მაჰმადიანური კულტურის მოღვაწენი აღნიშნავენ საგანგებოდ მის რელიგიურ შემწყნარებლობას, ისლამური სარწმუნოებისადმი მის პატივისცემას... სიმბოლურია, რომ მან ერთი ქალი ბიზანტიაში გაათხოვა და მეორე — შარვანში; ამ თითქოსდა პირადულ ფაქტში კარგად ჩანს მისი პოლიტიკური ალღო და შორსმჭვრეტელობა.

მაგრამ მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა, და ახლა, როგორც ითქვა, ქვეყნის მესვეურები ბრძნულ წონასწორობას ველარ იცავენ.

ზემოთ ლაპარაკი გვქონდა, თუ როგორ ესწრაფვოდა ლაშა გიორგი ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას დასავლეთით. მაშინ შედარ-

ებით სხვა მდგომარეობა იყო, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაძრული მრისხანე ძალა აღმოსავლეთიდან. ხოლო როცა პირველი ნიშანი გამოჩნდა ამ ძალისა, ლაშას ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. მას აღარ დასცალდა საჭირო და აუცილებელი ღონისძიებანი გაეტარებინა აღმოსავლეთიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

მას შემდეგ კი, დროის იმ მცირე მონაკვეთში, ჩვენამდე მოღწეული საბუთების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამეფო კარიცა და სამხედრო ხელისუფალნიც ზედმეტად გაერთნენ, ზედმეტი დრო მოანდომეს ჯვაროსნებთან ურთიერთობის გარკვევას, რის პერსპექტივას, ესეც უნდა ითქვას, ახლა უკვე ისეთი პირი აღარ უჩანდა. ემზადებოდნენ ჯვაროსნული ლაშქრობისთვის, ამზადებდნენ ჯარს, ცხენებს, საჭურველს... ახლა უკვე რომანტიკული გატაცება უფრო ჩანს ყველაფერ ამაში, ვიდრე შორსგამიზნული პოლიტიკა... ხოლო ამ დროს აღმოსავლეთით და სამხრეთით თავიანთივე უშუალო მეზობლებთან, მაჰმადიან ქვეყნებთან ურთიერთობის მოწესრიგებას თითქოს აღარ ცდილობენ.

ეს, აშკარად, დაუდევრობა იყო. მონღოლებთან სამჯერ ზედიზედ განცდილ მარცხს, ბუნებრივია, უნდა დაეფიქრებინა მეფეცა და მხედართმთავარიც; ამათ კი, პირიქით, თავი გამარჯვებულად ჩათვალეს და გაყოყოჩდნენ. ჯერ იყო და მონღოლების საშიშროება ვერ შეაფასეს სათანადოდ, ახლა კი თითქოს განგებ დაუხუჭეს თვალი მტრობითაც და ძლიერებითაც არანაკლებ საშიში მოწინააღმდეგის გამოჩენას.

როგორც ვნახეთ, ინდოეთიდან დაბრუნებული ჯალალ ად-დინი ძალიან შემცირებულ და დაკნინებულ, სანახევროდ სახედრებსა და ძროხებზე ამხედრებულ ჯარს მოუძღოდა... და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს სამხედრო ხელისუფალნი სწორედ მტრის იმ პირვანდელი უბადრუკი მხედრობით ზომავდნენ ხვარაზმის შაჰის ძალას; ყოველ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, ხვარაზმის შაჰი იმ მეზობელ ათაბაგებზე უფრო ძლიერად არ მიიჩნიეს, რომელთაც ადვილად ამარცხებდნენ ხოლმე. ანგარიში აღარ გაუწიეს თუ შეუმჩნეველი დარჩათ, რომ ინდოეთიდან დაბრუნებულმა სულთანმა სულ მოკლე ხანში შეძლო ჯარის საზღაპროდ გაზრდა და შეიარაღება.

ჯალალ ად-დინის აზერბაიჯანში შეჭრას წინ უძღოდა რამდენიმე საგულისხმო მოვლენა. 1225 წელს ქართველებს კვლავ გაულაშქრიათ განძაზე (ეს იყო ისეთივე მარბიელი გალაშქრება, როგორიც

რამდენჯერმე მოხდა რუსუდანის მეფობაში, ამაზე ზემოთ ითქვა). განძელები ამჟამად მედგრად დახვედრიან ქართველთა მარბიელ ჯარს და ქალაქში არ შეუშვიათ, ოღონდ არც თვითონ გასცილებიან ქალაქის გალავანს, შიგნიდან იბრძოდნენ, შიგნიდან ისროდნენ ისრებს... ქართველები, ეტყობა, არ ელოდნენ ასეთ მედგარ წინააღმდეგობას. რამდენიმე დღეს კი იდგნენ ქალაქის კედლებთან, მაგრამ რაკი ვერაფერი გააწყვეს, აიყარნენ და გამობრუნდნენ.

იმავე 1225 წელს ურთიერთობა გამწვავებულა შირვანის შაჰსა და მის შვილს შორის. შაჰს თურმე ხალხი ჰყავდა ამხედრებული, უსამართლოდ და უგულოდ ექცეოდა ქვეშევრდომებს, ამით ისარგებლა ხალხისგანვე წაქეზებულმა შვილმა, მამა ტახტიდან ჩამოაგდო და ტახტზე თვითონ ავიდა. შაჰმა, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ქართველ მეფეს მიმართა, დამეხმარეო; თან შეპპირდა, თუ მიშველით და ტახტს დამაბრუნებინებთ, ჩემი ნახევარი საბრძანებელი თქვენთვის დამითმიაო. რას ჰკარგავდა, თვითონ მაინც გადმოგდებული იყო ტახტიდან, ხალხი ამხედრებული ჰყავდა, აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდა. ქართველები ხალისით დათანხმებულან ამ პირობაზე და მაშინვე მაშველი ჯარიც გაუტანებიათ.

მაგრამ შვილი შირვანის შაჰისა ფხიზლად იყო. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მამის მოქმედებას. ხელად მოჰფინა ქვეყანას ამბავი — ასე და ასე, მამაჩემი ქართველებს შეუთანხმდა, სამარცხვინო პირობა დაუდო, არც მე გამიწია ანგარიში და თქვენც, თავისი ქვეშევრდომები, არაფრად ჩაგაგდოთ, ყველანი გაგწირათ. ამის შემდეგ ქართველები გაბატონდებიან აქ, ნახევარ სამეფოს კი აღარ დაყაბულდებიან, მთელ ქვეყანას დაიპყრობენ და მერე ნახეთ, რა მოხდებაო. ამ შეგონების შემდეგ დარაზმა ლაშქარი, თვითონ წინ წაუძღვა და ქალაქგარეთ დაუხვდა საქართველოდან წასულ მეშველ ჯარსა და ნაადრევად გახარებულ ყოფილ შაჰს. ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა უზურპატორი შაჰი ასე სახელდახელოდ დიდ ჯარს ვერ შეჰყრიდა — 1.000 მეომრით დახვედრია 3.000 ქართველს, მაგრამ შეგულიანებულ და წაქეზებულ შირვანელებს ისე თავგანწირვით უბრძოლიათ, რომ ქართველები დაუმარცხებიათ და უკუუქცევიათ, ბევრი ტყვეც ჩაუგდიათ.

1225 წელსვე საქართველოს სამეფო მხედრობა ათაბაგ უზბეგის სამფლობელოს შესევია. „ქართველებს თავი თამამად ეჭირათ, გაბედულად იქცეოდნენ, იმიტომ რომ მაჰმადიანებს მხდალადა სთვლიდნენ და არაფრად აგდებდნენო“, მოპყავს იბნ ალ-ასირის სი-

ტყვები იანე ჯავახიშვილს... აქ დაწერილებით აღარ გავიმეორებ ამ ბრძოლის ამბავს. ფაქტი ის არის, რომ საბოლოოდ, აქაც მარცხი იგემეს ქართველებმა...

საგანგებოდ მივაქციე მკითხველის ყურადღება ამ ცნობებზე. სამჯერ ზედიზედ დამარცხდნენ ქართველები საესებით უაზრო და უმიზნო ბრძოლაში, და ეს მოხდა 1225 წელს, ზედ იმის წინ, როცა ჯალალ ად-დინი აზერბაიჯანისკენ მიემართება.

ხომ აშკარაა, რომ ამ უაზრო ბრძოლებით სამეფო კარი მტერს გაუადვილებდა საქმეს, მის წისქვილზე ასხამდა წყალს!

●

და აი, თავით ფეხამდე შეიარაღებული არმია ჯალალ ად-დინისა აზერბაიჯანს მიადგა. მიდიოდა ეს დიდი ლაშქარი, წინ შავი დროშა მიუძღოდა და გაპყვიროდნენ — მოედიეართ, რათა მოძმე მაჰმადიანები ურჯულო ქართველებისგან დავიხსნათო. ფეხი რომ შედგეს აზერბაიჯანის მიწა-წყალზე, ხვარაზმის ახალგაზრდა შაპს ისეთი სასიამოვნო სიურპრიზი დახვდა, ნატერაც კი გაუჭირდებოდა: ქალაქ მარაღის მცხოვრებლებმა კაცი შეაგებეს წერილით — გვიშველე, გაგვათავისუფლე ადგილობრივი შაპის მოხელეთა სამარცხვინო ჩაგვრისა და ქართველების მონობისაგან, რომელთაც კლანჭები ჩაუელიათ ჩვენი ქალაქისთვის და გასაქანს არ გვაძლევენო.

ჯალალ ად-დინი წინააღმდეგობას ელოდა მარაღელი მოქალაქეებისგან და საბრძოლველად იყო გამზადებული. მოულოდნელად ასეთი წერილი რომ მიიღო, ბუნებრივია, გაიხარა. შევიდა ქალაქში, კარგად დაბინავდა, დროებით აქ მოაწყო შტაბი და აქედან დაუგზავნა წერილები ახლომახლო მაჰმადიანური ქვეყნების — იკონიის, ეგვიპტის, დამასკოსა და სხვათა სულთნებსა და მმართველებს. მეგობრობასა და სოლიდარობას სთავაზობდა მათ, საღვთო ომისკენ მოუწოდებდა... თანაც, ეს წერილები უბრალო შიკრიკებს კი არ გაატანა, არამედ გამოცდილ დიპლომატსა და მწიგნობარს, თავისივე მაღალი თანამდებობის მოხელეს, ყადს — ად-დინ უმარ მუჯირს. წერილი საკმაოდ ერცელი იყო, სულთნებს აცნობებდა — აზერბაიჯანი ჩემს ხელშია და ახლა მივემართები, რათა ურჯულო ქართველები დავიპყრო, რომელთა კლანჭებს ზოგი ქალაქი უკვე გამოვგლიჯეო. ქართველებს უნდა ეაჩვენო, რომ სახლს პატრონი გაუჩნდაო...

სიმამაცესთან ერთად, ხვარაზმის სულთანს საკმაო ცბიერებაც აღმოაჩნდა. დათაფლული სიტყვებითა და პირფერობით საკუთარ იყო ეს წერილები, ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდა სულთნებს. ვინ უნდა შეიყვარო და შეითვისო, თუ არა შენიანი რჯულის ხალხი, შენს ენაზე მოლაპარაკეო, სწერდა. დასავლეთში (მაღრიბი) თქვენა ხართ თავგამოდებული დამცველები ისლამის რჯულისა, ხოლო აღმოსავლეთში (მაშრიყი) მე მაქვს შემართული ჩემი ძლიერი მახვილი ურჯულოების დასათრგუნადო. ასე ახლობელმა და ერთ ბედში მყოფმა ხალხმა თუ არ გავდეთ ერთმანეთს შორის მეგობრობის ხიდი, თუ ერთი გზით არ ვიარეთ, მაშ ვიღა უნდა ვიმეგობროთო!.. კიდევ ერთხელ მოუწოდებდა საღვთო ომისკენ ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის სახელით.

ლიტონ სიტყვებსაც არ დასჯერდა ცბიერი ხვარაზმის შაპი და ზოგიერთ სულთანთან მოყვრობითაც განამტკიცა კავშირი: მაგალითად, იკონიის სულთნის შვილს მიათხოვა შირაზის ათაბაგის და, რომელიც თვით ჯალალ ად-დინს ნათესავად მოხვდებოდა...

ხედავთ, რა ფრთხილად მოქმედებს ხვარაზმის სულთანი, მიუხედავად იმისა, რომ დიდ და კარგად შეიარაღებულ ჯარს მოუძღვის. ეს ორ მნიშვნელოვან გარემოებაზე მიგვანიშნებს: ჯერ ერთი, გვაჩვენებს, ბრძოლაში მამაცობასა და შეუპოვრობასთან ერთად, რა ცბიერი და ფრთხილიც ყოფილა; და სულთნის ასეთი სიფრთხილე კიდევ ერთხელ გვაჩვენებს იმას, რა ძლიერების სახელი ჰქონდა საქართველოს გავარდნილი.

წერილებისა და ელჩის საშუალებით ხვარაზმის სულთანმა კარგად მოსინჯა ნიადაგი, მომავალ ძნელ ომში სამხრეთით და დასავლეთით ზურგი გაიმაგრა და, თუ დახმარება არა, სრული ხელშეუხებლობა დაიბევა; თადარიგი დაიჭირა, რომ როცა გაბედულად დასძრავდა ჯარს საქართველოს წინააღმდეგ, ხელის შემშლელი იმ მხარეებში არავინ ეყოლებოდა.

სულთნებმა დაიჯერეს ჯალალ ად-დინის დათაფლული სიტყვები, და ქვემოთ ვნახავთ, რა მწარედ მოტყუვდნენ, რა სანანებელი გაუხდათ ეს. მერეღა მიხვდნენ, ვინ იყო ნამდვილი მტერი, მაგრამ გვიანღა...

მარაღის შემდეგ ხვარაზმის სულთანმა უჯანი აიღო, იქიდან კი თავრიზს მიადგა და ალყაში მოაქცია. თავრიზის ათაბაგი ლოთი იყო, დროსტარების მოყვარული, სახელმწიფოსთვის თავს დიდად არ იწუხებდა და ქვეყანას ფაქტიურად მისი ცოლი განაგებდა. ჯალალ

ად-დინი რომ მიუახლოედა ქალაქს, დაკრა ათაბაგმა ფეხი და სადღაც გადაიკარგა (ამის შემდეგ მალევე მოკვდა). ქალაქში ცოლი დარჩა — მალიქა, სულთან თოღრულის შვილი. ჯალალ ად-დინი საგულდაგულოდ მოემზადა დიდი და მდიდარი ქალაქის ასაღებად, ქალაქის კედლებს ლოდსატყორცნი იარაღები დაუმიზნა, ქალაქის ირგვლივ ტყე გაჩეხა და ცეცხლს მისცა.

ერთხანს კი უწევდნენ ქალაქის დამცველები წინააღმდეგობას ხვარაზმის სულთანს (შვიდი დღე ჰყავდა ქალაქი ალყაში), მაგრამ როცა დარწმუნდნენ, ამოდენა ჯართან ვერაფერს გახდებოდნენ, მელიქამ ჯალალ ად-დინს საიდუმლოდ კაცი მიუგზავნა, შეუთვალა, ჩემი ქმარი — ათაბაგი უზბეგი — მე თვითონვე მძულს, რაღას ვმტრობთ ერთმანეთში, დავზავდეთო.

ამრიგად, თავრიზი ჯალალ ად-დინს დანებდა. ეს მოხდა 1225 წლის 25 ივლისს.

რაკი ასე გაუმართლა და იოლად მიაღწია საწადელს, ხვარაზმის სულთანს აღარ დაუყოვნებია. ამის შემდეგ კიდევ უფრო სწრაფად დაიპყრო მთელი აზერბაიჯანი და ქართველებს შემოუთვალა, დამმორჩილდითო.

ეს უკვე ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

●

საგულისხმოა საქართველოს სამეფო კარის პასუხი: მამაშენი შენზე ძლიერიც იყო და შენზე გულადიცო, — შეუთვალეს, — ლაშქარიც შენზე მეტი ჰყავდა, მაგრამ ხომ ნახე, რა უყვეს თათრებმა! იმოდენა სამეფო წაართვეს და დაიპყრეს... ის თათრები ჩვენკენაც გამოემართნენ, მაგრამ რა მიიღეს — როგორც მობრძანდნენ, ისევე ისე გაიქცნენო...

ამას იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს.

დააკვირდით პასუხის ბოლო წინადადებას (ამ ცნობის სისწორეს ხომ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსნები რომის პაპისადმი მიწერილი წერილებიც ადასტურებენ!).

აშკარაა, რომ ქვეყანაში ისეთი შთაბეჭდილება იყო შექმნილი, საქართველოს სამეფო კარზე ისეთი განწყობილება სუფევდა, თითქოს მონღოლები სამიეჯერ დაემარცხებინოთ და გაექციოთ; ის მონღოლები, რომელთაც ხვარაზმის დიდი სახელმწიფოც კი ვერ

გაუმაგრდა! მონღოლებთან ის სამი ბრძოლა ქართველ მხედართმთავარსა და სარდლებს საამაყოდ ჰქონიათ... მეტისმეტად თავდაჯერებულები ყოფილან.

საამაყო მართლაც იქნებოდა, სინამდვილეში ასე რომ მომხდარიყო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა მოხდა სინამდვილეში!

კიდევ უნდა გავიმეოროთ: აი, საიდან მოდის ის დაუდევრობა, მეტისმეტი გაყოყოჩება და ქედმაღლობა, რამაც საბოლოოდ დაღუპა საქმე, და ვინ იყო ასეთი განწყობილების შემქმნელი, თუ არა იმ ბრძოლების უშუალო მეთაურები და მთელი სამეფო კარი!..

ძნელი სათქმელია, მოხერხდებოდა თუ არა ხვარაზმელთა დიდი ლაშქრის შეჩერება, ცოტა ხნით მაინც, საქართველოს სამეფო კარს რომ იმ პასუხის ნაცვლად დიპლომატიური მოლაპარაკების გამართვა ეცადა...

ჟამთააღმწერლის ცნობით, ქართველ მეფესა და მხედართმთავარს მხოლოდ მას შემდეგ დაუწყიათ ლაშქრის წვევა მტრის დასახვედრად, როცა ჯალალ ად-დინი თავის ჯარით საქართველოში შემოიჭრა. უცხოელი ავტორები ცოტა უფრო სხვაგვარად წარმოგვიდგენენ (ჟამთააღმწერელს, საერთოდ, ჯალალ ად-დინის მუქარა და ქართველების პასუხიც არა აქვს ნახსენები): მათი გადმოცემით, ქართველებმა მაშინვე დაიწყეს ლაშქრის წვევა, როგორც კი ხვარაზმის სულთნის მუქარა მოისმინეს. უფრო სარწმუნო, რაღა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ჩანს. ქართველი მეცნიერები სწორედ მას იზიარებენ. ივანე ჯავახიშვილი წერს:

„ამგვარი პასუხის შეთვლისთანავე ქართველები თავიანთ ჯარის შეყრას შეუდგნენ“.

საინტერესოა ნიკოლოზ ბერძენიშვილის მოსაზრება. იგი უცხოელი მემატიანეების აზრს იზიარებს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ მთელი საშიშროება შექმნილი მდგომარეობისა სამეფო კარს მაინც ვერ გაუთვალისწინებია, მაინც არაფრად ჩაუგდია ხვარაზმის სულთნის მუქარა და ჯარის შეყრა ზანტად და ნელ-ნელა დაუწყია:

„საქართველოს სამეფო კარმა ჯალალის მუქარა არაფრად ჩააგდო, სულტნის მოციქული გაწბილებული გაისტუმრა და ნელ-ნელა შეუდგა მოსალოდნელი ომისათვის მზადებას. ჯალალმა დასწრება გადაწყვიტა და დიდძალი ჯარით საქართველოს საზღვრები სწრაფად გადმოლახა, ქალაქ დვინის მიდამოები ააოხრა და წამოვიდა გარნისზე, სადაც უკვე მისულიყო ქართველთა ლაშქარი...“

აქ ის კი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი და საგულისხმო, მართლა ზანტად შეუდგნენ ქართველი სარდლები ჯარის შეგროვებას თუ ცოტა უფრო სწრაფად; მეცნიერის სიტყვები იმიტომ მოვიტანე, რომ ძალიან კარგად გამოხატავს იმ ძნელად ასახსნელ დაუდევრობას, იმ განწყობილებას, რასაც სამეფო კარი და, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ხელმძღვანელობა მოეცვა.

ამრიგად, ქართველმა სარდლებმა მიიღეს ცნობები ხვარაზმელთა ჯარის რაოდენობისა, აღჭურვილობისა, განლაგებისა... დაასკვნეს, რომ ომი არა მარტო გარდაუვალი იყო, არამედ მალე უნდა მომხდარიყო, და დარბაზმა მიიღო გადაწყვეტილება დიდი ლაშქრის წვევისა. მეფემ „მოუწოდა ყრმათა იმერთა და ამერთა, და მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა, რომელი მას ჟამსა მიმცხოვნებულ იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონაზონ ქმნილ იყო, განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა თავად, და უბოძა დროშა სვიანი, და წარაელინა ბრძოლად სულტნისა მის ჯალალდინისა“.

ასე მოკლედ გადმოგვცემს ქართველი მემატიანე გალაშქრებისთვის გადაწყვეტილების მიღებისა და ჯარის წვევის ამბავს. მაგრამ ამ ძუნწად მოწოდებულ ცნობაში, აბა დააკვირდით, არ ავიწყდება თქვას, რომ ივანე ათაბაგი ამ დროს ღრმა მოხუცია და ჩუმად, ისე რომ სხვებს არ გაეგო, ბერადაც აღკვეცილა. უნებურად იქცევს ეს ცნობა ჩვენს ყურადღებას. ამ დიდი, — როგორც შემდეგ გაირკვევა, — საბედისწერო სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის ცნობაში, რაც მეტისმეტი ლაკონიურობით არის გადმოცემული, თითქოს ადგილი არ უნდა იყოს ასეთი, ერთი შეხედვით, არა არსებითი შენიშვნისთვის... ეს ხომ არ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ დარბაზის კრებაზე გამოითქვა მოსაზრება — მოიარებით თუ აშკარად, — რომ მხედართმთავრობა ვინმე სხვისთვის მიენდოთ?!. დარბაზის კრებაზევე ხომ არ ჩაეყარა საფუძველი სარდალთა შორის იმ განხეთქილებას, რაც მერე აშკარა გახდა და საეჭვო აღარ არის?!. მართალია, დარბაზის გადაწყვეტილების შემდეგ მეფე „მოუწოდებს“ ხოლმე ჯარსაც და მხედართმთავარსაც, ეს ჩვეულებრივია. მაგრამ ახლა, რაკიღა ის საჭოჭმანო კითხვა გაჩნდა, მემატიანის მიერ გადმოცემული ცნობა — „მეფემან რუსუდან განაჩინა სპათა მისთა თავად“ ივანე ათაბაგიო, იმას ხომ არ მიგვანიშნებს, რომ დარბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი წინააღმდეგი იყო ამ ომში ივანეს მხედართმთავრობისა და მეფემ ანგარიში არ გაუწია მათ, თავისი მაღალი უფლება გამოიყენა?!

ამ კითხვებს იქნებ მყარი საფუძველი არა ჰქონდეს, მაგრამ მრავალ სხვა კითხვასთან ერთად, მაინც აღიძვრის ხოლმე, როცა ამასთან დაკავშირებულ შემდგომ ამბებს გავეცნობით. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ახლა კი, ქართული ლაშქარი ივანე მხარგრძელის სარდლობით სამხრეთით მიეშურება, ხოლო სამჯერ ამაზე უფრო დიდი ჯარი ხვარაზმის სულთან ჯალალ ად-დინისა ჩრდილო-დასავლეთით მოდის. ისინი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ.

1225 წლის აგვისტო დგას.

თავი IV

ღალატი გარნისში

1223 წლის 3 თებერვალს რუსუდან მეფემ არზრუმის მფლობელის ვაჟზე იქორწინა, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა – თამარი და დავითი ✦ ქართველი მხედართმთავრის ღალატი გარნისში ✦ მრავალი წლის შემდეგ ქვეყანას მანამდე არნახული განსაცდელი დაატყდა თავს ✦ 1226 წლის იანვარში სულთანმა მოკლა გარნისში ტყვედჩავარდნილი ქართველი სარდალი, შესანიშნავი მამულიშვილი და დიდებული მეომარი შალვა ახალციხელი ✦ ივანე ათაბაგმა ამირსპასალარობა თავის შვილს, ავაგს უბოძა, თავად კი ბერად აღიკვეცა ✦ სულთანმა ავაგს დააბარა, თქვენი მეფე მომათხოვეთ, თუ არადა, კვლავაც მოგაოხრებთო ✦ რუსუდანი ქუთაისს გაემგზავრა. დიდი განსაცდელის მოლოდინში მეფის მიერ სატახტო ქალაქის დატოვება ძალიან საჩოთირო იყო. თბილისში არც ამირსპასალარი ჩანს ✦ ჯალალ ად-დინმა აიღო თბილისი და ხელთ იგდო ციხეები, დაანგრია ეკლესიები, გაჟლიტა მოსახლეობა, ხოლო მეორედ აღებისას გადაწვა ქალაქი ✦ სულთანი ზედიზედ მარცხდება მონღოლებთან ბრძოლებში ✦ რუსუდანმა ბოლნისთან შეყარა დიდი ლაშქარი და საქართველოში დაბრუნებულ სულთანს დაუხვდა, მაგრამ ისევ დამარცხდა ✦ ხანგრძლივი დევნის შემდეგ მონღოლებმა მოკლეს უდიდესი ქვეყნის მბრძანებელი

ამ ბრძოლის ამბავს ქართველი მემატიანეც გადმოგვცემს და უცხოური წყაროებიც; ჟამთააღმწერელი — შედარებით მოკლედ, ზოგი უცხოური წყარო — უფრო ვრცლად. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები ყოველთვის არ ემთხვევიან, მაინც კარგად ავსებენ ერთმანეთს, საშუალებას გვაძლევენ, ცხადად წარმოვიდგინოთ ბრძოლის სამზადისიც და თვით ბრძოლაც.

ხვარაზმელთა ლაშქარი ქართველებისაზე სამჯერ უფრო დიდი იყოო, ითქვა. ჟამთააღმწერელი არ ასახელებს ქართველი მეომრების რიცხვს, იგი ზოგადად გადმოგვცემს — რუსუდანმა „მოუწოდა ყრმათა იმერთა და ამერთაო"; ნასაევის ცნობით, რასაც სხვა უცხოური წყაროებიც ადასტურებენ, ქართველებს სამოცი ათასი მეომარი ჰყოლიათ, ხვარაზმელ ჯარისკაცთა რიცხვი კი ქართველი მემატიანის ცნობით, ას ორმოცი ათასს უდრიდა, ხოლო ზოგიერთი უცხოური წყაროს მიხედვით, ორასი ათასს შეადგენდა. ორივე ლაშქარი ერთმანეთის მახლობლად დაბანაკდა, გარნისის მიდამოებში, დღევანდელი ერევნიდან ოცდახუთამდე კილომეტრის დაშორებით, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. და ბრძოლაც ისტორიაში გარნისის ბრძოლის სახელით არის ცნობილი. რომელმა ლაშქარმა მიაღწია პირველად ამ ადგილს — ქართველებისამ თუ ხვარაზმელებისამ, — და პირველად ვინ აირჩია იგი დასაბანაკებლად ანუ ფაქტიურად ბრძოლის ველად, ამის დაზუსტება ძნელდება, წყაროები სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ. იმას კი ყველა ერთხმად ადასტურებს, რომ ქართველები „მთებს შორის მდებარე ერთ მაღალ მწვერვალზე ყოფილან გამაგრებულნი" (გეგონებოდა, მთაზე მთაა წამომართული, და ისე ჩაშავებული ჩანს, როგორც უკუნი ღამეო, — წერს ნასავი). ჯალალ ად-დინის ლაშქარი დაბლობში იყო დაბანაკებული.

მაგრამ ეს დაბლობიც ახლო ყოფილა ქართველების ბანაკთან — მოწინააღმდეგეებს ერთმანეთის ხმა ესმოდათ. ნასავი საგანგებოდ შენიშნავს, ისეთი ყვირილი და ღრიანცელი გამოდიოდა ქართველების ბანაკიდან, რომ ვარსკვლავებით გადაჭედილ ცას გააპობდა, მათ აურზაურს ყრუც გაიგონებდაო... არ გინდა დაიჯერო ჯუვეინის სიტყვები — ქართველები ღვინით გალეშილები იყვნენო (ფაქტიურად ნასავიც ხომ ამას მიგვანიშნებს)!..

ეს დეტალი საგულისხმოა და ყურადღებას იმსახურებს.

საბრძოლო ყიჟინა უშუალოდ ბრძოლის წინ, რამაც შენი მეომრები უნდა გაამხნევოს და საბრძოლოდ აღაგზნოს, ხოლო მოწინააღმდეგე გატეხოს და თავზარი დასცეს, სულაც არ არის გასაკვირი და მოულოდნელი... მაგრამ ყვირილი და ღრიანცელი მოწინააღმდეგის მახლობლად დაბანაკებულ ლაშქარში, როდესაც ჯერ არც კი გადაგიწყვეტია, როდის დაესხა მტერს, რაღა თქმა უნდა, მოულოდნელიც არის და უხერხულიც; ალბათ სახიფათოც, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ, ასე თუ გაგრძელდა, ჯარში საბრძოლო დისციპლინის დარღვევა და არევ-დარევა შეიძლება გამოიწვიოს...

მაინც რითი შეიძლება აიხსნას ქართველთა ლაშქრის ასეთი მოქმედება?

იქნებ რაიმე ტაქტიკით — ვთქვათ, მოწინააღმდეგის დაშინება გადაუწყვეტიათ, ისეთი შთაბეჭდილების შექმნას ცდილობენ, თითქოს მრავალრიცხოვანი ჯარი ყოფილ...

თუ მეტისმეტად თავდაჯერებული სარდლობის ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობისა და დაუდეგრობის ნიშანია?!.

როცა კარგად გააანალიზებ ყველაფერს, როცა იმ მუქარასაც გაიხსენებ, ამას წინათ რომ შეუთვალეს ქართველმა მეფემ და სამხედრო ხელისუფლებმა ჯალალ ად-დინს, და შემდგომ მომხდარ ფაქტებსაც გაითვალისწინებ, უფლება გექნება იეარაუდო, რომ ესეც უსათუოდ დაუდეგრობის შედეგი იყო.

და უნებურად გახსენდება ასი წლის წინანდელი ამბავი. მაშინაც აგვისტო იყო და სწორედ ასეევ სამოციათასიანი ლაშქარი ქართველებისა მოწინააღმდეგის გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი მხედრობის პირისპირ იდგა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოლოდინში. მაშინაც იმ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის ბედი, მისი მომავალი...

რა საოცარი სიზუსტით მეორდება ხოლმე მოვლენები!..

მაგრამ ახლა ალბათ იმანაც გაგვახსენა ასი წლის წინანდელი ამბავი, რომ ამ ორ მსგავს მოვლენას, რომელთაც ერთმანეთისაგან ასი წელიწადი აშორებს, სულ სხვადასხვაგვარი დასასრული აქვს... ანუ ამ ბრძოლას, ახლა რომ უნდა გადაიხადონ, სულ სხვაგვარი განეითარება მოელის...

ჯიუტად შეგვახსენებს თავს ასი წლის წინანდელი ომი, ბრძოლის მოლოდინში სულგანაბული ქართველთა ლაშქარი და მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, რომლის სარდლებიც მოწინააღმდეგის აეისმომასწავებელი სამარისებური სიჩუმით გაოგნებულია. გახსენდება მეფე-სარდლის მოკლე მიმართვა თავისი ლაშქრისადმი — როგორც საკუთარი შვილებისადმი — ბრძნული სიმშვიდითა და სიმტკიცით წარმოთქმული.... გახსენდება, როგორ წარიმართა ბრძოლა ქართველი მეფე სარდლის მიერ წინასწარ ჩაფიქრებული გეგმით; თანაც ისეთი სიზუსტითა და თავიდანვე ჩამოყალიბებული თანმიმდევრობით, თითქოს ორივე მხარე – ქართველებიცა და მათი მოწინააღმდეგეებიც — ერთ საომარ გეგმას იცავდა და თითქოს ორივე თავგამოდებით ცდილობდა, ეს გეგმა არ დაერღვია... გახსენდება ამ ბრძოლის ყველა დეტალი, მისი ლოგიკური ფინალი...

მაგრამ ეს ასი წლის წინანდელი ამბაეია, ჩვენ 1122 წლის აგვისტოში გადახდილი დიდგორის ომი გაგვახსენდა. ამჟამად კი 1225 წლის აგვისტოა და, როგორც ახლაეე ვნახავთ, სულ სხვაგვარად განვითარდება მოვლენები.

ახლა აშკარად ჩანს: არც ქართველთა სარდალსა და არც მხედრობას აზრადაც არ მოსდით, რომ ბრძოლა, რომელიც მათ უნდა გადაიხადონ, გადამწყეეტი და საბედისწერო იქნება... თუმცა ამისთვის ალბათ ვერც გაპკიცხავ შორეულ წინაპრებს. ძნელია წინასწარ შეაფასო მომავალი ბრძოლის მნიშვნელობა. ამას განსაკუთრებული სიბრძნე, ღვთით მონიჭებული გუმანი და გამოცდილება სჭირდება... ყველას როდი აქვს ეს თვისებები. და ყოველთვის ვერც ბრძენი პოლიტიკოსი და ბრძოლებში გამობრძმედილი მხედართმთავარი განჭვრეტს მოვლენებს...

ამისთვის ალბათ არც ჟამთააღმწერელს გაუკიცხავს თავისი ახლო წინაპრები, როცა იგი სწორედ გარნისის ბრძოლას უკავშირებდა „საქართველოს სრულიად მოსპოლვას", და ულმობელი სისასტიკით მოიხსენიებდა მაშინდელ სამხედრო ხელისუფალთ.

გასაკიცხი სულ სხვა რამ არის, გასაკიცხი საქმისადმი დამოკიდებულებაა, ის დაუდეერობა, რაც სარდლების მოქმედებიდან აშკარად გამოსჭვიეის.

დაუდეერობა!.. ხედავთ, როგორ გაგვიხშირდა ჩვენს საუბარში ეს უსიამოვნო სიტყვა! რა აბეზარი სტუმარიეით შემოიჭრა, რა ვერაგი სენიეით გაჯდა და განიტოტა!.. უკვე მერამდენედ ვახსენეთ ამ ბოლო თაეებში... ერთი შეხედვით, იგი თითქოს უწყინარია, პასიურ მოქმედებას გამოხატავს, და მაშინდელი მკაცრი სამართლითაც კი ისეთ მძიმე დანაშაულად არ ითელება, როგორც ვთქვათ, საშინელი აქტიურობით შემაძრწუნებელი ღალატი. მაგრამ აბა დააკვირდით, რა ახლოს დგანან ერთმანეთთან, როცა საქმე ქვეყნისა და ხალხის ბედსა და ღირსებას შეეხება! ტყუპებიეით არიან — ერთი თავად არის ბოროტება, მეორე კი ბოროტების წყაროა. კეთილი საქმის მიმართ თითქოს შეთანხმებულად მოქმედებენ — ერთი რომ ბოროტი გამწარებით ეწეეა დაღუპვის უფსკრულისაკენ, მეორე მშეიდი გულგრილობით მიუძღვის...

მაგრამ თანმიმდეერულად მივყეეთ ჩვენს ამბავს.

ამრიგად, სოფელ გარნისთან ორიეე ლაშქარი დაბანაკებულა — ქართველებისაც და ხვარაზმელებისაც — და, როგორც ჩანს, ბრძოლის დაწყება ვერც ერთს ვერ გადაუწყეეტია, თითქოს რაღაცას

ელიან, თითქოს ერთმანეთს უცდიან... თითქოს ურჩევნიათ, მოწინააღმდეგემ დაასწროს.

ქართველთა მხედართმთავარმა ივანე ათაბაგმა, ტრადიციად დამკვიდრებული წესის მიხედვით, „წინამბრძოლად აჩინა თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი — შალვა და ივანე", გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი და ეშურება იქვე გვაცნობოს — ესენი, ეს ორი ძმა, სახელოვანი მებრძოლები არიანო. თუმცაღა ჩვენ მათ უკვე ვიცნობთ. დიდი თამარის სახელოვანი მეომრები არიან; სად აღარ შევხვედრივართ — შამქორის ომში, ბასიანის ომში, კარისათვის ბრძოლაში. შამქორის ომში სწორედ ამ შალვამ გამოსტაცა ხალიფას დროშა და ქართველ მეფეს მოართვა. ეს იყო მოგებული დიდი ომის ბოლო აკორდი და ისე ეფექტური გამოდგა, რომ მთელ ქვეყანას მოედო, ყველა მასზე ლაპარაკობდა; მერე თამარმა ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა ეს დროშა. და ამით ისტორიაშიც უკვდავყო შესანიშნავი სარდლის გმირობა; ბასიანში ბრძოლის დაწყებისათანავე ცხენი მოუკლეს შალვას და ქვეითად განაგრძო თავგანწირული ბრძოლა. როგორც ვხედავთ, ეს ფაქტიც შემორჩა ისტორიას, როგორც მამულისათვის თავდადებისა და ვაჟკაცური შემართების მაგალითი... — ყველგან წინამბრძოლები იყვნენ ისინი, ყველა ომის წინ მიუძღოდნენ მხედრობას, მტრის პირველ მოქნეულ მახვილს იგერიებდნენ... და არ გვიკვირს, რომ ახლაც, აგერ, მეწინავე რაზმის სარდლებად ვხედავთ.

ეს მეწინავე რაზმი, ეტყობა, კარგა მანძილით იყო დაშორებული ძირითად ლაშქარს. ალბათ გარემოს რელიეფის თავისებურების გამოც. ამიტომ იქნებ ისიც კი ვივარაუდოთ, რომ იმ საერთო ღრიანცელში, რასაც ასეთი მწარე ირონიით გადმოგვცემს უცხოელი მეისტორიე, ეს რაზმი არ ერია. ისინი ჩასაფრებულები იყვნენ და ელოდნენ — ერთი მხრივ, საკუთარი სარდლის ბრძანებას (თუ გადაწყდებოდა, რომ ქართველებს მიეტანათ მოწინააღმდეგეზე პირველი იერიში) და მეორე მხრივ, მტრის მეწინავე ნაწილის გამოჩენას (თუკი მტერი დაასწრებდა შეტევას), რომელიც იქვე იყო, იქნებ ქართველთა ძირითად ლაშქარზე უფრო ახლოსაც კი.

მაგრამ მოწინააღმდეგის ბანაკიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

როგორ ჰყავდა ქართველ მხედართმთავარს განლაგებული ჯარის დანარჩენი ნაწილი, ეს არ ვიცით, ამაზე მემატიანეები სდუმან. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა: როგორც ახლავე ვნახავთ, ისე დამთავრდა ყველაფერი, რომ ლაშქრის ძირითადი ნაწილი არც კი ჩაბმულა ბრძოლაში.

მოწინააღმდეგეს უფრო გამალებული მზადება აქვს, ოღონდ ჩუმად, მათი ხმა ქართველების ბანაკში ჯერჯერობით არ აღწევს. სულთანმა ღამის სიბნელეშივე თავისი დიდი ლაშქარი ამგვარად განალაგა: შუაში მხედრობა მოაქცია, განთქმული მეომრებით გააძლიერა ცენტრი; მარჯვნივ გოლიათი დამცველები დააყენა, ხოლო მარცხნივ — მშვილდოსნები. ეს ფრთაც მარჯვე და ერთგული მეომრებით გაამაგრა — ამ ფრთით აპირებდა შეტევის დაწყებას — აქა ჰყავდა სულთანს თავისივე ძმა ყიას ად-დინი (ულმობელი და ვერაგიო, ასე ახასიათებს მას ჯუვეინი), ცნობილი სარდალი ორხანი, იპან ტაისი... ეტყობა, გათენებისთანავე მოწინააღმდეგის იერიშს ელოდა გამოცდილი სარდალი და გაფაციცებული იყო.... მაგრამ გათენდა, აგვისტოს მზე ნელ-ნელა აცურდა ცაში, შუბის ტარზე წამოიმართა... მოწინააღმდეგე კი ადგილიდან არ იძროდა, მხოლოდ ღრიანცელი ისმოდა იქიდან, თითქოს საომრად არც კი მოსულან, დროს სატარებლად მოვიდნენო.

მთელი დღე უცადა სულთანმა. ხოლო როცა დაღამდა, თავისი კარავი წინ წააწევინა და მხედრობის შუაში დაადგმევინა. ხანებსა და ამირებს კი უბრძანა, ღამით ფხიზლად ემორიგათ, დროზე შეეცვალათ ერთმანეთი. თვითონ კარავში შევიდა.

როცა ინათლა და ნახა, მოწინააღმდეგე არც დღეს აპირებდა შემოტევას, სულთანმა ისევ მოუხმო თავის სარდლებს და უთხრა: ქართველები რაღაც საეჭვოდ აჭიანურებენ ბრძოლის დაწყებას. ჩვენ რაღას ვუცადოთ — გადავწყვიტე, დავიძრათ და ერთბაშად ყოველი მხრიდან შევუტიოთ. თუ ისინიც წამოვიდნენ უცებ და ჩვენი ფრონტის გარღვევა მოინდომეს, მაშინ მშვილდოსნებმა უნდა იმარჯვონ და ისრების სეტყვით შეაჩერონ, წინ წამოწევის საშუალება არ მისცენ...

ეს თქვა და შეტევის დაწყება ბრძანა.

ქართველთა მეწინავე რაზმს არ გამოპპარვია მოწინააღმდეგის მოძრაობა. ბევრი მზადება არ დასჭირვებიათ — რჩეული მეომრები იყვნენ, გამოცდილი სარდალი ჰყავდათ და ისინიც ისე ერთბაშად ჩაებნენ ბრძოლაში, თითქოს სწორედ ამ წუთში ელოდნენ მოწინააღმდეგის იერიშს. თანაც დააკვირდით, შალვა ახალციხელმა, ეტყობა, ადრევე კარგად დაზვერა მოწინააღმდეგის განლაგება, და რაკი ყველაზე სახიფათოდ მისი მარცხენა ფრთა მიიჩნია, თავად სწორედ იქითკენ მიმართა. წინასწარ კი კაცი გაუგზავნა თავიანთ მხედართმთავარს ივანე ათაბაგს, დაბარა — მტერი უკვე დაიძრა, დიდი ძალებით გვიტევს, ჩვენ ცოტანი ვართ, სასწრაფოდ ჯარი მოგვაშვე-

ლეო — „დაახლოებული ვართ სულტანსა და სპათა მისთა, და ჩუენ დიდად უმცირეს ვართ, და ომი ძლიერი წინა გვიც. წარმოიშალონ მხნეთა სპათა მეფისათა და სიმხნემან შენმან...“

კაცმა რომ თქვას, შიკრიკის გაგზავნა არც კი უნდა დასჭირვებოდა, გამოცდილ მხედართმთავარს თავად უნდა მიეშველებინა ჯარი...

ამასობაში ბრძოლა გაჩაღდა. სულთნის მემატიანე ცდილობს გაგვიცოცხლოს ბრძოლის საოცარი დინამიურობა — ისრები მეტეორებივით მიჰქროდნენო, წერს... ეტყობა, ეს შედარება სუსტი მოეჩვენა და იქვე უფრო მარჯვედ სცადა გადმოცემა — როგორც გამძაფრებული ქარი მიაყრის ხოლმე თოვლს, ისრები მოწინააღმდეგისკენ ისე ნამქერივით დაიძრნენო.

მაგრამ, როგორც ითქვა, ქართველთა მეწინავე რაზმი მზად დახვდა ამ შეტევას, მეომრები აბჯარასხმულები იყვნენ და ისრებს ისხლეტდნენ, მტრის ყველა ისარი, რაღა თქმა უნდა, ვერ აღწევდა მიზანს.

ასეთ ვითარებაში ადვილი შესაძლებელია ყოველი წუთი გადამწყვეტი და საბედისწერო აღმოჩნდეს... მაშველი ჯარი ზურგიდან იგვიანებდა, მაგრამ ცდა ხომ არ შეიძლებოდა, ყოველგვარი ყოყმანი და შეყოვნება დამღუპველი იქნებოდა, შუბი უკვე საომრად იყო შემართული, მოწინააღმდეგის ისრები გამძაფრებული ნამქერის ზუზუნით მოჰქროდნენ... და ახალციხელის სახელოვან მეომართა მცირე რაზმი გაბედულად ეკვეთა მოწინააღმდეგის ლაშქრიდან ძალუმად დაძრულ პირველ ტალღას; „...არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა, ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს...“

მთავარი იყო, სანამ ზურგიდან მოეშველებოდნენ, ეს პირველი ტალღა შეეჩერებინათ, მწვერვალისკენ გზა გადაეკეტათ და ამით მოწინააღმდეგისთვის ბრძოლა გაერთულებინათ, ზღვა-ლაშქრისთვის ფართოდ გაშლის საშუალება მოესპოთ, ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცათ. პირველი ტალღის შეჩერებას თუ მოახერხებდნენ, მერე უფრო გაადვილდებოდა საქმე, ამასობაში ძირითადი ლაშქარიც მოეშველებოდა...

მაგრამ ზურგიდან დახმარება არა ჩანდა. ძირითადი ჯარი ჯიუტად იგვიანებდა. მეორედ გაგზავნა კაცი შალვამ, მესამედ... შიკრიკი „ორგზის და სამგზის მიულინესო“, მემატიანე გადმოგვცემს. თუმცა — კიდევ უნდა გავიმეოროთ, — ამბის შეტყობინება რაღად უნდოდა ქართველ მხედართმთავარს, უკვე ისედაც კარგად ისმოდა ისრების ყურის გამკვეთი ზუზუნი და ხმლების ჩახაჩუხი.

უკვე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღებულიყო. პირველ ხანებში, ეტყობა, მოწინააღმდეგეს მეტი ზარალი მოსდიოდა, მაგრამ სულთნის მეომრებს თავიდანვე ასე ჰქონდათ ჩანერგილი — ხსნა მხოლოდ მაშინ იქნებოდა, როცა მწვერვალს მიაღწევდნენ, იმ ადგილს აიღებდნენ, სადაც ქართველები იდგნენ, არადა, ომი წაგებული იქნებოდა... და ისინიც ანგარიშმიუცემლად მიიწევდნენ მწვერვალისაკენ...

ქართველი მხედართმთავარი კი ადგილიდან არ იძროდა...

წარმოუდგენელი ამბავი მოხდა — იშვიათად რომ მოხდება ისტორიაში!.. ძირითადი ლაშქარი იქვე დგას, ბრძოლის ხმაური ესმის, ხმლის ჩახაჩუხი ესმის... ხედავს ამ ბრძოლას... იქვე თვალწინ ხედავს... დასაღუპად განწირულ მოძმეებს ხედავს, და მაინც ჯიუტად დგას და ადგილიდან არ იძვრის... ბრძოლაში ერთგული თანადგომის მტკიცე კანონსაც რომ არ მიეხედოთ, იციან, უნდა იცოდნენ, რომ ეს მათთვისვე იქნება დამღუპველი, ახლავე, ამ წუთში — იოლი გამარჯვებით გალაღებულ მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს რაღა შეაჩერებს, რაღას დაუდგებიან, მეწინავე რაზმის განადგურების შემდეგ ეს ლაშქარი ამათ დაერევა და უფრო ადვილად დაამარცხებს... ეს მათ იციან, უნდა იცოდნენ, და მაინც მონუსხულებივით ადგილიდან არ იძვრიან, ჯიუტად დგანან...

„ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი ხედვიდეს ძლიერს ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით, და არა ინება შველა ივანე ათაბაგმან...“

რა მოხდა, რა ეშმაკი შეუძვრა თავში მხედართმთავარს?!.

„აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან!..“

ისეთი სიმწრით შესძახებს ამას ჟამთააღმწერელი, თითქოს როცა ამ სიტყვებს წერს, მთელი საუკუნე კი არ იყოს გასული იმ საშინელი ბრძოლის შემდეგ, თითქოს ჭრილობები მოშუშებული კი არ იყოს, არამედ აგერ ახლა, მის თვალწინ ხდებოდეს ღალატი — საშინელი, ავისმომასწავებელი, რამაც უკეღმა უნდა შეატრიალოს ქვეყნისა და ხალხის ბედი...

და ისევ ძველი წინასწარმეტყველის სიმკაცრით რეკს მისი სიტყვები:

„ჰოი, შური ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყუედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყველელი...“

რა სახელოვანი ვაჟკაცებიც არ უნდა ყოფილიყვნენ და როგორი თავგანწირვითაც არ უნდა ებრძოლათ ახალციხელებსა და სხვა

მეწინავე მეომრებს, რაღა თქმა უნდა, ვერ დაუდგებოდნენ მტრის ზღვა-ლაშქარს. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, მოწინააღმდეგის რიგები ახალ-ახალი მეომრებით ივსებოდა. მათ ახლა გულიც მოიცეს, რაკი ნახეს, ალყაში მოქცეულ მცირე რაზმს არავინ ეშველებოდა, ასე საოცრად გასწირეს და გაიმეტეს.

ქართველი მეომრები იარაღს მაინც არ ყრიდნენ, მაინც არ ნებდებოდნენ მოწინააღმდეგეს. „განგრძელდა ომი სასტიკი... ორთავე ძმათა ახალციხელთა დაუხოცეს ცხენნი...“

და ახლა ქვეითად გააგრძელეს ბრძოლა.

„მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი“...

და როცა „შენივთდა ძლიერად ომი“, ხმლებმაც ეეღარ გაუძლეს — „და ხრმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა“...

ამის შემდეგ წინააღმდეგობას აზრიც აღარა ჰქონდა, და აღარც შეეძლოთ — აღარავინ იყო დარჩენილი, წინააღმდეგობა გაეწია...

არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს ბრძოლა კლდოვანი მწვერვალის მისასვლელებზე ხდებოდა. ერთი ძმა — ივანე ახალციხელი — „ზენაკერძო მოტეეებულითა ქვითა მოიკლა“... ან მწვერვალზე ასულმა მოწინააღმდეგის მეომარმა ესროლა ლოდი ზემოდან (რაკი აბჯარასხმულ სახელოვან მეომარს ისრებითა და მახვილით ვერაფერი დააკლეს) და კლდეზე ჩალეწა, ან მოღალატურად მოკლეს... ასე იყო თუ ისე, ერთი ძმა ახალციხელი უკვე ცოცხალი აღარ არის. მეწინავე რაზმი ქართველებისა მთლიანად გაჟლიტეს... შალვა ცოცხლად შეიპყრეს... მკვდრებში იპოვესო, ნასავი წერს, სახე საგანგებოდ ᲡᲘᲡᲬᲚᲘᲗ მოეთხვარაო... იქნებ იმიტომ, რომ ვერ ეცნოთ და მომავალ წამებას გადარჩენილიყო (ასევე აქვს ნასავის სიტყვები ახსნილი თავის რომანში გრიგოლ აბაშიძეს)...

მაგრამ მაინც იცნეს შესანიშნავი ქართველი სარდალი. ყიასდინის ძიძიშვილმა იცნოო, ნასავი წერს.

ჟამთააღმწერელი კი ცოტა უფრო სხვაგვარად გადმოგვცემს:

„..იცნეს ნახჭევნელთა და ადარბადაგანელთა და მოახსენეს სულთანსა ახოვანება და წყობათა შინა სიქველე მისი“...

ერთი სიტყვით, ძმის მწარე ბედი სანატრელი გაუხდა ქართველ სარდალს — იგი ცოცხლად შეიპყრეს და სულთანს მიჰგვარეს... მის შემდგომ თავგადასავალს ქვემოთ გავეცნობით, ახლა კი ბრძოლის ველს მივხედოთ...

თუმცა ბრძოლის ველი აღარც ეთქმის, ბრძოლა დამთავრდა. საშინელი დამარცხებით დამთავრდა. ასეთი დამარცხება ქართველებს ძალიან დიდი ხანია არ განეცადათ.

ძნელი სათქმელია, რა ქნა ამის შემდეგ იოანე ათაბაგმა (ქართველი მემატიანე და ბევრი უცხოური წყაროც ამაზე სდუმს): დასძრა საბოლოოდ თავისი ლაშქარი მოწინააღმდეგისკენ თუ უბრძოლველად აქცია ზურგი მტერს. ეს იქნებ აღარც იყოს საინტერესო. მთავარი ის არის, რომ მან დროზე არ მიაშველა ჯარი, როცა ბრძოლის ბედის სხვაგვარად წარმართვა შეიძლებოდა. „რთულსა და დიდს ომში მთავარსარდლისათვის ყველაზე უფრო ძნელი და საჭირო იმ მარჯვე დროის გამორკვევა და მიგნებაა, როდესაც ჯარის სავსეობის წაღერა საუკეთესო და სწრაფ შედეგს მოიტანს; იქნებ იოანე ათაბაგი ამ მხრივ შეცდა“... წერს იოანე ჯავახიშვილი, რომელსაც აშკარად უმძიმს დაიჯეროს ქართველი მხედართმთავრის მიმართ ჟამთააღმწერლის მძიმე ბრალდება. თუმცა ამ შემთხვევაში მხედართმთავარს არ უნდა გასძნელებოდა იმ „მარჯვე დროის“ შერჩევა, რადგან მას, როგორც ვნახეთ, სამჯერ სთხოვეს, ჯარი მოგვაშველეო.

ასე იყო თუ ისე, თავისთავად იგულისხმება, რომ გამარჯვებული ჯარი ქართველთა მეწინავე რაზმის გაჟლეტით არ დაკმაყოფილდებოდა. ისინი დაედევნენ იოანე ათაბაგის ძირითად ლაშქარს, ბევრი გაჟლიტეს, კლდიდან გადაჩეხეს, ბევრი ტყვედ შეიპყრეს, ზოგმა გაქცევა მოახერხა, ზოგმა მახლობელ ხეობებსა და ციხეებს შეაფარა თავი (ეს ჩვენი ვარაუდი არ გახლავთ, ასე გადმოგვცემენ სხვადასხვა წყაროები; ...ეითარცა გონებაარეულნი, უბრძოლველად მოახტნენ ცხენებს და პირდაპირ გარნისის ხრამში გადაცვივდნენო, ერთი სომეხი მემატიანე წერს... და, აგერ, მეორე სომეხი მემატიანის ცნობა: ...ერთი ნაწილი გარნისის მახლობლად გეგარდის ციხეში დაიმალაო)...

ყველაფერ ამას რომ გავითვალისწინებთ, გადაჭარბებული აღარ უნდა ჩანდეს იბნ ალ-ასირის ცნობა; ქართველებს იმ დღეს ოცი ათასი მეომარი დაუხოცესო. თუმცა, ნასავის თუ ვერწმუნეთ, მხოლოდ ოთხი ათასი ქართველი მეომარი დაიღუპა. ეს ცნობები ალბათ არც ეწინააღმდეგება ერთმანეთს: ოთხი ათასი მეომარი — ის მეწინავე რაზმი იყო, უმთავრესად მესხებისაგან შემდგარი, რომელიც გმირულად ეკვეთა მტერს და ერთიანად გაიჟლიტა[1]. მაგრამ მერე აკი დაედევნენ სულთნის მეომრები ქართველებს, და უწყალოდ ჟლიტეს გაქ-

[1] გაიხსენეთ ერთი საგულისხმო დეტალი: სწორედ ოთხი ათასი იყო, ასევე მესხებისაგან შემდგარი, შამაცი მეომრების რაზმი, რომელსაც ლაშა გიორგი წარუძღვა განძის კარიბჭისკენ და გაიმარჯვა... იხიც მეწინავე რაზმი, იყო, რაკილა მესხებისგან შედგებოდა.

ცეული მოწინააღმდეგე; ამ დროს, რაღა თქმა უნდა, გაცილებით შეტი გაიეულიტებოდა. ალ-ასირი სწორედ ამას გულისხმობს — მთლიანად ქართველთა ზარალს...

რაღა თქმა უნდა, ამ გამარჯვებას სულთანი ჯალალ ად-დინი საგანგებოდ აღნიშნავდა და მთელ ქეეყანას მოსდებდა: ერთი ნაწილი ტყვე სარდალთა და წარჩინებულთა მან მაშინვე გაგზავნა თაურიზში და მოკლულთა თავებიც მიაყოლა. თავად კი ჯერ არ ეცალა — ბოლომდე უნდა მიეყვანა გამარჯვება — სანამ ქართველთა დედაქალაქს არ დაიპყრობდა და არ დაარბევდა, ვერც მოისვენებდა და საბოლოო გამარჯვება არც ეთქმოდა.

ივანე ათაბაგი დაუსხლტდა სულთანს და მხლებელთა მცირე ჯგუფით ბიჯნისს შეაფარა თავი (სტეფანოს ორბელიანი წერს: ათაბაგი იოანე ათითა ოდენ კაცითა განერნა, და შევიდა ერთსა მტკიცესა სოფელსა). ეს სოფელი გარნისის ჩრდილოეთით მდებარეობდა, მისგან არცთუ ძალიან დაშორებით.

და ამის შემდეგ ივანე ათაბაგს აღარც ეხედავთ სამოღვაწეო სარბიელზე, თუმცა ორიოდე წელი კიდევ იცოცხლა. გარნისის ბრძოლა, ბუნებრივია, ძალიან გაუტეხდა სახელს ოდესღაც გამოჩენილ მოღვაწესა და მეომარს. ზემოთ ჟამთააღმწერლის სიტყვები მოვიტანეთ, ივანე ათაბაგზე თქმული — ფარულად ბერადაც აღიკვეცაო. იქნებ სიცოცხლის დარჩენილი მწარე დღეები ბერობაში გაატარა — ლოცვასა და მონანიებაში!.. მაგრამ რამდენი უნდა ელოცა, რომ ის საშინელი და საბედისწერო ცოდვა თუ შეცდომა გამოესყიდა!..

რა მოხდა მაინც, მართლაც რა ეშმაკი შეუჯდა!..

ჟამთააღმწერლისა და სომეხი მემატიანეების ცნობებს თუ ვირწმუნებთ (ანკი რად არ უნდა ვირწმუნოთ), მაშინ ცთუნებას ვეღარ მოერევი, ერთი ცნობილი ანდაზა არ გაიხსენო — ეშმაკი რომ ბერდებაო, ბერად აღიკვეცებაო...

ჯალალ ად-დინი დვინისკენ გაემართა — ბრძოლამ დვინისკენ გადაინაცვლაო, ნასავი წერს. და, მართლაც, ეს ბრძოლის გაგრძელებასავით იყო.

დვინის აღება სულთანს აღარ გასჭირვებია, და შევიდა თუ არა ქალაქის ქუჩებში, იქაურ ყადის უბრძანა — მაჰმადიანი მოსახლეობა დიდიან-პატარიანად გამოაცალკეეო: თითქოს იმიტომ, რომ შეცდომით, ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანებიც არ გაეძარცვა და

არ დაერბია. ჯერ ისევ ფრთხილობდა, ისე აჩვენებდა თავს, თითქოს მართლაც მაჰმადის რჯულის დასაცავად მოდიოდა. მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად იმითაც არის საინტერესო, რომ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ დაუნდობლად დაარბევდა და გაჟლეტდა იგი ადგილობრივ მოსახლეობას. ალაჰი უხვად უბოძებდა სულთანს სიმდიდრესა და აურაცხელ ნადავლსო, მისი მდიანი წერს. ასე ითქმის, თორემ ჩვენ ხომ ვნახეთ: ისეთი კაცი არ გახლდათ ჯალალ ად-დინი, მარტო ალაჰის წყალობას მინდობოდა.

როცა სამხრეთით კარგად იჯერა სულთანმა გული, და, რაც მთავარია, როცა დარწმუნდა, ზურგიდან საშიშროება აღარ იქნებოდა, მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით თბილისზე გასალაშქრებლად მოემზადა.

მაგრამ ამ დროს თავრიზიდან ამბავი მოუვიდა, თავისი ვაზირი სწერდა; აქ შენს წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებენ და მეც მოკვლას მიპირებეო.

ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ საარაკო გაბედულებასთან ერთად, სულთანი ჯალალ ად-დინი ფრთხილიც იყო, საქმეს საალალბედოდ არ გაიხდიდა. დიდი იყო სურვილი, ჩქარა დაეპყრო და დაერბია სიმდიდრითა და სილამაზით მთელს აღმოსავლეთში განთქმული თბილისი. ამ სურვილის შესასრულებლად წინ თითქოს აღარაფერი ედგა... მაგრამ მიიღო თუ არა თავრიზიდან ეს ცნობა, თბილისზე გალაშქრება გადასდო და აზერბაიჯანში გაბრუნდა.

სანამ გაბრუნდებოდა, თავისი დიდი ლაშქრის მარჯვენა ფრთის ამირები დაიბარა და შარი მოსდო: ჩვენ ყველაფერი ვიცით, გაგებული გვაქვს, რომ წინა ბრძოლაში პირი გქონდათ შეკრული — როგორც კი ქართველები შეტევას გააძლიერებდნენ, ზურგი გექციათ და გაქცეულიყავითო. მაგრამ რაკი ისე ბრწყინვალედ გავიმარჯვეთ, ამ დანაშაულს გაპატიებთ, ოღონდ ერთი პირობით: უნდა დაერიოთ ახლა აქაურობას და თავრიზიდან ჩემს დაბრუნებამდე ერთიანად დაარბიოთ, სულ თავდაყირა დააყენოთ ყველაფერიო.

საინტერესოა, როგორ მიუცია სულთანს ეს დავალება: თავის კარავში დაუბარებია მარჯვენა ფრთის სარდლები, მაგრამ შიგ კი არ შეუშვია. არც თავად გამოლაპარაკებია: თავი არ გაუყადრა — თვითონ თურმე კარავში იჯდა, ხოლო კარვის კარს მისი ერთი ხელქვეითი მოადგა და ეს მტკიცე ბრძანება სულთნისა იქიდან გააცნო კარვის ირგვლივ თავმოყრილ ამირებს.

საოცარი ცინიზმია! უკვე დამარცხებულ ქვეყანას გამდიდრებას მოწყურებული, წინა ბრძოლებით გამხეცებული ჯარისკაცები მიუსია, და ეს თითქოს სწორედ ამ ჯარისკაცების დასჯა იყო!.. ეტყობა. ამით ერთობოდა... თავისებური სადიზმია.

ამირებმა მორჩილად აღუთქვეს, ყველაფერს პირნათლად შეასრულებთ, რასაც თქვენ ახლა გვიბრძანებთო. მერე გამყოლად და მეგზურად იქაურობის კარგი მცოდნე ორი სურმარელი ამირაც გაატანა თურმე სულთანმა, რათა გზა არ არეოდათ, და ყველა სოფელი თუ ქალაქი აეოხრებინათ.

ნასავის ზემოთ მოტანილ ცნობას ადასტურებს ქართველი მემატიანეც: გარნისის ბრძოლის შემდეგ „სულტანი მიიქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს. და მიერ აღაოხრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყუე ჰყოფდეს და სრულიად უწყალოდ ხოცდეს, და არავინ იყო ნუგეშინის მცემელი მათი“.

ასეთი საშინელი განსაცდელი ქვეყანაში აგერ უკვე რამდენ თაობას აღარ უნახავს.. ანგრევდნენ, არბევდნენ, ჟლეტდნენ... ენით აუწერელი სისასტიკით უსწორდებოდნენ მოსახლეობას... მარბეველები კი იკვეხნიდნენ, სატრაბახოდ ჰქონდათ თავიანთი სისასტიკე. დამახასიათებელია, და მკითხველს ალბათ დააინტერესებს ერთ-ერთი ასეთი მარბეველის მონათხრობი, რაც სიტყვა-სიტყვით აქვს მოტანილი სულთნის მდივანს თავის წიგნში; ეს კაცი ერთხელ შემხვდა და აი, რა მიამბოო, წერს ნასავი: სამი თვე დავთარეშობდით საქართველოში, სანამ ერთიანად არ მოვსპეთ იქაურობა და სანამ მოსახლეობა არ გავაუბედურეთ; ქართველი ტყვეები ისე გაიაფდა, რომ თითო — ორ-სამ დინარად იყიდებოდა. მცხოვრებთაგან ზოგმა გაქცევა სცადა, საქონელი გაირეკა და მთებში გაიხიზნა — იმათაც მივწვდით და დავარბიეთ... გასაქანს არ ვაძლევდით, ხეობიდან ხეობაში გარბოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, მაგრამ სად გაგვექცეოდნენ — ყველგან მათ სისხლსა ეღვრიდით. ისეთ ადგილებშიც კი შეეაღწიეთ, სადაც ჯერ ისლამის დროშა არ აღმართულა და ყურანის ერთი სურაც კი არ წაუკითხავთ.

●

სულთანი ამასობაში თავის საშინაო საქმეებს აგვარებდა თავრიზში. მაგრამ, ეტყობა, სულ ის აწუხებდა, რომ დასავლეთით დაწყებული დიდი ლაშქრობა ბოლომდე ვერ მიიყვანა — თბილისი აუღებელი დარჩა, საქართველო და მისი ყმადნაფიცი ქვეყნები — დაუპყრობელი

და დაუმორჩილებელი. და, რაკი თავად შეაგვიანდა, თავრიზიდან იგი დასავლეთისკენ აგზავნის გამოცდილ სარდალს ორ-ხანს. ამჯერად განძის დასაპყრობად. ორ-ხანი, ეტყობა, დიდი ლაშქრით წამოვიდა — დავალებული საქმის შესრულება არ გასძნელებია, მალე დაიპყრო განძაცა და მეზობელი ოლქებიც — ბაილაყანი, ბარდა, შამქორი, შუტური. ხელთ ჩაიგდო აურაცხელი სიმდიდრე, მაგრამ სულთანთან ნათესაობით გათამამებულს (კირაკოს განძაკელის ცნობით, ორ-ხანს ჯალალ ად-დინის დედა ჰყავდა ცოლად), ზედმეტი სიხარბე გამოუჩენია და სწორედ ამ სიმდიდრის აღსანუსხავად საგანგებოდ გაგზავნილ სულთანისაენ მოხელესთან ჩხუბი მოსვლია, საქმე იქამდე მისულა, რომ ხმალიც კი მოუღერა თურმე მოხელეს...

ასეთი გახლდათ ჯალალ ად-დინის „საღეთო ომების“ ნამდვილი არსი.

1225 წლის დეკემბერში ჯალალ ად-დინმა ისევ მოიცალა დასავლეთისკენ დაწყებული დიდი ლაშქრობის გასაგრძელებლად. წამოვიდა თავრიზიდან და მდინარე რახსს მოადგა; აქ დაბანაკდა, აქ უნდა მომზადებულიყო თბილისზე გასალაშქრებლად — ჯარი უნდა მოემზადებინა საზამთროდ, უნდა გადაეწყვიტა, რომელი გზით ჯობდა ამოდენა ლაშქრის გადაყვანა, სად უფრო ადვილად იშოვიდა სურსათს, სად შეხვდებოდა ნაკლები წინააღმდეგობა, სად უფრო მარჯვე გადასასვლელები იყო... დიდი ზამთარი იდგა და ახლა ამას ყველაფერს ათწილად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მარჯვე გზის შერჩევა ერთი ომის მოგებას უდრიდა. ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა თავად ჩინებულმა მეომარმა და სარდალმა. თბილისამდე ძალიან დიდი გზა იყო გასავლელი, ამოდენა ლაშქარს საალალბედოდ ვერ აჰყრიდა და ვერ დაძრავდა. რჩევა სჭირდებოდა ამ გზებისა და ადგილების კარგად მცოდნე ადამიანებისა... და როცა ამას ფიქრობდა, ბუნებრივია, შალვა ახალციხელი გაახსენდა. სულთანმა კარგად იცოდა ფასი ამ შესანიშნავი მეომრისა და მხედართმთავრისა, მასზე უკეთეს რჩევას ვერავინ მისცემდა, თუკი იგი უმადური არ აღმოჩნდებოდა, ერთგულებას თუ გამოიჩენდა იმ კაცის მიმართ, რომელიც დიდსულოვნად მოექცა — დასაღუპად განწირულ ტყვეს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ასე ფიქრობდა ჯალალ ად-დინი...

და, აი, მან ქართველი ტყვე-სარდალი დაიბარა.

●

შალვა ახალციხელს ჩვენ აღარ შევხვედრიეართ მას შემდეგ, რაც იგი ტყვეობაში მოხვდა. ახლა მოკლედ გაგაცნობთ, რა ბედი ეწია მას. როგორც ითქვა, იგი ბრძოლის ველზე იპოვეს გარნისში, დახოცილ მეომრებს შორის, და მიუხედავად იმისა, რომ სახე საგანგებოდ სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, იცნეს: გამორჩეულად ახოვანი ვაჟკაცი იყო, ადვილად მიიპყრობდა ყურადღებას. ჯუვეინი საგანგებოდ შენიშნავს — ადის ტომის შთამომავალსა ჰგავდა ძალით, ახოვანებითა და კეთილშობილებითო (ეს მაღალი შეფასებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეგენდარული არაბული ადის ტომის ახოვანება და ძალგულოვნება სამაგალითოდ მიაჩნდათ მაპმადიანებს).

ტყვე მაშინვე მიჰგვარეს სულთანს, მისი ვინაობა მოახსენეს. მაგრამ ჯალალ ად-დინს ბევრი განმარტება არ დასჭირვებია, კარგად იცოდა ამ კაცის შემართებისა და მხედრული ნიჭის ამბავი. და ამაში ხომ ახლაც დარწმუნდა, ამ ბრძოლის დროს. ისიც კარგად იცოდა, თუ რა გავლენა ჰქონდა ახალციხელს სამეფო კარზე და ჯარში... ბრძოლის მოგება ხომ დიდი სიხარული იყო სულთნისთვის, მაგრამ არანაკლებ სასიხარულო გამოდგა ამ ქართველი სარდლის ტყვედ ჩაგდება.

ჯალალ ად-დინი გამოცდილი სარდალი იყო, მაშინვე გადაწყვიტა — ამ კაცს შევიტკბობ და ქართველებისაკენ წინააღმდეგ მომავალ ბრძოლებში გამომადგებაო. ამიტომ მისი მოკვლა არც უფიქრია, გამოელაპარაკა...

და ეს დიალოგიც საინტერესოა, კარგად გვიჩვენებს ქართველი სარდლის ხასიათს — საერთოდ ქართველი კაცის ხასიათს (მოტანილია ჯუვეინის წიგნში, რომელიც ქართულად რევაზ კიკნაძემ თარგმნა და გამოსცა).

— რა იქნა შენი მძვინვარება; აკი იკვეხნიდი, სად არის ზულ-ფიყარის პატრონი, ჩემი ბასრი ხმლის დარტყმა ვაჩვენოო?

ასე მიმართა სულთანმა შალვა ახალციხელს და ამითაც კარგად ჩანს, რომ ახალციხელის გმირობისა და მამაცობის ამბავი შორს იყო გავარდნილი, მტერმაც კარგად იცოდა. კერძოდ, სულთანს გაგონილი ჰქონია ის პატარა ეპიზოდიც კი, რაც ახლა ქართველ სარდალს გაახსენა (სხვათა შორის, ამ ეპიზოდს თავის წიგნში გადმოგვცემს მდივანი სულთნისა ნასავი)...

„ზულ-ფიყარი“ ხმლის სახელია — მეოთხე ხალიფა ალი იბნ აბუ ტალიბის (656-661) ხმლისა, და შალვა ახალციხელს ერთხელ

კვეხნით უთქვამს ათაბაგ უზბეგის მოხელისთვის, როცა ეს კაცი მასთან რაღაც საქმეზე მიაგზავნა ათაბაგმა: ნეტა თქვენი ამირა ალი — ზულ-ფიყარის პატრონი — ცოცხალი იყოს, ვაჩვენებდი, რა ძალაცა მაქვს, ბადრს და ხაიბარს დაეავიწყებდიო (არაბების მიერ მეშვიდე საუკუნეშივე დაპყრობილი ადგილები უხსენა თურმე; ის ძველი ბრძოლები მომდევნო საუკუნეებშიაც საამაყოდ ჰქონიათ მაჰმადიანებს). ქართველი სარდლის სიტყვები, ეტყობა, ისეთ მკრეხელობად მოეჩვენა ათაბაგ უზბეგის მოხელეს, რომ გაკვირვებულმა მერე სხვებსაც უამბო და ასე გავრცელდა. და თუმცა ეს სიტყვები ათაბაგის მოხელეს წრესგადასულ კვეხნად და მკრეხელობად მიუჩნევია (ასევე უთხრა თურმე ნასავის: გულღიად და პატივით კი მიმიღო ქართველმა სარდალმა, მაგრამ ისეთ კვეხნას მოჰყვა, რომ ყოველგვარ საზღვარს გადასცდაო), ჩვენ ხომ კარგად ვხედავთ, ეს წრესგადასული კვეხნა კი არ არის — ქართველი კაცის ლაღი ხუმრობაა, მის უშუალობასა და უბრალოებას გამოხატავს; ოფიციალურად ეწვია ათაბაგის მიგზავნილი კაცი, მაგრამ ქართველმა სარდალმა შინაურულად მიიღო, ოფიციალურობის უხერხული განწყობილება თავიდანვე ხუმრობით გაჰფანტა... და რაკი გაეხუმრა, ამით თავმდაბლობა გამოიჩინა, თავი გაუყადრა, თუმცა ათაბაგის ელჩს, — რომელსაც, ეტყობა, იუმორის გრძნობა ღალატობდა, — ქედმაღლობად მოსჩვენებია.. და შემდეგ ასევე უამბეს ეს სულთანს — ქართველი სარდლის ქედმაღლობისა და ამპარტავნობის დასახასიათებლად...

იმიტომაც ახლა ჯალალ ად-დინმა ერთგვარი ირონიითა და ნიშნისმოგებით გაახსენა ტყვე ქართველ სარდალს მისივე სიტყვები... და ამით თითქოს დაამცირა... დააშინა კიდეც.

ნუ დავივიწყებთ, რა დღეშია ამ დროს შალვა ახალციხელი — მძიმე ბრძოლაგამოვლილი, დამარცხებული, დაღლილი, გატანჯული, სისხლში მოთხვრილი (იქნებ დაჭრილიც), თავისიანების ღალატის გამო გულდაწყვეტილი და გამშრალი, ქვეყნის მწარე მომავალზე ფიქრით გულდამძიმებული... ის ბედუკულმართი ბრძოლა ხომ სულ ახალდამთავრებულია!

— ეს საქმე სულთნის ბედნიერმა ვარსკვლავმა გადაწყვიტა... — პასუხად ესა თქვა თურმე ქართველმა სარდალმა.

ხედავთ, თითქოს პირდაპირ არც კი უპასუხა სულთანს მიმართვაზე. და აქაც კარგად გამოჩნდა მისი ხასიათი. ამ პასუხის მიხედვით თუ განვსჯით, დავრწმუნდებით, რომ არავითარი საფუძველი არა ჰქონია სულთანს, ტყვე-სარდლისთვის მიემართა — რა იქნა

შენი მძვინვარებაო!.. დაბეჩავებული სულაც არა ჩანს ქართველი სარდალი. პირიქით, კარგად თუ დავაკვირდებით, საკმაოდ „მძვინვარე“ და ამაყი პასუხი მიუცია, ირონიულ მიმართვას ირონიითვე უპასუხა... თავის მართლებასა და ბოდიშს კი არ მოპყვა, პირდაპირ უთხრა გამარჯვებულ სულთანს — რა მოხდა, ამ გამარჯვებით რა თავი მოგაქვს, შენს ბედნიერ ვარსკვლავს უმადლოდეო. ეს უპასუხა და თან, გარეგნულად, თავაზიანობის წესიც არ დაურღვევია.

ამის შემდეგ რჯულის შეცვლა შესთავაზეს შალვა ახალციხელს, ისლამი მიიღეო, უთხრეს. თუ მართლა დაგმობდა იგი თავის რჯულს და ისლამს აღიარებდა, უნდა ვიფიქროთ, შეპირდებოდნენ არა მარტო სიცოცხლის შენარჩუნებას, არამედ დიდ სიმდიდრესა და კეთილდღეობას... ბუნებრივია, შალვა ახალციხელი მოელოდა ამას და პასუხიც მზადა ჰქონდა. ირანელ მემატიანეს ეს პასუხიც მოაქვს თავის წიგნში. პასუხიც, ერთგვარად, მის ხასიათს გვაცნობს. ახლაც არ უპასუხნია პირდაპირ:

— დეჰყანებს ასეთი წესი აქვთ, რომ ბოსტნებში აავი თვალის წინააღმდეგ სახედრის თავს ჰკიდებენ. შალვაც ვირის თავი იქნება ისლამის ბაღშიო...

ალბათ ჯალალ ად-დინსაც არა ჰქონდა თავიდან იმედი, რომ ქართველი სარდალი ისლამს აღიარებდა. მან უკვე იცოდა, რომ შალვასნაირი ქართველი ვაჟკაცები ასე ადვილად არ იცვლიდნენ თავიანთ რჯულს; ამიტომ, ეტყობა არც გაგულისებულა — ოღონდ სრული მორჩილება და ერთგულება მოსთხოვა. და ეს კი აღუთქვა ტყვე სარდალმა. ეს იქიდან ჩანს, რომ სულთანმა მას დიდი პატივი მიაგო; ნდობა გამოუცხადა და რამდენიმე ქალაქი უბოძა – მარანდი, სალმასი, ურმია, უშნუ. რაღა თქმა უნდა, იმის იმედით, რომ მერე „საქართველოს დაპყრობაში დამეხმარებაო“, არ მალავს სულთნის ანგარებიან და ვერაგ ზრახვებს ჯუვეინი...

ასეთი იმედისთვის ჯალალ ად-დინს საკმაოდ მტკიცე საფუძველი ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს, თვითონვე იყო მოწმე და მხილველი იმისა, როგორ ვერაგულად უღალატეს და გასწირეს ბრძოლის დროს მეწინავე რაზმის მამაცი მებრძოლებიცა და მისი სახელგანთქმული სარდალიც... სულთნისთვის ეს უკვე საკმარისი იყო, ერწმუნა, რომ შეურაცხყოფილი და მოძმეთაგან დასაღუპად მუხანათურად განწირული სარდალი მარჯვე შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და უსათუოდ შურს იძიებდა...

●

მაგრამ ეს, რასაც ჩვენ ახლა მოვყვეით, ოთხი-ხუთი თვის წინანდელი ამბავია, 1225 წლის აგვისტოში მომხდარი ამბავი. ახლა კი 1226 წლის დამდეგია, იანვრის პირველი დღეები, სულთანმა უკვე თავრიზი მოიარა, იქ თავისი საქმეები მოაგვარა და აგერ რახსის პირას დაუბანაკია, თავისი ისედაც მრავალრიცხოვანი ჯარი კიდევ უფრო შეუვსია, სადაცაა სალაშქრო სამზადისს მორჩება და დასძრავს კიდეც ლაშქარს...

და ჩვენ იქ შევჩერდით, სულთანმა ქართველი სარდალი რომ დაიბარა — მას უნდა მოეთათბიროს, რჩევა ჰკითხოს, რომელი გზით აჯობებს სალაშქროდ წასვლა.

სანამ ტყვე სარდალი ჯალალ ად-დინთან გამოცხადდებოდა, სულთანს მოულოდნელად მოახსენეს ამბავი, რამაც იგი გააგულისა და გააკვირვა კიდეც. შალვა ახალციხელისთვის საგანგებოდ მიჩენილ ჯაშუშებს წერილი დაეჭირათ, რომლითაც სულთნის ტყვე, ქართველი სარდალი, საქართველოში თავისიანებს ატყობინებდა ჯალალ ად-დინის გეგმებს, მისი დიდი ჯარის თბილისისკენ გალაშქრების ამბავს, ჯარის რიცხვს, სავარაუდებელ თარიღს და ლაშქრობასთან დაკავშირებულ სხვა ცნობებს.

სულთანი გააცოფა ამ მოულოდნელი ღალატის ამბავმა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ქართველი სარდალი, რომელსაც სიცოცხლე შეუნარჩუნა, ასეთი პატივი მიაგო, ქალაქები უბოძა, ნდობა გამოუცხადა, სამუდამოდ მისი ერთგული იქნებოდა; მით უმეტეს ახლა, როცა ტყვეს შურისძიების საშუალება მიეცა — ის ხომ გასწირეს, გაყიდეს, მუხანათურად ულალატეს, მტრის ხელში ჩააგდეს... ეს ხუთიოდე თვის წინათ მოხდა!.. და აი, ამ კაცს მარჯვე შემთხვევა მიეცა, გაჰყვეს თავის ახალ მფარველს და სამაგიერო გადაუხადოს იმათაც, ვინც მაშინ გასწირა, და მთელს ქვეყანასაც!.. საშუალება მიეცა, დაანახოს იმათ, იქ, როგორ აღზევებული და განდიდებულია მათგან განწირული კაცი!

გაოგნებული იყო სულთანი, ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს! ქართველი სარდლის უმადურობა კი არ უკვირდა იმდენად, რამდენადაც ეს სულელური გულმავიწყობა, პირადი მტრებისა და მთელი ქვეყნის მიმართ ყოვლად აუხსნელი მიმტევებლობა!

ხვარაზმის ახალგაზრდა შაჰს ჩვენ უკვე გავეცანით, და აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მისთვის სრულიად გაუგებარი იყო ის წმიდათა წმიდა გრძნობა, რამაც შალვა ახალციხელს ასეთი ძნელად გასაბედი საქმე გააბედინა.

სულთანს ხელში ეჭირა საიდუმლო წერილი და იმდენად აშკარა იყო ქართველი სარდლის გამცემლობა და დანაშაული, რომ რკვევასა და ძიებას არ საჭიროებდა. ახალციხელმა რომ დაინახა სულთნის ხელში წერილი, ცხადია, ყველაფერს მიხვდა და თითქოს ამას თავიდანვე მოელოდაო, ბედს შერიგებული კაცის სიმშვიდით გაუსწორა თვალი სულთანს.

ქართველ მემატიანეს ძალიან მოკლედ აქვს გადმოცემული: შალვა მოიკლა სულთნისა მიერო... ნასაიც ზოგადად შენიშნავს: სულთანმა ტყვე-სარდალი მდინარე არაქსის პირას ორად გააკვეთინაო... ირანელი მემატიანე უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს და დამაჯერებლადაც, რადგან, თვით სულთნის ხასიათიც კარგად ჩანს: სულთანი წამოდგა, ხმალი წელზე შემოკრა შალვას, შუა გაკვეთა და ხმალი მისი სისხლით შეღებაო.

თითქოს სისხლი სწყუროდა და გული იჯერა. ჯალათს აღარ დაანება, თვითონვე მოკლა, თავად იჯერა გული. როგორც უკვე ითქვა, ეს მოხდა, 1226 წელს იანვრის პირველივე დღეებში.

ასე დაიღუპა შესანიშნავი ქართველი მამულიშვილი, დიდებული სარდალი და მეომარი, რომლის მამაცობაცა და გამოცდილებაც სწორედ ახლა სჭირდებოდა მის ქვეყანას. და მკითხველს, რაღა თქმა უნდა, გული დაწყდება, რომ აქ უნდა გამოეთხოვოს ამ შესანიშნავ ვაჟკაცს — მომავალ ბრძოლებსა და ამბებში, რაც ქვემოთ უნდა მოგითხროთ, მას ვეღარ შეეხვდებით.

●

იმ ზამთარს ბევრი თოვლი ჩამოყარა და ყინვები დაიჭირა. სულთნის მდივანი ჩივის — სუსხმა ცხენებს ჩლიქებიც კი წააყინა და ჩვენ ხელები და ფეხები რა დღეში გვექნებოდაო! შორეული ლაშქრობა ასეთ პირობებში, რაღა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, მით უმეტეს, უცნობ გზებზე, უცხო გარემოში, მტრულად განწყობილ ქვეყანაში. ირანელი მემატიანე ერთგან შენიშნავს (და ამით იმ ლაშქრობის სიძნელეს გვაგრძნობინებს) — ერთ ხეობას მიადგნენ, რომელზედაც მხოლოდ არწივს თუ შეეძლო გადაფრენაო... ათასგვარი დაბრკოლე-

ბა შეიძლებოდა გადაღობებოდა წინ სულთანს. ამაში იგი მაშინვე დარწმუნდა, როგორც კი თავისი დიდი ლაშქრით დაიძრა. რაღა თქმა უნდა, აჯობებდა, თუკი მოტყუებით, უომრად და უბრძოლველად ჩაიგდებდა ხელთ საქართველოსაც და მის განთქმულ დედაქალაქსაც.

და ესეც სცადა სულთანმა.

ბიჯნისს რომ მიუახლოვდა, შეიტყო, რომ იქ ამჟამად ქართველი ამირსპასალარი იმყოფებოდა.

ოღონდ, ახლავე უნდა შეენიშნოთ, ივანე ათაბაგი კი არა... მემატიანე პირდაპირ არ წერს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ გარნისის ბრძოლის შემდეგ ივანე ათაბაგი მალეევ გადამდგარა – ზემოთაც ითქვა, ალბათ ბერად აღიკვეცა: ამაზე აკი მიგვანიშნებს სხვა ადგილას ჟამთააღმწერელი; თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ ორ წელიწადს კიდევ იცოცხლა. ამირსპასალარობა ივანეს შვილს ავაგს უბოძეს.

ივანე მხარგრძელს რომ თავის სიცოცხლეშივე გადაულოცავს ამირსპასალარობა შვილისთვის, ეს ერთი სომხური წარწერითაც ჩანს: „წყალობითა უფლისა მე ათაბაგმა ივანემ და... ხოშაქმა, ჩვენი ღვიძლი შვილების — მანდატურთუხუცესის შანშეს დღეგრძელობისთვის და ამირსპასალარ ავაგისა“; შოთა მესხია სწორედ ასე განმარტავს ამ წარწერას: ივანე ათაბაგს თავის სიცოცხლეშივე დაუმკვიდრებია ავაგ სარგისისთვის ამირსპასალარის სახელიო. საეჭვო აქ მართლაც არაფერია.

და აი, სულთანმა შეიტყო, რომ ბიჯნისში ქართველი ამირსპასალარი იმყოფებოდა. მაშინვე გაუგზავნა კაცი და შეუთვალა — შენთან მოლაპარაკება მინდა, თითო კაცის თანხლებით შევხვდეთ ერთმანეთსო („თვითოთა კაცითა შეეკრბეთ, რამეთუ მნებავს სიტყუად შენთანა“). და „ხრამსა ზედა ბიჯნისისასა“ შეიყარნენ. ვახუშტი უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვადგენინებს: „იქით მოადგა ხევისპირს სულტანი ერთითა მონითა და აქათ ავაგ ეგრეთვე“...

მე საქართველოში მტრად არ მოვსულვარო, პირდაპირ ასე დაიწყო თავისი სათქმელი ჯალალ ად-დინმა, ზავისა და მშვიდობისთვის ვარ მოსულიო. მაგრამ რა ჩემი ბრალია — თქვენ ხელად საომრად აღიჭურვებით და შემებმით, „ამიტომ არა იქმნა მშვიდობაო“.

აქეთ მოსდო შარი!.. თითქოს თვითონ კი არ გამოევლო ამოდენა გზა თავით ფეხებამდე აღჭურვილი ლაშქრით, არამედ ქართველები შეჭრილიყვნენ მის ქვეყანაში და მშვიდობა და მოსვენება დაერღვიოთ!.. მაგრამ ეს იმდენად არ გაჰკვირვებია ახალ ამირსპასალარს, რამდენადაც მომდევნო სიტყვებმა გააკვირვა...

„მასმიეს, რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არს, და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა“... — ასე გადმოგვცემს სულთნის სიტყვებს ჟამთააღმწერელი.

რუსუდანის ქმრობა და საქართველოს მეფობა მოსურვებია სულთანს!.. ეს უთხრა, მაგრამ პასუხს კი აღარ დაუცადა, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად იქვე დასძინა:

„უკეთუ არა ჰყოთ, კვალად მოგაოხროთ თქვენ და მერმე ებრძო თათართა“ (ამას უკვე ვახუშტი გადმოგვცემს)...

ასეთი „სასიძოები“ ჩვენს ქვეყანას სხვებიცა ჰყოლია — გაიხსენეთ ხაზართა ხაკანი, რუქნადინი...

კიდევ უფრო შთამბეჭდავი რომ ყოფილიყო მისი სიტყვები, ესეც უთხრა: სულ ერთია, ეგერ, ჩვენი საერთო მტრები მონღოლები დაძრულან, და, დღეს არა, ხვალ მოელენ და დაგიპყრობენ — „და თუ მეცა წარვიდე, თათარნი ეგრეცა მოსულ არიან; თქუენ ვერ წინააღუდგებით და ვერცა შემძლებელ ხართ ბრძოლად მათდა“ — მე კიდეც რომ გადამირჩეთ, სულ ერთია, თათრებს მაინც ვერ გადაურჩებითო.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სულთანი სრულ მორჩილებასა და ხვარაზმელთა ბატონობის აღიარებას მოითხოვდა... ახალ ამირსპასალარს რა უნდა ეპასუხნა, ესღა უთხრა — „ვაუწყებ თქმულსა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთა“, და „სწრაფულ წარაველინა კაცი მეფისა და აუწყა თქმული“ — წერილი მისწერა მეფეს, ყველაფერი დაწერილებით აუწყა.

სანამ სამეფო კარის პასუხსა და მოვლენების შემდგომ განვითარებას გავეცნობოდეთ, მკითხველს რამდენიმე სიტყვით თვით ქართველი მეფის — რუსუდანის ოჯახურ მდგომარეობაზე უნდა მოვახსენო.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ რუსუდანი დანიშნული იყო შარვანშაჰზე, და ქორწილი გადაიხადეს კიდეც — ქართველი მემატიანის ცნობით, აკი ლაშა თავად გაემგზავრა „გაკაზმად მიცემად დისა მისისა“, და საგულისხმოა, რომ იქიდან ქართველი მეფე აღარც დაბრუნებულა, იქვე გარდაიცვალა, დის ქორწილში. ასე რომ, ბუნებრივია, ამ უბედურების გამო ქორწილი ჩაიშლებოდა, შემდეგი დროისთვის გადაიდებოდა, როცა რუსუდანი ძმას გამოიგლოვებდა, როცა გარკვეული დრო გავიდოდა... მაგრამ, როგორც ეტყობა, შარვანშაჰს ბედის

წიგნში არ ეწერა რუსუდანის ქმრობა. ძმის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ვიცით, საქართველოს სამეფო ტახტზე რუსუდანი ავიდა. და ამან ერთბაშად შეცვალა მდგომარეობა. ამის წინ თუ სასურველ სიძედ მიიჩნია სამეფო კარმა შარვანშაპი, ახლა უკვე იგი საქართველოს მეფის თანამეცხედრედ შესაფერი აღარ აღმოჩნდა... პირდაპირ არ არის მითითებული მატიანეში, მაგრამ, ეტყობა, ისე დაშორდა რუსუდანი შარვანშაპს, რომ არც შეუღლებულა მასთან. „რაკი 1222 წელს ბედმა რუსუდანს საქართველოში მეფობის ხელისუფლება არგუნა, ცხადია, რომ შარვანშაპთან მისი ქორწინება უნდა ჩაშლილიყო. შარვანშაპი ყმადნაფიცი იყო და უხერხული იყო, რომ ყმადნაფიცი საქართველოს სამეფო ტახტზე ყოფილიყო მეფესთან ერთად“, წერს ივანე ჯავახიშვილი.

როცა გარდაცვლილი მეფის გლოვა დამთავრდა, რუსუდანს ახალი საქმრო გამოურჩიეს (თუმცა იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ვიტყვით, თავად აირჩიაო, ზოგი წყარო სწორედ ასე გადმოგვცემს). ეს იყო არზრუმის მფლობელის ტოღრულის ძე მუღისედინი, „რომელი იყო ქმნულ-კეთილი და სრული ასაკითა, შუენიერი გუამითა, მხნე და ძლიერი ძალითა“... როგორც ვიცით, გლოვა ერთი წელი გრძელდებოდა, და, მართლაც, წლის თავზე, ესე იგი, 1223 წლის 3 თებერვალს რუსუდანმა არზრუმის მფლობელის შვილი შეირთო. მაგრამ სამეფო კარმა წინასწარ მტკიცედ მოსთხოვა მაჰმადიანი მბრძანებლის შვილს, რჯული შეეცვალა და ქრისტიანობა მიეღო. ეს პირობა შესრულებულ იქნა. მართალია, არზრუმის სულთანიც საქართველოს ყმადნაფიცად ითვლებოდა, შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, „მაგრამ ეს ყმობა იმდენად მჭიდრო დამოკიდებულება არ იყო, როგორიც შარვანშაპის, ღირსებითაც არზრუმის სულთანს მაშინ უფრო დიდი სახელი ჰქონდა“.

ბარემ აქვე შევნიშნოთ, რომ რუსუდანს ორი შვილი ეყოლა — უფროსი თამარი და უმცროსი — დავითი...

ამრიგად, ახალმა ამირსპასალარმა ქართველ მეფეს და სამეფო კარს ხვარაზმის სულთნის დანაბარები შეუთვალა. როგორც მისალოდნელი იყო, სამეფო კარმა შორს დაიჭირა ჯალალ ად-დინის სიტყვები და „მიუმცნეს ავაგს არცა თუ სმენად საქმისა მაგისა“.

ძნელი სათქმელია, რა პასუხს ელოდა სულთანი ქართველი მეფისაგან, მაგრამ უარი რომ მიიღო, ახლა კიდეე უფრო მეტის გახელებით დაიძრა თბილისისაკენ.

ბუნებრივია, რომ გარნისთან განცდილი საშინელი დამარცხების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი სასწრაფოდ იზრუნებდა ახალი მხედრობის შესაკრებად, რათა ამჯერად მაინც შეეჩერებინათ მტერი, რომელიც, დღეს არა ხვალ, უსათუოდ წამოვიდოდა ქვეყნის გულისკენ. სამხედრო ხელმძღვანელობის შეცვლაც ალბათ ამიტომ მოხდა. მართლაც, ქართველებს სწრაფად შეუვსიათ და გადაუხალისებიათ მხედრობა, მოუწვევიათ ალანების, ლეკებისა და ყივჩაყების რაზმებიც, და თითქმის საზღვარზეე დახვედრიან მტერს. ამ ცნობას უკვე იბნ ალ-ასირი გვაწვდის, და ეს ალბათ მალეეე მოხდა მას შემდეგ, რაც სამეფო კარზე ჯალალ ად-დინის დანაბარები მოუვიდათ — უართან ერთად საქართველოს სამეფო კარმა ჯარიც დაძრა.

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად ახლა გაიზარდა საქართველოს ლაშქარი, მისი მდგომარეობა მაინც მძიმე იყო.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას უკვე გამოაკლდა რამდენიმე ნიჭიერი და გამოცდილი სარდალი;

მეორე ის, რომ ასეთი გადამწყვეტი ბრძოლის დროს, რაზედაც ქვეყნის ბედია დამოკიდებული, სხვა ქვეყნებიდან მოწვეულ ჯარზე დაყრდნობა ყოველთვის სარისკო და საჩოთიროა. ჩვენ უკვე ვიცით, რა ფრთხილად იქცეოდა ასეთ ვითარებაში დავით აღმაშენებელი. მას ხომ ყივჩაყთა დიდი ჯარი ჰყავდა, მაგრამ იმ ომში, რასაც ქვეყნის ბედი და მომავალი უნდა გადაეწყვიტა, იგი ძირითადად ქართველ მეომრებს დაეყრდნო და მხოლოდ მცირე ნაწილი გაურია ყივჩაყებისა... ასე რომ, ახლა ალანების, ყივჩაყებისა და ლეკების რაზმებით გაძლიერებული ლაშქარი, უნდა ვიფიქროთ, უფრო რიცხობრივად იზრდებოდა და არა ბრძოლისუნარიანობით;

მესამეც ის, რომ გარნისის საბედისწერო ბრძოლის საშინელი პანიკა ჯერაც არ იქნებოდა განელებული. ერთ ბრძოლაში ოცი ათასი მეომრის — ანუ ლაშქრის მესამედის — დაღუპვა, თანაც იმგვარ ვითარებაში, ისეთი მძიმე ჭრილობა იყო, რომლის განკურნებასაც დრო სჭირდებოდა; დრო და მშვიდი, ფრთხილი, გონიერული მკურნალობა: ახალგაზრდა მეომრებისთვის რწმენის ჩანერგვა, საბრძოლო სულისკვეთების განმტკიცება და ამაღლება, მორალურად გაკაჟება... ამნაირი მკურნალობა არც მაშინდელ ქართველ მეფეს შეეძლო, და უკვე აღარც ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობაში ჩანდა ამისი

შემძლე, ამ ტვირთის ამწევი ადამიანი. პირიქით, სამხედრო ხელმძღვანელობაში კიდევ უფრო მეტი დაბნეულობა იგრძნობოდა.

აი, რატომ იყო მძიმე საქართველოს ლაშქრის მდგომარეობა ახლა, როცა იმ მწარე დამარცხების შემდეგ, მეორედ უნდა შებრძოლებოდნენ მრისხანე და დაუნდობელ მტერს.

ეს, ეტყობა, კარგად იცოდა ჯალალ ად-დინმა, რომელსაც დაზვერვაც კარგი ჰქონდა, და სავსებით მარტივი სამხედრო ხერხით არევ-დარევა შეიტანა მოწინააღმდეგის ლაშქარში. სულთანმა დაყო თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და სხვადასხვა ადგილას ჩაასაფრა. ქართველთა ლაშქარი რომ მიუახლოვდა, სულთნის პირველი რაზმი მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, უკუ იქცა, თითქოს გაუჭირდა ბრძოლა. მოჩვენებითი გამარჯვებით ფრთაშესხმული მოწინააღმდეგე დაედევნა... კარგა ღრმად შეიტყუა სულთნის „დევნილმა“ რაზმმა. ქართველები რომ გაატარეს, უცებ სულთნის ჩასაფრებული რაზმი გამოვიდა და ალყაში მოაქცია მოწინააღმდეგე. ეს მოულოდნელი გამოდგა საქართველოს ჯარისთვის, დაიბნენ, საითაც მოუხდათ, იქით გარბოდნენ, და ამით კიდევ უფრო უადვილებდნენ საქმეს მტერს. სულთანმა მტკიცედ უბრძანა თავის ჯარს, ქართველები არ დაენდოთ და დაუნდობლად ეჟლიტათ.

ამის შემდეგ მტერს გზა უკვე გახსნილი ჰქონდა თბილისისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, ჯალალ ად-დინი მაინც ძალიან ფრთხილად იქცეოდა. მან კარგად იცოდა „სიმაგრე ქუეყანისა (საქართველოსი) და ქართველთა ნათესავისა სიმხნე წყობათა შინა“ (ეს მისივე სიტყვებია), ამიტომ ყველაფერს წინასწარ კარგად აწონ-დაწონიდა ხოლმე. განსაკუთრებით გააძლიერა დაზვერვა. და როცა „თბილისის ველს“ მიადგა, ჯიქურ კი არ წასულა ქალაქის ასაღებად, საგულდაგულოდ დაბანაკდა, ქალაქში გამოცდილი ჯაშუშები შეაპარა, იცოდა, რომ თბილისში დიდი იყო რიცხვი მაჰმადიანი მოსახლეობისა, და გადაწყვიტა მათთან გაება კავშირი, ისინი გადაებირებინა და გამოეყენებინა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ.

სანამ ამას მოახერხებდა, სულთანმა შორიდან საგულდაგულოდ დაათვალიერა თბილისი. აქამდე გაგონილი ჰქონდა, ახლა კი საკუთარი თვალით ნახა, და დარწმუნდა, რომ საქართველოს დედაქალაქი მართლაც ძნელი ასაღები იყო. სულთნის მდივანი წერს: „ჯალალ ად-დინმა ნახა, რომ თბილისი მიუვალი იყო, კარგად გამაგრებული, ზღუდეები პირდაპირ მთებსა და კლდეებზე ჰქონდა ამოყვანილი“...

ძნელი ბრძოლები იყო მოსალოდნელი. სულთანს დიდი იმედი ჰქონდა თავისი ჯაშუშებისა, და ქალაქიდან მართლაც გამამხნევებელი ცნობები მისდიოდა. სიხარულით შეიტყო ისიც, რომ ქართველ მეფეს მიეტოვებინა თბილისი და ქუთაისს გამგზავრებულიყო.

ამას ქართველი მემატიანეც გადმოგვცემს: „ეითარ ცნა მეფემან მოსვლა სულტნისა, აიყარა და წარვიდა ქუთათისს, ხოლო ტფილისს მცველად დაუტოვა ლაშქარი და თავად ორნი ძმანი ბოცოს ძენი მემნა და ბოცო“.

სულთანი გრძნობდა, რომ მეფისა და მისი ოჯახის მიერ დედაქალაქის მიტოვება და შორს გახიზვნა უსათუოდ იქონიებდა თავის მორალურ გავლენას ქალაქის დამცველებზედაც და მთელს მოსახლეობაზეც.

●

წყაროები არ გადმოგვცემენ, რა ეითარებაში მოხდა ან — თუკი ამაზე დარბაზმა იმსჯელა — რატომ გადაწყდა რუსუდანის ქუთაისს გამგზავრება. ეს კი ცხადია, რომ დიდი განსაცდელის მოლოდინში მეფის მიერ სატახტო ქალაქის დატოვება ძალიან საჩოთირო იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა სწრაფად მოაღწევდა დედაქალაქში საქართველოს ლაშქრის ბოლო დამარცხების ამბავი, რა შემაძრწუნებელი სიცხადით ხატავდნენ იმ ნგრევა-ჟლეტის საშინელებას, რაც თბილისისკენ მიმავალმა ხვარაზმელთა ლაშქარმა გზად — სამხრეთ-დასავლეთის სოფლებსა და ქალაქებში — დაატრიალა... როგორ მოჰქონდათ ეს ხმები მსტოვრებს, შარაგზის მაწანწალებს, ეაჭრებს... რა ქარის სისწრაფით მოითარეშებდა უხილავი ჭორი ქალაქის ქუჩებს, ყველა ეზო-კარსა და სახლს მოიელიდა, პაწაწინა ჭუჭრუტანებში შეძვრებოდა და თვალებდაჭყეტილ შიშის ურჩხულად იქცეოდა...

მეფისგან ქალაქის დატოვება რომ გაიგეს თბილისის მცხოვრებლებმა, თუკი აქამდე იმედის რაიმე ნიშანწყალი ჰქონდათ, ისიც გადაეწურათ. ჯალალ ად-დინის ჯაშუშები ამ ფაქტსაც მარჯვედ იყენებდნენ და ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ, შიშის ხანძარს აღვიეებდნენ და ავრცელებდნენ. გახიზვნის დროც აღარ იყო... ან სად უნდა გახიზნულიყვნენ ისე უცებ იმ ყინვიან ზამთარში, იმდენი ხალხი... თბილისი იმ დროს უკვე დიდი ქალაქი იყო.

ჯალალ ად-დინი არ ჩქარობდა ქალაქზე იერიშის მიტანას, და იქნებ არა მარტო იმიტომ, რომ იმ სუსხიან ზამთარში საგანგებოდ

უნდა მოემზადებინა შეტევა, არამედ იმიტომაც, რომ დრო ახლა მის სასარგებლოდ მოქმედებდა, ქალაქში გაავრცელებული პანიკა მისი მოკავშირე იყო — რაც უფრო გაიბერებოდა და ფეხს გაიდგამდა შიში, მით უფრო გაუადვილდებოდა სულთანს მტკიცედ გამაგრებული ქალაქის აღება. ამასობაში კი ჯალალ ად-დინის ჯაშუშები უქმად არ ყოფილან, მათ მოახერხეს ქალაქში შეპარვა და იქ თბილისის მაჰმადიან მოსახლეობაში აგენტების გაჩენა. ეს ახლა მეფისგან მიტოვებულ ქალაქში გაადვილებულიც იყო. თანაც, სულთნის ჯაშუშებმა დასაყრდენი მეფისავე ოჯახში ჰპოვეს: ქმარი მეფისა, რომელმაც ერთ დროს თავისი რჯული უარყო და ქრისტიანობა მიიღო, დაშინებულიყო და ალბათ ძველი ცოდვის — რჯულის ღალატის — გამოსყიდვის მიზნით, ახლა მტერს მიემხრო, ადვილად გადაიბირეს, პატიებას შეჰპირდნენ, თუკი იგი ჯალალ ად-დინის ხალხს დახმარებას გაუწევდა. მეფის ქმრის გადაბირება კი, თავისთავად იგულისხმება, ერთი უბრალო აგენტის გაჩენას როდი ნიშნავდა.

ძნელი სათქმელია, რატომ აღმოჩნდა ამ დროს თბილისში მეფის თანამეცხედრე, როცა თვით მეფე ქუთაისს გაიხიზნა? რატომ ისიც არ გაჰყვა მეუღლეს?.. იქნებ ცოლ-ქმარს შორის უკვე გაჩენილი იყო უთანხმოების ბზარი, რომელიც მერე თანდათანობით გაიზარდა და ყველასთვის აშკარა გახდა... იქნებ იმანვე გაუადვილა არზრუმის სულთნის ვაჟს, ღალატის უკადრის გზას დასდგომოდა!..

ქალაქის დაცვა ძმებს — მემნა და ბოცო ჯაყელებს ჰქონდათ მინდობილი. ეს განთქმული მეომრები შვილები იყვნენ დიდი ბოცოსი — ჯაყელთა ერთ-ერთი შტოს მეთაურის[1], „სამცხის ერისთავთ-ერისმთავრის და სპასალარისა“, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა ჯერ გიორგი მესამეს, მერე მის შვილს, საბოლოოდ კი გადაუდგა თამარს და გიორგი რუსის აჯანყების დროს შეთქმულებს მიემხრო,

---

[1] მეორე შტო ჯაყელებისა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და მეომრის ივანე-ყვარყვარე ციხისჯვრელის შთამომავლები არიან. სწორედ ამ ყვარყვარემ დაუჭირა მხარი თამარს გასაჭირში, დიდი შეთქმულების დროს, როცა მეფეს ბევრი დიდებული გადაუდგა და გიორგი რუსს „მიერთო“, ეტყობა, ამის შემდეგ მიიღო ყვარყვარემ ჯერ სამცხის სპასალარობა, ხოლო უფრო მოგვიანებით მეჭურჭლეთუხუცესობა. ასევე ერთგულად ეშსახურებოდნენ მეფეს ყვარყვარეს შვილები: განძასთან ლაშას პირველ ბრძოლაში ყვარყვარეს შვილი ერთ-ერთი წინამბრძოლი იყო. ხოლო მონღოლებთან პირველი შეტაკების დროს ლაშასაკე ლაშქარში მებრძოლი ბექა — ყვარყვარეს შვილი — მოიკლა; ამას საგანგებოდ შენიშნავს ქართველი მემატიანე. ყვარყვარე იმ დროს უკვე მეჭურჭლეთუხუცესი იყო... ქვემოთ კიდევ შევხვდებით ყვარყვარესა და მის შთამომავლებს.

რისთვისაც დაისაჯა კიდეც — დააქვეითეს... მისი შვილები, როგორც ვხედავთ, ისევ დაწინაურებულან და ერთგულებას უწევენ მეფეს; ერთ-ერთ ძმას, ბოცოს, მემატიანე ლაშას რახმში ასახელებს, როცა ახალგაზრდა მეფე თავის პირველ ომს იხდიდა ურჩი განძელების წინააღმდეგ; ალბათ გეხსომებათ, მაშინ სხვა მესხ ჯარისკაცებთან ერთად ამ ბოცომ მეფის დიდი ერთგულება გამოიჩინა, მემნა კიდევ უფრო სახელგანთქმული მეომარი და მოღვაწე ჩანს — ამას ჟამთააღმწერელი მიგვანიშნებს. აი, ამ ორ ძმას აქეს დავალებული თბილისის დაცვის წინამძღოლობა...

და ისევ უცნაური ამბავი, რამაც არ შეიძლება, გაოცება არ გამოიწვიოს! სად არის ამ დროს ქართული ლაშქრის მხედართმთავარი — საქართველოს ამირსპასალარი? როდისღა უნდა უწინამძღვროს ჯარს, თუკი ასეთი გადამწყვეტი ბრძოლის დროს განზე გამდგარა?! ისევ დაუდეერობაა ეს თუ დაბნეულობა? თუ წინა ბრძოლაში მარცხი განიცადა, ახლა ხომ აქ უნდა იყოს, შევსებული და გაძლიერებული ჯარით?! ახლა, როდესაც დედაქალაქს მოსდგომია მძეინვარე მტერი და ქვეყნის მომავალი საალალბედო გამხდარა!..

მით უმეტეს, მტერი ქალაქზე იერიშს არ აჩქარებს, თითქოს საგანგებოდ აძლევს დროს მოწინააღმდეგეს, რათა მან კვლავ შეკრიბოს ლაშქარი და უფრო მომზადებული დახვდეს.

მაგრამ არა, ამირსპასალარი არა ჩანს. მეფემ ხომ ადრევე დატოვა ქალაქი და შორს გაიხიზნა!.. ახლა ამირსპასალარიც არ არის!.. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დღეში იქნებოდა ქალაქის მოსახლეობა, და საერთოდ მთელი ხალხი. ამ ფაქტითაც კი უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მომავალ ბრძოლას არც მეფე და არც სამეფო კარი დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ — თითქოს პატარა შეტაკება იყოს მოსალოდნელი, რომლის შედეგსაც ქვეყნის ბედსა და მომავალზე არავითარი გავლენა არ ექნება.

ამირსპასალარი რომ მოვიკითხეთ, ამით განა იმათ მხედრულ ნიჭსა და მამაცობას ვაკნინებთ, ვისთვისაც მეფეს ახლა ქალაქის დაცვა დაუკისრებია. მემნა და ბოცო, როგორც უკვე ითქვა, შესანიშნავი ვაჟკაცები არიან — ჩინებული მეომრები და მამულიშვილები... მაგრამ აქ საქმისადმი მეფის დამოკიდებულებაა საგულისხმო, როცა გადამწყვეტი ბრძოლისგან, ალბათ მეფისავე სურვილითა და თანხმობით, ამირსპასალარი განზე გამდგარა.

ჩვენც საქმისადმი მეფის დამოკიდებულების საჩვენებლად ვახსენეთ ეს ფაქტი. ესეც, და განსაცდელის წინ ქალაქის მიტოვებაც...

მაშინ, როდესაც დიდ ბრძოლაში მეფე, თუ არ მიუძღვის ხმალშემართული, გვერდზე მაინც უნდა ედგეს მეომრებს და ამხნევებდეს, თავისივე სიახლოვით ძალას მატებდეს...

უნებურად გახსენდება სახელოვანი დედა ახლანდელი მეფისა — მისი გონიერული სიფრთხილე და თადარიგი ყოველგვარ საქმეში; ჯერ როგორ ამზადებდა ჯარს ყოველი ბრძოლის წინ და მერე როგორ მიუძღოდა, როგორ ამხნევებდა მეომრებს, გამარჯვების რწმენას უნერგავდა...

თუნდაც შამქორის ომი გავიხსენოთ...

ლაშქარი რომ შეკრიბეს, „მივიდა თამარ და იხილნა (დაათვალიერა, ლაშქარი, მისი საბრძოლო მზადყოფნა და აღჭურვილობა შეამოწმა). დაყენეს მცირედი დღენი მათცა ლოცვისათვის“... და ომის წინ სიტყვით მიმართა მეომრებს...

რა გულითადი და გამამხნევებელი იყო ის სიტყვა!..

„ძმანო ჩემნო, ყოველად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქუენისა“... ასე დაიწყო ის სიტყვა თამარმა, ხოლო რომ დაამთავრა, „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი და ფერხივ შიშლუითა ფერხითა მიიწია ტაძარსა“...

მემატიანეს არც იმის თქმა ავიწყდება, როგორ გამხნევდნენ მეომრები: „აწ ჯერ არს მოხსენებად, თუ ვითარ შეწევნა მოიღეს თამარის ცრემლთაგან სპათა ჩუენთა“...

და იქვე იმასაც აჩვენებს, რა გმირულად იბრძოდნენ შემდეგ...

ომი თავისით არ მოიგება, რა გინდ მამაცი მხედრობა გყავდეს, მომზადება სჭირდება, მრავალმხრივი მომზადება... და წინ გაძღოლა!..

ახლა ბასიანის ომი!

სალაშქროდ წასულ ჯარს „თვით თამარ უძღოდა წინა შიშულითა ფერხითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწუთა თვისთა. და წარუძღვა ბასიანთა კერძოთა და მიიწივნეს მახლობლად კარისა“...

გაგზავნა ჯარი და „თვით განვიდა უმაღლესსა ადგილსა, სადაც ყოველთა ხედვიდა, და დავარდა მუხლთა თვისთა ზედა დიდხან, და ტიროდა წინაშე ღმრთისა“...

თითქოს სათითაოდ შეაევედრა ღმერთს მეომრები: „ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯუარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“...

ასე იყო, ასე მოდიოდა თავიდან, მეფე ყოველგვარ ვითარებაში, ლხინსა თუ ჭირში, ყოველგვარი განსაცდელის დროს თავის ხალხ-

თან უნდა მდგარიყო, ქვეყნის მართვის წესი ამას მოითხოვდა, ასე დაკანონდა საუკუნეების განმავლობაში და როგორც ვნახეთ, იმით არაფერი შეცვლილა, რომ მამაკაცის ნაცვლად სამეფო ტახტზე ქალი ავიდა.

დედისგანვე ჰქონდა ახალგაზრდა მეფეს დიდებული მაგალითი.

მაგრამ დაავიწყდა — თუ რა მოხდა — ახალმა მეფემ დროულად მხოლოდ თავისი გახიზვნის თადარიგი დაიჭირა: მტერი ჯერ ისევ შორს იყო, როცა ქალაქი მიატოვა. და ამით, როგორც ითქვა, კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა, უფრო საალალბედოდ გახადა ისედაც ძნელი ბრძოლის საქმე.

●

თბილისი ჯალალ ად-დინმა 1226 წლის 9 მარტს აიღო. ბრძოლის ამბავს ჟამთააღმწერელიც გადმოგვცემს და უცხოელი მემატიანეებიც — ზოგი შეკუმშულად, ზოგი შედარებით ვრცლად. ეს ცნობები ავსებენ ერთმანეთს და საშუალებას გვაძლევენ, კარგად აღვადგინოთ სინამდვილე (ძალიან მოკლედ გადმოგვცემს ბრძოლის ამბავს თვით სულთნის მდივანი, რადგან ამ დროს ავად იყო და საკუთარი თვალით არ უნახავს, სხვათა ნაამბობს გადმოგვცემს).

ქალაქს რომ მიუახლოვდა, სულთანმა თავისი დიდი ლაშქარი დაჰყო და სხვადასხვა ადგილას ჩაასაფრა, ისე შეფარვით, რომ ქართველებს ეს არ გაუგიათ. როგორც ითქვა, სულთანი არა ჩქარობდა შეტევის დაწყებას, და არც ქართველები გამოდიოდნენ კარგად გამაგრებული ქალაქიდან. ჯალალ ად-დინი გამოცდილი მეომარი იყო და ცდილობდა, როგორმე შორს გამოეტყუებინა მოწინააღმდეგე (იქნებ იმიტომაც აყოვნებდა შეტევის დაწყებას)... მაგრამ მეტი დაყოვნებაც არ შეიძლებოდა, სადამდე უნდა ეცადა — ქართველები არა და არ გამოდიოდნენ, ჯიუტად სდუმდნენ, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ ქალაქის მისადგომებთან დაბანაკებულ მტრის ჯარს...

გაილია ზამთრის სუსხიანი დღეები, მოახლოვდა გაზაფხული, და აი მარტის დასაწყისში სულთანი ქალაქის კარიბჭისკენ დაიძრა... ოღონდ არა მთელი თავისი დიდი ლაშქრით, არამედ მხოლოდ ერთი რაზმით — სამი ათასი კაცით. აშკარაა, მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა გადაეწყვიტა: მტრის მცირე რაზმს რომ დაინახავდნენ, ქართველებს გული მოეცემოდათ, კარს გახსნიდნენ და გარეთ გამოვიდოდნენ; მერე მცირე წინააღმდეგობის გაწევით, უკან დახევას

დაიწყებდნენ ხვარაზმელები, ნელ-ნელა შორს გაიტყუებდნენ ქალაქის მცველებს და ალყაში მოაქცევედნენ. — ალბათ ასე ვარაუდობდა სულთანი, — ხვარაზმელთა მრავალრიცხოვან ლაშქარს აღარ გაუძნელდებოდა მოწინააღმდეგის გაჟლეტა. ქართველები ამის წინ რამდენჯერმე წამოეგენ ამ მარტივი სამხედრო ეშმაკობის ანკესზე და სულთანს ახლაც ამის იმედი ჰქონდა.

მაგრამ ქალაქის მცველებმა ამჯერად სიფრთხილე იხმარეს, მოწინააღმდეგის ეშმაკობას მიხვედნენ და ხვარაზმელთა სამიათასიან რაზმს მთელი ჯარით კი არ ეკვეთნენ, როგორც სულთანი ვარაუდობდა და მოელოდა, არამედ მათაც მხოლოდ ერთი ნაწილი გამოიყვანეს; და შორს კი არ გაატყუებინეს თავი, არამედ, როგორც ეტყობა, უკან დახევის საშუალებაც არ მისცეს, იქვე, კარიბჭესთან გაიმართა ხელჩართული ბრძოლა.

სხვადასხვა წყარო სულ სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს ბრძოლის ამბავს, და როცა ამ ცნობებს ერთმანეთს შევადარებთ და გავაანალიზებთ, უფლება გვექნება, ასე წარმოვიდგინოთ მაშინდელი ბრძოლის სურათი...

ქალაქის მცველები მედგრად დახვდნენ მტრის პირველ შემოტევას და „ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა". როგორც ვხედავთ, იმ დღეს გაუმარჯვნიათ ქალაქის მცველებს. — არავითარი საფუძველი არა გვაქვს, არ ვირწმუნოთ ჟამთააღმწერლის ეს ცნობა — მაგრამ ამასობაში დაღამებულა და „მებრძოლები ბინდს გაუშველებია".

ამრიგად, გადამწყვეტი ბრძოლა მეორე დღეს უნდა გამართულიყო. და ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა საქმე, რომ საშინელ ღალატს არ გაეწია ერთგული მოკავშირეობა ჯალალ ად-დინისათვის. როცა გათენდა, სულთანმა კვლავ დაძრა ჯარი თბილისის კარისკენ. ახლა ალბათ მთელი ლაშქარი. მან უკვე იცის, რომ მოღალატემ — თბილისელმა „სპარსმა ვინმემ" — ზურგიდან მახვილი უნდა ჩასცეს ქართველი მეომრების წინამძღოლებს. ასეა წინასწარ გათვალისწინებული ყველაფერი. ამას ბუნებრივია, არევ-დარევა მოჰყვება, მით უმეტეს, თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს ყველაფერი ქალაქში ხდება, ხალხით გაჭედილ ქუჩებში... არეულობით ისარგებლებენ შინაგამცემები, კარს გახსნიან და ქალაქში სულთნის მხედრობას შეუშვებენ. ეს იცის სულთანმა, და გაფაციცებით ელოდება ნიშანს; ქართველებმა ეს არ იციან, და არცა ფრთხილობენ.

როცა მემნამ ჯარი მოაწყო და ქალაქის კარიბჭის — განძის კარის — გახსნა ბრძანა, რათა მხედრობა გაეყვანა და მოახლოებულ მოწი-

ნააღმდეგეს შებრძოლებოდა, მოემზადა „მუზარადის დარქმად“... ჯერ მუზარადი არ დაეხურა — ანკი რა ეჩქარებოდა, გამაგრებულ ქალაქში იყო, გული არხეინად ჰქონდა, თავი შინ ეგულებოდა... საბოლოოდ ჩამოუარა საბრძოლად გამზადებულ ჯარს, ბრძოლისწინა დარიგება მისცა, იქნებ სიტყვითაც მიმართა, უკანასკნელი თადარიგი დაიჭირა და ახლაღა დააპირა მუზარადის დახურვა... მაგრამ „მუზარადის დარქმა“ აღარ აცალა მოღალატემ, „ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა“.

ეს ნიშანი გამოდგა — მოღალატეების ბრბომ ყიჟინა დასცა, სარდალი მოგვიკლესო; ისარგებლეს უეცრად შექმნილი არეულობით და „განახუნეს კარი“, მტრის მხედრობა ქალაქში შემოუშვეს.

ხელად ახმაურდა მინარეთები, — როგორც ადრეევე იყო გათვალისწინებული, — ისმოდა ჯალალ ად-დინის სახელი, მისი ქება-დიდება. ადგილობრივი მაპმადიანი მოსახლეობა სიხარულის ყიჟინით შეეგება სულთანს. ბრძოლა წაგებული იყო — ქალაქის მცველთაგან ძალიან ბევრი გაიჟლიტა, ხოლო ვინც თავი დააღწია, ხიდი გადაიარეს და ისნის ციხეს შეეფარნენ — „ესრეთ რა შინა-განცემა იყო ქალაქისა, ივლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედგეს ისანთა; ბოცოს-ძემან ბოცო გაამაგრა ისანი“...

ძნელი აღარ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, რა საშინელებას დაატრიალებდა დიდი, მდიდარი ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობაში სიცივისგან და შიმშილისგან გაბეზრებული მტრის გამხეცებული მხედრობა! ნასავი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ ქალაქში პირველი ყიას ად-დინი შეიჭრა — სულთნის ძმა, ჯუვეინის დახასიათებით „გულქვა და ულმობელი“ კაცი... თუმცა სხვებიც რას დააკლებდნენ — სულთანმა საგანგებოდ ბრძანა, არ დაენდოთ მოსახლეობა...

ამას რაღა ბრძანება უნდოდა!..

ქალაქი უკვე დაპყრობილი იყო. ხმლები ქალაქის მცხოვრებლებს გაუსწორდა, როგორც საჭირო იყო, ხოლო ხელებმა მთელი სიმდიდრე იგდეს, და ქალაქის მოსახლეობა ერთიანად გაწყვიტესო. — ასე უემოციოდ წერს სულთნის მდივანი, თუმცა, სხვა ადგილას, არ ერიდება ხოლმე ემოციების გამომჟღავნებას. „ამოწყვიტეს ქალაქში მცხოვრები მყოფი ყველა ქართველი, არ დაზოგეს არც ხანშიშესულნი და არც ბავშვები“, — ეს იბნ ალ-ასირის სიტყვებია.

და ამის შემდეგ თითქოს აღარც არის საჭირო, დაწვრილებით აღვწეროთ ის საშინელება, რაც მტერმა მაშინ ქალაქში დაატრიალა... ეს ჟამთააღმწერელსაც ძალიან უმძიმს, მაგრამ მაინც მოგვითხრობს და ჩვენც მოვუსმინოთ.

„აქ მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მოუთხრობ ტკივილითა გულისათა, რამეთუ ესოდენ მძვინვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაციან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვივდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის, და უკანის დედანი მოიკვლოდიან; ბერნი (მოხუცნი) უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკნი დაეკუთებოდეს (მიწაზე ანარცხებდნენ), სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ნაწლეენი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო. არა ჰყოფდეს წყალობასა, რამეთუ რომელნიმე დანითა იღლიასა დასობილნი, სხუანი მკერდსა დაცემითა, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს“...

მოსასმენადაც ძნელია და მოსათხრობადაც – თითქოს სუნთქვა შეეკრა ჟამთააღმწერელს, ცრემლებმა დაახრჩვეს, გული ყელში მოებჯინა... და გამწარებით შეჰყვირა: „ჰეი, სალმობიერი ღაღადი დიდი და ღაღადი ცრემლთა“...

თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ თითქმის საუკუნე იყო გასული, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, მაგრამ როცა ეკითხულობთ, თითქოს იმ საშინელებათა პირველმხილველის მდუღარე ცრემლებსა ვხედავთ და, ძნელად ამოთქმულ სიტყვებთან ერთად, მისი მწარე გმინვაც გვესმის...

„ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი, ვითა ცხოვარი შეკრიბიან (ცხერის ფარასავით გამორეკავდნენ შიშით აქა-იქ, ქუჩებში მიყუჟულ ხალხს), და კუალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდარ მდებარეთა, ცხენითა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა“...

●

გადაიარა პირველმა ტალღამ, სისხლმოწყურებულმა მტერმა გული იჯერა, და თქვენ იქნებ მოელით, რომ ახლა მაინც დაცხრება ეს ძნელად ასახსნელი რისხვა და სიმკაცრე... არა, არ დამცხრალა, არ განელებულა... ქართველი მეომრების ერთი ნაწილი ხომ ისნის ციხეში გამაგრდა, იქ იყო მემნას ძმა, ბოცო ბოცოს ძე. ჯალალ ად-დინმა იცოდა, რომ გამარჯვება მანამდე არ იქნებოდა სრული, სანამ ისნის

ციხესაც არ დაიპყრობდა. მეციხოვნენი კი დანებებას არ აპირებდნ;ნ. რჩეული მეომრები იყვნენ, ღირსეული სარდალი ჰყავდათ; ახლა იქიდან უწევდნენ წინააღმდეგობას... მაგრამ სადამდე შეიძლებოდა, ასე გაგრძელებულიყო — უკვე ძალიან შემცირებული დამცველები ქალაქისა გაუმკლავდებოდნენ კი მტრის მრავალრიცხოვნა ჯარს?!. ეს ხომ უმიზნო და უიმედო ბრძოლასა ჰგავს, ტყუილუბრალოდ უნდა დაიღვაროს ზედმეტი სისხლი!..

ეს, რაღა თქმა უნდა, თავად კარგად იცოდა გამოცდილმა სარდალმა და მეომარმა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ მეფე დასავლეთ საქართველოში სწრაფად იკრებდა ჯარს და მოაშველებდა — ასეთ ვითარებაში ისანში გამაგრებულ მეციხოვნე რაზმს ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეეძლო... მაგრამ ამას ალბათ მხოლოდ ბოცო ფიქრობდა ასე. რადგან სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ამას...

მეფეს, ეტყობა, არც კი უფიქრია ჯარის შეკრება, იგი თავის მეფურ მოვალეობას იმით იხდიდა, რომ ისანში გამაგრებულ მეციხოვნეებს უთვლიდა — ციხე დატოვეთ და წამოდითო.

საბოლოოდ, როცა იმედი გადაეწურა ბოცო ჯაყელს, როცა ნახეს, მრავალრიცხოვან მტერთან ვერას გახდებოდნენ, და რაც უფრო გაგრძელდებოდა წინააღმდეგობა, მტრის სისასტიკე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ არა თუ არ შენელდებოდა, არამედ გაძლიერდებოდა კიდეც, გადაწყდა, დანებებულიყვნენ... ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, მეფემ რამდენჯერმე შეუთვალა ბოცო ბოცოს ძეს, ციხე დაცალეთ და დანებდითო. ციხის თავი ისევ ყოყმანობდა... ალბათ მარჯვე დროსაც არჩევდა, რათა უფრო ხელსაყრელ პირობებში დაეთმო ციხე...

და ეს დროც დადგა.

ხის ხიდი, რომელიც მტკვრის კლდოვან ნაპირებზე იყო გადებული და ქალაქის ორ ნაწილს ერთმანეთთან აკავშირებდა, ადრევე დაწვეს. და ახლა ჯალალ ად-დინს დიდი წვალება დასჭირდა, რათა თავისი მხედრობის ერთი ნაწილი გაღმა გაეყვანა და ისნის ციხე ალყაში მოექცია.

როგორც ითქვა, ეს მარტის დასაწყისში მოხდა. თბილისში ამ დროს საშინელი სუსხი და ქარაშოტი იცის, ის წელიწადი კი განსაკუთრებით ცივი იყო. ხვარაზმელებმა რომ მტკვარი გადალახეს და ციხეს ფილაკავნები დაუმიზნეს, ეტყობა, ქარი გაძლიერდა, სუსხი გამძვინვარდა, თითქოს ხელახლა დაიწყო ზამთარი. ერთბა-

შად შეიცვლება ხოლმე ამ დროს ამინდი, ერთბაშად გამძვინვარდება სუსხი. ნასაი ასეევ წერს — ზამთარი გააფთრდაო. სულთნის მეომრებს სახეში სცემდა სუსხიანი ქარი, თვალი ვერ გაეხილათ, ცხვირპირი წაყინოდათ... ამათაც უჭირდათ — გაბეზრდნენ, დაიქანცნენ. გამოდარებას კი პირი არ უჩანდა, ქარი ძლიერდებოდა, სუსხი მატულობდა... და ამ დროს უცებ გაიღო ციხის კარიბჭე, იქიდან მოციქული გამოვიდა, რათა სულთანს ციხის დანებებაზე მოლაპარაკებოდა. სულთანს გაეხარდა ეს, დაყოვნება და ბრძოლის გაგრძელება უკვე აღარ შეეძლო, და ბოცოს პირობებზე მაშინვე დათანხმდა.

ჭკვიანმა და მამაცმა მეციხოვნემ ის მაინც მოახერხა, მტერთან მოლაპარაკება უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო და წინა ბრძოლას გადარჩენილ ციხისმცველთა სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

ამგვარად, მთელი ქალაქი, თავისი ციხეებიანად სულთნის ხელში აღმოჩნდა. ომის კანონებისა და ადამიანური მორალის მიხედვით, ახლა მაინც უნდა შეენელებინა თავისი სისასტიკე დამპყრობელს...

ჯალალ ად-დინისთვის ასეთი კანონები უცხო იყო. რაკი მთელი ქალაქის ბატონ-პატრონად დაიგულა თავი, კიდევ უფრო განძვინვარდა — „კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძვინვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იყვნეს ფოლოცნი, ხრამნი და ხნარცუნი მოკლულთა მიერ და უმრაველეს მკუდართა მტკუარსა შეუტეობდეს“...

ვინც აქამდე სიკვდილს გადაურჩა, ახლა იმათი იძულებითი გამაპმადიანება მოინდომეს. კირაკოს განძაკელი შემაძრწუნებელ სურათს გვიხატავს — სულთანმა „ბრძანა, რათა ყველა, რომელნიც დაემორჩილებიან და რომელნიც არ დაემორჩილებიან, ძალით წინადაეცვითათ. ამრიგად, ორ ვინმეს ძალდატანებით ჩაუჭიდია კაცთათვის ხელი მოედანზე, სხვას კი აუღია მახვილი და ჰკვეთს მამაკაცის ასოს კანს. საძაგელი სიბილწით ისინი დედაკაცებსაც შეურაცხყოფდნენ და ყველგან, სადაც კი ჯვარს ან ეკლესიას ნახავდნენ, ამხობდნენ და ანგრევდნენ“...

ერთი ეკლესიაც არ დაუტოვებიათ დაუნგრეველი — „იწყო რღუევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლადმდე აღფხურა“, წერს ჟამთააღმწერელი და იქვე საოცარ ამბავს გადმოგვცემს: სიონის ტაძარი მთლიანად არ დაუნგრევია ჯალალ ად-დინს, გუმბათი მოარღვია მხოლოდ და უგუმბათოდ დარჩენილ ტაძრის კედლებს გუმბათის ნაცვლად რაღაც უცნაური („უცნაური და სასაცილოო“, ივანე ჯავახიშვილი წერს) ტახტი გადაადგა. ტახტზე ზემოდან დაშვებული,

საგანგებოდ მორკალული ხიდით ადი-ჩამოდიოდა, ზედ მორთხმით დაჯდა და, როგორც ხედავთ, ასე დაიკმაყოფილა თავისი უბადრუკი პატიემოყვარეობა; გამოატანინა ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, ხიდზე დაასვენებინა, და ბრძანა — „ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნეა პატიოსანთა ხატთა და დატეეება სჯულისა“... თვითონ კი ამ დროს თავის უცნაურ ტახტზე იჯდა, ზემოდან გადაჰყურებდა და ტკბებოდა; ვინც არ შეურაცხყოფდა ხატს — „უკეთუ არა პყონ (ესე იგი, ვინც გაუძალიანდებოდა) — წარკუეთა თავთა!“, განაგრძობს ჟამთააღმწერელი და ვახუშტი ბატონიშვილიც ამასვე ადასტურებს: „რომელი არა პნერწყვიდა [ხატს], მოჰკელიდნენ“...

უმრავლესობა, რაღა თქმა უნდა, უძალიანდებოდა, და მათ კლავდნენ. ნასავის სიტყვებს — ქალაქის მოსახლეობა ერთიანად გაწყვიტესო — ჟამთააღმწერელიც ადასტურებს: „...აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ეპგონებ, ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხვი მოკლულთა“ — ასი ათასამდე ადამიანი მოუკლავთ!

იმდენად გაამაყებულა და გადიდგულებულა ჯალალ ად-დინი, რომ სიფრთხილე დავიწყნია და თავისიანებიც, — თბილისის მაპმადიანი მოსახლეობაც, რომელთაც საკუთარ ქალაქს, — თავიანთივე მფარველსა და აღმზრდელს უღალატეს და მას დაუჭირეს მხარი, — აღარ დაუნდვია: ნაწილი გაუწყვეტია და ნაწილიც უწყალოდ გაუძარცვავს.

ეს უკვე პირველი საგულისხმო ნიშანი იყო იმისა, რომ ჯალალ ად-დინის განცხადებანი — თითქოს იგი რჯულის დასაცავად ომობდა, სინამდვილეში ფუჭი სიტყვები იყო.

მაგრამ ამაში ჯერ მხოლოდ თბილისელი მაპმადიანები დარწმუნდნენ, მეზობელი სასულთნოების მოსახლეობას ჯერ ისევ სჯერა მისი, ჯერ ისევ ჭეშმარიტება ჰგონია მისი სიტყვები.

თბილისის მოსახლეობის გაჟლეტაზე ვლაპარაკობდით, და ამის შემდეგ იქნებ უხერხულიც იყოს იმის აღნიშვნა, რომ სულთანმა ერთიანად გაძარცვა ქალაქი. მისიეე მდიანი წერს დაუფარავი კვეხნით — სულთანმა თბილისში ხელთ იგდო იმდენი განძი, საუკუნეებით დაგროვილი და ნაამაგარი, რომ საგანგებო მოხელეები მის აღრიცხვას ვერ აუდიოდნენო.

თბილისი დიდი ქალაქი იყო, სიმდიდრითა და სილამაზით განთქმული, ბუნებრივია, რომ მისი აღებისა და განადგურების ამბავი სწრაფად მოედებოდა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებს. ივანე ჯავახ-

იშვილს მოაქვს უცხოელი მემატიანის ცნობა, თუ როგორ გაიხარეს თბილისის აღებით მაჰმადიანურმა ქვეყნებმა; როგორც ითქვა, მათ ჯერ არ გამოუცდიათ ჯალალ ად-დინის საშინელი სისასტიკე, ჯერ ისევ თავიანთ ქომაგად მიაჩნიათ იგი; სულთნის ნამდვილ ზრახვებს ახლა გაიგებენ, ამის შემდეგ...

ჯალალ ად-დინმა არ უღალატა დამპყრობლობის წესს, და რაკიღა თბილისში კარგად გამაგრდა, საქართველოს კუთხეების რბევას მოჰყვა ისეთივე სისასტიკითა და ულმობლობით, როგორც თბილისი დაარბია: „ესრეთ რა მოაოხრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად, ხოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანისა, და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა“.

როგორც ხედებით, ეს ქართველი მემატიანის სიტყვებია და ამასვე ადასტურებს ნასაიც: თბილისი რომ დაიპყრო სულთანმა, მთელი საქართველოს რბევას მოჰყვა, მისი მარბიელი რაზმები ქვეყნის შორეულ საზღვრებამდე აღწევდნენო.

●

დამპყრობლები მარტო უსამართლობითა და სისასტიკით კი არ ჰგვანან ერთმანეთს, ბედიც საერთო აქვთ — ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა გაიზიაროს ეს ბედი. ჯალალ ად-დინმა შედარებით ადრე იგემა მისი სიმწარე... მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგითხრობთ. ახლა კი ის უნდა გვეთქვა, რომ სხვა დამპყრობლების მსგავსად, მასაც არა ჰქონია მყარი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ იმდენი ქვეყანა დაიპყრო და მთელს მაჰმადიანურ სამყაროში ყველაზე ძლევამოსილ მბრძანებლად ითვლებოდა; ყველას მისი შიში ჰქონდა; სადაც კი ფეხს დაადგამდა, ყველაფერს ანადგურებდა და სიკვდილსა სთესდა. ეს ძლევამოსილება მოჩვენებითი იყო. არაადამიანური სისასტიკე ძლიერებასა და ძლევამოსილებას როდი ნიშნავს. პირიქით უფრო არის.

მყარი მდგომარეობა თავიდანვე არა ჰქონია ჯალალ ად-დინს, იმ სწრაფი აღზევების დროსაც კი. საქართველოს რომ ასე არბევდა და ანადგურებდა, აზიიდან ზედიზედ მოსდიოდა ცნობები ღალატის შესახებ: სულთნის შორს ყოფნით ესარგებლა ბარაყ ჰაჯიბს და მონღოლებთან გაება მოლაპარაკება, საიდუმლო მიმოწერა დაეწყო... ჯალალ ად-დინს ატყობინებდნენ, ბარაყი მონღოლებს შენს წინააღმდეგ აქეზებსო. თავისივე ერაყელი გამგებელი სწერდა ამას. რამდენ-

ჯერმე მიიღო ასეთი წერილი, მაგრამ ჯერ არ ეცალა სულთანს, ჯერ საქართველოში უნდა მოეთავებინა საქმე, ერთიანად უნდა აეოხრებინა ეს ქვეყანა, მისი ყოველი კუთხე... მაგრამ როცა იმის ცნობაც მოუვიდა — ბარაყმა ჯარი შეკრიბა და ერაყის ასაღებად ემზადებაო, როცა ისიც გაიგო, რომ მას მონღოლებთან ელჩი გაეგზავნა და შეეთვალა — ქერმანში სულთანს დიდი ჯარი არა ჰყავს, ადვილად აიღებთ, რაღას უცდით, გამოილაშქრეთო.. ეს ცნობები რომ მიიღო, დაყოვნება უკვე აღარ შეიძლებოდა, გადაწყვიტა, სამაგალითოდ დაესაჯა მოღალატე. მაშინვე გადაარჩია ექვსი ათასი საუკეთესო მხედარი, ერთ ნაწილს თავისივე ძმა ყიას ად-დინი უსარდლა და გაგზავნა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ძმასაც ვერ ენდო — იფიქრა, ვაითუ გადამიდგეს და ბარაყს მიემხროს ან არადა, ისეთი მონდომებითა და გულითადობით არ იბრძოლოსო — და ძმური ერთგულებისა და მოვალეობის გრძნობა ქრთამით გაამაგრა: შეპპირდა, ქერმანს შენ მოგცემ, როცა მოღალატე ბარაყისგან გავათავისუფლებო. გაგზავნა ეს ერთი რაზმი — ათასი მეომარი — ძმის სარდლობით სულთანმა და თავადაც მალე დაძრა ძირითადი ჯარი — ხუთი ათასი მეომარი.

●

არ იფიქროთ, მისი წასვლით ან თბილისს, ან საქართველოს სხვა კუთხეებს დროებით მაინც ეგრძნოთ შვება. თბილისში სულთანმა დატოვა თავისი ვაზირი შარაფ ალ-მულქი, რომელიც სისასტიკითა და გულქვაობით ჯალალ ად-დინს არ ჩამოუვარდებოდა, ცბიერებით კი მგონი უსწრებდა კიდეც. და აქ ნასავის სიტყვები უცვლელად უნდა მოვიტანო, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი ხალხის მაშინდელი მდგომარეობა:

„შარაფ ალ-მულქმა თბილისი ცენტრად აქცია, საიდანაც უბედურება იგზავნებოდა საქართველოს გადარჩენილ კუთხეებში; შარაფ ალ-მულქის რაზმები ლაშქრობდნენ მარჯვნივ თუ მარცხნივ, მწუხარებას უმრავლებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას“...

სანამ ქერმანს ჩავიდოდა, ჯალალ ად-დინმა სურმარში გაიარა, სადაც იმ დროს, მისივე ბრძანებით, ხიდსა სდებდნენ მდინარე არაქსზე. თვით ნასავიც ამ დროს სურმარშია (ავადმყოფობის გამო დარჩა იქ), და აი, იგი, ეტყობა, მომჯობინებულა: პატრონის მისვლა რომ გაიგო, მიეახლა. სულთნის ჯარმა გადაიარა ახალი ხიდი და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში დაბანაკდა. ამას თვითონვე გვატყო-

ბინებს სულთნის მდივანი, და იქვე ერთ საინტერესო ამბავს გადმოგვცემს.

ჯალალ ად-დინს მოახსენეს — აქ სამი ტყვე ქართველი თავადი მოიყვანეს, თავიანთ ქვეყანაში დიდად განთქმული ადამიანებიო. შარაფ ალ-მულქს თურმე გამოსყიდვის საშუალება მიუცია მათთვის. სულთნის მდივანი არ ასახელებს, ვინ იყვნენ ეს ქართველი დიდებულები, მაგრამ დიდად გავლენიანი პირები რომ ყოფილან, იმ თანხის მიხედვითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რაც სულთნის ვაზირს მათ გამოსასყიდად მოუთხოვია, და დიდი ნაწილი მიულია კიდეც (თავად ხომ ამ დროს თბილისში იყო და ალბათ იქვე მიიღებდა) — ოცდახუთი ათასი დინარი!.. ეს ზღაპრულად დიდი საფასური იყო; ნასაეისავე ცნობით აკი ვიცით: იმდენი ტყვე ჩაუგდია ჯალალ ად-დინს, რომ მათი ფასი ერთბაშად დაცემულა და თითო ტყვე ქართველი მეომარი ორ დინარადღა იყიდებოდა... ასეთ ვითარებაში 25000 დინარი თითო ტყვე მეომრის გამოსასყიდად, თავისთავად ბევრს რასმე მიგვანიშნებს; შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა გავლენა ექნებოდათ ამ დიდებულებს საქართველოში. ვინ იცის, დარბაზის წევრები იყვნენ, გამოჩენილი სარდლები!.. ალბათ ვიცნობთ კიდეც, მაგრამ სულთნის მდივანი არ გვისახელებს მათ, და ჩვენც მხოლოდ ასე ზოგადად შეგვიძლია ვივარაუდოთ...

შარაფ ალ-მულქს უკვე მიეღო გამოსასყიდი თანხის დიდი ნაწილი და, ეტყობა, სიტყვის გატეხას არც აპირებდა — ის-იყო, უნდა გაეთავისუფლებინათ ტყვეები, რომ, მათდა სავალალოდ, ამ დროს სურმარში ჯალალ ად-დინი მივიდა. სულთანმა რომ გაიგო, ტყვედ ჩავარდნილი ქართველი მთავრების გათავისუფლებას აპირებენო, გაბრაზდა... და არა მარტო იმიტომ, რომ იცოდა: ყოველი ქართველი მთავარი იგივე სარდალი იყო და ასეთი დაძაბული მდგომარეობის დროს ტყვე სარდლების გათავისუფლება, — რა თანხაც არ უნდა მიეღოთ გამოსასყიდად, — ღალატს ნიშნავდა. მარტო ეს რომ ყოფილიყო მიზეზი, ასე არ გაბოროტდებოდა სულთანი... მაშინვე გამოიძახა ნასაეი და უბრძანა, ამ ტყვეების გათავისუფლება არავინ გაბედოსო: მტრების გაყიდვა რომ მდომოდა, იმდენ სიმდიდრეს წავგლეჯდი ქართველებს, რომ ცეცხლიც კი ვერა ნთქავდა და დრო-ჟამი ვერ გაანადგურებდაო...

ჯერ არ მომხდარიყო, რომ ფულსა და სიმდიდრეს დახარბებულ სულთანს ტყვეების გამოსასყიდზე უარი ეთქვა — თანაც, ახლა საზღაპრო თანხა დაუსახელეს! და ასეთი უჩვეულო მოქცევა სულთნისა

ქვეშევრდომებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამათ პირიქით ეგონათ — გავახარებთო, იფიქრეს, კარგ გუნებაზე დავაყენებთო... სულ სხვა რამეს უფრო მოელოდნენ — ამ ფულს წაართმევს სულთანი თავის პირველ ვაზირს და პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებსო... მაგრამ ასე არ მოხდა, ფულს არც გაეკარა სულთანი — ხელიც კი არ ახლოო, საგანგებოდ შენიშნავს მისი მდივანი და მემატიანე. აი, ეს იყო უჩვეულო და გასაკვირი, ამან განაცვიფრა სულთნის ქვეშევრდომები...

ნახეთ, როგორ გააცოფა სულთანი ქართველი მთავრების გათავისუფლების ამბავმა! მაგათი გათავისუფლება რომ მდომოდა, იმდენ სიმდიდრეს წაეგლეჯდიო!... ძალიან მდიდრებად მოსჩვენებია ქართველები. ხედავთ, რა სიძულვილი მორევია მთელი ერისა, რა ბოღმა აღრჩობს!.. ერთიანად მოსასპობად გაუმეტებია ჩვენი ხალხი!.. მან უკვე მოასწრო, ენახა ქართველების ცხოვრების წესი — ქალაქადაც და სოფლადაც; საშუალება ჰქონდა, გასცნობოდა ამ ხალხის გმირულ შემართებას, თავისუფლებისთვის დაუცხრომელ სწრაფვას, მათ სილამაზეს, მათ მომხიბლავ ქალ-ვაჟებს, კოხტა სახლ-კარს, შვილივით მოვლილ ზვრებსა და ბაღებს, თავაუღებელი შრომით შექმნილ დოვლათსა და სიკეთეს, იშვიათი გემოვნებით გამშვენიერებულ გარემოს, ცხოვრებით ტკბობის განუმეორებელ ეშხსა და ლაზათს, უშუალობას, სილაღეს... და იმის ნაცვლად, რომ ამ საოცარი ხალხის მიმართ პატივისცემით განმსჭვალულიყო, ბოღმა მოერია, შურმა დააღრჩო, სიძულვილი გაუმძვინვარდა...

საკვირველი კია — კარგი ვაჟკაცი თუ იყო, ასეთი მდაბალი გრძნობები არ უნდა მორეოდა... გაცოფდა, როცა ტყვე ქართველი მეომრები უხსენეს. შალვა ახალციხელი გაახსენდა, მისი სიკვდილიც კი შეშურდა — მამულისადმი ვალმოხდილი ადამიანის სიმშვიდით რომ შეხვდა ქართველი ვაჟკაცი აღსასრულს... სიმდიდრესა და განცხრომით ყოფნას რომ სიკვდილი არჩია... ჯალალ ად-დინმა თავად ხომ განსაცდელში მიატოვა სამშობლო, ზურგი აქცია და საკუთარი ქვეყნისა და ხალხის აბაოხრებელ მტერს გაექცა, სხვა ხალხების განადგურებაში ჰპოვა შვება და ნუგეში... ქართველი ვაჟკაცის მოქმედება რომ ნახა, ეს წარმოიდგინა, და კიდევ უფრო მოერია ცოფი, იყვირა, თვალთ დაუბნელდა...

ნასაი აღარაფერს ამბობს, რა უყვეს შემდეგ ტყვედ ჩაგდებულ ქართველ დიდებულებს; ეტყობა, საჭიროდ აღარ ჩათვალა ამისი დაწერა, რადგან ისედაც იგულისხმება — ქართველ ტყვეებს მაშინვე

დახოცავდნენ, თავებს წააცლიდნენ, ჯერ რჯულის დაგმობასა და ისლამის მიღებას მოსთხოვდნენ, და რაკი ვერ დაიყოლიებდნენ, დახოცავდნენ. შალვა ახალციხელსაც ასე არ უყვეს!.. ასე აკლდებოდა ქართულ მხედრობას გამოცდილი სარდლები და მამაცი მებრძოლები. და ახლა, ამ საშინელი განსაცდელის დროს, მით უფრო საგრძნობი და დასანანი იყო ეს.

●

ჯალალ ად-დინს მყარი მდგომარეობა არა ჰქონიაო, ზემოთ ითქვა. უცებ ჭორი გავრცელდებოდა, მოეჩვენებოდათ რამე, და ხელად განგაშს ატეხდნენ, ჯარს შეკრებდნენ, ფაცხაფუცხით დაიძრებოდნენ... მაგრამ ხშირად სულ ტყუილ-უბრალოდ. ახლაც ასე მოხდა. სულთანი რომ ქერმანში წავიდა დიდი ჯარით, თავისი ჰარემი ქილაკუნში დატოვა, გოგჩის ტბის მახლობლად მდებარე კარგად გამაგრებულ ციხეში. მცველებად გამოჩენილი ხანები და ამირები მიუჩინა (როგორც ხედავთ, ჰარემს განსაკუთრებულად უფრთხილდებიან სულთნები — წინასწარ გადაჰყავთ შედარებით უხიფათო ადგილას, გაძლიერებულ დაცვას მიუჩენენ ხოლმე, მუდამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონეზე აქვთ ეს საქმე...) და აი, ქილაკუნამდე ჭორმა მიაღწია — ქართველებს თბილისი ალყაში მოუქცევიათ, დიდი ჯარით შემორტყმიან ქალაქს და შარაფ ალ-მულქი შიგა ჰყავთ გამომწყვდეულიო.

ჭორიო, იმიტომ, ვთქვით, რომ ეს ცნობა ყალბი გამოდგა.

როგორც ვნახეთ, ქილაკუნში დიდი ხანები და ამირები ჰყავდა სულთანს, უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ შემაშფოთებელ ცნობას. მაგრამ იმის გადაწყვეტა, თუ რა უნდა ეღონათ, ადვილი არ გამოდგა: ვერც ჰარემის მიტოვება გაებედათ სულთნის შიშით, და თან კი იქნებ იმისთვისაც დასჯილიყვნენ, ახლავე თუ არ მიეშველებოდნენ თბილისში გამომწყვდეულ შარაფ ალ-მულქს. რა უნდა ექნათ? ბევრი იმჯელეს, ბევრი იკამათეს, და გადაწყვიტეს, რომ იქვე დარჩენილიყვნენ, მტკიცე დავალება პირნათლად შეესრულებინათ, სულთნის ჰარემი და ქონება დაეცვათ. მარტო ორ-ხანი არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას.

ორ-ხანზე ზემოთაც ითქვა, სულთნის ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და გაბედული სარდალი იყოო. ახლაც გამბედაობა გამოიჩინა, სხვებს არ დაუჯერა — ქართველებმა რომ სულთნის ვაზირის ტყვედ ჩაგ-

დება მოახერხონ, ამით ხომ საბოლოოდ მოგვეჭრა თავი, ამ სამარცხვინო ლაქას მერე ველარასოდეს მოვიცილებთ. თქვენ ხომ იცით, რომ შარიფ ალ-მულქი გულზე არ მახატია, მაგრამ არ შემიძლია არ მივეშველოო. და მაშინვე თბილისისკენ გაეშურა დიდი რაზმით.

როგორც ითქვა, ის ცნობა ჭორი გამოდგა, ქართველმა მეფემ და ამირსპასალარმა კვლავ ვერ შეკრიბეს დაფანტული ჯარი, კვლავ ვერ მოახერხეს დამპყრობელისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა.

ჩავიდა თუ არა ორ-ხანი თავისი ხუთიათასიანი ჯარით თბილისს, ქერმანიდან შიკრიკიც მოვიდა, სულთანი უკვე გამობრუნდა ქერმანიდან და ახლა ნახჭევანში იმყოფება, მალე ჩამოვაო.

დაბრუნება ძლიეს მოასწრო ჯალალ ად-დინმა, რომ მისი ჯარი კვლავ „მოედო ქართველთა ქვეყანას — გაძარცვა და დაარბია ყოველი კუთხე“ — ამ ცნობასაც ნასავი გვაწვდის.

როგორც ვხედავთ, ხვარაზმის სულთანს გადაუწყვეტია, სისხლისგან დაცალოს საქართველო. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლება მას კიდევ ერთი სისხლიანი განზრახვის შესრულება — ხლათის დიდი სასულთნოს დამორჩილება. სანამ ამ გულის წადილს შეისრულებდეს, საჭიროა ჯერ საქართველო დაიპყროს მთლიანად; სამხრეთით მდებარე დიდი ქალაქები ანისი და კარი, რომლებიც ქართველებს უჭირავთ, ჯერ ისევ აუღებელია, და თუმცა აქტიურ წინააღმდეგობას არ უწევენ ეს ქალაქები ხვარაზმის სულთანს, კარგად გამაგრებულები არიან და პოტენციურ საშიშ ძალას წარმოადგენენ.

და აი, როცა სულთანმა გადაწყვიტა, საქართველოს დანარჩენი ნაწილი უკვე საფუძვლიანად მყავს დარბეულიო, ანისისკენ დაძრა ჯარი (ზოგი უცხოელი მემატიანის ცნობით, ანისში ამ დროს თითქოს ივანე ათაბაგი იყო). ანისიდან კარი შორს აღარ არის, და სულთანმა ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა. ეს მარტო სიხარბითა და სულწასულობით არ აიხსნება: ერთმანეთის მეზობლად მდებარე ორ დიდ ქალაქზე ერთდროული თავდასხმა მორალურად გატეხდა ამ ქალაქების დამცველებს (თან, ამით იმის საშუალებაც ესპობოდათ, რომ განსაცდელის დროს ერთმანეთს დახმარებოდნენ) და გამარჯვება უფრო ადვილი იყო.

ალბათ ასე ფიქრობდა სულთანი, როცა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი ორად გაჰყო — ერთი ნაწილი თავად დაიტოვა ანისის ასაღებად, მეორე კი კარისკენ გაგზავნა.

მაგრამ ისე ადვილი ვერ გამოდგა ეს სამხედრო ოპერაციები, როგორც თავიდან ეჩვენებოდა სულთანს. თბილისის მწარე გამოცდილება კარგად გამოადგათ ამ ქალაქებს, უკვე მოესწროთ ქალაქების მისასვლელების გამაგრება და მტრისთვის ღირსეული დახვედრა — რამდენი არ უტრიალეს სულთანმა და მისმა სარდლებმა, ლოდსატყორცნი მანქანებიც მიუყენეს... მაგრამ ამაოდ, ვერაფერი დააკლეს.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულთანს, მის მხედრობას უკვე აღარ შერჩათ ის პირველი ძალა, და იქნებ ჟინიც კი, რაც დასაწყისში ჰქონდათ, როცა აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვრებს მოადგნენ...

ანკი რა ძალა შერჩებოდათ! აბა, რუკას დააკვირდით — რამდენს დადიან, რამდენს წანწალებენ, რა გზას აკეთებენ... თანაც, რა სისწრაფით!.. ქერმანიდან რომ ღალატის ამბავი მოუვიდა და ხუთი ათასიანი მხედრობით იქითკენ დაიძრა, ეს ამოდენა გზა სულთანმა ჩვიდმეტ დღეში გაიარა. ნახეთ, რასა წერს ნასაკი: ბარაყის დასასჯელად ქერმანისკენ წასული სულთანი „ქარის სისწრაფით მიჰქროდა, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, საჭმლის გემო არ უგრძვნია, ძილის სიმშვიდე არ განუცდია“... — და იქვე ლექსად ნათქვამი:

„გზასა ფარავდნენ ფეხმარდი ცხენებით,
მაგრამ კი არ მიაჭენებდნენ,
თითქოს ფრთები გამოესხათ და მიფრინავდნენ“...

დაიქანცნენ, დაიღალნენ... თუმცა ამით მათ სისასტიკეს ჟინი და სიმწვავე არ მოჰკლებია, კიდევ უფრო გაბოროტდნენ.

თითქმის ერთი თვე იყურყუტა სულთანმა ანისის მისადგომებთან, მერე უცებ აიყარა და ჯარის ერთი ნაწილით თბილისისკენ გაბრუნდა, დარბეული კუთხეების ხელახლა დარბევას მოჰყვა (უკვე მერამდენედ!). ეტყობოდა, ისეთი შთაბეჭდილების შექმნა სურდა, თითქოს ანისის და კარის შეუპოვრობით გაბრაზებულს, გადაეწყვიტა, საქართველოს სხვა კუთხეებზე ეყარა ჯავრი.

ნაწილობრივ იქნებ მართლაც ასეა. მაგრამ უმთავრესი მაინც სხვა რამე იყო. აკი ითქვა, თბილისის დაპყრობისა და საქართველოს სხვა კუთხეების დარბევის შემდეგ ჯალალ ად-დინის მთავარი მიზანი ხლათის აღება იყოო. და როგორც იბნ ალ-ასირი გადმოგვცემს, ახლა პატარა სამხედრო ეშმაკობა უხმარია სულთანს — ხლათის მბრძანებლის თვალის ასახვევად, აიყარა და თბილისისკენ წამოვიდა, ხლათისკენ გალაშქრებაზე თითქოს ხელი აეღოს, ან ძალიან დიდი

ხნით გადაედოს ეს საქმე. სინამდვილეში კი ჯარი შეაესო (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამით ალბათ თბილისის გარნიზონიც კი დაასუსტა) და სულ მალე ისევე დაიძრა ხლათისკენ.

სხვათა შორის, ნასაეის ცნობით, ამის წინაც უცდია სულთანს ხლათის აღება, სანამ იგი ქერმანში გაემართებოდა ბარაყის დასასჯელად, მაგრამ ვერაფერს გამხდარა და პირში ჩალაგამოვლებული გამობრუნებულა.

ახლა კი კარგად მოემზადა, თანაც დარწმუნებული იყო, რომ ხლათელებისთვის მოულოდნელი იქნებოდა მისი გამოჩენა; და ამჯერად, ეტყობა, ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ამ დიდ და მისთვის სანატრელად გამხდარ ქალაქს ადვილად აიღებდა.

სწრაფად მიდიოდა სულთნის მხედრობა და მხოლოდ მანასკერტთან შედგა, ამ ჩვენს ძველ ნაცნობ ქალაქს შემოარტყა ალყა, იმის იმედით, რომ ადვილად აიღებდა და პლაცდარმად გამოიყენებდა. მანასკერტი ხლათთან ახლოს იყო.

მაგრამ ხლათის მბრძანებლისთვის სულაც არ გამოდგა მოულოდნელი ჯალალ ად-დინის „ანაზდი“ გალაშქრების ამბავი. მან ჯაშუშების საშუალებით წინასწარვე კარგად გაიგო ყველაფერი და მაგრადაც დახვდა — ქალაქის შორეულ მისადგომებთანვე შეაჩერა მტერი და დიდი ზარალიც მიაყენა.

იმდენად დიდი იყო სურვილი ამ მდიდარი და სტრატეგიულადაც მეტად მნიშვნელოვანი ქალაქის აღებისა, რომ ჯალალ ად-დინმა ვერ მოზომა, ველარ მიხვდა, რომ მისი განზრახვა ამჟამად უპერსპექტიოო იყო. თავისი დაღლილი, და აწ უკვე გამარჯვების რწმენადაკარგული ჯარით ვერ მოახერხებდა კარგად გამაგრებული და დაცული ქალაქის აღებას. ერთხანს შეიცადა (და ამით მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა, ძალა მოეკრიბა, კიდევ უფრო კარგად მომზადებულიყო ახალი შეტევის მოსაგერიებლად, ხოლო სამშობლოდან ამ სიშორეს წამოსული თავისი ჯარი კიდევ უფრო დაღალა და გააბეზრა) და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შეუტია.

და ამჯერადაც სასტიკად დამარცხდა. თუმცა ხლათელებსაც დიდი ვნება მიაყენეს. თითქმის ქალაქში შეიჭრა სულთნის ჯარი, ამ ქალაქის განთქმულ ბაზარს — სუქ ად-დაქიქს მიაღწია...

და აქედან დაახევინეს. ხლათელები თავგანწირვით იბრძოდნენ.

სულთანმა, როგორც იტყვიან ხოლმე, მალე გაპყიდა თავი: უკვე აღარავის სჯეროდა მისი მაღალფარდოვანი განცხადებისა, რჯულის დასაცავად ვარ მოწოდებული და ამისთვის ვიბრძვიო. ყველა მიხ-

ვდა — მაჰმადიანიცა და ქრისტიანიც — რომ ჯალალ ად-დინი ჩვეულებრივი სისხლიანი დამპყრობელი იყო, მძარცველი და მოძალადე, სხვისი მიწა-წყლისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების მოსურნე. და ამ სურვილის შესასრულებლად იგი არაფერს ზოგავდა, არაფერს ერიდებოდა; სადაც მივიდოდა, ყველგან სიკვდილსა თესდა, სისხლის ნიაღვრებს აყენებდა, ანგრევდა და აცამტვერებდა ყველაფერს, რაც ადამიანთა თაობებს საუკუნეების განმავლობაში შრომითა და ოფლისღვრით შეექმნათ; მისთვის გარჩევა არ იყო — ერთნაირად სპობდა ბავშვს, ქალს, მოხუცსა და უძლურს... აბუჩად იგდებდა ყველას — ამცირებდა, შეურაცხყოფდა.

და ამას მალე მიხვდა ყველა — ქრისტიანიცა და მაჰმადიანიც. ხლათელების თავგანწირული ბრძოლაც ამითვე უნდა აიხსნას.

ჯალალ ად-დინი მაინც არ იტეხდა იხტიბარს, ჯიუტად იდგა ხლათის მისადგომებთან და ახალი შეტევისთვის ემზადებოდა.

მაგრამ ამასობაში დრო გავიდა. გვიანი შემოდგომა იყო, როცა ჯალალ ად-დინმა ხლათზე გაილაშქრა სწრაფი გამარჯვების იმედით, ახლა კი შუა ზამთარი დამდგარიყო (თითქმის თვენახევარი იდგნენ ხვარაზმელები ხლათთან), თოვლი ჩამოჰყარა, აცივდა.. ძალიან გაუჭირდა შორიდან მოსულ დამპყრობელს.

და იქნებ გულის სიღრმეში ეამა კიდეც, როცა თავისმა ვაზირმა შარაფ ალ-მულქმა უსიამოვნო ამბავი შეატყობინა — საბაბი მისცა აყრილიყო და სწრაფად გამობრუნებულიყო, ხლათელების თვალშიც და თავისივე ჯარისკაცების წინაშეც თითქოს შერცხვენისგან იხსნა...

ვაზირმა კი აი, რა შეატყობინა.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ჯალალ ად-დინის მოძრაობას და ბრძოლებს. ხელადვე გავრცელდა ხმა ხლათთან ხვარაზმელების დამარცხების შესახებ. ისიც ადვილი წარმოსადგენია, სულთნისგან მიყენებული მწუხარების შემდეგ რა შვების წყარო იქნებოდა ეს ხმები დაპყრობილი ხალხისთვის. შვებისა და იმედის წყარო.

ხვარაზმელთა დამარცხების ამბავმა, ეტყობა, გაზვიადებულად ჩამოაღწია თბილისში. ხვარაზმელთა მთავარი ძალა შორს იყო და ასეთ ვითარებაში თბილისის გარნიზონის დამარცხება არ გაუჭირდებოდათ ქართველებს; ეს საეჭვო და საჭოჭმანო სულაც აღარა ჩანდა. რაკი ახლა სულთანი თავად დამარცხებული იდგა ხლათის მისადგომებთან, და იმის თავი აღარ ჰქონდა, თბილისის გარნიზონს დახმარებოდა, ქართველთა სრული გამარჯვებაც თითქოს გარანტირე-

ბული იყო, თუკი ახლავე, ჯალალ ად-დინის აქ არყოფნაში, მოაწყობდნენ აჯანყებას.

ამას დაემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, თუმცაღა, ერთგვარად, იდუმალებით მოცული თუ ბუნდოვანი ამბავი. ამას უცხოური წყაროები გადმოგვცემენ. ქართველი მეფის ქმარს, არზრუმის მბრძანებლის შვილს მუღის ად-დინს, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ქართველებს უღალატა და ხვარაზმის სულთანს მიემხრო, ახლა თითქოს ქართველებისთვის ეცნობებინოს — თბილისის გარნიზონი შემცირებული და დასუსტებულია, და თუ ახლავე გამოილაშქრებთ, ადვილად სძლევთ, აქედან მეც დაგეხმარებითო.

ამ ცნობას, როგორც ითქვა, უცხოური წყაროები გადმოგვცემენ, და აქ დაუჯერებელი არაფერია, მართლაც ასე უნდა იყოს. საკვირველი ის არის მხოლოდ, რატომ დაადგა ასეთ მოლიპულ გზას მუღის ად-დინი!.. ვთქვათ, ერთხელ მოინანია თავისი ცოდვა — ქრისტეს სარწმუნოება დაგმო და კვლავ მამა-პაპათა რჯული აღიარა. ეს მონანიება თითქოს დასაჯერებელია. მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სარწმუნოებრივი მონანიებისთვის არზრუმის მბრძანებლის შვილი თავის გვირგვინოსან თანამეცხედრეზე გულმოსულობამაც წააქეზა.

მაგრამ ახლა რა მოხდა? პირველი მონანიების შემდეგ ორიოდე თვე ძლივს გავიდა და ისევ ახალმა სინანულმა წამოუარა?

და ეს გრძნობაც გულწრფელი იყო?!.

ძნელი დასაჯერებელია.

მაშ, რითი ავხსნათ ასეთი სწრაფი მეტამორფოზა?

ამას მკვლევარები იმით ხსნიან, რომ მუღის ად-დინი, ისევე როგორც სხვა თბილისელი მაჰმადიანები, საბოლოოდ დარწმუნდა ჯალალ ად-დინის გაუმართლებელ სისასტიკესა და ანგარებაში; ყველა მიხვდა, რომ მისი სიტყვები — თითქოს მაჰმადის რჯულის დასაცავად იბრძოდა — ლიტონი და ფუჭი იყო.

როგორც ითქვა, თბილისელი და მეზობელ სასულთნოთა მაჰმადიანები მართლაც დარწმუნდნენ ამაში — ხლათელების ისეთი თავგანწირული ბრძოლა და ხლათთან სულთნის დიდი ლაშქრის სასტიკი დამარცხება, როგორც ითქვა, სწორედ ამით უნდა აიხსნას. მაგრამ მართლა გულწრფელი და ვაჟკაცური თუ იყო მუღის ად-დინის მონანიება, ამის გადაჭრით თქმა, ალბათ ძნელი იქნება. ღალატი ძალიან მძიმე ცოდვაა და ადამიანისთვის ამდენი საუკუნის შემდეგ დაუსაბუთებლად მძიმე ბრალდების წაყენება საჩოთირო და

უხერხულია, ვაითუ ჩვენვე ჩავიდინოთ უნებური ცოდვა!.. ამიტომ კატეგორიული განცხადებისგან თავი უნდა შეეიკავოთ, მაგრამ უნებურად წამოიჭრება სულ სხვა ვარაუდი, და არ შეიძლება, ესეც არ ითქვას. მუღის ად-დინმა ამის წინ უღირსი, არავაჟკაცური საქციელი ჩაიდინა — მძიმე განსაცდელის დროს უღალატა მეუღლეს, შვილებს, მთელ ხალხს, ახალმიღებულ რჯულს... რჯული და რწმენა ტანსაცმელი ხომ არ არის, ამინდის შეცვლასთან ერთად გამოიცვალო!.. ჯერ თითქოს სასოებით მოინანია მამა-პაპათა რჯულის დაგმობის მძიმე ცოდვა... და სამიოდე თვეც არ გასულა, რომ კვლავ იმ ახალი რწმენის ერთგულებამ წამოუარა!.. ნასავი ძალიან ადვილად ხსნის ახალგაზრდა დიდებულის მძიმე სულიერ მდგომარეობას — „ამ დროს (ესე იგი, იმ დროს, როცა ჯალალ ად-დინი ხლათისთვის იბრძოდა) ჭაბუკს (მუღის ად-დინს) სატანა დაეუფლა, და კვლავ ურჯულოებას დაუბრუნა — ქართველებთან გაიქცაო“.

ვითომ მართლა ასეა? მართლა სატანას ბრალია?.. თუ ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე „დაეუფლა“, ამ სისუსტემ ააწრიალა — ჯერ სულთნისა შეეშინდა რჯულშეცვლილ დიდებულს, როცა ეს სულთანი დიდი ლაშქრით მიადგა თბილისის კარებს!.. ახლა კი, როცა სულთნის ძლევამოსილება მეტად საეჭვო შეიქნა (სწორედ ამის დამადასტურებელი ხმები მოდიოდა ხლათიდან), კიდევ ერთხელ წამოუარა იმ ადამიანურმა სისუსტემ, რომლის სახელს ზედმეტად ნუღარ ვახსენებთ, ისედაც ადვილი მისახვედრია!.. ამჯერად უკვე ქრისტიანი მოყვრების შურისძიებისა შეეშინდა ორჯერ რჯულშეცვლილ ჭაბუკ დიდებულს და გადაწყვიტა, ეს სამსახური გაეწია მათთვის, ამით გამოესყიდა მეორე ცოდვა... ერთხელ უკვე მოლიპულ გზაზე შემდგარი კაცისთვის ეს ნაბიჯი ძნელი აღარ იქნებოდა. თუ ამ ვარაუდს გავიზიარებთ, ადვილი ასახსნელი იქნება ყველაფერი.

ასე იყო თუ ისე, ფაქტია, რომ ქართველებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ჯარი. ივანე ჯავახიშვილს ალ-ასირის სიტყვები მოაქვს — „ქართველებმა ანისითგან, კარითგან და სხვა ციხეებითგან მეციხოვნე ჯარის ერთი წილი გამოიყვანეს და მოიშველიესო“. ეს ცნობა საგულისხმოა; ამითი ჩანს, რომ თბილისზე ქართველების შეტევა სტიქიური არ ყოფილა, წინასწარ მოფიქრებული გეგმით სრულდებოდა და თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა.

მით უფრო გასაკვირია, რომ მოუმზადებლად და ბევრი რამის გაუთვალისწინებლად მოხდა ყველაფერი. კვლავ სამხედრო ხელის-

უფალთა უხეირო ხელმძღვანელობა ჩანს... თუმცა ძნელი სათქმელია, ვინ ხელმძღვანელობდა ამ შეტევას... ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ქართულ ლაშქარს წინა ბრძოლებში ბევრი ღირსეული წინამძღოლი გამოაკლდა... სამწუხაროდ, წყაროები არ ასახელებენ, ვინ ხელმძღვანელობდა თბილისისთვის ქართველთა ბრძოლას.

პირველად თითქოს ყველაფერი კარგად წარიმართა: ხვარაზმელთა გარნიზონმა ვერ გაუძლო ქართველთა შეტევას და ქალაქი დაცალა.

დაგვაიწყდა გვეთქვა, თბილისის გარნიზონს იმ დროს შარაფ ალ-მულქი კი აღარ მეთაურობდა — იგი ამას წინათ განჯაში გაგზავნა სულთანმა, ზამთარი იქ უნდა გაეტარებინა — არამედ ყირ-მალიქი. და სწორედ ყირ-მალიქის სიმხდალითა ხსნის ნასავი თბილისის გარნიზონის დამარცხებას: თავიდანვე ცნობილი იყო თავისი სიმხდალითა და დაუდევრობითო, გულმოსული კაცის მკაცრი ირონიით შენიშნავს სულთნის მდივანი.

აქ ცოტას ალბათ აჭარბებს ნასავი — ქართველი მეომრების შემართებისა და მამაცობის ამბავი საქვეყნოდ იყო ცნობილი, და გასაკვირი სულაც არ არის, რომ მათ ხვარაზმელთა გარნიზონი დაამარცხეს.

ხოლო როცა ქალაქისთვის ბრძოლის მოუმზადებლობაზე ელაპარაკობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ ქართველებს მალევე მოუხდათ თბილისის დატოვება. შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო. როგორც უკვე ითქვა, ეტყობა, თავიდან არ იყო ყველაფერი კარგად გათვალისწინებული და მომზადებული; ამბების განვითარების მიხედვით, სტიქიურ შეტევას უფრო ჰგავს ქართველების მიერ თბილისის აღება (თუმცა, როგორც ითქვა, ეს ასე არ იყო), გამოცდილი სარდლის თვალი და ხელი არა ჩანს...

მაგრამ თანმიმდევრობით მიეყვეთ ამბავს.

თბილისზე შეტევისთვის მზადება თავიდანვე ისე გახმაურებულა (ამითაც კი ჩანს სუსტი მომზადება ბრძოლისა), რომ განჯაში შარაფ ალ-მულქს გაუგია, და მაშინვე წერილით უცნობებია სულთნისთვის. სულთანმა პირველად ან არ დაიჯერა ეს ცნობა (ამის წინათაც ხომ რამდენჯერმე გაავრცელეს ასეთი ხმები და საბოლოოდ ტყუილი გამოდგა!), ან სერიოზულად არ მიიჩნია და ერთხანს ყურადღება არ მიაქცია. ყოველ შემთხვევაში, მაშინვე ვერ მოახერხა წასვლა. როგორც ვიცით, ახალ შეტევას ამზადებდა ჯალალ ად-დინი და ხლათის დათმობა უმძიმდა. მაგრამ როცა პირველ წერილს მეორე და მესამეც

მოჰყვა და თბილისში შექმნილი მდგომარეობა სულ უფრო საგანგაშოდ აუწერა ვაზირმა, სულთანი უკვე შეშფოთდა.

ამას ის დაერთო, რომ, თითქოს საგანგებოდო, სწორედ ამ დროს მოთოვა და ერთბაშად აცივდა. სულთანს თავიდან არ ეგონა, ამდენ ხანს თუ გაუჭიანურდებოდა ხლათისთვის ბრძოლა, და ლაშქარი ფსიქოლოგიურადაც კი მოუმზადებელი შეხვდა მოულოდნელ სუსხს. ისედაც გაბეზრებულ მეომრებში უკმაყოფილებამ იმატა... შარაფ ალ-მულქის ახალი ცნობები უკანასკნელი ბიძგი გამოდგა, რათა ჯალალ ად-დინი სწრაფად აყრილიყო და თბილისისკენ დაძრულიყო. იმიტომაც ვთქვით, გულში ცოტათი იქნებ ესიამოვნა კიდეც, რაკიღა იქიდან წასვლის ასეთი საპატიო მიზეზი მიეცაო: სხვების თვალში, — და საკუთარი თავის წინაშეც (რადგან ადამიანი ასეთ ვითარებაში ადვილად იტყუებს ხოლმე თავს) — უკვე გამართლება ჰქონდა, მარცხად აღარ ჩაეთვლებოდა ფახიფუხით დაწყებული ბრძოლის მიტოვება და გაწბილებული გაბრუნება.

მიდიოდა სულთანი და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც უნდა დასჯდომოდა, კვლავ დაებრუნებინა საქართველოს დედაქალაქი. საკადრისად დაესაჯა ქართველები. თბილისის დათმობა არ შეიძლებოდა. მაშინ კავკასიიდან საერთოდ უნდა ამოეკვეთა ფეხი და წასულიყო.

მაგრამ სად? სადღა ჰქონდა წასასვლელი!.. ეს მამაცი და უშიშარი კაცი მონღოლებს დაეშინებინა. ამ დროისათვის კიდევ უფრო გამწვავებულიყო მდგომარეობა — აღმოსავლეთიდან ახალი ძალით დაძრულიყვნენ მონღოლები!.. ამიტომაც ვერ დათმობდა თბილისს, ამიტომაც იყო მოსალოდნელი გააფთრებული ბრძოლები საქართველოს დედაქალაქისთვის.

მაგრამ დიდი ბრძოლა, ეტყობა, აღარ დასჭირვებია სულთანს, ის კი არადა, ზოგ უცხოურ წყაროს თუ ვერწმუნეთ, ბრძოლა სულაც არ გამართულა — იბნ ალ-ასირისა და ნასავის ცნობით, გაიგეს თუ არა ქართველებმა ჯალალ ად-დინის ხლათიდან წამოსვლის ამბავი, „თბილისი მაშინვე გადაწვეს და წავიდნენ“ უბრძოლველად.

არადა, თითქოს ხელსაყრელი დრო იყო, დაემარცხებინათ და განედევნათ მტერი. როგორც უკვე ითქვა, ჯალალ ად-დინს ის ძალონე აღარ მოსდევდა, რაც დასაწყისში ჰქონდა. მისი შეკოწიწებული ლაშქარი დაიქანცა — მარტო ამდენი წანწალი დაღლიდა. ახლა, მით უმეტეს, სამხრეთით რამდენიმე წარუმატებელი გალაშქრების შემდეგ მორალურადაც გატეხილი იყო. შიგნითაც სარდლებს შორის უთანხ-

მოება და შური მწვავედებოდა... ხვარაზმის სულთნის მდგომარეობა პოლიტიკურადაც შერყეულიყო — როგორც ითქვა, ამ დროისთვის მან უკვე მოასწრო, თავი ყველასთვის გაეცნო, თავისი უბადრუკი და მდაბალი ზრახვები გამოემჟღავნებინა. ახლა მაჰმადიანურ სამყაროში, მეზობელ სასულთნოებში, აღარავითარი მხარდაჭერა და დასაყრდენი აღარა ჰქონდა ჯალალ ად-დინს. იგი უკვე ყველას სძულდა.

და ამ ხელსაყრელი მდგომარეობით, — თუკი კარგი, სწორად წარმართული ხელმძღვანელობა იქნებოდა, — ქართველებს შეეძლოთ ესარგებლათ. მით უმეტეს, მთავარი მოახერხეს — თბილისი უკვე მათი იყო; კონტრშეტევის ძირითადი ნაწილი მოგებული იყო. ახლა როგორმე უნდა შეენარჩუნებინათ ეს კარგად გამაგრებული ქალაქი.

მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, გმირ, მამაც, სამშობლოს დასაცავად თავგანწირვით მებრძოლ ხალხს წარმმართველი ძალა აკლდა. აღარც პოლიტიკური ხელმძღვანელი ჰყავდა, აღარც სამხედრო.

ამრიგად, საქმე კვლავ ჯალალ ად-დინის სასიკეთოდ შებრუნდა, და უკვე თქმაც აღარ არის საჭირო, რა უბედურებას დაატრიალებდა თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში ეს გამწარებული, გაბეზრებული ლაშქარი და მისი გაბოროტებული წინამძღოლი. რა წამლეკავ ტალღად გადაუვლიდნენ მათ მიერვე უკვე რამდენჯერმე გადაქცეულ და მიწასთან გასწორებულ კუთხეებს.

ამ სოფლებსა და ქალაქებს კიდევ დარბევა უნდოდა!

მემატიანეებიც აღარ ცნობენ საჭიროდ, საგანგებოდ აღნიშნონ, რა უბედურება დაატრიალა თბილისის მეორედ აღების შემდეგ სულთანმა თვით დედაქალაქსა და ახლომახლო კუთხეებში. ეს თავისთავად იგულისხმება.

თბილისის გადაწვა და იქ კვლავ ხვარაზმელების გაბატონება 1227 წლის თებერვალსა თუ მარტში მოხდა.

ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ხვარაზმის სულთანი იძულებული გახდა ერაყს გამგზავრებულიყო, რათა იქ მონღოლებს დახვედროდა... „აიყარა ტფილისით... წარმოემართა ბრძოლად თათართა“ (უცხოური წყაროების სისწორეს ჟამთააღმწერლის ცნობაც ადასტურებს).

და ამჯერადაც ზედიზედ მარცხდება სულთანი. მონღოლებთან ბრძოლებში ბედი არა სწყალობს.

როცა ნახა, სხვა გზა აღარ იყო, სულთანმა შემწეობისთვის მეზობელ სასულთნოებს მიმართა — „წარმართა მოციქული ხლათის

სულტანსა და ხალიფას, ბაღდადის მპყრობელსა, რათა შეეწივნენ მასცა და თავთაცა მათთაცა. ეგრეთვე ერაყისა სულტანსა მიუმცნო: უკეთუ თვით თავითა არა გნებავს ბრძოლა თათართა, ლაშქარნი წარმოავლინენით და ვბრძოდე, რამეთუ ვიცი წყობა მათი" (ანუ ამავე თხზულების სხვა ვარიანტით: „ერაყის სულტანსა მიუწერა: უკეთუ თვით ვერ წამოხვალთ, ლაშქარი ბარე გვაშველეთო და შეეებრძოლო თათართა ამათ, რამეთუ მე უწყი კეთილად წესი ბრძოლისა მათისა და წყობათა და უკეთუ არა ისმენთ ჩემსა, მე მარტო ვერა წინა აღუდგები, არამედ მივრიდებ და ვერცაღა თქუენ შემძლებელ ხართ წინააღმდგომად მათდა").

მეტისმეტი დაგვიანებით გამოუვიდა ხვარაზმის სულთანს ასეთი თავგამოდება. თუ მართლა აპირებდა გაერთიანებული ძალით მონღოლთა წინააღმდეგ გამოსვლას, ეს თავიდანვე უნდა გაეკეთებინა, სანამ საკუთარ ზრახვებს გაამჟღავნებდა და აქ ჩამოთვლილი ქვეყნებისთვის თავის შეძულებას მოასწრებდა. ახლა უკვე ყველასთვის სახელგატეხილი იყო ხვარაზმის სულთანი — აღარავინ ენდობოდა, ყველას სძულდა, ყველას ეშინოდა მისი... და გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ მოწოდებაზე ყველასგან უარი მიიღო — „ვითარ მივიდა მოციქული სულტნისა, და არა ინებეს ბრძოლა თათართა" (ანუ სხვა ვარიანტით: „ხოლო მივიდა რა მოციქული სულტნისა, მათ უქმად წარმოავლინეს და არა ისმინეს").

ცუდ დღეში აღმოჩნდა ხვარაზმის სულთანი. მან ხომ თავიდანვე ვერ გაუწია წინააღმდეგობა მონღოლებს — როცა უფრო ძლიერიც იყო და პერსპექტიულად სხვა მაჰმადიანური ქვეყნების მხარდაჭერის იმედიც უნდა ჰქონოდა. ახლა რაღას გახდებოდა, როცა ამდენი წრიალისა და საბრძოლო ენერგიის ფუჭი ფლანგვის შემდეგ დასუსტდა კიდეც და სხვათა თანადგომის იმედიც გადაეწურა.

და, როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, ახლაც ძალიან იოლი გამოსავალი უპოვია (ამისი გამოცდილება მას ხომ უკვე ჰქონდა!) — რაკიღა მონღოლებს ვერ გაუმკლავდა, გადაწყვიტა, ამჯერადაც გასცლოდა მათ და სხვაზე ეძია შური: „რომელ სპანი მისნი და ადარბადაგანისანი [მონღოლებს] ვერ წინააღუდგებიან, დაუტევა ადარბადაგანი და წარმოემართა მეორედ ტფილისს".

ვახუშტი ბატონიშვილი უფრო გაშლილადა და მკაფიოდ გადმოგვცემს ამ ფაქტს: სულთანმა „წარუველინა დესპანი ბაღდადის ხალიფასა და სულტანს სალადინს, რათა სცენ შეწევნა თათართა ზედა; არამედ მათ არ ინებეს. ამისი მსმენელი უიმედო ქმნილი ჯა-

ლალ ად-დინ მწეობისა მათისა და თათარნიც მოახლოებულნი მასზე-და წარმოემართა კეალად ტფილისსაე“.

ქართული წყაროები პირდაპირ არ გადმოგვცემენ, მაგრამ იმის მიხედვით, რაც შემდგომ მოხდა, — აგრეთვე ზოგიერთი უცხოელი მემატიანის მინიშნებით, უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამასობაში საქართველოს სამეფო კარს მეზობელ სასულთნოებთან მოლაპარაკება გაუმართავს — ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ შეერთებული ლაშქრის გამოყვანის შესახებ.

უკვე რამდენჯერმე ითქვა: ქართველებს ახლა აღარ გაუძნელდებოდათ მეზობელი მაჰმადიანი გამგებლების დაყოლიება — ისინი, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდნენ, რომ ხვარაზმის სულთანი მათ სამტროდ იყო მოსული, მათი ქვეყნების დასაპყრობად; რომ ეს გადამთიელი დამპყრობელი მათთვისაც ისეთივე მტერი და საძულველი იყო, როგორც ქართველებისა და სომხებისთვის... ერთი სიტყვით, ქართული წყაროები პირდაპირ არ გადმოგვცემენ, მაგრამ აშკარაა, რომ შეიქმნა ქართველებისა და მეზობელი სასულთნოების სამხედრო კოალიცია ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ... ამას ადასტურებს ჯუვეინის ცნობაც: „რაკი რუმის, შაბის, სომხეთისა და იმ მხარეთა სულთნებს ეშინოდათ მისი [ჯალალ ად-დინის] სიმკაცრისა და შურისძიების... ერთმანეთს შეუთანხმდნენ და მის განსადევნად გაერთიანდნენ“...

მაგრამ საფუძვლიანად მომზადება ვეღარ მოესწრო; მონღოლებთან ბრძოლებში დამარცხებული და „უიმედოდქმნილი“ ჯალალ ად-დინი სწრაფად მობრუნდა და „წარმოემართა კეალად ტფილისსაე“.

ეს არ გამოპპარვია საქართველოს სამეფო კარს, და ქართველმა მეფემ მაშინვე „მოუწოდა ყოველთა სპათა თვისთა — იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთუხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხეცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანს ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა“...

როგორც ხედავთ, საქართველოს ყოველი კუთხიდან გამოუყვანია ლაშქარი ქართველ მეფეს.

მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულა — გაუხსნია აგრეთვე „კარნი დარიალისანი“ და იქიდან გადმოუყვანია ყივჩაყები, ოსები, დურძუკები, და „ამათ თანა ყოველნი მთიულნი“. რიცხვს არ ასახელებს ქართველი მემატიანე, მაგრამ ლაშქარი დიდი ყოფილა — „შეკრბეს სიმრავლე ურიცხვი“, წერს. იმ ჩამოთვლის მიხედვითაც იგრძნობა, რომ დიდი ჯარი იქნებოდა.

ნაჭარმაგევს შეკრებილა ეს ლაშქარი. და იქიდან „წარავლინა მეფემან ბრძოლად ხვარაზმელთა“.

როგორც ვხედავთ, სამეფო კარი საგულდაგულოდ მომზადებულა მტრის დასახვედრად.

და მით უფრო უცნაურია ერთი ცნობა, რასაც იქვე გადმოგვცემს მემატიანე.

ისე გაგზავნა რუსუდანმა ეს დიდი ლაშქარი „ბრძოლად“, რომ სამეფო დროშა არ უწინამძღვრა — „ხოლო თვით დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისა“ (ანუ იმავე თხზულების სხვა ვარიანტით: „ხოლო სეფე დროშა არღარა გაგზავნეს ივანე ათაბაგისა მიერ ქმნულისა საქმისათვის“).

ძალიან უცნაური გადაწყვეტილებაა!.. იმის გამო, რომ წინა ბრძოლებში ჯარი დამარცხდა (თუნდაც მთავარსარდლის დაუდევრობისა თუ უნიათობის გამო), ახლა, გადამწყვეტ ბრძოლაში მეფე ლაშქარს უდროშოდ აგზავნის!..

სჯის ვინმეს ამით?

თუ როგორ უნდა ავხსნათ ეს მოქმედება!

სეფე დროშა არ უწინამძღვრა — ესე იგი, მხნეობა და სიმტკიცე მოაკლო ლაშქარს, გამარჯვების რწმენა თავიდანვე შეურყია... არ ენდო, დაამცირა...

ხედავთ, როგორ საგანგებოდ შენიშნავს ამ ფაქტს მემატიანე!

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს მეფის ამ უცნაურ გადაწყვეტილებას?!

ერთი სიტყვით, ლაშქარი ქართველებისა დაიძრა... ჯალალ ადდინი ამ დროს მუღანშია დაბანაკებული, დიდი ბროლისთვის ემზადება, თადარიგს იჭერს... როცა გაიგო, ქართველები უკვე საბრძოლად მოდიანო, სასწრაფოდ აიყარა და წინ წამოვიდა. ეტყობა, იმ გადაწყვეტილებით, რომ მოწინააღმდეგისთვის დაესწრო.

და დაასწრო კიდეც. ლაშქარი ჯერ შეკრებილი არ იყო. არათუ მეზობელი სასულთნოების მხედრობა, როგორც ჩანს, ქართველთა ძირითადი ლაშქარიც არ იყო ჯერ შეკრებილი. ნასავის ცნობა, ქართველებს ამ ბრძოლაში 40000 მეომარი ჰყავდათო, აშკარად არ ესადაგება ჟამთააღმწერლისას, რომელიც ქართველთა ლაშქარს გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანს წარმოგვიდგენს („სიმრავლე ურიცხვეო“, წერს — თუმცა რიცხვს არ ასახელებს; მაგრამ როცა ჩამოთვლის, სად და სად შეუკრებიათ ჯარი, ეს თავისთავად მიგვანიშნებს ლაშქრის სიდიდეზე); თითქოს ან პირველი ცნობა არ უნდა იყოს სწორი, ან ქართველი მემატიანე აჭარბებდეს.

მაგრამ ეს ცნობები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: ქართველებმა მართლაც მრავალრიცხოვანი ჯარი შეკრიბეს და გადამწყვეტი ბრძოლისთვის საგულდაგულოდ მოემზადნენ. მაგრამ ის ერთი ნაწილი ქართველთა ლაშქრისა, რომელსაც ხვარაზმის სულთანი დაესხა და დაამარცხა, მართლაც 40000 იყო; ივანე ჯავახიშვილი პირდაპირ წერს: „ხვარაზმშაჰი მთელი თავისი ლაშქრითურთ საქართველოს შემოესია და ბოლნისთან დიდი ბრძოლა ისეთ დროს მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ მოკავშირეთა მეშველი ჯარის მოსვლა და მოხმარება შეუძლებელი იყო. დასწრებამ ჯალალედინს არგო და გამარჯვება მას დარჩა“.

ჩვენ ხომ უკვე გავეცანით ჯუვეინის ცნობას ქართველებისა და მეზობელი სასულთნოების სამხედრო კავშირზე.

და ბოლნისთან გამართული ბრძოლის ამბავსაც უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ჯუვეინი. იგი გადმოგვცემს ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს, რამაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა (ბრძოლა, როგორც ითქვა, ბოლნისის მახლობლად გაიმართა).

ბრძოლის წინ ჯალალ ად-დინი ერთ მაღალ გორაკზე ავიდა და მოშორებით დაბანაკებულ ქართველებს გადახედა (ისინი, როგორც ვიცით, მაშველი ჯარის მოლოდინში არიან). ცბიერსა და გამოცდილ სარდალს მაშინვე მოხვდა თვალში „ყივჩაყთა დროშები და ალმები!“... — ქართველები ხომ უდროშოდ იყვნენ ამ დროს, და, ბუნებრივია, ყივჩაყთა დროშები ახლა უფრო მკაფიოდ გამოჩნდებოდა; იქნებ გამომწვევადაც კი შლიდნენ და აფრიალებდნენ!... — ყივჩაყები რომ შენიშნა სულთანმა ქართველთა ლაშქარში, და თანაც დიდი რაოდენობით, მაშინვე ვერაგულმა ფიქრმა გაუელვა; საიდუმლოდ მიუგზავნა კაცი, პური და მარილი გაატანა, და შეუთვალა: ხომ არ დაგავიწყდათ, რა სიკეთე გიყავით ერთხელ, მამაჩემ მოჰამედის სიცოცხლეში!.. ნუთუ ახლა ისეთ უმადურობას გამოიჩენთ, რომ ქართველებს ამოუდგებით მხარში და ჩემს წინააღმდეგ მახვილს შემართავთო?!

სულთანი არა ტყუოდა, სიკეთე მართლაც გამოიჩინა მან ერთხელ ყივჩაყების მიმართ. და ახლა ეს შეახსენა. მაგრამ თავად ანგარებიანი კაცი გახლდათ და, რაღა თქმა უნდა, ყივჩაყების მეხსიერებას არ ენდობოდა, მარტო ამის იმედით არ დადგებოდა; უნდა ვიფიქროთ, ფულითა, და ძვირფასი საჩუქრებითაც გაამაგრებდა იმ ძველ „სიკეთეს“, რათა თავისი მტერ-მოყვარისთვის ამით გაემახვილებინა დაჩლუნგებული მადლიერების გრძნობა.

ყიჩაყები, რომლებიც ქართველთა მეწინავე ნაწილის ნახევარს შეადგენდნენ (ოცი ათასი რჩეული მეომარი ყიჩაყიო, ასე წერს ჯუ-ვეინი), განზე გადგნენ, თუ გაბრუნდნენ; და სულთანიცა, რომელსაც აქამდე, ჯუვეინისავე გადმოგცემით, დიდი შიში ჰქონდა „მტრის მომ-რავლებისა და თავისი ბედის სიმუხთლის“ გამო, ხელადვე დაიძრა ქართველთა უკვე განახევრებული რაზმისკენ.

როგორ წარიმართა შემდეგ ბრძოლა, ამისი დაწვრილებითი აღ-წერა აღარ შემოუანახავთ წყაროებს. მაგრამ ანკი რა საჭიროა, ის-ედაც ნათელია ყველაფერი; ძნელი წარმოსადგენი აღარ არის, რა დღეში აღმოჩნდებოდა მოკავშირეთა მოულოდნელი ღალატით გაოგ-ნებული, ერთბაშად განახევრებული მეწინავე რაზმი, რომელიც ძირითადი ლაშქრის მოლოდინში იყო დაბანაკებული, და, ვინ იცის, ჟამთააღმწერლის მიერ ზემოთ ნახსენები გამოჩენილი სარდლებიც თან არ ახლდა (ისინი ალბათ ლაშქრის ძირითად ნაწილს მოჰყვებოდ-ნენ)... მტრის მრავალრიცხოვან ჯარს, ბუნებრივია, აღარ გაუჭირდ-ებოდა ასეთ დღეში ჩავარდნილი რაზმის დამარცხება.

გამარჯვებული სულთანი, რაღა თქმა უნდა, უკან არ გაბრუნდე-ბოდა. მან კვლავ საქართველოს გულისკენ დაძრა თავისი დიდი ლაშქარი. დააკვირდით ჟამთააღმწერლის მწარე ირონიით წარ-მოთქმულ სიტყვებს: სულთანი „კუალად მივიდა ტფილისად, თუღა სადა ვინმე პოვნა დასარბევად, არბევდა ქუეყანათა მათ ზემოხსენებ-ულთა“...

„თუღა სადა ვინმე პოვნაო!“...

ეს სიტყვები კარგად მიგვანიშნებენ, რა დღეში იყო მძვინვარე მტრისგან უკვე მერამდენედ დარბეული ქვეყანა!.. და არა მარტო დედაქალაქი! სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა, ყველა კუთხე, ყველა სოფელი თუ ქალაქი ხელახლა დაარბია და ააოხრა.

და მხოლოდ მას შემდეგ, როცა კარგად ივჯერა გული თბილისისა და საქართველოს სხვა კუთხეების რბევით, ჯალალ ად-დინი კვლავ ხლათისკენ დაიძრა... ამჯერად უფრო დიდი ლაშქრით, და მეტის თავდაჯერებითაც.

მაგრამ ხლათელები ახლა კიდევ უფრო მტკიცედ დაუხვდნენ მტერს. ეტყობა, გრძნობდნენ, რომ ჯალალ ად-დინი არ მოეშვებო-და მათ და წინასწარვე დაიჭირეს თადარიგი: უკვე მოესწროთ და ხვარაზმელთა იმ პირველი ამაო ლაშქრობის შემდეგ კარგად გაე-მაგრებინათ ქალაქი — აღედგინათ წინა ბრძოლებში დანგრეული ციხეცა და გალავანიც. ამას საგანგებოდ შენიშნავს ჯუვეინი.

ხვარაზმის სულთანი არ შეუკრთია ქალაქის მცველთა პირველ მედგარ წინააღმდეგობას, თავისი დიდი ლაშქრის იმედით იყო. ახლა ფილაკავნები და ცეცხლმტყორცნი ჩარხებიც მეტი პქონდა, რომლებიც გარშემო შემოუწყო ქალაქს; იმედს არ კარგავდა, რომ მალე დასძლევდა ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობას.

მაგრამ ასე არ მოხდა. გადიოდა დღეები... თვეები... ხვარაზმის სულთანი კი ვერაფერს ხდებოდა, ვერაფერი მოუხერხა კარგად გამაგრებულ ქალაქს.

ადვილი სათქმელია, თვეები გადიოდაო!.. გაბეზრდა ხალხი, ქალაქში მომწყვდეულებიც და ისინიც, ვისაც ქალაქისთვის ალყა შემოერტყა... ხლათი მძიმე ტვირთი შეიქნა იმისთვის, ვინც მის ასაღებად იბრძოდა და უბედურება იმისთვის, ვინც მას იმეამად ფლობდაო, წერს ნასავი... დაიქანცნენ. შიმშილმა იმძლავრა. კატებსა და ძაღლებს დაერიენენ... მაგრამ ამდენი კატა და ძაღლიც სად იყო!.. ან ამდენი მოთმინება სად იყო!..

დრო ულმობელი სისწრაფით გარბისო, ხშირად იტყვიან ხოლმე. ამათთვის, პირიქით, მტანჯველი ტაატით მიდიოდა დღეები, წელიწადის დროთა სიხალისის მომტანი მონაცვლეობა ტანჯვად ქცეულიყო...

ასე მიიწურა თითქმის წელიწადნახევარი!

და ისევ გიკვირს შეუპოვრობა... არა იმდენად ქალაქის დამცველებისა, არამედ ამ გადამთიელი დამპყრობლისა — საიდან მოსულა, რა გზა გამოუვლია, რამდენი მთა გადმოულახავს, რამდენი გაუვალი ხეობა!..

თუკი ასეთი ძალა და გაუტეხელი სიმტკიცე პქონდა!..

ასე შეუპოვრად რომ დახვედროდა იგი თავისი ქვეყნის მტერსა და დამპყრობს!..

მაგრამ არა. ეს სხვა შეუპოვრობაა. როცა საკუთარ ქვეყანას იცავ ასეთი შეუპოვრობით — გმირობაა. დამპყრობლის შეუპოვრობას სხვა სახელი აქვს.

ჯალალ ად-დინი ჩქარობდა. თითქოს ძნელი დასაჯერებელი უნდა იყოს ასეთი მამაცი ადამიანისთვის, მაგრამ გულში შიში შეპპარვოდა და ღრმად გაედგა ფესვები. ძალიან შორს იყვნენ იქიდან მონღოლები, მაგრამ მათი იდუმალი შიში მოსვენებას უკარგავდა. თითქოს უკვე გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს, ადევნებული სიკვდილის აჩრდილს ხედავდა... და აქეთ-იქით აწყდებოდა...

თითქოს გული უგრძნობდა, რომ მონღოლების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, იმათ მოჰქონდათ სიკვდილი... და გულისყური იქით ჰქონდა.

ახლაც, აგერ, წერილი მოუვიდა თავისი დისგან — ხან-სულთანისგან, რომელიც რამდენიმე წლის წინ თერქენ-ხათუნთან ერთად ჩაუვარდა ტყვედ ჩინგიზ ყაენს და მერე ყაენისავე შვილმა ჯუჩიმ ირგუნა ცოლად, თუ ხასად... ხან-სულთანი საიდუმლოდ ატყობინებს ძმას იქაურ ამბებს — შენი ძლევამოსილების ამბავი ქვეყანას მოედო, აქ ყველამ იცის, რა ძლიერი ლაშქრის პატრონი ხარ, რამდენი ქვეყანა დაიპყარ და დაიმორჩილე... და ახლა მონღოლებს გადაუწყვეტიათ შეგითანხმდნენ — ჯეიპუნის გაღმა ქვეყნები და მიწა-წყალი შენ გარგუნონ, ხოლო ჯეიპუნის გამოღმა — ყველაფერი ამათი იყოს. თუკი მართლა გაქვს ძალა, რომ ამათ გაუმკლავდე, წამოდი, ნუღარ აყოვნებ; თუ არადა, ისარგებლე ამ შემთხვევით, და სანამ აქ ამისი მოსურნენი არიან, შეურიგდი, დაუზავდი...

დის შეგონება დროულიც იყო და გონივრულიც — ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გათავებულიყო ის გაუგონარი ნგრევა და ხოცვა-ჟლეტა, ხომ უნდა მოესვენა გაწამებულ ხალხს და ქვეყანას... მაგრამ ისე მიიღო ეს ცნობა სულთანმა, თითქოს არაფრად ჩაეგდოს, თითქოს მისი გონება მხოლოდ ხლათის ალყით ყოფილიყოს მოცული. სწორედ ასე წერს ნასავი — თითქოს ხლათის ალყით ყოფილიყოს მოცულიო!

და ძალიან საგულისხმოა, რომ როცა ამ ამბავს ყვება ნასავი, იქვე გაახსენდება მერვე საუკუნის არაბი პოეტის სტრიქონები — „ჩიტისა არ იყოს, თავისი კვერცხები ღია ცისქვეშ რომ მიუტოვებია უპატრონოდ და ფრთები სხვისი კვერცხებისთვის გადაუფარებიაო“...

ახლობელი და ერთგული ადამიანი — მისი საკუთარი მდივანი — რომ ასე ჰკიცხავს სამშობლოს უპატრონოდ მიტოვებისა და უმოქმედობისთვის, წარმოიდგინეთ, რა განწყობილება იქნებოდა ხალხში, ქვეშევრდომებში, რომლებიც განუწყვეტელ რბევასა და წიოკობას განიცდიდნენ მონღოლებისგან; იმაზე არა ნაკლებ მკაცრსა და ულმობელს, რასაც ამ მტრისგან დევნილი მათივე მბრძანებელი სხვა ხალხებსა და ქვეყნებს აყენებდა. აგერ, დაი მოუწოდებს მოქმედებისკენ, ის კი პირდაპირ პასუხს თავს არიდებს.

რითი შეიძლება აიხსნას ეს: გაფაციცებით მოელის ამბავს მონღოლეთიდან; მიიღო ეს ცნობა. მკაფიოდ ჩამოყალიბებული სიტყვები დისა — ანუ ხვარაზმის მაშინდელი მდგომარეობა — პირდაპირ და სასწრაფო პასუხს მოითხოვს, სახელმწიფოს პატრონი და მბრძანე-

ბელი კი თავს არიდებს პასუხს. მას ამაზე ფიქრიც არ უნდა. ფიქრსაც არიდებს თავს... რადგან ეშინია, შიში შეპარეია გულში და ღრმად გაუდგამს ფესვები. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ საოცარმა შეუპოერობამ, რასაც, აგერ, ხლათის, ხოლო ამის წინ საქართველოს დასაპყრობად იჩენდა სულთანი. შეუპოერობა არ არის ეს. ეს სისასტიკეა. იმ ადამიანის სისასტიკე, რომლის გულსაც შიში ღრღნის.

ამითვე უნდა აიხსნას ჯალალ ად-დინის უცნაურობა, რაც ბოლო დროს დასჩემდა... სმას მოუხშირა. ცდილობს, თავდაიწყებას მიეცეს...

ხლათის ალყის დროს სულთანს შვილი მოუკვდა, სამიოდე წლის ბავშვი, რომელიც იქვე ჰყავდა... გასაკვირი სულაც არ იყო ბავშვის სიკვდილი იმ დროს, იმ საველე პირობებში, მეტისმეტად გაჭიანურებული ომის ვითარებაში... მაგრამ ესეც ღვთის რისხვად და სასჯელად მოეჩვენა სულთანს. და, ეტყობა, სწორედ ამ უბედურმა შემთხვევამ ახლა უცებ მამა გაახსენა, ათი წლის წინათ გარდაცვალებული ხვარაზმშაჰ მოჰამედი... მოეჩვენა, მამაჩემს საკადრისი პატივი ვერ მივაგეო, და ახლა ამან ააფორიაქა... ზეცით მოვლენილი რისხვაც ალბათ ამას დააბრალა... იქნებ ამ ბრძოლის უზომო გაჭიანურებაც ამას დაუკავშირა!..

ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ვარაუდებია, მაგრამ საესებით სარწმუნო და დამაჯერებელი, როცა ერთმანეთთან ურთიერთობაში განიხილავ სხვადასხვა წყაროს მიერ გადმოცემულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოვლენებს.

ერთი სიტყვით, ამ ცოდვის სიმძიმისგან რომ გაეთავისუფლებინა თავი, სულთანმა გადაწყვიტა, სასწრაფოდ აეშენებინა ისფაჰანში დიდებული მედრესე და მამის ნეშტი კასპიის კუნძულიდან იქ გადაესვენებინა... მაშინვე გაგზავნა კაცი და 30000 დინარი გაატანა, რათა ახლავე დაეწყოთ მედრესეს მშენებლობა; ერაყის ვაზირს შეუთვალა, მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო ფული გაეღო; თანაც ყველაფერი ოქროსი ჩამოესხათ — შანდლები, სურები...

ასეთ დიდებულ მედრესეს სახელდახელოდ ვერ ააშენებდნენ და ვერ გამართავდნენ, დრო იყო საჭირო. სულთანს კი, როგორც ვნახეთ, ეჩქარებოდა. ცდილობდა, ჩქარა გაეთავისუფლებინა სული მძიმე ცოდვებისგან. გადაწყვიტა, მამის ნეშტი ახლავე წამოეღოთ კასპიის კუნძულიდან და დროებით, სანამ ისფაჰანში მედრესეს მშენებლობას დაამთავრებდნენ, არდაჰნის ციხე-სიმაგრეში დასვენებინათ.

ნასაი არ იწონებს თავისი პატრონის ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას; მართლაც საეჭვო და საჩოთირო იყო. საქმე ისაა,

რომ მონღოლები მარტო ცოცხალ სულთნებს კი არა მტრობდნენ, მკვდარი სულთნების სიძულვილიც მოსძალებოდათ და გაფაციცებით ეძებდნენ მათ საფლავებს – სადაც კი მიაგნებდნენ, მოთხრიდნენ და ნეშტს ცეცხლში წვავდნენ. მით უმეტეს, არ დაინდობდნენ ხვარაზმშაჰ მოჰამედის ნეშტს. ჩვენ ხომ ვიცით, როგორა სძულდათ იგი სიცოცხლეში. აქამდეც ვერ გადაურჩებოდათ მისი ნეშტი, მაგრამ ისეთ მიუვალ და მიუდგომელ კუნძულზე იყო დასაფლავებული, ბევრიც რომ ეძებნათ, ვერ მიაგნებდნენ. ამას თუ გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ დაცდა სჯობდა. იმიტომაც არ უწონებდა გადაწყვეტილებას ნასავი.

რას ეშურებოდა სულთანი! უცებ რამ წამოუარა ამ სიშორეს გადმოკარგულს! თუ ასე გულით ეწადა ნეშტის გადასვენება, აქამდე სად იყო!.. მთელი ათი წელი თუ დაიცადა, ცოტაც დაეცადა, და როცა ხლათის საქმეს მორჩებოდა — ან ავად, ან კარგად — მერე მიეხედა მამის ნეშტისთვის. საღი აზრი უკარნახებდა ამას (სხვათა შორის, ნასავის ავი წინათგრძნობა გამართლდა — არდაჰნში დასვენებულ ნეშტს მართლაც მიაგნეს მონღოლებმა და დაწვეს...).

მაგრამ აკი ითქვა, სულთანს ვერ მოესვენა...

●

როგორც მოსალოდნელი იყო, ამდენი ხნის ალყით დამშეული და გაწამებული ქალაქი ხლათი, ბოლოს და ბოლოს, დამარცხდა. უცხოური წყაროების მიხედვით, ეს მოხდა 1230 წლის აპრილში. ნასავს თუ ვერწმუნეთ, სულთანს თითქოს არა სდომია დაპყრობილი ქალაქის აოხრება და გაძარცვა და ამისი ნება მხოლოდ თავისი ხანებისა და ამირების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მიუცია ლაშქრისთვის. როცა გავიხსენებთ, რომ ნასავი სულთნის ერთგული მდივანი იყო, მაშინ უფრო გაგვიადვილდება, უარვყოთ ეს ძნელად დასაჯერებელი ცნობა. სამი დღის განმავლობაში უმოწყალოდ ძარცვავდნენ და აოხრებდნენ გაწამებულ ქალაქს. ნასავს თვითონვე ვერ მოუძებნია გამართლება ამ საშინელი სისასტიკისთვის და თავის დამოკიდებულებას ძალიან სხარტად გამოთქვამს: ეს იმასა ჰგავს, ჭრილობა რომ გახსნა და ზედ მარილი დააყაროო. სულთნის ბრძანებით, ერთიანად გაჟლიტეს, ვინც კი ხელში მოხვედათ. ნასავი ამ ცნობის უარყოფასაც ცდილობს — ტყუილია, ეს ჯალალ ად-დინის ბრძანება არა ყოფილაო. მაგრამ თუნდაც ვერწმუნოთ სულთნის მდივანს, ამით ხლათის გაწყვეტილ მოსახლეობას რა შეღავათი ექნება!..

აქვე არ შეიძლება სიბრალულითა და სინანულით არ გაეიხსენოთ მწარე ბედი ქართველი ქალისა, რომელიც ჯერ იყო და, ტყვედ ჩავარდნილი მამის გამოსასყიდ საფასურში ხლათის მბრძანებელს არგუნეს, ახლა კი, ხლათის აღების შემდეგ, ჯალალ ად-დინმა შეიპყრო და ცოლად გაიხადა. ძნელი წარმოსადგენი არ არის მისი სულიერი მდგომარეობა. თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ეს არის თამთა — ივანე მხარგრძელის ასული — ბედის მუხანათობისა და მამის დაუდევრობის გამო უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ქალი.

ხლათის აღება ჯალალ ად-დინის უკანასკნელი გამარჯვება იყო, ამის შემდეგ მისმა ბედის ჩარხმა უკუღმა იწყო ტრიალიო, წერს ივანე ჯავახიშვილი. ბუნებრივია, ხლათის აღებით სულთანი არ დაკმაყოფილდებოდა — იგი მახლობელი ქალაქების დარბევასაც შეეცდებოდა. და დაარბია კიდეც. მაგრამ როგორც მკვლევარი ზ. ბუნიატოვი წერს, არც ხლათის აღებას და არც მომდევნო ბრძოლებს ჯალალ ად-დინის პოლიტიკური პრესტიჟი არ გაუმტკიცებია. იკონიის სულთანმა ალა ად-დინ ქეიყობადმა კავშირი შეკრა მალიქ აშრაფთან, მათი მეზობელი მხარეების გამგებლებიც გადაიბირეს და შეერთებულმა მხედრობამ, იმავე, 1230 წლის აგვისტოში დაამარცხა ხვარაზმის სულთანი.

●

ჯალალ ად-დინმა ადრევე გაიგო მის წინააღმდეგ კოალიციის შეკვრის ამბავი, მოინდომა კიდეც დაესწრო და სანამ მოწინააღმდეგეები შეკავშირდებოდნენ, ცალ-ცალკე დაემარცხებინა ისინი, მაგრამ ვერ მოასწრო, ვერ მოახერხა. ავადმყოფობამაც შეუშალა ხელიო, მემატიანეები წერენ. ავად მართლაც იყო, ჩვენ ეს უკვე ვიცით. საგულისხმოა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის დროს მან დიდი სარდლისა და მამაცი ადამიანისთვის შეუფერებელი სიმხდალე გამოიჩინა და უკადრისი საქციელი ჩაიდინა — თავისი მხედრობა განსაცდელში მიატოვა და ხლათისკენ გაქუსლა.

მონღოლები, ეტყობა, თვალყურს ადევნებდნენ ჯალალ ად-დინის ბრძოლებსა და მოქმედებას. იბნ ალ-ასირის ცნობით, მათ მაშინვე გაუგიათ ხვარაზმის სულთნის დამარცხების ამბავი, და არც დაუყოვნებიათ, უფრო დიდი ძალით დაძრულან. სულთანი ამ დროს აზერბაიჯანშია, ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, განუწყვეტლივ მოსდის ცნობები მონღოლების სულ უფრო და უფრო მოახლოვების

შესახებ, და დაბნეული, დეენილი ნადირივით წრიალებს, ცდილობს უკანასკნელი ძალა მოიკრიბოს მტრის შესაჩერებლად, მაგრამ უკეთესს ვეღარაფერს მოიგონებს — მისივე მიზეზით მტრად მოკიდებულ ხალხს, იკონიისა და სირიის გამგებლებს შეუთვლის, მომეშველეთ, ერთად შევუტიოთ მონღოლებს, თორემ მე თუ დამამარცხეს, მერე არც თქვენ გელით კარგი დღე, ნახავთ, რაც მოგივათო... მაგრამ ეს უსუსური იმედი იყო — ვინღა ენდობოდა ხვარაზმის სულთანს! მისი იმედის უსაფუძვლობასა და უმწეობას შესანიშნავად გადმოსცემს თვით ნასავი: როცა წერს, როგორ მიმართა ჯალალ ად-დინმა დახმარებისთვის იკონიისა და შამის გამგებლებს, იქვე დასძენს — ეს იმასა ჰგავს, კაცი აუტანელ ხვატს გაექცეს და ცეცხლში შევარდესო.

ასე გაილია 1230 წელი. „გასაოცარის სისწრაფით ადარბადაგანს უახლოვდებოდნენ“. უცხოური წყაროების ცნობებს კარგად ადასტურებს ჟამთააღმწერელი: მონღოლთა მბრძანებელმა „ვითარ ცნა სრულიად ლტოლვა სულტან ჯალალდინისა, მოუწოდა ოთხთა ერისმთავართა... წარმოვიდეს ესე ოთხნი ნოინნი — ჩორმაღანი, ჩაღატა, იოსური და ბიჩოი — გამოვლეს ჯეონი და ხუარასანი... მივიდეს ქუეყანასა ალამოთისასა... და წარვიდეს მიერ ქუეყანად ერაყისა და მოაოხრეს... მერმე მოვიდეს ადარბადაგანს, რომელ არს თავრეჟი... მიერ მივიდეს ქალაქსა არდავილსა... გავლეს რახსი და მივიდეს განძად“...

მონღოლთა მარშრუტის ასეთი ლაკონიური გადმოცემით, ჟამთააღმწერელი ამ ლაშქრობის უჩვეულოდ სწრაფ ტემპსაც მიგვანიშნებს.

როგორც ვხედავთ, ხვარაზმის სულთანი სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევს მონღოლებს. იგი აფორიაქებულია, აქეთ-იქით აწყდება, გზავნის ელჩებს, თითქოს რაღაცას ცდილობს, ცოდვილობს... მაგრამ ამაოდ. მისი ერთგული ქვეშევრდომებიც უკვე გადაწყვეტილად თვლიან თავიანთი პატრონის ბედს. ამ თვალსაზრისით ძალიან საგულისხმო და დამახასიათებელია ან-ნასავის სიზმარი, და არ შემიძლია აქვე არ გავაცნო მკითხველს.

სწორედ ერთი ასეთი ელჩობის დროს გზად მიმავალ და დაქანცულ მდივანს სულთნისა ჩასთვლემს და სიზმარს ნახავს; იგი ასე გადმოგვცემს ამ სიზმარს: „ვითომ მუხლებზე ჩემიეე თავი მედო, ხოლო თმა და წვერი ერთიანად გამქრალიყო, თითქოს ცეცხლმა შთანთქაო; და ძილშიეე აეხსენი ეს სიზმარი: თავი — თვით სულთანია. მას უეჭველი დაღუპვა ელის. წვერები სულთნის ცოლები არიან

— სხვისი მხევლები გახდებიან; თმა კი სულთნის ავლადიდებაა, რაც ერთიანად დაიღუპება“.

სულთნის მდივნის ბრალი სულაც არ არის, რომ მალეევ ასრულდა მისი სიზმარი...

მოახლოვდა ჯალალ ად-დინის აღსასრული... და ამაზე უკეთესი გამოსავალი ვეღარ ნახა, რომ „მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და ივლტოდა საბერძნეთად“.

ეს უკვე ჟამთააღმწერლის სიტყვებია.

საბერძნეთად ივლტოდაო!.. ვითომ იქ სიხარულით შეხვდებოდნენ!..

მონღოლები ცდილობდნენ, როგორმე სულთანი ჩაეგდოთ ხელთ; მერე საქმე უფრო გაადვილებული ექნებოდათ. და სდევდნენ, როგორც ბუნაგიდან წამოგდებულ ნადირს. ჯერ ხომ ამის მამას სდევნდნენ შესაპყრობად ასეთის გამწარებით, და ახლა შვილიც ამ დღეში აღმოჩნდა.

სულთანს ამიდში წამოეწივნენ.

იგი ქალაქის მახლობლად ხიდთან შეჩერდა თურმე. აქ გაშალა კარავი. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ამ სიტყვებით აფასებს ჯალალ ად-დინის მაშინდელ მდგომარეობას ნასავი. სულთანი ალბათ თვითონვე გრძნობდა თავისი მდგომარეობის განწირულობას და ერთთავად სვამდა. თითქოს სმაში ყოფილიყოს ხსნა. იმ საღამოსაც იმდენი დალია, რომ სუნთქვა შეეკრა და თავბრუ დაეხვა.

შუაღამისას ვიღაც თურქმანი მიეახლა კარავში და მოახსენა, შენს წუხანდელ ნადგომზე მონღოლების რაზმი დავინახეო.

მაგრამ ჩანს, გონება ამ დროს უკვე დაბინდული აქვს სულთანს. სტყუიო, უყვირა თურქმანს, ამას მტრები იგონებენო, და სმა განაგრძო.

ღამე ილეოდა, როცა მონღოლები სულთნის კარავს მიუახლოედნენ. სულთანი უკვე ვეღარაფერს გრძნობდა. მსახურებმა ძლივს გამოათრიეს კარვიდან მთვრალი პატრონი. თეთრი პერანგი ეცვაო, ნასავი წერს, ცხენზე შესვეს და გააჭენესო. ძლივს გაასწრეს მონღოლებს.

სულთანი კვლავ ვერაფერს გრძნობს, ძილღვიძილშია, მისი დაბინდული გონება ცდილობს ტკბილი და საამური ზმანება გამოიწვიოს... და ფარსის მშვენიერი დედოფალი, ათაბაგ საადის ქალი გამოეცხადება (ამ დროს მას მხოლოდ ფარსის მალიქა, ათაბაგ საადის ქალი აგონდებოდა)... და ძილღვიძილშივე მხლებელ ამირებს

უბრძანებს — გაიგეთ, სად გადაიხვეწება ამ უბედურების შემდეგ, და იქ წადით, მას ემსახურეთო.

ეს ტკბილი ზმანება სულთანს მონღოლების ცხენების თქარათქურმა შეაწყვეტინა. თითქოს ცოტათი გამოფხიზლდა და თავის ერთგულ ორ-ხანს უბრძანა — შენ ჩამოგვცილდი შენი მხედრებით, სხვა მიმართულებით აიღე გეზი და მონღოლები გაიტყუეო.

ეს იყო სულთნის უკანასკნელი ბრძანება, და გონიერული ვერ გამოდგა: ჩამოეცალა თუ არა ორ-ხანი და სხვა მიმართულებით გასწია, მას შეუერთდა ლტოლვილი მხედრების დიდი რაზმი და მშვიდობიანად მიაღწიეს ისფაჰანს.

სულთანი კი რამდენიმე მხლებლით ამიდისკენ გაემართა. მაგრამ ქალაქში არ შეუშვეს, ქალაქელებმა ქვები დაუშინეს და უკან გააბრუნეს. იქიდან შიშმა ჯაზირისკენ გააგდო. ახლა მხედრების მცირე ჯგუფი შემოუერთდა სულთანს, მდევრებს ამ დროს უკვე კვალი აებნათ, თითქოს პაწაწინა იმედი ჩაისახა, მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებლებიც მტრულად ხვდებიან და სულთნის მხლებლებს მათთან ბრძოლა უხდებათ. მიადგნენ ერთ სოფელს და კალოსთან შეისვენეს (ეს ხდება აგვისტოში, როცა სოფლად პურის ლეწვა ეს-არის დაუმთავრებიათ). უკვე საღამო ხანი იყო და იქვე მიწვნენ, საღამოს სიგრილემ ძილი მოჰგვარათ...

როცა ირიჟრაჟა, სულთანს ცხენების ფეხის ხმა შემოესმა. მონღოლებს ისევ აეღოთ მისი კვალი. ხელად წამოვარდა და ცხენს მოახტა, გაქუსლა, მდევრებს გაასწრო. მხლებლებმა გამოღვიძებაც ვერ მოასწრეს, ისე გაჟლიტეს მონღოლებმა: ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს, და სწორედ იმათგან გაიგეს, რომ სულთანს გაქცევა მოესწრო. ხელად დაადევნეს თხუთმეტი მხედარი. ორი მათგანი წამოეწია კიდეც, მაგრამ ჯალალ ად-დინმა ორივე მოკლა, სხვებმა მისი შეპყრობის იმედი დაკარგეს და უკანვე გაბრუნდნენ.

ამასობაში, ჯალალ ად-დინი ერთ მთას მიადგა. მდევრების ხმაც აღარ ისმოდა და თითქოს გადარჩა; ერთხანს ტყეს შეაფარებდა თავს და მერე უკვე საბერძნეთს გააღწევდა. მაგრამ სულთანი ბედისგან განწირული იყო, სიკვდილის აჩრდილი თან სდევდა. როცა ეგონა, სამშვიდობოს გავედიო, ყაჩაღმა ქურთებმა შეიპყრეს და გაძარცვეს. მოკვლა რომ დაუპირეს, ჯალალ ად-დინმა ყაჩაღების მეთაურს უთხრა: ნუ მომკლავ, სამშვიდობოს გამიყვანე და ბედსა გწევ, დამიჯერე, მე სულთანი ვარო.

ეს ადვილი დასაჯერებელი იყო, თუნდაც იმ სიმდიდრის გამო, რაც ახლა წაართვეს ამ მძარცველებმა ჯალალ ად-დინს — ჯერ მარტო ძვირფასი თვლებით შემკული სარტყელი, უნაგირი და კაპარჭი ერთ ქალაქს იყიდდა („რომლისა სარტყელი და უნაგირი და კაპარჭი უფასოთა თუალთა მიერ შემკული იყო", — ეს ქართველი მემატიანის სიტყვებია). ყაჩაღი რომ დარწმუნდა, სულთანიაო, აღარ მოკლა, გამოსასყიდი თანხის მოლოდინში, შინ მიიყვანა. თვითონ კი ცხენების მოსაყვანად წავიდა.

სანამ მობრუნდებოდა, მის სახლს მეზობელი ქურთი მოადგა და ეს იყო სწორედ ბედისწერა. აკი საქმე მუდამ წინ დახვდება კაცს. ამ ქურთისთვის ხლათში ძმა მოეკლათ, და ახლა ხვარაზმელი რომ დაინახა მეზობლის ეზოში, მაშინვე მოკლული ძმა გაახსენდა. და ერთბაშად წამოენთო. ხვარაზმელს აქ რა უნდა, რატომ არ გაათავებთო! — იყვირა. მასპინძლის ცოლი ხომ ქმრისგან იყო გაფრთხილებული, არავინ არაფერი ავნოსო, ასე გაცოფებული რომ დაინახა მეზობელი, მაშინვე ის მიახალა — სულთანია, ხელი არ ახლოო!.. ვითომ დაიცვა! რას წარმოიდგენდა, რომ სწორედ ამით ღუპავდა. ქურთს შუბი ეპყრა ხელთ, და ისეთი გამწარებით აძგერა ჯალალ ად-დინს, რომ პირველივე მოქნევით გაათავა. სულთანმა ხელის განძრევაც ვერ მოასწრო.

ასე უაზროდ და უსახელოდ დაასრულა სიცოცხლე უდიდესი ქვეყნის მბრძანებელმა, „მაღალმა და სახელოვანმა ხელმწიფემ", როგორც ჟამთააღმწერელი ახასიათებს. როგორც ვნახეთ (და ქვემოთ კიდევ უფრო დაწვრილებით ვიხილავთ), მისმა მთელმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი იმას, თუ როგორ წარიმართებოდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შემდგომი ცხოვრება. ამიტომაც ვცადეთ, შედარებით ვრცლად მოგვეთხრო ამ კაცის თავგადასავალი. იმდენი ვილაპარაკეთ მასზე, რომ მკითხველს ალბათ მისი გარეგნობაც დაინტერესებს. თავს ნებას ვაძლევ, აქვე მოვიტანო ან-ნასიეის მოკლე დახასიათება, რითაც სულთნის მდივანი თავის საოცარ თხზულებას ამთავრებს.

„იგი იყო მორჩილი ტანის კაცი, შავგვრემანი, თურქულად მოლაპარაკე, თუმცა სპარსულიც იცოდა; რაც შეეხება მის სიმამაცეს, ამის დასახასიათებლად საკმარისია მისი ბრძოლები ჩამოვთვალო. ლომებს შორის ყველაზე ძლიერი ლომი, უმამაცეს მხედართა შორის ყველაზე გულადი, ბუნებით წყნარი იყო, გულისმოსელა და ლანძღვა-გინება არ იცოდა. სერიოზული კაცი იყო, არასოდეს არ გაუცინია,

იღიმებოდა მხოლოდ, და ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. სამართლიანი იყო, მაგრამ იმ არევდარევის დროს, რაც მას ცხოვრებაში შეხვდა, ხასიათი შეეცვალა. უყვარდა ქვეშევრდომებისთვის ცხოვრების შემსუბუქება, მაგრამ ცუდ დროს შეხვდა მეფობა და იძულებული იყო, ძალმომრეობა გამოეჩინა"...

მაგრამ აქ შევწყვიტოთ ნასავის დახასიათება... ჩვენთვის სწორედ ეს იყო საინტერესო, რაც აქ მოვიტანე — კარგად ავსებს ამ მეტად თავისებური დამპყრობლის პორტრეტს... დანარჩენი ჩვენ უკვე ვიცით (ბევრი რამ ნასავისავე წინა მონათხრობიდან)... ისღა უნდა დავძინოთ, რომ ბედი ჯალალ ად-დინისა — ასეთი უაზრო და უსახელო დასასრული ულმობელი დამპყრობლისა — ბუნებრივია და კანონზომიერი. ასეთი ბედი აქვს სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანს, რომელსაც თავისი ხალხი და ქვეყანა საჯიჯგნადა და სათარეშოდ მტრისთვის მიუტოვებია, თვითონ კი სხვა ქვეყნებისა და ხალხების რბევასა და განადგურებას მოჰყოლია.

თავი V

რუსუდანის ვერაგობა და... ისევ ღალატი...

ხვარაზმელთა აოხრებას გადარჩენილი გახიზნული ხალხი თანდათან დაუბრუნდა თავის დანგრეულ სახლ-კარს, ჩამქრალ კერას ✦ რუსუდან მეფემ ვერაგობა ჩაიდინა თავისი ძმისშვილის წინაშე – ძმის ანდერძის უგულებელყოფით მეფედ თავისი ხუთი წლის შვილი, დავითი აკურთხა – თანამესაყდრედ გაიხადა ✦ რუსუდანი განუწყვეტლივ დევნის ძმისწულს. მან დიდი უბედურება დაატეხა თავს ვაჟსაც და თავის ქალიშვილსაც ✦ 1235 წლის მახლობლად მონღოლებმა იწყეს საქართველოს რბევა და აოხრება. ასეთ ვითარებაში მეფემ კვლავ მიატოვა დედაქალაქი და ქუთაისს შეაფარა თავი ✦ ამირსპასალარი, მსახურთუხუცესი და მანდატურთუხუცესი მოღალატურად და სამარცხვინოდ დამორჩილდნენ მტერს.

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოში? მაშინვე შეიტყვეს უგუნურად სასტიკი ხვარაზმის სულთნის მოკვლის ამბავი, თუ აქაც მოაღწია იმ ჭორმა, რაც მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულიყო? იქ ბევრს დიდხანს სჯეროდა, რომ ჯალალ ად-დინი ისევ ცოცხალი იყო და კვლავ რისხვად დაატყდებოდათ თავს...

ჯერ ცოცხალი რა საშინელ ჭირად მოევლინა ხალხებს, და ახლა მკვდარიც შიშის ზარი გამხდარიყო...

ლამის თხუთმეტი წელი გავიდა მისი მოკვლის დღიდან, მაგრამ ავი ჭორი კვლავ ჯიუტად დადიოდა ქალაქიდან ქალაქში — თითქოს ჯალალ ად-დინი კი არ მოეკლათ იმ საბედისწერო შეტაკების დროს, 1231 წლის აგვისტოში, არამედ მისი საჭურველთმტვირთველი; ხვარაზმის სულთანს კი თითქოს თავი დაეღწია, სუფიების სამოსი ჩაეცვა და ქვეყნიდან ქვეყანაში დადიოდა, ახალი ბრძოლებისთვის

კრებდა ჯარს, შურისძიებისთვის ემზადებოდა. ერთხელ შეიპყრეს კიდეც სულთანი, როცა ვაჭრების დიდმა ქარავანმა მდინარე ჯეიპუნი გადალახა... ამ ვაჭრების თანმხლებთა შორის ერთ-ერთი თანამგზავრი საეჭვოდ მოეჩვენათ გუშაგებს, სტაცეს ხელი და თავიანთ უფროსს მიჰგვარეს გამოსატეხად. მაგრამ გამოტეხა რაღა საჭირო იყო, როცა ეს კაცი თვითონვე გაიძახოდა, ჯალალ ად-დინი ვარო — ჯიუტად და გამომწვევად... ამაყადაც, რაღა თქმა უნდა. ხვარაზმის სულთანი ჯალალ ად-დინი გახლავართო... ეტყობა, მაინც დაეჭვდა უფროსი; თითქოს ნამდვილი სულთანი იყო, აკი თვითონვე არ მალავდა და თავს განსაცდელში იგდებდა, მაგრამ მაინც ვერ დაეჯერებინა — სცემეს, აწამეს... ვერ გადაათქმევინეს, თავის სიტყვაზე იდგა, და წამების დროს შემოაკვდათ. მერეღა მიხვდნენ, რომ შეშლილი ყოფილიყო ის უბედური.

ეს მოხდა ჯალალ ად-დინის მოკვლის ცამეტ-თოთხმეტი წლის შემდეგ.

სხვა ცნობით, ორი-სამი წლის მოკლული იყო ხვარაზმის სულთანი, როცა მაზანდარანში ვიღაც თაეზეხელაღებულმა, რომელიც თავს ჯალალ ად-დინს უწოდებდა, აჯანყება მოაწყო... რაღა თქმა უნდა, მასაც სავალალო ბედი ხვდა: მონღოლებმა შეიპყრეს, და თუმც კი დარწმუნდნენ, რომ ხვარაზმის სულთანი არ იყო — ჰგავდა მხოლოდ სულთანს — ამ უსიამოვნო სიცრუისთვის მაინც მოკლეს...

როგორ აღწევდა ეს ჭორები საქართველომდე, ან სჯეროდათ თუ არა მისი, ძნელი სათქმელია, რადგან იმ წლებისა თითქმის აღარავითარი ქართული საბუთი არ დარჩენილა, და საშუალებას მოკლებული ვართ, თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ — ან მეფე და ვაზირები რას აკეთებდნენ და ან ხალხი რა დღეში იყო.

თავისთავად იგულისხმება, ამგვარი საბუთები ბევრი იქნებოდა ისეთი მაღალი კულტურის ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო. და განა მარტო საისტორიო!.. უმთავრესად სწორედ ცხოვრებისეული ურთიერთობის, ყოველდღიური ყოფის გამომხატველი საბუთები, რომლებიც კარგად გაგვიცოცხლებდნენ ჩვენი ხალხის მაშინდელ ყოფას, იმდროინდელი ცხოვრების ყოველ მხარეს — მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მოვლენებსაც და უბრალო, ყოფით წვრილმანებსაც...

სად გაქრა ეს საბუთები?

განადგურდა. გაანადგურეს...

ამას მხოლოდ ვარაუდით კი არ ვამბობთ. სწორედ ერთმა იმდროინ-

დელმა საბუთმა, სასწაულებრივად გადარჩენილმა და ჩვენამდე მოღწეულმა, ნახეთ როგორი ცნობა შემოგვინახა. ეს გახლავთ უბრალო მინაწერი ერთ ძველ ხელნაწერზე. ჩვენ ბევრჯერ ვნახეთ, რა ძვირფას ცნობებს შეიცავენ ასეთი მინაწერები, რა უშუალოდ და შთამბეჭდავად გადმოგვცემენ ფაქტს. ახლაც ავტორი მინაწერისა მწუხარებისგან გამშრალი კაცის სიტყვაძვირობით გადმოგვცემს: ხვარაზმელთაგან დატრიალებული უბედურების შემდეგ საქართველოში „არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი...“

ასე გეგონება, საგანგებოდ იმ ჩვენი კითხვის პასუხად დაეწეროს ეს სიტყვები. თავად მწიგნობარი იყო და ყველაზე მწარედ წიგნების განადგურებას მოსთქვამდა.

და იქვე გულისშემძვრელი კონკრეტულობით: ასეთი ფურცლები „იერუსალიმს შუკათა შინა შთასულმან ვნახენო...“

ამ მინაწერის ავტორი ხვარაზმელთა ტყვეობისგან ძლივს თავდაღწეული კაცია. ჯალალ ად-დინის სიკვდილის შემდეგ, როცა სულთნის ჯარში ადვილად წარმოსადგენი არეულობა შეიქნა, ბევრმა ტყვემ, ეტყობა, იხელთა და გაქცევა მოახერხა. ეს კაცი, როგორც ჩანს, იერუსალიმში მოხვედრილა. და რაკი საკუთარი თვალით ნახულ სურათს გადმოგვცემს, ცნობა არა მარტო სანდო, არამედ მეტად შთამბეჭდავი და შემაძრწუნებელია.

ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა; აღარც ის არის გასაკვირი, რომ ჩვენი ხალხის მაშინდელი მდგომარეობის ამსახველმა საბუთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს და არც ის არის ძნელი წარმოსადგენი, რა მოუვიდოდა საერთოდ ქართული მწერლობის ნიმუშებს — „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვისრამიანის“ ტოლებსა და მომდევნო და-ძმათ, რომელთა არსებობა, — როცა იმ ეპოქის, საერთოდ ქართული კულტურისა და კერძოდ მწერლობის დონეს გავიხსენებთ, — არ შეიძლება, ეჭვს იწვევდეს.

ეს პატარა დეტალი ხალხის საერთო მდგომარეობაზედაც კარგად მიგვანიშნებს...

თუმცა, აგერ, მეორე, ასევე სასწაულებრივად გადარჩენილი იმდროინდელი საბუთი; ეს უკვე საერთო სურათს გვიხატავს ჩვენი ხალხის მაშინდელი მდგომარეობისა. ამ ცნობის მიხედვით, ხვარაზმელთა თარეშის შემდეგ მთელი აღმოსავლეთი საქართველო ერთიანად აოხრებული და დაცლილი იყო — ქალაქები გაძარცულ-დანგრეული და მიწასთან გასწორებული, სოფლის მეურნეობა — გაცამტვერებული, ეკონომიკა — მოშლილი და განადგურებული. ვინც

სიკვდილს გადაურჩა და ტყვეობასაც დააღწია თავი, ისინი, საკუთარ კუთხეს მოწყვეტილნი, ზოგი სად გადახვეწილიყვნენ და ზოგი სად. „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოისა იელტოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაისა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთასა წარტყუვენვასა და მოოხრებასა დედაქალაქისასა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა იმერისა საქართველოისასა“...

მკვლევარები 1233 წლით ათარიღებენ ამ საბუთს. ამ დროს ჯალალ ად-დინი უკვე ორი წლის მოკლულია. მისი დიდი ლაშქარი ბარაქათ-ხანის მეთაურობით რუმის სულთნის ქეი-ყობადის სამსახურში ჩამდგარა და იმის რეალური საშიშროება აღკვეთილა, რომ ეს შეკოწიწებული, ჭრელი, — და ამდენად უფრო საშიშიც, — ლაშქარი საქართველოსკენ შემობრუნდებოდა და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, აიკლებდა. ეს ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (აქვე შევნიშნოთ, რომ სულ მალე სულთანი ქეი-ყობადი დაუმოყვრდება კიდეც საქართველოს მეფეს). ბარემ აქვე გეტყვით ამ ლაშქრის შემდგომ ბედს: — ქეი-ყობადის სიკვდილის შემდეგ ხვარაზმელთა ლაშქარი ხან ვის მიეკედლა, ხან ვის... თანდათანობით დაიშალა, დაქუცმაცდა, და როგორც ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო, საბოლოოდ, ჯგუფ-ჯგუფად მეკობრეობასა და ავაზაკობას მიჰყვეს ხელი...

ორ მაშინდელ საბუთს გავეცანით, და მეტი, მგონი, არც კი შემორჩენილა (ჟამთააღმწერლის დიდი თხზულება, რომელიც იმდროინდელ ამბებს გადმოგვცემს, როგორც უკვე ითქვა, უფრო მოგვიანო დროისაა, და ის წყაროებიც, რასაც ეს შესანიშნავი თხზულება ეყრდნობოდა, უკვე დაკარგულია). პირველი საბუთის ავტორი, რომელსაც იერუსალიმის ქუჩებში უნახავს ქართულ ხელნაწერთა დაფანტული ფურცლები, როგორც ითქვა, ცნობილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ გიორგი რქმევია და ხვარაზმელთა ტყვეობისგან დაუღწევია თავი...

მეორე საბუთი განსაკუთრებულ ინტერესს იმით აღძრავს, რომ მისი ავტორი ცნობილია — იგი რუსთაველის უმცროსი თანამოკალმე ქართველი მწერალი და მეცნიერი აბუსერიძე ტბელი გახლავთ. ზემოთმოტანილი ცნობა ამოღებულია მისი რელიგიური ხასიათის თხზულებიდან. და რაკი ავტორის ვინაობა ვიცით, უფრო ადვილი ასახსნელიც არის, როგორ გადარჩა მისი ხელნაწერები: ისინი აჭარის მიუვალ მთებში იწერებოდა. აბუსერიძე ტბელი ხომ აჭარელი

იყო; ჯალალ ად-დინის ურდოებს კი აჭარამდე ვეღარ მიუღწევიათ. და ამითვე უნდა ავხსნათ ხელნაწერის გადარჩენაც. ალბათ დააკვირდით კიდეც — „ლიხთა იმერი საქართველოო", — წერს აბუსერიძე ტბელი: ხიხანიდან, სადაც ეს თხზულება იწერებოდა, აღმოსავლეთი საქართველო „იმერი" იყო.

და თუმცა კი ეთქვით, აჭარა ხვარაზმელებისთვის მიუვალი იყო და იქ სწორედ საქართველოს სხვა კუთხეებიდან ლტოლვილი ხალხი იხიზნებოდაო, აუბსერიძე ტბელის ამ თხზულებიდანვე ჩანს, რომ უშიშრად არც ისინი ყოფილან.

ბუნებრივია, ისეთ ვითარებაში ყველგან შიმშილი მძვინვარებდა, და მით უმეტეს მთის მწირ სოფლებში, სადაც ახლა იმდენი ხალხი შეიხიზნა. იძულებული იყვნენ დროდადრო ბარად ჩამოსულიყვნენ საკვების მოსაპოვებლად. ბარში კი მტრის ურდოები დათარეშობდნენ და დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ხელში არ ჩავარდნოდნენ მათ. სწორედ ერთ ასეთ ეპიზოდს გადმოგვცემს მწერალი. მართალია, თხზულების ხასიათის მიხედვით ეს ეპიზოდი სულ სხვა რამის დასასაბუთებლად სჭირდება ავტორს, მაგრამ ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით გვაინტერესებს: თხზულებაში მოთხრობილია, რომ ერთ დღეს სოფელ ცხმორისიდან „ვინმე კაცნი" წასულან „მოსარეწელად რაისამე", ესე იგი, საკვების საშოვნელად... მათ „გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუეი ქმნეს" — მოთარეშე რაზმებმა შეიპყრეს ეს ხალხი...

●

როდის დაუბრუნდა „ხუარაზმელთა შიშისათვის" გახიზნული ხალხი თავიანთ დანგრეულ სახლ-კარსა და ჩამქრალ კერას?

ალბათ 1231 წლის აგვისტოს შემდეგ, თანდათანობით. იმისდა მიხედვით, თუ შორეულ მთებში როდის მოაღწევდა ცნობა ხვარაზმელთა განადგურების შესახებ. ზოგი მაშინვე დაბრუნდა, ზოგი იქნებ ცოტა ხნით ზემოთნახსენებმა ჭორმა დააყოვნა... უფრო გადაჭრით იმის თქმა შეიძლება, რომ ეს დაბრუნება სტიქიური იყო, არაორგანიზებული... ხალხისთვის აღარავის ეცალა — მეფე და მისი ოჯახი ქუთაისს იყო გახიზნული, და ისიც კი უცნობია, თავად როდის დაუბრუნდა სატახტო ქალაქს; დიდი ერისთავები და დიდებულები თავიანთივე ციხე-სიმაგრეებში გამოკეტილიყვნენ...

უნებურად გაგონდება ასეთივე ვითარება, როცა თურქებისგან

დევნილი, მთებში გახიზნული ხალხი თავიანთ სოფლებს უბრუნდებოდა. ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია...

მაშინ, დიდი თურქობის დროს, ახალგაზრდა მეფე დავით აღმაშენებელი თვითონვე ხელმძღვანელობდა მთებში გახიზნულთა დაბრუნებას, თვითონვე ზრუნავდა დანგრეული სოფლების აღსადგენად; ჩვენ ვნახეთ, როგორ ემზადებოდა იგი ახალი მძიმე ბრძოლებისთვის, ქვეყანაში შემოჭრილი მტრის განსადევნად...

არა, ახლა ასეთი ორგანიზებულობა არ იყო. ახლა მეფე თავის ხალხთან არ იდგა!

ჟამთააღმწერლის თხზულებიდან ქუთაისში ლტოლვილი მეფისა მხოლოდ ის ვიცით, რომ მისი ფიქრი და გონება სულ სხვა საზრუნავით ყოფილა მოცული: იგი დაშურებია თავისი მცირეწლოვანი ვაჟის — დავითის — გამეფებას. მეფემ „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიან-ბედიანთა, რაჭის ერისთავსა და კათალიკოსსა აფხაზეთისასა, და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისი, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს თავსა მისსა გვირგვინი; დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ, და სრულ ყო კათალიკოსმან წესი კურთხევისა“.

ალბათ შენიშნავდით: მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ხუთი წლის მეფის კურთხევაში მონაწილეობა მიუღიათ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დიდებულებსა და სამღვდელოებას, რადგან „ამიერი ესე სამეფო (ესე იგი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო) უცალო იყო ხუარაზმელთაგან, რამეთუ მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისს და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისს, აგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი და კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი, შავშნი, კლარჯელნი, ტაოელნი — ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს, თვითოეული მორჩილებასა შინა მეფისა რუსუდანისსა, და უცალობისა ძალით ვერ დახუდეს დალოცვასა მეფისა დავითისსა“.

გასაკვირი სულაც არ არის, რომ იმ ვითარებაში მეფის კურთხევას ვერ დაესწრნენ ზემოთ ჩამოთვლილი დიდებულები. ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ამას ვერ მოახერხებდნენ — მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო მტერს ეჭირა, გზები შეკრული იყო... გასაკვირი სულ სხვა რამ არის: რატომ ასე დაეშურა რუსუდანი ბავშვის გამეფებას, რამ დაარღვევინა მეფედ კურთხევის საერთო წესი? დაეცადა, და როცა მთელი დარბაზის შეკრებას მოახერხებდა, როცა

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულებიც შეიყრებოდნენ, მაშინ ეკურთხებინა; რა ეჩქარებოდა, რა ძალა ადგა?.. ტახტი ხომ თავისუფალი არა ყოფილა — ამის შემდეგაც ხომ ფაქტიურად თეიმონ მეფობდა?!. და რაღა საშური იყო თანამესაყდრედ ბავშვის კურთხევა?!.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სულაც არ არის ძნელი, თუ გავიხსენებთ წინა მეფის — ლაშა გიორგის ანდერძს: მან ხომ ტახტი დროებით გადასცა დას, ვიდრე მისი შვილი გაიზრდებოდა და მეფობას შეძლებდა!..

რუსუდანს, ეტყობა, მოსვენებას უკარგავდა ეს ანდერძი... ზემოთ რამდენჯერ ითქვა — ისე ძლიერია სამეფო ტახტის დაუფლების ცთუნება, რომ ამ ადამიანურ სისუსტეს ადვილად ვერ ერევიან. ასე ყოფილა ყველგან, ყველა ქვეყანაში, და რუსუდანიც ვერ გამოდგა ის იშვიათი გამონაკლისი, როცა ქვეყნისა და ხალხის ღირსეული შვილი ამ ცთუნებას მოერევა ხოლმე.

მაგრამ ახლა საგანგებო ვითარება იყო, ქვეყანა მტერს დაეპყრო და აოხრებდა. მთელი აღმოსავლეთი კიდევ უფრო სასტიკი და ძლიერი მტრის უღელქვეშ გმინავდა და ეს უბედურება თანდათანობით უახლოვდებოდა საქართველოს... ასეთ ვითარებაში განა შეიძლებოდა შინა ბრძოლებისთვის ახალი საბაბის ხელოვნურად შექმნა?.. ტახტისთვის მეტოქეობა ხომ ურთიერთ შუღლისა და ქიშპობის კარგი ნიადაგი იყო პატივმოყვარე ფეოდალებისთვის!...

მაგრამ აკი ითქვა — რუსუდანი ვერ მოერია ცთუნებას... მამულიშვილური ღირსება ვერ აღმოაჩნდა, და სიბრძნეც არ ეყო — ყველაფერი გაეთვალისწინებინა.

როგორა ზრდიდა რუსუდანი მის შვილს, რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან ბიძაშვილ-მამიდაშვილს, ეს ჩვენთვის უცნობია და მხოლოდ ვარაუდი თუ შეგვიძლია იმისა, რა ვითარებაში გადაწყვეტდა მეფე თავისი მცირეწლოვანი შვილის თანამესაყდრედ დასმას.

დრო სწრაფად გარბის. როგორც იტყვიან ხოლმე, უკან მიხედვას ვერ მოასწრებ, რომ ადამიანი, — შენ რომ ისევ ბავშვი გგონია და ნაკლებ ანგარიშს უწევ, — უკვე დაკაცებულა და სულ სხვა ყურადღებას მოითხოვს. ერთბაშად შენიშნა რუსუდანმა, რომ ყმაწვილი, — თავისივე ძმისშვილი, რომელიც სასოებით ჩაბარა ძმამ აღსაზრდელად, — უკვე გაზრდილიყო; ხმა დაბოხებოდა, საულვაშეზე გინგლი ამოსვლოდა... ადამიანის ცხოვრებაში ეს მეტამორფოზა ზოგჯერ

ერთბაშად ხდება ხოლმე... უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — შენ აღმოაჩენ ერთბაშად, შენს თვალში ხდება ერთბაშად ახლობელი ადამიანის ეს ცელილება... და სასიამოვნო გაკვირვებასთან ერთად, რაღაცნაირი სიხარული დაგეუფლება.

მაგრამ რუსუდანისთვის ეს სასიხარულო არ გამოდგა. და გადაწყვეტილებაც ერთბაშად მიიღო... გადაწყვეტილებებს ძალიან ადვილად და ერთბაშად ღებულობდა ხოლმე რუსუდანი. ეს საქებარი თვისებაც იქნებოდა მეფისთვის, ბრძნული რომ ყოფილიყო მისი გადაწყვეტილებანი. სამწუხაროდ, ასე არ იყო. ამის მოწმენი ჩვენ უკვე გავხდით და კვლავაც ვიხილავთ...

დროც ძალიან ხელსაყრელი მოეჩვენა რუსუდანს თავისი გადაწყვეტილების შესასრულებლად. უნდა ვიფიქროთ, სხვა ვითარებაში გაუძნელდებოდა მეფეს თავისი ხუთი წლის ბავშვის მეფედ კურთხევა — ბუნებრივია, ლაშა გიორგის შვილს მომხრეები ეყოლებოდა სამეფო კარზე. იმიტომაც იყო რუსუდანის გონება მოცული ამ საზრუნავით. იმიტომაც დაეჩქარა შვილის მეფედ კურთხევა. ხელსაყრელი დრო შეხვდა. მთელი სამეფო კარისა და დარბაზის დაყოლიება უფრო ძნელი იქნებოდა. საკარაუდებელი მომხრეებიც იქნებ სწორედ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულთა შორის ჰყავდა ლაშა გიორგის მემკვიდრეს. და რუსუდანს აღარ უყოყმანია, შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა: მაშინდელ ვითარებაში თავისი შვილის მეფედ კურთხევაზე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულთა არდასწრება კარგად მოტივირებული იყო.

(აქ უნებურად ერთი კითხვა წამოიჭრება — იქნებ არცთუ უსაფუძვლო: თავის შვილსაც რატომ მაინცდამაინც დავითი დაარქვა რუსუდანმა? რაკი ეს სახელი ირჩია ლაშამ მემკვიდრისთვის, უფრო ბუნებრივი ხომ არ იქნებოდა, დას თავისი შვილისთვის სხვა სახელი შეერჩია?! ამაშიაც რაიმე წინასწარ განზრახული მზაკვრობა ხომ არ იმალება?).

რას გრძნობდა და რას განიცდიდა ამ დროს მეორე დავითი? ან სად იყო იგი ამ დროს? როგორ შეხვდა მამიდის ვერაგობას? გულწრფელად მიულოცა მეფობა მცირეწლოვან მეტოქეს — თავისივე პატარა სეხნიას, თუ ხინჯად დარჩა გულში? ან იმას თუ გრძნობდა, რომ მეფე-მამიდა მას უფრო საშინელ ვერაგობას უმზადებდა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ნუ ვიჩქარებთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

●

რაკი შეილის საქმე მოგვარებულად ჩათვალა რუსუდანმა და ეს დიდი საზრუნავი მოიშორა, თითქოს გულიდან ლოდი მოხსნოდეს... მალე ამის შემდეგ ხვარზმის სულთნის სიკვდილის ამბავიც მოუვიდა... ერთბაშად წაება ერთმანეთს სასიხარულო მოვლენები და რაღა გასაკვირია, რომ მეფე თბილისში გულმხიარული დაბრუნდებოდა.

როგორ შეხვდნენ მას დიდებულები? რა საკითხი იდგა დარბაზის პირველსავე სხდომაზე, რომელიც მეფის დაბრუნების შემდეგ ალბათ მალევე გაიმართებოდა — აგერ, რამდენი წლის შემდეგ ძლიეს სრული შემადგენლობით? რა ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებები დასახეს? ლაშქრის გასამრავლებლად და გასაძლიერებლად რა იღონეს?..

ბუნებრივად ჩნდება ეს კითხვები, მაგრამ პირდაპირი პასუხი არ არსებობს.

განსაკუთრებული სიმწვავით აღიძვრის კიდევ ერთი კითხვა: ელოდნენ თუ არა ხვარაზმელებზე კიდევ უფრო ძლიერი მტრის ხელახლა გამოჩენას?..

ამ კითხვას ხშირად შეხვდებით ისტორიულ გამოკვლევებში; ამითვე შეგიძლიათ განსაზღვროთ მისი სიმწვავე – თითქმის ყველა მკვლევარს აწუხებს იგი... და პასუხიც თითქმის ყველას ერთნაირი აქვს. რამდენადაც კითხვა არის მწვავე, იმდენად ადვილი ჩანს პასუხი:

შეუძლებელია, საქართველოში — სამეფო კარზე — არა სცოდნოდეთ, რა სწრაფად უახლოვდებოდა ქვეყანას ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძიმე განსაცდელი, რაც კი ოდესმე ჩვენს ხალხს თავს დატყდომოდა. და არა მარტო ჩვენს ხალხს — ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ჭირი, რაც საერთოდ კაცობრიობას ოდესმე მოვლენოდა...

„...ყველაზე დიდი უბედურება, რომლის მსგავსი ქვეყნის გაჩენის დღიდან არაფერი ეშვა დღესა და ღამეს, და რაც ყველა სულდგმულს თავს დასტყდომოდა... უბედურება, რომელიც ყოველი მხრივ ნაპერწკლებად იფრქვეოდა, რომლის სიავე და ბოროტება ყველას მისწვდა... როგორც ღრუბელი, ქარით მორეკილი, ისე მოედო მთელს ქვეყნიერებას“...

მით უფრო შთამბეჭდავია ეს სიტყვები, როცა გავითვალისწინებთ, რომ იგი ეკუთვნის იმ მოვლენების მომსწრეს, XII-XIII საუკუნის არაბ ისტორიკოსს იბნ ალ-ასირს.

ახლა კი თანამედროვე მკვლევარს ა. იაკუბოვსკის მოვუსმინოთ, რომელიც, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ ჩვენს დასმულ კითხვას უპასუხებს.

„მონღოლების მიერ შუა აზიის დაპყრობამ 1219-1221 წლებში, და ჩრდილო ირანსა, კავკასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ჯებესა და სუბუდაის ლაშქრობამ (1222-1224) დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინეს თანამედროვეებზე. და შუა აზიის ქვეყნებში, ჩრდილო აფრიკასა თუ ევროპაში [მაშინვე], XIII საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებშივე ისე ლაპარაკობდნენ თათარ-მონღოლთა შემოსევებზე, როგორც მაშინდელი კაცობრიობის თავსდამტყდარ უდიდეს უბედურებაზე“.

მართლაც, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების გარდა, მონღოლებმა დაიპყრეს და გაანადგურეს აბასელთა სახალიფო ერაყში, რუმის სასულთნო... ეგვიპტეს მიადგნენ... დაიპყრეს ყირიმი, „ზღვისპირა ქალაქები ძველი კულტურითა და ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობით“, ბულგარეთის სამთავროები, „კულტურული ზოლი ვოლგისპირა სავაჭრო ქალაქებისა, თავისი ჭრელი მოსახლეობით, უზარმაზარი სივრცე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ველებისა, სადაც ყივჩაყები მომთაბარეობდნენ“ (იაკუბოვსკი)...

ამის შემდეგ თითქოს გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ მონღოლებს საქართველოს დაპყრობა არ გაუჭირდებოდათ. გაცილებით უფრო მცირერიცხოვანი ჩვენი ხალხი ვერ შეაჩერებდა კარგად გაწვრთნილსა და აღჭურვილს, ბრძოლებში გამობრძმედილ მონღოლთა მრავალრიცხოვან ურდოებს, რომლებიც, გარდა იმისა, რომ იოლი გამარჯვებებით გალაღებულები იყვნენ, დიდი სიფრთხილითაც მოქმედებდნენ...

გასაკვირი და გასარკვევი სულ სხვა რამ არის — თვით მეფის, სამეფო კარისა და სამხედრო ხელისუფალთა მეტად უცნაური მოქმედება; მათი მიუტევებელი დაბნეულობა თუ დაუდევრობა... დანაშაულებრივი დაუდევრობა, როგორც ვნახეთ, მათ ჯერ კიდევ ხვარაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს გამოამჟღავნეს, როცა ლაშქარს ივანე მხარგრძელი სარდლობდა. იქიდან იწყება ქვეყნის განადგურება, ის იყო ერთგვარი შესავალი დიდი უბედურებისა. დიმიტრი ბაქრაძე წერს, „..საქართველოს საქმეთა გამრიგენი რომ უწინდებურად თავის წმინდა მოვალეობის ღირსნი ყოფილიყვნენ,

დიაღ შესაძლებელი იყო, რომ... ხვარაზმის სულტანი ჯალალ-ადდინი წინ ვერ დაუდგებოდა ჩვენს ძალას და თუმცა... ყოვლად შეუძლებელი იყო თავიდან აგვეცილებინა ის „რისხვა ღვთისა", რომელიც მოგვეელინა მონღოლების თავზე დასხმით, მაგრამ სრულიად ძალმილეულნი არ დავხვდებოდით მას".

საოცარია, რომ ხვარაზმის გაკვეთილმა უნაყოფოდ და უკვალოდ ჩაიარა: სხვა ქვეყნებშიაც, და განსაკუთრებით საქართველოში, ისევე ხვდებოდნენ მონღოლებს, როგორც ამის წინ ხვარაზმის დიდ სახელმწიფოში შეხვდნენ — დაბნეულები, დაქსაქსულები, ყველა დიდებული (მათ შორის, სამხედრო მესვეურები) თავიანთ ციხე-სიმაგრეებში გამოკეტილები, ერთმანეთს მოწვეტილები... თითქოს გადაეწყვიტათ, საგანგებოდ გაეადვილებინათ მტრისთვის საქმე... ქართველი მეფისა და დიდებულების მხრით, ყველაზე საშინელი დანაშაული ის იყო, რომ ამ უდიდესი განსაცდელის დროს ხალხი ჰყავდათ მიტოვებული უპატრონოდ, ბედის ანაბარა.. ხალხი სტიქიურად უწევდა წინააღმდეგობას მათ ქვეყანაში შემოჭრილ მტერს — ისინი თავიანთი ოჯახის პატიოსნებას, ქვეყნის ღირსებასა და დამოუკიდებლობას იცავდნენ ძველებურივე შემართებით, თავგანწირულად... მაგრამ ასეთ ბრძოლებს არავითარი პერსპექტივა არა ჰქონია, და ამიტომ უაზრო იყო, თავიდანვე განწირული...

თუმცა თანმიმდევრობით მივყვეთ ამბავს.

●

ჩინგის ყაენი გრძნობდა, რომ სასურველი თანხმობა არ ექნებოდათ მის მემკვიდრეებს, და დიდი იმპერია თვითონვე გაუნაწილა, თავის სიცოცხლეშივე. ამაში უჩვეულო თითქოს არაფერია: სიკვდილის მოახლოება ადამიანს უფრო უმახვილებს შვილებზე ზრუნვის გრძნობას... უჩვეულო ამ შემთხვევაში ის იყო, რომ დაპყრობილ ტერიტორიასთან ერთად მონღოლეთის დიდმა ყაენმა დაუპყრობელი მიწაწყალიც გაუნაწილა შვილებს. თანაც დიდი სივრცეები, შორეული ქვეყნები...

ჯერ ისევ ურგენჩისათვის ბრძოლის დროს მოხდა სერიოზული უთანხმოება ყაენის ორ შვილს — ჩაღათასა და ჯოჩის შორის. როგორც ვიცით, ჩინგიზი ამ დროს აღმოსავლეთში იყო, ჯალალ ადდინთან გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ურგენჩიდან რომ შვილების ურთიერთშუღლის ამბავი მოუვიდა, ხელადვე უგზავნა

გაგზავნა იქ, ერთმანეთზე წაკიდებული ძმების შესარიგებლად (რაც უგედეიმ მარჯვედ შეასრულა), და მაშინვე თავის მემკვიდრედაც დანიშნა; მართალია, მესამე შვილი იყო უგედეი, მაგრამ ძმებში ჭკუითა და საზრიანობით გამოირჩეოდა. ჩინგიზ ყაენის დანარჩენი შვილები და შვილიშვილები არ ყოფილან დიდად ნიჭიერნი, მაგრამ განადგურებლად დაძრულ უზარმაზარ არმიას, რომელსაც ქვეყნების ნგრევა და ხალხის ჟლეტა ჰქონდა დავალებული, დიდი ნიჭი აღარ დასჭირვებია, მით უმეტეს, როგორღაც, თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, ამ ხალხთა წინამძღოლები საოცარ დაუდევრობას იჩენდნენ და მტერს თვითონვე უადვილებდნენ საქმეს. უგედეი გამორჩეული იყო სხვა შვილებში. ჩინგიზ ყაენი, როგორც უკვე ითქვა, 1227 წელს მოკვდა, მაგრამ მისი ანდერძის მიუხედავად, უგედეის არ მიეცემოდა დიდი იმპერიის მბრძანებლის ყველა უფლებები, თუ მას ყურულთაი არ დაამტკიცებდა დიდ ყაენად. ეს მოხდა ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ. ყურულთაის მოწვევამდე ქვეყანას განაგებდა უმცროსი შვილი თული.

დიდ ყაენად დამტკიცების შემდეგ უგედეის ორჯერ მოუწვევია ყურულთაი, და დაუდგენიათ დასავლეთით ლაშქრობა, უკვე განაწილებული, მაგრამ ჯერ დაუპყრობელი ქვეყნების დაპყრობა. ირანისა და ამიერკავკასიის დასაპყრობად უგედეიმ გამოგზავნა ჩორმაღან ნოინი — და მასთან ერთად სხვა ერისთავები, ანუ ნოინები — ჩაღატა, იოსური და ბიჩოი, — და 40.000-იანი ლაშქარი გამოატანა (ამ ცნობას ჟამთააღმწერელი გვაწვდის; მაგრამ როცა ვკითხულობთ ორმოციათასიანიო, ამას განმარტება სჭირდება: მონღოლებს თან მოჰყვებოდნენ წინა ბრძოლებში შეპყრობილი ტყვე-მეომრები და იმათაც აომებდნენ — იმათ წინ დაიყენებდნენ ხოლმე და უკან თვითონ მოჰყვებოდნენ: ჯერ ტყვეებს შეაჟლეტდნენ და თვითონ მერეღა ჩაებმებოდნენ ბრძოლაში, უკვე ბრძოლით დაქანცულ მოწინააღმდეგესთან. მონღოლთა რაზმების რიცხვის განსაზღვრის დროს მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს. ახლაც, იგულისხმება, მათი რიცხვი 40-ზე გაცილებით მეტი იქნებოდა).

ჟამთააღმწერლის თხზულებაში ყურადღებას იქცევს ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დიდ რაზმს თან ახლდნენ დედაწულებიც. ამ ცნობას ღრმა აზრი აქვს, ის მიგვანიშნებს მტრის განზრახვაზე — დედაბუდიანად დამკვიდრებულიყვნენ, ანუ სამუდამოდ დაეპყროთ ეს ქვეყნები.

„ხვარაზმელთა დევნისაგან“ შემობრუნებული მონღოლები თავრიზს მიადგნენ და, ეტყობა, ადვილად აიღეს, წინააღმდეგობას არ შეხვედრიან, — „ზავნი იქმნეს თავრეჟელთა შორის და თათართა“. გამაგრდნენ ამ ქალაქში, ფეხი კარგად მოიკიდეს, „მიმდგომი მისი ქვეყანა აიღეს“ და მხოლოდ ამის შემდეგ „მეორესა წელსა“, დაიძრნენ ბარდავისკენ...

ზემოთაც ითქვა, მონღოლები ფრთხილად მოქმედებდნენ — კარგად დაზვერავდნენ დასალაშქრავ ქვეყანას, ყველაფერს დაწერილებით გაიგებდნენ მოწინააღმდეგისას და მხოლოდ ამის შემდეგ დაძრავდნენ ჯარს. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ და გალაღებულები იყვნენ, სიფრთხილეს მაინც არა ჰკარგავდნენ.

ბარდავის აღებაც არ გასძნელებიათ, და ახლა განძისაკენ დაიძრნენ. აქ, ეტყობა, წინააღმდეგობას ელოდნენ და ამიტომ უფრო დინჯად იქცეოდნენ; ქალაქში ჯიქურ არ შეჭრილან, ზედმეტ მსხვერპლს მოერიდნენ, ყოველ ჯარისკაცს უფრთხილდებოდნენ — თუ გახსოვთ, ჩინგიზ ყაენისგან ჰქონდათ ამისი მაგალითი... ალყა შემოარტყეს განძას (მოულოდნელადო, საგანგებოდ შენიშნავს კირაკოს განძაკელი) და ქალაქის ზღუდეს ფილაკანები დაუმიზნეს. ჯერ გაანადგურეს ქალაქის ირგვლივ გაშენებული ვენახები, და მერე გალავანიც ერთიანად დაანგრიეს. ახლა უკვე ძნელი აღარ იყო ქალაქში შესვლა, მაგრამ მაინც არა ჩქარობდნენ. თითქოს ფეხს ითრევდნენ. ასე გავიდა ერთი კვირა.

ადვილი წარმოსადგენია ქალაქის მცხოვრებთა მდგომარეობა — მოლოდინი დიდი განსაცდელისა უფრო საშინელი გამოდგა, ვიდრე თვით განსაცდელი შეიძლებოდა ყოფილიყო, და განწირულმა ხალხმა, რომლებიც დარწმუნდნენ, წინააღმდეგობას აზრი აღარა ჰქონდა, თვითონვე გაანადგურეს ყველაფერი — ცეცხლს მისცეს სახლები, დოვლათი.. ყველაფერი, რისი დაწვაც კი შეიძლებოდა. ზოგი ოჯახით გამოიკეტა ცეცხლწაკიდებულ სახლში და ერთიანად გამოიბუგა. ალბათ აქტიური წინააღმდეგობა ასე არ გაახელებდა მონღოლებს; გაცოფებულები შეიჭრნენ ქალაქში და ერთიანად მოსრნეს დიდი თუ პატარა... იმოდენა ქალაქიდან აღარაფერი დარჩა. ოთხი წელიწადი ასე ყოფილა ეს გადაბუგული და მიწასთან გასწორებული ნაქალაქარი და მერეღა დაუწყიათ აშენება.

აქედან უკვე საქართველო შორს აღარ იყო — „და მიერ იწყეს რბევად და ოხრებად საქართველოსა“, გვაუწყებს ჟამთაღმწერელი. ეს, ეტყობა, 1235 წლის მახლობლად უნდა მომხდარიყო, რადგან განძა მონღოლებმა 1235 წელს აიღეს.

და კვლავ ძნელად ასახსნელი დაუდევრობა ქართველი მეფისა: „ვითარ ცნა მეფემან რუსუდან მოახლება თათართა, დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათისს“... ძალიან გაადვილებია ქართველ მეფეს განსაცდელის დროს ქუთაისს გამგზავრება! მაგრამ ხომ არ გგონიათ, აქ თავისი შემცველელი დატოვა, — ვთქვათ, ამირსპასალარი, — რომელიც მტერსაც დაუხვდებოდა და თავის ქვეშევრდომებსაც ღირსეულად მოუვლიდა. რა ბრძანებაა! ამირსპასალარიც, მსახურთუხუცესიც, მანდატურუთუხუცესიც და სხვა ვაზირებიც ამ დროს თავიანთ ციხე-სიმაგრეებში გამოკეტილან, და ძნელი გასაგებია, რას ელიან ან რას ფიქრობენ... რადგან მათი მოქმედება არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება. დაცვა თბილისისა მეფემ დააკალა მუხას-ძეს (ალბათ მეციხოვნე ჯარის უფროსს, როგორც ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს) და უბრძანა: მოუახლოვდება თუ არა მტერი დმანისს, დედაქალაქი ცეცხლს მიეციო — „რომელ მოწუას ტფილისი, თვინიერ [პალატისა] და ისანთა, რომელ არღარა იპყრან, ვითარ ხუარაზმელთა“.

ასეთი ბრძანება მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ კარგად მოფიქრებული უკანდახევის შემდეგ, ახალ, საფუძვლიან შეტევას მოამზადებდნენ ქვეყანაში ღრმად შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, საშუალებას მოუსპობდნენ მას, კარგად გამაგრებულიყო... ასეთ ვითარებაში კი რა აზრი ჰქონდა?! მეფე შორს გადაიხვეწა და შეტევის მოშზადებაზე არც უფიქრია. არც მეფეს და არც ამირსპასალარს, ან ვინმეს, საერთოდ. ასეთ ვითარებაში ეს ბრძანება დიდი ბოროტებაც იყო — ჩვენ ვნახეთ, როგორ გააცოფა მტერი განძის გადაწვამ და რა სასტიკად გაუსწორდა იგი ცოცხლად დარჩენილ მცხოვრებთ. თუკი წინააღმდეგობის გაწევაზე არც ფიქრობდნენ, თუკი უბრძოლველად თმობდნენ ყველაფერს, და სამომავლო ბრძოლებისთვისაც არ ემზადებოდნენ, დედაქალაქის გადაწვას რა აზრი ჰქონდა, რა გამართლება?! ეს ხომ ადგილობრივი მოსახლეობის ზედმეტ, გაუმართლებელ მსხვერპლს გამოიწვევდა...

თუკი წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდნენ, არა სჯობდა მოლაპარაკება გაემართათ მტერთან, და, რამდენადაც ეს მოხერხდებოდა, ხალხის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

არა, ამაზე, ეტყობა, არავის უფიქრია, ხალხი ბედის ანაბარა მიატოვეს. მეფე ქუთაისს გაიქცა, ხოლო ქვეყნის სამხედრო მესვეურები და ვაზირები, როგორც ახლაევე ვნახავთ, თავთავიანთ ქალაქებში გამოიკეტნენ — დაქსაქსულები, ერთმანეთისგან განცალკევებულები, და ერთმანეთის გასაჭირის არად ჩამგდებნი!..

ამრიგად, მონღოლები საქართველოსკენ მოიწევენ. ლაშქარი შედარებით პატარ-პატარა რაზმებად დაპყვეს და ცალ-ცალკე შეუსიეს სხვადასხვა ქალაქსა და კუთხეს; ეს მათი ნაცადი ხერხი იყო, ერთმანეთისთვის დახმარების საშუალებას უსპობდნენ ქალაქებს, ცალკეულ კუთხეებს... თუმცა ამ შემთხვევაში ერთმანეთის დახმარება არც უფიქრიათ.

პირველად შამქორს მიადგნენ ათასი მეომრით. განძისა არ იყოს, ჯიქურ აქაც არ შეჭრილან ქალაქში: კარებთან დადგნენ და შემსველელ-გამომსვლელებს აკავებდნენ. შამქორი საქართველოს სამეფოში შემოდიოდა და მისი გამგებელი მაშინდელი მსახურთუხუცესი ეარამ გაგელი იყო; ის ეარამ გაგელი, რომელმაც, მონღოლთა პირველი შემოსევის დროს, ამ 12-13 წლის წინათ, გმირულად იბრძოლა, ეაჟკაცურად ედგა მხარში ქართველ მეფეს. მას შემდეგ მაინცდამაინც დიდი დრო არ გასულა, მაგრამ ეარამი თითქოს საესებით შეცვლილიყო — ძველი აღარც შემართება შერჩენოდა და არც ერთგულება ქვეყნისა თუ მეფისა, თავისიევ თანამოძმეებისა. მონღოლები რომ შამქორს მიადგნენ, მსახურთუხუცესი იმ დროს იქ არ ყოფილა, თავისიევ შვილთან აღბუღასთან ერთად სხვა ქალაქში იყო, გარდმანში, რომელიც შამქორის სამხრეთით მდებარეობდა.

როგორც ითქვა, ქალაქიდან გაღწევა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ შამქორელებმა როგორღაც მოახერხეს — პატრონს შეუთვალეს, ამ დღეში ვართ და მანამ გვიან არ არის, მოგვეშველეო; ცოტანი არიან მონღოლები და დავამარცხებთო. ეარამმა კარგად იცოდა, რომ მტრის „სიცოტავე“ მოჩვენებითი იყო. შამქორელებისთვის მიშველება არც უფიქრია. აღბუღამ დააპირა თურმე მიშველება, და მამამ იმასაც დაუშალა. ასე უპატრონოდ მიტოვებული ქალაქელების წინააღმდეგობა ადვილად გატეხა მტერმა; აიღეს შამქორი, მოსახლეობა ერთიანად გაჟლიტეს, რაც დოვლათი იყო, გამოიტანეს და ქალაქი ცეცხლს მისცეს.

რაკი შამქორი ასე იოლად აიღეს, მონღოლთა მეორე რაზმმა ეარამ გაგელის სამფლობელოს სხვა კუთხეებს უფრო გაბედულად შეუტია. ზედიზედ აიღეს ტერუნაკანი, ერგევანქი, მაწნაბერდი... და

გარდმანიც, სადაც მონღოლებს ვარამი და აღბუღა ეგულებოდათ. მაგრამ ვარამი და მისი შვილი იქ აღარ დახვედრიათ, იმათ მოასწრეს ღამით გაპარვა; მსახურთუხუცესიც მეფის კვალს მიჰყვა, ქუთაისში გაიქცა („შეიელტოდა ქუთათისს“).

ის რაზმი, რომელმაც შამქორი აიღო, ახლა სხვა ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს შეესია — აიღეს და დაარბიეს ტავუში, კაწარეთი, ნორბერდი, ჩვენი ნაცნობი გაგი...

მონღოლებს, როგორც ითქვა, კარგი დაზვერვა ჰქონდათ და იცოდნენ, რომ იმ კუთხეში ყველაზე უფრო გამაგრებული ქალაქი ლორე იყო. ალბათ გახსოვთ: ლორე, ტრადიციულად, საქართველოს ამირსპასალარის სამფლობელო იყო. ახლა კი, მონღოლების შემოსევის დროს, იგი ეპყრა მანდატურთუხუცესს, შანშეს, ყოფილ ამირსპასალარ ზაქარიას შვილს. ლორეს ასაღებად მეტი სიფრთხილე უხმარიათ მონღოლებს, იქითკენ თვით ჩაღატა გაემართა, რაღა თქმა უნდა, უფრო მრავალრიცხოვანი რჩეული მეომრებითა და მეტი საბრძოლო მანქანებით.

მონღოლი სარდლის სიფრთხილე ფუჭი გამოდგა: ბრძოლა, მგონი, სულაც არ დასჭირვებია. მტრის მოახლოება რომ გაიგო შანშე მხარგრძელმა, დასტაცა ხელი თავის ცოლ-შვილს და ქალაქიდან გაიქცა, ერთ ხეობაში გამოქვაბულს შეაფარა თავი. ქალაქის დაცვა კი სიმამრს მიანდო. არა იმიტომ, რომ ის კაცი უფრო მამაცი და კარგი მეომარი იყო, არამედ იმიტომ, რომ სიმამრს ქალაქიდან წასვლა დაეზარა: როგორც მემატიანეები გადმოგვცემენ, გაშლილ სუფრას უჯდა და ვერ მიატოვა. ღვინით გულმოცემული სიმამრი კარგად გამაგრებულ ზღუდეებზე იყო დანდობილი და აღარაფრის შიში არა ჰქონია. ქალაქი მართლაც კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ თუკი არავინ დაიცავდა, მისი აღება გამოცდილ სარდალს, რაღა თქმა უნდა, არ გაუძნელდებოდა.

ჩვეული სიფრთხილე არც აქ დაურღვევიათ მონღოლებს. ციხის კედელი ერთგან შეთხარეს და შეანგრიეს; და მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას არ წაწყდომიან (აშკარად ეტყობოდა, წინააღმდეგობის გაწევას არც არავინ აპირებდა), ქალაქში მაინც არ შეჭრილან, დააცადეს, დაელოდნენ; გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, ლორედან არავინ გაქცეულიყო.

დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა ასე. ქალაქის მცხოვრებლები ხედავდნენ, რომ განწირულები იყვნენ და ხსნა არსაით იყო; პატრონი, — ვისაც მათი დაცვა ევალებოდა და ვისაც ის მაინც შეეძლო, ღირ-

სეულად შებრძოლებოდა გადამთიელ მომხდურს, — მტრის მოახლოებისთანავე გაიპარა და უმწეო მცხოვრებლები ბედოვლათი სიმამრის ანაბარა მიატოვა; ახლა სულ ერთი იყო: ტყვედ დანებებოდნენ მონღოლებს — გაჟლეტა ელოდათ, და წინააღმდეგობას თუ ცდიდნენ — მით უმეტეს, სრული განადგურება აგრეთვე გარდაუვალი იყო... რა ექნათ, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და იქვე ხევში ჩაცვივდნენ. თითქოს დაიმალნენ; მხოლოდღა თავის მოტყუება იყო. ეს რომ გაიგეს მონღოლებმა, ქალაქში შეიჭრნენ და თითქმის ყველანი ამოხოცეს. რაღა თქმა უნდა, სიძის მიერ განწირული სიმამრ-სიდედრი და სხვა ახლობლებიც არ დაუნდვიათ. მანდატურთუხუცესი შანშე კი იქიდანაც აიყარა და უფრო უხიფათო ადგილს შეაფარა თავი — „შეიეულტოდა ქუეყანად აჭარისასა“.

რაკიღა ასე ადვილად აიღეს ლორე — იმ მხარეში ყველაზე კარგად გამაგრებული ციხე და ქალაქი — მონღოლებს, ბუნებრივია, აღარ გაუძნელდებოდათ მეზობელი კუთხეების, და მათ შორის ყველაზე დიდი და მდიდარი ქალაქის დმანისის აღება...

დმანისის აღების ამბავი რომ გაიგო თბილისის მეციხოვნე ჯარის უფროსმა, მეფის ბრძანებისამებრ, დედაქალაქს ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა, არ დაუზოგავს არც პალატი და ისანი, თუმცა მეფისგან მათი ხელუხლებლად დატოვება ჰქონდა ნაბრძანები — „რაჟამს ცნა მუხას-ძემან მოახლოება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი, და თვით პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოხრდა ქალაქი ტფილისი“, გვაუწყებს ჟამთააღმწერელი.

დმანისის შემდეგ ჯერი მიდგა სამშვილდეზე... და იქიდან უკვე მტერს გზა ხსნილი ჰქონდა ქართველების მიერვე გადამწვარი დედაქალაქისკენ. თბილისში დაბანაკებული მტერი კი თანდათანობით მთელს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მისწვდა — „...შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს, და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოხრებად და ხოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ეს ქუეყანა“.

მსახურთუხუცესი და მანდატურთუხუცესი ვახსენეთ და ის კი აღარ გვითქვამს, როგორ მოიქცა ამირსპასალარი, რომელსაც, მეფის შემდეგ, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აწვა. ალბათ გახსოვთ, რომ ამირსპასალარი ამ დროს ავაგია — ივანე მხარგრძელის შვილი. მტრის მოახლოება რომ გაიგო, ავაგი „შეეიდა ციხესა კაენისასა“. ეს ციხე-სიმაგრე შამქორსა და ლორეს შორის მდებარეობს და მის

ასაღებად დუღადა ნოინი გაემართა. და რაკი ამ ციხეში თვით ამირსპასალარი ეგულებოდათ, მონღოლებმა განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეს: კაენისთვის გარშემო კედელი შემოუელიათ, რათა იქიდან გამოსული არავინ გამოპპარვოდათ და შიგნითაც ყველასთვის გადაეკეტათ გზა. ამის შემდეგ დუღადა ნოინს მოციქული შეუგზავნია ამირსპასალარისთვის — წინააღმდეგობა ფუჭი იქნება, შენის ნებით დაგემორჩილდიო.

წინააღმდეგობა მართლაც ფუჭი იქნებოდა, ეს ავაგისთვისაც ცხადზე ცხადი იყო, მაგრამ ამირსპასალარის პატივმოყვარეობა ასე იოლად ვერ შეურიგდებოდა მწარე ხვედრს. მეტად საეჭვო და საჩოთირო გზა აირჩია: იფიქრა, ცოტა ხნით მაინც შევიტკბობ მონღოლებს და მერე ვნახოთ, იქნებ ღმერთმა მიშველოსო; გააგზავნა ძვირფასი ძღვენი და თავისი ქალიშვილიც გააყოლა, მონღოლებს მშვიდობა და მეგობრობა შეუთვალა.

კვიცი გვარზე ხტისო — თქვენ ალბათ გახსოვთ, ასევე მოიქცა ერთხელ მამამისიც, ივანე მხარგრძელი, როცა ხლათის მფლობელს საკუთარი თავის ტყვეობიდან დასახსნელად ქალიშვილი შესთავაზა. მამამისს მაშინ გაუმართლა (თუკი ის „გამართლება“ იყო!) — ივანე მხარგრძელმა მართლაც იხსნა თავი ტყვეობიდან; ახლა კი ნურას უკაცრავად — ძღვენი მიიღეს მონღოლებმა (ისე, რომ მადლობაც არ უთქვამთ), ქალიშვილიც მიიღეს, მაგრამ ახლა კიდეე უფრო სასტიკი მუქარა შეუთვალეს — გირჩევნია, დაგვნებდეო.

იმედი არსაიდან არა ჩანდა, მაგრამ ამირსპასალარის თავმოყვარეობის შელახვა და უბრძოლველად დამორჩილება ძნელი გამოდგა. ბრძოლას კი ვერა ბედავდა.

ციხე-ქალაქში მომწყვდეულთა გასაჭირი სულ უფრო და უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა. განსაკუთრებით წყურვილის მოთმენა ჭირდა, და უკიდურესად გაჭირვებულ ხალხს კიდეე ერთი შეცდომა მოუვიდა: მონღოლებს ცხენები და საქონელი შესთავაზეს, სამაგიეროდ ქალაქში წყალი შემოგვატანინეთო; თითქოს მონღოლებთან მოლაპარაკებას რაიმე აზრი ჰქონდა! საკუთარი მორალით ზომავდნენ მტრის სინდის-ნამუსს. როგორც მოსალოდნელი იყო, მონღოლები ვერაგულად მოიქცნენ — დათანხმდნენ, წყლის მოსატანად გაუშვეს, ხოლო როცა ქალაქიდან წასულებმა წყლის მოზიდვა იწყეს, კარიბჭესთან შეაჩერეს — ახლა შედით, და ვიდრე წყალს შეიტანდეთ, თქვენი ოჯახები გამოიყვანეთო. შევიდნენ და გამოიყვანეს; წყლის დალევის უფლება კი მისცეს მონღოლებმა, ამას ნუ დავუკარგავთ,

მერე ლამაზი ქალები ცალკე გადაარჩიეს, თავისთვის დაიტოვეს, დანარჩენები უკან გააბრუნეს (ალბათ იმიტომ, რომ იქ მომხდარი ამბავი ქალაქის მცხოვრებლებისთვის შეეტყობინებინათ), ქმრებს კი დაერივნენ და ერთიანად გაჟლიტეს...

იქნებ არა იმდენად ზემოთ მოხსენებულმა ეპიზოდმა, არამედ სულ სხვა რამემ გადააწყვეტინა ამირსპასალარს, ბოლოს და ბოლოს, მონღოლებისთვის მორჩილება გამოეცხადებინა. მან როგორღაც შეიტყო ანისის ტრაგიკული ამბავი. ანისი შანშე მხარგრძელს ეკუთვნოდა, და, ბუნებრივია, ანისელები ბედის ანაბარად იყენენ მიტოვებულები — შანშე აკი მონღოლების შემოსევისთანავე გაიქცა აჭარაში. ანისის ასაღებად გამოცდილი სარდალი ჩორმაღანი წავიდა (როგორც ითქვა, მონღოლთა დიდი ლაშქარი რაზმებად დაიყო და თითქმის ერთდროულად შეუტიეს სხვადასხვა ქალაქს). ჩორმაღანმა, ჩვეულებრივ, მოციქულები შეუგზავნა ანელებს და სრული მორჩილება მოითხოვა. უპატრონოდ მიტოვებულმა ქალაქელებმა სხვა ვეღარაფერი მოიფიქრეს, მტრის მიმართ სიძულვილი და აღშფოთება ვერ დაიოკეს, სტაცეს ხელი მიგზავნილ ხალხს და იქვე დახოცეს. ანგარიში აღარ გაუწიეს, ამისთვის რა საშიხლად დაისჯებოდნენ. მართლაც, ჩორმაღანმა ფილაკავნებით ქალაქის ზღუდეები დაანგრევინა, შიგ შეიჭრა და მხეცური გახელებით გაუსწორდა მშვიდობიან მოსახლეობას. მონღოლების სისასტიკე ხომ უკვე აღარავის უკვირდა, მაგრამ აქ განსაკუთრებული სიმკაცრით უძიებიათ შური.

აი, ეს გაიგო ისედაც სასოწარკვეთილებამდე მისულმა ამირსპასალარმა. აქამდე თუ რაიმე სასწაულის იმედი ჰქონდა ავაგს, ახლა ესეც გადაეწურა და შეჭირვებულმა მოციქული გაუგზავნა მონღოლთა მეთაურებს — „ამათ რა ბოროტთა ხედვიდა ამირსპასალარი ავაგ, ძე ივანე ათაბაგისა, წარმოავლინა მოციქული ბარდავს, სადა დაებანაკათ ზემოხსენებულთა მათ მთავართა... ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად და თქუა მათ წინაშე მისვლა, ხილვა და მსახურება, და ხარაჯის მიცემა, და დადება ქუეყნისა მისისა“...

ეს იყო სრული კაპიტულაცია და, რაღა თქმა უნდა, მონღოლები სიხარულით მიიღებდნენ (ასევე გადმოგვცემს ქართველი მემატიანე — „გაიხარეს და სიხარულით შეიწყნარეს მოციქული ავაგისაო!). ყველაზე სასიამოვნო მათთვის ის იქნებოდა, რომ თავიანთ ლაშქარს ქართველი მეომრებით შეავსებდნენ — წინ კიდევ დიდი ბრძოლები ელოდათ და ჯარისკაცები სჭირდებოდათ, აკი მთელი მსოფლიო უნდა დაეპყროთ, ასე ჰქონდათ ჩინგიზ ყაენისგან ნაანდერძევი.

ავაგს მოციქულად თავისიეე სახლთუხუცესი გრიგოლი ჰყავდა გაგზავნილი და მონღოლებმა ფიცით დაარწმუნეს — რაკი დაგვემორჩილა, არას ვავნებთ და შევიწყნარებთო („ოქროთა საფიცრითა დაუმტკიცეს მოციქულთა ავაგისთა ფიცი“). ქართველი მემატიანე არ ფარავს მტრის საქებურ თვისებას და იქვე შენიშნავს, რაკიღა „ფიცს დაუმტკიცებდნენ“ მონღოლები, მერე მისი გატეხა აღარ იცოდნენო. ქვემოთ კიდევ ვახსენებთ, სხვა ვითარებაში, მონღოლთა მიერ „ოქროთა საფიცართა დამტკიცებას“, და მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება, როგორა ხდებოდა ეს; ქართველი მემატიანე ამასაც აგვიწერს: ოქროს სამჯერ ჩაჰყოფდნენ წყალში და ოქროგანავლებ წყალს შესვამდნენ...

ავაგმა უკვე იცოდა, რომ მონღოლები ფიცის ერთგულები იყვნენ და მოციქულების მობრუნების შემდეგ თვითონვე ეახლა ნოინებს. მათ ტკბილად მიიღეს, აღუთქვეს, რომ მის სამფლობელოში ბრძოლას შეწყვეტდნენ; იგულისხმება, ავაგს დაეკისრა ყველაფრის შესრულება, რაც თავად აღუთქვა მტერს — რაც მთავარია, სრული მორჩილება, ხარაჯის ძლევა და ჯარისკაცების გამოყვანა. აქვე საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ შეწყნარებულსა და ფიცით შემტკიცებულ ამირსპასალარს მონღოლები ნდობას მაინც არ უცხადებდნენ, და „მცველნი ქალაქისანი დაუდგინეს, რომელთა შანათ უწოდდეს სიტყვითა მათითა“ — ჯარი ჩაუყენეს ქალაქებში, მის ყოველ მოქმედებას, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ, ფიცის ერთგულებას ამითი „უადვილებდნენ“, ურჩობისა და ორგულობის საშუალებას უსპობდნენ.

მემატიანე პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ შესაძლებელია, მონღოლებისაევ კარნახით, ავაგ მხარგრძელმა თავის ლტოლვილ ბიძაშვილებს შეუთვალა[1] — გირჩევთ, დაბრუნდეთ და თქვენც მორჩილება გამოუცხადოთ მონღოლებს, არც ისეთი საშინელება ყოფილა, როგორც თავიდან გვეგონა, — მამულს დაგიბრუნებენ და პატივს არ მოგაკლებენო. ვიმეორებ, ეს ჩვენი ეარაუდია: მემატიანე ამას არ ამბობს, ის პირდაპირ გადმოგვცემს — ჯერ შანშემ და მერე ეარამმა გაიგეს ავაგის დაზავების ამბავიო („ცნა შანშე მანდატურთუხუ-

1 მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ სამივე დიდებული ერთმანეთის ბიძაშვილები იყვნენ: შანშე — ზაქარია მხარგრძელის შვილია, ავაგი – ზაქარიას ძმის ივანე მხარგრძელისა, ხოლო ეარამი მხარგრძელთა მეორე შტოდან გახლდათ; ზაქარია და ივანე მხარგრძელთა ბიძაშვილის, ზაქარია ეარამის ძე გაგელის შვილი.

ცესმა ზავი ავაგისი“). ყოველ შემთხვევაში, შეუთვალა თუ არ შეუთვალა ავაგმა შანშესა და ვარამს, დაბრუნდითო, იმათ ყველაფერი გაიგეს — ისიც, რომ ავაგისთვის სიცოცხლე შეუნარჩუნებიათ მონღოლებს, და ისიც, რომ პატივით მიუღიათ, თავისი მამული უკანვე დაუბრუნებიათ... მეტი, ეტყობა, აღარაფერი აინტერესებდათ. ერთხელ რაკი შედგნენ ღალატის გზაზე, მერე ყველაფერი ადვილი გამოდგა. სასწრაფოდ შემოუთვალეს ავაგს — მონღოლებთან მოციქულად დაგვიდექი და შეგვარიგეო. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. მონღოლებმა, რა თქმა უნდა, გაქცეული დიდებულებიც სიხარულით მიიღეს: ჯერ შანშე დაბრუნდა და მერე ვარამ გაგელი — ესენიც ფიცით შეიმტკიცეს, ამათაც დაუბრუნეს თავიანთი მიწა-წყალი და, რაღა თქმა უნდა, ამათაც „მცველნი ქალაქისანი დაუდგინეს“. ძალიან გულუბრყვილო უნდა ყოფილიყო კაცი, კელავ იმ მიწა-წყლის პატრონად წარმოედგინა თავი (ასეთი გულუბრყვილო ალბათ არც ერთი ის დიდებული არ იქნებოდა), მაგრამ თავს იტყუებდნენ, — ცდილობდნენ, სხვაც მოეტყუებინათ, — თითქოს მაინც პატრონი და მბრძანებელნი ყოფილიყვნენ, თავიანთ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებდნენ... მაგრამ ვაი ამ პატივმოყვარეობას, როცა სულ უნდა ხსომებოდათ, რომ მონები იყვნენ... თუ ცოტა ხნით დააივიწყდებოდათ, უმალ შეახსენებდნენ: ერთხელ ავაგს დააგვიანდა ფეხზე წამოდგომოდა მასთან საქმეზე მისულ არცთუ დიდი თანამდებობის მოხელეს, და მონღოლმა მათრახი გადაუჭირა, თავაზიანობისკენ მოუწოდა, თავისი მდგომარეობა გაახსენა.

ამგვარად, სამი მთავარი ვაზირი — ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი — მტერს დამორჩილდნენ; გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით — მოღალატურად და სამარცხვინოდ.

უკვე მეორედ ვახსენეთ ეს მეტად უსიამოვნო სიტყვა ამ მაღალი თანამდებობის დიდებულთა მიმართ და იქნებ ვინმეს მკაცრად მოეჩვენოს: ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ უთანასწორო ბრძოლა იყო — რა მათი ბრალია, რომ ვერ გაუმკლავდნენ ისეთ მრისხანე ძალას, რომელიც შიშის ზარსა სცემდა მაშინდელ სამყაროს და რომელმაც ლამის ნახევარი ქვეყნიერება დაიპყრო.

მონღოლებს რომ ვერ გაუმკლავდებოდნენ, ეს სულ სხვა საქმეა; როგორც ითქვა, მათ ხალხს უღალატეს, ხალხი გაწირეს, ბედის ანაბარა მიატოვეს, არად ჩააგდეს. ჯერ ისე დაიჭირეს თავი და ისეთი

განწყობილება შექმნეს, თითქოს მედგარი წინააღმდეგობის გაწევას აპირებდნენ; თავიანთ ქალაქებში გამაგრდნენ, მტრის დასახვედრად მოემზადნენ, მაგრამ გამოჩნდა თუ არა მტერი, თავად ლაჩრულად გაიპარნენ, ხალხი კი უწყალოდ აჟლეტინეს; მოტყუებული ხალხი მედგრად ეკვეთა დამპყრობლებს, თავგანწირვით იბრძოდნენ. ისე, როგორც სჩვეოდათ, როგორც აღზრდილები იყვნენ, როგორც სისხლში ჰქონდათ გამჯდარი, როგორც სახელოვანი წინაპრების აჩრდილები მოუწოდებდნენ... იბრძოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ... და მერეღა ხვდებოდნენ, რომ განწირულები იყვნენ, თავიანთივე პატრონების მიერ დასაღუპად გამეტებულები, მოტყუებულები, გაყიდულები... პირველი შეუპოვარი წინააღმდეგობით გაცოფებული მტერი მეტის სისასტიკით უსწორდებოდა ხალხს — ჟლეტდა, ანგრევდა, აცამტვერებდა, ცეცხლში ნთქავდა... დედებს ხელიდან სტაცებდნენ ჩვილ ბავშვებს და თვალწინ უხოცავდნენ, არ ინდობდნენ არც მოხუცებს, არც დაავრდომილებს. ბაღ-ვენახს ჩეხავდნენ. სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ... შრომითა და ოფლით მონაგარ დოვლათს იტაცებდნენ... სიბრალული და შეწყალება უცხო იყო მათთვის... „...არა იყო წყალობა, სავსე იყვნეს მოკლულთა მიერ ქალაქნი და სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ხევნი... ხედვიდეს მამა-დედანი შვილთა მოკლულთა და შვილნი მამათა და დედათა მკუდართა მდებარეთა, სხუანი ძმათა და ნათესავთა და დათა თვისთა იავარ წარსხმულთა და ცოლთა და შვილთა მათთა და ყოველსა სიმდიდრესა მათსა წინაშე მათსა გაბნეულსა“...

ასეთ დღეში ჩაყარეს ხალხი. მათ ხომ წინასწარვე იცოდნენ — უნდა სცოდნოდათ! — რა ძალა მოდიოდა, და შეეძლოთ, — ვალდებული იყვნენ! — თადარიგი დაეჭირათ:

თუ დამორჩილებას აპირებდნენ — წინასწარვე მოლაპარაკებოდნენ მოწინააღმდეგეს (ხალხსაც უნდა სცოდნოდა ეს!) — იქნებ ნაკლები ზარალი ენახათ, სისხლი დაეზოგათ, ხალხის სიცოცხლე მომავალი ბრძოლებისთვის შემოენახათ...

თუ წინააღმდეგობის გაწევა ჰქონდათ გადაწყვეტილი, თავისიანებ ხალხთან უნდა მდგარიყვნენ და ებრძოლათ...

არა, ამ დიდებულთა მოქმედებას გამართლება არა აქვს...

მათ თავიანთ მოძმეებსაც ულალატეს, სხვა კუთხეების მმართველებსაც; მტერს დამორჩილდნენ მათთან შეუთანხმებლად...

აქ რომ ესენი ზედიზედ ასე სამარცხვინოდ ეახლნენ და დამორჩილდნენ მათივე მომსპობ მტერს, აქ რომ ესენი „ოქრო განავლებ“

წყალსა სვამდნენ და „შანად წოდებულ“ მტრის გარნიზონებს თავიანთი სამფლობელოსკენ მიუძღოდნენ, მესხეთში სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ მტრის წინააღმდეგ. იქ ბრძოლას მეჭურჭლეთუხუცესი ივანე ციხისჯერელი-ჯაყელი („ყუარყუარედ წოდებული“) მეთაურობდა...

მაგრამ რას გახდებოდა სხვებისგან მიტოვებული და ფაქტიურად მარტოდმარტო დარჩენილი ერთი კუთხე საქართველოსი (მხარგრძელი დიდებულების შემდეგ, თანდათანობით, სხვებიც „მიენდვნეს თათართა — თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი“...)... ივანე ციხისჯერელის დამარცხება უკვე აღარ გაუჭირდებოდათ მონღოლებს, და, აი, „განძვინებულმან ჩაღატა ნოინ აღიმხედრა სამცხესა ზედა“... რაკიღა ყველა დიდებული დამორჩილდა და ეს ერთი განაგრძობდა ჯიუტად ურჩობას, ადვილი გასაგებია, როგორი იქნებოდა იოლი გამარჯვებებით გალაღებული მტრის „განძვინება“. „მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხეს, და ბევრი ერი მოიკლა“. საჭურჭლეთუხუცესმა მაინც არ დაარღვია ქეეშევრდომული წესი და მეფესთან შეუთანხმებლად არ დანებდა მტერს; როცა ნახა, ხსნა აღარ იყო, მეფეს აცნობა თავისი მდგომარეობა, და დამორჩილების ნება სთხოვა, „რათა ისხნას ქუეყანა სამცხისა ოხრებისაგან“... რუსუდანის დასტური რომ მიიღო, ივანე ციხისჯერელი-ჯაყელი ჩაღატას ეახლა. ნოინმა, რაღა თქმა უნდა, „შეიწყნარა პატივითა“, გადმოგვცემს მემატიანე და იქვე მწარე ირონიით დასძენს: „და დაუდგინნა მცველნი ქეეყნისანნი“ — მასაც ჯარი ჩაუყენა!..

ამრიგად, აღმოსავლეთი და სამხრეთი საქართველო მთლიანად მონღოლების ხელში მოექცა. დასავლეთ საქართველოსკენ გალაშქრებას კი ჯერჯერობით არა ცდილობენ. მაღალი მთების გადალახვას ერიდებიან. ფრთხილობენ. უკვე რამდენჯერ ითქვა — ზედიზედ მიღწეულ გამარჯვებებს ზედმეტად არ გაუთამამებია ისინი; სიფრთხილეს არა ჰკარგავენ. ჯერ კარგად უნდა დაზვერონ მომავალი ბრძოლების ადგილები, შეისწავლონ... ბარემ აქვე შევნიშნოთ: დასავლეთ საქართველოში მათ საერთოდ არ გაულაშქრიათ; ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, თითქოს მონღოლები ცდილიყვნენ დასავლეთი საქართველოს დაპყრობას, მაგრამ დამარცხებულიყვნენ. ეს მხოლოდ ვარაუდია.

●

მეფე რუსუდანი ჯერ კიდევ ქუთაისშია, სავსებით მოწვეტილი თავის ნახევარ სამეფოს — აღმოსავლეთ საქართველოს — „ვერცა ლიხთ აქეთ გარდამოვიდის და ვერცა ამიერნი ვაზირნი მის წინაშე მივიდიან“... იქიდან ცნობებიც კანტიკუნტად მისდის...

უიღბლო მეფე გამოდგა... ცუდი დრო წამოესწრო... ცუდ დროს არგუნა ღმერთმა ქვეყნის პატრონობა. ისეთი მტერი დაუპირისპირა, რომელსაც აზიის დიდი მეფეებიც — პოლიტიკასა და ბრძოლებში გამობრძმედილ-გამოჯეკილები — ვერ გაუმკლავდნენ, ზღვის ქვიშასავით ლაშქარმრავალი და ხალხმრავალი ხელმწიფეები ვერ აღუდგნენ... სუსტი და გამოუცდელი ქალი რას უნდა გამხდარიყო თავისი მცირერიცხოვანი მხედრობით!.. სად ქართველთა ლაშქარი და სად მტრისა!.. კალიასავით მოედება ხოლმე ქვეყნებს, ყველაფერს შთანთქავს და გადაძოვს... ხესა და ბუჩქსაც კი არ სტოვებენ... ანგრევენ, ულეტენ და ფეხით თელავენ... არავინ აღმოჩნდა მათი მომრევი... ნაცარტუტად აქცევენ საუკუნეობით ნაღვაწსა და ნაშენებს...

და სწუხს ქართველი მეფე... ღმერთო მაღალო, ნუთუ მართლა განადგურება უწერია ამ ლამაზ ქალაქებსა და სოფლებს?!. ნუთუ მოსპობა უწერია მის ბრძენსა და მამაც ხალხს, რომელიც მან ვერ დაიფარა... ცუდი პატრონი გამოდგა, ცუდი დედობა გაუწია... დიდი წინაპრების სიბრძნე აღარ გამოყვა, რომ ქვეყანა როგორმე გადაერჩინა... ხალხის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ისე უჭკუოდ და უანგარიშოდ მტრისთვის არ შეეჟლიტა...

ნუთუ მართლა მოსპობა უწერია მის ხალხს?!. ღმერთო, ნუ მოასწრებ ამ დღეს... დედაო ღვთისავ, შენ იხსენი შენი წილხვდომილი ქვეყანა, შენ გადააფარე კალთა... ბევრჯერ მოვლენიხარ ხსნად და ნუგეშად და ახლაც ნუ გაწირავ, ღვთიშობელო.... მათი მეფის უბადრუკი სიცოცხლე შეიწირე, და ხალხი კი იხსენი... აკმარე ამდენი მწუხარება და უბედურება.. მოწყალე თვალით გადმოხედე, ღვთიშობელო...

სავსებით ბუნებრივია სურვილი, მისწვდე ფიქრებს ადამიანებისა, რომელთაც საუკუნეების წინათ უცხოვრიათ... მათ სულში ჩაიხედო, მათი გულისძგერა მოისმინო... ხშირად ვერ ხერხდება ეს... ადამიანის ბუნება რთულია, ცალკე სამყაროა — შეუცნობელი და მიუწვდომელი, ბოროტისა და კეთილის გამძაფრებული ჭიდილის ასპარეზი... სიკეთისა და სათნოებისათვის გაჩენილს, სულში იდუმალად სატა-

ნა ჩაპბუდებია და წათელემას არ აცლის, მოსვენებას არ აძლევს... ებრძვის... ამარცხებს... მარცხდება... და მაინც ებრძვის, ფარ-ხმალს არ ჰყრის...

ძნელია... ყოველთვის ვერ ხერხდება ადამიანთა ფიქრებს ჩასწვდე...

აგერ, ჩვენ ვცადეთ უსასოდქმნილი ქართველი მეფის განცდები გადმოგვეცა... მაგრამ მივწვდით კი მის ფიქრებს?.. შეიძლებოდა კი ასეთი გულმხურვალე ვედრება აღეფლინა ადამიანს, რომლის გონება იმ დროს სულ სხვა საზრუნავს — პაწაწინა მზაკვრულ ზრახვებს მოეცვა!..

გავეცნოთ ძუნწად შემორჩენილ ფაქტებს და განსჯა მკითხველს მივანდოთ.

1236 წლის ახლო ხანებში — ზუსტი თარიღის დადგენა არ ხერხდება — ქართველმა მეფემ თავისი ასული, თამარი, მიათხოვა „საბერძნეთისა (რუმის) სულტანსა, ძესა ნუქარდინისსა, ყიასდინს... და მისცა აწყუერი ზითვად“... ასე მოკლედ გადმოგვცემს მემატიანე ამ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ აქ ნახსენები ნუქარდინი სწორედ ის რუმის ყოფილი სულთანი გახლავთ, რომელმაც მეტად უცნაურსა და უჩვეულო ვითარებაში სთხოვა ხელი ახალგაზრდა თამარის დიდ სეხნიას და დიდედას, საქართველოს მაშინდელ მეფეს თამარს. ოღონდ ჟამთააღმწერელს პატარა უზუსტობა მოსვლია: სინამდვილეში, ნუქარდინი მამა კი არ იყო ყიასდინისა, არამედ პაპის ძმა. წინაპრისგან განსხვავებით, ახალგაზრდა სულთანს ხელის თხოვნის ყოველგვარი ცერემონიალი დაუცავს — „ვევედრა მრავალთა ნიჭთა და ძღუენთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული მისი თამარ, და აღუთქვა ფიცით არა დატევება სჯულისა ქრისტიანეთასა“... როგორც ხედავთ, ყიასდინი ისე ყოფილა მოხიბლული ყმაწვილი ქართველი ქალის „ქმნულკეთილობით“, რომ თანახმა გამხდარა, რჯული არ შეეცვალა ცოლს, ისევე ქრისტიანი დარჩენილიყო... აქ ის უნდა დავძინოთ, რომ რაკიღა ეს ამბავი 1236 წელს მოხდა, ხოლო რუსუდანი, როგორც ვნახეთ, 1223 წელს გათხოვდა, რუმის სასულთნოს ახალი დედოფალი იმ დროს 12-13 წლისა თუ იქნებოდა... მაშინ ეს ასაკი ქალის ქორწინებისთვის კანონიერად ითვლებოდა.

ამრიგად, პირველი შვილი რუმის სულთანს მიათხოვა რუსუდანმა, მეორე კი მეფედ აკურთხა, თანამესაყდრედ დაისვა. ზოგი-[illegible] [illegible]ლენის გასარკვევად საინტერესოა, რა თანმიმდევრობით

მოხდა ეს ორი მოვლენა; მემატიანის მონათხრობი ცოტათი თითქოს აბნევს საკითხს... ეტყობა, ჯერ თავისი ძე გაამეფა და მერე გაათხოვა ქალი... ამ ორ მოვლენას მხოლოდ იმიტომ კი არ ვუკავშირებთ ერთმანეთს, რომ ისინი და-ძმას შეეხება. არა, აქ სულ სხვა რამე უნდა გიამბოთ.

რაკი რუსუდანმა გადაწყვიტა ძმისშვილისთვის წაერთმია ტახტი, საჭირო იყო, როგორმე თავიდან მოეშორებინა ეს ჭაბუკი — ლაშა გიორგის ძე, რომელიც ახლა 15-16 წლისა მაინც იქნებოდა — რადგან მას სამეფო კარზე მომხრეები ეყოლებოდა, და მუდამ იყო მოსალოდნელი ამ ნიადაგზე განხეთქილება. სანამ შვილის მეტოქეს არ მოიშორებდა რუსუდანი, ვერ მოისვენებდა. თანაც, რაც შეიძლება შორს უნდა გაეგზავნა ეს მეტოქე.

და, აი, მეფეს ძალიან მარჯვე შემთხვევა მიეცა — მას ახლა შეეძლო სიძე-ქალიშვილთან გაეგზავნა ტახტის მეტოქე ძმისწული (იქნებ ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი ქალის გათხოვების დაჩქარებას!). აქ უჩვეულო არაფერი იყო — თამარი და მისი ბიძაშვილი ერთად იზრდებოდნენ, ერთმანეთს შეჩვეულები იყვნენ, უყვარდათ ერთმანეთი. და ახლა, როცა თორმეტი წლის ყმაწვილი ქალი უცხო მხარეს უნდა გადახვეწილიყო, თავის ქვეყანასა და თავისიანებს მოშორებოდა, პირველ ხანებში, რაღა თქმა უნდა, უთვისტომოდ გაუჭირდებოდა და რა არის აქ გასაკვირი, რომ რუსუდანმა ბიძაშვილი გააყოლა. თანაც, სულთნის კარზე გაგზავნა თავისი ძმისწულისა, სულაც არ იყო შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი.

სულთნის კარზე მეფის მიერ ძმისშვილის გაგზავნასა და იქ მომხდარ უჩვეულო ამბებს უცხო წყაროებიც გადმოგვცემენ და ჟამთააღმწერელიც... მაგრამ, რაც გიამბეთ, ამაში ჯერ არაფერია უჩვეულო. უჩვეულო და დაუჯერებელი ახლა იწყება; ძნელად სარწმუნოსა და ადამიანის ბუნებისთვის შეურაცხმყოფელ ამბავს ამის შემდეგ მოგვითხრობენ მემატიანეები; იმდენად უბუნებოს, რომ ზოგიერთ მკვლევარს უჭირს კიდეც ამის დაჯერება, ეჭვი შეაქვს ჟამთააღმწერლის ნაამბობის სისწორეში; თვით მემატიანე გრძნობს, რამდენად „განსაკრთომელი“ ამბავი უნდა გადმოგვცემს და თითქოს თავს იმართლებს: რა უხამსიც არ უნდა იყოს ეს ამბავი, მაინც უნდა გადმოგცეთ, რადგან ისტორია სიმართლისმეტყველებაა და შელამაზება ან დაფარვა არ შეიძლებაო — „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თუალ-ახმა ვისთვისმე“...

თითქოს წინასწარ გვამზადებს საშინელი ამბის მოსასმენად!

გააგზავნა ძმისშვილი რუსუდანმა და სიძე-ქალიშვილს დააყალა, როგორმე თავიდან მოეშორებინათ ტახტის მაძიებელი ქართველი უფლისწული.

ცნობილი არ არის, რა უპასუხა ამაზე ქალიშვილმა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ, შეძულების ნაცვლად, ცოლ-ქმარმა შეითვისა და შეიყვარა დავითი.

მემატიანეები მოკლედ გადმოგვცემენ ცნობებს, განსაკუთრებით ყოფითი ურთიერთობის ამსახველ ფაქტებს... ერთი უცხოელი მემატიანე წერს, საქართველოდან თამარს მღვდლები გაპყენნო — „ბევრი მღვდელიო", თითქოს საგანგებოდ უსვამს ხაზს. ეს ფაქტი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ მეფის ასულს მხლებლებიც ბლომად გაპყვებოდნენ — რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდები... სხვა უცხოური წყაროებიდან ვიცით, რომ იმ დროს რუმის სასულთნოში მაღალი სამხედრო თანამდებობები ეჭირათ ქართველებს; მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ქართველი მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის შალვა ახალციხელის შვილი ფარადაელა, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, დაუახლოვდებოდა სულთნის კარზე მყოფ ჭაბუკ უფლისწულ დავითს — უმნიშვნელო არ არის ის ფაქტი, რომ მამა ფარადავლასი უფლისწულის მამის, აწ განსვენებული მეფის უახლოესი ადამიანი და თანაგამზრახველი იყო. ბუნებრივია, რომ უცხოეთში გადახვეწილი ქართველი ახალგაზრდები ხშირად იკრიბებიან დედოფალთან, რომელსაც სამშობლოსთან და ახლობლებთან განშორების სევდა მოსძალებია, განსაკუთრებით პირველ ხანებში. აქ ისინი ერთად ატარებენ დროს, მხიარულობენ, მღერიან, სამშობლოს იგონებენ... და ცოლზე უზომოდ შეყვარებული ყიასდინი, თავად ღირსეული ჭაბუკი, მოხიბლულია ცოლის ახლობლებით, ქართული ცხოვრების წესით...

აგერ, კიდევ ერთი ცნობა უცხოელი მემატიანისა: ყიასდინს ისე შეჰყვარებია თავისი ახალგაზრდა ცოლი, რომ სახელმწიფო საქმეები გადავიწყებია. დამახასიათებელია, რომ ცოლს იგი მოფერებით „გურჯი-ხათუნს" ეძახდა; თითქოს საგანგებოდ უსვამს ამას ხაზს უცხოელი მემატიანე. „გურჯი-ხათუნი!.." ბუნებრივია, სულთანმა, საყვარელი ცოლის უახლოესი ადამიანიც — მისი ბიძაშვილი — შეიტკბო და შეიყვარა...

ცნობები იმ დროს, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, ერთი ქვეყნიდან მეორეში დაგვიანებით მიაღწევდა ხოლმე. რუსუდანმა რომ გაიგო, როგორ შეიტკბეს მისმა ქალიშვილმა და სიძემ ჭაბუკი და-

ვითი, გაბრაზდა და უფრო მტკიცედ შეუთვალა, დავითი მოკალითო — „წარავლინა კაცი საბერძნეთს, სულტანსა სიძეს და ასულსა თამარს წინაშე, რათა ძმისწული მისი დავით ყრმა, რომელ პირველ წარავლინა მათდა, რათა ბოროტი რა ეყოს მათ მიერ, და არა რა ბოროტი ეყო, აწ რომელი წარსწყმიდონ და მოაკუდინონ, მიერითგან უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და ძესა მისსა დავითს“.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა არც ახლა უსმინა რუსუდანს, უყურადღებოდ დატოვა მისი დავალება. ისე შეითვისეს ჭაბუკი დავითი, რომ ამის გაგონებაც კი არ უნდოდათ.

ისევ მისწერა რუსუდანმა სიძესა და ქალიშვილს — ახლა ალბათ უფრო კატეგორიულად და პირდაპირ — „კუალად სხვა წარავლინა მოციქული“.

მაინც არ უსმინეს.

მესამედაც მისწერა...

ჟამთააღმწერლის ცნობას თუ ვირწმუნებთ, მაშინ უსათუოდ ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამეფო კარზე რუსუდანს წინაღმდეგობა აქეს: აშკარად გამოიკვეთა დავით ლაშას ძის მომხრეები, თანაც გავლენიანი დიდებულები; ისინი, ვინც უფრო დაახლოებულები არიან მონღოლებთან და არ გაუჭირდებათ, დავით ლაშას ძის მეფედ დასმა. ისინი ალბათ ხშირად მოიკითხავენ უცხოეთში იძულებით გადახვეწილ უფლისწულს. მოითხოვენ მის დაბრუნებას. იქნებ უფრო და უფრო კატეგორიულიც კი გახდა ეს მოთხოვნა. იქნებ უკვე შეთანხმებულებიც არიან მონღოლებთან... ამიტომაც ვერ მოუსვენია რუსუდანს. ამიტომ ჩქარობს ძმისწულის მოკვდინებას. ასე რომ არ იყოს, საჩქარო და საშური არაფერი ჰქონია მეფეს — ტახტზე შვილი ესვა თანამესაყდრედ, ხოლო მეტოქე ტახტისა შორს იყო გადაკარგული...

ერთი სიტყვით, მეფეს ვერ მოუსვენია, სიძე-ქალიშვილის ურჩობა საშინლად აბრაზებს, მაგრამ მაინც დამშვიდებით სთხოვს, — ოღონდ ამჯერად უფრო დაბეჯითებით და თითქმის მუდარით („მესამედ სხუა საველრებელი წიგნი წარგზავნა“).

მაგრამ არც ახლა უსმინეს — „და იგინი არც მაშინ ერჩდეს“...

და ახლა კი იმძლავრა რუსუდანის სულში ბოროტმა — ქალიშვილისა და სიძის ურჩობით „განცვიფრებულმან და გულისწყრომითა აღვსებულმან, დაივიწყა სჯულიცა და ლმობა ნათესავთა, და თვით შვილისა სიყვარული დედობრივი...“

ამას რომ გვიყვება, თითქოს ერთბაშად შეკრთა მემატიანე, თითქოს შეეშინდა — მკითხველმა ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად

არ მიიღოსო, და ბიბლია მოიშველია, სოლომონ ბრძენის სიტყვები გაიხსენა — „გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისა არა ყვის“... თითქოს საგანგებოდ მიგვანიშნა — ეს საერთო ადამიანური უბედურებაა... მეთოთხმეტე საუკუნის მწერალს, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლო მომდევნო საუკუნეთა ავტორები დაემოწმებინა, თორემ მაგალითს რა გამოულევდა! მარტო შექსპირი იკმარებდა...

მოხდა ისეთი რამ, რაც ადამიანის ბუნებას არ უთავსდება...

რუსუდანი სიძეს მისწერს — აქამდე ვერიდებოდი პირდაპირ თქმას: ჩემი ძმისწული შენს ცოლსა ყვარობს და ამიტომ არ განებებს მის მოკვლასო — „ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი დავით თანა-ეყოფვის, და ამისათვის არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისი“.

ამას უკვე უკიდურესი ზომაც არ შეიძლება ეწოდოს. ეს საერთოდ სცილდება ყოველგვარ საზღვარსა და ზომას, ეს ადამიანის ბუნების მიღმაა, „მხეცთა უმძვინვარესს“ უწოდებს თეით მემატიანე. ეს სატანის მოქმედებაა...

იქნებ საჭირო აღარც იყოს იმის მოთხრობა, თუ რა მოჰყვებოდა ამას. ბუნებრივია, გაცოფებული სულთანი ამბის რკვევას და დაკითხვას აღარ მოჰყვებოდა, იგი მაშინვე შეუვარდა ცოლს — სცემა, თმით ათრია, რჯული შეუგინა, ხატები („რომელნი თამარს სამარადისოდ აქუნდის სავედრებლად“) დაუმსხვრია, მოახლეები და მსახურები (რომლებიც სამშობლოდან ჰყაედა წაყვანილი დედოფალს) ზოგი იქვე ამოხოცა, ზოგი გარეკა... თავისი რჯული მიაღებინა. „ყრმა იგი დავითი“ კი სტანჯა, აწამა, და სიკვდილიც არ აღირსა, ჯერ ზღვაში შეაგდო, ნავზე დაკრული, თევზებისა და ფრინველების საკორტნავად, ხოლო როცა ნავზე მიკრულ მომავკდაე უფლისწულს ზღვაში ვიღაც ვაჭარი წააწყდა და გამოიყვანა, სულთანმა ეს შეიტყო და წაართვა ვაჭარს ძლიეს მოსულიერებული უფლისწული, ბნელ ჯურღმულში ჩააგდო, რათა წამებით ამოხდომოდა სული, და, ამგვარად, შურისძიებაც უფრო შესაფერი და სრული ყოფილიყო.

მაგრამ დავით ლაშას ძეს ჯურღმულში სიკვდილი არ ეწერა. რამდენიმე ხნის შემდეგ იმას ჯურღმულიდან ამოიყვანენ და სამშობლოში დააბრუნებენ. ოღონდ ეს ცოტა უფრო მოგვიანებით მოხდა; ჩვენ კი ისევ ქრონოლოგიურად მივყვეთ ამბებს.

თავი VI

ცოტნე დადიანის გმირობა და ორმეფობა საქართველოში

მეფე რუსუდანი ერთ სუსტ იმედს მოებლაუჭა – რომის პაპს ურჯულოთა მიერ გატანჯული თავისი ძვეყანა შეავედრა, შველა და საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთება სთხოვა. პაპმა სამხედრო დახმარებაზე უარი შეუთვალა, სამაგიეროდ გამოგზავნა შვიდი „მოქადაგეთა ფესის ძმა“ ✦ ქართველმა დიდებულებმა მეფის სახელით მორჩილება მოახსენეს ნოინებს, რომლებმაც თანხმობა შეუთვალეს რუსუდანს და მეფედ მისი ძე დავითი დაამტკიცეს. ამრიგად გადაურჩა დასავლეთი საქართველო აოხრებას ✦ მონღოლებმა საქართველო რვა დუმნად დაყვეს ✦ დასნეულებული რუსუდან მეფე 1245 წელს გარდაიცვალა ✦ საქართველო უმეფოდ დარჩა, რადგან რუსუდანის შემდგომ ქართველი მეფეები და ქართველ ვაჟკაცთა მრავალრიცხოვანი რაზმები თვეობით იყვნენ მოწყვეტილნი სამშობლოს და მონღოლთა მიერ წარმოებულ ომებში მონაწილეობდნენ ✦ ცოტნე დადიანის გმირობა ✦ საქართველოს ორი მეფე კყავს – დავით ულუ და დავით ნარინი

უფრო თვალსაჩინოდ რომ წარმოვიდგინოთ მაშინდელი მდგომარეობა ქართველი მეფისა, მსოფლიო რუკა გავშალოთ და, — თუმცა კი გაგვიძნელდება, — თვალით მოვხაზოთ მონღოლთა იმპერია... გაგვიძნელდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან დიდია და თვალი ვერ მისწვდება, არამედ უფრო იმიტომ, რომ კინემატოგრაფიული სისწრაფით იზრდება — გუდას რომ ჩაბერავ, იმგვარად ფართოვდება თანდათანობით, ყველა მხარეს, დიდდება, იბერება.... განუწყვეტლივ იცვლება მისი საზღვრები. აღმოსავლეთის მდიდარი და ხალხმრავალი

ქვეყნები რომ დაიპყრეს, ერთბაშად გაიშალნენ და კიდევ უფრო მეტი სისწრაფით დაიძრნენ ყოველი მხრით...

რუკაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდა: აგერ, აღმოსავლეთით ერთიანად დაუპყრიათ ჩვენი მტერ-მოყვარე მეზობლები, იქით ჩრდილოეთის ერცელი ველები მოუთარეშებიათ და ახლა შეუპოვრად მიიწევენ დასავლეთისკენ — პოლონეთსა და უნგრეთს უახლოვდებიან, გეზი ევროპის გულისკენ აუღიათ... სამხრეთით ზედიზედ იღებენ ჩვენი მოსაზღვრე მეზობლების ქალაქებს, და მათი მოძრაობის ისარს რომ გავაყოლებთ თვალს, აშკარა გახდება, ეგვიპტისკენ მიიწევენ, ხმელთაშუა ზღვაში გაჭრას ეშურებიან...

არსებობს ასეთი რუკები. მათზე სწორედ ესაა ნაჩვენები — ათეული წლობით როგორ იცვლება მონღოლთა იმპერიის საზღვრები; დიდი ძალით დაძრული ნიაღვარივით, როგორ სულ უფრო და უფრო შორს მიიწევს მუქი ფერი, რითაც რუკის შემდგენელთ, თვალსაჩინოებისთვის, მონღოლთა მიერ უკვე დაპყრობილი ტერიტორია შეუფერადებიათ...

და როცა ზუსტად იმ წლების (1240-იანი წლების) რუკას დახედავ, დიდ მუქ ლაქაზე მაშინვე მოგხვდება თვალში თხილისოდენა თეთრი წერტილი. ეს ჩვენი ქვეყანაა; ოღონდ მთელი ქვეყანა კი არა, — მისი აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილი მუქად არის შეღებილი, იქ უკვე გაბატონებულია მტერი — არამედ დასავლეთი ნაწილი. სწორედ აქა ზის ახლა ქართველი მეფე და მღელვარე ფიქრებს მისცემია. მისი სამეფოს ნახევარზე მეტი, როგორც უკვე ვიცით, მტრის ხელშია და იქიდან ყოველდღიურად საშინელი ამბები მოაქვთ მსტოვრებსა და ლტოლვილებს, რომელთაც ძლივძლივობით დაუღწევიათ თავი, მთები გადმოულახავთ და თავიანთ ძმებს შეფარებიან...

ვარაუდობენ, თითქოს მონღოლები ცდილან დასავლეთ საქართველოში შეჭრას, მაგრამ დამარცხებულან და უკანვე გაბრუნებულან (ერთი საბუთი, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, თითქოს მიგვანიშნებს კიდეც ამას)...

ძნელი დასაჯერებელია.

მონღოლთა იმპერიის რუკას რომ დახედავ, ნამდვილად გაგიძნელდება დაჯერება, თითქოს მათ ამ პატარა ტერიტორიის აღება გასჭირვებოდეთ. უფრო სწორი ალბათ ის არის, რომ მონღოლები მოერიდნენ მთებში ბრძოლას და ზედმეტი მსხვერპლის გაღებას (მარკო პოლოც შენიშნავს: საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, თანაც ციხეებით კარგად გამაგრებული, და მთლიანად მისი დაპყ-

რობა მონღოლებმა ვერ მოახერხესო) — უკვე რამდენჯერ ითქვა: მათ ჩალად არ უღირდათ სხვათა სიცოცხლე, მაგრამ საკუთარ მეომრებს უფრთხილდებოდნენ; უმიზნოდ არ გაჟლეტდნენ... ან კი რად უნდოდათ, ზედმეტ მსხვერპლს რატომ გაიღებდნენ: ისე მჭიდროდ იყო გარშემორტყმული ეს პატარა ტერიტორია, ჩვენი ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, რომ მაინც დაპყრობილივით ჰქონდათ, მარწუხებში ჰყავდათ მოქცეული; ქვეყნის მთავარი ვაზირები ხომ მათ ხელში იყო — დამორჩილებული ჰყავდათ; სატახტო ქალაქი მათ ეჭირათ... ასეთ ვითარებაში მეფე თითქმის მათი ტყვე იყო, დღეს არა ხვალ ეს ტერიტორიაც მათი იქნებოდა.

ასე ფიქრობდნენ დამპყრობლები.

ვერ ვიტყვი, ქართველ მეფესაც თუ ედო წინ რუკა, მაგრამ, ცხადია, გონების თვალით ხშირად მოათვალიერებდა მონღოლთა მიერ დაპყრობილ ვრცელ ტერიტორიას, უშუალოდ მის მეზობელ ქვეყნებს — ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის ღონისძიებას ეძებდა, ხსნას ეძებდა...

მაგრამ ხსნა არა ჩანდა. მისი უშუალო მეზობლები, ყველა მხარეს, — რომლებთანაც შეიძლებოდა საერთო ენის გამონახვა და რომლებთანაც უსათუოდ უნდა გამოენახათ საერთო ენა — უკვე მტრის უღელში გმინავდნენ. ძალიან დაგვიანებული იყო...

და წყალწაღებულისა არ იყოს, ქართველი მეფე ერთ სუსტ იმედს მოებღაუჭა: რომის პაპი გაახსენდა, მისი ამასწინანდელი მიწერ-მოწერა, და გადაწყვიტა პაპისთვის მიემართა, ურჯულოთა მიერ გატანჯული თავისი ქვეყანა მისთვის შეევედრებინა, შველა ეთხოვა.

ჩვენ ხელთ არა გვაქვს ქართველი მეფის წერილი. მხოლოდ პაპის პასუხი შემორჩენილა (ამ დროს ჰონორიუს მეორე კი აღარ არის რომის პაპი, არამედ გრიგოლ მეცხრეა). მონღოლთა იმ გარემოცვის პირობებში ან აქედან გაგზავნილმა წერილმა როდის ჩააღწია რომამდე ან პაპის პასუხი როდის მიიღო მეფემ, ამის დადგენა ალბათ ეელარასოდეს მოხერხდება. ვიცით მხოლოდ, რომ პაპის ბარათი დაწერილია 1240 წლის 13 იანვარს. მიხეილ თამარაშვილს თავის წიგნში („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის") მოტანილი აქვს ამ ვრცელი წერილის ერთი ნაწყვეტი — ისიც საკმაოდ ვრცელი. პაპი გულითადად თანაუგრძნობს ქართველ მეფეს — „სიხარული გაგვიმწარა იმ ამბავმა, რომელიც გვაუწყეო". წერს... და რა გვეთქმის — მწუხარებისა და გაჭირვების დროს გულწრფელი თანაგრძნობაც კი ერთგვარი ნუგეშია; მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად სანუგეშო

იქნებოდა ქართველი მეფისთვის იმ ვითარებაში... მეფე ხსნას ელოდა, პაპის წერილში კი თანაგრძნობის სიტყვებს საქმიანი დახმარების აღარავითარი შეპირება აღარ მოსდევს. პირიქით, გაგიკვირდებათ, მაგრამ პაპი თვითონვე თხოულობს შველას და ნუგეშს — „ჯერ არს, რომ თქვენც ჩვენ შეგვიბრალოთო“...

რომის პაპს მართლაც არ შეეძლო დახმარება აღმოეჩინა საქართველოსთვის; მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ გზები იყო შეკრული („...ნულარ გაგიკვირდებათ, თუ რომის მხედრობა არ მოდის თქვენს შესაწევნელად, — სწერს პაპი ქართველ მეფეს, — სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდედ ჩვენს მხედრობას“), არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ამისი ძალა არ შესწევდა, თვითონვე უჭირდა (აკი ასევე წერს ბარათში!).

ამ წერილში საყურადღებოა ის, რომ რუსუდანს პაპისთვის უთხოვია აგრეთვე საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთება... ალბათ იმიტომ, რომ ამით სამხედრო დახმარების მეტი გარანტია ჰქონოდა. ასე ვარაუდობს იოანე ჯავახიშვილი. ამ თხოვნას სიამოვნებით ღებულობს პაპი (და, როგორც ვნახავთ, ამ საქმეში ოპერატიულ დახმარებასაც აღმოუჩენს)... საყვედურსაც კი ეუბნება მამაშვილურად: „სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ“ ეს შეერთებაო. და მტკიცედ დასძენს: ამიერიდან ჩვენს ეკლესიას „დაემორჩილენით ყველაფერშიო“...

იმ გაჭირვებაში იუმორის გრძნობა თუ ჰქონდა შერჩენილი მეფეს, ალბათ მწარედ გაეღიმებოდა: რაც მეფედ ეკურთხა, სულ ეს სიტყვა ესმის — დაგვმორჩილდი და დაგვმორჩილდიო! რა გუნებაზე უნდა დამდგარიყო — ხსნას ელოდა და, დაგვმორჩილდიო, წერენ!

ამავე წერილით ეგებულობთ, რომ პაპი საქართველოში აგზავნის შვიდ „მოქადაგეთა წესის ძმებს“, რომელთაც ალბათ ჯერ უნდა ექადაგათ და მერე ოფიციალურადაც გაეფორმებინათ ქართული ეკლესიის რომის ეკლესიისადმი დამორჩილება...

ამით ამოიწურა რომის პაპის საქმიანი დახმარება.

არის ერთი წინადადება წერილში, რამაც ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინა, თითქოს მონღოლებს ებრძოლოთ დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად და დამარცხებულიყვნენ. ამაზე ზემოთაც ითქვა. თავს იმით ვინუგეშებთო, სწერს მეფეს პაპი, „რომ პირველში მტრისაგან დაძლეულხართ, მერმე კი დაგიძლევიათ, საბოლოო გამარჯვება თქვენ დაგრჩენიათ და თქვენის მავნებლის მტრისთვის დიდი ზარალი მიგიციათ“... ძნელი სათქმელია ამ „საბოლოო გამარ-

ჯვებაში“ რა არის ნაგულისხმეი, მაგრამ თუ დასავლეთ საქართველოსთვის ბრძოლებზე იყო ლაპარაკი რუსუდანის წერილში, და მართლა თუ გაიმართა ასეთი ბრძოლები, მაშინ, როგორც ზემოთ ითქვა, ალბათ მარბიელი რაზმი უკუაქციეს და მეფეს ეს მოსჩვენებია მტრის ძლევად.

ერთი სიტყვით, თუ აქამდე მართლა ელოდა რუსუდანი რომის პაპისგან სამხედრო დახმარებას, ახლა ამის იმედი საბოლოოდ გადაეწურებოდა და ალბათ ამის შემდეგ გადაწყვეტდა, შეთანხმებოდა მონღოლებს — ან უფრო ზუსტად თუ გამოვხატავთ საქმის არსს, მორჩილება გამოეცხადებინა: „გულისხმა ყო რა მეფემან რუსუდან, რომელს წარუღეს ქუეყანა ამიერი თათართა, განიზრახა, რათა წარმოაელინოს ძე თვისი დავით და მიანდოს თათართა, და აიღოს სიმტკიცე უენებლობისა“.

ეს ჟამთააღმწერლის სიტყვებია და ამას მოსდევს ამბავი, თუ როგორ გაგზავნა მეფემ დიდებულები მონღოლთა ადგილობრივ მმართველებთან — ნოინებთან.

ჟამთააღმწერელი ამაზე არას ამბობს, მაგრამ ვარაუდობენ, რომ, სანამ ქართველი მეფე დელეგაციას გაგზავნიდა ნოინებთან, ჯერ ელჩი გაგზავნა ვოლგისპირეთში, ბათო ყაენთან, და სწორედ იმისგან „აიღო სიმტკიცე უენებლობისა“, ადგილობრივ მმართველებს ვერ ენდო. ეს ელჩი მეფის პირველი ვაზირი, მწიგნობართუხუცესი არსენ ჭყონდიდელი იყო. შემთხვევით გადარჩენილა და ჩვენამდე მოუღწევია იმდროინდელ ერთ საბუთს, თავისთავად თითქოს არცთუ დიდად მნიშვნელოვანს, მაგრამ საგულისხმოს სწორედ იმით, რომ ქართველი მეფის მიერ არსენ ჭყონდიდელის ბათო ყაენთან გაგზავნის ამბავს გადმოგცემს. ეს საბუთი გახლავთ წყალობის წიგნი მწიგნობართუხუცესის არსენ ჭყონდიდელისა ვინმე მგელა აბულახტარის ძისადმი, რომელიც თანა ხლებია მეფის ელჩს იმ ძნელ მგზავრობაში, დიდი სამსახური გაუწევია მისთვის, და ახლა მწიგნობართუხუცესი წერილობით ადასტურებს მსახურისადმი თავის მადლიერებას.

ამრიგად, მწიგნობართუხუცესის დაბრუნების შემდეგ რუსუდანი მოეთათბირა თავის ვაზირებს და მონღოლთა ადგილობრივ მმართველებთან გაგზავნა დელეგაცია — სწორედ ის დიდებულები, რომლებიც უკვე მონღოლების სამსახურში იყვნენ: მანდატურთუხუცესი შანშე, ამირსპასალარი ავაგი, მსახურთუხუცესი ვარამი და ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი. როგორც ვარაუდობენ, ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1242 წლის მახლობლად.

ქართველი მეფის დელეგაცია იმ დროს ეწვია მონღოლთა მთავარსარდალსა თუ მთავარმართებელს, როცა იგი რუმის სასულთნოზე გასალაშქრებლად ემზადებოდა (როგორც ითქვა, მონღოლები ეშურებოდნენ მცირე აზიის დაპყრობას, რათა დაეჩქარებინათ ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა და ეგვიპტის აღება, მთავარი სავაჭრო გზებისა და ქალაქების ხელში ჩაგდება). სალაშქროდ გამზადებულთ რუსუდანის მოციქულებთან მოლაპარაკების დრო აღარ ჰქონდათ; მონღოლთა ლაშქარი დაიძრა ბიჩოს სარდლობით და „თანა-წარიყვანნეს დიდნიცა იგი მთავარნი საქართველოსანი“ — ქართველი დიდებულების ძებნა აღარ დასჭირვებიათ, — აკი თვითონვე ეახლნენ მოსალაპარაკებლად: სტაცეს ხელი და იმ ბრძოლებში თან იახლეს.

სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინათ ერთი ლაშქრობა უკვე დამთავრებული ჰქონდათ მონღოლებს იმ მხარეში; რაღა თქმა უნდა, ამჯერადაც ქართველი მეომრების მონაწილეობით. ამ ცნობას სომეხი მემატიანეები გვაწვდიან. მაშინ არზრუმის საამიროს დასაპყრობად გაილაშქრეს „ურიცხვი ჯარით“. ორი თვე ალყაში ჰყავდათ „კარგი და მშვენიერი ქალაქი“ არზრუმი (კარნუ ქალაქი); გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გატეხეს ქალაქის დამცველთა წინააღმდეგობა, მოსახლეობა გაჟლიტეს და, უდაბნოდ აქციეს იქაურობა — „მახვილით მოსრეს ყველა უწყალოდ, მიიტაცეს ქონება და ნაშოვნი, და ცეცხლით დასწვეს ქალაქი“ (კარნუ ქალაქი 1242 წელს აიღეს მონღოლებმა).

აქვე ერთი საგულისხმო გარემოება უნდა აღინიშნოს: მონღოლები ხომ მცირე აზიას მიადგნენ დასაპყრობად, და არზრუმის შემდეგ რუმის სასულთნო უნდა აეღოთ (როგორც შემდეგ გაირკვა, ასე ჰქონდათ გადაწყვეტილი). მოსალოდნელი იყო, რომ დიდი გამარჯვებით გალაღებულნი მაშინვე შეიჭრებოდნენ მეზობელ რუმის სასულთნოში. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ მათი საოცარი სიფრთხილე, საალალბედოდ არასოდეს არ გახდიდნენ საქმეს. ბრძოლა როდი განაგრძეს, დიდი დაელით უკანვე გაბრუნდნენ, თავიანთ საზამთრო სადგომში, მუღანში, მივიდნენ და იქ გამოიზამთრეს — იქ საძოვრებიც ბლომად იყო და საკვებიც ბევრი ჰქონდათ. კარგად დაისვენეს, ლაშქარი შეაესვა (გრიგოლ აკანელი წერს — ერთი წელი გავიდა იმ ბრძოლის შემდეგ და მონღოლებმა სომეხ და ქართველ მთავრებთან ერთად ახალი ლაშქარი შეკრიბესო); ცხენებიც კარგად დაასუქესო, მეორე სომეხი მემატიანე წერს; და ახალი, კიდევ უფრო

ძნელი ბრძოლებისთვის მოემზადნენ. ამასთან, რუმის სულთანიც შეცდომაში შეიყვანეს; იგი, ბუნებრივია, არზრუმის აღების შემდეგ ელოდა მონღოლების შეჭრას, და ალბათ მომზადებული იქნებოდა; რაკი არ შეიჭრნენ და უკანვე გაბრუნდნენ, იქნებ იფიქრა კიდეც, აქეთ გამოლაშქრებას აღარ აპირებენო, და გული დაიარხეინა.

რამდენადაც მონღოლები მოქმედებდნენ ფრთხილად, იმდენად გაუფრთხილებლად მოქცეულა რუმის სულთანი: კარნუ ქალაქიდან რომ მუღანში გაბრუნდნენ მონღოლები, ეტყობა, სულთანმა იფიქრა, ჩემი ეშინიათო და გათამამდა, უფრო დავაშინებო, გადაწყვიტა, მოციქული მიუგზავნა მრისხანე მუქარით, „როგორც ეს ტაჭიკთა ჩვეულებააო“, კირაკოს განზაკელი წერს დაცინვით...

ამრიგად, კარნუ ქალაქის დაპყრობის ერთი წლის შემდეგ მონღოლთა დიდი ლაშქარი რუმისკენ დაიძრა, მათ ქართველები ახლავთ.

ჟამთააღმწერელი არ ამბობს, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ვიცით: ქართველ მეომრებს წინ მოიქცევდნენ მონღოლები, რათა პირველნი ისინი შებმოდნენ მოწინააღმდეგეს; სხვათა შორის, სომეხი მემატიანე გრიგოლ აკანელი საგანგებოდ აღნიშნავს ამ ფაქტს. ქართველი მემატიანე იმასღა შეგვახსენებს, რომ რუმის სულთანსაც მხედართმთავრებად ქართველები გამოეყვანა — „დარდან შარვაშის-ძე, აფხაზი, რომელი სიმხნისა მისისათვის პირველსავე დიდსა დიდებასა აღეყვანა“ სულთანს და შალვა ახალციხელის ძე ფარადავლა, „რომელი ლტოლვილი წარსული იყო სულტანსა წინაშე“; ჟამთააღმწერელი განსაკუთრებული ქებით მოიხსენიებს მას („კაცი მხნე და წყობათა შინა სახელოვანი“); და იქვე იმ საკვალაღო ფაქტსაც გადმოგვცემს, — როგორც ბედის მწარე დაცინვას, — რომ სულთანმაც „წინამბრძოლად განაჩინნა“ ისინი;

ასე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თავიანთივე მტრების ინტერესებისთვის მებრძოლი ქართველები... ამ მძვინვარე ბრძოლაში მათ ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა შემართონ მახვილი...

აქვე უნდა გავიხსენოთ სომეხი მემატიანის გრიგოლ აკანელის სიტყვები: „ბიჩო ნოინს გაემარჯვა ბრძოლაში... (და) მიზეზი მისი გამარჯვებისა სომხები და ქართველი მთავრები, რომლებიც მეწინავეები იყვნენ, ძლიერი კვეთებით მტერს მიეტეეებოდნენ, ხოლო მათ უკან თათარი (მიჰყვებოდა) მშვილდ-ისრით“. ქართველი მეცნიერი ნოდარ შოშიაშვილი, ვისი თარგმანითა და რედაქციითაც გამოიცა ქართულად გრიგოლ აკანელის თხზულება, შენიშნავს, რომ სომეხი მემატიანის ეს ცნობა სხვა წყაროებითაც დასტურდება.

გაიმართა მძვინვარე, სისხლისმღვრელი ომი. ბრძოლის ველზე დაეცა დარდან შარვაშის ძე, ხოლო ფარადაველა „სულტნისა მიერ მოიკლა, შურითა ქართველთათა“...

ისევ შური!

სხვათა შორის, იგივე გრიგოლ აკანელი საგანგებოდ შენიშნავს ფარადაველას თავგანწირულ ბრძოლას, მან ბევრგან დაახევინა უკან მოწინააღმდეგის რაზმებს — „როდესაც გამწვავდა ბრძოლა, მამაცმა და სახელოვანმა შალვას ძემ გააბრუნა თათარი და მრავალი მათგანი ამოწყვიტა“.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად „ქართველი მემატიანის ცნობით, სულთანს 400.000 მეომარი გამოუყვანია), რუმის სულთანი დამარცხდა, დიდძალი ხალხი გაიჟლიტა, მონღოლებმა ურიცხვი სიმდიდრე იგდეს ხელთ, სულთანს ხარკი დაუწესეს.

და, რაღა თქმა უნდა, მცველები ჩაუყენეს ქალაქებში.

ხლათის სულთანმა რომ ნახა ასე გაუბედურებული მეზობელი, უომრად დანებდა მონღოლებს...

მონღოლებმა ამათაც დაუტოვეს „მცველნი ქუეყანისანი“ და უკან გაბრუნდნენ — „წარვიდეს საზაფხულოსა ადგილსა გელაქუნს და არარატისა მთათა“.

●

დაბრუნდნენ ომიდან ქართველი დიდებულები და ახლაღა მოხერხდა მეფის დაკალების შესრულება — ნოინებთან მოლაპარაკება. თუმცა მოსალაპარაკებელი რა იყო?!. ქართველმა დიდებულებმა მეფის სახელით მორჩილება მოახსენეს ნოინებს. მონღოლებმა თანხმობა შეუთვალეს რუსუდანს და მეფედ მისი ძე დავითი დაამტკიცეს — „...მოსცეს ძე მისი დავით, და მისცენ მეფობა, ტფილისი და ყოველი საქართველო“...

ამრიგად, დასავლეთი საქართველო აოხრებას გადაურჩა, მას მხოლოდ ხარკის ძლევა და სრული მორჩილება დაევალა.

●

დიდი ხნის არყოფნის შემდეგ დედაქალაქში კელავ დაბრუნდა მეფე — ძველი სახელით, და არა ძველი უფლებამოსილებით. მაგრამ მას მაინც ძველებურივე პატივით შეხვდნენ ქართველი დიდებულები; მემატიანე ჩამოთვლის მათ — შანშე, ავაგი, შოთა კუპრი, ვარამ

გაგელი, ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი ყვარყვარე ციხისჯვრელი, თორელნი, თმოგველნი, შავშ-კლარჯნი და ტაოელნი... მეფეს იმერეთიდანაც გამოყვენენ „ლიხთ-იმერელნი მთავარნი“ — ცოტნე დადიანი („კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი“), ბედიანი, რაჭის ერისთავი, გურიელი და „ყოველნი წარჩინებულნი“. თბილისიდან ორივე მეფე — რუსუდანი და მისი ძე დავითი — დიდებულებმა ბარდავამდე მიაცილეს, სადაც „დაებანაკათ ნოინთა“ — ჩორმაღანს, ჩაღატას, იოსურს და ბიჩოის. „კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელსა ნარინ დიდებითა უწოდეს“.

ადგილობრივი მმართველობის სისტემა თითქოს არ გაუუქმებიათ მონღოლებს, მაგრამ, ფაქტიურად დამოუკიდებლობა წართმეული ჰქონდათ. საქართველო დუმნებად დაჰყვეს — რვა დუმნად — და დუმნის თავად ქართველიეე დიდებულები დაუნიშნეს, რომლებიც უფრო მარჯვედ მოემსახურებოდნენ დამპყრობლებს.

დუმნებად დაყოფასაც, ისევე როგორც ყველა რეფორმასა თუ ღონისძიებას, რასაც მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებში, და კერძოდ საქართველოში ატარებდნენ, ძალიან მარტივი მიზანი ჰქონდა: რაც შეიძლება მარჯვედ გაეყვლიფა ადგილობრიეი მოსახლეობა, რაც შეიძლება მეტი წაერთმია მისთვის, რაც შეიძლება შეეზღუდა, შეებორკა, მოსალოდნელი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება მოესპო... ასე „განიყვნეს“, ასე დაინაწილეს მონღოლთა მაღალი თანამდებობის მოხელეებმა საქართველო, „თვითეული (ქართველი) ერისმთავარი თვითოსა ნოინსა შეუდგა“; დანაწილებულ-დაქუცმაცებული ქვეყნიდან ხარკსაც ადვილად აიღებდნენ, არც მხედრობაში გასაწვევი ჭაბუკი გამოეპარებოდათ. და თვალთვალიც გაადვილებული იქნებოდა.

ჟამთააღმწერელი თანმიმდევრობით ჩამოგვითვლის იმ რვა სადუმნოს, საზღვრებსაც ზუსტად შემოხაზავს, თითოეული სადუმნოს მმართველსაც გვაცნობს.

პირველი დუმანი — „ჰერეთი, კახეთი, კამბეჩიანი, „ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა“. დუმნის თავი — ეგარსლან ბაკურციხელი („კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი სახმართა“, ასე გვიხასიათებს მემატიანე).

მეორე დუმანი — ქვეყნის სამხრეთი, სომხური თემები, შანშე და ავაგ მხარგრძელების სამფლობელო. დუმნის თავი — შანშე მანდატურთუხუცესი.

მესამე დუმანი — მტკვრის სამხრეთით, — ქეემო ქართლი და მის აღმოსავლეთით მდებარე თემები შამქორამდე. დუმნის თავი — ვარამ გაგელი.

მეოთხე დუმანი — შიდა ქართლი. დუმნის თავი გრიგოლ სურამელი.

მეხუთე დუმანი — ჯავახეთი. დუმნის თავი — გამრეკელი თორელი.

მეექვსე დუმანი — სამცხე და მესხეთის დანარჩენი თემები. დუმნის თავი — ყვარყვარე ციხისჯერელი-ჯაყელი.

მეშვიდე და მერვე დუმანი — მთელი დასავლეთი საქართველო („ყოველი იმერი სამეფო"). დუმნის თავები — ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი.

რამდენადაც მონღოლური ცხოვრების წესი სამხედრო ყაიდაზე იყო მორგებული, თავისთავად იგულისხმება, დუმნები სამხედრო ერთეულები იქნებოდა და ჯარისკაცებსაც ამ დუმნების მიხედვით მოითხოვდნენ.

როგორც ვნახეთ, დასავლეთი საქართველოც მონღოლების მორჩილებაში მოექცა, თუმცა იგი ბრძოლით არ დაუპყრიათ. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში მონღოლთა მცველი ჯარი არა დგას (და ეს, რაღა თქმა უნდა, დიდი შეებაა ხალხისთვის), აქ მხოლოდ ხარკს იხდიან (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 40.000 ოქროს პერპერას ყოველწლიურად) და გამოპყავთ მეომრები, მონღოლების ლაშქრის შესავსებად.

●

ნოინებმა კი დაამტკიცეს საქართველოს მეფეებად რუსუდანი და მისი ძე დავითი, მაგრამ ეს თურმე არა კმაროდა, საჭირო იყო უზენაესი მთავრობის დასტურიც — ქართველი მეფეები იქ უნდა გამგზავრებულიყვნენ, ჯერ ერთ ყაენთან და მერე მეორესთან...

მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს ერთი ლამაზი ამბავი, რომელიც, ჩანს, წინ უძღოდა მეფის გამგზავრებას.

ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ ჩაღატა ნოინს „წინაშე დიდისა ყაენისა ბათოსა" წარუვლენია ქართველი ამირსპასალარი ავაგი, რომლისთვისაც ამ დროისთვის უკვე ათაბაგობაც მიუბოძე-

ბია მეფე რუსუდანს. გაუდგა ავაგი „უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესაოისაგან უვალსა გზასა“. როგორც ითქვა, ამას ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს. მაგრამ როცა ამბობს, ქართველთა ნათესაოისაგან უ ვ ა ლ ს ა გზასაო, ეტყობა, ავიწყდება, რომ ამ გზით ამას წინათ კიდევ ერთმა ქართველმა დიდებულმა — საქართველოს მაშინდელმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა იმგზავრა.

ზემოთ ნახსენებ წყალობის წიგნში არსენ ჭყონდიდელიც უჩივის ამ გზის სიძნელეს — „შენ მაშინ თანამყევ და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახენო“, მიმართავს იგი თაეის მხლებელს.

გრძელი და ძნელი იყო ეს გზა — სახიფათო, დამღლელი, დამამცირებელი... ახლა ამ „უცნაური“ გზით უნდა იარონ ქართველებმა; თავისი საქმე იქ, იმ გადაკარგულში ვიღაც გადამთიელს უთანხმონ, ვისაც სულ სხვა ცხოვრების წესი აქვს და ამათი არაფერი გაეგება, იქ უნდა მოუსმინონ, ყაენის კარზე, იქ უნდა განიხილონ და დაუმტკიცონ... თითქოს იქ უკეთ იცოდნენ, რა უჭირთ და რა ულხინთ ამათ; თითქოს იქ უკეთ გაეგებოდეთ ამათი საქმე... იმიტომაც უწოდებს ჟამთააღმწერელი ამ გზას „უცნაურს“. სხვა სიტყვით ასე მარჯვედ ვერ გამოხატავდა ამ გზის უაზრობასა და სიძნელეს... „უცნაური და ქართველთა ნათესაოისაგან უვალი გზაო...“ „გზის უვალობაც“ ამაზე მიგვანიშნებს, ამ გზის „უცნაურობასა“ და უხერხულობაზე, თორემ ქართველებს ამ გზით აქამდეც ევლოთ... დიახ, ძნელი იყო ეს გზა. რამდენ ქართველს უვლია მერე ამ გზით, რა „ჭირნი უნახავთ“, რა განსაცდელი გადახდომიათ...

ზემოთ რომ ლამაზი ამბაეი ვახსენე, ალბათ ბევრისთვის არის ცნობილი, იგი მოთხრობილი აქვს იაკობ გოგებაშვილს თავის „ბუნების კარში“, როგორც იშვიათი გმირობისა და ერთგულების ნიმუში.

ამირსპასალარი ავაგი რომ ბათო ყაენთან გაემგზავრა, თან იახლა თავისივე ეჯიბი დავითი — ძე ივანე ახალციხელისა, შალვა ახალციხელის ძმისწული. ყაენის საბრძანებელს რომ მიუახლოვდნენ ქართველი დიდებულები, დავითმა ავაგს უთხრა: ჩვენ ხომ ამათი არაფერი გაგვეგება — რა წესი აქვთ, რა ადათი, რას გვიპირებენ... შენ ამირსპასალარი ხარ ქვეყნისა, და ვაითუ შენი მოკვლა მოინდომონ; ამიტომ ყაენთან მე წარვდგები უფროსად — „რათა ვიქმნე მე, ვითარცა პატრონი და მთავარ შენდა, და შენ იქმნე მონა“... თუ მოკვლა სურთ, მე მომკლავენ, შენ კი გადარჩები, ჩემი სიკვდილით ვის რა დააკლდება, ჩვენს ქვეყანას შენ უფრო სჭირდებიო — ბევრს ეეედრა

და არწმუნაო, გადმოგეცემს ჟამთააღმწერელი, და საბოლოოდ დაითანხმა ამირსპასალარი.

ამრიგად, ბათო ყაენის წინაშე დავითი წარდგა როგორც ბატონი, ხოლო ავაგი — როგორც მისი მონა. მაგრამ დავითის შიში არ გამართლდა. ქართველებისდა გასაკვირად, ყაენმა ისინი კარგად მიიღო, „განიხარა და დიდად პატივ-სცაო", მემატიანე გვაუწყებს. ალბათ მკითხველისთვისაც მოულოდნელია ეს, მაგრამ მიზეზი იქვე აქვს ახსნილი მემატიანეს — ცოტა უფრო წინ, ვიდრე ამ ეპიზოდს მოგვითხრობდა: ყაენს შეუტყვია ქართველების მამაცობისა და ვაჟკაცობის ამბავი და, თავად კარგ ვაჟკაცს, მოსწონებია, თითქოს ბრძანებაც გაუცია, ქართველებს კარგად მოეპყარითო... თუნდაც მართალი იყოს ეს, ავაგმა და მისმა მხლებელმა ხომ არ იცოდნენ! იმიტომაც ეშინოდა ეჯიბს. და ყაენისაგან ასეთი პატივით მიღება გაუკვირდათ.

ქართველი ელჩები დიდხანს დარჩნენ ყაენის კარზე, და როცა მოიცალა, ბათომ კელავ ისურვა მათი მიღება. რაკიღა დარწმუნდნენ, ყაენი კარგი თვალით გვიყურებსო, ამჯერად ავაგი წარდგა პირველი, როგორც ბატონი, და დავითი კი მას მიჰყვა — როგორც უბრალო მხლებელი. მაგრამ ბათო ხომ დავითს იცნობდა ბატონად, ამიტომ გაუკვირდა ავაგის საქციელი და საყვედურით უთხრა: ამდენი აღარ იცი, რომ ბატონი წინ გამოატარო და შენ უკან მოჰყვეო! დავითმა ღიმილით მოახსენა ყაენს: „დიდო განმარჯუებულო ხელმწიფეო, ეგე არს პატრონი და მე მონა მისი"... როცა ყველაფერი გაიგო ბათო ყაენმა, „დიდად განკვირდა და აქო დავით!"... და იქვე ბრძანა: რაკი „ნათესავი ქართველთა ეგეეითარი არს, ებრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქუეშე მაღალთა, უმჯობეს და უწარჩინებულეს იყვნეს, და მაღალთა თანა მხედართა აღრაცხონ. და მამული და საქონელი მათთა ხელთა შინა იყოს, და ყოველსა შინა მისანდოდ იყვნენ".

ამას ჟამთააღმწერელი გადმოგეცემს, და იქნება მართლაც ასე თქვა ყაენმა. ბათო თავად კარგი ვაჟკაცი იყო და გასაკვირი სულაც არ არის, სხვათა გმირობა და ვაჟკაცური ერთგულება მოსწონებოდეს. მაგრამ მისი ბრძანება, რაღა თქმა უნდა, ლიტონი სიტყვები იყო, და საეჭვოა, თვით იმათ დაეჯერებინოთ, ვინც უშუალოდ უსმენდა. ყოველ შემთხვევაში, ავაგი მალე დარწმუნდა ამაში: ზემოთ უკვე ვახსენეთ ერთი ეპიზოდი, სომეხი მემატიანის გადმოცემული — ქართველ ამირსპასალართან რომ შეეიდა ვიღაც მონღოლი, არცთუ

დიდი თანამდებობის მოხელე, ავაგს ადგომა და შეგებება დააგვიანდა (თუ დაავიწყდა) და მონღოლმა ზურგზე მათრახი გადაუჭირა — რატომ მაშინვე ფეხზე არ წამოდექი, როცა შემოვედიო.

●

ისევ ახალგაზრდა მეფის ამბავს დავუბრუნდეთ. ერთი სიტყვით, მონღოლთა ადგილობრივმა ნოინებმა გადაწყვიტეს მეფე დავითის გაგზავნა დიდ ყაენებთან — ჯერ ბათოსთან და მერე ყარაყორუმს, დიდ ყაენთან... რუსუდანის შიში საფუძვლიანი გამოდგა — მეფის სახელი კი შეუნარჩუნეს მას, მაგრამ ისე არავინ არაფერს ჰკითხავდა. უმძიმდა შვილის გაგზავნა, მაგრამ ვერაფერს გახდა — „ვითარ არღარა იყო ღონე, წარვიდა ნარინ დავით“... რუსუდანმა შვილს თანაშეზრდილები გააჭანა: ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის შვილი ბეგა, გურკელი მახუნჯაგისძე და ბეშქენ ამირეჯიბი.

ორი წელი დაჰყო მეფე დავითმა ბათოსთან — საესებით უმიზეზოდ და უსაფუძველოდ — და მერე ბათომ ყარაყორუმს გააგზავნა მთავარ ყაენთან... აშკარად ჩანს, მეფეს განგებ აყოვნებდნენ.

ყარაყორუმში მეფე დავითი თავისივე ამირსპასალარს შეხვდა. ბათომ ხომ ამას წინათ ავაგიც ყარაყორუმში გაგზავნა, და ახლა მეფეს იქ დახვდა ქართველი ამირსპასალარი. ცოტა ხნით იქვე მივატოვოთ ახალგაზრდა მეფე და დიდებულები, და ვნახოთ, რა ხდება ამ დროს საქართველოში.

●

დასნეულებული რუსუდანი დიდხანს ელოდა შორს გადაკარგულ შვილს — და შვილის ნატვრასა და ლოდინში დალია გამწარებული სული. ეს მოხდა 1245 წელს. სიცოცხლეში გახარება და სულის სიმშვიდე არ ღირსებია, და ამქვეყნიდანაც დამცირებული, სულით გვემული, თავისი ქვეყნის მწუხარე აწმყოთი და გაურკვეველი მომავლით აფორიაქებული წავიდა.

ქვეყნის უმეფოდ დარჩენა იმ პირობებში, როცა დამპყრობლის თარეშს საზღვარი და ზომა არ ჰქონდა, კიდევ უფრო ძნელი გამოდგა. ხალხს სულ უფრო და უფრო მეტი სიმძიმით აწვებოდა ცალკე დამპყრობლის უღელი და ცალკე დაუოკებელი თავნებობა ერისმთავრებისა.

რუსუდანის გარდაცვალებას უმეფობის მოკლე პერიოდი მოჰყვა, თავისი მძიმე შედეგებით. ჯერ მეფის სიცოცხლეშივე გათამამებულმა ზოგიერთმა დიდებულმა ახლა უფრო მეტი თავისუფლება იგრძნო — რაც მოეგუნებებოდათ, იმას აკეთებდნენ, საკუთარი თავისთვისლა ზრუნავდნენ. ეგარსლან ბაკურციხელმა, რომელიც მონღოლთა მეტი პატივისცემით სარგებლობდა, ლამის მეფობა მოინდომა... ამას დაერთო მონღოლთა მეტისმეტად გაჭიანურებული ბრძოლები ალამუთის ასაღებად.

შვიდ წელიწადს უტრიალეს მონღოლებმა ამ მიუვალ კლდეებზე ჩინებულად გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს, — რომელიც კასპიის ზღვის მახლობლად, მის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. ბრძოლები აქ მეტისმეტად ძნელი იყო, არაადამიანურ პირობებში ხდებოდა. თამაზ ნატროშვილი თავის წიგნში კარგად მიგვანიშნებს ამ ბრძოლების სიძნელეზე: „ალამუთის ციხე მდებარეობდა ელბურსის მთების ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის (3.689 მეტრი ზღვის დონიდან) მახლობლად, მაღალ კლდეზე. ალამუთი („ალუპ-ამუთ“) ნიშნავს არწივის ბუდეს“...

იქ, იმ მიუვალ მთებში, ოთხიათასამდე მეტრის სიმაღლეზე ყოველწლიურად მიერეკებოდნენ ქართველ ჭაბუკებს. და, — ამის გახსენება იქნებ საჭიროც აღარ იყოს: ქართველებს მეწინავე რაზმებში აბრძოლებდნენ, პირველს მათ აჟლეტდნენ ამ აუღებელ ციხესიმაგრეს.

რიგრიგობით გაპყავდათ ალამუთის ბრძოლებში ქართველები — ნახევარს ერთ წელს აბრძოლებდნენ, მეორე ნახევარს — მეორე წელს.

ალამუთის ბრძოლები იმითაც გახდა ცნობილი და დასამახსოვრებელი ქართველთათვის, რომ მასთან დაკავშირებულია ერთი საინტერესო ეპიზოდი.

იმოდენა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მონღოლები ალამუთის აღებას და ისე გაძნელებოდათ ეს, რომ ყველა გამოჩენილი ნოინი იქ იყო — „მათ ჰბრძოდეს თათარნი ჩარმაღან, ჩაღატა, იოსურ და ბიჩოი მოუწყენლად ზამთარ და ზაფხულ“.

სწორედ ჩაღატასთვის გახდა საბედისწერო ეს ბრძოლები.

ერთ ღამეს მოწინააღმდეგის მოგზავნილი მარჯვე მულიდი მეომარი მცველებს შეეპარა ნოინის კარავში და მძინარე ჩაღატას გულში დანა დასცა – მოკლა. ისე გაილალა მკველელი უკანვე, რომ ვერავინ გაიგო. როცა გათენდა და მოკლული ჩაღატა ნახეს, ატყდა ალიაქოთი, შეიქნა მკველელის ძებნა... ისეთი კარგი დაცვა ჰქონდათ, რომ

ვერც კი იფიქრებდნენ, მოწინააღმდეგის ჯარისკაცი თუ მოახერხებდა კარავში შეპარვას... ქართველებზე მიიტანეს ეჭვი — „ვინაითგან ქართველნი დიდსა ჭირსა შინა არიან [ჩვენგან], შურით ქართველთა მიერ მოიკლაო", გაიძახოდნენ ყველანი. მხოლოდ ჩარმაღანი არ ეთანხმებოდა მათ, იგი კარგად გაცნობოდა ქართველი ადამიანის ბუნებას და მათგან კაცის ღალატით მოკვლა არა სჯეროდა... არადა, ჩაღატას კარავი სწორედ ქართველების ბანაკის მახლობლად ყოფილა. ყოველგვარი საფუძველი ჰქონდათ, ქართველებზე აეღოთ ეჭვი. შეიძლებოდა ცუდად დატრიალებულიყო საქმე — ჩვენ უკვე ვიცით მონღოლების სისასტიკის ამბავი. მით უფრო მკაცრი იქნებოდა ახლა მათი შურისძიება — ჩაღატა განთქმული სარდალი იყო. ისინი უწყალოდ ამოჟლეტდნენ ქართველობას. ასეთი ცილისწამებით შეურაცხყოფილი ქართველები უკვე მონღოლებზე იწევდნენ, მაგრამ ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა შეაჩერა ისინი. ბრძოლით რას გავხდებით — ისინი მეტნი არიან და ერთიანად ამოგვჟლეტენ; ისე კი მარტო წარჩინებულებს დაგვხოცავენ და სხვები გადარჩებიანო. ვილოცოთ, ღვთიშობელს შევავედროთ თავი და ის გვიშველისო, მიმართა მან თავის მეომრებს... და ვიდრე ესენი, დაჩოქილები ლოცულობდნენ, ღვთიშობელს შესთხოვდნენ შველას, იქვე, ლერწმებიდან უცებ მკვლელი მულიდი გამოვარდაო, ჟამთააღმწერელი წერს... „მან ქუშტემ ჩაღატა!" — სპარსულად შესძახა მან — მე მოვკალ ჩაღატაო. თვითონვე გამოცხადდა — თითქოს შეეშინდა, ეს დიდება სხვას არ არგუნონო.

მონღოლები სახტად დარჩნენ, ქართველებზე შემართული ხმლები დაუშვეს და ახლა მკვლელს სტაცეს ხელი. გაკვირვებულები იყვნენ მისი უცნაური საქციელით. რატომღა გამოცხადდიო, ჰკითხეს. და პასუხიც უცნაური იყო: ლერწმებში ვიმალებოდი, უცებ ვიღაც დედაკაცი გამომეცხადა და მიბრძანა, თქვენთან გამოეცხადებულიყავი, სიმართლე მეთქვაო... ჟამთააღმწერელი ღვთისმშობელს მიაწერს ამ სასწაულებრივ გადარჩენას.

ეს ეპიზოდი კარგად გვიჩვენებს ქართველი ვაჟკაცის ბუნებას, მის თავდადებას. უდიდესი განსაცდელის დროს გრიგოლ სურამელი არ დაიბნა, ერთი წუთითაც არ უყოყმანია, თავი სასიკვდილოდ გაწირა.

ერთი სიტყვით, საქართველო უმეფოდ არის, მხედრობის დიდი ნაწილი მონღოლების სამსახურშია, ამირსპასალარი ყარაყორუმ-

შია, დიდ ყაენთან; ზოგი ქართველი სარდალი მონღოლებს ახლავს... ქვეყანა თითქმის დაცარიელებულია...

და სწორედ ამას ელოდნენ ძარცვა-რბევისთვის მოძუძგურებული მახლობელი სასულთნოები.

მემატიანე პირდაპირ ასე გადმოგვცემს — მტერმა უმეფობითა და ქვეყნის დაცარიელებით ისარგებლაო — „ვინათგან განითქმოდა ყველგან უმეფობა საქართველოსა... და ლაშქართა საქართველოსა ალმუთს წასვლა... და უცალობა ქართველთა — შეკრბა სიმრავლე ფრიადი და გამოემართნეს ოხრებად საქართველოსა“...

რამდენიმე ასეთ შემოსევას ასახელებს ჟამთააღმწერელი, მაგრამ მკითხველს თავს აღარ შევაწყენ მათი ჩამოთვლით, მხოლოდ ის უნდა ვთქვათ, რომ ქართველებმა ამ ძნელ ვითარებაში მოიკრიბეს ძალღონე და ჯერ შანშე მანდატურთუხუცესისა და შემდეგ ყვარყვარე ციხისჯვრელის ხელმძღვანელობით თურქები მალევე განდევნეს, ქვეყნის სიღრმეში აღარ შემოუშვიათ.

●

ქართველი მემატიანე მოგვითხრობს ერთ გულისშემძვრელ ამბავს, რომლის თარიღის ზუსტი განსაზღვრა ცოტათი ძნელდება; მაგრამ ალბათ დიდად არ დავარღვევთ ჩვენს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, თუ ახლა მოვყვებით, რადგან სწორედ ალამუთის ბრძოლებსა და თურქების შემოსევებს უკავშირებს მას ჟამთააღმწერელი.

ეს ამბავი ძალიან პოპულარულია ჩვენში, ალბათ ძნელად მოიძებნება ქართველი ადამიანი, რომ ბავშვობაში არ მოესმინოს. და, გამოვტყდები, იმიტომაც მიჭირს მისი გადმოცემა — რაღა თქმა უნდა, ისე კარგად ვერ მოვახერხებ, როგორც ყოველ ქართველს მოუსმენია იგი ბავშვობაში დედ-მამისაგან, პაპისაგან, ან თუნდაც თავისივე მეგობრისაგან. ბავშვობაში მოსმენილს სხვა მადლი აქვს. სხვა მადლი აქვს ცოცხლად ნაამბობსაც, როცა ამბავთან ერთად მთხრობელის სუნთქვა და მისი გულისძგერა გესმის...

სანამ უშუალოდ იმ ამბავს გადმოგცემდეთ, გავიხსენოთ ჩვენს მიერ უკვე მოტანილი ორი ადგილი ჟამთააღმწერლის თხზულებიდან. ალამუთის ეპიზოდს რომ მოგვითხრობს მემატიანე და წერს, მონღოლებმა ეჭვი ქართველებზე მიიტანესო, იქვე გადმოგვცემს მონღოლებისაევ სიტყვებს — „ჩვენგან დიდსა ჭირთა შინა არიან“ და ჩაღატას იმიტომ მოკლავდნენო. ჟამთააღმწერელს უხვსიტყვაობა არ

უყვარს და ამ ძუნწად გამოთქმული ფრაზით გვაგრძნობინებს იგი უკიდურეს გაჭირვებას, რასაც ალამუთის გაუთავებელი ლაშქრობების დროს განიცდიდნენ ქართველები. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა პირობებში იქნებოდნენ დაპყრობილი ქვეყნიდან ძალით მირეკილი მეომრები უჩვეულოდ დიდ სიმაღლეზე, ცაში აზიდული ციხის ასაღებად.

და მეორე ადგილიც: ზედიზედ შემოესივნენ თურქები ქვეყანას ასაოხრებლად, იმით გათამამებულები, რომ იცოდნენ — აღარც მეფე იყო ქვეყანაში და მხედრობაც ბრძოლებში იყო გაწვეულიო.

ამ უკიდურესმა განსაცდელმა გამოაფხიზლა ქვეყნის მმართველნი — „ამ ჭირთა შინა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი [ქართლელნი] თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: რა ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღუარ გუექმნას და ვბრძოდით თათართა, და ჩუენ ერთი-ერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღუდგებით თათართა. და იგინი ბოროტად გუაჭირვებენ ესეოდენ, რომელთა ყოველთა წელთა ალმუთს წარვალთ ჭირთა... შემთხუევად... არამედ შეეკრბეთ ყოველნი, და ვბრძოდით თათართა“...

ნეტა ცოტა უფრო ადრე გამოეჩინათ ასეთი ერთსულოვნება, ასეთი შეგნება და სიმტკიცე... ცოტა უფრო ადრე, როცა ჯალალ ადდინი უახლოვდებოდა საქართველოს საზღვრებს... ან თუნდაც მაშინ, როცა მონღოლი ნოინები ცალ-ცალკე შეესივნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში გამოკეტილ მთავრებს...

ამას ჩვენ ვამბობთ ახლა და, რა თქმა უნდა, დაგვიანებული სინანული ფუჭია...

ამრიგად, ქართველმა დიდებულებმა შეთქმულება მოაწყვეს მონღოლი დამპყრობლების წინააღმდეგ, და რაკიღა ჯავახეთში შეიკრიბნენ, კოხტასთავს, ეს შეთქმულება ისტორიაში კოხტასთავის შეთქმულებად არის ცნობილი. ჯავახეთში რომ შეიკრიბნენ, ეს არ არის გასაკვირი: აქ უფრო მოფარებულები იყვნენ დამპყრობლის თვალს, თანაც ქვეყნის უკიდურესი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან თითქმის თანაბარ მანძილზე იყო და იმ რთულ პირობებში, დამპყრობლის გაფაციცებული მეთვალყურეობის დროს ალბათ უფრო ადვილად მოახერხებდნენ საიდუმლოდ თავშეყრას. თქვენ ალბათ გახსოვთ, ჯავახეთი სხვა დროსაც ყოფილა ასეთი თავშეყრის ადგილი.

ერთი სიტყვით, შეთქმულებმა დაადგინეს აჯანყება („დაამტკიცეს ომი“) მონღოლების წინააღმდეგ და დაიშალნენ. შეთანხმდნენ, რომ დათქმულ დროს ჯარი ქართლში შეიყრებოდა. რაჭის ერისთავი და ცოტნე დადიანი უფრო ადრე წავიდნენ, დანარჩენებს ერთი გზა ჰქონდათ აღმოსავლეთისკენ, და რაკი ბევრნი იყვნენ, ეტყობა, მათი იქიდან წასვლა უფრო გაჭიანურდა.

და ჯერ ისევ კოხტასთავს იყვნენ, რომ მონღოლები დაესხნენ, ბიჩუ და ანგურგი მოუძღოდნენ მონღოლების რაზმს. ეტყობა, ვინმემ დაასმინა შეთქმულები. დამსმენთ დამპყრობლები აქეზებდნენ, ასაჩუქრებდნენ, ღალატს უადვილებდნენ. მოხვიეს მონღოლებმა ხელი შეთქმულებს და ანისში წაასხეს. ჩორმაღან ნოინთან მიიყვანეს.

დაიწყო ჩვეულებრივი დაკითხვა. ჩორმაღანი ცდილობს გამოტეხოს შეთქმულები — თუ თქვენ აჯანყებას არ ფიქრობდით, ერთად რამ შეგყარათ ჯავახეთში, რა საქმე გქონდათო? შეთქმულები არა ტყდებიან. პასუხი წინასწარვე ჰქონდათ მოფიქრებული: „არა განდგომად შეკრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი გაგიჩინოთ“. რამდენს ეცადა ჩორმაღანი, მაგრამ ვერ გადაათქმევინა. არადა, ძნელი იყო იმის დაჯერება, რასაც ქართველები ამბობდნენ. მაშინ ნოინმა გაატიტვლებინა ქართველი დიდებულები — თავისივე დუმნების მმართველები — თოკით გააკვრევინა და სიცხეში დასხა (ვახუშტის იქნებ ჰქონდა დამატებითი წყარო, როცა წერდა – თოკით გაკრულებსა და გაშიშვლებულებს თაფლი წასცხეს და მზეში დასხესო).

როცა დათქმული დრო მოახლოვდა, ცოტნე დადიანი დიდი ლაშქრით მოადგა რკინის ჯვარს, ქართლისკენ მიეშურებოდა, დათქმული ადგილისკენ; და აქ უთხრეს შეთქმულთა გაცემის ამბავი. ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა კეთილშობილ ვაჟკაცს — „თვისად სიკუდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგიო“, მემატიანე წერს. ლაშქარი უკანვე გააბრუნა ცოტნემ და თვითონ მაშინვე ორი კაცის თანხლებით, ანისისკენ გაეშურა, სადაც შეთქმულები ეგულებოდა. შეუჩერებლივ გაიარა სამცხე და ჯავახეთი და ანისს მივიდა.

აქ მძიმე სურათი დახვდა. ჩვენ უკვე ვიცით, რა დღეში იყვნენ შეთქმული ქართველი დიდებულნი. ცოტნე ცხენიდან ჩამოხტა, თვითონაც გაშიშვლდა, მსახურთ მხრები გააკვრევინა და „დაჯდა წარჩინებულთა თანა“.

შემაძრწუნებლად უცნაური იყო ეს მონღოლი გუშაგებისთვის. ხელად გავარდნენ და ნოინს შეატყობინეს.

დაიწყო დაკითხვა, და ცოტნემაც იგივე უპასუხა ჩორმალანს, რაც ამის წინ სხვა დიდებულებმა უთხრეს; იმაზე ვბჭობდით, ხარკი როგორ აგვეკრიფა თქვენთვის... თუ ამისთვის სჯით ხალხს, მეც ეს დანაშაული მიმიძღვის და მეც დამსაჯეთ. ნოინი გააკვირვა და დააბნია კიდეც ქართველი დიდებულის ასეთმა ვაჟკაცობამ. წინა ეპიზოდიდან ვიცით: მას უკვე კარგი წარმოდგენა შექმნოდა ქართველებზე და ახლა ადვილად ირწმუნა შესანიშნავი ვაჟკაცის სიტყვები. ყველანი გაათავისუფლა. საკუთარი თავის განწირვით, ქართველმა ვაჟკაცმა სხვების სიცოცხლე იხსნა; და არა მარტო შეთქმული დიდებულების: თუკი შეთქმულების ამბავს ირწმუნებდნენ მონღოლები, თქმა არ უნდა, ეს მთელი ხალხის ახალ რბევასა და ჟლეტას გამოიწვევდა.

ასე ჩაიწერა ხალხის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი ქართველი კაცის გმირობის, სათნოების და მაღალი ზნეობისა.

●

ამ სიაში ჩვენ ვერა ვხედავთ ქართლის ერისთავს გრიგოლ სურამელს; და ეს მით უფრო გასაკვირია, რომ იგი სწორედ ახლახან გაგვაცნო მემატიანემ, როგორც შესანიშნავი ვაჟკაცი და მამულიშვილი. ყველა მთავარია დასახელებული, ის კი არა. რითი შეიძლება ავხსნათ ეს? როგორ შეიძლებოდა ასეთ შეთქმულებას ქართლის ერისთავი გამოკლებოდა?.. ეს ალბათ აიხსნება სწორედ იმით, რომ გრიგოლ სურამელი ჩვენ ალამუთში დავტოვეთ, იქიდან ჯერაც არ დაბრუნებულა, იქ აომებს დამპყრობელი... ალამუთის ჩვენ მიერ მოთხრობილმა ამბავმა კი, ალბათ უკვე მოაღწია საქართველომდე, და ვინ იცის, შეთქმულების უშუალო მიზეზიც სწორედ ის გახდა, ის უმადურობა დამპყრობელისა, ის უსამართლო და უსაფუძვლო ცილისწამება, რასაც შეიძლებოდა მთელი ჯარის გაჟლეტა მოჰყოლოდა, თუ არა ის ბედნიერი შემთხვევა, როცა მკვლელი ისე უცნაურად წარდგა მონღოლების წინაშე...

მაგრამ მარტო ამისთვის არ დავბრუნებივართ იმ სიას. მკვლევარებს აქამდე, მგონი, ამაზე არ გაუმახვილებიათ ყურადღება. არადა, იქნებ საგულისხმო იყოს. როგორც ვნახეთ, ცოტნე დადიანი მეორეა სიაში. ამან იმიტომ მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ სხვა პირობებში იგი სიაში ბოლოსკენ იქნებოდა, რადგან მთავრებისა და სამთავროების ჩამოთვლის დროს, ჟამთააღმწერელი ქვეყნის მხარეთა გეოგრაფიული თანმიმდევრობის პრინციპს იცავს, დაახლოებით მაინც.

ამ პრინციპით დასავლეთ საქართველოს მთავრები ბოლოში არიან ხოლმე მოქცეული. ამჟამად რომ დაარღვია პრინციპი და ცოტნე დადიანი თავში მოაქცია, ეს ადვილად ასახსნელია და ამიტომ არ შემიჩერებია ამაზე მკითხველის ყურადღება. საინტერესო და საგულისხმო სულ სხვა რამ არის. რაკი მემატიანემ გადაწყვიტა, ამითაც გამოეხატა თავისი პატივისცემა შესანიშნავი გმირის მიმართ, სიაში რატომ პირველივე არ დაასახელა იგი — ამ ამბის პირველი და ერთადერთი გმირი?!. რაკი ეგარსლან ბაკურციხელს ასახელებს პირველს, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ იგი იყო თაოსანი და, როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე, სულისჩამდგმელი შეთქმულებისა?:. ხომ არ შეიძლებოდა თავისთავად მომხდარიყო ეს?! სტიქიურად შეიძლება ამბოხება მოხდეს. მაგრამ შეთქმულება? შეთქმულებაც ხომ არ მოეწყობა სტიქიურად?.. მას ხომ თაოსანი უნდა?! ვინც პირველად მოიფიქრებს და სხვებს გაანდობს, ვინც სხვების შეკრებას იკისრებს. ბაკურციხელი ხომ არ იყო ამ საქმის ხელმძღვანელი? მით უმეტეს, ჟამთააღმწერელი წინასწარვე გაგვაცნობს მას, როგორც ყველასგან პატივცემულ დიდებულს; მას ყველა ანგარიშს უწევს, ღირსეული ვაჟკაცია, და, ესეც უნდა ითქვას, ზომაზე მეტად გაამაყებულიცაა თავისი მდგომარეობით; ჟამთააღმწერლისაგანვე ვიცით, რომ უკვე საქვეყნოდაც გამოუცხადებია, ქვეყნის მბრძანებელი მე უნდა ვიყოო. თავისი მომხრეებიც ეყოლებოდა...

და თუკი მართლა მას ვირწმუნებთ შეთქმულების მოთავედ, მაშინ იქნებ ისიც ვიფიქროთ, რომ აპირებდა კიდეც, გამარჯვების შემდეგ სამეფო ტახტი ჩაეგდო...

●

უმეფობა სულ უფრო და უფრო ართულებდა მდგომარეობას, ქვეყანას ახალ განსაცდელს უქმნიდა, დაღუპვას უქადდა. საქართველო დამპყრობლის უღელში გმინავდა და ახლა, უმეფო ქვეყანაში, თავაშვებული მთავრების პარპაში ახალ ტვირთად აწვებოდა ხალხს. ზემოთ ითქვა, ეგარსლანი ისე გათამამდა, რომ მეფობა მოინდომაო. ამას რომ გადმოგვცემს მემატიანე, იქვე დასძენს: ამის გამო შეკრბენ მთავარნი ამერის საქართველოსანიო.

შეკრბენ, რათა რამე ელონათ, მეტისმეტად გათამამებული და გალაღებული მთავრის ამბიციები მოეთოკათ. იქნებ მონღოლებთან შეთანხმებულიც კი იყო ბაკურციხელი მთავარი: ისინი მხარს დაუჭ-

ერდნენ და ხელსაც შეუწყობდნენ გამეფებაში. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ მეტისმეტად საშურად დაუსახავთ საქმე, მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთავრები შეკრებილან, დასავლეთელებისთვის აღარ დაუცდიათ. მათი მოწვევის დრო აღარ იყო. სწრაფად უნდა მოეგვარებინათ მეფის საკითხი. შორეული ყარაყორუმიდან, სადაც ქართველი მეფე იყო დიდი ყაენის კარზე, კელავ არაფერი ისმოდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, თანდათანობით მტკიცდებოდა თავიდან ფრთხილად გამოთქმული ვარაუდი, რომ დავით რუსუდანის ძე ვეღარ დაბრუნდებოდა — იგი ან სამუდამო ტყვეობაში ჰყავდა ყაენს, ან უკვე მოეკლა.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, როგორ სულ სხვადასხვანაირად ვრცელდებოდა ჭორი... ჭორის გავრცელებას ის ხალხიც უწყობდა ხელს, ვისაც თავად მოუნდა გამეფება. ჟამთააღმწერელი ეგარსლან ბაკურციხელს ასახელებს, მეფობა მოიწადინაო, მაგრამ იქნებ სხვებიც იყვნენ. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, როგორ ცდილობდა ეს ხალხი მონღოლთა ნოინების მხარდაჭერის მოპოვებას, რადგან, ბუნებრივია, ნოინების მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთ დაძაბულ ვითარებაში დავით ლაშას ძე გაახსენდებოდათ, — იმასაც ხომ მომხრეები ეყოლებოდა; მაგრამ ის უკვე დაღუპული ეგონათ, სუსტი იმედიღა თუ შეიძლებოდა ვინმეს ჰქონოდა, რომ ისევ ცოცხალი იყო... და უცნაური დამთხვევა მოხდა: უცებ ხმა გავრცელდა, თითქოს ვიღაც ვაჭარს ეთქვას — ლაშას ძე ისევ ცოცხალია, სულთანს საპყრობილეში ჰყავსო. ცხადია, იმ ვითარებაში ეს ხმა ჩქარა გავრცელდებოდა.

სასწრაფოდ შეიკრიბნენ დიდებულები და მოითათბირეს. მემატიანე ჩამოთვლის შეკრებილთ — შანშე, ეარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, სარგის თმოგველი, გრიგოლ სურამელი, გამრეკელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი ერისმთავარნიო. საგულისხმოა, რომ ეგარსლან ბაკურციხელს არ ასახელებს მათ შორის. იგი თავად იბრძვის მეფობისთვის და თანახმა არ იქნება, დაკარგული უფლისწული მოძებნონ და მოიყვანონ; ალბათ ეს შეკრებაც მისგან დაფარულად მოხდა.

გადაწყდა, ჩამოეყვანათ უფლისწული ლაშას ძე, თუკი იგი მართლა ცოცხალი იქნებოდა. მოიკითხეს, მოძებნეს ვაჭარი, დაწვრილებით გამოჰკითხეს, და ამის შემდეგ უკვე მონღოლთა მესვეურებსაც მიმართეს დახმარებისთვის. მონღოლები აქამდე ხელს უწყობდნენ

სამეფო ხელისუფლების დასუსტებას – მათთვის ასე უფრო ხელსაყრელი იყო. იმიტომაც დააყოვნეს მეფე იმდენ ხანს დიდი ყაენის კარზე. მაგრამ ზედმეტი არეულობა და მთავართა შორის გამწვავებული განხეთქილებაც არ იყო მათთვის ხელსაყრელი. ამიტომ რაკიღა მეფის ახალი კანდიდატი აღმოჩნდა, თანხმობა მისცეს და დახმარებაც გაუწიეს — ვარამ გაგელსა და სარგის თმოგველს ანგურაგ ნოინიც გაპყვა ტყვე უფლისწულის ჩამოსაყვანად.

●

უფლისწულის სვედიანი თავგადასავალი მუდამ აღელვებდათ საქართველოში. ყველას არა ჰქონდა საშუალება, ხელნაწერებით გავრცელებულ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში წაეკითხა, და ზეპირად ერცელდებოდა, ერთმანეთს უამბობდნენ, თაობიდან თაობაზე გადადიოდა; ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, ბევრ რამეს უმატებდნენ, აერცობდნენ, ახალ ეპიზოდებს თხზაედნენ, ზღაპრულ სამოსელში ხვევდნენ... იქნებ ამითვე აიხსნას ზოგიერთი ზღაპრული ეპიზოდი თვით მემატიანის გადმოცემულ ამბავში: სხვადასხვა დროის გადამწერლები თხზულებისა თვითონვე უმატებდნენ ხალხში გაგონილ ეპიზოდებს. ქართულ ხალხურ ზღაპრებშიაც შეხვედებით ამ მწუხარე ამბის გამოძახილს სხვადასხვა ვარიაციებით სულ განსხვავებულ სიტუაციებში მოქცეულთ. განსაკუთრებით გაიზარდა პოპულარობა ამ ამბისა, როცა იგი, გასული საუკუნის მიწურულს საფუძვლად დაედო რამდენიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს (თავად ის ფაქტიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდი რამდენიმე ლიტერატურული თხზულების საფუძველი გახდა, უკვე მიგვანიშნებს დიდ პოპულარობაზე, რაც მას იმ დრომდე ჰქონდა). ეს დაემთხვა იმ სასურველ პერიოდს ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, როცა განსაკუთრებული სიმძაფრით გაცოცხლდა ინტერესი წარსულისადმი. ზედიზედ ეწყობოდა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული ექსპედიციები, ძველი არქიტექტურული ძეგლების მიკვლევა-შესწავლა... იქნებ მასშტაბი ამ კვლევისა მოცულობით მცირე იყო, მაგრამ ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანი... ზედიზედ დაიბეჭდა და გამოიცა „ქართლის ცხოვრება“ და სხვა ისტორიული თხზულებანი, გამოდიოდა ისტორიული ხასიათის სამეცნიერო და პოპულარული ნარკვევები; გაჩნდა ისტორიული მოთხრობები, სადაც ასახული იყო ტრაგიკული თუ გმირული ეპიზოდები ჩვენი ხალხის წარსულიდან. გაცოცხლდნენ წარსულის

გმირები, როგორც ხალხის ზნეობრივი აღზრდისა და განსპეტაკების ყველაზე კარგი საშუალება... და უფლისწულის ეს სევდიანი თავგადასავალიც სწორედ ზნეობრივი განწმენდის კარგი მაგალითი გამოდგა. ზემოთნახსენები თხზულებების პოპულარობას ისიც უწყობდა ხელს, რომ ავტორებმა უფლისწულის ისტორიულად ცნობილ ტრაგიკულ სიუჟეტს ფანტაზიით სხვა ისტორიული პირებიც დაუკავშირეს და სამიჯნურო-რომანტიკულ საბურველში გახვიეს.

ჩვენ უკვე ვიცნობთ უფლისწულის თავგადასავლის პირველ ნაწილს. ვიცით, რომ უსაფუძვლო ეჭვით გაცოფებულმა სულთანმა სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი უფლისწული, თავისი ცოლის ბიძაშვილი, ჯურღმულში ჩააგდო. მას შემდეგ დიდი ამბები დატრიალდა. ქვეყანას მონღოლები დაესხნენ და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ სულთანი დაამარცხეს. ტყვე უფლისწულს საპყრობილეში იქნებ ესმოდა კიდეც ბრძოლის ხმა, იქნებ იმედიც ჩაესახა, რომ მზის სინათლეს ელირსებოდა... მაგრამ ბრძოლის ზრიალი თანდათანობით დაცხრა, ცხოვრება კვლავ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, უდანაშაულო ქართველი უფლისწული კი ისევ საპყრობილეში იყო, გარესამყაროს მოწყვეტილი და ალბათ უკვე სამუდამოდ იმედდაკარგული. ბოლომდე უერთგულა მას საქართველოდან გაყოლილმა მსახურმა სოსანმა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ახერხებდა, პური და წყალი მიეწოდებინა თავისი პატრონისთვის და სიცოცხლე შეენარჩუნებინა.

და, აი, უფლისწულის გამოსახსნელად მიეშურებიან ორი ქართველი დიდებული და მონღოლი ნოინი, მხლებლებითურთ. ისინი სულთანს მიადგნენ და ტყვე უფლისწული მოსთხოვეს. სულთანს იქნებ მართლაც არ ეგონა ცოცხალი თავისი ცოლის ბიძაშვილი. ყოველ შემთხვევაში, ცივად მიიღო ქართველი დიდებულები და ასე უპასუხა: შვიდი წელი გავიდა, რაც ის საპყრობილეში ჩავაგდე და აღარ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარიო.

მაგრამ სანამ ქართველი დიდებულები სულთანს შეხვდებოდნენ, მათი ჩამოსვლა სოსანს გაეგო, დავით ლაშას ძის მსახურს, და მოეხერხებინა კიდეც მათთვის თქმა — სად იყო და რა დღეში იყო უფლისწული. ასე რომ, ვარამ გაგელმა და სარგის თმოგველმა მტკიცედ უთხრეს სულთანს: ჩვენ ვიცით, რომ უფლისწული ცოცხალია, და ისიც ვიცით, სადა გყავსო. ქართველ დიდებულებს ხომ მონღოლი ნოინიც ახლდათ. კიდეც რომ სდომოდა დაფარვა სულთანს, ნოინის შიშით ვეღარ დაფარავდა. გაგზავნა კაცი და გამოიყვანეს დავითი,

საბრალო სანახავი — „კნინღა სულიერ მყოფი... ფერი პირისა მისისა დაყვითლებულ იყო, და თმანი ვიდრე სხვილ-ბარკლამდე შთასრულ, და ფრჩხილნი ფრიად გრძელ“... ვარამსა და სარგის თმოგველს ტირილი მოერიათ, სულთანსაც შეებრალა... იგი ალბათ უკვე დარწმუნდა მის უდანაშაულობაში; შენდობა სთხოვა, დაასაჩუქრა და გამოისტუმრა.

საბრალო უფლისწული!.. აქამდე რამდენი უბედურება და სივაგლახე გამოიარა, და რამდენი კიდეე წინ მოელის!..

ჟამთააღმწერელი შემდეგ მოგვითხრობს, როგორ შეეგებნენ დიდებულები სულთნის ტყვეობიდან დაბრუნებულ უფლისწულს — აწ უკვე საქართველოს მეფეს, ჩამოთვლის კიდეც ამ დიდებულებს და არ აეიწყდება იქვე შენიშნოს — მხოლოდ ეგარსლანი არ შეხვედრიაო...

ეტყობა, მაშინვე, — იქნებ ნახევრად ხუმრობით, ან იქნებ ირონიით — თუკი ეს მოწინააღმდეგე მხრისგან იყო მოგონილი — დავით ლაშას ძეს „ვარამული მეფე“ უწოდეს, რაკი მისი გამომხსნელი ვარამ გაგელი იყო.

აწ უკვე საქართველოს მეფეო, ეთქვით, მაგრამ ვიჩქარეთ.. სრულუფლებიანი მეფე მაშინ გახდებოდა დავით ლაშას ძე, როცა დიდი ყაენი დაამტკიცებდა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნოინებს არა ჰქონდათ ამის უფლება... და ესეც – ეს უფლისწულიც, — მსგავსად თავისი მამიდაშვილისა, იმ „უცანურსა და ქართველთა ნათესავთაგან უვალსა გზას“ გაუყენეს — ბათო ყაენთან გაგზავნეს. რამდენიმე დიდებული ხომ იმ დავითსაც ახლდა, დავით რუსუდანის ძეს; ახლა ამ დავითსაც გაჰყვნენ — ზაქარია შანშეს ძე (მომავალი ამირსპასალარი), აღბუღა ვარამის ძე და სარგის თმოგველი. მონღოლებმა კარგად იცოდნენ თავიანთი საქმე — რაც უფრო ნაკლები დარჩებოდა ქვეყანაში განათლებული და სახელოვანი კაცი, მით უფრო დამშვიდებულები იყვნენ. და გზავნიდნენ, რა ენაღვლებოდათ, მიზეზს რა გამოლევდა — ხან რისთვის და ხან რისთვის... ყველა იქ უნდა ჩასულიყო, იქ, შორეულ ყარაყორუმში, ყაენს უნდა გაეჩინა სამართალი, ის იყო ყველაფრის მცოდნე და გულთამხილველი!..

მაგრამ ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, რამდენი დაპყრობილი ხალხი ჰყავდათ მონღოლებს და რამდენისთვის უნდა გაეჩინათ სამართალი, მარტო ქართველები ხომ არ იქნებოდნენ!.. ჩვენ ზემოთ პლანო კარპინი ვახსენეთ, რომის პაპის ელჩი ყაენის კარზე. პლანო კარპინი გვიამბობს, რა ამბები ტრიალებდა იქ, რა სამართალს აჩენდა დიდი

ყაენი... ამისი თქმა იქნებ არც იყოს საჭირო, ისედაც იგულისხმება: შორეული ქვეყნებიდან ჩასულ ხალხს, დიდებულებსა და მეფეებს, ისე ეპყრობოდნენ, როგორც უმდაბლეს პიროვნებათო, საგანგებოდ შენიშნავს პაპის ელჩი. იძულებულს ხდიდნენ დიდი საჩუქრები მიერთმიათ მხედართმთავრებისთვის, მათი ცოლებისთვის, მოხელეებისთვის, ათასისთავებისა და ასისთავებისთვის; ყველანი, თვით მსახურებიც კი უცხო მფლობელებს თავს აბეზრებდნენ ხოლმე საჩუქრების თხოვნით... საბაბს ეძებდნენ, რათა ზოგი მოეკლათ... ზოგი სასმელით ან საწამლავით მოეწამლათ... ერთი მიზანი ჰქონდათ: მარტო გაბატონებულიყვნენ დედამიწაზე და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ეძებდნენ კეთილშობილი ადამიანების გასაჟლეტადო...

ამას პლანო კარპინი წერს.

იგი იმასაც მოგვითხრობს, როგორ სამართალს აჩენდა ყაენი. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან აქ, რათა უკეთ წარმოვიდგინოთ, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ ასეთი სურათების მხილველი ქართველი უფლისწულები. ერთ-ერთი დაპყრობილი ქვეყნის მთავარი დაასმინეს ყაენთან, და თუმცა ბრალდება არ დაუმტკიცდა, მაინც მოკლეს, გადმოგვცემს პაპის ელჩი და განაგრძობს: „ეს რომ მისმა უმცროსმა ძმამ გაიგო, მოკლულის ქვრივთან ერთად ბათოსთან მივიდა და სთხოვა, მამულს ნუ წამართმევთო. ბათომ ჭაბუკს უთხრა, წესი მოითხოვს, რომ შენი ძმის ცოლი შეირთოო; ხოლო ქვრივს უბრძანა, მაზლს გაპყოლოდა, მონღოლების ჩვეულების მიხედვით. ქალმა უპასუხა, მირჩევნია მომკლანო. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბათომ ქალი და ვაჟი შეაუღლა; ორივენი საწოლთან მიიყვანეს, ეს მტირალი და მყვირალი ვაჟი ქალს თავზე დააწვინეს და აიძულეს ერთმანეთს პირობითად კი არა, ნამდვილად შეერთებოდნენ“.

ამ ხალხს უნდა გაეჩინა სამართალი, ამათთან მიეშურება ქართველი უფლისწული (რაღა თქმა უნდა, საჩუქრებით დატვირთული)...

ბათო ყაენს დავით ლაშას ძეც „კეთილად შეუწყნარებია“, და ის უკვე დიდხანს აღარ დაუყოვნებია, მალევე გაუგზავნია ყარაყორუმს, დიდ ყაენთან, თან სარგის თმოგველი და „მცირედნი ვინმე ქართველნი“ გაუყოლებია. ზაქარია და აღბუღა კი თავისთან დაუტოვებია.

●

დიდი ყაენის კარზე მეორე ქართველი მეფე და მისი მხლებლები დახვდა ლაშას ძეს. ახლად ჩასულები იქნებ არც კი მოელოდნენ,

ცოცხალი თუ იყო რუსუდანის ძე, რამდენი ხანია მისი არაფერი სმენოდათ. მაგრამ რუსუდანის ძე და მისი მხლებლები ცოცხლები იყვნენ და დიდი ყაენის გადაწყვეტილებას ელოდნენ (დაგვაეიწყდა გეეთქვა, რომ უგედეი უკვე ცოცხალი აღარ არის, დიდი ყაენის ტახტი ახლა მის შვილს გუიუქს უჭირავს), იმდენი სამართლის მაძიებელი ხალხი ირეოდა აქ, იმდენი ქვეყნისა და ჯურისა, რომ ამათთვის ჯერ ვერ მოეცალათ.

ახლა, როცა მეორე ქართველი მეფეც გამოცხადდა დიდი ყაენის კარზე, საქმე ერთბაშად გართულდა. აქამდე თუ ფარული მეტოქეები იყვნენ ერთმანეთისა, ახლა უკვე აშკარა და მწვავე გახდა ეს ქიშპობა...

და, გაგიკვირდებათ; იქაც, იმ შორეულ ყარაყორუმში, ყაენის კარზე, გაჩნდა ორი ქართული დაჯგუფება — ცალკე დავით ლაშას ძის მომხრეები და ცალკე რუსუდანის ძისა. ვის ეკუთვნოდა მეფობა? ვინ იყო კანონიერი?.. ეს დიდ ყაენს უნდა გადაეწყვიტა, იმან უკეთ იცოდა, იმას არ შეეშლებოდა!.. რუსუდანის ძის მომხრეებს გული საგულეს ჰქონდათ: ბოლოს და ბოლოს, ლაშას ძე უკანონო შვილი იყო, უკანონოდ გაჩენილი... ამას რომ გაიგებდა დიდი ყაენი, რაღა თქმა უნდა, რუსუდანის ძეს მისცემდა უპირატესობას. ასე ფიქრობდა ერთი მხარე, და, როგორც ითქვა, გული საგულეს ჰქონდათ.

მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა...

მკითხველს უნდა შევახსენო, რომ ამას მოგვითხრობს უშუალო მოწმე და მხილველი იმ მოვლენებისა და, ამდენად, სარწმუნოა, მოგონილი არაფერია.

დავით რუსუდანის ძე უფრო მეტი საჩუქრებით ყოფილა ხელდამშვენებული; „ბევრი საბოძვარი გასცაო“, — პაპის ელჩი წერს. და არგუმენტებიც უფრო მტკიცე და უტყუარი ჰქონია (მისი აზრით, რაღა თქმა უნდა): ჩემი მეტოქე მრუშობის ნაყოფია და ტახტი და მამისგან დატოვებული მამული მაგას არ ეკუთვნის, ჩემიაო.

მოხდა ისე, რომ რითაც გულმაგრები იყვნენ რუსუდანის ძე და მისი მომხრეები, სწორედ იმან უშველა ლაშას ძეს. მონღოლებმა რომ გაიგეს, ეს კაცი უკანონო შვილიაო, გაეცინათ. ასობით ცოლების პატრონთ, ლაშას უკანონობა რას გააკვირვებდათ! და რაკი ლაშა მამაკაცი მეფის შვილი იყო, ხოლო მეორე დავითი დედაკაცისა, უპირატესობა სწორედ ლაშას ძეს ეკუთვნოდა. ასე გადაწყვიტა დიდმა ყაენმა. მამიდისგან განწირულს, სამშობლოსგან დევნილს და წლობით საპყრობილეში გამომწყვდეულ ლაშას ძეს მტრად მოსული მონღოლების

კანონმა უშველა. პაპის ელჩი იქვე შენიშნავს, ალბათ ირონიულადაც — იმ მეორე დავითმა დარიგებული საჩუქრებიც დაკარგა და თავისი ძმის წინააღმდეგ წარმოებული სადავო საქმეც წააგო.

პაპის ელჩმა, ეტყობა, ბოლომდე ვერ მიადევნა საქმეს თვალი, თორემ, სინამდვილეში, არც რუსუდანის ძისთვის დაუწყვეტიათ მონღოლებს გული; ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, მისმა მდიდრულმა საჩუქრებმა, ეტყობა, მაინც გასჭრა — მასაც უბოძეს მეფობა, ოღონდ უპირატესობა მეორეს მისცეს, ლაშას ძეს, თავიანთ კანონს მთლიანად მაინც ვერ უღალატეს... მთავარი მაინც ის არის, რომ ყაენმა კარგად იცოდა: ორმეფობას ურთიერთ მუდმივი მტრობა და დაძაბულობა მოჰყვებოდა, და ეს სწორედ მათთვის იყო ხელსაყრელი: იმის თავი აღარავის ექნებოდა, რომ ჯანყზე ეფიქრათ, დამპყრობელის მონამორჩილები იქნებოდნენ. ერთი კარგი რამე კი გააკეთეს — და ამით თავადაც გაიადვილეს საქმე და სხვებსაც გაუადვილეს (მაშინ ალბათ ეს არ უფიქრიათ). რაკი ორივე მეფეს დავითი ერქვა და ერთ ქვეყანაში ერთდროულად უნდა ემეფათ, ლაშას ძეს, როგორც უფროსს, დავით ულუ (უფროსი) უწოდეს, ხოლო რუსუდანის ძეს — დავით ნარინი (უმცროსი). ასევე მოიხსენიებიან ისინი ისტორიაში.

რამდენი ხანი მოუნდა ამ საქმეს — ჯერ გამგზავრებას, მერე იქ ყურყუტს, დავას, უკან გამომგზავრებას, ამისი ზუსტი გამოთვლა ძნელია... ჟამთააღმწერელიც ზოგადად ამბობს — დაშთეს მრავალთა წელთა ყარაყორუმსო; ვარაუდობენ, რომ ქართველი მეფეები დაახლოებით 1249 წლისთვის დაბრუნებულან.

●

ჩვენ უკვე ვიცით, რომ გაამაყებული მთავარი ეგარსლან ბაკურციხელი თავად იჩემებდა მეფობას. ბოლომდე შერჩა ეს სურვილი? დაუპირისპირდა სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ მეფეებს? თუ მოერია ამბიციებს?..

როგორც ვნახეთ, ეგარსლანი მეტად კოლორიტული ფიგურაა ჩვენს ისტორიაში, და ალბათ მისი ბედიც გაინტერესებთ... მას არ ეღირსა სამშობლოში დაბრუნებულ მეფეებს დაპირისპირებოდა... ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს მისი ამბიციების დასასრულს.

ამირსპასალარი ავაგი ცოტა უფრო ადრე წამოვიდა ყარაყორუმიდან, მეფეთა წამოსვლამდე „წარმოაელინეს და მისცეს იერლაყი შეწყალებისა“. ქართველმა დიდებულებმა რომ გაიგეს დიდი

ხნის წასული ამირსპასალარის დაბრუნება, გზაშიეე შორს შეეგებ-ნენ... ყველა მთავარი და წარჩინებული იქ იყო.. თვით ეგარსლანიც კი, რომელსაც ლამის მეფედ მოჰქონდა თავი...

გამოჩნდა ავაგი და დიდებულები ხელადვე ცხენებიდან ჩამოსხდ-ნენ, პატივი სცეს, მოეხვიენენ, ეამბორნენ. მხოლოდ ეგარსლანი ვერ მოერია თავს; იქნებ ახლა ინანა კიდევაც, რას წამოვედიო; ასეთი პა-ტივით რომ შეხვდნენ მთავრები ამირსპასალარს, ეს ეტყობა, ეწყინა, შეშურდა.. და გაიბუსხა, ცხენიდან ჩამოსვლა არ იკადრა; ცხენზე მჯდარი მიესალმა მედიდურად... მაგრამ ავაგი ხომ ამირსპასალარი და ათაბაგი იყო, მწიგნობართუხუცესის შემდეგ პირველი ვაზირი! ახლაც, აგერ, მონღოლების „იერლაყით“ ბრუნდებოდა. რაღა გასაკ-ვირია, რომ არ მოუთმენდა... გაბრაზდა ამირსპასალარი — „განძვინ-და და თავსა მათრახითა უხეთქნა“; ბრძანა — ჩამოიღეთ ცხენიდან და მიწაზე დაახეთქეთო... დიდებულებსაც ეს უნდოდათ, გაბეზრე-ბული იყვნენ გალაღებული მთავრისგან. ჩამოიღეს ცხენიდან, ქუდი მოგლიჯეს და „უპატიო ყვეს და განძარცვილი განაძეს“...

ასე უსახელოდ დამთავრდა გაამაყებული თავადის ფუჭი შფოთი, ასე ერთბაშად დაცხრა მისი დაუოკებელი ენებები. ამიერიდან ვე-ღარც შევხვდებით მას.

ამრიგად, დიდი ხნის უმეფობის შემდეგ საქართველოს ერთბაშად ორი მეფე უბრუნდება, ბიძაშვილ-მამიდაშვილი, დავითი და დავითი — „და დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა, ტფილისს, დავით და და-ვით ორნივე“. თქმაც კი აღარ არის საჭირო, რომ ძალიან რთულ ვი-თარებაში მოუხდებათ მეფობა. რას იზამენ? ღირსეულად გაუძღვები-ან ქვეყანას? დაივიწყებენ ურთიერთ შუღლს, რაც მათ დაბადებითვე არგუნა ბედმა? იმ უსიამოვნო დავას დაივიწყებენ, რაც სულ ახლახან ჰქონდათ, უცხო ქვეყანაში, გადამთიელი დამპყრობლის თვალწინ?.. პატივმოყვარეობას მოერევიან?

თავი VII

მტრის ულლის ქვეშ მგმინავი საქართველო

დავით ულუს მიერ აღზევებული მესტუმრე ჯიქური მეფის მალემრწმენობის მსხვერპლი შეიქნა ✦ მონღოლთა ულლის ქვეშ მყოფი მოსახლეობის უმძიმესი, უკიდურესი სასოწარკვეთის წლები ✦ სოფლები დაიცალა, მეურნეობა განადგურდა ✦ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნასოფლარები ✦ მევახშეობა და სამხედრო ბეგარა, რის მიხედვიდაც ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების 90 000 ჯაბუკი გაჰყავდათ უცხო ომებში ✦ უცხოეთში გადახვეწილი ქართველი დიდებული, ქართლის ერისთავი ლიპარიტი და მისი მოდგმა. ძველი უფლებების აღდგენის დამტკიცება ✦ დავით ნარინისა და დავით ულუს მარცხით დამთავრდა აჯანყებები მონღოლთა წინააღმდეგ ✦ მეფის მაგივრად დასჯილი დედოფალი ✦ ურდოში დაკითხვაზე დაბარებული დავით ულუ და სარგის ჯაყელი

საქართველოში გრძელდებოდა დაპყრობილი ქვეყნის ჩვეულებრივი ცხოვრება — ერთმანეთზე გადაბმული მწარე და გაუხარელი დღეები — შიმშილი, გლოვა, ტირილი; ჩვენი სოფლებისთვის ჩვეული მხიარული სიცილისა და სიმღერების ნაცვლად, ირგვლივ მწუხარებას დაესადგურებინა და მხოლოდღა გმინვა ისმოდა... ხსნა არსაიდან ჩანდა, იმედი თითქოს გადაწურული იყო...

ასეთ ვითარებაში ქვეყანას ბრძენი მმართველი სჭირდებოდა, რომელიც დამპყრობლის უღელს შეუმსუბუქებდა, ფეოდალების თავაშვებულებას აღკვეთდა, რამეს იღონებდა, ხალხს დაუყვავებდა.

მაგრამ თავისთავად ის ფაქტიც, რომ ამდენი ხნის უმეფობისა და დაბნეულობის შემდეგ ქვეყანას ორი მეფე მოეელინა, სანუგეშოს ვერაფერს ამბობდა; ერთმანეთის მტრად გაჩენილი და ერთმანეთის მიმართ მტრული სულისკვეთებით აღზრდილი ორი მეფე! რა ხეი-

რი უნდა დაპყროდა ქეეყანას! რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ!.. ვაზირები და გავლენიანი ფეოდალები კიდეე უფრო გააღვიეებდნენ მათ მტრობას, ცეცხლზე ნავთს დაასხამდნენ... კარგად იცოდა ხალხმა ფეოდალების ბუნება...

მტრობას გააღვიეებდნენო, ვარაუდი გამოეთქეით; შეიძლებოდა უფრო კატეგორიულადაც გეეთქვა, ამისი საფუძველი გვაქვს — ქართველი მემატიანე პირდაპირ წერს: მანდატურთუხუცესი (შანშე) ლაშას ძეს უჭერდა მხარს, ხოლო ამირსპასალარი (ავაგი) „რუსუდანის ძისა დავითის მიმდგომობას“ ამეღავნებდაო.

„მ ი მ დ გ ო მ ო ბ ა ს ა ო!“

ეს სიტყვა უფლებას გეაძლევს ვიეარაუდოთ მეფეთა ირგვლივ დაჯგუფებები და იმ დაჯგუფებათა შორის — ჩუმი ბრძოლები; ორ ვაზირს ერთმანეთში ჩუმი მტრობა აქვთ; მანდატურთუხუცესს, ეტყობა, ამირსპასალარის თანამდებობაც მოსურეებია (რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც გახდება მისი შვილი საქართველოს ამირსპასალარი, და საგულისხმოა, რომ ეს ავაგის სიცოცხლეშიეე მოხდა), და ამათი ქიშპობა ახლა მეფეებზედაც უნდა გადავიდეს... შანშე და ავაგი დიდი ვაზირები იყვნენ, თავიანთი ვასალები ჰყავდათ, თავიანთი მოყვრები, მომხრეები, რომლებიც თვალში შეპყურებდნენ პატრონებს და მათ სურვილს ასრულებდნენ... სომეხი მემატიანის ცნობაც, დავით ლაშას ძეს „ვარამულ მეფეს“ უწოდებდნენო, იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ ვარამი ლაშას ძეს უჭერდა მხარს და რუსუდანის ძის წინააღმდეგი იყო?!.

ახლა დამპყრობელი! ისინი, მით უფრო, დაინტერესებული იყვნენ, ქართველ მეფეთა შორის მუდმივი შუღლი ყოფილიყო, და ხალხის ის პოტენციური ენერგია, რაც, დღეს არა ხვალ, შეიძლებოდა გარეშე მტრის წინააღმდეგ გამოვლენილიყო, ურთიერთ მტრობაში დაეხარჯათ... რაღა თქმა უნდა, დამპყრობელი ხელს შეუწყობდა მათ შორის შუღლს...

ერთი სიტყვით, ორ მეფეს შორის მტრობის გაღვიეების ყოველგვარი საფუძველი იყო.

საბედნიეროდ, საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. დიდი განსაცდელის დროს ახალგაზრდა მეფეებმა მაღალი შეგნებულობა, მამულიშვილობა და ზნეობრივი სისპეტაკე გამოამეღავნეს; მეტისმეტად რთულ ვითარებაში საკუთარ ამბიციებს მოერივნენ და ძნელად დასავიწყებელი წარსული დაივიწყეს. ჟამთააღმწერელი წერს: ისინი „სიყვარულსა ზედა ეგნეს და არა წინააღუდგებოდეს ერთმანეთსაო“

(დააკვირდით: არა წინააღუდგებოდეს ერთმანეთსაო! ამითაც კი კარგად მიგვანიშნებს მემატიანე, როგორი საფუძველი იყო ასეთი წინააღმდეგობისთვის)...

პირველი ნიშანი მათი მაღალი შეგნებულობისა და დიდი მამულიშვილობისა ის იყო, რომ საქართველოს მთლიანობა შეინარჩუნეს, ორ სამეფოდ არ გაყვეს, თუმცა დიდი ყაენის მიერ დამტკიცებული მათი ორმეფობა სწორედ ამას გულისხმობდა. ეს უგუნური ნაბიჯი იქნებოდა, ქვეყნის განსაცდელში ჩაგდება იქნებოდაო, წერს ივანე ჯავახიშვილი.

ზემოთ ის სიძნელეები ჩამოვთვალეთ, რაც ორი დავითის ერთობლივ მეფობას ახლდა თან, და არაფერი გვითქვამს, ისედაც რთულ ურთიერთობას როგორ გააძნელებდა მეფეთა ოჯახები... ეს უბრალო საქმე როდი გახლავთ... თავისთავად იგულისხმება, რომ მეფის თანამეცხედრეებს — თავად წარჩინებული ოჯახების შვილებს — საკუთარი ამბიციები ექნებოდათ, საკუთარი ზრახვები და მისწრაფებები, ძნელად დასაძლეი პატივმოყვარეობა... ჩვენ ახლავე გავეცნობით დავით ლაშას ძის ერთ თანამეცხედრეს და ვნახავთ, როგორ აქტიურად ან ზოგჯერ ქმარ-მეფისგან დამოუკიდებლად მოქმედებს იგი... ეს თავისთავად ბევრ რამეზე მიგვანიშნებს.

ლაშას ძის პირველი ცოლი ჯიგდა-ხათუნი გახლდათ. ვინ იყო ეს ქალი, ამის პირდაპირი ცნობები არ არსებობს, ისე კი აშკარად ჩანს, რომ მონღოლური წარმოშობისა იყო და ყაენის კარზე ყოფნის დროს შერთეს მეფეს, ალბათ ყაენისავე ბრძანებით (დამპყრობელს ურჩევნია თავისი აგენტი თუ არა, თავისიანი მაინც ჰყავდეს სამეფო კარზე, მეფის ოჯახში); ჰქონდა თუ არა მეფეს ამ ქალის სიყვარული, როცა ცოლად ირთავდა, ან შერთვის შემდეგ თუ შეუყვარდა, ეს ჩვენთვის უცნობია. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ქალი უნაყოფო გამოდგა, შვილი არ უჩნდებოდა, და ამან, რაღა თქმა უნდა, დააღონა მეფეცა და სამეფო კარიც. რაკი ქალი წარმოშობით მონღოლი იყო, ალბათ წარჩინებული ოჯახიდანაც, მეფე მის გაშვებას ვერ გაბედავდა, და როცა საბოლოოდ გადაიწურა იმედი, როცა დარწმუნდნენ, რომ დედოფალს შვილი აღარ გაუჩნდებოდა, მოიგონეს უცნაური და მარტივი ხერხი, იოლი გამოსავალი: უნდა ვიფიქროთ, დედოფლის თანხმობითაც, მეფემ მოიყვანა ოსის ქალი, სახელად ალთუნი, რათა მისგან შვილი ჰყოლოდა. მეორე ცოლის შერთვა მონღოლებისთვის და მონღოლური კანონის მიხედვით, საკვებით ჩვეულებრივი იყო, ეს არც ჯიგდა-ხათუნს უნდა გაჰკვირვებოდა და არც ნოინებს; მაგრამ

მეფე ხომ ქართველი იყო, მას ხომ თავისი რჯული არ დაუგმია, როგორ შეიძლებოდა, ერთდროულად ორი ცოლი ჰყოლოდა. და იოლი გამოსავალიც ის იყო, რომ გააჩენდა თუ არა ალთუნი ვაჟიშვილს („ყრმა-წულს"), მემკვიდრე უნდა დაეტოვებინათ, დედა კი გაეშვათ. ასე იყვნენ თავიდანვე შეთანხმებულები. „შვილიერების ძალით" მოიყვანესო, ასე წერს ჟამთააღმწერელი.

ალთუნმა მართლაც გააჩინა ბიჭი, რომელიც ჯიგდა-ხათუნმა იშვილა. ტახტის მემკვიდრეს გიორგი დაარქვეს. სეხნია პაპისა არ იყოს, ეს უჩვეულო გარემოებაში გაჩენილი ბავშვი უნდა ყოფილიყო საქართველოს მომავალი მეფე გიორგი მეხუთე; ბარემ ახლავე ვთქვათ, საქმე აქამდე არ მივიდა, უფლისწული დავაჟკაცდა კი, მაგრამ მეფობა არ ეღირსა, უდროოდ გარდაიცვალა.

რაკი „ყრმა-წული" შეეძინა მეფეს, ალთუნი უნდა გაეშვა, ხომ არ შეიძლებოდა ორი ცოლი ჰყოლოდა... მაგრამ სიყვარული, ეტყობა, სწორედ აქ ეწვია მეფეს — იგი ასე ადვილად ვეღარ შელევია ახალგაზრდა ქალს (მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს მის „ფრიად ქმნულკეთილობას"). ძნელი გამოდგა განშორება. და ამ მშვენიერი ქალისგან მეორე შვილიც ეყოლა დავითს, ამჯერად ასული, რომელსაც თამარი დაარქვეს. და ახლა კი იძულებული გახდა მეფე, განეშორებინა „საყუარელი თვისი ალთუნ"...

ამის შემდეგ დიდ ხანს აღარ გაუელია, რომ ჯიგდა-ხათუნიც გარდაიცვალა.

მაგრამ ჩვენ იმას მოვაყოლეთ ეს ამბავი, რომ დედოფალი ენერგიული ქალი იყო და დამოუკიდებელი მოქმედება უყვარდა.

ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ ქართველი მეფე ერთთავად მონღოლთა ლაშქრობებში იყო, ხოლო ზოგჯერ, როცა დიდი ყაენი დაიბარებდა ურდოში, დიდი ხნით მოწყდებოდა ხოლმე თავის სამეფოს და სახელმწიფო საქმეებს. სხვა ვითარებაში ასეთ დროს ქვეყნის გამგებლობა მეფის პირველ ვაზირს — მწიგნობართუხუცესს ეკისრებოდა. მაგრამ ლაშას ძემ დაარღვია ეს წესი, ანგარიში არ გაუწია საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ტრადიციას... დარღვევაც არის და დარღვევაც: მეფემ, ყველასდა გასაკვირად, ქვეყნის გამგებლობა მიანდო არა რომელიმე დიდ ვაზირს, ან ერისთავს, არამედ უბრალო მოხელეს — მესტუმრეს, „მანდატურთუხუცესის მეოთხეხარისხოვან ხელქვეშეთ მოხელეს". მთელი უხერხულობა ამ მოვლენისა ის გახლდათ, რომ მეფის არყოფნაში — რაც ზოგჯერ წლობით გრძელდებოდა — ქვეყ-

ნის უმაღლესი ვაზირები და წარჩინებულები ამ უბრალო მოხელის მორჩილნი უნდა ყოფილიყვნენ.

სამართლიანობა მოითხოვს, აქვე შევნიშნოთ: ეს არ ყოფილა უბრალო ახირება მეფისა. მ ე ს ტ უ მ რ ე, რომელსაც სახელად ჯიქური ერქვა, ჭკვიანი კაცი იყო, მტკიცე, შეუპოვარი, შორსმჭვრეტელი და სამართლიანი; ყველა იმ თვისებით შემკული, რაც ქვეყნის გამგებელს უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ერთი აკლდა — წარჩინებული ოჯახის შვილი არა ყოფილა. და ეს მეფემ არაფრად ჩააგდო... თუ ამგვარად შევხედავთ საქმეს, მაშინ, აშკარად ჩანს, მეფე დავით ულუ პროგრესული ადამიანი ყოფილა, მამასავით თავისუფლად მოაზროვნე, გაბედული... იქნებ იმიტომაც არჩია მეფემ უბრალო მოხელის ასეთი დაწინაურება, რომ ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულ დიდ ვაზირთაგან (აკი ითქვა, როგორი დაჯგუფებები შეიქმნა ორივე მეფის გარშემო) რომელიმესთვის ჩაბარება ქვეყნის მართვისა, მეტ უხერხულობას შექმნიდა, უფრო მეტად აენებდა საქმეს...

ულუ დავითი ყაენმა დაიბარა ურდოში. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მეფეს არ გაკვირვებია. იგი კარგად მოემზადა, საჩუქრებით დაიტვირთა და გაემგზავრა – მემატიანე საგანგებოდ უსვამს ხაზს საჩუქრების სიუხვეს, „ნიჭითა უზომოთა... წარვიდაო“, წერს; სამეფოს გამგებლად, ჩვეულებრივ, ჯიგდა-ხათუნი და ჯიქური დატოვა...

როცა ამ ცნობას გადმოგვცემს მემატიანე, იქვე ქებით მოიხსენიებს მესტუმრეს, და ამის დასტურად რამდენიმე კონკრეტულ მაგალითსაც ასახელებს: იმ მეტად რთულ ვითარებაშიაც მას დანგრეული „ისანთა პალატის აღშენება“ მოუხერხებია, სამეფოსთვის ხარკის ურჩი გადამხდელი კუთხეები დაუმორჩილებია და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თავისი სიმტკიცითა და შეუპოვრობით, სრულიად აღუკვეთავს ქურდობა-ავაზაკობა; როცა ვინმეს ქურდობაზე წაასწრებდნენ, მაშინვე ძელზე ჩამოკიდებდნენ. მესტუმრე ჯიქურის მოღვაწეობაში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბედით დაჩაგრული ხალხის — ქვრივ-ობლებისა და არაფრის მქონებელთა ქომაგობა, მათთვის მუდმივი ზრუნვა; ეს მისთვისაც საქებური თვისებაა და მეფისთვისაც, რომელსაც ასეთი კაცი დაუწინაურებია და ქვეყნის გამგებლობა ჩაუბარებია.

იქნებ ჯიქურის თანამდებობრივად დაწინაურებაც ჰქონდა განზრახული მეფეს!..

ეს საინტერესო საკითხია, რამდენადაც მესტუმრის დაწინაურება საავაზიროს გადემოკრატულებას ნიშნავდა, და თუ მართლა ასე-

თი განზრახვა ჰქონდა მეფეს, ეს კიდევ ერთ შტრიხს მატებს მის პორტრეტს. გავიხსენოთ: თავის დროზე მეფის დიდმა წინაპრებმაც სცადეს, და, საბოლოოდ, ვერ მოახერხეს.

სავაზირო და დარბაზი როგორღა ითმენდნენ უსამართლოდ დაწინაურებულ კაცს — ნუთუ წინააღმდეგობა არ გაუწიეს მეფეს? თქვენ ალბათ გახსოვთ, თამარიც კი ვერ წინააღუდგა დარბაზს, იძულებული გახდა თავისთვის სასურველი ვაზირები შეეცვალა...

წინააღმდეგობა ახლაც უსათუოდ ექნებოდა მეფეს, ვაზირები და ქვეყნის გამრიგენი, რაღა თქმა უნდა, უკმაყოფილო იქნებოდნენ უგვარო კაცის აღზევებით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დრო იყო არეული, სავაზიროსა და დარბაზის წევრები თავად განუწყვეტლივ ბრძოლებში იყვნენ — ხან ერთი ახლდა მონღოლებს ლაშქრობებში და ხან მეორე, მათ საშუალება არ მიეცათ ერთობლივი წინააღმდეგობისა. თანაც, დედოფალი მფარველობდა მესტუმრეს, და ეს ბევრს ნიშნავდა. მონღოლი ქალისთვის სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა ქვეყნის გამგებელი, მას სულაც არ აღელვებდა დიდგვაროვან ვაზირთა ამბიციები; ვინ იცის, გულში ეცინებოდა კიდეც — ნეტა რას იბრძვით, რას სხმარტალებთ, რის თავი გაქვთ, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ მიხვდით, რომ ამოდენა იმპერიის მონამორჩილები ხართო.

დავით ულუ დიდხანს დაყოვნდა ყაენთან („ჟამთა მრავალთაო", მემატიანე წერს) და მეფისავე დანიშნულმა ზოგმა საქვეყნოდ გამრიგემ სულწასულობა და უმადურობა გამოიჩინა, ტახტისადმი მორჩილება იუკადრისა, განზე გადგომა მოინდომა, დამოუკიდებელი პარპაში მოეგუნება...

პანკელმა თორღვამ, რომელიც კახეთის გამგებლად ჰყავდა მეფეს დანიშნული, და მისგანვე იყო გაფრთხილებული, „რათა ბრძანებასა დედოფლისას ერჩდეს", გადაწყვიტა, მეფე აღარ დაბრუნდებაო და დრო იხელთა, პანკისის ციხეში გამაგრდა, თავი მთელი კახეთის დამოუკიდებელ ბატონ-პატრონად გამოაცხადა...

მოტყუვდა სულწასული მთავარი. მეფე მაინც დაბრუნდა — ბოლოს და ბოლოს, გამოუშვა ყაენმა; თანაც, დიდი პატივით გამოგზავნა — ყოველი სათხოვნელი აღუსრულაო, მემატიანე წერს. ძნელი სათქმელია, რა ჰქონდა მეფეს სათხოვარი და რა აღუსრულა ყაენმა; ეს კია, რომ დიდი პატივისცემის ნიშნად ს უ ქ უ რ ი — საჩრდილობელი — უბოძებია; ეს კი ისეთი რამე გახლდათ, „რომელი სხუასა არავის აქუნდის, თვინიერ ყაენთა და ნათესავთა მათსა"...

ყოველწლიურად იმდენი დოლათი გაჰქონდა, ქართველ ახალგაზრდებს განუწყვეტლივ ლაშქრობებში მიერეკებოდა და ჟლეტდა, ქვეყანას სისხლიდან ცლიდა, და ყაენსაც უმადურობა არ გამოუჩენია, ყოველივე ამის სამაგიეროდ ს უ ქ უ რ ი უბოძა მეფეს, ასე დააფასა ქვეყანაცა და მისი მბრძანებელიც, დიდსულოვნება და მადლიერება გამოიჩინა!

ერთი სიტყვით, მეფე დაბრუნდა, და როცა საქართველოს საზღვრებში შემოვიდა, წარჩინებულები მიეგებნენ. მხოლოდ თორღვა პანკელმა დაარღვია წესი — ვერ გაბედა მიგებება — თუმცა სამშობლოში დაბრუნებული მეფე პირველად სწორედ მის მხარეს მიადგა, „ჰერეთს მოიწია“... თორღვა კი, „შეშინებული, უკუდგა პანკისს“.

პანკისში გამაგრება რას უშველიდა.

მეფემ თბილისში დაიბარა გათავხედებული მთავარი, მაგრამ თორღვა პანკელი ციხიდან გამოსვლას ვერ ბედავდა; მეორედაც დაიბარა მეფემ, მესამედაც, მაგრამ ვერა, ვერ მოიყვანა.

მაშინ ჯიქურმა გადაწყვიტა, ეშმაკობით გამოეტყუებინა ციხეში გამოკეტილი შეშინებული მთავარი; ბერი ხორნაბუჯელი მიუგზავნა.[1] ყველაფერს გაპატიებთ, გამოდი, მეფეს ეახლეო.

თორღვა სიტყვას როდი ენდო, ხორნაბუჯელს მოსთხოვა — ალაველრდის წმიდა გიორგის წინაშე ფიცით დამიმტკიცე, რომ არაფერს მაენებთო. ხორნაბუჯელმა მისცა უვნებლობის ფიცი, და მხოლოდ ამის შემდეგ წამოყვა ჰერეთის ერისთავი; ხორნაბუჯელმა ტაბახმელას მიიყვანა, მეფის სასახლეში. მაგრამ საშინლად გატეხეს ფიცი; მეფეს, ეტყობა, არც კი მოახსენეს ურჩი მმართველის შეპყრობის ამბავი, ან იქნებ, მეფე არც იყო იმ დროს ტაბახმელას, და სწორედ იმიტომ მიიყვანეს იქ. გაბრაზებულმა ჯიგდა-ხათუნმა ტყვის მოკვლა ბრძანა, და მაშინვე შეასრულეს კიდეც დედოფლის ბრძანება — „წარიყვანეს კლდე-კართა და გარდამოაგდეს“; ასე მოიშორეს თავიდან ურჩი მთავარი. თვინიერ მეფისა ცნობისაო, საგანგებოდ შენიშნავს მემატიანე, და ამითაც მიგვანიშნებს, რა თავნება ყოფილა, რა გაელენა და უფლებები ჰქონია დედოფალს.

ამის შემდეგ ჯიგდა-ხათუნს, ეტყობა, ბევრი აღარც უცოცხლია.

დავით ლაშას ძემ მალე გამოიგლოვა დედოფალი, დიდხანს არ დარჩენილა უცოლოდ.

---

1 ბროსეს განმარტებით, აქ სასულიერო პირი კი არ იგულისხმება, არამედ ერთგვარი „მამასახლისი“..

ჟამთააღმწერლის მონათხრობში ზოგი ფაქტისა და მოვლენის ზუსტი დროის დადგენა ჭირს, რადგან ხშირად არც მოვლენის თარიღს აღნიშნავს და არც ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას იცავს; იგი შესანიშნავი მთხრობელია და თხრობის დინებას მიჰყვება, თხრობის ძაფს არა წყვეტს, მის ლოგიკურსა და ემოციურ ძალას ემორჩილება; ამიტომ როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ზოგჯერ წინ გაიჭრება, ამა თუ იმ ფაქტს, თხრობის ლოგიკის მიხედვით, ისეთ ვითარებაში გადმოგვცემს, როცა ქრონოლოგიურად მისი ადგილი იქ არ არის... სხვა წყაროების მოშველიებით და მათთან შეჯერებით, მაინც ხერხდება თხზულებაში ამ თვალსაზრისით ბუნდოვანი თარიღის დადგენა. ახლაც ისეთნაირად გადმოგვცემს იგი მეფის მეორედ დაქორწინების ამბავს, რომ, ერთი შეხედვით, ძნელი დასადგენია, როდის მოხდა ეს; მით უმეტეს, არც ჯიგდა-ხათუნის გარდაცვალების თარიღია ზუსტად მინიშნებული. მაგრამ მეფის მეორე ცოლის ვინაობას რომ გავიგებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რა ვითარებაში მოხდა ეს ქორწინება, უკვე თარიღის მიახლოებითი დადგენაც ხერხდება.

1250 წელს გარდაიცვალა ავაგ მხარგრძელი (ზოგი წყაროს მიხედვით, ავაგს თითქოს სიცოცხლეშივე ჩამოართვეს ამირსპასალარობა და ზაქარია შანშეს ძეს გადასცეს), და მეფემ გადაწყვიტა, „ტირილად“ მისულიყო, სამძიმარი ეთქვა თავისი დიდი ვაზირის ოჯახისთვის. ოღონდ, ეტყობა, დაკრძალვაზე კი არა, ცოტა უფრო მოგვიანებით მოხდა ეს; რადგან დაკრძალვის დროს მეფე აქ არ იყო. მონღოლებს ახლდა ჩვეულებრივ. ახლაც ლაშქრობიდან დაბრუნებულმა გზად „შემოიარა ქუეყანა ავაგ ათაბაგისა“... მივიდა ბიჯნისს და მოხდა ისე, რომ მეფე თავისი ფეხით მიადგა ბედს: ავაგის მშვენიერი ცოლი მოეწონა — გ ვ ა ნ ც ა, რაჭის ერისთავთ-ერისთავის კახაბერიძის ასული. მეფეს შუყვარდა ეს ქალი, „ეტრფიალა, და შემდგომად მცირედისა მიიყვანა იგი ცოლად და დედოფლად“... ეს უნდა მომხდარიყო 1251 წელს — ტრადიციის მიხედვით, ავაგის გარდაცვალებიდან ერთ წელს უნდა გაევლო, გლოვის წელს (თითქოს ბედის დაცინვასავით იყო — დავით ლაშას ძეს შეუყვარდა ცოლყოფილი სწორედ იმ კაცისა, რომელიც ამას წინათ განუდგა მას და მეფედ დამტკიცების დროს მხარი არ დაუჭირა)...

აქ კი უნდა შევწყვიტოთ ჩვენი მოთხრობა, და ისღა შევნიშნოთ, რომ გვანცასთან მეფეს ეყოლა ვაჟი, შემდეგში ცნობილი ქართველი მეფე დიმიტრი თავდადებული.

ახლა კი საშუალება გვაქვს, ახალგაზრდა მეფეთა პორტრეტულ მონახაზებსაც გავეცნოთ; მემატიანეები ყოველთვის როდი გვაძლევენ სხვადასხვა ისტორიულ პირთა პორტრეტულ დახასიათებას.

„ხოლო იყო ესე ლაშას ძე დავით ტანითა დიდ და ახოვან და სხეილ, და მოისარი მაგრითა მშვილდითა, უმანკო, წრფელი, და მალემრწმენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა“...

„...და რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ჰაეროვან და შუენიერ, და თმითა თხელ, ფერხითა მალე, მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა. ენა-ტკბილ და სიტყვიერ, უხუ და მდაბალ, ცხენსა ზედა მხნე, და ლაშქრობათა შინა გამგონე, და სამართლის მოქმედ“...

მკითხველს ალბათ ავისმომასწავებლად მოხვდა ყურში დავით ლაშას ძის მალემრწმენობა. მალემრწმენობა, საერთოდ, ადამიანის ხასიათის მეტად სავალალო სისუსტეა, მაგრამ როცა ქვეყნის მბრძანებელს გამოაჩნდება იგი, ზოგჯერ საშინელ ბოროტებად იქცევა; ისეთ საშინელ ბოროტებად, რომ ხალხს, სხვა ადამიანურ სისუსტეთა შორის, თითქმის ყველაზე უსიამოვნოდ იგი დაუსახავს; გავიხსენოთ ჩვენი ზღაპრები: რამდენი უსამართლობისა და უმადურობის, რამდენი უბედურების საფუძველი გამხდარა მალემრწმენობა... რამდენ ზღაპარში შეხვდები ამ თემას — სულ სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა ნიუანსებით, სხვადასხვა ემოციური დატვირთვით; ხალხი თითქოს საკუთარ თავსვე აფრთხილებს, ცდილობს, არ დაივიწყოს ადამიანის სულში დაბუდებული სატანა, რომელიც გულუბრყვილობისა და უმანკოების საბურველში გახვეულა...

იმიტომ შევაჩერე მკითხველის ყურადღება მეფის ამ სისუსტეზე, რომ მინდა ამჯერად ერთი ეპიზოდი გავიხსენო მეფის ცხოვრებიდან რაც უშუალოდ უკავშირდება ზემოთ მოთხრობილ ამბებს.

როგორც უკვე ვიცით, დავით ლაშას ძის მიერ აღზევებული მესტუმრე ჯიქური, დედოფლის ხელშეწყობითა და მფარველობით, მეფის არყოფნაში თავის ნებაზე განაგებდა ქვეყანას. ჯიგდა-ხათუნი რომ მოკედა და მეფემ დიდი ქართველი ერისთავთ-ერისთავის ასული გვანცა შეირთო, ჯიქურს ეს ვერაფრად ეჭაშნიკა — „გვანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა მესტუმრეს“ — იგრძნო, რომ ამიერიდან ფრთები შეკვეცილი ექნებოდა. დედოფალმა, ეტყობა, მაშინვე აგრძნობინა ეს აღზევებულ მოხელეს და თავიდანვე მტრად მოეკიდ-

ნენ ერთმანეთს. ჯიქურის აღზევება არავის არ სიამოვნებდა სამეფო კარზე. მაგრამ ჯიგდა-ხათუნის შიშით აქამდე ვერაფერი გაებედათ, გულში მოთმინებით იკლავდნენ მის სიძულვილს. ახლა კი, გვანცა დედოფლის განწყობილება რომ შენიშნეს, გაიხარეს, მოილაპარაკეს, გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ და „განზრახვითა სუმბატ ორბელისათა შესმენილ იქმნა“ — მეფესთან დაასმინეს: მოუგონეს, თითქოს მესტუმრე დაკავშირებული იყო ყაენის აგენტებთან და დროდადრო ფარულად აცნობებდა ყაენს, თუ რა სიმდიდრე პქონდა მეფეს...

ჩვენ ხომ უკვე ვიცით დავით ლაშას ძის სისუსტე; ეტყობა, სამეფო კარზედაც კარგად სცოდნიათ — მაშინვე ირწმუნა მეფემ და გახელდა: ბრძანა სასწრაფოდ მოეყვანათ მესტუმრე, ხოლო მისი სახლი „იავარ ეყოთ“. რაღა თქმა უნდა, მაშინვე შეასრულეს მეფის ბრძანება, აღარ დაუყოვნებიათ; ღამით მოიყვანეს მესტუმრე, მაგრამ დილამდე აღარ დაუცდიათ (ალბათ, იმის შიშით, მეფემ არ გადაიფიქროსო...); ულუ დავითი ისნის სასახლეში ბრძანდებოდა, როცა ჯიქური მოიყვანეს, აივანზე იჯდა და მტკვარს გადაპყურებდა... არც კი გამოლაპარაკებია ერთგულ მოხელეს, მისკენ არც კი მიუხედავს, „განუკითხავად ბრძანა შთაგდებად მტკვრისა“...

როცა გათენდა, ხალხმა რიყეზე გამოგდებული გვამი ნახა. იცნეს, ჯიქური იყო — „და განკვირდეს ყოველნი მხილველნი ანასდათისა სიკუდილისათვის“... ეგდო გვამი რიყეზე და დამმარხველი არა ჩანდა (ჯიქური უშვილო იყო). ბოლოს „ყოველნი გლახაკნი და ობოლ-ქვრიენი ეეედრნეს მეფესა“, დამარხვის ნება მოგვეციოთ. როგორც ითქვა, ჯიქური ქვრივ-ობლებისა და დაჩაგრული ხალხის ქომაგი და შემწე იყო.

ასე ემსხვერპლა მეფის ერთგული ადამიანი მეფისავე მალემრწმენობას.

სხვა ფაქტსაც გადმოგვცემს მემატიანე, მეფის აჩქარებული და განუკითხავი მოქმედების გამომხატველს, მაგრამ ქრონოლოგიურად ეს უფრო გვიან მოხდა და ქვემოთ გიამბობთ.

ახლა კი ისევ მეფეთა ოჯახებზე... ჩვენ დავით ლაშას ძის მეორე თანამეცხედრესაც გავეცანით — ქვემოთ კიდევ შევხვდებით მას; მეორე დავითის ოჯახზე ჯერ არაფერი გვითქვამს. დავით ნარინის ოჯახთან მნიშვნელოვანი არაფერია დაკავშირებული. ქართველი მემატიანე თითქმის არც კი ახსენებს მას, სახელითაც კი არ მოიხსე-

ნიებს. დავით ნარინს ორი ცოლი ჰყოლია: პირველი — მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასული (ბროსეს ცნობით, მისი უკანონო შვილი) და მეორე — ვინმე ემენელის ძის ასული თამარი... შეგვიძლია ვივარაუდოთ, რა სურვილები და ამბიციები ექნებოდა, ვთქვათ, უცხოელ ქალს, პალეოლოგოსის ასულს, როგორ შეუთავსდებოდა ეს სურვილები ლაშას ძის მეტად ამაყი და ენერგიული ცოლების სურვილებსა და ამბიციებს, როგორ შეუშლიდა ხელს მეფეთა ურთიერთობას, და, საბოლოოდ, როგორ იმოქმედებდა ეს საქვეყნო საქმეზე...

ასეთ ვითარებაში რომ მაინც შეინარჩუნეს მეფეებმა ურთიერთსიყვარული, და საჭირო შეგნებულობა გამოიჩინეს, ეს თავისთავად, საქებური საქმეა და შთამომავლების პატივისცემას იმსახურებს... მაგრამ, ზემოთ აკი ითქვა, დარბეულსა და სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას მარტო ეს — მეფეთა ურთიერთსიყვარული — არ ეყოფოდა, მოელა სჭირდებოდა, გზის გაკვლევა, ჭრილობების მოშუშება... ბრძენი ადამიანის თვალი და გული იყო საჭირო, რომ გატანჯულ ხალხს ცოტათი მაინც შვება ეგრძნო...

ეს კი აღემატებოდა ახალგაზრდა მეფეთა ძალას... თუმცა ამისათვის ვერც დავძრახავთ მათ. რამდენადაც სიბრძნე უდიდესი მადლია ადამიანისა, და მუდამ საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს, იმდენადვე, სხვა ღირსებათაგან განსხვავებით, მისი უქონლობა მანკიერებად ვერ ჩაითვლება.

ანკი როგორ უნდა მოეელოთ ქვეყნისთვის, სად იყო ამისი დრო და საშუალება!.. ისე ჰქონდათ მოწყობილი დამპყრობელთ, რომ ისინი ნიადაგ მოწყვეტილნი იყვნენ არა მარტო საქვეყნო საქმეს, არამედ ქვეყანას საერთოდ: ან ლაშქრობებში ახლდნენ ნოინებს, ან ყაენის კარზე იყვნენ გაძახებულები და იქ ყურყუტებდნენ... მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა იყო, ლამის მთელი მსოფლიო დაიპყრეს მონღოლებმა, ბევრი ქვეყანა მოსპეს და გადათელეს, ხალხები მათ უღელში გმინავდა, საკაცობრიო ცივილიზაციას საშიშროება ემუქრებოდა... და ასეთ პირობებში უსამართლობა იქნებოდა, ახალგაზრდა ქართველი მეფეებისთვის იმაზე მეტი მოგვეთხოვა, რაც სხვებმაც ვერ შეძლეს, უფრო ვრცელმა და მრავალრიცხოვანმა ქვეყნებმა, ბევრმა სხვა, ასევე მაღალი კულტურის ქვეყანათა მმართველებმა...

საქართველოს რბევა კი გრძელდებოდა, ხალხი სისხლისგან იცლებოდა.

●

დაპყრობილ ქვეყნებს რომ სიმდიდრისა და სისხლისგან კარგად დაცლიდნენ მონღოლები, მაშინვე ახალი ქვეყნების დასაპყრობად დაიძვრებოდნენ, რათა ახალი სიმდიდრე მოეპოვებინათ, ახალი საძოერები ჩაეგდოთ ხელთ, ჭაბუკები გამოერეკათ და სხვა ქვეყნების დასაპყრობად წაესხათ, იქ გაეჟლიტათ... ქვეყნების დაპყრობის ჟინი აღარ უცხრებოდათ მიწას დახარბებულებს; ძალიან ერცლად გაიჭიმა იმპერია, შორს გაიჭრა მისი საზღვრები... და ამოდენა ქვეყნების მონელება ძნელი გამოდგა, მეთვალყურეობა გაჭირდა, ცალკეულ ქვეყნებში ჩასაყენებელი გარნიზონები — „მცველნი ქვეყნებისანნი“ — აღარა ჰყოფნიდათ... ვეება იმპერიას, რომელიც თავად არაფერს ქმნიდა და მხოლოდ სხვის ნაამაგარს ნთქავდა, საერთოდ აღარაფერი ყოფნიდა. მარტო საფოსტო ხარჯები რამდენი დასჭირდებოდათ. ერთი უცხოელი მემატიანის ცნობით, ყოველ 25-30 კილომეტრზე თითო საფოსტო სადგური — ანუ როგორც თავად უწოდებდნენ, იამა ჰქონდათ და თითო ასეთ იამას ათასამდე კაცი ემსახურებოდა. ისინი იცავდნენ თვით სადგურს და გზას სადგურიდან სადგურამდე. რაც მთავარია, ზვერავდნენ მგზავრებს, საეჭვო პირებს უთვალთვალებდნენ, ამოწმებდნენ...

მემატიანე მხოლოდ ერთი მხარის გზას აგვიწერს. რამდენი ასეთი მხარე და გზა იყო იმ დიდ იმპერიაში!

ამ გზებზე განუწყვეტლივ დაპქრიან ყაენებისა და ნოინების მოხელეები — ზოგი ხარკის ასაღებად მიეშურება, ზოგი საიდუმლო დავალებით მიდის; ზოგი სადღაც ინიშნება, მეორე უფრო „რბილი“ მოხელის შესაცვლელად; ზოგს სამხედრო ბრძანება მიაქვს, ვთქვათ, ყარაყორუმიდან უნგრეთში, სადაც ახლა ბათო ყაენი იბრძვის; ზოგს იმავე უნგრეთიდან საჩუქარი მიაქვს დიდ ყაენთან; ზოგს რომელიმე დაპყრობილ ქვეყანაში ქალი მიპყავს, რომ იქაურ დიდებულს ცოლად შერთოს.

ადგილობრივად ვეღარ უშოვიათ შესაფერი საცოლე!..

ეს უბრალო მოხელეები!

ყველას რას ჩამოვთვლით!

ახლა უფლისწულები, ელჩები, მონღოლი დიდებულები და მათი მხლებლები!..

გზებზე განუწყვეტელი მოძრაობა იყო, ვთქვით. ჩვენ უკვე ვნახეთ და ქვემოთ კიდევ ვიხილავთ, მარტო ქართველი რამდენი ხლებია

ჯერ ერთ ყაენს, მერე — მეორეს: ხან დასანიშნად, ახალი თანამდებობის მისაღებად, ხან იმიტომ, რომ რაიმე დანაშაულის გამო გაპკიცხონ ან სულაც მოკლან, ხან რაიმე საქმის გასარჩევად — სამართლის დასადგენად... რამდენი ასეთი ხალხი ჰყავთ დაპყრობილი, რამდენი ადამიანი უნდა ეახლოს ყაენს, რამდენს გაუჩინონ სამართალი... წლობით გრძელდებოდა ასეთი მგზავრობა. ბათომ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაიგო უგედეის სიკვდილი. ვრცელი იმპერია იყო, გრძელი გზებით დასერილი.

გზის მარტო ერთ მონაკვეთზე — ყარაყორუმსა და პეკინს შორის — 37 იამა ჰქონიათ, და ამ გზაზე ყოველდღიურად 500 უშველებელი ფურგონი დაგრიალებდა, თითო ფურგონში ექვს-ექვსი ხარი ება: გადაჰქონდათ ყოველგვარი საკვები — პურით დაწყებული და ბრინჯით გათავებული.

ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, რამდენი სამარქაფო ცხენი დასჭირდებოდათ თითოეულ სადგურზე; საკვები — ცხენებისა თუ ადამიანებისთვის... ყოველ სადგურზე მოწყობილი ჰქონდათ ბეღელი — ერთგვარი საწყობი, სადაც სანოვაგეს ინახავდნენ. უფრო საპატიო მგზავრებისთვის ცხვრებიც ჰყავდათ — სახელდახელოდ დაკლავდნენ, შეუწვავდნენ და მიართმევდნენ; იქნებ რძე უყვარდა ამ საპატიო მგზავრს, არც ამაზე დაწყვეტდნენ გულს — მოსაწველი ცხენებიც იქვე ჰყავდათ, მოწველიდნენ ხელად და თბილ-თბილ რძეს მოართმევდნენ. ერთი სიტყვით, ეს საქმე ჩინებულად იყო მოწყობილი; კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ მეომარი ხალხისთვის, რომლებიც განუწყვეტლივ ბრძოლებში იყვნენ, სულ ახალ და ახალ შორეულ ქვეყნებს იპყრობდნენ და ფრონტი ძალიან ვრცლად ჰქონდათ გაჭიმული, საგზაო და საფოსტო კავშირს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; თითქოს უცნაურია, მაგრამ მეტად დაბალი ყოფითი კულტურის პატრონნი ამას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ — თვით დიდი ყაენი დროდადრო ამოწმებდა ხოლმე.

ბუნებრივია, რამდენადაც კარგად ჰქონდათ ეს საქმე მოწყობილი, იმდენად დიდი შრომა და ხარჯი სჭირდებოდა. ეს ხარჯი შეწერილი ჰქონდათ იამების ახლო-მახლო მდებარე სოფლებს; მაგრამ ათასჯერ გაძარცულ-დარბეული და წელში გაწყვეტილი სოფლები ეეღარ აუდიოდნენ, თავად აღარაფერი ებადათ; თუკი მოუხერხდებოდათ, ტოვებდნენ ამ სოფლებს და გარბოდნენ...

ერთი სიტყვით, ბევრი ფული და სიმდიდრე სჭირდებოდათ, და რაკი დაპყრობილ ქვეყანას მალევე გამოსწოვდნენ ყველაფერს, ახა-

ლი სიმდიდრის მოსაპოვებლად, ახალი ქვეყნების დასაპყრობად უნდა ეზრუნათ.

ბათო ყაენი, როგორც ვნახეთ, ძალიან შორს გაიჭრა დასავლეთისკენ... უფრო შორს წასვლა ჰქონდა განზრახული, ევროპის გულში უნდა შეჭრილიყო, მაგრამ ვეღარ გასწვდა, ძალა არ ეყო, ზურგი არა ჰქონდა მტკიცე: დაპყრობილ ქვეყნებში ხან სად იფეთქებდა აჯანყება და ხან სად... საალალბედოდ ვერ გაიხდიდა საქმეს; და თუმცა დიდი იყო ცთუნება, დაუჭედავი ცხენებით დასავლეთშიც გაენავარდა, ის მდიდარი ქვეყნები და ქალაქები დაერბია, რომლებიც იქვე, სულ ახლოდან მაცთუნებელი ღიმილით შემოსცქეროდნენ სისხლით გაუმაძღარ დამპყრობელს და ახალ მსხვერპლს სთავაზობდნენ, ჭკვიანი სარდალი ცთუნებას არ აპყვა, თავი შეიკავა.

და როცა 1242 წელს უგედეის სიკვდილის ამბავი შეიტყო (როგორც ითქვა, ამ ცნობამ გვიან მიაღწია ბათომდე — უგედეი 1241 წელს მოკვდა), გულში ალბათ გაუხარდაო, მკვლევარები წერენ, საბაბი მიეცა საჩქაროდ გამობრუნებულიყოო...

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა, და, აი, ახალმა მბრძანებელმა მანგუმ, — რომლის გაყაენებაში ბათომაც აქტიური მონაწილეობა მიიღო, — თავისი ორი ძმა — ყუბილა და ჰულაგუ — ახალი ქვეყნების დასაპყრობად დაძრა. ბათო ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ არის, მის საყაენო ტახტზე მანგუმ ჯერ ბათოსავე შვილი დანიშნა, მაგრამ იგი მაშინვე გარდაიცვალა და საბოლოოდ ტახტი ბათოს ძმას ბერქას დარჩა.

ყუბილამ აღმოსავლეთით გაილაშქრა, მისი მიზანი იყო კორეის და იაპონიის დაპყრობა. მოაწყო საზღვაო ექსპედიციები, მაგრამ არ გაუმართლა, ზედიზედ მარცხი განიცადა... საბოლოოდ, როცა საგულდაგულოდ აღჭურვა დიდი საომარი ფლოტი და მტკიცე გადაწყვეტილებით დაიძრა იაპონიის დასაპყრობად, ერთბაშად მოეარდა ტაიფუნი და მთელი ფლოტი — 72 დიდი სამხედრო ხომალდი — ჩაიძირა. ამჯერად ბედი არა სწყალობდა.

სხვათა შორის, გავიდა ამის შემდეგ შვიდი საუკუნე და, აგერ, ჩვენს დროში, იაპონელი მეთევზეების ბადეს, თევზებთან ერთად, ხან ძველებური ხმალი ამოყვებოდა, ხან ქვაში გამოკვეთილი პატარა ქანდაკება ბუდასი... ხან რა და ხან რა. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო. მერე მეცნიერებიც დაინტერესდნენ და, რამდენიმე ხნის წინ, ჰიდროლოკატორების საშუალებით აღმოაჩინეს „სასაფლაო“ ყუბილა-ხანის შვიდასი წლის წინათ დაღუპული

ფლოტისა. ყუბილას ლაშქრობათა ამბები და მისი კარის ცხოვრება მარკო პოლოს აქვს დაწვრილებით აღწერილი, მაგრამ ჩვენ ამაზე აღარ შევრჩერდებით.

ჩვენ უფრო მეორე ყაენის — ჰულაგუს ლაშქრობები და თავგადასავალი გვაინტერესებს, რადგან იგი ჩვენი ქვეყნის მიმართულებით წამოვიდა, და დავალებული პქონდა, ჯერ ერთი, მონღოლების ბატონობა განემტკიცებინა ირანისა და ამიერკავკასიის დაპყრობილ ტერიტორიაზე, და მეორე: დაემთავრებინა ირანის დაუპყრობელი პროვინციების აღება, და დაეპყრო დასავლეთ აზიის დანარჩენი ქვეყნები.

ძნელი ბრძოლები ელოდა ჰულაგუს და ამიტომ მისი არმია განსაკუთრებით გააძლიერა დიდმა ყაენმა: სხვა ყაენებს უბრძანა, თავიანთი მხედრობის ოცი პროცენტი, ანუ ყოველი ათი მეომრიდან — ორი, ჰულაგუსთვის გადაეცათ.

ჰულაგუ მძიმედ დაიძრა — ეტყობა, გზადაგზა ივსებოდა მისი ლაშქარი. ყარაყორუმიდან 1253 წელს გამოსული, მხოლოდ 1256 წელს მიადგა ალამუთს;

რატომ აირჩია პირველად ალამუთი, ეს მკითხველს ალბათ არ გაუკვირდება: შვიდი წლის გააფთრებული, ამაო ბრძოლებით გაბეზრდნენ მონღოლები; დაჩვეული არ იყვნენ ასეთ წინააღმდეგობას; სულ რამდენიმე დღე სჭირდებოდათ ხოლმე უდიდესი და უმდიდრესი ქალაქების ასაღებად, და აქ რომ ასე გაწვალდნენ, გაცოფებულები იყვნენ, ურჩი მოწინააღმდეგის გაჟლეტის ჟინი მოსძალებოდათ. მაგრამ მარტო ჟინი და ახირება არ ყოფილა მიზეზი: გამოცდილმა სარდალმა კარგად იცოდა, რომ თუ ალამუთს არ აიღებდა, ისე ირანის სხვა კუთხეების დაპყრობაც გაუძნელდებოდა და დაპყრობილ ოლქებშიაც მტკიცედ ვერ მოიკიდებდა ფეხს.

ამჯერად ვეღარ დაუდგა მტერს ალამუთი, თუმცა ძველებურადვე დიდი წინააღმდეგობა გაუწია; მძვინვარე ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს მონღოლებმა; იმის აღნიშნა იქნებ საჭირო აღარც იყოს, როგორი გახელებით დაარბევდნენ; ჯერ როგორ გაძარცვავდნენ და მერე როგორ გაჟლეტდნენ ყველას, განუკითხავად. არც იმის შეხსენებაა ალბათ საჭირო, რომ აქაც და იმ ბრძოლებშიაც, ამის შემდეგ რომ გადაიხადა ჰულაგუმ, ყველგან თან ახლდა ქართველების დიდი ლაშქარი, რომელსაც ძველებურადვე წინ წაიმძღვარებდნენ ხოლმე. ქართველ ლაშქარს მეფე დავით ლაშას ძე სარდლობდა; ჟამთააღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჰულაგუს დავით ნარინზე მეტად ულუ დავითი დაუახლოვებია და შეუთვისებია.

ბრძოლები გრძელდებოდა. სადაც მიეიდოდა, ყველგან სისხლის მდინარეს აყენებდა ჰულაგუ ყაენი: „ესრეთ რა ხელთ იგდო ჰულაგუმ ალმუთი... ინება ამხედრებად ყოველთა ნათესავთა ურჩთა, და მოსვრიდა კაცთა ესოდენ, რომელ ათორმეტი დღე ოდენ დაყვეს ერთსა ადგილსა ზედა, ამისთვის რომე მოკლულითა კაცითა აღყროლდის ადგილ იგი, რომელ დგის“... მიდიოდა და დახოცილთა გორებს ტოვებდა.

ორი წლის განმავლობაში ჰულაგუმ დაამთავრა მთელი ირანის დაპყრობა და 1258 წლის იანვარში ბაღდადს მიადგა.

დიდი ხანია შორიდან იზიდავდა მონღოლებს ეს ლამაზი და მდიდარი ქალაქი, და, აჰა, მისი ჯერიც დადგა.

აქ დიდ წინააღმდეგობას ელოდა ყაენი და კარგადაც მოეშზადა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ქართველთა ლაშქარი, რომელსაც ამჯერადაც დავით ულუ სარდლობდა, კიდევ უფრო გაზარდა და გააძლიერა. ქართველი მემატიანე საგანგებოდ შენიშნავს, რომ ბაღდადისთვის ბრძოლაში მონღოლებს თან ახლდა „ყველანი წარჩინებულნი საქართველოსნი“ — მთელი ქართული მხედრობა გაუწვეია.

ბაღდადის ხალიფა დაბნეული კაცი აღმოჩნდა. ვერ ვიტყვით, მშიშარაო, მაგრამ ძალიან ყოყმანა კი ყოფილა. რაღა თქმა უნდა, დიდი ხნით ადრე ეცოდინებოდა მონღოლების ავი განზრახვა, მათი მიახლოება... — „შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთაო“, ქართველი მემატიანეც შენიშნავს. მაგრამ ისე მიადგა ქალაქს მტერი, რომ ხალიფას ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა და რა ეღონა. მუსიკა ჰყვარებია, და ეს, რაღა თქმა უნდა, კარგად მიგვანიშნებს მის პოეტურ ბუნებაზე.... მაგრამ რაღა ემუსიკებოდა! უფროსი ვაზირი დანებებას და ხარკის ძღვევაზე თანხმობის მიცემას ურჩევდა, და ეს თითქოს გონიერული ჩანდა; სამხედრო ხელისუფალნი მედგარი წინააღმდეგობის გაწევასა და ბრძოლას მოითხოვდნენ, და არ შეიძლებოდა, ამისი სურვილი ხალიფასაც არა ჰქონოდა — ძნელი იყო საუკუნეობით დაგროვებული სიმდიდრის დათმობა, საგულდაგულოდ ნაშენები ქალაქის ასაოხრებლად განწირვა... ასეთ ყოყმანში იყო ხალიფა, როცა მტერი მიადგა.

ქალაქს მტკიცე ზღუდე ერტყა. რაკი ამ ზღუდის დანგრევა ძალიან ძნელი იქნებოდა, და დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, ბუნებრივია, სწორედ ეს დაავალა ყაენმა ქართველთა ლაშქარს; ზღუდე უნდა შეეთხარათ ქვემოდან, მეწინავე რაზმი ქალაქში შეჭრილიყო და

დანარჩენი ლაშქრისთვის შიგნიდან კარი გაეღო; მერე უკვე გაადვილებული იქნებოდა საქმე. ზემოთაც რამდენჯერმე ითქვა: ჩვეული ხერხი იყო მონღოლებისა — ჯერ სხვებს, პაშარებს, შეაჟლეტდნენ, მოწინააღმდეგესაც დაასუსტებდნენ და თავად მერეღა ჩაებმებოდნენ ბრძოლაში.

ამაზე იტყვიან ხოლმე — სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ და გააწევინეო.

ამრიგად, „შეთხარეს ზღუდესა შიგან, შეეიდეს ქართველნი, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა... და ესრეთ განახვნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათართა და შეეიდეს“...

ბრძოლა წაგებული იყო, და ახლა ისღა უნდა ეღონა ბაღდადის ხალიფას, მტერს არ ჩავარდნოდა ხელთ; ნაეში ჩაჯდა და მდინარით გაპარვა გადაწყვიტა – იფიქრა, არეულობით ეისარგებლებ და იქნებ ვერ შემნიშნონო. მაგრამ მონღოლებს კარგი ორგანიზაცია ჰქონდათ ბრძოლისა, დამარცხებულ ხალიფას ასე ადვილად ვინ გაუშვებდა — ელგონ ნოინი საგანგებოდ წყალგაღმა იყო ჩასაფრებული, გაღმიდან უთვალთვალებდა, და სწორედ იმან მოუჭრა გზა. შეშინებული ხალიფა დაუსხლტა, სწრაფად შებრუნდა და სასახლეში შეეარდა, თითქოს სასახლეში ვერ მიაგნებდნენ...

სანამ სასახლეს მიადგებოდნენ, ჯერ ქუჩებში დააყენეს მონღოლებმა სისხლის ნიაღვარი; „მოსრნეს მახვილითა ესეოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხვი, და სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკუდართა მიერ“... ხოლო რა სიმდიდრე და ალაფი მოიპოვეს, ამას ვინ მოთვლისო, ჟამთააღმწერელი შენიშნავს.

მაგრამ მთავარი სიმდიდრე სასახლეში ელოდათ: მთელი განძი აქა ჰქონდათ, სახელმწიფო ხაზინაც აქ იყო. მონღოლები ხანჯლით დაადგნენ ხალიფას და აიძულეს, დაეთმო ოქრო-ვერცხლით გამოტენილი ოთახები. ისე იქნებ ვერც კი მიეგნოთ. ხალიფას უკანასკნელი იმედი ესღა იყო — რაკიღა თავისი ნებით დათმო, ეგონა, ამით მაინც შეინარჩუნებდა სიცოცხლეს. მაგრამ იმედი ფუჭი გამოდგა.

სიმდიდრე კი დათმო ბაღდადის ხალიფა მუსთასიმმა, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს, ქედი ვერ მოადრეკინეს. ჰულაგუ ყაენს მიჰგვარეს და უბრძანეს, თაყვანი ეციო. ხალიფამ იუკადრისა — მე თვითონ თვითმპყრობელი ხელმწიფე ვარო, თქვა, სხვის მონებასა ქუეშე არა მყოფიო, თუ გამიშვებთ, დაგემორჩილებით, თაყვანს კი არავისა ვცემ, მირჩევნია ასე თავისუფალი, აღარავისა მონობასა ქუეშე

მყოფი მოეკვდეო. აიძულებდნენ, ძირს განერთხე და ყაენს თაყვანი ეცი, ფეხიც კი გამოუშალეს, მაგრამ ხალიფა პირაღმა დაეცა, და თაყვანი არა სცა. მაშინ ყაენმა სიკვდილი ბრძანა ხალიფისაც და მისი შვილებისაც... და ნახეთ, რა ცინიკურად გადასცა ეს ბრძანება ელგონ ნოინმა: ყაენმა შეგიწყალაო, უთხრა; ხალიფას გაუხარდა: თუ შემიწყალა, მაშ, გამიშვას და ჩემი მეევ მომცესო. არაო, უთხრა ნოინმა, შეწყალება ის არის, რომ ყაენი თავისი ხელით მოგკლაეს შენ, ხოლო შენს შვილს ყაენის შვილი აბაღა მოკლავსო. ამაზე დიდი დაცინვა რა შეიძლებოდა მოეგონათ! და ვერ დავუკარგავთ, აქაც ღირსეული პასუხი აღმოაჩნდა ხალიფას — „უკეთუ მომკლავთ, გენებოს ძაღლმან და გენებოს კაცმან მომკლას“...

ხალიფაცა და მთელი მისი „სახლეული“, მთელი მოდგმა აბასიდებისა ერთიანად გაჟლიტეს.

ასე მოეღო ბოლო არაბთა სახალიფოს.

ყველა მემატიანე ერთხმად აღნიშნავს საზღაპრო სიმდიდრეს, რაც ბაღდადიდან წამოიღეს მონღოლებმა, ყველაფერს ვერც კი მოერიენენ, შერჩევით მოჰქონდათ, დანარჩენს ანადგურებდნენ; ძვირფასი ჩინური „ჭურჭელნი, ქაშანით მოსხმულნი, და მუნ შექმნილნი, სპილენძი და რკინა უპატიოდ იბნეოდა“... რომ ვეღარაფერში ჩატიეს ოქრო და თვალმარგალიტი, უნაგირებსა და კურტნებში ჩატენეს, ხმლებს ვადაში გადატეხდნენ, ქარქაშში თვალმარგალიტს ჩაყრიდნენ და ზემოდან გადატეხილ ხმლის ვადას ჩააგებდნენ... დახოცილ ბაღდადელებს გამოწლაკვდნენ და თვალმარგალიტით გატენიდნენ, მერე კი ქალაქიდან გაპქონდათ, როგორც „თავისი მკუდარი“...

600 წლის დაგროვილი სიმდიდრე წაიღეს და ყაენის კარავთან გორებად დაზვინესო, წერს ირანელი მემატიანე.

გასაკვირი არ არის, რომ ასეთ ვითარებაში ქართველ მოლაშქრეებსაც არგუნეს თავიანთი წილი ნადავლი. ჩვენამდე მოუღწევია რამდენიმე საქმიან საბუთს, სადაც ნახსენებია იმ ბრძოლების დროს ამა თუ იმ ქართველი მოლაშქრის მიერ ბაღდადიდან წამოღებული სიმდიდრე.

მთელი ირანის დამორჩილებისა და ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, ირანსა და ჩვენს ტერიტორიაზე, ამიერკავკასიაში, ჩამოყალიბდა ახალი მონღოლური სახელმწიფო — ჰულაგიდების სახელმწიფო...

მაგრამ ჰულაგუ ყაენის მიერ ბაღდადის აღებას წინ უსწრებდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რაზედაც უსათუოდ უნდა შევაჩეროთ მკითხველთა ყურადღება.

ეკონომიკური სიძნელეები, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ერთი მხარეა, მონღოლების იმპერიაში სულ უფრო და უფრო მწვავედ განიცდიდნენ მეომრების ნაკლებობას... ყველა დაპყრობილ ქალაქსა თუ სოფელში, ყველგან, ყველა ქვეყანაში გარნიზონები ეყენათ, ე. წ. „მცველნი ქალაქისანი“ თუ სოფლისანი. ამისი შესუსტება არ შეიძლებოდა, ისედაც ხშირად იფეთქებდა ხოლმე აჯანყებები. არადა, ახალი ქვეყნების დაპყრობის დროს განუწყვეტელ ბრძოლებში მეომრები იჟლიტებოდნენ და შევსება საკმარისი აღარ იყო. იმდენად განიცდიდნენ მეომრების ნაკლებობას, რომ ზოგჯერ ადამიანის ფიტულებს შესვამდნენ ცხენებზე, რათა მოწინააღმდეგე დაეშინებინათ, მოეჩვენებინათ — ბევრნი ვართო. დაპყრობილი ქვეყნებიდან მხოლოდ პირველ ბრძოლებში ტყვედ ჩაკარდნილი მამაკაცები მიჰყავდათ ლაშქრის შესავსებად, მერე კი მოსახლეობის გაწვევა ძნელდებოდა; არც იცოდნენ, ამა თუ იმ დაპყრობილი სოფლიდან და ქალაქიდან რამდენი მეომარი შეეძლოთ გაეწვიათ. ხარკის აღებაც მოუწესრიგებელი იყო, და, ამდენად, ერთგვარად იქნებ უფრო მსუბუქიც მოსახლეობისთვის. მაგრამ რაც დაპყრობილი ხალხისთვის იყო შედარებით მსუბუქი, ბუნებრივია, ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა დამპყრობისთვის. აღწერა იყო საჭირო, აღრიცხვა, დაზუსტება... და არა მარტო ლაშქარში გასაწვევი ჭაბუკებისა: დოელათისაც, ქონებისაც. საჭიროებამ თავისთავად უკარნახა ეს დამპყრობელს. ეს მონღოლების მოგონილი როდია. საერთოდ დამპყრობელის ღონისძიებაა, მონღოლებამდეც და მონღოლების შემდეგაც. ცნობილია დიდი აღწერა ბრიტანეთში, რაც მონღოლებამდე დიდი ხნით ადრე, მეთერთმეტე საუკუნეში ვილჰელმ დამპყრობელმა ჩაატარა. ნაკლებ სარწმუნოა, იმ აღწერის ამბავი სცოდნოდეთ მონღოლებს, მაგრამ ისე კი ამათი აღწერაც ძალიან დაემსგავსა ვილჰელმ დამპყრობელისას. ვილჰელმის დროინდელი ინგლისელი მემატიანე-ბერი წერს: ისეთი ჩაკირკიტებული აღწერა მოახდინა ვილჰელმმა, რომ აუწერელი არ დაუტოვებიათ არც ერთი მტკაველი მიწა, არც ერთი ადამიანი; სათქმელადაც კი სირცხვილია, მაგრამ არ გამორჩენიათ არც ერთი ძროხა, ხარი თუ ღორიო...

სირცხვილად მხოლოდ იმ ბერს მიუჩნევია, თორემ არც ვილჰელმსა და არც მონღოლ ყაენებს ეს სათაკილოდ არა ჰქონიათ.

სანამ ჟამთააღმწერლის სიტყვებს მოვიტანდეთ და ვნახავდეთ, რა გამანადგურებელი გამოდგა ეს აღწერა ხალხისთვის, ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ ამას წინ უსწრებდა კიდევ ერთი საშინელი უბედურება, რამაც ერთიანად გაანადგურა სოფელი, წელში გაწყვიტა ისედაც ჯაჩანაგებული და გაუბედურებული გლეხი კაცი.

ერთბაშად მოვარდა კალია და სულ გადაძოვა მთელი ქვეყანა...

კალიას თუ ისე წარმოვიდგენთ, როგორც მინდორში კანტიკუნტად მოხტუნავე პაწაწინა მწერს, რომელიც სასაცილო ხტუნვით მხოლოდღა გვახალისებს, და გახსენებაც კი ღიმილს მოგვგვრის, მაშინ მემატიანეების წუხილი და შეშფოთება, რაღა თქმა უნდა, გაუგებარი იქნება. მაგრამ ეს მომხიბლავი საბურველი ხელადვე ჩამოეხსნება, როცა წარმოვიდგენთ საშინელ რისხვად დარეულ უთვალავ ლაშქარს ამ მწერისას, რომელიც მზეს აბნელებს და შეუძლია ერთი საათის განმავლობაში მთელი სოფლის ყანები, ზვრები, ბაღები გადაძოვოს და შიშისმომგვრელ უდაბნოდ აქციოს; მთელი მხარე ერთბაშად გააღატაკოს.

ჯერ ეს უბედურება მოშუშებული არა ჰქონია ქვეყანას, რომ ის განსაცდელი დაატყდა, რაზედაც ზემოთ დავიწყეთ საუბარი — კიდევ უფრო საშინელი, რამდენადაც ამ განსაცდელს ბოლო არა ჰქონია. აღწერა დაიწყო მთელს იმ ვრცელ იმპერიაში. საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა ვინმე არღუნ-აღას, რომლის ღრმა ცოდნასა და განათლებას, და სამართლიანობასაც კი ქებით მოიხსენიებს ქართველი მემატიანე.

აღწერა 1254 წელს დაიწყო და „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისნი, და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით — ვენახამდე, წალკოტით — ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან“... ესე იგი, ყოველი ცხრა ოჯახიდან ერთი მეომარი გაჰყავდათ ლაშქარში. აღწერეს მხოლოდ მამაკაცები — 15 წლის ჭაბუკიდან მოკიდებული 60 წლამდე, ანუ ისეთები, რომელთა სალაშქროდ გაყვანა შეიძლებოდა: ადამიანთა აღწერას ხომ ეს მიზანი ჰქონდა.

სწორედ ამ აღწერის მიხედვით განსაზღვრავენ მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას, რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. რაკი ჟამთააღმწერლის ცნობით 90 000 მეომარი გაჰყავდათ ყოველწლიურად, ხოლო ყოველი ცხრა ოჯახიდან ერთი კაცი უნდა გაეყვანათ, აქედან მიახლოებით იანგარიშეს საერთო რაოდენო-

ბა მოსახლეობისა... პირობითია, რა თქმა უნდა, ლაშქარში გასაწვევი მეომრების რიცხვიც.

მორჩნენ თუ არა მონღოლები აღწერას — ან იქნებ ამის პარალელურადაც — მოსდგნენ და ყველაფერი დაბეგრეს. და არა მარტო ის, რაც ადამიანს თავისი ხელით შეექმნა თუ გაეზარდა, არამედ ისიც, რაც ადამიანის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად იყო, ოღონდ ასე თუ ისე მის არსებობას უწყობდა ხელს: თევზი — წყალში, ფრინველი — ცაში...

მემატიანეებს ჩამოთვლილი აქვთ, რა და რა სახის გადასახადები დააწესეს მონღოლებმა. ბეგარა სხვადასხვანაირი იყო ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებისა და წელიწადის დროის მიხედვით (ხალხების ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს, რაღა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიიღებდნენ).

სულ ორმოცამდე გადასახადს ჩამოთვლიან მთელს იმპერიაში, ჩვენს ქვეყანაში კი თოთხმეტზე მეტს აღნუსხავენ.

გავიცნოთ ზოგიერთი გადასახადი: მ ა ლ ი (სასოფლო-სამეურნეო გადასახადი), ყ ა ფ ჩ ე რ ი (ანუ საბალახე), დ ა მ ღ ა (სავაჭრო გადასახადი), უ ლ უ ფ ა (სამოხელეო გადასახადი — იგივე ძღვენი), ს ა ი ა მ ე (იამების ანუ საგზაო სადგურების საჭიროებისთვის), უ ლ ა ყ ი ს (საფოსტო ცხენისა), ყ ა ლ ა ნ ი (ანუ სალაშქრო) და სხვა, ყველას აქ არ ჩამოვთვლით[1]. ის კი უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნოინებსა თუ მოხელეებს, საჭიროების მიხედვით, შეეძლოთ გაეზარდათ დაწესებული გადასახადების რიცხვი (შეეძლოთ კი არა — ზრდიდნენ განუწყვეტლივ!), პერიოდულად ისეთ გადასახადსაც შემოიღებდნენ ხოლმე, რაც ჩვენს ქვეყანაში საერთოდ არ იყო დაწესებული. მაგალითად, ჰულაგუ ყაენს შემოუღია ახალი გადასახადი თ ა ღ ა რ ი, რაც გულისხმობდა ლაშქრის საკვებით მომარაგებას...

ამ გადასახადების სახელწოდებანიც კი კარგად მიგვანიშნებენ, რა დღეში იყო დაპყრობილი ქვეყანა...

როგორც ვხედავთ, გადასახადებმა წელში გაწყვიტა ხალხი; მაგრამ დამპყრობელის საშინელ ცინიზმსაც რომ გავეცნოთ, ერთი გადასახადი უფრო დაწვრილებით უნდა აგიწეროთ. ამ გადასახადის

---

1 იმდროინდელ სიგელებსაც შემოუნახავთ მონღოლების საგადასახადო ტერმინები — „...არაისთანად არა, და არცა რ ა ი ს ა თ ა თ რ ო ი გამოპვიდოდეს — მ ა ლ ი, ყ ა ფ ჩ ე რ ი, ს ა ლ ა შ ქ რ ო ი, და ს ა ი ა მ ე არაისთანაი არა“... ეკითხულობთ ერთ იმდროინდელ საბუთში.

სახელწოდება ყოფილა თ ა რ ხ ი და იგი პერიოდული იყო: მოუსაელიანობის წლებში, როცა წესით ქვეყნის მმართველებმა რამე უნდა იღონონ ხოლმე ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მონღოლები გლეხებისგან მოითხოვდნენ, ჩვეულებრივზე უფრო დაბალ ფასებში მიეყიდათ ხაზინისთვის თავიანთი მეურნეობის პროდუქტები... ხოლო როცა სახელმწიფოს ფული დაჭირდებოდა (ასეთი შემთხვევები კი, როგორც ითქვა, ხშირად ჰქონდათ), მიუხედავად მოსაელიანი წლისა, იმავე გლეხებს ხაზინიდან უნდა შეესყიდათ ისეთივე პროდუქტები ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო ძვირად.

კიდევ უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ გადასახადების აკრეფა მოწესრიგებული არა ჰქონიათ. როგორც მოსალოდნელია ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მონღოლი მოხელეები — ბასკაკები — თავაშვებულები იყვნენ, რაც კი მოეწონებოდათ, მიჰქონდათ და მიჰყავდათ, კანონს არავინ დაგიდევდა; გადასახადების აკრეფა უფრო ყაჩაღთა ბრბოს თარეშს მიაგავდა, ვიდრე სახელმწიფო მოხელეების საქმიანობასაო, — წერს ივანე ჯავახიშვილი.

ნიკო ბერძენიშვილს მოჰყავს უცხოელი მკვლევარის დ'ოსონის სიტყვები:

იმდენად გათავხედებული იყვნენ ხარკის ამკრეფი მოხელეები, რომ აკრეფილი თანხის დიდ ნაწილს თავად ითვისებდნენ — ხაზინაში არ შეჰქონდათ. კრეფდნენ დაკანონებულზე გაცილებით მეტს (ხალხს ატყუებდნენ, ყვლეფდნენ), ხოლო რაკი ზუსტი საგადასახადო სიები არა ჰქონიათ, ხაზინაში გაცილებით ნაკლები შეჰქონდათ, ვიდრე ამა თუ იმ სოფელსა და ქალაქში წესით უნდა აეღოთ (ამ შემთხვევაში უკვე სახელმწიფოს ატყუებდნენ). თუკი ამას ბედავდნენ მონღოლთა სახელმწიფოს სალაროს მიმართ, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ მათთვის საწველ ფურად მიჩემებული ქვეყნებიო, შენიშნავს ქართველი მეცნიერი.

გადასახადებისგან გათავისუფლებული იყო ეკლესია, მთელი თავისი მიწა-წყლით (ეკლესიას კი ვრცელი და მდიდარი მამულები ჰქონდა), ეკლესიის მსახურნი, ისევე როგორც ქალები, ბავშვები და ღრმა მოხუცები, აღწერიდანაც გამოტოვეს მონღოლებმა.

სხვა ადგილასაც აქვს ნახსენები ქართველ ჟამთააღმწერელს, რომ მონღოლები პატივისცემით ეკიდებოდნენ ეკლესიასა და ეკლესიის მსახურთ, ხელს არ ახლებდნენ მათ და სხვებისგანაც იცავდნენ. მაგალითად, როცა ჰულაგუ ყაენი მოვიდა ჩვენს ქვეყანაში, მას მიეახლა იმდროინდელი კათალიკოსი ნიკოლოზი — რომელსაც

ქვემოთ უფრო ახლო გაეცნობით — და შესჩივლა: საყდრებსა და მონასტრებს, მონასტრის მამულებს არავინ იცავს, წარჩინებულები მარტო საკუთარ თავზე ზრუნვას უნდებიანო. ყაენმა კარგად მიიღო კათალიკოსი, მისცა შეწყალების წიგნი, მდიდრულად დაასაჩუქრა კ თალიკოსიცა და მისი მხლებელი ვარძიის მოძღვარიც და „ესრეთ პატივითა წარმოაელინეს და დაიცვნა ყოველნი საყდარნი და მონასტერი“.

ეს, რა თქმა უნდა, სხვათა რწმენისადმი დიდი სიყვარული არ იყო, ამას ანგარებიანი სარჩული ჰქონდა. რელიგიისადმი დამპყრობლის შემწყნარებელი დამოკიდებულება იმით აიხსნება, რომ ისინი ამით ქრთამავდნენ ეკლესიას, მთელი დანარჩენი მოსახლეობისგან თიშავდნენ და პოტენციურ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ბევრი ენების მოტანა შეეძლო (თუკი იგი ხალხს დარაზმავდა დამპყრობლის წინააღმდეგ), განაიარაღებდნენ.

ეს ერთი.

და მეორე, კიდეე უფრო საგულისხმო ფაქტორი ის გახლავთ, რომ მონღოლები ახლავე იჭერდნენ თადარიგს, რათა ეგვიპტის წინააღმდეგ მომავალ ძნელ ბრძოლებში ქრისტიანული ეკლესია მოკავშირედ გაეხადათ. უკვე ითქვა — მონღოლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა იყო. ისინი ჩვეული სიფრთხილით და გულმოდგინებით ამზადებდნენ ამისთვის ნიადაგს — დინჯად, გონივრულად, გაიძვერულად... ის ოქრო-ვერცხლი და ოქროს არგანიც იმიტომ არ დაიშურეს ქართლის კათალიკოსისა და მისი მხლებლებისთვის.

დაიწყო უმძიმესი წლები. ხალხს პირიდან ლუკმას აცლიდნენ, აღარაფერს უტოვებდნენ, ყველაფერი მიჰქონდათ... არანაკლებ ძნელი ასატანი იყო შეურაცხყოფა და დამცირება, როცა გათავხედებული მონღოლი მოხელეები გლეხის კარმიდამოში დათარეშობდნენ, ყველაფერში ხელს აფათურებდნენ, ყველაფერს ჩხრეკდნენ... როცა გლეხს შეწერილი ბეგარის გადახდის აღარავითარი საშუალება არა ჰქონდა, ბავშვებს სტაცებდნენ და მიჰყავდათ. უწყალოდ სცემდნენ... „უწყალოდ უკრავდნენ უკან ხელებს და სცემდნენ ნედლი ჯოხებით, ვიდრე მთელი სხეული არ დაეჩეჩქვებოდა. შემდეგ მიუშვებდნენ შეუბრალებლად თავიანთ ბრაზიან ძაღლებს, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ადამიანის ხორცის ჭამას“... ამას სომეხი მემატიანე გრიგოლ აკანელი წერს.

ეს იყო უკიდურესი სასოწარკვეთის წლები; არაადამიანური გაჭირვებისგან გონებადაფანტული ხალხი სახლიდან გარბოდა, მაგრამ გასაქცევი არსად ჰქონდა... იჭერდნენ ასეთ ლტოლვილებს და ხოცავდნენ. მაინც ასე ერჩივნათ, გამუდმებულ სატანჯველს სიკვდილს ამჯობინებდნენ.... თუკი ვინმე მთებში გახიზვნას მოახერხებდა, ის ბედნიერი იყო... ბევრს უშველა იმ მძიმე წლებში ჩვენმა მთამ.

აღწერები პერიოდულად ხდებოდაო, ზემოთ ითქვა. პირველი აღწერის შემდეგ დიდ ხანს არ გაუელია, რომ მეორე აღწერა ჩაატარეს მონღოლებმა; დოვლათი სჭირდებოდათ, ფული სჭირდებოდათ, და, გამწარებულები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ, არაფერი დაეტოვებინათ ხალხისთვის, არაფერი გამორჩენოდათ, არაფერი გამოპარვოდათ... — „...კ უ ა ლ ა დ მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხვნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას ვითარი ქუეყანა აღშენდა, გინა აოხრდა“...

ა შ ე ნ დ ა თუ აოხრდაო, მწარე ირონიით წერს ქართველი მემატიანე, რადგან იქვე მოსდევს სინამდვილის სიმკაცრის მეტყველი სიტყვები: „აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ უ მ რ ა ვ ლ ე ს ი მოოხრებულ იყო“...

სოფლები იცლებოდა... თაობათა მიერ სიყვარულით ნაღვაწი და ნაამაგარი ნადგურდებოდა. ბევრი საბუთი მოგვითხრობს ამას, მაგრამ ყველაზე მეტად გულისშემძვრელი მაინც ის არის, როცა შენივე თვალით ნახავ, როცა საუკუნეების მტვრით დაფარული მიწა გულს გახსნის და ამ შემაძრწუნებელ სურათს გადაგიშლის.

ბოლო წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს მიაგნეს იმ ხანებში მიტოვებულ ნასოფლარებს.

სწორედ დაცლილსა და მიტოვებულს!..

წინა წიგნში ჩვენ ვნახეთ ერთი ასეთი ნასოფლარი, ვიხილეთ გულისშემძვრელი სურათი, როცა დამპყრობელს ერთიანად გაეჟლიტა მთელი ოჯახი და ახლა, დიდი ხნის შემდეგ მიწის სიღრმეში აღმოჩენილი ერთად დახვავებული ჩონჩხები ყოველი ასაკის ადამიანისა — ერთი ოჯახის წევრებისა — გვიცოცხლებდნენ ტრაგედიას, რაც იქ რვა საუკუნის წინათ დატრიალებულიყო.

ახლა რომ ნასოფლარს გაეცნობით, იქ ერთდროულად გაჟლეტილი ადამიანების ჩონჩხებს არ ვიხილავთ, მაგრამ სურათი, რაც ჩვენს თვალწინ გადაიშლება, არანაკლებ მკაცრია.

არქეოლოგი გ. ნასიძე აგვიწერს ქვემო ქართლის ერთ ნასოფლარს და მიუხედავად იმისა, რომ წერილის ხასიათი სულ სხვაა — იგი მხოლოდ სამეცნიერო ანგარიშია, — ავტორი შეაძრწუნებელი სიცხადით გვაგრძნობინებს ქართული ოჯახის ტრაგედიას, რაც აქ სწორედ იმ დროს დატრიალებულა, რის ამბებსაც ჩვენ ახლა ვყვებით.

არქეოლოგი საგანგებოდ არა ცდილობს დრამატული სურათი დაგვიხატოს, ეს თავისით ხდება, მეტად ლაკონიური და თითქოს მშრალი ანგარიშის გადმოცემის დროს. ჯერ სოფელს აგვიწერს ავტორი — მოკლედ, ძუნწსიტყვაობით, ჩვენში მძლავრად ფეხმოკიდებული პათეტურობის გარეშე, და ეს კიდევ უფრო მძაფრად განგვაცდევინებს 7-8 საუკუნის წინანდელ ტრაგედიას.

სოფელი ხეობაში მდებარეობდა — „ხეობა მოკლეა და მთლიანად ტყით დაფარული. ქვემო ქართლისთვის ტიპიური მთიანი ლანდშაფტია. ხეობაში მოედინება პატარა მდინარე კაზრეთულა, რომელიც მდინარე მაშავერას უერთდება სოფელ კაზრეთის ბოლოს. კაზრეთის ხეობა იწყება მაღალმთიანი, ტყით დაფარული ქედიდან, რომელიც მდინარე მაშავერასა და მდინარე ფოლადაურის წყლებს ჰყოფს ერთიმეორისაგან... საცხოვრებელი ნაგებობანი განლაგებული ყოფილა მთის კალთის ძირში, კაზრეთის სამების ეკლესიის გარშემო“...

და მერე ამ ეკლესიის სილამაზესაც გვაჩვენებს ავტორი... ამის შემდეგ უკვე ოჯახს ვეცნობით, საკმაოდ შეძლებულ ქართულ ოჯახს, გლეხის ოჯახს. თოთხმეტი სხვადასხვა ზომის ქვევრი, რომლებიც მიწაში ჩაფლული დახვდა ჩვენს არქეოლოგებს, იმის საშუალებასაც აძლევს მკვლევარს, რომ ივარაუდოს: ამ გლეხს კარგა მოზრდილი ვენახი ჰქონია — სამი ათას ძირამდე ვაზი. დიდი, სტუმართმოყვარე ოჯახი ყოფილა, შრომაც ყვარებია და ლხინიც, მაგრამ ამდენ ღვინოს მაინც ვერ შესვამდა — ჰყიდდნენ ღვინოს, შემოსავლის წყარო იყო. იმიტომაცაა ღონიერი ოჯახი. ამას ბოსლის სიდიდეც კი ამტკიცებს — საქონელი ბლომად ჰყოლიათ, თორემ იმოდენა ბოსელს არ ააშენებდნენ; ოჯახის კეთილდღეობას ადასტურებს ლამაზად მოხატული დერგებიც, რომლებიც დიასახლისს დაკრიალებული ეწყო თაროზე და ახლა ნატეხებსღა ვხედავთ. დერგებზე მოხატული ყოფილა მამალი ხოხბები.... აშკარაა, სახლში გაკეთებული არ არის ეს დერგები — ნაყიდია. მაშინვე ძვირი იქნებოდა ასეთი ნახელავი. და რაკი მაინც იყიდა დიასახლისმა, ეს ოჯახის ღონიერებაზეც კარგად მიგვანიშნებს, და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა,

მაღალ ყოფით კულტურაზეც. ამაზე მიგვანიშნებს სხვა საოჯახო ნივთებიც, და, საერთოდ, მთელი ეზო და კარმიდამო, ნაგებობანი... თუნდაც ის დიდი, ნათელი წინაკარი რომელიც საფასადო მხარეზე აკრავს სახლს, და იმის გამო, რომ აქაურ ცხელ ზაფხულში აქ „მთელი დღის განმავლობაში ჩრდილი და სიგრილე იქნებოდა“, პურს აქა ჭამდა ოჯახი... ერცელი, ოთხ დედაბოძიანი დარბაზი... ბოსლის სახურავში მოწყობილი ორი ერდო... ცალკე „ოდნავ წაგრძელებული“ საშხარეულო — ისიც საკმაოდ ერცელი, 26 კვადრატული მეტრის მოცულობისა...

სიცოცხლე ერთბაშად შეწყვეტილა ამ ოჯახში. ძნელია თქმა, კონკრეტულად რა ვითარებაში, მაგრამ როცა შემატიანეების ზემოთნახსენებ ცნობებსაც გაეცნობი, ზოგადად მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, მიახლოებით გავაცოცხლოთ სურათი — როგორ დაუელიათ ბავშვებისთვის ხელი და გაჭრილან, რისი წაღებაც შეიძლებოდა და რისი წაღებაც მოასწრეს, სახელდახელოდ შეკრეს და წაიღეს... ოღონდ ნაჩქარევად — დანაც კი, რაც ყოველგვარ ვითარებაში დასჭირდებოდათ და რისი წაღებაც ადვილი იყო, თაროზევე დარჩენიათ, ჩამოღება ვერ მოუსწრიათ... ეჩქარებოდათ, მდევრებს უნდა გაქცეოდნენ...

მძიმე გადასახადებს, ბუნებრივია, მევახშეობა მოპყვა. შემორჩენილია საბუთები, საიდანაც ვგებულობთ, როგორ საზღაპროდ გაზრდილა ვახში. რა მძიმე პირობებში უხდებათ ფულის სესხება, რათა ბეგარა გადაიხადონ. მარტო გლეხობა არ ჩავარდნილა მძიმე დღეში — თუმცა, ბუნებრივია, მათი მდგომარეობა ყველაზე უფრო აუტანელი იყო; შემორჩენილია საბუთები, საიდანაც ვგებულობთ წარჩინებულთა გაჭირვებასაც. იყიდება სოფლები, რათა ხარკი გადაიხადონ... ნახეთ, რა სიტყვები შემოუნახავს ერთ შემთხვევით გადარჩენილ საბუთს — შემაძრწუნებელი სინამდვილის გამომხატველი სიტყვები: „...მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს, ხარკობისაგან ო ქ რ ო ი ძ უ ი რ ა დ ი ყ ვ ი ს და ს ო ფ ე ლ ი ი ე ფ ა დ“...

მონღოლებს ფული უნდოდათ, ფულსა ჰკრეფდნენ დაპყრობილ ქვეყნებში და ფული გაძვირდა.

ეს საბუთი სწორედ იმ დროს არის დაწერილი, როცა აღწერა უკვე ჩაუტარებიათ და ახლა მონღოლები სოფელში დათარეშობენ ხარკის ასაღებად. აქ აღწერილი ამბები ბაღდადის ბრძოლების შემდეგ მალევე მომხდარა — „...მას ჟამსა, ოდეს ბაღდადი გატეხეს თათართა“... ვკითხულობთ სიგელში.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება: ეს გახლავთ შეწირულების სიგელი მეჭურჭლეთუხუცესის კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი. საბუთში სწორედ სოფლების ყიდვა-გაყიდვის ფაქტია ნახსენები. კერძოდ, ვგებულობთ, რომ კახა თორელსა და მის თანამეცხედრეს ხათუთას (ეს ხათუთა, სხვათა შორის, აბუსერის ძეთა დიდი გვარის შვილია) უყიდნიათ ქართლის დიდი და მშვენიერი სოფელი ხოელე და რკონის მონასტრისთვის შეუწირავთ. ახლა ისიც ვნახოთ, — ეს არის განსაკუთრებით საინტერესო, — ვისგან უყიდნიათ ქართული სოფელი კახა თორელსა და მის მეუღლეს: „ნახევარი ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან და ნახევარი ჰასან სუმბაკის ძისა სომხისაგან და იოსებ ბუღაფაის ძისა ჰურიისაგან“.

კიდევ უფრო საგულისხმო ის არის, რომ ამათაც, ხოელეს ახლანდელ გამყიდველებსაც, სულ ცოტა ხნის წინ „აღბუღაისაგან და მისთა შვილთაგან“ უყიდიათ ეს სოფელი ხუთი ათას თეთრად.

საბუთი ბევრ სხვა საინტერესო ცნობასაც შეიცავს, მაგრამ ერცელია და აქ ვერ მოვიტანთ. მე მხოლოდ ერთი პატარა ნაწყვეტი მოვიტანე იმის საჩვენებლად, თუ რა დღეში იყო ძველისძველი, დიდებული ქართული სოფელი... ვის ხელში აღარ მოხვედრილა, ვის აღარ უყიდნია და გაუყიდნია... როგორ უჯიჯგნიათ, როგორ უწამებიათ... ზოგჯერ რა მკაცრ სინამდვილეს გადმოგვცემს ხოლმე მშრალი, მაშინდელი საკანცელარიო ტერმინებით შედგენილი ქრონიკა!..

●

გადასახადებზე არანაკლებ მძიმე იყო სამხედრო ბეგარა; ყოველწლიურად 90 000 ჭაბუკისაგან იცლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლები! ბუნებრივია, რომ ეს რიცხვი, ხშირად გაცილებით უფრო დიდი იყო, ნაკლები კი — არასოდეს. განუწყვეტლივ ბრძოლებში ჩაბმულ მონღოლებს მუდამ აკლდათ მეომრები, ამისდა შესაბამისად, მათგანვე დაწესებულ რიცხვს არა სჯერდებოდნენ და მეტი გაჰყავდათ. განუწყვეტლივ ბრძოლებში იყვნენ ერისთავებიც, დიდებულებიც.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი. ჩვენ იგი ვნახეთ ერთ ეპიზოდში, მძიმე განსაცდელის დროს, როცა მოულოდნელად ბეწვზე დაეკიდა სამშობლოდან გადახვეწილი ათასობით ქართველი მეომრის სიცოცხლე — და იქნებ მთელი ქვეყნის ბედ-იღბალიც; როცა ცოფმორეული ბრბო

ველური გახელებით დაიძრა ქართველი ჭაბუკების გასაჟლეტად; ვნახეთ, იმ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში როგორ უყოყმანოდ გადაწყვიტა მან, თავი დაედო თანამებრძოლებისა და მამულის დასახსნელად...

ბუნებრივია სურვილი, უფრო მეტი რამე იცოდე ამ კარგი ვაჟკაცის ცხოვრებიდან. სამწუხაროდ, ამის საშუალებას თითქმის მოკლებული ვართ — როგორ წარიმართა მისი ცხოვრება ალამუთის ბრძოლების შემდეგ, რა იღვაწა და რა ვითარებაში მოკვდა, ეს ჩვენთვის უცნობია. ამ ცნობებს ვერ წავიკითხავთ იმ ორიოდე საბუთში, რომლებშიაც გრიგოლ სურამელია ნახსენები.

თავს ნებას მივცემ ამათგან ერთი საბუთი მაინც გავაცნო მკითხველს; ეს არის — შეუვალობის სიგელი, რომელიც ძალიან დაზიანებული ჩავარდნია ხელთ მის პირველ გამომქვეყნებელს თედო ჟორდანიას (მკვლევარი თვითონვე ჩივის — „სიგელს ბევრი აკლია და აზრი დაბნელებულიაო"), მერე, ბევრ სხვა ამისთანა საბუთებთან ერთად, სულაც დაკარგულა; იმდენ განსაცდელგამოვლილ საბუთს მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე მოუღწევია და მერე დაღუპულა! ბოლო ნაწილიღა გადარჩენილა. საბედნიეროდ, გამოქვეყნება მოასწრო თედო ჟორდანიამ. სწორედ ამ საბუთის მიხედვით ჩანს, რომ ქართლის ერისთავი განუწყვეტლივ ბრძოლებშია. ჯერ იყო და, მონღოლებს ებრძოდა, ახლა კი მონღოლების ლაშქარში იბრძვის ვიღაცის წინააღმდეგ (აკი ალამუთის ბრძოლაშიც ვნახეთ!).

მაგრამ ეს საბუთი მარტო იმიტომ არ მიხსენებია, მიმენიშნებინა, როგორ განუწყვეტლივ ბრძოლებში იყო ქართველი ერისთავი. ეს, ალბათ ისედაც იგულისხმებოდა; სულ სხვა მიზნით მინდა გავაცნო იგი მკითხველს. ამ საკმაოდ დიდ სიგელს აქ მცირე შემოკლებით მოვიტან. როგორც ითქვა, ეს არის შეუვალობის სიგელი შიო მღვიმისადმი. შესავალი ნაწილის შემდეგ (რომელსაც, ეტყობა, დიდი დაზიანებით მოუღწევია მეცხრამეტე საუკუნემდე), გრიგოლ სურამელი სიგელით ადასტურებს:

„...ნუცა ხელისუფალი შევა, ნუცა ციხისთავი... ნუცა მესახმარე... და ნუ რაი მაწყინარი... ნუცა მენუკვარი, ნუცა მოხარჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თვით წმიდათა მეფეთაგან და ჩუენისა სახლისგანცა წმიდისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიც აქვნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან წმიდასა უდაბნოსა მღვიმისასა.

თუ ჩუენი კაცი და მღვიმისა ჩამოიკიდნენ, ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს, და მღუიმისა კაცისა თვით მღუიმისა ხელისუფალმან აიღოს.

თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო მღუიმისა და ჩუენთა კაცთა შუა, მამასახლისმან და მღუიმის ხელისუფალმან მართლითა სამართლითა დაუურვონ.

თუ სისხლი შეპხდეს მღუიმისა კაცსა ჩუენისა კაცისაი, მემღუიმის ხელისუფალმან სისხლის პატრონსა სისხლი გარდასცეს, მონასტრისა წესითა, ვითა ჩუენისაც მონასტრის წესია.

და სხვებ ჩუენი მამასახლისისა პატრონთანა ნურას დაეკარების, ნუცა შეუდგების, ნუცა რას წაუღებს, თაიღდა დაცეს და შუა ჩამოდგეს, და რაც მემღუიმემან ბრძანოს, იგი იურვოს.

თუ ნაპარევი შეპხდეს მღუიმის კაცსა, მღუიმის ხელისუფალმან თაენი ხელთ მისცეს და შვიდეული წმიდის შიოსდა შემიწირავს...

გარეთ ვინც მაწყინარი გამოჩნდეს მღუიმის გლეხთაი, მამასახლისი ჩუენი ესე იურვოდეს ვითა ქვათახევისა გლეხთა.

სხუაი ყოველი ამიხდია ჩუენი ბეგარაი და გაგუიშვია. ნუც ჩუენს დაჭირვებასა რას ჟამსა და ნუც ლხინსა ნუ რათ შეუვალს: ნუ მამასახლისი, ნუ ხელისუფალი, ნუ ციხისთავი, ნუ გზირი, ნუ მსახური და ნუ რაი გუარი ნუ იკადრებს.

ესე ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა, მე, ხელითა ჩემითა ძესა სულკურთხეულისა სულა ქართლის ერისთავთა ერისთავისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა, მარჯუნით დგუამასა ძმისა ჩემისა ივანესსა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასსა...

თუ ღმერთს უნდეს, სხვითაცა სამსახურითა წმინდის უდაბნოსთა გარდავიხდი, თუ ღმერთმან ჟამ მომცეს; და თუ არა, ძესა ჩემსა ბეგას დავანდობ, თუ ღმერთმან დღენი მისცნეს, ვითა გუინდა მან მსახუროს წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა, თავითა თუისითა, რაითა წმიდამან მამამან მღუიმეს სცეს წარმართებაი კეთილი საწუთროსა ამას შინა, და ვითა მე არა სადა დამიტევა შეუწეენელი, ეგრეთვე იგი არა დაუტეოს, და მას საუკუნესა ორთაეე მეოხად წარმოგუიდგეს წინაშე საყდარსა ქრისტეს ღმრთისასა, ოდეს ყოველთა განშჯიდეს მსაჯული იგი თუალუხავი.

აწ ესე ჩემგან დაწერილი მიითუალე პირველად შენ, ღმერთო, ყოველთა კეთილთა მიზეზო და მერმე შენ, წმიდაო ღმერთშემოსილო მამაო შიო. და შენ, მზრუნველო ორთაეე ცხორებათა ჩემთაო

არსენ, მიუთვალე ეს ღმერთს, თავსმდებობითა ყოველად წმიდის ღმრთისმშობლისათა და წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისითა ქმნილი და დაწერილი და შეწირული.

და შენ, ძმაო იოანე და ძეო ჩემო ბეგაო, თქუენ მიგითუალავ ამას ანდერძსა მე, გრიგოლ ქართლის ერისთავი, მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცუისათვის.

თუ ღმერთმან ჩემს შედეგად გყენეს, და თქუენ ერთითაცა ბეწუისა ოდენითა შეჰშალოთ ესე ჩემგან ღმრთისა მითუალული, ღმერთმან ყოველი საქმე თქუენი შეშალოს და ნურაი კეთილი ნუ დაგიმტკიცოს.

და ჩემსა შედეგად მომავალნო ჩემგან შვილნო და შვილისშვილნო, ვინც ესე ჩემგან ქმნილი საცილობელად შეპქნათ — ანუ საქმითა, ანუ სიტყუითა, ღმერთმან მოგხადენ პატიჟი შეუნდობელი. ვინაითგან ვიყავ ოდესმე მეცა ამისი მოქმედი, თქუენცა ამასვე გზასა წარმოვლით უცილობელად, სირცხულეულნიმც მოხვალთ წინაშე ქრისტეს ღმრთისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოსსა და მერმე ჩემთანა ამათის მონისა.

და რამაცა გუარმან კაცმან აქციოს ესე ჩემგან ნაქმარი: ანუ ჩემისა სახლისა შვილმან, ანუ სძალმა, ანუ სიძემან — სისხლთამცა ქრისტეს ღმრთისათა მზღველად წარგუადგინენ დღესა მას განპსჯისასა წმიდანო ანგელოზო; და ხორცთაგან განსლვასა მისსა შინა სატანასმცა ახლავს შემწყნარებელად სულისა მისისა საწყალობელისად...

...სასჯელისა ოდესმე ლხინებული, ამისთა შემცვალებელთა ნუცა მაშინ მისცემ შენდობასა, ღმერთო მართლმსაჯულო, მით რომე სამართალი შენი მიქმნია და სხუისა არა ვისდა რაი დამიკლია.

და თუ ხელისუფალმან ვინმე უპატრონოდ ამისი ცილება იკადროს, და იგი ხელისუფალი არ გაპატიჟოს ჩემისა სახლისა პატრონმან, — ესე ყოველნი წყევანი მას დაუმკუიდრენ ღმერთო, რომლისა თავსმდებობითა ამას ვწერ, ხელითა ჩემითა აქა სრულ მყოფელი".

ისე ცოტა შემორჩენილა ჩვენი ხალხის მაშინდელი ცხოვრების ამსახველი წერილობითი საბუთები, რომ ეეღარ ელევი, გინდა ისევ და ისევ წაიკითხო; იქნებ სწორედ იმის გამო, რომ ცოტა შემორჩა, ჯადოსნურ ძალას იძენენ ისინი, მარტო ამბავს კი არ გადმოგვცემენ, არამედ თითქოს საუკუნეების წინათ დარხეული ბგერები შემოენახოთ — ცოცხალ საუბარს გვასმენინებენ, იმ დროის ადამიანებს გვიცოცხლებენ და მათ ვნებებსა და განცდებს გვაჩვენებენ, მათი ურთიერთობის მოწმედა გვხდიან...

საბუთს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა შემოუნახავს... მაგრამ ამჯერად მე სხვა რამეზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება, — უფრო საგულისხმოსა და საინტერესოზე...

წინა წიგნებში ჩვენი ხალხის მაღალ კულტურაზე ვლაპარაკობდით და გავიხსენეთ ქართული მწერლობის, მხატვრობისა თუ არქიტექტურის ქმნილებანი. „ეეფხისტყაოსანი", ოპიზარების ნამუშევრები და ქართული არქიტექტურის ძეგლები მართლაც უმაღლესი გამოხატულებაა ხალხის შემოქმედებითი გენიისა და, რაღა თქმა უნდა, დიდ სულიერ კულტურაზე მეტყველებს, მაგრამ ეს ერთი მხარეა საერთო კულტურისა; ეშიშობ, ძალიან პათეტიკურად არ გამომივიდეს, მაგრამ ეს ცაში აზიდული მწვერვალებია, რომელთა ელვარება გვხიბლავს და გვაოცებს; მაგრამ როგორც მწვერვალია ამოზიდული მყარი ნიადაგიდან და უნიადაგოდ ძალა და სიმტკიცე არ ექნებოდა, ასევე არ შეიძლება დამოუკიდებლად, ყოფითი კულტურისგან განცალკევებულად წარმოვიდგინოთ ხალხის შემოქმედებითი გენია; ისინი ავსებენ და სიმტკიცეს აძლევენ ერთმანეთს. წინა წიგნებში ჩვენ ამ ყოფითი კულტურის მაგალითებიც ვნახეთ. შორს რომ არ წავიდეთ, მაღალ ყოფით კულტურაზე მეტყველებს იმ გლეხის კარამდამოც, რომელსაც ეს-არის გავეცანით. და ეს საბუთიც — გრიგოლ სურამელის შეუვალობის სიგელიც — ამის მაგალითად მოვიტანეთ. ეს ხომ უბრალო, საქმიანი ქაღალდია, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, სანოტარო საბუთი, იმ დანიშნულებით შედგენილი, რომ, თუკი საჭირო გახდებოდა, სულ რამდენიმე ადამიანს წაეკითხა; სხვა მიზანი მას არა ჰქონია. ამის შემდგენელი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ როდესმე, მრავალი საუკუნის შემდეგ იგი, თავისი პირვანდელი დანიშნულების გარდა, ვინმესთვის საინტერესო გახდებოდა და ადამიანთა ფართო წრე წაიკითხავდა... უბრალო საქმიანი საბუთია. მაგრამ ნახეთ, როგორ არის დაწერილი — როგორი სტილით, რა დახვეწილი ქართულით, რა კომპოზიციის გრძნობით, რა ექსპრესიით... ასე გეგონება, დიდი პოეტური ქმნილების ნაწყვეტს კითხულობდე. ამ უბრალო სიგელშიაც კი როგორა ჩანს ენის საოცარი მოქნილობა და დინამიზმი, დიდი სისადავე, ლაკონიზმი... მარტო ამითაც კი შეგიძლია წარმოიდგინო დონე ჩვენი ხალხის ყოფითი კულტურისა.

ახლა რომ გამახსენდა ეს სიგელი, და თავს ნება მივეცი, მკითხველისთვისაც შემეხსენებინა, ამას თავისი საფუძველი აქვს. იმაზე ვსაუბრობდით, რა განსაცდელში ჩავარდა ჩვენი ხალხი, როგორ

ართმევს სულს გადამთიელი დამპყრობელი... გრიგალივით მოვარდა, ოჯახი გაუნადგურა, გაჟლიტა, გააღატაკა, ცხოვრების წესი შეუშალა... გრიგალს ერთი სიკეთე მაინც აქვს: მოვარდება და გადაიელის, წავა; რა უბედურებაც არ უნდა დაატრიალოს, ადამიანი თანდათანობით მოიშუშებს ტკივილს და მწუხარებას — ასეთია ადამიანის ბუნება — განადგურებულს აღადგენს, ზარალს აინაზღაურებს... ეს კი მოუშორებელი ჭირი გამოდგა, იქვე დაიბუდა, მასთან, მის გვერდით... და მისგან მოვლენილი უბედურება მარტო იმით კი არ განისაზღვრება, რა მატერიალური ზარალი მიაყენა, არამედ, უმთავრესად, მასთან ურთიერთობის სიძნელით — დამპყრობელთან ურთიერთობის სიძნელით — იმ მძიმე შედეგებით, რაც ამ ურთიერთობას თანდათანობით მოჰყვება... ყველაზე ძნელი ის არის, როცა რაიმე უბედურებასთან შეჩვევა უხდება ადამიანს, როცა მისი სულის დამონება ხდება, როცა საუკუნეობით გამტკიცებული, ადამიანთა ფსიქიკით ჩამოყალიბებული ადათ-ჩვეულებები, ცხოვრების წესი, დამპყრობელისას უნდა შეეგუოს... ჯერ კი შეუპოვრად დაუპირისპირდება შენი ცხოვრების წესი მისას, მტკიცე კლდედ აღიმართება... მაგრამ როცა მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება ეს დაწოლა — განუწყვეტლივ, მთელი სისასტიკით, ყოველგვარი ხერხებით, — არ შეიძლება გაავლენა არ მოახდინოს შენზე, შენი ცხოვრების წესზე...

ზემოთ ჩვენ მოკლედ გავეცანით მონღოლების ცხოვრების წესს, და ადვილად წარმოვიდგენთ, როგორ გაუძნელდებოდა მათთან ურთიერთობა მაღალი კულტურის ხალხს, რა შეურაცხმყოფელი იქნებოდა, რა დამამცირებელი, როგორი აუტანელი... უბრალო ხალხისთვისაც და დიდგვარიანებისთვისაც, თვითონ მეფისთვისაც...

როცა მოესურვებათ, მაშინ გაიწვევენ მეფეს ლაშქრობაში, ან, — რაც კიდევ უფრო ძნელი მოსათმენია, — ხან ნოინი დაიბარებს, ხან ყაენი, და ისიც მყისვე უნდა ეახლოს; თანაც, თავად არ იცის, რამდენი ხნით უნდა იყურყუტოს იქ — დამცირებულმა, შეურაცხყოფილმა... დაბალ მოხელეებთან ურთიერთობით ილახება მისი მეფური ღირსება; ამიტომაც აყოვნებენ იქ დიდხანს, შეახსენებენ, რომ მონაა და იძულებულია იცადოს — ზოგჯერ თვეობით, წლობით...

მოთმინების სიმები უკიდურესად დაიჭიმა... აშკარა იყო, დღეს არა ხვალ, უნდა გაწყვეტილიყო.

და ეს დღეც დადგა.

●

რამდენიმე წყარო გადმოგვცემს მონღოლების წინააღმდეგ დავით რუსუდანის ძის აჯანყების ამბავს, და ეს წყაროები აესებენ ერთმანეთს, საშუალებას გვაძლევენ უფრო სრულად წარმოვიდგინოთ ამბავი.

„...არღუნ ამირი ჯერ საქართველოში წავიდა, რადგან დავით მეფე, შვილი ყაზ-მალიქისა (ანუ ქალი-მეფისა, ე. ი. რუსუდანისა), აჯანყებულიყო და ჰულაგუს მონღოლებისა და მუსლიმანთა დიდი ლაშქარი გაეგზავნა იქით. არღუნ ამირი თავისი ამალითა და ერთი რაზმით თბილისიდან იმ მხარეს გაემართა: ორი ლაშქარი სხვადასხვა მხრიდან შეხვდა ერთმანეთს და ბევრი ქართველი მოკლეს და დაატყვევეს. არღუნ ამირი გამობრუნდა და 657 წლის რამაზანის დამლევს (ანუ 1259 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში) ჰულაგუს ეახლა თავრიზში და საქართველოს მდგომარეობა მოახსენა“...

ეს ჯუვეინის ცნობაა და იმით არის მნიშვნელოვანი, რომ, ჯერ ერთი, ადასტურებს სხვა წყაროთა ცნობას დავით ნარინის აჯანყების შესახებ და განსაკუთრებით იმით, რომ გვისახელებს აჯანყების თარიღს, რასაც სხვა წყაროებში არ ეხვდებით.

ჟამთააღმწერელი, სანამ უშუალოდ აჯანყების ამბავს გადმოგვცემდეს, ორ საგულისხმო ფაქტს ასახელებს: ქართველი მეფეები „უმრაველესსა ჟამსა ულო (ჰულაგუ) ყაენს წინაშე იყვნენ, და ულო (ჰულაგუ) ლაშას ძისა დავითისთვის უმეტეს მოყუარულ იყო, და რუსუდანის ძისა დავითისათვის მოძულე“...

რაკიღა მემატიანემ რუსუდანის ძის განდგომაზე მოთხრობას დაუკავშირა ზემოთ მოტანილი ორი ფაქტი, ამით თავისთავად დაგვისახელა აჯანყების უშუალო მიზეზი. გაბეზრდა მეფე ყაენთან ამდენი გამოძახებით, ლაშქრობებში წანწალით, დამცირებით, შეურაცხყოფით... ალბათ იმისი შიშიც ჰქონდა, რომ ყაენი უბრალო „მოძულებას“ არ აკმარებდა, და გადაწყვიტა, შებრძოლებოდა დამპყრობელს.

სამწუხაროდ, იმის ცნობები არა გვაქვს, როგორ მზადდებოდა ეს აჯანყება, ვინ მონაწილეობდა და, საერთოდ, როგორ წარიმართა. ჟამთააღმწერლისა და სომეხი მემატიანის სტეფანოს ორბელიანის ცნობით ის ვიცით მხოლოდ, რომ დავით ნარინი ტყვედა ჰყავდათ მონღოლებს („ჰყავდათ იგი ბანაკსა შორის შეპყრობილი“) და ალატაღიდან გადაჰყავდათ „საზამთრო ადგილსა ბარდავს“...

ბრძოლის დროს ჩაიგდეს ტყვედ მეფე თუ ადრეეე შეიტყვეს მონღოლებმა აჯანყების ამბავი და წინასწარ შეიპყრეს, ეს ცნობილი არ არის.

ამრიგად, დავით რუსუდანის ძე მონღოლებს შეუპყრიათ და როცა ალატაღიდან ბარდავს გადაპყავდათ, უმარჯვნია და ორი მხლებლითურთ გაქცეულა, გაპარულა (ჟამთააღმწერლისა და სომეხი მემატიანის ცნობები, როგორც ითქვა, ერთმანეთს ავსებენ, და ჩვენც ასე ვთავაზობთ მკითხველს). მეფეს თანა ჰქონია დედის ნაქონი პატიოსანი თვალი — იშვიათი სილამაზისა, წითელი, რომელიც ღამეს ცეცხლიეით ანათებდა — „რომლისა მიერ ცვიოდნენ შარავანდედნი, ვითარცა ცეცხლისაგან, და ღამე ანათებდა სახლსა, ვითარცა ხუამლი“... თანა ჰქონია აგრეთვე „ნაწილი მაცხოვრისა ძელისა, რომელი შეეწონა ყოვლისა სამეფოისა მისისათვის“... ლტოლვილ მეფეს სუმბათ ორბელიანის მამული უნდა გაეველო, სანამ სამშვიდობოს გააღწევდა. სოფელ გუთენში მას გზა გადაუჭრა იქაურმა „უფალმა“, სუმბათის აზნაურმა. ალბათ მეფემ სთხოვა ამ კაცს, შენს პატრონთან მიმიყვანეო; და როცა სუმბათს წარუდგინეს, მეფემ უბიდან ქისა ამოიღო, რომელშიაც ის ძვირფასი თვალი და ჯვარი-პატიოსნის ნაწილი ჰქონდა, სუმბათს გადასცა და შეევედრა: ეს მთელ სამეფოდა ღირს, გქონდეს, შეინახე; თუ დაბრუნება მიწერია, მოდი ჩემთან, ეს მომიტანე და „მე მოგცე შენ ქუეყანა და ქალაქი, რომელიცა მთხოეო“, თუ ვერ დაებრუნდი, „შენი იყოს ეგე“...

სუმბათმა ძვირფასი თვლები გამოართვა მეფეს, მდარე ტანსაცმელი გადააცვა „შიშისათვის თათართასა“ — და გაუშვა... მეფე იქიდან ჯავახეთს გადავიდა და ლიპარიტ თორელს მიადგა.

ლიპარიტ თორელმა მეფეს ცხენი და შესამოსელი მიუძღვნა და ქუთაისამდე მიაცილა, დასავლეთ საქართველოში გაპყვა. და აქ კი დასავლეთ საქართველოს დიდებულებს მეფე დიდის პატივითა და სიხარულით მიუღიათ.

როგორც ჩანს, მონღოლთა ტყვეობიდან თავდაღწეული დავით ნარინი პირდაპირ დასავლეთ საქართველოში კი არ გადასულა — იგი წინასწარვე მოშზადებულ ჯარს გასძღოლია და ბრძოლა გაუმართავს მონღოლებისთვის. ამ ბრძოლის ადგილს ივანე ჯავახიშვილი თბილისის ოდნავ დასავლეთით ვარაუდობს. ამრიგად, „ორი ლაშქარი სხვადასხვა მხრიდან შეხვდა ერთმანეთს“ — ეს ჯუვეინის ცნობაა და ზემოთ გავეცანით.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მონღოლების სარდალი არღუნ ამირი ბრძოლის ველიდან გაბრუნებულა და მაშველი ჯარისთვის ყაენთან მისულა; პირველი ბრძოლით მას აჯანყების ჩაქრობა ვერ მოუხერხებია. იმ პირველ შეტაკებაში, ეტყობა, პირიქით მოხდა.

მეორე ბრძოლისთვის მონღოლები კარგად მოემზადნენ; ჯუვეინისავე ცნობით, ჰულაგუმ ბრძანა შეეკრიბათ ერაყსა და საქართველოს დამორჩილებულ ნაწილში დაბანაკებული ჯარი და არღუნ ამირის სარდლობით აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ გაეგზავნათ. ბუნებრივია, გაძლიერებულ ლაშქარს დავით ნარინი ველარ გაუმკლავდებოდა. იგი საბოლოოდ დამარცხდა, ან, სულაც, თავი აარიდა მეორე ბრძოლას, და იმერეთში გადავიდა. როგორ მიიღეს მეფე დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა, ჩვენ უკვე ვიცით.

ეტყობა, სტიქიური იყო დავით ნარინის აჯანყება, წინასწარ მოუმზადებელი. ყოველ შემთხვევაში მეორე მეფის — ულუ დავითის მხარდაჭერა არა ჰქონია; როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, ლაშას ძე განზე გამდგარა! ამის მიზეზი ადვილი ასახსნელია: დავით ლაშას ძე უფრო ახლოს ჰყავთ მონღოლ მმართველებს, მას ხომ თავიდანვე განსაკუთრებული პატივი სცეს, დაუყვავეს, მოეფერნენ, დაასაჩუქრეს; დიდმა ყაენმა ისეთი სუქური — საჩრდილობელი — აჩუქა, რომელსაც მხოლოდ გამორჩეულებსა და თავის უახლოეს ადამიანებს მიუბოძებდა ხოლმე, ისიც ძალიან იშვიათად. დაქრთამეს მეფე, ხელ-ფეხი შეუბორკეს, და ამიტომ, „როგორც მონღოლთა წყალობით გამეფებულს, მას უფრო მეტი მორჩილება და უფრო მეტი ერთგულების დამტკიცება მართებდაო", წერს ივანე ჯავახიშვილი, და იქვე განაგრძობს: დავით ლაშას ძის განზე გადგომა „თავიდანვე საქართველოს სამხედრო ძალის დაქსაქსვას უდრიდაო"... ქართული ლაშქარი ისედაც დაქსაქსული იყო, ქართველი მეომრები ხომ მონღოლებს ახლდნენ ლაშქრობაში — ყველგან, ყველა ფრონტზე, და რა გასაკვირია, რომ ახლა ისედაც შემცირებულ-დასუსტებული ლაშქრის განახევრებული ძალით წარმატებას ვერ მიაღწია დავით ნარინმა...

მაგრამ აქ ერთი ვარაუდი თავისთავად წამოიჭრება: დავით ლაშას ძე რომ არ მონაწილეობდა ამ აჯანყებაში, ეს იქნებ მეფის განზე გადგომით კი არ ავხსნათ, არამედ იმ მარტივი მიზეზით, რომ იგი ამ დროს საქართველოში არ ყოფილა, ლაშქრობაში ახლდა მონღოლებს... ეს ვარაუდი მით უფრო სარწმუნო გახდება, როცა ვნახავთ, რომ მონღოლებს ამ დროს მართლაც დიდი ბრძოლები ჰქონდათ მცირე აზიაში, ქართველების მონაწილეობით.

ამრიგად, საქართველო ორ სამეფოდ გაიყო, თუმცა ორ დავითს შორის სიყვარული და კარგი ურთიერთობა არც ამის შემდეგ მოშლილა — „გარნა ეგრეთცა იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა დავით და დავით; დარჩა ლიხთ-აქათი ლაშას ძესა დავითს და ლიხთ-იმერი — რუსუდანის ძესა“.

●

დავით ნარინის აჯანყების ამბავს რომ გადმოგვცემს ჯუეინი, იქვე შენიშნავს: მალე ამის შემდეგ უფროსი დავით მეფეც გადგა და ერთგულების უღელი გადაიგდოო. ულუ დავითის აჯანყებას სხვა წყაროებიც გადმოგვცემს და საშუალება გვაქვს, უფრო დაწვრილებით გაეცნოთ მას...

მაგრამ ჯერ ცოტა უკან უნდა დავიხიოთ და გავიხსენოთ ოთხმოცამდე წლის წინანდელი ამბავი, რომელიც თავის დროზე თითქოს ისე დასრულდა, რომ გაგრძელება აღარ ეწერა; მხოლოდღა მწარე სინანულით თუ გავიხსენებდით, როგორც უკვე განვლილ ისტორიულ ფაქტს — მოსაგონებლადაც კი მწარესა და უსიამოვნოს, მაგრამ დასრულებულს.

იქნებ მიხვდით კიდეც — ეს იყო ორბელიანების გვარის ამოწყვეტა გიორგი მესამის მიერ, უფლისწულ დემნას განდგომის დროს, 1177 წელს... გახსოვთ ალბათ, მაშინ მეფემ გაწყვიტა ორბელთა სახელოვანი გვარის ყველა წარმომადგენელი, დიდიან-პატარიანად — ზოგი წყალში დაახრჩობინა, ზოგი კლდიდან გადააჩეხინა, ზოგი დაასაჭურისა და ისე მოკლა, ცოცხალი კი არავინ დაუტოვებია. „ყოველი ტომ-ნათესავი მისი და ყოველივე ყრმა-წული და დედანი თანასწორად აღხოცნა და წარსწყმინდა... აღმოიღო სახელნი მათნი და ბრძანა აღმოხოცად სახსენებელ ნათესავთა ორბელიანთასა“... მათი სახელის ხსენებაც კი აღარ შეიძლებოდა... ეკლესიასაც კი დაამტკიცებინა მთელი მათი გვარის შეჩვენება, და ეს განჩინება საუკუნო დასაცავად დაადებინა — „და დასდვა ანდერძი იგი ბოროტისა საუნჯესა თვისსა“. ორბელთა ვრცელი და მდიდარი სამფლობელო კი თავის ერთგულ ხალხს დაუნაწილა... მათი მემკვიდრეობითი თანამდებობა — ამირსპასალარობა — საბოლოოდ მხარგრძელებს ერგოთ (იმიტომაც წერს სტეფანოს ორბელიანი — მეფე გიორგიმ ორბელთა მამულის ერთი ნაწილი მოღალატეებს მიუბოძაო: სარგის მხარგრძელი — აღზეევებულ მხარგრძელთა ახლო წინაპარი — ჯერ ხომ ამბოხებულთა ბანაკში

იყო, ხოლო როცა შეატყო, გიორგი მეფე იმარჯვებდა, მიატოვა დემნა და ორბელები და მეფის მხარეზე გადავიდა).

გაუგონარ სისასტიკესთან ერთად, გიორგი მესამემ დიდი სიფრთხილეც იხმარა, რათა ამ ზვიადი ფეოდალების სახსენებელი აღარ გაჭაჭანებულიყო. მაგრამ გვარის ამოწყვეტა, ისევე როგორც ერისა, ასე ადვილი როდია. მით უმეტეს, ორბელთა გენები გამძლე გამოდგა, ჯიუტი ხალხი იყო და სიკვდილსაც ჯიუტი შეუპოვრობით შეხვდნენ... გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ უკვე იწყეს კანტიკუნტად გამოჩენა — რა თქმა უნდა, არა ძველი დიდებითა და ელვარებით, მაგრამ ენერგია და დიდების დაუცხრომელი სიყვარული ძველი შერჩათ. მკითხველს ალბათ ახსოვს, ლორეს ციხეში გამომწყვდეულმა ივანე ორბელმა, შეთქმულების სულისჩამდგმელმა და მეთაურმა, როცა შეატყო, ვეღარ გაუმკლავდებოდა მეფეს, თავისი ძმა ლიპარიტი ათაბაგ მუჰამედთან გაგზავნა, დახმარება სთხოვა. ლიპარიტს თავისი ორი შვილი ახლდა — ივანე და ელიგუმი. მკითხველს ისიც ემახსოვრება, რომ ერანელმა ათაბაგმა დაუგვიანა დახმარება ამბოხებულ ქართველ დიდებულს, დააცადა, ბრძოლის სასწორი ვისკენ გადაიხრებაო, და რაკი ნახა, მეფე იმარჯვებდა, საალალბედოდ არ გაიმეტა არც ჯარი და არც საკუთარი თავი — საქართველო ძლიერი ქვეყანა იყო და გიორგი მესამეს ასეთ საქმეში ხუმრობა არ უყვარდა. ასე რომ, ლიპარიტი თავისი ორი შვილით ერანშივე დარჩა.

სამშობლოდან დევნილმა, უცხოეთში გადახვეწილმა ქართველმა დიდებულმა, ქართლის ერისთავმა ლიპარიტმა მწუხარებასა და ტირილში დალია სული, მის ორ შვილთაგან ერთი, ელიგუმი იქვე დარჩა, ერანში; ხოლო მეორე — ივანე, ჯერ განძის ამირას მიეკედლა, მერე კი, როცა გარკვეული დრო გავიდა და გიორგი მესამე ცოცხალი აღარ იყო, თამარმა შეიერდომა. მაგრამ ძველ უფლებებში კი არ აღადგინა — მხოლოდ ორბეთი მიუბოძა, დაამცირა, დააკნინა.

ამჟამად ეს ივანე და მისი შთამომავლობა არ გვაინტერესებს; ჩვენ ელიგუმს დავუბრუნდეთ, რომელიც ერანშივე დარჩა, აზერბაიჯანის ათაბაგთან, და დღედაღამ შურისძიებაზე ოცნებობდა; ათაბაგის კარზე წარჩინებაც მიიღო, ათაბაგი შვილს უწოდებდა, მამულები მისცა, სიძობასაც უპირებდა, თუკი იგი რჯულს მიატოვებდა და ისლამის სარწმუნოებას მიიღებდა; ელიგუმი ჯიუტად ირიდებდა ახალი პატრონის დაჟინებულ თხოვნას; ათაბაგის სიძობა იქნებ ძალიანაც უნდოდა, მაგრამ რჯულის დაგმობა გაუძნელდა... ბოლოს,

ათაბაგისგან რომ შორს ყოფილიყო და ამით შეენარჩუნებინა თავისი რჯული, მიმართა: შური უნდა ვიძიო და ნახჭევანში დამნიშნეო; ნახჭევანი საქართველოსთან ახლოა და მამათა სისხლს იქიდან უფრო ადვილად ავიღებო.

როგორც ითქვა, შურისძიების ჟინი მართლაც აწვალებდა სამშობლოდან დევნილ ჭაბუკს, მაგრამ ისე მოკვდა, რომ წადილი ვერ შეისრულა. ნახჭევანში დასახლების შემდეგ ელიგუმმა შეირთო სომხის ქალი, სივნიეთის ეპისკოპოსის სტეფანეს დისწული; ეყოლა შვილი — ლიპარიტი...

შეგახსენებთ, რომ ამ დროს თამარი მეფობს და მისი ქვეყნის საზღვრები სულ უფრო შორს მიიწევს, თითქოს საგანგებოდ ცდილობენ, სამშობლოდან გაძევებულ ურჩ დიდებულებს მისწვდნენო, სულ უფრო და უფრო უახლოვდება იმ ადგილებს, სადაც შურისძიებით გულგავსებულ ორბელიანებს შეუფარებიათ თავი...

ჩვენ აქ დაწერილებით აღარ მოვყვებით მათ თავგადასავალს, რომელიც მოთხრობილი აქვს მეცამეტე საუკუნის სომეხ მწერალს, ამ ბოლო ლიპარიტის შვილიშვილს (ამავე თემას მიუძღვნა დიდი ექსპრესიით დაწერილი მონოგრაფია ნიკო ბერძენიშვილმა).

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ახალგაზრდა ლიპარიტი ივანე მხარგრძელის ხელში მოხვდა — სწორედ იმ კაცის ხელში, რომელსაც მისი წინაპრების თანამდებობა და სამფლობელო ეჭირა... თითქოს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა ახალგაზრდა ორბელიანს შურისძიებისა, უკეთესს ვერც ინატრებდა... მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა. ივანე მხარგრძელმა შეიფარა და შეიტკბო დევნილი დიდებულის შთამომავალი; წყალობდა, პატივს სცემდა, და სურდა დაესიძებინა კიდეც — გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამით გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე განაიარაღებდა პოტენციურ მტერს, შურისძიების ჟინს განუმუხტავდა, დაიმოყვრებდა, ოჯახის წევრად გაიხდიდა... მაგრამ ამირსპასალარს მისივე სახლთუხუცესმა დაასწრო და თავისი ასული მიათხოვა ლიპარიტს...

სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა ორბელიანი თანდათან დაწინაურდა ივანე მხარგრძელის სამსახურში; ლაშა გიორგიმაც გაიგო მისი არსებობა, და ისიც მოწყალებით მოეკიდა, უბოძა მამული (რა თქმა უნდა, არა ის დიდი სამფლობელო ორბელიანებისა, რომელსაც ახლა თავად მხარგრძელები ფლობდნენ)...

გამოხდა ხანი, ქვეყანას ხვარაზმელები შემოესივნენ, და ლიპარიტს გარნისის ომში ეხედავთ. ოღონდ, ბუნებრივია, არა მეწი-

ნავე რაზმში, რომლის მებრძოლები შეუპოვრად ეკვეთნენ მტერს და ერთიანად გაიჟლიტნენ, არამედ ძირითად ლაშქარში, თავისიანებ პატრონთან; და, ეტყობა, პატრონის მსგავსად, არც მას უბრძოლია. როცა მეწინავე რაზმის განადგურების შემდეგ მტერი უკუქცეულ ძირითად ლაშქარსაც წამოეწია და ჟლეტა დაუწყო, ლიპარიტი ივანე მხარგრძელთან ერთად „ილეტოდა"; ჯერ იქვე შეაფარეს თავი რომელიღაც ხეობას და მერე შინ მშვიდობიანად დაბრუნდნენ. ამ ომის შემდეგ დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ ლიპარიტიც მოკვდა და ხუთი შვილი დარჩა – ელიგუმი, სუმბატი, ივანე, ფაპრადაველა და ტარსაიჭი.

თვალსაჩინოებისთვის აქვე პატარა სქემა მოვხაზოთ.



მონღოლებმა რომ დაიპყრეს საქართველო, ლიპარიტი ცოცხალი აღარ ყოფილა. უფროსი შვილი, ელიგუმი, ყველაზე ადრე დაემორჩილა დამპყრობლებს და ერთგული სამსახური შესთავაზა; ადვილად შეეგუა მათ. დამახასიათებელია, რომ ანისის ბრძოლებში იგი თან ახლდა მონღოლებს, და ეტყობა, კარგი სამსახურიც გაუწია, რადგან მემატიანის სიტყვით, ერთგულებისთვის ნოინმა „ფრიად შეიყუარა და მშვიდობით შეიწყნარა“ ელიგუმი...

ნეტა რას ფიქრობს ორბელთა დიდი გვარის შთამომავალი, თუ გაელვიძა გარემოებათა გამო მიყუჩებული შურისძიების გრძნობა?! პაპამ ვერ მოიკლა შურისძიების ჟინი და ახლა მის სეხნია შვილიშვილს მიეცა ამისი საშუალება. ნიკო ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ მმართველებისგან განებივრებულ ელიგუმს უსათუოდ აღეძროდა სურვილი, კვლავ დაუფლებოდა მამა-პაპათა მამულს. იმ დიდსა და განთქმულ მამულს, ერთ დროს აღზევებულსა და განებივრებულ ორბელიანებს რომ ეჭირათ... მაგრამ, როგორც ითქვა, ამ მამულებს ამჟამად მხარგრძელნი ფლობენ. კერძოდ, ავაგ მხარგრძელი (იანე მხარგრძელი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ არის) და ავაგს უნდა დაუპირისპირდეს ელიგუმი; ის უნდა მოიკიდოს მტრად... ავაგის დამარცხება კი იოლი როდია — თქვენ გახსოვთ ალბათ, რომ იგი წყალობის „იერლაყით“ დაბრუნდა დიდი ყაენისგან, და, რაღა თქმა უნდა, ელიგუმსაც კარგად ეცოდინებოდა, გაამაყებულმა რა უყო ბაკურციხელ ერისთავს. ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა იმოქმედოს ახალგაზრდა ორბელმა.

მონღოლთა შემდგომ ლაშქრობებში, ავაგსა და შანშესთან ერთად, ნოინებს ელიგუმიც ახლავს... ავაგი უსათუოდ გრძნობს ელიგუმის განწყობილებას, რაც არ უნდა დაეფარა თავისი ზრახვები ახალგაზრდა ორბელს, ავაგი ხომ ხედავდა, როგორ პატივში ჰყავდათ იგი მონღოლებს, როგორ დაახლოებული იყო ნოინებთან, როგორ სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა... და არ შეიძლებოდა ავაგს მოსწონებოდა ეს, თავის უშუალო მეტოქედ არ მიეჩნია ორბელების ახალგაზრდა ნაშიერი, მისი ფარული შიში არა ჰქონოდა...

და აი, მონღოლთა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, როცა მოწინააღმდეგის ქალაქი ალყაში ჰყავდათ მოქცეული, ელიგუმი ერთბაშად მოკვდა... მაშინვე გავრცელდა ხმა, ავაგმა მოაწამლინაო; მაგრამ ეს მხოლოდ ჭორად გავრცელდა და არავის გამოუძიებია... ავაგს ვერც გაუბედავდნენ რამე ეთქვათ.

შვილი კი დარჩა ელიგუმს, მაგრამ ის ჯერ პატარაა, და ამიტომ „დაიპყრა სამთაერო ამისი (ელიგუმისა) ძმამან მისმან, ყოველად კურთხეულმან და ყოველთაგან ქებულმან სუმბატ“...

სწორედ ეს სუმბატი — სუმბატ ორბელი — შეგეხვდა ჩვენ რამდენჯერმე ჩვენი მოთხრობის ამ მოკლე მონაკვეთზე, და რაკი მომდევნო ამბებშიაც დიდი როლი უნდა შეასრულოს, ამიტომაც შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება.

ამგვარად, სუმბატი და მისი ძმები მეოთხე თაობაა იმ ზვიადი და შეუპოვარი ორბელებისა, რომლებიც გიორგი მესამემ ამოწყვიტა. და მიუხედავად იმისა, რომ იმათი შთამომაელობაა (და ახლაც იმათთან ერთად ვახსენეთ), რაინდული სული იმ სახელოვანი წინაპრებისა ამათ აღარ შერჩენიათ; არ შერჩენია, კერძოდ, სუმბატს, რომელიც ნელ-ნელა ამოტიეტივდა საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე; ესეც კი ენერგიულია, აქტიური, შეუპოვარი, მაგრამ როგორც ახლავე ვნახავთ, ეს ენერგიულობა და შეუპოვრობა სულ სხვაა, ის დიდი სუნთქვა აღარა აქვს, ამაყი სული არ შერჩენია, ის რომანტიკული აღმაფრენა აღარ მოსდევს; დროისა და გარემოებათა შესაბამისად, მონური სულისკვეთებით გაჟღენთილა, მასშტაბები დაკნინებულა; მის ენერგიას სულ სხვა კალაპოტი მიეცა... თუმცაღა თავისი ძმისწული — სომეხი მემატიანე სფეტანოს ორბელიანი — საქებურ სიტყვებს არ იშურებს ბიძის შესამკობად: „... იყო მეცნიერებით დიდი, განზრახვით ძლიერი, ჭკუით უამხანაგო (ანუ სწორუპოვარი), ხელოვნებით მრავლად მეცნიერ, სიტყვით უხვი და ტკბილი, ენათმცოდნე და რიტორი და სამდივნოსა სამსჯავროში უძლეველი (აქ მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლების დივანი იგულისხმება), მით რამეთუ უწყოდა ენა ქართული, სომხური, ქურთული, სპარსული, მუღალური, რომელ არს ენა თათართა. ხოლო იყო ესე გაწურთნილი სიყრმითგან საღრმთოთა მცნებითა. იყოცა დიდსარწმუნოებიანი, კეთილმსახური, მოყუარულ წმიდათა და ეკლესიათა, აღმაშენებელი მონასტერთა, ნუგეშინისმცემელი სამღუდელოთა, მოწყალე გლახაკთა, აღმადგინებელი და განმაძლიერებელი შეწუხებულთა ნათესავთა სომეხთასა“...

რაკი ქებას მოჰყვა მემატიანე, ძალიან გაუტია, ზომიერების დაცვა გაუჭირდა. რამდენად იმსახურებს ამ ქებას სუმბატ ორბელი, მკითხველი თავად განსჯის, როცა მის თავგადასავალსა და მოღვაწეობას გაეცნობა; მაგრამ ამ სახოტბო ტირადაში ერთ მომენტზე ახლავე უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. ენათმცოდნე და რიტორიო, სომეხი მემატიანე ამბობს, იქვე ჩამოთვლის ამ ენებს, და, რამდენიმე

ენასთან ერთად, მონღოლურს ასახელებს. ეს საგულისხმო მომენტია, რადგან კარგად განსაზღვრავს სუმბატ ორბელის ხასიათსა და ზრახვებს. მონღოლური ენა არა ყოფილა ისეთი პოპულარული, რომ მის შესასწავლად ძველი დიდი გვარის შთამომავალს თავი გამოედო — არც მწიგნობრული ენა ყოფილა და არც რაიმე მხრივ საინტერესო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორ შეიძლებოდა საძრახისი ყოფილიყო ერთი ახალი — თუნდაც უდამწერლობო და არაპოპულარული — ენის შესწავლა!.. არა, საჩოთირო სულ სხვა რამა ჩანს: ეს ენა ძალიან კონკრეტული და ეიწრო პრაქტიკული მოსაზრებით შეისწავლა ადამიანმა, რომელსაც განუსაზღვრელი ამბიციები გენებით გადმოჰყვა აღზევებული წინაპრებისა, ხოლო მათი დიდებისა აღარაფერი შერჩა... კარიერის კიბეზე შემდგარმა სუმბატ ორბელიანმა ამ ენის ცოდნით გადაწყვიტა დამპყრობლის სამსახურში მყარი მდგომარეობა მოეპოვებინა, გამდიდრებულიყო და ზნეობის თვალსაზრისით მისი ძველი დიდი გვარისთვის შეუფერებელი გზით, მაღლა და მაღლა აენაცვლებინა. გუმანს არ უმტყუნებია სუმბატისთვის — მონღოლური მართლაც დიდად დაეხმარა მას...

სუმბატ ორბელი იშვიათი გამონაკლისი არ ყოფილა; როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ახლაც ბევრნი გაჩნდნენ მედროვენი (სწორედ ასე უწოდებს მათ ივანე ჯავახიშვილი)... ჟამთააღმწერელი კიდევ ერთ ასეთ მედროვეს ასახელებს... როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისინი არაფერს თაკილობდნენ, ყველაფერს კადრულობდნენ, ოღონდ კი სიმდიდრე მოეპოვებინათ და კარიერისთვის მიეღწიათ („ცდილობდა გამდიდრებას", შეგვახსენებს ხოლმე სტეფანე ორბელიანი თავის ბიძაზე).

ახლა კი ჟამთააღმწერლისა და სტეფანოზ ორბელიანის თხზულებათა მიხედვით, გავეცნოთ რამდენიმე ეპიზოდს სუმბატ ორბელის ცხოვრებასა და საქმიანობიდან. ოღონდ მკითხველს უნდა შევახსენო, რომ ამ თხზულებათა ავტორები ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ზუსტად არ იცავენ, და ზოგი მოვლენის თარიღი საერთოდ მითითებულიც არ არის.

●

როგორც ვნახეთ, მიაღწიეს თუ არა ერთგვარ წარმატებას სამშობლოში დაბრუნებულმა ორბელებმა, მაშინვე დაუპირისპირდნენ ავაგ მხარგრძელს — ანუ იმ ადამიანს, რომელსაც მათი დიდი წი-

ნაპრების თანამდებობაც ეპყრა და მათიეე მამულებს ფლობდა. ეს მტრობა, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. საბოლოოდ იქამდეც კი მიეიდა საქმე, რომ ავაგმა იმხანად ყველაზე მეტად აღზეეებული წარმომადგენელი ორბელთა გვარისა მოაწამლინა. თუნდაც მცდარი და მონაჭორი იყოს ეს ცნობა, ფაქტია, რომ იგი გავრცელებულა, და ორბელების ოჯახამდეც ისევე მიაღწევდა, როგორც ავაგის ყურამდე. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ურთიერთობა კიდევ უფრო უნდა გამწეავებულიყო მათ შორის... და როგორ მოულოდნელია, როცა ვიგებთ, რომ ავაგის ცოლყოფილს, ამჟამად საქართველოს დედოფალს გვანცას სწორედ სუმბატ ორბელი დაუახლოეებია; ის კაცი, რომელსაც, ბოლო შემაძრწუნებელი ფაქტის — ძმის მოწამვლის — შემდეგ კიდევ უფრო უნდა გაძლიერებოდა სიძულვილი და შურისძიების გრძნობა ავაგის ოჯახის მიმართ; ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს გრძნობა მართლაც ძალუმად დაუფლებია სუმბატს; და სწორედ ის არის საინტერესო, და ის გეიხასიათებს კარგად მას, რომ სუმბატმა მოახერხა სიძულვილის დაფარვა; როგორც უკვე ითქვა, სწორედ მისი შესმენით და მისი აქტიური მონაწილეობით, მოაკვლევინა დედოფალმა მეფეს ყველაზე ერთგული და სანდო ადამიანი — ჯიქური... იქნებ ამას უფრო ღრმა საფუძველიც ჰქონდეს, მეფის ერთგული ადამიანი რომ მოაკვლევინა: იქნებ გზიდან ჩამოიშორა!...

●

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ დავით ნარინმა განსაცდელის ჟამს მთელ სახელმწიფოდ ღირებული ჰატიოსანი თვალი მისცა სუმბატს, ოღონდ არ გამცე და გაქცევაში დამეხმარეო. თავისთავად ის ფაქტი, რომ განსაცდელში ჩავარდნილ მეფეს ქვეშევრდომი ქრთამს გამოართმევს, კარგს ვერაფერს ამბობს ამ ქვეშევრდომზე. არანაკლებ გასაკვირი ის არის, რომ სუმბატმა მაშინვე ნოინთან გააქანა ძვირფასი თვალი და, დააკვირდით, რა უთხრა: ანუ მიიღე ეს შენ და მომეც რ ა ი ც ა გ თ ხ ო ვ ო, ან უფლება მომეცი დიდ ყაენთან წავიდე და იმას გადავცეო. თვალი იმდენად ძვირფასი იყო, რომ ნოინმა ვერ გაბედა აღება (ასევე მიუგო სუმბათს — აღებას ვერ გავბედავო) და ყაენთან გააგზავნა... ყაენმა მადლიერებით მიიღო ძვირფასი საჩუქარი, და „ეგოდენ შეიყუარა და აპატივოსნა სუმბატ და ერწმუნა სიტყუათა მისთა, ვიდრე ა მ ა ღ ლ დ ა ი გ ი უ ფ რ ო ს ყ ო ვ ე ლ-

თა დიდებულთა მისთგან, და ბრძანა მიცემა სუმბათისა, რაიცა ითხოვოს“...

ასეთია ზნეობრივი სახე კარიერის გზაზე შემდგარი წარჩინებულისა, რომელიც არაფერს არ თაკილობს, ოღონდ კი წინაპართა დიდება დაიბრუნოს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ბედნიერი შემთხვევით სუმბატმა სიმდიდრეც მოიპოვა და კარიერის კიბეზედაც რამდენიმე საფეხურით ამაღლდა.

არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს ძვირფასი ნიეთი კი არ უჩუქებია მეფეს სუმბატისთვის, გირაოსავით მისცა: როცა დავბრუნდები, მომიტანე ეს თვალი და რასაც მთხოვ, გიბოძებო, უთხრა; მიბარებულს მგელიც კი შეინახავსო, ეს ანდაზა მაღალ ზნეობას ასწავლის ადამიანს, მაგრამ დამპყრობელის სამსახურში მყოფი, კარიერის გზაზე დამდგარი დიდებული საკუთარი მორალის კარნახით მიიკვლევდა გზას.

როცა ჰულაგუ ყაენი დამკვიდრდა ამიერკავკასიაში, სუმბატმა კიდევ უფრო ადვილად გამოძებნა მასთან საერთო — დაუახლოვდა, უერთგულა, თავი შეაყვარა; სამაგიეროდ: „ეგოდენ უსმენდა ჰულაგუ (სუმბატს), ვიდრე ვისიცა ენება, მოაკულევინებდა და ვისიცა ჰნებავდა სიცოცხლესა მომადლებდა, რომლისათვის ყოველნი ძრწოდეს მისგან და თვალნი ყოველნთანი მას უჭვრეტდნენ“...

●

დიდი ყაენის კარზე სუმბატი გასაოცარ სცენას წააწყდა და ისიც თავის სასიკეთოდ გამოიყენა. როგორც ჩანს, არღუნს გადაეკიდნენ ადგილობრივი მონღოლიევ მოხელეები, და დიდ ყაენთან დააბეზღეს — ეტყობა, ისეთი საფუძვლიანი საბუთები ჰქონდათ, რომ არღუნს სიკვდილს მიუსჯიდნენ, ბორკილდადებული ელოდა განაჩენს; და, ჩანს, ვეღარაფინ იხსნიდა... მაგრამ მხსნელად სუმბატი მოეელინა. სწორედ იმ დროს მივიდა ყაენის კარზე სუმბატ ორბელი, და ყაენმაც მაშინვე მიიღო, როგორც ერთგული და საყვარელი ადამიანი — „...სცნა იგი, ვინათგან უყვარდა იგი და ერწმუნებოდა ფრიად“... ყაენმა არღუნის ამბავი ჰკითხა სუმბატს, შენ უკეთ გეცოდინება, მართლა ასეთი ამბების ჩამდენია თუ ტყუილს უგონებენო. ეტყობა, მაინც გული ეთანაღრებოდა ყაენს, სასიკვდილოდ არ ემეტებოდა თავისი მოხელე, რომელიც აქამდე ერთგულად ემსახურებოდა... და ამას მაშინვე აუღო ალღო სუმბატ ორბელმა; საოცარი კია, მაგრამ ყაენის

დიდი მოხელის ბედი ახლა მის ხელში მოექცა; ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მას შეეძლო, თუ მოისურვებდა, ეხსნა კიდეც არღუნი და დაეღუპა კიდეც... და სუმბატი არ დაიბნა, აქაც ერთგული დარჩა თავისი მორალისა, მაშინვე გაითვალისწინა: თუ ცუდს იტყოდა არღუნზე, ვაითუ ყაენს მაინც არ დაესაჯა თავისი დიდი მოხელე, და გათავისუფლების შემდეგ კიდევ უფრო გაამაყებული არღუნი, რაღა თქმა უნდა, შურს იძიებდა; თუ კარგს იტყოდა და გაამართლებდა, ამით არღუნის გულს მოიგებდა და დიდ მოხელეს, რომელსაც კარგიც ისევე ბევრი შეეძლო, როგორც ავი — მოყვარედ გაიხდიდა...

ასეც მოხდა. სუმბატმა დაიცვა არღუნი, „ყოვლითურთ გააცრუვა შემასმენელნი“, და ყაენმა მისი სიტყვების საფუძველზე გაამართლა თავისი დიდი მოხელე; დამბეზღებლები კი სიკვდილით დასაჯა. მერე „იპყრა ხელი სუმბატისა, [არღუნს] შთააბარა და ჰრქვა: დაუწერინე წიგნი წყალობისა, რათამცა უმტკიცეს შეიქმნას მამული მაგისი სამკვიდრებელად მაგისა და ნათესავთა მაგისათა“...

კიდევ ერთი საფეხურით ზევით ავიდა სუმბატ ორბელი.

არღუნს რაღა ყაენის ბრძანება უნდოდა, სუმბატისგან იმგვარად დავალებული, ისედაც ყველაფერს გაუკეთებდა: „დიდისა ღუაწლისათვის, რომელი დასდვა მას სუმბატ, არა უწყოდა არღუნმან, უკეთუ ვითარითა სიყუარულითა შეიყუაროს იგი და ანუ ვითარითა პატივითა პატივჰსცეს სუმბატსა“, წერს სტეფანოს ორბელიანი. ასე შეითვისა და დაქრთამა სუმბატმა აქ ადგილობრივი მმართველები — არღუნ აღა, ჰულაგუ ყაენი, იქ — დიდი ყაენი...

მემატიანე ამას აღარ გვეუბნება, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, როგორ გალაღდებოდა პატივისა და კარიერის მაძიებელი სუმბატ ორბელი, როგორ დაიჭერდა თავს, რამდენს მოიხვეჭდა, როგორ გამდიდრდებოდა. ამისი განმარტება იქნებ საჭირო არც კი იყოს — მოხვეჭა და გამდიდრება ხალხის ხარჯზე ხდებოდა, მშრომელი ხალხის ხარჯზე, რომელიც ისედაც წელში გაწყვეტილი იყო ამდენი გადასახადით... დამპყრობელის ენის მცოდნე იყო, თითქმის ერთადერთი, და რა აღარ შეეძლო — აკი მის მეხოტბე მემატიანესაც წამოცდა: „ყოველნი ძრწოდეს მისგან და თვალნი ყოველთანი მას უჭვრეტდნენ“...

მაგრამ მთავარი საზრუნავი სუმბატისა — წინაპართა მამულისა და თანამდებობის დაბრუნებაა, ეს კი ჯერ ვერ მოუხერხებია...

თუმცა, როგორც სტეფანოს ორბელიანი გვაუწყებს, თითქმის მიუყვანია აქამდე საქმე. სუმბატმა, რაღა თქმა უნდა, იცოდა იმ

შეჩვენების ამბავი, რომელიც გიორგი მესამემ ეკლესიას დაამტკიცებინა. ჯერ საჭირო იყო იმ ანდერძის გაუქმება და მერე ძველი დიდების დაბრუნებაც შედარებით გაადვილებული იქნებოდა. როგორც ვიცით, სუმბატი ყოველნაირად ცდილობს მეფესთან დაახლოებას, მისი გულის მოგებას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ერთგულებას უმტკიცებს, მეფის გულზეაე მტრებს თვითონვე მოაკვდინებს, რადგან ყაენის კარზე დიდი გავლენა აქვს მოპოვებული და „ეგოდენ უსმენდა პულაგუ მას, ვიდრე ვისიცა ენება, მოაკულევინებდა“... უცდის სასურველ შემთხვევას, რომ მეფეს გააუქმებინოს ის საშინელი შეჩვენება, რომელიც მთელს მის საგვარეულოს მოუშორებელ ჭირად ასდევნებია: იქ დიდი წინაპრების სულებსა სტანჯავს, აქ კი მათ კანტიკუნტად შემორჩენილ ნაშიერებს გასაქანს აღარ აძლევს...

იმდენად დაუახლოვდა ცბიერი კარისკაცი დავით ლაშას ძეს და ისე მოიგო მისი გული, რომ ერთ დღეს მეფემ თვითონ დაიბარა სუმბატი და ჰკითხა — ამდენი სიკეთის სამაგიეროდ, მითხარი, რა გინდა, და რაც უნდა მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებო...

მეფეებს უყვარდათ ასეთი რამე...

სწორედ ამ დღეს ელოდა სუმბატი, მაგრამ აქაც ეშმაკობა გამოამჟღავნა: პირდაპირ ის კი არა სთხოვა, რისთვისაც გული ელოდა, შორიდან დაიწყო — შენგან წყალობა არ მაკლიაო, უთხრა, ბედის მადლობელი ვარ, რაცა მაქვს და „იგი ამა არს ჩვენდაო“; ასე მოისაწყლა თავი, თითქოს თავის დღეში არა ჰქონოდეს სხვა სურვილი და მისწრაფება... და მერედა უთხრა მეფეს, თითქოს წყალობას იქით აძლევესო — მე მხოლოდ სამართლიანობის აღდგენას ვითხოვო, მოახსენა: „აღიღე ბოროტი სახსენებელი ჩვენი, რომელ ცილი სწამა წინაპარმან შენმან გიორგი უპირატესთა (წინაპართა) ჩვენთა, რომელ აღწერად სცა და განაწესა შეჩვენება, რაითა არა გვიტეონ ჩვენ მამულად ჩვენდა და დამარხა საუნჯესა თვისსა, მომეც იგინი ხელთა ჩემთა“.

ჯერ როგორ მოიკატუნა თავი, და ახლა ხედავთ, როგორ ქედმაღლურად მიმართა — წინაპარიც აუგად უხსენა მეფეს: პატიება კი არა სთხოვა, შელახული სამართლის აღდგენა მოითხოვა.

და საოცარია მეფის მოქმედებაც: მან თითქოს არ იცოდა იმ ანდერძის ამბავი (რაც ძალიან ძნელი დასაჯერებელია), „განკვირდა, აყვედრა პაპასა თვისსა“ და მაშინვე „უბრძანა მსახურთა თვისთა ძებნა და პოვნა“... — ახლავე მოძებნეთ და მომიტანეთ ის შეჩვენებაო. ეტყობა, ბევრი ძებნა არ დასჭირვებია, ყველამ კარგად იცოდა, სად

ინახებოდა ანდერძი, და მაშინვე მოართვეს მეფეს. დავით ლაშას ძემ „იპყრა წიგნი იგი ხელთა თვისთა“ და სუმბატს გადასცა... და არც ამჯერად გამოუჩენია სუმბატს სულწასულობა, ხელში არ სწვდომია მეფეს, დინჯად უთხრა: ეს ანდერძი მეფის ხელით არის შედგენილი, და მეფის ხელითვე უნდა მოისპოსო: „უბრძანე და აღაგზნან ცეცხლი წინაშე შენსა და ხელითა შენითა შთააგდე მას შინა წიგნი ეგე“...

ამას უკვე ქედმაღლობაც არ ეთქმის — თავხედობაა. მაგრამ მეფემ მაინც მოითმინა: მაშინვე ცეცხლი გააჩაღებინა, მერე „მოიღო ხანჯალი და დაკუწა წიგნი იგი და შთააგდო ცეცხლსა მას და დაწვა“...

სამწუხაროდ, სტეფანოს ორბელი არ ათარიღებს, როდის მოხდა ეს მნიშვნელოვანი ისტორიული აქტი.

პირველი ნაწილი სუმბატ ორბელის დიდი ამოცანისა უკვე შესრულებული იყო. ახლა თითქოს გაადვილებულია ძველი დიდების დაბრუნება... ახლა უკვე აშკარად უნდა დაუპირისპირდეს სუმბატ ორბელი მხარგრძელთა გვარს, კერძოდ, ახალგაზრდა ამირსპასალარ ზაქარია შანშეს ძეს, იმ დიდი ზაქარიას სეხნია შვილიშვილს, რომელიც დიდხანს ფლობდა ორბელების სახელსა და მამულს...

მაგრამ ცოტა ხნით შევწყვიტოთ ორბელებზე საუბარი, ისინი კიდევ გამოჩნდებიან ჩვენს მოთხრობაში — სუმბატიცა და მისი ძმაც. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ... მოთმინებით დაველოდოთ, რა მოხდება, როდის მოახერხებენ, ან, საერთოდ, მოახერხებენ თუ არა ორბელები ძველი დიდების დაბრუნებას... შეჩვენების წიგნი გაანადგურებინა სუმბატმა მეფეს, და ახლა იმას თუ მოახერხებს, ძველი უფლებების აღდგენა დაამტკიცებინოს... ან როდის მოახერხებს ამას, როდის მოიცლის მეფე საამისოდ?..

●

ახლა კი მწარედ ჩაფიქრებული ქართველი მეფე დავით ლაშას ძე საქართველოსკენ მოუძღვის თავის გაწამებულ და განახევრებულ მხედრობას... ლაშქარს გადაედო მეფის განწყობილება თუ მეფეს — ლაშქრისა, ყველანი ერთნაირად დაღვრემილები არიან; ამოდენა ლაშქარში ერთს ვერ ნახავ, სახე უცინოდეს, შინ დაბრუნების სიხარულითა და საყვარელ ადამიანებთან შეხვედრის მოლოდინით თვალები უბრწყინავდეს...იდუმალი შიში რაღაც გაუცნობიერებელ მწუხარებასთან შეხვედრისა ყველას ერთნაირად გამოუკრთის თვალებში... თუკი შეიძლება რამდენიმე ათასი კაცის გონება ერთ-

დროულად ერთი და იმავე ფიქრით იყოს მოცული, მაშინ ქართველი მეფისა და მისი ლაშქრის დანახვაზე უყოყმანოდ იტყოდით, ამ ხალხს ერთი ფიქრი აწვალებსო. და ყველაზე მწარე დაცინვაა ბედისა, რომ ეს ლაშქარი გამარჯვებულია!.. ისინი მონაწილეობდნენ ალეპოს აღებაში და დიდი ხნის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, როცა ორივე მხარეს დიდძალი ხალხი დაიღუპა, და, კერძოდ, ქართული ლაშქრის თითქმის ნახევარი გაიჟლიტა, მონღოლებმა ქალაქი აიღეს, კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიეს წინ ეგვიპტისკენ. ქართველები ამ ბრძოლაშიაც „წინამბრძოლები" იყვნენ და ყველაზე მეტი ზარალი მათ მოუვიდათ.

უკვე მერამდენედ ვამბობთ მონღოლთა ლაშქარში მონაწილე ქართველი მეომრების განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაზე, იმაზე, რომ ისინი მუდამ წინ მიუძღოდნენ ძირითად ლაშქარს და ამიტომ დანარჩენებზე მეტად ზარალდებოდნენ. ეს გაზვიადება არ არის, ჟამთააღმწერლის გარდა, უცხოელი მემატიანეებიც საგანგებოდ აღნიშნავენ ქართველი მეომრების განსაკუთრებულ მამაცობას და იმას, რომ მონღოლებს მუდამ წინამბრძოლებად ჰყავდათ ისინი... ჩვენ ადრევე შეენიშნეთ — მონღოლებს წესადა ჰქონდათ, თავიანთ მეომრებს ზოგავდნენ და წინამბრძოლებად დაპყრობილი ქვეყნების მეომრები გაჰყავდათ. მაგრამ რაღა მარტო ქართველებს აძლევენ ამ საეჭვალო უპირატესობას — მათ ხომ მთელი აზია დაიპყრეს, ახლო აღმოსავლეთის დაპყრობილი ქვეყნებიდანაც რამდენი მეომარი წამოიყვანეს!.. რატომ ისინი არ გაჰყავთ? ეს ქართველი მეომრების გმირობისა და სიმამაცის გარდა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებით აიხსნება.

მონღოლებს ბოლო ბრძოლები მცირე აზიაში სულ მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ აქვთ, ამიტომ ისინი ვერ ენდობიან შუა აზიის ქვეყნებისა და ირანის მაჰმადიან მეომრებს, მცირე აზიის მუსლიმანური ქვეყნების დასაპყრობად ბრძოლის მთელი სიმძიმე ქართველებს და სომხებს აწევთ, რომელთაც ისტორიული მტრობაც აქვთ იმ ქვეყნებთან (ეს კარგად იციან მონღოლებმა!) და ბრძოლის ცეცხლმოდებულნი, ქვეცნობიერად, თითქოს თავიანთიევ ომში იბრძოდნენ, საკუთარი მტრის წინააღმდეგ; გახურებული ბრძოლის დროს იმას ვეღარ უწევენ ანგარიშს, რომ სხვის ომში არიან, დამპყრობელი აბრძოლებთ უსამართლო ომში სხვა ქვეყნების დასაპყრობად...

დამპყრობელის მზაკვრული ხერხია...

და როცა ზემოთ ვლაპარაკობდით ქრისტიანული რელიგიის მიმართ მონღოლთა შემწყნარებლობაზე, ამას სწორედ ეს საფუძველი აქვს და არა სხვათა სარწმუნოებისადმი პატივისცემა... მონღოლებმა იცოდნენ, რომ ეგვიპტისათვის ბრძოლები ძალიან ძნელი იქნებოდა და ფრთხილად მოქმედებდნენ...

ერთი სიტყვით, ალეპოს ბრძოლებშიაც ყველაზე მეტი სიმძიმე ქართველ მეომრებს დააწვათ, და როცა ბრძოლის შემდეგ ქართველმა მეფემ ყაენს სთხოვა — მრავლით ჟამითგან ლაშქრობათა შინა ვართ, და შინ დაბრუნების ნება მოგვეცეო, ჰულაგუ ყაენმა მაშინვე დართო ნება.

ქართველმა მეფემ პირველად იქნებ ყაენის მადლიერებითაც ახსნა ეს, მაგრამ მიზეზი სულ სხვა იყო, და მეფემ ეს მალევე გაიგო... იმავე ლაშქრობის დროს ყაენმა დამასკოც აიღო, მაგრამ ეს უბრძოლველად მოხდა — როცა ამ ქალაქის მმართველებმა ნახეს, როგორ გაჟლიტეს მონღოლებმა ალეპოს მცხოვრებლები, უბრძოლველად დანებდნენ (ამიტომაც შეელია ყაენი ქართველ მეომრებს ისე ადვილად — მეორე ქალაქის დასაპყრობად ბრძოლა აღარ დასჭირვებია).

ალეპოს ბრძოლიდან მობრუნებული ქართველი მეომრები და მათი მეფე-სარდალი „მოიწივნეს არდაბადაგანს, და მოვიდეს მუნით ტფილისად“... ჟამთააღმწერელი იქვე დასძენს, „საესენი სიხარულითაო“, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მცდარი ვარაუდია მემატიანისა, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა; მან, ჩვეულებრივ, ფაქტი აიღო რომელიღაც წყაროდან, სადაც, ბუნებრივია, ჯარის სულიერ განწყობილებაზე არ იქნებოდა საუბარი; ჟამღააღმწერლის ვარაუდი კი იმაზეა დაფუძნებული, რომ რაკიღა ყაენმა ნება დართო ქართველ მეომრებს, ცოტა უფრო ადრე წამოსულიყვნენ, ალბათ ამით კმაყოფილები და გახარებულები იქნებოდნენო. თორემ სიხარული რომ ძალიან შორს იყო ჯარისგანაც და ქართველი მეფისგანაც, ამას ახლავე ვნახავთ.

სიხარული — ეს ადამიანური ცხოვრების უპირველესი სიკეთე და სამკაული — საერთოდ, მთელი ქვეყნიდან გამქრალიყო...

იმიტომაც არ არის ძნელი, მივწვდეთ ფიქრებს დარბეული ქვეყნის გვირგვინოსნისა, რომლის ხალხი სისხლისაგან იცლება, დამპყრობელის უღელში გმინავს, თავი ვერ აუწევია და მზისთვის ვერ შეუხედავს, შვებით ვერ ამოუსუნთქავს...

თვითონ კი, იმის ნაცვლად, რომ ხალხს ედგეს მხარში, ხან სად იქნევს ხმალს და ხან სად — სხვათა ქვეყნებში, სხვათა ინტერესები-

სთვის... დედებს გულიდან ტანჯვით გამოზრდილ შვილებს გლეჯს და მიჰყავს, რათა უკან აღარ დაუბრუნოს, მომაკვდავ შვილს დედის ცრემლი არ დაეცეს, მშობელი მიწის სითბო ვერ იგრძნოს, უცხო ქვეყანაში ყვავ-ყორნების საჯიჯგნად დატოვოს... გაბეზრდნენ — მეფეც და ხალხიც... ცალკე გადასახადები ხდის სულს გაუბედურებულ ხალხს... რაღა ხალხს — ლამის მას ამოხადონ სული კარდაკარ მოწანწალე ბასკაკებმა; არღუნის მოხელე ხოჯა აზიზი — „ნათესავითა და სჯულით სპარსი", ვისაც გადასახადების აკრეფა ჰქონდა დავალებული, ისე გათავხედდა, რომ მის საშხარეულოშიაც კი შეიჭრა — მეფის საშხარეულოში — და შესაწევავ კრავს ხარაჯა დაადო...

ფიქრი სიზმარივით სწრაფია და ის თვისებაც აქვს, რომ გონებაში კონკრეტულად ცოცხლდება განელილი, განცდილი სურათები... მეფეს წარმოუდგა საქონლის ჯოგისგან ახალგადაქელილი ვენახი და ვენახში მდგარი კაცი — გამშრალი, გახევებული, ხელში ვაზის ლერწი შერჩენია და ხან იმ ლერწს დახედავს გაოგნებული, ხან გაჩანაგებულ ვენახს გადახედავს... აგერ, გადამწვარი სახლ-კარი და დედაკაცი, რომელსაც ცალი ხელი ბალღისთვის ჩაუჭიდია, მეორეში კი ჯოხი უჭირავს და, დახრილი, ნახშირსა ქექავს, თითქოს რაღაცას ეძებს... უცებ ყველაფერი შავმა სიბნელემ შთანთქა და სიბნელიდან თანდათანობით თვალები წამოვიდა, მეფისკენ მიპყრობილი გატანჯული თვალები, რომლებიც უკიდურეს მწუხარებასთან ერთად საყვედურსაც გამოხატავდნენ... მწუხარება იდგა ამ თვალებში, მაგრამ სასოწარკვეთილება — არა, თითქოს მინავლებული ნაღვერდალივით იყო...

ეს თვალები მუდამ თან დაჰყვებოდა მეფეს, და ახლაც წამოეწია... ცხადში აირიდა ეს თვალები მეფემ, მაშინ ცხენი ააჩქარა და სწრაფად გაშორდა, ახლა კი ვერ ირიდებს, მოსვენებას უკარგავს, აფორიაქებს...

●

გზაშივე გაიგო მეფემ დავით ნარინის განდგომისა და იმერეთში გაქცევის ამბავი, ხოლო სასახლეში რომ მივიდა, ყველაფერი დაწერილებით მოახსენეს...

დავით ნარინი დამარცხებული გადასულიყო იმერეთში...

თვითონ გამარჯვებული დაბრუნდა, ყაენისაგან შექებული, დასაჩუქრებული, ნადავლით დატვირთული... და გამარჯვებულ მეფეს

შეშურდა თავისი მამიდაშვილის დამარცხება, ბუნებით შურიანი კაცი არა ყოფილა, მაგრამ ახლა ძალუმად დაეუფლა ეს განცდა...

და როცა (ამის შემდეგ მალევე) ყაენმა „მოუწოდა მეფესა დავითს და სპასა მისსა წარსელად ეგვიპტედ“, მეფემ გადაწყვიტა, უარი ეთქვა, არ წასულიყო ლაშქრად... მაგრამ ყოყმანა კაცი იყო და მაშინვე ეჭვი გაუჩნდა: რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ უარს... ამიტომ თავისი პირველი გადაწყვეტილება არც გაუმხელია, ჯარი მოამზადა და ჯავახეთის გზას გაუდგა. იქ შეავსებდა თავის ლაშქარს და მერე ყაენის ძირითად ლაშქარს შეუერთდებოდა... შინ გვანცა და ახალშეძენილი შვილი — დიმიტრი — დატოვა. უფროსი — გიორგი — თან იახლა.

მაგრამ როგორც ყოყმანა ხალხს მოსდის ხოლმე, სანამ ჯავახეთს ჩავიდოდა მეფე, ისევ იმ პირველმა გრძნობამ იმძლავრა... გააწამა მეფე ამ ფიქრმა; „უკეთუ წარვიდე ეგვიპტედ, ანუ თუ განეუდგე ყაენსა“ — ამ სიტყვებით მემატიანეს ძალიან მარჯვედ აქვს გადმოცემული მეფის მაშინდელი განწყობილება.

ჯავახეთამდე კარგა ხნის სავალია და ეს დრო საკმარისი გამოდგა, მეფე თავს მორეოდა, მტკიცედ გადაეწყვიტა, რას აპირებდა: და „ვითარ მოიწია ქუეყანად ჯავახეთისად, დ ა ა მ ტ კ ი ც ა გ ა ნ დ გ ო მ ა“... მაშინვე შეჰყარა თავისი სარდლები და განუცხადა: ვისაც სურს, ყაენის სამსახურში დარჩეს, მე არ დავუშლი, „ნება კაცად — კაცსა ზედა იყენედ“, გაჰყვეს ყაენს ეგვიპტეში, მე კი „არღარა მნებავს მონება თათართა“...

ძნელი ამოცანა დაუსახა მეფემ თავის ქვეშევრდომებს — ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, დარჩენილიყვნენ ყაენის სამსახურში თუ განსდგომოდნენ... რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ განდგომას?.. რას მიაღწევდნენ აჯანყებით?.. მონღოლების განდევნა იმ პირობებში ძნელი იქნებოდა, თითქმის შეუძლებელი... მაგრამ დაათმობინებდნენ რამეს დამპყრობელს, გადასახადებს შეამცირებდნენ, ქვეყნის საერთო მდგომარეობას შეამსუბუქებდნენ?.. თუ პირიქით, კიდეე უფრო დამძიმდებოდა დამპყრობელის უღელი, უფრო გახელდებოდნენ, ქვეყანას სრული განადგურებით დაემუქრებოდნენ?!.

ძნელი გადასაწყვეტი გამოდგა, რთული ამოცანა დაუსახა მეფემ თავის ქვეშევრდომებს... და ეს შეცდომა იყო. სულ სხვა საქმეა, მოთათბირებოდა მეფე მთავრებს, მათი აზრი მოესმინა, ერთად აეწონ-დაეწონათ საქმე, ყველაფერი გაეთვალისწინებინათ... ამის შემდეგაც

კი მას მტკიცე გადაწყვეტილება უნდა მიეღო და ეს გადაწყვეტილება ყველასათვის საკალდებულო ყოფილიყო. იმისი განცხადება, რომ მე ველარ ვიტან დამპყრობელის შეურაცხყოფას და თქვენ კი, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცითო, არ შეიძლებოდა, დიდი შეცდომა იყო. ამითი თავიდანვე განწირულად უსახავდა დიდებულებს აჯანყების პერსპექტივას, „თავისი გეგმის უმედობის გრძნობას თვითვე უნერგავდა გულში“, წერს ივანე ჯავახიშვილი და იქვე დასძენს: „მონღოლთა წინააღმდეგ განზრახული განდგომილებისა და აჯანყების მოწყობა კი მხოლოდ აღფრთოვანებითა და სასოებით შეიძლებოდა, მაგრამ როდესაც მეთაურს აღფრთოვანება არ ემჩნევა, მას თავისი ხელქვეითებისათვის გამარჯვების იმედის ჩანერგვა არ შეუძლია“.

მეფეს ვერ წარმოედგინა, რომ დიდებულები მხარს არ დაუჭერდნენ და განუდგებოდნენ, მას „ალბათ ეგონა, რომ მისი გულახდილობა ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ ყველა დამსწრე დიდებულები განუსაზღვრელ ერთგულებას და სიკვდილამდე განუყრელობას გამოუცხადებდნენ“...

ასე არ მოხდა. ერთგული და მხარდამჭერი ცოტა შერჩა მეფეს, რაკიღა არჩევანის ასეთი თავისუფალი და უცნაური ნება დართო, — „უმრავლესნი წარვიდეს ყაენს წინაშე“... და მემატიანე იქვე ჩამოთვლის, ვინ განუდგა დავით ლაშას ძეს — ივანე შანშეს ძე, ქართლის ერისთავთერისთავი გრიგოლ სურამელი, მეჭურჭლეთუხუცესი კახა გამრეკელი-თორელი, „და უმრავლესნი ჰერ-კახნი“... და მხოლოდ ერთ დიდებულს გამოუჩენია მეფის ერთგულება, მხოლოდ სარგის ჯაყელი-ციხისჯვრელი შერჩენია მეფეს...

და მეორე დიდი შეცდომა მეფისა: ჯერ იყო-და გაუმართლებელი ყოყმანი დაიწყო, ახლა კი — მიუტევებელი სიჯიუტე გამოიჩინა... ასეთ ვითარებაშიაც კი, როცა მთელი სავაზირო გადაუდგა და აჯანყება ფაქტიურად წინასწარვე განწირული იყო, დავით ლაშას ძემ მაინც არ აიღო ხელი გადაწყვეტილებაზე — „ეგრეთცა დაამტკიცებდა განდგომილებად“. შორსმჭვრეტელობა არ ეყო, რომ ძალიან ადვილად გასათვალისწინებელი რამ წარმოედგინა; ამას რა დიდი სიბრძნე უნდოდა: წარჩინებულთა განდგომა მეფისაგან უბრალო წასვლა კი არ იყო — ეს ხალხი, თავიანთი ლაშქრით, დაუპირისპირდებოდა მეფეს და მის მცირერიცხოვან მომხრეებს, მეფის წინააღმდეგ შემართავდა ხმალს, ამას ყაენი აიძულებდა მათ.

მეფისგან წასული ქართველი წარჩინებულები ყაენს ეახლნენ, თავიანთი ლაშქრით. მეფე კი სამცხეს დარჩა, ერთგულ ქვეშევრდომთან,

რომელმაც „ფრიადითა პატიჟითა განუსუენა უმეტეს წესისა მეფისა“.

სარგის ჯაყელი ცდილობს სხვა წარჩინებულთა მიერ ნატკენი გული გაუმრთელოს მეფეს...

მთელი ზაფხული იქ გაატარა დავით ლაშას ძემ... მაგრამ რას აკეთებდა ამ დროს სამცხეში — ან ჯარი თუ შეკრიბა ყაენის მოსალოდნელი შეტევის მოსაგერიებლად, ან სხვა რამე თუ იღონა, ეს ცნობილი არ არის. ჟამთააღმწერელი მხოლოდ იმას გადმოგვცემს, — და ამ ცნობას სომეხი მემატიანეებიც ადასტურებენ, — რომ მეფეს გვანცა და ჩვილი ბავშვი დიმიტრი ბიჯნისს — ავაგის სახლში — გაუხიზნავს, რადგან სამცხეში მათი გადაყვანა, ეტყობა, არ შეიძლებოდა, მონღოლები არ გაუშვებდნენ.

მაგრამ ბიჯნისს გახიზნა უშველიდა კი საქმეს, გადაარჩენდა საალალბედოდ მიტოვებულ ცოლ-შვილს?!. ნეტა მართლა თუ ჰქონდა ამის იმედი მეფეს?!.

როგორ შეხედა ჰულაგუ ყაენი ქართველი მეფის განდგომას, წყაროები არ გადმოგვცემენ, თუმცა ამისი წარმოდგენა ძნელი არ არის. მაგრამ ჯერ არა სცალია ყაენს: 1260 წლის ზაფხული იყო, როცა მეფე ჯავახეთს გადავიდა და მონღოლებს გადაუდგა, ამ დროს კი ყაენი ეგვიპტისათვის იბრძვის... და ზედიზედ მარცხდება. ჟამთააღმწერლის ცნობა, თითქოს ჰულაგუ ყაენი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული დაბრუნებულიყოს, სწორი არ არის... პირიქით, მამლუქებმა შემოუტიეს ყაენს და უკვე დაპყრობილი სირიის ნაწილიც წაართვეს. ასეთი მწარე მარცხი ჯერ არ განეცადა ჰულაგუ ყაენს. და როცა ბრძოლიდან თავრიზში მობრუნებულმა აჯანყებული ქართველი მეფის წინააღმდეგ გაამზადა ჯარი, ბუნებრივია, იგი მტკიცე დავალებას მისცემდა არღუნს, სასტიკად დასჯა მეფეცა და მისი მომხრეებიც. ეგვიპტეში განცდილი მარცხის ჯავრს ქართველ მეფეზე იყრიდა.

ყაენმა ოცი ათასი მონღოლი მეომარი გამოატანა არღუნს და დაავალა, ის ქართველი დიდებულები და მათი ლაშქარიც თან წაეყვანა, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს მეფეს და გაეთიშნენ; ისინი თავის მომხრეებად დაიგულა ჰულაგუმ. მართლაც, არღუნმა, ოცი ათასი მონღოლი მეომრით გამოვლო განძა, მოვიდა თბილისს, „მუნ მოერთნეს ყოველნი ესე ზემოხსენებულნი მთავარნი საქართველოსანი, და წარმოემართნეს სამცხეს, ბრძოლა ყოფად მეფისა“.

დავით ლაშას ძეს ამისი მოლოდინი, რა თქმა უნდა, ექნებოდა. მან სწრაფად შეკრიბა ჯარი — „მოუწოდა მესხთა, შავშ-კლარჯთა, და ვინცა დადგრომილ იყო ერთგულებასა ზედა მისსა“.

ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ „მის ერთგულებასა ზედა დადგრომილი“ ბევრი აღარავინ ყოფილა, და იმდენ ჯარს ვერ შეკრებდა მეფე, რომ არღუნის შეერთებულ ლაშქარს ადვილად გამკლავებოდა. ჟამთააღმწერელი თვითონვე გვაუწყებს, „შეკრიბნა მცირედნი კაცნიო“ — რვა ათასი მეომარი მოუგროვებია, მეტი ვერა. სარდლად, ბუნებრივია, სარგის ჯაყელი დაუნიშნა. და ეს მცირე მხედრობა გამოემართა, რათა არღუნის ლაშქარს დახვედროდა...

როგორადაც არ უნდა დამთავრდეს ეს ბრძოლა, ქართველთათვის მაინც საეალალო და საწუხარია, რადგან აქ ძმათა სისხლი დაიღვრება, ქართველებმა ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა შემართონ მახვილი...

ჟამთააღმწერლის ცნობით, სარგისის მხედრობა მტკვრის ხევთას ჩასაფრებულა, მოწინააღმდეგის რიცხობრივად მეტი ლაშქრის დასახვედრად მარჯვე ადგილი შეურჩევიათ; არღუნ-აღამ კი გამოვლო ქართლი და სურამს დაბანაკდა. როგორც უკვე ითქვა, ეს ხდება ზამთარში, დეკემბერში, საშინელ ყინვაში, „ვითარ წესი არს თუესა დეკემბრისასა“; არღუნმა თავისი ლაშქრიდან (ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ არღუნ-აღას შეერთებული ლაშქარი 36.000 მეომრისგან მაინც შედგებოდა) გამოჰყო ექვსი ათასი კაცი და წინასწარ გაგზავნა. ალბათ იმ მიზნით, რომ ამათ გამოიტყუონ მოწინააღმდეგე ეიწრო ხეობიდან; იქ ბრძოლა ამათთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა. თავის მხრივ, სარგის ჯაყელმაც „წარავლინნა წინამბრძოლნი, კაცი რჩეული და გამოცდილი წყობათა შინა — ათას ხუთასი მხედარი“.

ამათ, ეტყობა, არ იციან არღუნის ექვსიათასიანი წინამბრძოლი რაზმის მოახლოების ამბავი, და არა ფრთხილობენ, მოწინააღმდეგე შორს ჰგონიათ. ახალდაბის ხიდი რომ გაიარეს და გაშლილზე გავიდნენ, მაშინღა დაინახეს მათკენ მიმავალი მონღოლთა ექვსათასიანი რაზმი. უკანდახევა, ეტყობა, არც უფიქრიათ და ვეღარც მოესწრებოდა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა; ჰირველსავე შეტაკებაში მესხებმა იმარჯვეს, „აოტნეს თათარნი და მოსწყვიდეს მრავალნი სახელოვანნი“... ცოტაღა გადარჩენილა არღუნის წინამძღოლი რაზმისგან და ვინც გადარჩა, სწრაფად უკანვე მიბრუნდნენ, არღუნის ძირითად ლაშქარს შეუერთდნენ. მესხების გამარჯვებული რაზმიც უკან შემოიქცა, თავიანთ მხედართმთავარს სარგის ჯაყელს ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი ახარეს. წინამბრძოლი რაზმის გამარჯვება სარგისს გაუხარდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ცოტათი იმაზე დაწყდა გული, რატომ მე თვითონ არ ვიყავი ბრძოლაშიო.

და პირველი იოლი გამარჯვებით გულმოცემულს, დიდი შეცდომა მოუვიდა — დატოვა ხეობა და თავისი ძირითადი ლაშქრით დაიძრა მოწინააღმდეგისკენ...

საოცარია, როგორ მოტყუედა, გამოცდილმა სარდალმა როგორ ვერ გაითვალისწინა, რომ მთელი ლაშქრით ხეობიდან გამოსვლა არ შეიძლებოდა, მიუტევებელი შეცდომა იყო. გაშლილ მინდორზე მცირერიცხოვანი მხედრობით ვერ გაუმკლავდებოდა მოწინააღმდეგის გაცილებით უფრო დიდ ლაშქარს... უნდა დაეცადა და ვიწროებში შეეტყუებინა... თუ არღუნი ვერ გაბედავდა ვიწრო ხეობაში შესვლას — განსაკუთრებით იმ პირველი მარცხის შემდეგ — მით უკეთესი: გაბეზრდებოდა და უკანვე გაბრუნდებოდა... თუნდ იქვე დარჩენილიყო — ბრძოლის გაჭიანურებითაც მეფის მხედრობა უფრო ხელსაყრელ პირობებში იყო, შორიდან მოსულ მოწინააღმდეგეს, რაღა თქმა უნდა, უფრო გაუჭირდებოდა; მესხები შინ ისხდნენ, რა ეჭქარებოდათ!.. მაგრამ ასეთი მსჯელობა მერე უფრო ადვილია, როცა საქმე გაფუჭდება... კაცმა არ იცის, მაშინ რა მოხდა, რამ აიძულა სარგის ჯაყელი, ომის ელემენტარული წესი დაერღვია... ძნელი დასაჯერებელია, სულწასულობით მოსვლოდეს ეს... იქნებ იყო ისეთი ობიექტური გარემოება, რამაც ეს აიძულა.

ასე იყო თუ ისე, მესხები ხეობიდან გამოვიდნენ და მოწინააღმდეგისკენ დაიძრნენ...

იმდენად მოულოდნელი გამოდგა ეს არღუნისთვის, რომ ბრძოლის ჟინით გახელებული მესხების ყიჟინამ ერთბაშად დააბნია და, ეტყობა, დააშინა კიდეც (იქნებ სწორედ ეს ჰქონდა გათვალისწინებული სარგის ჯაყელს — მოულოდნელი შეტევით სურდა მტრის დაფეთება!..) ...ისე დააშინა, რომ გაცლა ამჯობინა, უბრძოლველად უკანვე გაბრუნება... მაგრამ ცულის ტარისა და ტყის არაკისა არ იყოს, სამწუხარო ამბავი მოხდა... არღუნს ხომ ქართველი დიდებულები ახლდნენ, თავიანთი რაზმებით, და სწორედ იმათ შეაჩერეს: ჩვენ თვითონვე ქართველები ვართ, და ჩვენზე უკეთ ვინ იცის, რა ლაშქარი ეყოლებათო, უთხრეს, ჩვენ მიგვიშვით, ჩვენ შევებრძოლებითო. განსაკუთრებით კახა თორელი იყო თურმე თავგამოდებული, და ასე სამარცხვინოდ ჩაიწერა თავი ისტორიაში.

ერთი სიტყვით, დაარწმუნეს არღუნი, რომ საშიში არაფერი იყო, და მონღოლმა სარდალმაც „განაწყო მხედარნი“.

გაიმართა ხელჩართული ბრძოლა... როგორც ითქვა, ეს უკვე გაშლილ ველზე ხდება, ტაშისკარიდან მოშორებით, გორის შინდა-

რასკენ... „ზედამიეტევნეს მესხნი განლაღებულნი... სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა მიუხდა რაზმსა“, იგი თავად აძლევდა მეომრებს თავგანწირული ბრძოლის მაგალითს; სწორედ მან ჩამოაგდო ცხენიდან ჰოროლით მონღოლთა უმამაცესი მეომარი ბაადური...

და პირველივე შეტევით ძალიან დაზარალდა მონღოლთა ლაშქარი... მაგრამ გაშლილ ველზე იყენენ და რიცხობრივმა უპირატესობამ მალე იჩინა თავი... და როცა შეტევის პირველი გზნება დაცხრა, არღუნმა მონღოლთა ნაცად ხერხს მიმართა... თუმცა დარწმუნებული არც იყო ალბათ, რომ სარგის ჯაყელი ამ მარტივი, მონღოლთაგან მრავალჯერ გამოყენებული ხერხით მოტყუვდებოდა. მკითხველი ალბათ ხვდება ამ ხერხს. მოჩვენებითი უკუქცევით მონღოლების ერთმა რაზმმა მესხების მხედრობა გაიტყუა... გაატარეს მოწინააღმდეგე და ჩასაფრებული ძირითადი ნაწილი ლაშქრისა უკან შემოერტყა სარგისის რაზმს, ალყაში მოიქციეს... ამის შემდეგ მეფის მხედრობის დამარცხება ძნელი აღარ იყო. მონღოლები მიესივნენ „განწირულსა და მიმოდაბნეულ“ მესხებს და უწყალო ჟლეტა დაუწყეს... იმ რვაათასიანი მხედრობიდან ცოტაღა გადარჩა, უმნიშვნელო ნაწილმა მოახერხა უკან დაბრუნება და იმათაც სდიეს ახალდაბის ხიდამდე... საგულისხმოა, რომ ხიდს იქით აღარ შეპყვა არღუნი, ვიწრო ხეობაში შესვლა ვერ გაბედა და უკანვე დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სრულ გამარჯვებად არ ითვლებოდა: მას ურჩი და უმადური ქართველი მეფე უნდა მიეყვანა ყაენთან დასასჯელად, ასე ჰქონდა დავალებული; მეფე კი ამ დროს აწყურში იყო, იქ ელოდა ომის ბედის გაგებას.

როგორც ითქვა, ეს ზამთრის დასაწყისს მოხდა, დეკემბერში. მეფე ერთხანს იქვე დარჩა, სამცხეში, ხოლო როცა გაზაფხული მოახლოვდა, იქიდან აიყარა და შავშეთსა და კლარჯეთში გადაინაცვლა. იცოდა, რომ ყაენი არ მოასვენებდა, გაზაფხულზე ისევ გაგზავნიდა არღუნს მის შესაპყრობად... ამჯერად, ალბათ, უფრო დიდი ლაშქრითაც... და უფრო შორს გაეცალა, ბოლოს ნიგალისხევში გადავიდა.

●

ამგვარად, ორივე ქართველი მეფე აუჯანყდა დამპყრობელს და ორივემ მარცხი განიცადა. ზემოთაც ითქვა, ის ფაქტი, რომ ერთსულოვნება ვერ გამოიჩინეს, და სხვადასხვა დროს, დაქსაქსული ძალებით გამოვიდნენ დამპყრობელის წინააღმდეგ, იქნებ მათი არა-

გონიერული შეუთანხმებლობით კი არ აეხსნათ, არამედ იმით, რომ ცბიერი დამპყრობელი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რათა მათთვის ასეთი შეთანხმების საშუალება მოესპო. ორივე მეფე განუწყვეტლივ ლაშქრობებში ჰყავდა; თანაც, ალბათ სულ სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა ქვეყანაში; ქართული ჯარიც დაქსაქსული იყო, და ესეც განგებ ხდებოდა...

და კიდევ ახალი ვერაგობა დამპყრობელისა: ახლა რაკიღა ორივე ქართველი მეფე გადაიხვეწა დედაქალაქიდან და სამეფო ტახტი თავისუფალი დარჩა, ყაენმა ქვეყნის მმართველობა მწიგნობართუხუცესს ან რომელიმე ვაზირს კი არ მიანდო, არამედ „ვინმე შადინს, ნათესავით სომეხს“ ჩააბარა, მას „შეევედრა (მიანდო) ტფილისი და თვით მეფობაცა“.

როცა გაზაფხულდა, როცა „მოიწია თუე მაისი და აღმოსცენდა მდელო“, ყაენმა ისევ გაგზავნა დიდი რაზმი ქართველი მეფის შესაპყრობად და მისი მომხრე მესხების დასასჯელად. სარდლობა კვლავ არღუნს დაავალა და, ამჯერადაც, ქართველები გააყოლა.

ეს იყო 1261 წლის გაზაფხულის მიწურულს.

რაოდენობას არ ასახელებს მემატიანე, მაგრამ, ეტყობა, ახლა უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა არღუნს, რადგან იგი ამჟამად სამცხეში შესვლას არ მოერიდა. უკვე ივნისის დასაწყისი იყო, როცა მტერი სამცხეს მიადგა, და აქ მეფისთვის სამწუხარო, გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა: დიდი ლაშქრის დანახვაზე აქაც დაირღვა თანხმობა და მეფის ამასწინანდელ მომხრეთაგან ზოგი მაშინვე გადავიდა მონღოლი სარდლის მხარეზე. ამით კიდევ უფრო გაუადვილდათ საქმე მონღოლებს; შეუდგნენ ამ მშვენიერი კუთხის „ოხრებასა და ტყუენვას“... დაანგრიეს აწყური — ეტყობა, მეფე აქ ეგულებოდათ — და განაგრძეს რბევა... წინააღმდეგობას თითქმის აღარ შეხვედრიან...

ბუნებრივია, მონღოლები სარგის ჯაყელზე იყვნენ გულმოსული და მის სამყოფელს — ციხისჯვარს შეუტიეს; მაგრამ ციხისჯვარი კარგად გაემაგრებინა სარგისს, იქ გააფთრებულ წინააღმდეგობას შეხვდა არღუნის ლაშქარი. მონღოლებმა ალყაში მოაქციეს ეს ციხე-ქალაქი და ჩვეული სიფრთხილითა და მოთმინებით დაიწყეს მოქმედე-

ბა. მაგრამ მალევე დარწმუნდნენ, რომ ხელსაყრელი არ იქნებოდა ეს ალყა მათთვის: ციხის მამაცი მცველები, დღისით თუ ღამით, გამოიჭრებოდნენ ხოლმე რაზმებად და დიდ ზარალს აყენებდნენ მტერს. საგულისხმო ცნობას გადმოგვცემს სომეხი მემატიანე კირაკოს განძაკელი; იგი წერს, როგორ შეუწყალებლად აიკლო არღუნმა სამცხე, და რა მამაცურად მოქმედებდნენ ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმები: ერთხელ მოულოდნელად დაესხა მონღოლებს ქართველ ცხენოსანთა გუნდი, დიდძალი ლაშქარი ამოუწყვიტეს არღუნს, ისე „გაიარეს, როგორც ცეცხლმა ლერწმოვანში, თვით კი სრულიად უვნებელი წავიდნენ. დაახლოებით 400 კაცი იყო. შეეშინდა არღუნს, ვერ გაბედა ქვეყნის სიღრმეში შესულიყო და თამამად დაეჩხრიკა იგი“...

ერთი სიტყვით, მალევე დარწმუნდა არღუნი, რომ ციხისჯვარს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ გაბრუნებაც არ შეიძლებოდა — ურჩი მეფე და მისი თავგასული ერისთავი უსათუოდ უნდა მიეყვანა ყაენთან; საგონებელში იყო, რომ უცებ, ბედზე, ყაენის ბრძანება მოუვიდა — სასწრაფოდ იბარებდა ურდოში. აიყარა და წავიდა. სულ ოცი დღე დაჰყო სამცხეში, და ამ ცოტა ხანშიაც რაც კი მოასწრო, სადაც კი მოასწრო მისვლა, ყველაფერი დაანგრია. ჟამთააღმწერელი ღმერთს მადლობასა სწირავს, რომ მოულოდნელად გამოიძახეს და სამცხე უფრო დიდ „ჭირთაგან იხსნა“...

მაინც ბევრი მოუსწრიათ: მეფემ რომ არღუნის გაბრუნება გაიგო და მოვიდა, რბევისა და ნგრევის საშინელი სურათი დახვდა. ეტყობა, შეწუხდა, სინანული იგრძნო — ბოლოს და ბოლოს, სამცხის აოხრება მისი ბრალი იყო, და რჩევა ახლაღა ჰკითხა „თანამზრახავთა თვისთა“...

სარგის ჯაყელი პირდაპირ პასუხს მოერიდა და ასე მიმართა: სამცხე მცირეა და „არა კეთილი სადგომი მეფეთა“, აქ მაინც ვერ იქნებით მოსვენებული და ამიტომ ჯობს იმერეთში გადაბრძანდეთ, რუსუდანის ძე დავითთან; ბოლოს და ბოლოს, ისევე როგორც ამერი ქვეყანა, იმერეთიც საერთოა, ორივეს გეკუთვნითო...

ამჟამად, ეტყობა ეს იყო ყველაზე სწორი რჩევა და მეფეც დეთანხმა.

ამრიგად, არღუნი ყაენთან გაბრუნდა, მეფე კი რამდენიმე ხნის შემდეგ იმერეთში გადავიდა.

ჯერ არღუნს გაეყვეთ.

ამბავი, ახლა რომ უნდა გადმოგცეთ, მოთხრობილი აქვთ ჟამთააღმწერელსაც და სტეფანოს ორბელიანსაც, მაგრამ, ჩვეულებრივ, დაუთარიღებლად. თუმცა ისეა მინიშნებული, და ისე მიყვება მოვლენის ლოგიკურ განვითარებას, რომ, ეტყობა სწორედ ახლა მოხდა, მას შემდეგ, როცა არღუნი მეორე ლაშქრობიდანაც ხელცარიელი დაბრუნდა, განდგომილი მეფე ვერ შეიპყრო.

დავით ლაშას ძეს ხომ ცოლ-შვილი ბიჯნისს ჰყავდა დატოვებული. არღუნმა შეიპყრო გვანცა და მისი პატარა შვილი დიმიტრი. ეს პირველივე გალაშქრების შემდეგ მოხდა, რათა ამითი მაინც გამოეტყუებინა მეფე. მეორე ლაშქრობის შემდეგ კი, გაგულისებულმა, დედოფალი მოკლა. „გუანცა დედოფალი, ავაგის ცოლ-ყოფილი, მოკლულ იქმნა თათართა შინა მყოფი“, წერს ჟამთააღმწერელი და აშკარად მიგვანიშნებს, რომ ჯერ შეუპყრიათ და ურდოში წაუყვანიათ დედოფალი, ხოლო მეორე ლაშრობის შემდეგ მოუკლავთ „თ ა თ ა რ - თ ა შ ი ნ ა მ ყ ო ფ ი“...

სტეფანოს ორბელიანი უფრო კონკრეტულად გადმოგვცემს ამბავს; იგი წერს, რომ ჰულაგუ ყაენის ბრძანებით მოუკლავთ გვანცა (თუმცა ეს ისედაც იგულისხმებოდა); და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, გადმოგვცემს აგრეთვე, რომ მკვლელობაში მონაწილეობა მიუღია ერთ ჩვენს ნაცნობ ისტორიულ პირს, რომელმაც ჯერ ის მოახერხა, რომ დაახლოებოდა დედოფალს და მისი საშუალებით მეფის ერთგული კაცი მოეშორებინა თავიდან, ახლა კი აქტიური მონაწილეობა მიუღია დედოფლის მოკვლაში; თანაც როგორ: სუმბატ (თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ეს კაცი სუმბატ ორბელი იყო) „ზრახვა ჰყო სხვათა მთავართა თანა და მოაშთვეს ზღვასა შინა გვანცა, ცოლი ავაგისი“... და ამას მოჰყვება კიდევ უფრო საგულისხმო ცნობა, რომ ამის შემდეგ სუმბატი „ფლობდა ყოველსა სამფლობელოსა ავაგისასა“...

სუმბატ ორბელი საბოლოოდ ეწია საწადელს...

დედოფლის მოკვლასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერლის მონათხრობში არის ერთი ბუნდოვანი და დაუჯერებელი ცნობა; ეტყობა, თვით მემატიანესაც დაუჯერებლად მიაჩნია, რადგან პირდაპირ კი არ გადმოგვცემს, როგორც სხვა ფაქტებს, არამედ იქვე შენიშნავს, ასე იტყვიანო: „იტყვიან ვითარმედ ასულისა მისისა ხუაშაგის, რომ-

ელი იყო ცოლი საპიბ დივანისა... მისითა განზრახვით მოიკლაო“.

თითქოს ქალიშვილმა მოაკვლევინა დედა!

ბუნებრივია, დედოფლის მოკვლა ათასგვარ მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, ჭორები გადასხვაფერებულად გავრცელდებოდა, ვინ რას იტყოდა, ვინ რას ივარაუდებდა, რას დაუმატებდა... იმიტომაც არა სჯერა ერთი საუკუნის შემდეგ მცხოვრებ მემატიანეს ეს ჭორად გაგონილი ამბავი... და იქნებ არც მიგვექცია ყურადღება, აქ სხვა რამე რომ არ იყოს საინტერესო და საგულისხმო.

ხვაშაქი ავაგის შვილია, მეფის გერი; მამა რომ მოუკვდა, სულ პატარა იქნებოდა — ალბათ, 3-4 წლისა. და როცა ულუ დავითმა გვანცა შეირთო, და „წამოიყვანა სამეფოდ თვისად“, ხვაშაქი იქვე დატოვა, მამის სახლში; მზრუნველად დაუდგინა სადუნ მანკაბერდელი — „კაცი ბრძენი და გონიერი... ძალითა ფრიად ძლიერი, მორკინალი რჩეული საჩინო, და მოისარი ხელოვანი“...

ჩვენ უფრო ახლოს უნდა გავეცნოთ ამ კაცს, მას კიდევ ბევრჯერ შევხვდებით. მკვლევარები მას ისეთივე მედროვეს უწოდებენ, როგორც სუმბატ ორბელი იყო — კაცი, რომელიც ყველაფერს იკადრებდა, კარიერისა და გამდიდრების გზაზე არაფერს არ შეეპუებოდა და არ ითაკილებდა; თავიდანვე ალღო აუღო ცხოვრებას, შეისწავლა მონღოლური ენა, დაუახლოვდა ყაენსა და ნოინებს, მოახერხა საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ვაზირის ავაგის სახლში შესვლა და მისი ნდობის მოპოვება... სადუნი თვითონ გასომხებული ქურთია, რომელსაც კარგად შეუსწავლია ქართული ენაც და ქართული ზნე-ჩვეულებებიც; ჟამთააღმწერლის დახასიათება მის გონიერებასა და ფიზიკურ შესაძლებლობაზე სავსებით მართალია: ამას ადასტურებენ სხვა წყაროებიც და მისი თავგადასავალიც, რომელსაც ნაწილობრივ ქვემოთ გაეცნობით. სხვათა შორის, სწორედ „მორკინალობით“ მიიქცია მან პირველად ყაენის ყურადღება, როცა ყველა ფალავანი დაჯაბნა... ჯერ მორკინალობით და მერე დათაფლული ენითა და მოხერხებით. სომხურის, ქართულისა და მონღოლურის გარდა, იცოდა აგრეთვე სპარსული, კარგი მჭევრმეტყველი იყო, ქლესა, ლაქუცა... იავნე ჯავახიშვილი წერს: სადუნი „მონღოლს მონღოლად ეჩვენებოდა, ქართველთან ქართველი, სომეხთან სომეხი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად მონღოლთა ზნეჩვეულებას შეეგუაო“... ხშირად იყო ყაენის კარზე, თარჯიმანობდა, სადავო საქმეების გარჩევაში — როგორც შუამავალი დამპყრობელსა და დაპყრობილ ხალხს შორის — აქტიურ მონაწილეობას იღებდა, და, ბუნებრივია, საქმის სამართლიანად

წარმართეაც შეეძლო და თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაც... მისი ნება იყო, როგორ უთარგმნიდა და როგორ მოახსენებდა დიენის მოხელეებს, ბევრი რამ იყო დამოკიდებული მის სინდის-ნამუსზე, იმაზე, თუ როგორ იყო განწყობილი ამა თუ იმ პირთან... ერთი სიტყვით, ყოველგვარი პირობები ჰქონდა კარიერის მისაღწევად, გამდიდრებისათვის... და დროს უქმად არა ჰკარგავდა ეს ჭკვიანი და გაქნილი კაცი.

სწორედ ამ კაცს მიანდეს მეფემ და დედოფალმა ხვაშაქის მეურვეობა...

მეორე ასეთივე კაცმა — სუმბატ ორბელმა — როგორც ვნახეთ, დედოფლისა და მეფის ნდობა მოიპოვა... სადუნის მსგავსად, ისიც მიღებულია ყაენის კარზე, იმასაც ხშირად ნახავ იქ, ისიც უყვარს ჰულაგუ ყაენს, ისიც თარჯიმნობს, მასაც დათაფლული ენა აქვს, მანაც იცის, ვისთან როგორ მოიქცეს, მის სინდისზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული... ერთი სიტყვით, ეს ორი მედროვე ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს, იმ დიდი განსხვავებით, რომ ერთი მათგანი ძველი, დიდი გვარის შთამომავალია, სახელოვანი წინაპრებით ამაყობს და კარიერის რთულ გზაზეც მეტი პრეტენზია აქვს... ერთდროულად მოღვაწეობდა ეს ორი ადამიანი, საერთო მფარველები ჰყავდათ, იქნებ საერთო მტერ-მოყვარეებიც, და, რასაკვირველია, ხედებოდნენ ერთმანეთს...

როგორი იყო მათი ურთიერთობა? მტრობა ჰქონდათ თუ შეეგნოთ, რომ ამ დიდსა და არეულ ქვეყანაზე ორივე კარგად დაეტეოდა და პირიქით, ხელს უწყობდნენ ერთმანეთს... ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ვერა ხერხდება. ვარაუდიც კი ძალიან ძნელია...

მაგრამ აი, გავრცელდა ხმა, რომ გვანცას მოკვლაში მისივე ასულის, ხვაშაქის ხელიც ურევია... ეს ხვაშაქი კი, როგორც ვნახეთ, სადუნ მანკაბერდელის აღზრდილია... მართალიც რომ არ იყოს, ის ფაქტი, რომ ასეთი ჭორი გაერცელდა, თავისთავად ბევრის მეტყველია... თანაც, არ დავივიწყოთ, ხვაშაქი ჯერ ისევ პატარაა — საეჭვოა, დამოუკიდებლად შეეძლოს რამე, მას სხვა წარმართავს... გვანცას მოკვლაში აქტიური მონაწილეობა მიუღია აგრეთვე სუმბატ ორბელს; სუმბატისავე ძმისშვილის ცნობით, სწორედ იგი მოელაპარაკა სხვა მთავრებს (იგულისხმება, დიდ მონღოლ მოხელეებს, და იქნებ ზოგიერთ ქართველსაც) და დედოფალი ზღვაში დაახრჩვეს...

ბეერ ფიქრსა და ვარაუდს აღძრავს ეს ორი ცნობა... როგორც ითქვა, მეორე ცნობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, და თუ პირველიც მართალია, მაშინ ორი მედროვის ინტერესები ამ საკითხში თითქოს გაერთიანებულა... იქნებ მორიგდნენ ამ საშინელი ცოდვის ჩასადენად, ერთად მიპყიდეს სული სატანას!.. რამდენადაც ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელდება, იმდენად სარწმუნო უნდა იყოს ის ვარაუდი, რომ ამ დროს არც სუმბატსა და არც სადუნს აღარა სჯეროდათ, მეფის დაბრუნება თუ იყო შესაძლებელი.

●

სანამ მეფის შემდგომ თავგადასავალს გავეცნობოდეთ, ჯერ ისევ არღუნ-აღას რისხვას დავუბრუნდეთ. სამცხეში მან „განდგომილები" კი დაამარცხა, მაგრამ მთავარი დავალება არ შეუსრულებია — მეფე ვერ შეიპყრო; და ალბათ ყაენის საყვედურიც მიიღო... ამიტომ იყო რომ, განრისხებული, ისე მკაცრად გაუსწორდა დედოფალს.

ოღონდ გვანცას სისხლი როდი იკმარა: დედოფალი მეფის მაგიერად დასაჯა; მაგრამ ამ განდგომილების დროს მეფეს ხომ სარგის ჯაყელი უჭერდა მხარს, სარგისისთვისაც უნდა მიეზღო სამაგიერო, ისიც უნდა დაესაჯა. მეფის მძევალი იქვე პყავდა და შურისგება არ გასჭირვებია არღუნს... მაგრამ ჯაყელსაც აღმოაჩნდა „მძევალი" და მისი შურიც იძია შურისძიების ჟინით გულგაესებულმა მონღოლმა სარდალმა.

სარგის ჯაყელის სიძე — ქალიშვილის ქმარი — ზაქარია ამირსპასალარი, სამცხის ბრძოლებში თან ახლდა არღუნს. ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ სიძე-სიმამრი; თანაც, საგულისხმოა, რომ ამ დროს ზაქარიას მეუღლე მამასთან ყოფილა სტუმრად... და ამირსპასალარს მოუხერხებია საიდუმლოდ ცოლის ნახვა. მაგრამ, ეს საიდუმლო გამჟღავნებულა — ეტყობა, გასცეს, არღუნთან დაასმინეს ქართველი ამირსპასალარი. ბუნებრივია, რომ ზაქარია თანაუგრძნობდა კიდეც აჯანყებულებს — თავისიანი სიმამრსა და მეფეს — ოღონდ ამას არ ამჟღავნებდა. ყაენი რომ განურისხდა არღუნს, მეფე რატომ ვერ შეიპყარიო, ამან ალბათ ერთ-ერთ მიზეზად ზაქარიას გამცემლობაც დაუსახელა; შეიპყრეს ქართველი ამირსპასალარი და ყაენს მიჰგვარეს. სასჯელი შემაძრწუნებელი აღმოჩნდა — ზაქარია ასო-ასო აკუწა თვით ყაენმა და ძაღლებს შეაჭამეს. ამ ცნობას სომეხი მემატიანე კირაკოს განძაკელი გვაწვდის. ზაქარიას მოკვლის

ამბავს ჟამთააღმწერელიც გადმოგვცემს: არა „დამშვიდდა გული (ჰულაგუსი) და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი. და ცნა დიდმან შანშე, მამამან მისმან, მწუხარებითა შეწუხებული იგიცა აღსრულდა“...

რაკი გვანცას და ზაქარიას დასჯა ერთდროულად და ერთი მიზეზით მოხდა, ხოლო გვანცას მოკვლაში სუმბატ ორბელს მიუღია აქტიური მონაწილეობა, უნებურად გაგახსენდება ის ფაქტიც, რომ ზაქარია — ამირსპასალარი იყო, ანუ ის თანამდებობა ჰქონდა, რაც ტრადიციულად ორბელიანთა წინაპრებს ეკუთვნოდათ, და რის დასაბრუნებლადაც ახლა სუმბატი იღვწოდა...

ეს ფაქტები თავისთავად აღგვიძრავს საგულისხმო ვარაუდს!.. ჩვენ ვიცით, რომ მეფეს შვილიც დარჩა, მცირეწლოვანი დიმიტრი. იგი ამჯერად გადაურჩა სიკვდილს და მის თავგადასავალს ქვემოთ მოგითხრობთ. ახლა კი მამის — ულუ დავითის — შემდგომი ბედი ვნახოთ.

●

რაკიღა სარგის ჯაყელის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, მეფეს აღარც დაუყოვნებია, მაშინვე გადავიდა ქუთაისს. მამიდაშვილმა კარგად მიიღო იგი — „კეთილად ისტუმრა“ და ერთხანს კარგი ურთიერთობაც ჰქონდათ, შეხმატკბილებულად მეფობდნენ. მაგრამ დიდხანს ამას ვინ დააცლიდა?!. გავიდა ერთი წელი და მეფეთა გარშემო დაჯგუფებები გაჩნდა: ზოგი დიდებული ულუ დავითს მიემხრო, ზოგი — ნარინს.

მაგრამ ეს ხომ უბრალო სიმპათია-ანტიპათიები არ ყოფილა: ორი გავლენიანი ჯგუფი ებრძოდა ერთმანეთს და ამით საქვეყნო საქმე ზარალდებოდა. იმ უბედურების ჟამს ერთი ნუგეში ის იყო, რომ დასაელეთ საქართველო მაინც გადაურჩა დამპყრობლის რბევასა და ნგრევას, და ახლა მეფეთა ურთიერთშუღლს უნდა აეწეწა ქვეყანა. მართალია, მემატიანე იქვე შენიშნავს, მეფეებზე ამას გავლენა არ მოუხდენიაო — „არას ავნებდეს ურთიერთას ორნიეე დავით და დავით“ — მაგრამ კიდეც რომ ვირწმუნოთ ეს ძნელად დასაჯერებელი ამბავი, ფაქტი ის არის, რომ საჭირო გახდა სამეფოს გაყოფა. სწორედ ასე გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი: „აჩინნეს თავადნი სამეფოსანი, და განყვეს ორად — ტფილისი ორად, ქუთათისი ორად, და თავადნი და ერისთავნი ურთიერთშეასწორეს... და განყვეს სამეფო და საჭურჭლენი“...

მეტად უცანური გაყოფაა, ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, როგორ უნდა გაეყოთ მეფეებს თითოეული ქალაქი ორ-ორად!.. მაგრამ ეჭვიც რომ შეგვეპაროს ამაში, მაინც საგულისხმოა და ჟამთააღმწერლის ცნობაც იმ უეჭველ ფაქტზე მიგვანიშნებს, რომ მეფეთა ირგვლივ დაჯგუფებები გაჩენილა, ისეთი უთანხმოება ჩამოვარდნილა, რომ თავი ვეღარ მოუბამთ, დავა დაწერილმანებულა და კურიოზული ხასიათი მიუღია, დინჯად და ბრძნულად ვერ გადაუწყვეტიათ საქმე... ამ დავის დროს ალბათ ვინმემ ის ახირებული აზრიც წამოაყენა, რასაც ჟამღთააღმწერელი გადმოგვცემს (სულ უსაფუძვლო ხომ არ შეიძლება იყოს ის ცნობა)... და ვინ იცის, სადამდე მივიდოდა საქმე, რომ ჰულაგუ ყაენს ულუ დავითთან შერიგება არ მოსურვებოდა.

შერიგების თარიღი ზუსტად არ არის მოცემული, მაგრამ ისე კი კარგად ემთხვევა ყველაფერი ერთმანეთს: ულუ დავითი 1261 წლის ზაფხულში გადავიდა ქუთაისს (სამცხის ბრძოლა აკი 1261 წლის იენისში მოხდა), მას შემდეგ ერთი წელიწადი შეხმატკბილებულად იყენენ მეფეები — დავა სწორედ ერთი წლის შემდეგ დაწყებულა. ესე იგი, 1262 წლის ზაფხულში უნდა გამწვავებულიყო ურთიერთობა.

სწორედ ამ დროს კი თვით დამპყრობელთა ცხოვრებაში მოხდა ისეთი რამ, რამაც ჰულაგუ ყაენს გული მოუბრუნა ქართველ მეფეზე.

სანამ ჟამთააღმწერელი გვეტყოდეს — „ინება კუალად ყაენმან ზავი მეფისაო", იგი, სხვათა შორის, წერს ერთ საგულისხმო ფრაზას: აღმოსავლეთ საქართველოში მეფის არყოფნის დროს „დაიშალა ლაშქარი და მსახურება თათართაო"; აღმოსავლეთ საქართველოს გამგებლობა კი ამ დროს შადინს ჰქონდა მინდობილი. ეტყობა, დიდ-ეაჭარ შადინს ვერ გაურთმევია საქმისთვის თავი — არ უჯერებდნენ, არ ემორჩილებოდნენ, ვეღარც გადასახადებსა კრებდა წესიერად, და, რაც განსაკუთრებით შემაწუხებელი იყო ყაენისთვის, ჯარიც დაიშალა. არა-და, ქართული ლაშქარი ახლა ისე სჭირდებოდა ყაენს, როგორც, იქნებ, არასდროს.

ჰულაგუ ყაენმა დაავალა არღუნს, რათა მოციქული გაეგზავნა ულუ დავითისთვის და შეეთვალა, რომ დაბრუნებულიყო, უენებლობის ფიცს აძლევდნენ.

ულუ დავითისთვის სასურველი იქნებოდა ეს წინადადება: ჯერ ერთი, საშუალებას იძლეოდა, თავი დაეღწია იმ უსიამოვნო დავისთვის, რაც მეფეთა გარშემო გააჩაღეს დიდებულებმა; მეორე: მეფეს ჯერ არ გაეგო თანამეცხედრის დაღუპვის ამბავი, და, ბუნებრივია,

აწუხებდა ბედი გეანცასი და მცირეწლოვანი მემკვიდრისა, რომლებიც ახლა განრისხებული მტრის ხელში იყვნენ და საშიშროება ემუქრებოდათ; მესამე: ქუთაისამდეც მიაღწია ხმებმა იმის შესახებ, რომ თბილისისა და მთელი აღმოსაელეთ საქართველოს მმართველობა ვიღაც შადინისთვის ჩაუბარებიათ — ულუ დავითი, რა თქმა უნდა, ეშურებოდა ამ კაცის თავიდან მოშორებას...

მოციქული რომ მიუვიდა, მეფეს აღარც კი უყოყმანია, თანახმა გახდა შერიგებისა, მოციქულს ის დაუბარა მხოლოდ, რომ მისი განდგომილების მიზეზი ხოჯა-აზიზი იყო, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა, სული ამოართვა და აიძულა მეფე, იქაურობას გასცლოდა. ხოჯა აზიზს აბრალებს ყველაფერს, რათა თავისი დანაშაული შეარბილოს.

მაგრამ მაინც სიფრთხილე იხმარა ულუ დავითმა და გადაწყვიტა, ჯერ შვილი გაეგზავნა ყაენისთვის (უფროსი შვილი — გიორგი — ხომ თან ახლდა მეფეს); შეუთვალა, რაკიღა ყაენმა ჩემი შეწყნარება ინება, ჩემს პირმშოს გამოვგზავნი, და მას გადასცეს ჩემი სამეფოო.

ყაენი თანახმა გახდა, გამოითხოვეს მეფის უფროსი შვილი, ფიცით აღუთქვეს უვნებლობა...

თბილისს რომ მიუახლოვდა უფლისწული, მიეგებნენ ქართველი დიდებულები, და, სხვათა შორის, შადინიც. არღუნმაც ძვირფასი საჩუქრები მიართვა უფლისწულს და რამდენიმე ხნის შემდეგ, წესისამებრ, ურდოში წაიყვანა. ყაენმა ტკბილად მიიღო გიორგი და სამეფო დაულოცა...

ახლა უკვე დრო იყო, მეფეც დაბრუნებულიყო, მეფე კი არა ჩანდა. ყაენმა კვლავ მოიკითხა... მაშინვე აფრინეს კაცი; მაგრამ მეფე უარზე იყო — სანამ ჯოხა-აზიზს არ მომცემთ დასასჯელად, არ წამოვალო. მეფის ჯიუტობამ ისევ განარისხა ყაენი; როგორც მოსალოდნელი იყო, არღუნმაც ცეცხლი შეუკეთა, და იქამდე მივიდა საქმე, რომ კინაღამ ჩაიშალა შერიგება. მეფეზე განრისხებული ყაენი უფლისწულსაც რას დაინდობდა — იმასაც სიკვდილი ელოდა... და ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ენუქ არქუნს არ ემარჯვენა; სწორედ ეს კაცი გახლდათ ყაენის მოციქული მეფესთან; მას დიდი ქებით მოიხსენიებს ქართველი მემატიანე — კაცი მართალი და პატიოსანი, სჯულითა ქრისტეს ჯვარისა თავყანისმცემელიო. რაკი თავიდან ამ კაცმა უთავდება მეფესა და უფლისწულს, ახლა შეწუხებული იყო, ხედავდა, რომ უფლისწულს სიკვდილი ემუქრებოდა — ასეთი იყო ყაენის ბრძანება, და არღუნი, რაღა თქმა უნდა, სიხარულით შეასრულებდა ამ ბრძანებას.

დატრიალდა ენუქ არქუნი და რაკი სხვა გამოსავალი ვეღარ ნახა, გადაწყვიტა დედოფლისთვის მიემართა — ზემოთაც ითქვა, პულაგუს ცოლი — ტონღუზ-ხათუნი — ქრისტიანი იყო; ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ წუთებს ჰქონდა მნიშვნელობა. კეთილი ქალი გამოდგა დედოფალი, ხვეწნა არ დასჭირვებია, მაშინვე ყაენთან მივიდა და ენუქიც თან იახლა. დიდო და მაღალო ხელმწიფეე, ეს რა უსამართლო ბრძანება განგიჩენიაო, — მიმართა ტონღუზ-ხათუნმა ყაენს. — უფლისწული უენებლობის ფიცით გვყავს მოყვანილი და შენ კი სიკვდილითა სჯი?!. გვირჩევნია ჩვენ მოგვკლა ახლავე, თავნი ჩვენნი იყვნენ მეფისათვისო...

მართალია, ამას დედოფალი ამბობდა, მაგრამ ასე კატეგორიულად მაინც ვერ გაუბედავდა, მით უმეტეს, სხვისი თანდასწრებით; თანაც, ამ სიტყვებით ვერც გასტეხდა ყაენს, კიდევ ერთი დიდი არგუმენტი რომ არა ჰქონოდათ, რამაც მეფისა და უფლისწულის სასიკეთოდ წარმართა საქმე... ისეთი რამე შეახსენეს ყაენს, რომ ერთბაშად სულ სხვა ფიქრები აუშალეს, ბრაზი დაუცხრეს და ქართველი მეფისა და უფლისწულის მიმართ კეთილად განაწყვეს... ერთი ბებერი სპარსი ვაჭრის გამო რატომ უნდა გადაიმტერო ამოდენა ქვეყნის მეფე, და თანაც რა დროსო, უთხრა; ჩრდილოეთიდან ბერქა ყაენია მომდგარი, დღეს არა ხვალ, ომი უნდა დაგიწყოს, მოკავშირეებს ეძებს, მოციქულს მოციქულზე უგზავნის ქართველ მეფეს — დარიალზე გადმომატარეო... მართლაც რომ მოახერხოს შენზე განაწყენებულ ქართველ მეფესთან პირის შეკერა, მაშინ რას აპირებო...

ყაენს ხელადვე წამოუარა ქართველი უფლისწულის მიმართ გულმოწყალების გრძნობამ, მაშინვე მოაყვანინა გიორგი, მოეფერა, დაუყვავა, პატივი უყო, ბრწყინვალე სამოსელით შემოსა და ტონღუზ-ხათუნს მიანდო; შენთან იყოსო, უთხრა, არც ამის მამას ვაენებ რამეს, ახლავე წავიდეს ენუქი, თან წაიყვანოს ორივე შვილი მეფისა — გიორგი და დიმიტრი, და ფიცის წიგნი გადასცეს დავითს, რომ არაფერს ვაენებ, თუკი ურდოში გამოცხადდება; პირიქით, პატივით მივიღებ და სამეფოს გადავცემო.

ამის შემდეგ ჟამთააღმწერელი იმასაც წერს, თითქოს ენუქ არქუნს ხოჯა აზიზი წარეგვაროს მეფისათვის დასასჯელად... ეს ცნობა არ დასტურდება — ხოჯა აზიზს მართლაც არ ასცდენია სიკვდილით დასჯა, მაგრამ არა ქართველი მეფისაგან, არამედ სულ სხვა ვითარებაში... ამჟამად ჩვენთვის არც არის ეს საინტერესო. მთავარი ისაა, რომ ენუქმა დაითანხმა ქართველი მეფე და ურდოში წაიყვანა.

სანამ ურდოში გაემგზავრებოდა ქართველი მეფე, ბუნებრივია, ჯერ თბილისში გამოიარა, ერთხანს აქ შეჩერდა. და მეფის თბილისში ყოფნის დროს კიდევ მოვიდა ყაენისგან ცნობა — მეფე დავითს დავინდობ, პაპა სარგისს კი არ ვაპატიებო (მონღოლები მეტსახელად „პაპას" ეძახდნენ სარგის ჯაყელს)... სარგისმა მაინც არ დაიშალა, თან გაჰყვა მეფეს, ბოლომდე უერთგულა, ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება; აქამდე სულ მეფესთან ვიყავი, ხალხს ისიც კი ჰგონია, რომ ჩემი წაქეზებით განუდგა მეფე ყაენს, და ახლა რომ რამე ავნონ, რას იტყვიან — თვითონ შინ გაბრუნდა არხეინად და მეფე კი მოაკვლევინაო! გვარს როგორ შევარცხვენ, ღმერთმა ნუ ქნას, მირჩევნია მეფის სანაცვლოდ დავდო თავიო.

ასე და ამგვარად, მეფე და მისი ერთგული ქვეშევრდომი ყაენს ეახლნენ ბარდავს.

ჰულაგუ ყაენს ან მახსოვრობა ღალატობდა და ან სიტყვის კაცი ვერ იყო. მეფე რომ დაინახა, იმის ნაცვლად, რომ, შეპირების მიხედვით, პატივით მიეღო, ისევ წამოუარა ძველმა ბრაზმა და ყვირილი დაიწყო, ისე გაცოფდა და გადაიქაჩა, რომ ყველას ეგონა, ქართველი მეფისა და მისი მხლებლების საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო...

მეფისადმი დამოკიდებულების ასეთმა სწრაფმა შეცვლამ არ უნდა გაგვაკვირვოს — მეტად მერყეები იყო ხოლმე განწყობილება ყაენის კარზე, და ამის შესაბამისად, ცალკეულ ადამიანთა — უმთავრესად მაღალი თანამდებობის პირთა — ბედი წარამარა იცვლებოდა: ურთიერთ ქიშპობა-მეტოქეობისა და ინტრიგების ბუდედ იყო ქცეული; დასმენა-დაბეზღება, ცილისწამება, ჭორი, ვისიმე წინააღმდეგ სრულიად უსაფუძვლოდ პირის შეკვრა საკვებით ბუნებრივი მოვლენა გახლდათ; ვინ აღარ ტრიალებდა აქ, რომელი ჯურის გაქნილ ინტრიგანსა და არამზადას არ შეხვდებოდი... ასეთ ვითარებაში, განუკითხაობა და სიკვდილით დასჯაც ჩვეულებრივი იყო, ეს არავის უკვირდა. ცნობილ მკვლევარ ი. პეტრუშევსკის მეტად საგულისხმო ცნობა მოაქვს: ილხანების 23 ვაზირთაგან 22 სიკვდილით დასაჯეს და მხოლოდ ერთი მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით, ისიც იმიტომ, რომ მოულოდნელად გარდაიცვალაო. ერთადერთი, რაშიდ ად-დინი შერჩენია ვაზირის თანამდებობას 19 წელიწადს — იმიტომ, რომ თავად იყო საშინელი გაიძვერა და ინტრიგანი, თავად უთხრიდა ყველას ორმოს და ისე იყო გაწვრთნილი, რომ ვერავითარი მეტოქე ვერ ასწრებდა... თუმცა საბოლოოდ ისიც ვერ გადაურჩა სიკვდილით დასჯას...

ასეთი ცვალებადი იყო ადამიანთა ბედი ყაენის კარზე და ქართველი მეფის მიმართ დამოკიდებულების შეცვლაც, რაღა თქმა უნდა, არავის გაჰკვირვებია.

ამრიგად, დავით ულუ სამსჯავროზე შეიყვანეს. კარგად გვიცოცხლებს მეფის დაკითხვის სურათს ჟამთააღმწერელი.

ქართველმა მეფემ და მისმა მხლებლებმა მონღოლური არ იციან და თარჯიმნობას სწევს სადუნ მანკაბერდელი. ყაენი მედიდურად ზის ტახტზე, ქართველ მეფესა და მის მხლებელ დიდებულთ მუხლი მოუყრიათ ყაენის წინაშე; ყველაზე ახლოს მეფესთან, მის ზურგსუკან, სარგის ჯაყელია — დანაშაულის მთავარი მონაწილე. მონღოლური წესის მიხედვით, ყაენი თავისივე ხელით, ღვინოს მიაწედის ოქროს თასით მეფეს, და სამსჯავროც იწყება. ყაენს ერთადერთი კითხვა აქვს, მაგრამ პასუხის გასაცემად — ძალიან ძნელი:

— რად ქმენ განდგომა ჩემი, და ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ექმენ, და არღუნს შემოები?

მეფე ცოტათი ენამძიმე გახლდათ, ასეთმა ძნელმა შეკითხვამ უფრო დააბნია, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თავიდანვე უნდა ჰქონოდა პასუხი მზად... და ჰქონდა კიდეც: აკი სულ იმას გაიძახოდა — ხოჯა აზიზის ბრალია ყველაფერიო; მაინც დაიბნა, ველარაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ თავი მიაბრუნა და სარგის ჯაყელს შეხედა.

ნეტა მართლა სულმოკლეობით მოუვიდა? ნუთუ ამ მოძრაობით ყაენს ანიშნა, ყველაფრის მიზეზი ეს კაცი არისო?!. იქნებ უნებურად მოხდა — რაკიღა თავად ენამძიმე იყო, სარგისს მიანდო პასუხის გაცემა, და მისკენ თავის მიბრუნებაც ამისი ნიშანი იყო...

სარგის ჯაყელი არ შეშინებულა, და არც დაბნეულა, ერთბაშად მიხვდა, რომ თვითონ მაინც განწირული იყო, და გადაწყვიტა, როგორმე მეფე ეხსნა, თავად დაებრალებინა ყველაფერი; წამოდგა, ყაენს მიუახლოვდა, ისევ მოიყარა მუხლი და მოახსენა:

— მე ვარ, დიდო ყაენო, რომელი შემოვები არღუნ აღას.

სარგის ჯაყელზე ყაენს ბევრი სმენოდა, მაგრამ ნახვით პირველად ხედავდა და ახლა თვალები მიაშტერა.

— პაპა სარგის შენა ხარ?

— იგი ვარ, — მტკიცედ უპასუხა ქართველმა ერისთავმა.

— რატომ განაყენე მეფე ჩემგან და არღუნს შემოები? — ახლა ამას გაუმეორა კითხვა ყაენმა.

შეგახსენებთ, რომ ამათ საუბარს თარგმნის სადუნ მანკაბერდელი („რომელი ფრიად უყვარდა [ჰულაგუს] და დიდად პატივ-ეცა, რა-

მეთუ იყო კაცი იგი გონიერი და ენა-კეთილი, სიტყვითა მარჯვე ყაენს წინაშე მეტყველებდა“ — ასე ახასიათებს სადუნს მემატიანე).

სარგის ჯაყელი ამ კითხვას არ დაუბნეევია — მტკიცედ და მოუბოდიშებლად მოახსენა: ხოჯა აზიზის გამო მოხდა ყველაფერიო, ლამის მეფობა წაართვა დავითს, ქალაქსა თუ სოფელს დაეუფლა, ეკლესიები დაიჭირა, ციხეები მოარღვია... თქვენდამი ვეღარ მოვაღწიეთ, ბედნიერო ყაენო, რომ ჩვენი გასაჭირი შემოგვეჩივლა — არ მოგვიშვეს, გზები მოგვიჭრეს, თქვენი კარი ქრთამით შეკრესო (როგორც ხედავთ, არღუნ აღასაც გადასწვდა ჯაყელი, ყაენის კარის ქრთამით შეკერა მისი მისამართით იყო თქმული), მეტი ღონე აღარ იყო, მე წავიყვანე მეფე, ვიცოდი, მიზეზს იკითხავდით და მაშინღა მომეცემოდა საშუალება, ყველაფერი მომეხსენებინა... აკი მართლაც ასე მოხდაო...

მანკაბერდელი ნაწყვეტ-ნაწყვეტ უთარგმნიდა ყაენს, და ეს საშუალებას აძლევდა სარგის ჯაყელს, ყოველი ფრაზა კარგად მოეფიქრებინა.

ესეც უწყოდი, ყაენო, რომ სპარსნი ძუელითგან მტერნი არიან ჩუენ ქართუელთანი (მკითხველს შეეახსენებ, რომ ხოჯა აზიზი სპარსი იყო). ამისთვის არღუნს თანა ვყავ ბრძოლა და ომი, რადგან უსამართლობა მეფის მიმართ ხოჯა აზიზისაგან ვეღარ მოვითმინეთ... მეფეს ბრალი არ მიუძღვის, ყაენო, ჩემი ბრალია ყველაფერი, მე განვაყენე მეფე კარისაგან თქუენისა.

ახლა უკვე მეფემაც ამოიდგა ენა. მანკაბერდელი ისე თარგმნიდა მეფის სიტყვებს, რომ ყაენს მოსწონებოდა („კაზმეედა თქმულთა მეფისათა“); ენუქ არქუნიც ესწრებოდა სამსჯავროს და მანაც სცადა, კეთილი სიტყვა შეეწია მეფისათვის... ეტყობა, დიდხანს გაგრძელდა სჯა — „განმრაელდა სიტყუა მათ შორის და მრავალგვარად უბნობა“... მაგრამ ისე განრისხებულიყო ყაენი, რომ მისი მოლბობა ძნელი გამოდგა. ყველა გრძნობდა, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა; სარგის ჯაყელს ხომ ნამდვილად სიკვდილი ელოდა, მაგრამ არც მეფის საქმე იყო უკეთესად, მასაც რაღაც ბოროტს უმზადებდა ყაენი...

მაგრამ მეფეცა და სარგის ჯაყელიც სიკვდილს გადაურჩნენ. ისე წარიმართა საქმე, როგორც ზღაპარში ხდება. ჯერ სამსჯავრო არ დამთავრებულიყო, რომ დარუბანდიდან შიკრიკი მოვარდა და მოითხოვა, სასწრაფოდ ყაენთან შეეყვანათ. როცა გაიგეს, რა საქმეზე მიდიოდა, მაშინვე შეუშვეს. შიკრიკმა შემაშფოთებელი ამბავი

მოიტანა — ბერქა ყაენი დაძრულიყო და მოემართებოდა.

ოქროს ურდოში რომ საომარი მზადება ჰქონდათ და, როცა იქნებოდა, ბერქა ყაენი მის წინააღმდეგ შემართავდა მახეილს, ეს კი იცოდა ჰულაგუმ, მაგრამ ახლავე თუ დაესხმოდა, ამას, ეტყობა, არ მოელოდა. მაშინვე შეწყვიტა სამსჯავრო, ანიშნა, ტყვეები გაეყვანათ და შიკრიკს დაწერილებით გამოჰკითხა ყველაფერი.

თავი VIII

ბერძა ყაენის მიერ კიდევ ერთხელ მოოხრებული ძვეყანა

უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმულ იმპერიას ახალი ძვეყნების დასაპყრობად ძალა აღარ ეყო, მონღოლთა ურდოები ერთმანეთს დაერივნენ. ასე დაიწყო ამ ძლევამოსილი იმპერიის დაცემა ✦ მიწას დამუშავებელი აღარ ჰყავდა და მოსავალს არ იძლეოდა ✦ სამეფო კარმა ეკლესიისთვის სხვადასხვა დროს ბოძებული მიწების ერთი ნაწილის ჩამორთმევა გადაწყვიტა, რასაც ეკლესია გააფთრებული შეხვდა ✦ დავით ულუს მალემრწმენობას ამჯერად მეფის პირველი ვაზირი, მწიგნობართუხუცესი ბასილ ჯყონდიდელ-უჯარმელი შეეწირა ✦ უკურნებელმა სენმა – მუცლის სალმობამ იმსხვერპლა დავით ულუს 18 წლის ვაჟი, უფლისწული გიორგი, თავად მეფე კი მძიმედ დაავადდა ✦ მონღოლები (ბერძა ყაენი) კიდევ ერთხელ, 300 000-იანი მეომრით (გავლით) შემოესივნენ საქართველოს ✦ სარგის ჯაყელის შეწყალება და მესხეთის „განდგომა“ ✦ მონღოლთა ლაშქარმა რამდენიმეჯერ დააპირა მოღალატე დავით ნარინის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა

მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: როცა ამოდენა სივრცეზე გადაჭიმულ იმპერიას ახალი ქვეყნების დასაპყრობად ძალა აღარ ეყო, მონღოლთა ურდოები ერთმანეთს დაერივნენ; ამითვე დაიწყო მონღოლთა იმპერიის დაცემა. ჯერ იყო-და, თანდათანობით გაწყვიტეს კავშირი დიდ ყაენთან, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მანგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ, ახალმა დიდმა ყაენმა იმპერიის დედაქალაქი ყარაყორუმიდან პეკინში გადაიტანა, ესე იგი, კიდევ უფრო დააშორა ისედაც ძალიან შორს მყოფ ულუსებს.

ოქროს ურდოს მბრძანებელს ბერქა ყაენს საფუძელიანი და თავისებურად დასაბუთებული პრეტენზიები ჰქონდა ჰულაგუ ყაენის მიმართ. ზემოთაც ითქვა, ილხანთა ურდოს შექმნაში, კერძოდ, ირანისა და აზერბაიჯანის დასაპყრობად ბრძოლებში ოქროს ურდოც მონაწილეობდა, თითქმის მეხუთედი ჰულაგუს არმიისა ოქროს ურდოელი მეომრები იყვნენ. და ახლა ბერქა ყაენი იმ ტერიტორიის ნაწილს ედავება ჰულაგუს, რომლის დაპყრობაშიაც ოქროს ურდოს მეომრებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს. ეს მიწა-წყალი განსაკუთრებით მოსწონთ ერთ ყაენსაც და მეორესაც. მომთაბარული ცხოვრებისთვის ნანატრი კუთხეა. ყოველმხრივ შემკული და მიმზიდველი. მდიდარი, გამოულეველი საძოვრები, თავის შეწუხება არაფერზე დასჭირდებათ... დიდებული ბუნებრივი საზამთრო სადგომიდან — ყიშლაღებიდან — იქვე, ხელის გაწვდენაზეა შესანიშნავი იალაღები, საითკენაც ზაფხულობით გადაინაცვლებენ ხოლმე... სხვა რამითაც არის მომხიბლავი ეს კუთხე — აქაური ხელოსნების სახელი შორსაა გავარდნილი (ჩვენ უკვე ვიცით, ხელოსნებს როგორ აფასებდნენ მონღოლები), განსაკუთრებით განთქმულია აქაური ქსოვილები — საფეიქრო წარმოება... საერთოდ ეს კუთხეები და ქალაქები სიმდიდრითაა ცნობილი... და ასეთ ვითარებაში სხვა მიზეზი და საბაბი ანკი რა საჭირო იყო ბრძოლისთვის!..

ბრძოლას წინ უსწრებდა მოლაპარაკება — საესებით ფუჭი და უშედეგო; ბერქა ამ მიწა-წყალს მოითხოვდა, ამტკიცებდა, ჩვენია, ჩვენი მეომრების მოპოვებულიაო; ჰულაგუ უარზე იყო, — არც საძოვრები ეთმობოდა და არც ხელოსნებით განთქმული მდიდარი ქალაქები... ამ ფუჭ მოლაპარაკებაში გადიოდა დრო. ამასობაში კი ბერქა ყაენი საომრად ემზადებოდა. ეგვიპტის სულთნებმა რომ გაიგეს მონღოლთა ორ ურდოს შორის განხეთქილების ამბავი, დიდად გაიხარეს და თვითონვე აქტიურად უწყობდნენ ხელს, რათა ეს განხეთქილება გაღრმავებულიყო, ბრძოლად გადაქცეულიყო. ეგვიპტის სულთანთა ასეთი დაინტერესება ადვილი ასახსნელია — იმათ ხომ მოსვენება არა ჰქონდათ ჰულაგუ ყაენისაგან, და თუკი ურთიერთობა გამწვავდებოდა ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის, — მით უფრო, თუკი ეს უთანხმოება ბრძოლად გადაიქცეოდა, — ეგვიპტისთვის ეეღარ მოიცლიდა ჰულაგუ, მთელი მისი ყურადღება ჩრდილოეთით იქნებოდა მიპყრობილი, მთელი ძალები ოქროს ურდოს წინააღმდეგ უნდა გაეყვანა. ცნობილ მკვლევარს ა. იაკუბოვსკის მოაქვს ეგვიპტის სულთან ბეიბარსის მდივნის, არაბი მემატიანის ცნობები იმის

შესახებ, თუ როგორ აქეზებდა სულთანი ბერქა ყაენს ჰულაგუს წინააღმდეგ, რა საჩუქრებს უგზავნიდა... საგულისხმოა, რომ სწორედ იმ ხანებში ბერქამ ისლამის რჯული მიიღო და ეს, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური მოსაზრებებით მოხდა: უდიდესი ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომლის ჰულაგუსათვის წართმევას ოქროს ურდო აპირებდა, მუსლიმანებით იყო დასახლებული; ბუნებრივია, რომ თავისივე რჯულის ხალხთან ბერქა უფრო ადვილად მოახერხებდა ენის გამონახვას, დაპყრობა და ათვისება ამ კუთხეებისა უფრო გაუადვილდებოდა... ამიტომაც მიიღო ისლამის რჯული...

ამის შემდეგ ეგვიპტის სულთანს უფრო გაუადვილდა მოლაპარაკება ოქროს ურდოს მბრძანებელთან; ახლა იგი პირდაპირ მოუწოდებდა ბერქას საღვთო ომისკენ ურჯულო თათრების (ესე იგი, ილხანის მონღოლების) წინააღმდეგ; რა ვუყოთ, რომ შენ გენათესავებიანო, წერდა ეგვიპტის სულთანი, აკი მოჰამედიც თავისივე ტომის ხალხს ებრძოდა; დიდი ალაჰი მოუწოდებდა მას, მანამ ებრძოლა, სანამ ხალხებს არ ათქმევინებდა: ერთ არს ღმერთი ალაჰიო! ისლამი მარტო სიტყვებზე როდია დაფუძნებული, მისი მთავარი საყრდენი საღვთო ომიაო.

ამ შეგონებას სულთანი, როგორც ითქვა, ძვირფასი საჩუქრებით ამაგრებდა. დამახასიათებელია, რომ მრავალფეროვან მდიდრულ საჩუქრებს შორის ასახელებენ ყურანს და ჭრელ ბალიშებსა და ხალიჩებს, რაც ლოცვის დროს დასჭირდებოდა ბერქა ყაენს!.. ამით კიდევ ერთხელ მიანიშნებდა — ჩვენ ერთი რჯული გვაქვს, ძმები ვართ და ერთად უნდა ვიყოთ, მუდამ შენს გვერდში მიგულეო; გაუგზავნა აგრეთვე ძვირფასი ვენეციური ქსოვილები და ალექსანდრიული ტანსაცმელი, მოოქროვილი ქინძისთავები, მრავალი ოქრო-ვერცხლისა და თვალმარგალიტის სამკაული, სამხედრო საჭურველი, ჩინური ფაიფურის ჭურჭლეული, ხვარაზმული უნაგირები, მონაზანგები, არაბული მარდი ცხენები, აქლემები, ჯორები, ეგვიპტური ვირები, მაიმუნები, თუთიყუშები, ჟირაფიც კი...

ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს საჩუქრები ნახევრადველურ ურდოშიო, შენიშნავს მკვლევარი, და იქვე დასძენს: სწორედ ბერქას სახელთანაა დაკავშირებული ოქროს ურდოს გამუსლიმანების დაწყება, თუმცა მის სიცოცხლეში მხოლოდ გაბატონებული კლასის ზედა ფენებმა მიიღო ისლამის რჯული...

ერთი სიტყვით, თანდათანობით იკვრებოდა ისლამური კოალიცია ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ჰულაგუ ყაენს არ შეიძლებოდა არა სცოდნოდა ოქროს ურდოს განწყობილება და საომარი მზადების ამბავი; რა თქმა უნდა, ისიც ეცოდინებოდა, რომ ეგვიპტის სულთანი ყოველნაირად ცდილობდა ბერქა ყაენთან კავშირის შეკვრას... რაც დრო გადიოდა, ურთიერთობა ორ ურდოს შორის სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა, ბერქა ყაენი გამომწვევად იქცეოდა. ჰულაგუ ყაენი ითმენდა ბერქას მედიდურობასა და მბრძანებლობას, და ამას ყაენის ისტორიკოსი იმით ხსნის, ბერქა უფროსი იყოო... ძალა აღმართსა ხნავს – ოქროს ურდო ძლიერი სახელმწიფო იყო, ომების გამოცდილებაც მეტი ჰქონდა; და ჰულაგუც ამიტომ ითმენდა ჯერჯერობით, ფრთხილობდა...

როგორც ჩანს, თავის მხრივ, ჰულაგუც ცდილა, კავშირი დაემყარებინა ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან; ასეთი კავშირის შეკვრას ის აადვილებდა, რომ ევროპის სახელმწიფოებსა და ჰულაგუს საერთო მოწინააღმდეგე ჰყავდათ — ეგვიპტის სასულთნო. ალბათ ამითვე აიხსნება იმ დროსვე ფართოდ გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ჰულაგუ ყაენს ქრისტიანები უყვარდა, სწყალობდა მათ... ხოლო ზოგიერთი ევრსიით, თითქოს თავადაც მიეღოს ქრისტეს რჯული... ერთი სიტყვით, საკვლევი ბუნებრივია, ჰულაგუსა და მის მემკვიდრეებს მოკავშირეები ეძებნათ ქრისტიანულ დასავლეთში... მაგრამ ცდა ამ კავშირის შეკვრისა, რომელიც, აქვე უნდა ითქვას, მტკიცე ვერ გამოდგა, ცოტა უფრო მოგვიანო დროს განეკუთვნება; ყოველ შემთხვევაში, ჰულაგუ ყაენის დროს ისე გამოკვეთილად არა ჩანს. ასე რომ, როცა ბერქა ყაენი დაესხა თავს დიდი ლაშქრით ილხანთა სახელმწიფოს, ჰულაგუს მოკავშირე აღარავინ აღმოჩნდა — მარტო თავის ჯარსა და დაპყრობილი ქვეყნების მეომრებს უნდა დაყრდნობოდა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მეომართა უმრავლესობა მუსლიმანები იყვნენ... და ახალგამუსლიმანებული ბერქა ყაენი მათი მხარდაჭერის იმედითაც მოდიოდა!..

ასეთი იყო ვითარება, როდესაც ქართველი მეფის დაკითხვით გართულ ჰულაგუ ყაენს ოქროს ურდოს თავდასხმის ამბავი მოახსენეს...

თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ეს ცნობა. ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო გამწვავდა ურთიერთობა ორ ურდოს შორის. აქ აღარ მოვყვებით მემატიანეთა მიერ გადმოცემულ ცალკეულ ფაქტებს, რამაც განსაკუთრებით დაძაბა მდგომარეობა... ამდენად, ჰულაგუსათვის ალბათ მართლაც არ იყო მოულოდნელი, როცა მოახსენეს, ბერქა ყაენი მრავალრიცხოვანი ჯარით

დარუბანდისკენ დაიძრაო. მაგრამ თითქოს ახლა აეხილა თვალები ჰულაგუ ყაენს; ერთბაშად მიხვდა თავის შეცდომას... მიხვდა, რომ ბრმად და წინდაუხედავად უმოქმედნია, უჭკუო პოლიტიკა უწარმოებია; შორეულ დასავლეთში ეძებდა სამოკავშირეო ქვეყნებს, და აქაურებს კი — უკვე დაპყრობილებსა და თავის ხელქვეითებს — შესანიშნავ მეომრებსა და ბრძოლაში ერთგულებით განთქმულ ხალხს აფრთხობდა, მტრად იკიდებდა...

ჯერ იყო-და, ერთი ქართველი მეფე გადაიმტერა — დააფრთხო და იძულებული გახადა, გაქცეულიყო; ამით ყაენს დიდი ძალა მოაკლდა — დავით ნარინს მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა; ფაქტიურად, ეს ლაშქარი არა მარტო მოაკლდა ყაენს, არამედ პოტენციურ მოწინააღმდეგედ გაუხდა: ადვილად შეიძლებოდა, ჰულაგუსაგან დევნილი მეფე ბერქა ყაენის მოკავშირე გამხდარიყო... არის ცნობები, რომ ეს მართლაც ასე მოხდა ცოტა ხნის შემდეგ;

დავით ნარინის მტრად მოკიდება არ იკმარა, ბრმა აფეთქების შედეგად თავისი ხელით მოკლა და ძაღლებს მიუგდო საჯიჯგნად ქართული ლაშქრის ამირსპასალარი — შესანიშნავი ვაჟკაცი და მეომარი, რომელსაც იგი უნდა დაყრდნობოდა მომავალ მძიმე ბრძოლებში... ამით მან მთელი დიდი საგვარეულო გადაიკიდა...

ახლაც, აგერ, მეორე ქართველ მეფეს და სამცხის დიდ სპასალარს — შესანიშნავ სარდალსა და მეომარს, მრავალრიცხოვანი, განთქმული ლაშქრის პატრონს — სიკვდილით დასჯას უპირებს...

ბერქა ყაენი ყველას დათაფლვას ცდილობს, ვინც კი თავისი გეგმების განხორციელებაში გამოადგება, სად არ ეძებს მოკავშირეებს, ვისთან აღარა ჰკრავს კავშირს... ამას კი ერთგულად მინდობილი ხალხი გაუწირავს, გაუმწარებია, გაუღიზიანებია...

ერთბაშად მიხვდა ჰულაგუ ყაენი თავის შეცდომას და სამსჯავრო შეწყვიტა... ქართველი მეფე და მისი ერისთავი შეირიგა, შეასახელა, უბრძანა, სასწრაფოდ შეეკრიბათ ლაშქარი და მას ხლებოდნენ...

ეს მოხდა 1262 წლის აგვისტოში...

●

ქართველმა მეფემ და სპასალარმა სწრაფად შეკრიბეს ჯარი და ჰულაგუ ყაენის დიდ ლაშქარს შეუერთდნენ. მეფემ თავი გამოიდო, საგანგებოდ სთხოვა ჰულაგუს, წინამბრძოლად ჩვენ გაგვამწესეო,

თითქოს, რომ არ ეთხოვა, ისე არ გაამწესებდა. „წესადცა არს ქართველთა წინამბრძოლობაო“, შენიშნავს იქვე ჟამთააღმწერელი, იქნებ ირონიულადაც!.. ყოველ შემთხვევაში, ახლა მწარე ირონიად გაისმის ეს სიტყვები, და შვიდი საუკუნის შემდეგ სინანულით დაწერილ სტრიქონს შეგვახსენებს — შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა!..

ამასობაში ბერქა ყაენი „უმრაელითა, დიდთა დიდითა ლაშქრითა“ დარუბანდს მოახლოებოდა; მის ჯარს ნოღაი სარდლობდა... ჰულაგუს ლაშქარი, რომელსაც შირამუნ ნოინი უძღოდა, შამახიასთან დაბანაკდა... მოწინააღმდეგემ გადმოლახა კავკასიონი და შირვანში შეიჭრა... შაბურანის ველზე გაიმართა ძლიერი და ფიცხელი ბრძოლა და ორივე მხარეს მრავალი მეომარი გაიჟლიტა... პირველ ბრძოლაში ჰულაგუს ლაშქარმა იმარჯვა და მოწინააღმდეგე უკუაქცია...

მაგრამ ომი ჯერ არ დამთავრებულიყო.

ჰულაგუმ თავისი შვილი აბაღა დაადევნა ლტოლვილთ, რათა მოწინააღმდეგის ბანაკი და სიმდიდრე ჩაეგდო ხელთ. ივანე ჯაკელი-შვილს რაშიდ ად-დინის სიტყვები მოაქვს, რა მხეცურად მოექცნენ აბაღას მეომრები მოწინააღმდეგის ბანაკში უპატრონოდ დატოვებულ მტრის ცოლ-შვილს, ხელთ იგდეს დიდძალი სიმდიდრეც. თანამოძმე მონღოლების არც ნამუსი და არც ქონება არ დაინდესო.

მაგრამ ომის ბედი მალევე შეიცვალა. აბაღას მთვრალი ლაშქარი ჯერ ისევ იმ ბანაკში მისცემოდა „ველური თავშეუკავებლობით“ ღრეობას, რომ უეცრად დაესხა შემობრუნებული ბერქას ჯარი... ახლა აქ გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა. აბაღას ჯარი დაისაჯა დაუდევრობისა და სულწასულობისთვის — ოქროს ურდოელებმა სასტიკად დაამარცხეს და სდიეს იქიდან, შაბურანს დააბრუნეს. მართალია, თვით აბაღა გადარჩა, მაგრამ მის „საგრძნობლად შემცირებულ და დაჯაბნულ ჯარს ბრძოლის უნარი უკვე დაკარგული ჰქონდა“. ბერქა ყაენმა დარუბანდი აიღო, მაგრამ იქვე გაჩერდა, წინ წასვლა, ეტყობა, სარისკოდ ჩათვალა. 1263 წლის აპრილი იწურებოდა, როცა დამარცხებული ჰულაგუ ყაენი თავრიზში მიეიდა.

ამის შემდეგ ქართველი მეფე თბილისს დაბრუნდა. და ალბათ სწორედ ამ დროს მესამედ იქორწინა; ულუ დავითს ცოლად შერთეს ასული „დიდისა ჭორომაღო ნოინისა... სახელით ესუქნ“...

ისე დამთავრდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომ საქმე საბოლოოდ არ გადაწყვეტილა; ისედაც გამწვავებული მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. ბერქა ყაენის ლაშქარი ისევ დარუბანდს იყო მომდგარი და იქიდან ფეხს არ იცელიდა — არც უკან მიდიოდა და ჯერჯერობით არც წინ მოიწევდა; წინა ბრძოლაში დამარცხებული ჰულაგუ ყაენი თავად ვეღარ ბედავდა შეტევას და ახლა განუწყვეტელ შიშში უნდა ყოფილიყო — არავინ იცოდა, როდის გადმოლახავდა ჩრდილოეთის ურდო საზღვარს და როდის შეესეოდა ილხანების სახელმწიფოს.

კაცმა შეიძლება იფიქროს, რაკიღა ორი დამპყრობელი ერთმანეთს ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ, დაპყრობილი ქვეყნისთვის — საქართველოსთვის — ეს იქნებ ცოტათი შვება გამოდგესო. პირიქით მოხდა. ჯერ იმ პირველ ბრძოლებში რამდენი ქართველი გაიჟლიტებოდა, როცა ყაენმა მეფის ჯარი „წინამბრძოლად აჩინა“... მაგრამ მთავარი განსაცდელი თურმე წინ იყო. ჰულაგუ ყაენმა გადაწყვიტა ჯებირი აეგო მდინარე ჩაღან უსუნის (თეთრი წყლის) ნაპირას, საქართველოს საზღვართან, და ამით მტრის შესაკავებლად ხელოვნური ზღუდე შეექმნა — ღობითა შეკრეს წყლის პირი, რომელსა ს ი ბ ა დ უწოდესო, ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს. და იმ სისხლისმღვრელ ბრძოლებზედაც უფრო მძიმე გამოდგა ქართველებისთვის ჯერ აგება ამ ჯებირისა და განსაკუთრებით კი მერე იქ თვეობით დარაჯობა. ს ი ბ ა ზ ე დ გ ო მ ა ო, იტყოდნენ ხოლმე და ეს იყო საშინელი უბედურება ქართველთათვის...

სიბა იმავე წლის შემოდგომაზე აუგიათ, და ამიერიდან ყოველწლიურად გაჰყავდათ ქართული ჯარი, რომელსაც მონღოლებთან ერთად უნდა ემორიგევა შემოდგომიდან ზაფხულის დადგომამდე. ჯებირი ხომ საქართველოს საზღვარზე ააგეს, და ადვილი წარმოსადგენია, როგორ აყვედრიდნენ ქართველ მეფესა და ქართველებს — თქვენი ქვეყნის დასაცავად ამდენს ვიღვწითო!.. ეს დამპყრობელის ჩვეული ცინიზმია. ისიც თავისთავად იგულისხმება, რომ უმთავრესად ქართველი მეომრები იყვნენ იქ ჩაყენებული; ის ფაქტი, რომ თვით ქართველი მეფე იყო იქ, თავისთავად მიგვანიშებს ქართული ლაშქრის სიმრავლეზე. თანაც, განა მარტო ერთხელ იყო ქართველი მეფე სიბაზე გაწვეული — როცა მოესურვებოდათ, გამოუძახებდნენ და მიჰყავდათ; საგულისხმოა ჟამთააღმწერლის სიტყვები:

„და კ უ ა ლ ა დ წარეიდა მეფე სიბასა ზედა“ — აშკარად ჩანს, რომ მეფის სიბაზე დგომა ჩვეულებრივი მოვლენა იყო... მეფე თავის თავს არ ეკუთვნოდა.

ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს ერთ ნაღელიან ფაქტს, რომელიც კარგად გვიხატავს ქართველი მეფის მაშინდელ მდგომარეობას. იმ წელსაც მთელი შემოდგომა და ზამთარი თავის ქვეყანას მოწყვეტილი მეფე სიბაზე იყო; დადგა გაზაფხული, დამთავრდა სიბაზე მორიგეობის ვადა, და ახლა, ჩვეულებრივ, შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ. და საოცარი ის არის, რომ ქართველ მეფეს მაინც არა აქვს შინ დაბრუნების უფლება. კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ მეფემ თავად ვერ გაუბედა ყაენს, შინ წასვლის ნება მომეციო, თუმცა ყაენი იქვე იყო იმ დროს, სიბაზე. ყაენის შვილს თანქუშსლა შეკადრა მეფემ — ყაენთან მიშუამდგომლე, რომ შინ გამიშვასო. ამაზე მეტი დამცირება მეფისა ძნელი წარმოსადგენია. 1264 წლის გაზაფხული იყო; თანქუშმა ყურად იღო მეფის თხოვნა, და კაცი გაუგზავნა მამას ნებართვისთვის, მაგრამ შიკრიკს ყაენი გარდაცვლილი დახვდა.

იმ სიძნელეებზე ელაპარაკობდით, რასაც სიბაზე მყოფი ქართველი მეომრები განიცდიდნენ. თავი რომ დავანებოთ შიმშილს, დამცირებას, რასაც ისინი მონღოლი მეომრებისგან იტანდნენ, საშინელი სენი გაჩნდა, და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მძვინვარდებოდა... მემატიანე აქაც სიტყვაძუნწობს და არ ამბობს, რამდენი ქართველი მეომარი გაჟლიტა მუცლის სახადმა, იგი მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ ჯერ მეფის შვილი გიორგი და მერე თვით მეფე ულუ დავითი ამ სენმა იმსხვერპლა... ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნებოდნენ უბრალო მეომრები!

მოწყვეტილნი იყვნენ თავის ქვეყანასა და ოჯახს — მეფეც, უბრალო მეომრებიც... სოფელში მუშაკაცი აღარ დარჩა, რომ ჭირნახული მოეყვანა... უმეფოდ და უპატრონოდ მიტოვებულ ქვეყანაში კი ამ დროს თავისუფლად დათარეშობდნენ ისედაც თავაშვებული ნოინები და ბასკაკები. ქვეყანა გააჩანაგეს, გააღატაკეს... სოფლები დაიცალა, გადასახადები კი იგივე დარჩა... პირიქით, მოუმატეს კიდეც... იოლი გამოსავალი გამოძებნეს — საზომი და საწყაო გაზარდეს!.. მოსახლეობის ყველა ფენა დაზარალდა — თვით ფეოდალიც, წვრილი მემამულეც, ეაჭარიც... მაგრამ გლეხის უბედურებას, რაღა თქმა უნდა, არაფერი შეედრებოდა... გამოსავალი აღარ იყო, ხალხი

აქეთ-იქით აწყდებოდა... გლეხის ფუძის მოშლა ერის გაქრობის საშიშროებას ქმნიდა. მეტად საგულისხმო და დამახასიათებელია ცალკეული ფრაზები, რასაც ჩვენამდე მოღწეულ იმდროინდელ საბუთებში წააწყდებით. მკვლევარ ბ. ლომინაძეს თავის ნაშრომში მოაქვს ასეთი ფრაზები. აგერ, ძაგან აბულეთის ძის შეწირულების საბუთი, სადაც იგი შიო მღვიმის მონასტრის ძმობასა სთხოვს, სამონასტრო გადასახადებით გ ლ ე ხ ობ ა ი მ ზ ომ ა მ დ ე ა რ დ ა ბ ე გ რ ო ნ, რ ო მ ს ო ფ ე ლ ი ა მ ო წ ყ დ ე ს ო. ანდა, კიდეე ერთი ფრაზა ზემოთ ნახსენებ კახა თორელის შეწირულების წიგნიდან: „ვინც წინამძღუარი იყოთ... გ ლ ე ხ თ ა თ ვ ი ს კ ა რ გ ი ი ყ უ ე ნ ი თ“... მაგრამ ეს სიტყვები ფუჭი იყო, რაკიღა საქმე არ ახლდა.

გლეხკაცისგან დაცარიელებული მიწა უკვე აღარც ფეოდალისთვის იყო ხელსაყრელი, რადგან მონღოლები ხალხის კლებას როდი უყურებდნენ — გადასახადს იმდენსავე თხოულობდნენ, მიწას კი დამმუშავებელი აღარ ჰყავდა და მოსავალს არ იძლეოდა... საჭირო იყო ფული, რათა ბეგარა გადაეხადათ... და იძულებული გახდნენ, ისევ მიწისთვის მიემართათ, მიწა გაეყიდათ... ივანე ჯავახიშვილი იშვიათი ლაკონიურობით გადმოგვცემს ამ მდგომარეობის ტრაგიზმს — „მიწები ამოძრავდაო“. თუკი ვინმე აღმოჩნდებოდა მუშტარი, დაუზოგავად ჰყიდდნენ მიწებს, მაგრამ მყიდველი ცოტა იყო, და იმიტომაც ჩალის ფასად იყიდებოდა. ფული მხოლოდ მსხვილ ფეოდალებსა და მედროვეებს თუ ჰქონდათ... რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა.

ერთადერთი, ეკლესიის მდგომარეობა იყო უკეთესი. როგორც ითქვა, მონღოლებს ეკლესიისთვის ჯერ ხელი არ ეხლოთ. იგი თავისუფალი იყო სამეფო გადასახადისგანაც. ეკლესიის ხელში იყო მოქცეული დიდძალი მიწები, და ეს მიწები არც მონღოლებისგან იბეგრებოდა და არც მეფისგან; და რაკი ბეგარა მაინც მიჰქონდა დამპყრობელს, ეკლესიის მიწების გადასახადიც ხალხს აწვებოდა.

ასეთ ვითარებაში სამეფო კარს მეტად გაბედული ღონისძიებისთვის მიუმართავს — გადაუწყვეტია ეკლესიისთვის ჩამოერთმია სხვადასხვა დროს ბოძებული მიწების ერთი ნაწილი და მდგომარეობა ამით ნაწილობრივ მაინც გამოესწორებინა. გაბედული იმიტომ შეიძლება ეწოდოს ამ გადაწყვეტილებას, რომ ეკლესიასთან ბრძოლა ძნელი და სარისკო იყო.... თუმცა სამეფო კარის გადაწყვეტილება კანონს ემყარებოდა და ეკლესიას თითქოს არა ჰქონია იურიდიული უფლება, წინააღმდეგობა გაეწია: ქართული სამართლის მიხედვით,

მეფის განკარგულებას, მათ შორის წყალობასაც, ძალა ჰქონდა მხოლოდ ამ მეფის სიცოცხლეში; სიკვდილის შემდეგ კი გაუქმებულად ითელებოდა, თუ მისი მომდევნო მეფე ხელახლა არ დამტკიცებდა იმ ძველ წყალობას. მეფეს შეეძლო არ დამტკიცებინა ძველი წყალობა, და ნაწყალობევი უკანვე წაეღო. ეს ძველთაგანვე ასე მოდიოდა. ამის მიხედვით, ეკლესიას თითქოს სადავო აღარაფერი უნდა ჰქონოდა: სამეფო კარის გადაწყვეტილებით, მათ ჩამოართვეს ის მიწები (და ისიც მხოლოდ ერთი ნაწილი), რაც დროთა განმავლობაში იყო ნაწყალობევი და მომდევნო მეფის მიერ კი დამტკიცებული არა ყოფილა (ეკლესიას თავად არ უზრუნია, ხელახლა დამტკიცებინებინა მეფისთვის ძველად ნაწყალობევი მიწები).

მიუხედავად ამისა, ეკლესია გააფთრებული შეხვდა სამეფო კარის გადაწყვეტილებას. ჩვენამდე მოღწეულია დოკუმენტს, რომელშიაც ძალიან ცოცხლადაა ასახული მთელი მდგომარეობა. ეს არის საეკლესიო კრების დადგენილება თუ მიმართვა მეფისადმი, რომელსაც 1263 წლით ათარიღებენ; სწორედ იმ დროსაა შედგენილი, რომლის ამბებსაც ჩვენ ახლა ვყვებით... მაგრამ საოცარია თვითონ ეს ტექსტი, რომელსაც ჩვენამდე დაზიანებულად მოღწეულია. ზემოთ გრიგოლ სურამელის საბუთი მოვიტანეთ, როგორც მაღალი კულტურის ნიმუში, და იგივე შეიძლება საეკლესიო კრების ამ დადგენილებაზეც ვთქვათ. ტექსტი საკმაოდ დიდია და საშუალება არა გვაქვს მკითხველს აქვე გავაცნოთ...

ტექსტი დაზიანებულიაო, ვთქვით. დაზიანებულია თვით შესავალიც; დასაწყისი მოკვეცილი აქვს. ძნელი სათქმელია, როგორ იწყებოდა მიმართვა, მაგრამ ამაზე უფრო შთამბეჭდავი, — შესავალმოკვეცილი ტექსტის პირველივე ფრაზა რომ არის, — ნეტა რა უნდა ყოფილიყო... თითქოს ვინმეს განგებ მოუშორებია შესავალი, რათა დასაწყისშივე ეჩვენებინა ის დიდი ექსპრესიულობა, რითაც მთელი ეს მიმართვა ჟღერს.

„...გევედრებით და ვრეკთ კარსა მოწყალებისა თქვენისასა, — ასე იწყება ეს საოცარი საბუთი, — მოიწყინეთ ჭრტინვა ჩუენი და სიგლახაკე და უქონებელი... ქვრივად და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღეთისანი შეიწყალენით, განშიშულებანი სამართლით შემოსენით, იხსენით დაწუნებულნი, უსაჯეთ სამართალი მართალი“...

გევედრებითო, მიმართავენ მეფეს, მაგრამ მთელი წერილი მრისხანე მუქარად გაისმის... ეკლესიას აღარაფრად აგდებთო, — საყვედურსაც კადრებენ მეფეს, — კრიჭაში გვიდგახართო; წინათ ჩვენ

რომ რაიმე მიზეზით შეეაჩვენებდით და დაეკრულაედით ადამიანს, იმას თქვენც მოკვეთავდით ხოლმე ქვეყნიდანაო, იგი „თქვენ მიერცა შერისხულა, მამული დასჭირვია და ლაშქართა შიგან არ შეშვებულა“, ახლა კი ჩვენგან შეჩვენებულს, თქვენ, შერისხვის ნაცვლად, გულში იკრავთ, დარბაზში აპარპაშებთ და ყველა სურვილს უსრულებთო... და იქვე კატეგორიულად აფრთხილებენ მეფეს: ასეთი რამ აღარ განმეორდესო — „ესე უწესოი წესი ნუღარაოდეს იქნების, ნუც დაგუემართების: ვისაც დაეპკრულვიდეთ, თქუენც შეპრისხვიდეთ და ხრმლითა თანა-უდეგით სჯულთა და წესთა სამღვდელოთა“... ამაზე მკაცრი ტონი ალბათ წარმოუდგენელია; ასე კატეგორიულად მეფეს არ მიმართავენ ხოლმე.

მაგრამ წერილი ეშმაკურად არის აგებული — მეფეს ბევრ რამეს ედავებიან და საყვედურობენ, თითქოს წლობით დაგუბებულმა ბოღმამ ერთბაშად იფეთქაო, და მიზანი კი ერთია: გააუქმებინონ ის უსიამოვნო გადაწყვეტილება...

თქვენს ჩვენდამი დამოკიდებულებას რომ უყურებენ, სხვებიც გვამცირებენ, აღარავინ გვცემს პატივსო, სწერენ... როგორც ხედავთ, ცოტათი შეიცვალა ტონი, ახლა უკვე თავიანთ მძიმე მდგომარეობას აცნობენ, თითქოს თავს აბრალებენ, მაგრამ ისე, რომ თავმოყვარეობას არ იბღალავენ — „აღარავისგან გუაქუს პატივი, არცა სჯულსა და არც ებისკოპოსთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიჰრონს, არც ქორებისკოპოსთა! ყველაი ყველასა უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ეჰყავთ“.

და ისევ საყვედურები — მკაცრი და შეუპოვარი:

„რად დაჰხსნით წესსა საქებელსა, რად უპატიო ჰყოფთ პატიოსნობასა... რომელი მეფე იქნების უპატიო-მყოფელი, შეურაცხად მხსენებელი ებისკოპოსთა და მონაზონთა?“...

ამ მრისხანე საყვედურებს კიდევ უფრო მრისხანე მუქარა მოჰყვება: თუ თქვენს გადაწყვეტილებას არ გააუქმებთ, „რაცა დაგვიპირებია, მისნი მქნელნი ვართ: არცა მირონსა გავხსნით, საქართველოისა ეკლესიათა დავბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ წირვისა და ნათვლისა და სამკვდროთა ზიარებისაგან“...

ეკლესიების დაკეტვით, წირვა-ლოცვისა და საეკლესიო წესთა შესრულების შეწყვეტით იმუქრებიან!.. ეს წარმოუდგენელი რამ არის... ასეთი მუქარა სამღვდელოებისგან მკრეხელობაა, და ამას თავად გრძნობენ: „ეზომის კადნიერებისა და წყენა-კადრებისათვის,

ვითა საშინელისა ღვთისა საშინელებათაგან ეძრწით და ეიშიშვითო“, წერენ...

საბუთი ეშმაკურად შეუდგენიათო, ითქვა. ისე აქვთ მოფიქრებული, რომ თან უჩვეულო სისასტიკით ემუქრებიან მეფეს და თან ცდილობენ შეირიგონ; მიუხედავად მიმართვის საერთო მრისხანე ტონისა და მუქარისა, უკან დასახევ გზასაც უტოვებენ; ვაზირს აბრალებენ ყველაფერს — „ღვთისთუის შეწირულთა ადგილთა ვაზირი, მაწუეველი, მნებებელი და მაქნეველი გაცემისაიო“, წერენ... წინასწარეე აქვთ გათვალისწინებული: თუკი მეფე მოინდომებს გააუქმოს ის გადაწყვეტილება, მისი თავმოყვარეობა არ შეილახება, ადვილად შეიძლება გამოსწორდეს საქმე, ყველაფერს ვაზირს გადააბრალებს, აკი თვითონვე სთავაზობენ ამას; ამისთვის საგანგებოდ უზრუნია საეკლესიო კრებას, ყველაფერი გაუთვალისწინებიათ.

მაგრამ მეფისთვის სულაც არ იყო ხელსაყრელი იმ გადაწყვეტილების გაუქმება, და საბოლოოდ, არც გაუუქმებია...

რაღა თქმა უნდა, ვერც ეკლესიამ შეასრულა საშინელი მუქარა.

გადაწყვეტილებას ეკლესიისთვის მამულების ჩამორთმევის შესახებ მეფის პირველი ვაზირის, მწიგნობართუხუცესის ბასილ ჭყონდიდელ-უჯარმელის სახელს უკავშირებენ. ზემოთმოყვანილი საეკლესიო კრების დადგენილება და ქართველი მემატიანის ცნობა კარგად ავსებენ ერთმანეთს: ჟამთააღმწერელი პირდაპირ ლაპარაკობს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თავნებობაზე — „განდიდნა ჭყონდიდელი ბასილი და უჯარმელი, და იწყო საურავთაცა ქმნად თვინიერ მეფისა კითხვისა“ — ესე იგი, მეფის დაუკითხავად და მეფესთან შეუთანხმებლად, თვითნებურად განაგებდა სახელმწიფო საქმეებსაო. მეფე ხომ სანახევროდ თავის სამეფოში არა ყოფილა, სახელმწიფო საქმეებისთვის ვერ იცლიდა... — ხან ყაენის კარზე იყო, ხან ლაშქრობაში ახლდა მონღოლებს, ხან სიბაზე იდგა და ხანაც დევნილი იყო. სწორედ მეფის იმერეთში ყოფნას უკავშირებს ქართველი მემატიანე ჭყონდიდელის თავნებობას — „მეფისა იმერით ყოფასა შინა დიადი აწყინა სეფეთა ქვეყანათა, რამეთუ ვითარ თვისთა ხედვიდაო“... „მთავრობა მიიტაცაო“... „ჩოხანიც აღიხადაო“...

ბრალდებები ჟამთააღმწერელსაც გამოულეველი ჰქონია პირველი ვაზირის მიმართ; თანაც, ძალიან მძიმე ბრალდებები!.. ჩოხის გახდას რომ ახსენებს, აქ სასულიერო სამოსელი, ანაფორა იგულისხმება. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ხომ სასულიერო პირია; დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული, ეს ორი მაღალი თანამდებობა

ერთი პირის ხელშია მოქცეული; თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ აღმაშენებელმა ამით ეკლესია სამეფო კარს დაუმორჩილა. ბუნებრივია, პირველ ვაზირს სამოქალაქო, საქვეყნო საქმეები მეტი ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც სასულიერო პირად ითვლებოდა და ანაფორა უნდა სცმოდა. ბასილ უჯარმელი, როგორც ეხედავთ, თავისებური კაცი ყოფილა, არაფერს ანგარიშს არ უწევდა, რაც მოესურვებოდა, იმას აკეთებდა... იქნებ შერჩენოდა კიდეც პირველ ვაზირს თავნებობაცა და ბევრი სხვა ცოდვაც... არეული დრო იყო, ვინ იყო გამკითხავი... მაგრამ როგორც კი სამეფო კარის ინტერესები ეკლესიისას დაუპირისპირდა, საქმე მაშინვე გამწვავდა, და პირველი ვაზირის სხვა ცოდვებიც უფრო თვალშისაცემი გახდა...

ერთი სიტყვით, მეფემ ყური არ ათხოვა ეკლესიის პრეტენზიებსა და საჩივრებს და რაკიღა სამღვდელოებას იმ მრისხანე მუქარის შესრულება არ შეეძლო — იგი მხოლოდ სამეფო კარის დასაშინებლად იყო მოგონილი — ეკლესიის მესვეურებმა გადაწყვიტეს სხვაგვარად ეძიათ შური, ვერაგულად, არავაჟკაცურად; თანაც, ერთდროულად მეფეზეც და მის პირველ ვაზირზეც. შურისსაძიებლად მეტად ულმობელი და უკუღმართი რამ მოიგონეს — კარგად გაითვალისწინეს მეფის ხასიათის სისუსტე, მისი მალემრწმენობა; ხმა გაავრცელეს — მწიგნობართუხუცესმა მეფის სარეცელი შებღალაო: „არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა... თანა ეყო ბასილი ესუქნს“.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჭორის გამავრცელებლებს ჰქონდათ გათვალისწინებული (ჩვენ ნუ დავასახელებთ ცილისმწამებლებს, ეს იქნებ ისედაც აშკარა იყოს!): სანამ მეფის ყურამდე მიაღწევდა ჭორი, ჯერ ფართოდ გავრცელდა, მოიარა ქალაქის საეკლესიოები, ბაზრები, ცალკეულ სამთავროებს მისწვდა... ჭორიკანა და ავყია ხალხს რა გამოლევს, ქვეყნის იმ დიდი განსაცდელის დროსაც არ იყო მათი ნაკლებობა.... ხითხითებდნენ, ენას ილესავდნენ, სხვისგან გაგონილს თავისას უმატებდნენ, ათასნაირი სასაცილო და საჩოთირო დეტალებით ავსებდნენ და სხვებს უამბობდნენ, მოჩვენებითი გულისწყრომით იბრალებდნენ მეფეს... მეფესაც ბევრი მტერი აღმოაჩნდა და მწიგნობართუხუცესსაც...

ყველაზე გვიან მეფემდე მიაღწია ამ ხმამ, და გაცოფდა მეფე, სწრაფად მოაყვანინა მწიგნობართუხუცესი, ბრძანა ჩამოეხრჩოთ — მეფეს ხომ საქმის გამორკვევა არ უყვარდა — და ქვეყნის პირველი ვაზირი ასე განუკითხავად, დღისით, მზისით შუა ქალაქში დაჰკიდეს ძელზე...

ვინ იცის, იქნებ ჰქონდა კიდეც რაიმე საფუძველი იმ ჭორს, თუმცა ამ ამბავს რომ გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი, როცა გვაუწყებს — მწიგნობართუხუცესი „დამოჰკიდეს ძელსა შუა ქალაქსაო", იქვე დასძენს: „რამე თუ იყო მეფე მალე-მორწმუნე და ლიტონიცაო"... ამით ალბათ მიგვანიშნებს, რომ ამ საქმეში მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი უცოდველი იყო.

მეფის მალემრწმენობის ორ შემთხვევას გავეცანით, და, როგორც ვნახეთ, ორივე ტრაგიკულად დამთავრდა. ჟამთააღმწერელი მესამესაც გადმოგვცემს; და თუმცა ამ შემთხვევას თითქოს ტრაგიკული ბოლო აღარა ჰქონია — ეს მხოლოდ ერთი შეხედვით მოგვეჩვენება ასე; სინამდვილეში მას გაცილებით უფრო სავალალო შედეგი მოჰყვა ფართო ეროვნული თვალსაზრისით.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ შაბურანის ბრძოლაში სარგის ჯაყელმა, რომელიც, საერთოდ, თავგანწირვით იბრძოდა, დიდი განსაცდელისგან იხსნა ჰულაგუ ყაენი: მოწინააღმდეგის რამდენიმე მეომარს მარტოდ დარჩენილი ყაენი ბორცვზე მოემწყვდია, და ალბათ ცუდად წაეიდოდა მისი საქმე, სარგის ჯაყელს რომ არ ემარჯვენა. ქართველმა სარდალმა რომ დაინახა განსაცდელში ჩავარდნილი ყაენი, ცხენი იქითკენ გააქანა და ყაენზე ხმალშემართულ ჩრდილოეთის ურდოელ მონღოლებს შეუტია, გააქცია.. აშკარა დაღუპვას გადაარჩინა ჰულაგუ ყაენი... ბრძოლის შემდეგ ყაენმა მადლიერება გამოიჩინა ქართველი მეფისა და მისი მეომრების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძოლა მან წააგო. მეფესაც და ქართველ მეომრებსაც „ფრიადითა პატივითა პატივ-სცა", სარგის ჯაყელს კი განსაკუთრებული მამაცობის და დამსახურებისათვის უბოძა კარნუ ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა...

მეფეს, ეტყობა, ვერაფრად ეჭაშნიკა სამცხის მთავრის ასეთი დაფასება: ეს არც სხვა ქართველ მთავრებს ესიამოვნებოდათ და შურით გახელებულებმა მეფეც გაახელეს — ბარემ მეფობაც დაუთმე ჯაყელს; სულ ერთია, ყაენმა ისე განადიდა, რომ ამიერიდან შენი მორჩილი მაინც აღარ იქნებაო...

კიდევ გახელება უნდოდა ისედაც განაწყენებულ მეფეს!.. გაიბუსხა, გაიბუტა, და იმავე ღამეს ელგონ ნოინთან მივიდა (დამახასიათებელია, რომ მეფე პირდაპირ ყაენთან მისელას ვერ ბედავს, თუ ერიდება: ამის წინაც აკი თანქუში მიუგზავნა!..): რაღა კარნუ ქალაქი, ბარემ მეფობაც მისცეს ყაენმა ჯაყელს! — უთხრა ნოინს ულუ დავითმა — პირდაპირ გაიმეორა, რა სიტყვებითაც გაახელეს.

ნოინს გაუკვირდა მეფის ასეთი გახელება; ქართველებმა ასე იციოთ, უთხრა, ბრძოლაში მხნედ მებრძოლს არა კეთილს უყოფთო; ეს როგორ გიმძიმს, შენი ხათრით სცა ასეთი პატივი ყაენმა ჯაყელს, იცის, რომ შენი ერთგულიაო; თანაც ხომ ნახე, რა თავგანწირვით იბრძოლა, ყაენიც იმან გადაარჩინაო.

ეს კი უთხრა ნოინმა მეფეს, მაგრამ დანაბარები მაინც მოახსენა ყაენს... და ყაენმაც აღარ მისცა კარნუ ქალაქი ჯაყელს — იმას რა ენაღველებოდა, ალბათ ესიამოვნა კიდეც: მეფეს უერთგულესი ქვეშევრდომი გადაპკიდა.

ეს ამბავი ხომ არ დაიმალებოდა — ხალხს კარგის თქმა უჭირს, თორემ ცუდს მაშინვე მიურბენინებდნენ სამცხის სპასალარს. რაღა გასაკვირია, რომ სარგის ჯაყელს ეწყინებოდა მეფის ასეთი სულმოკლეობა, გული დასწყდებოდა; ასევე წერს მემატიანე — „შეიქმნა გულკლებით და ქუეგამხედვარედ პატრონისაგან“...

ქუეგამხედვარედო!.. რა გასაკვირია, რომ სამცხის სპასალარი მარჯვე შემთხვევას უცდის, რათა სამაგიერო გადაუხადოს მეფეს. ჩვენ ხომ ვიცით, როგორ უერთგულა დაეით ულუს სარგის ჯაყელმა: თითქმის ყველასგან მიტოვებულსა და განწირულს, მხოლოდ ამან დაუჭირა მხარი, საალალბედოდ გაიხადა საქმე, საკუთარი თავიც განსაცდელში ჩააგდო და ოჯახიც, მთელი საგვარეულო, მთელი კუთხე... გაიხსენეთ, ჯერ აჯანყების დროს რა ვაჟკაცურად ედგა მხარში და მერე ყაენის კარზე როგორ გამოესარჩლა!.. მოულოდნელმა და გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ გადაარჩინა, თორემ თავი ხომ განწირული ჰქონდა მეფისთვის!.. რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს მეფის ასეთ მოქმედებას! უმადურობა ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მანკიერებაა ადამიანისა, და ამდენად ყველაზე ძნელი საპატიებელიც. სულაც არ არის გასაკვირი, რომ სარგის ჯაყელმა ვერ აპატია ეს მეფეს; მაგრამ ის გზა შურისძიებისა, რაც სამცხის სპასალარმა აირჩია, პირადად მეფეს იმდენს არას ავნებდა, რამდენადაც ეროვნული უბედურება გამოდგა.

ეს უცნაური და უსიამოვნო შურისძიების ამბავი ქრონოლოგიურად ცოტათი უფრო მოგვიანოა, წინ მას კიდევ ერთი საშინელი მოვლენა უსწრებს, მაგრამ რაკიღა სიტყვა მეფისა და სამცხის სპასალარის ურთიერთობაზე ჩამოვარდა, ბარემ ნუ გაეწყვეტთ და დავასრულოთ.

რომ უფრო ადვილი გასაგები იყოს ზემოთნახსენები შურისძიების არსი, მკითხველს უნდა მოეახსენო ერთი ვერაგული ხერხი, რითაც მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებს აქუცმაცებდნენ, ქვეყნის ცალკეულ მხარეებსა და კუთხეებს ერთმანეთისგან თიშავდნენ და მათ შორის შუღლს თესავდნენ, ცენტრალიზებულ ხელისუფლებას საფუძველს უთხრიდნენ და ამით თავიანთ საქმეს იადვილებდნენ. იქნებ ამისი შეხსენება არც კი იყოს საჭირო, რომ ეს განსაკუთრებულ საშიშროებას ქმნიდა საქართველოში, სადაც გამძაფრებულ ფეოდალურ შუღლს საუკუნეობრივი ისტორია ჰქონდა და მუდამ მეფის სიბრძნე და მტკიცე ხელი იყო საჭირო, რათა ის მიყუჩებული და დათრგუნვილი ბოროტება კვლავ არ აღორძინებულიყო.

დაპყრობილ ქვეყნებში ყაენი ზოგიერთ კუთხესა და მთავარს გამოარჩევდა ხოლმე და თავის პირად „მფარველობაში“ მოაქცევდა, საკუთარ სამფლობელოდა და ყმად გაიხდიდა. ამას „ხასინჯად“ შეწყალება ერქვა, და ხდებოდა ეს, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი მეფის სურვილისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ, მის საზარალოდ, მასთან შეუთანხმებლადაც. ხასინჯად შეწყალებული კუთხე და მთავარი, ბუნებრივია, მეტი უფლებებით სარგებლობდა, მეტი პრივილეგიები ჰქონდა, რაკიღა უშუალოდ დამპყრობლის უმაღლეს ხელისუფლებას ემორჩილებოდა, სხვები — ვერც ადგილობრივი მეფე და ვერც მონღოლთა დივნის მოხელეები — ხმას ვერ გასცემდნენ. პრივილეგიები რომ ვახსენეთ, უმთავრესად სწორედ ეს იგულისხმება — ხასინჯად შეწყალებული მთავარი და მისი სამფლობელო არც მეფეს უხდიდა გადასახადს და მონღოლთა დივნის მოხელეთა წრესგადასული თვითნებობისა და თავაშვებულობისგანაც თავისუფალი იყო. ეს კი დიდი შვება და შეღავათი იყო და, ბუნებრივია, მთავრები თვითონვე ცდილობდნენ, ასეთი შეწყალება მიეღოთ ყაენისგან. ყველა, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებდა ამას. დამპყრობლის ვერაგობის არსიც ეს იყო — ზოგიერთი უნდა ჰყოლოდა ასე შეწყალებული, და სხვებს შურით ეცქირა მათთვის...

სხვათა შორის, სუმბატ ორბელიც ხასინჯად შეწყალებული იყო; ამას მისი ძმისწული სტეფანოს ორბელიანი გვამცნობს; ქართველი მეფისთვის წართმეული ძვირფასი, „მთელ სამეფოდ ღირებული“ ნივთი რომ მიჰქონდა ყაენთან, ამასაც ვარაუდობდა იგი — გავახარებ და ხასინჯად შემიწყალებსო. საჩუქარი, რაღა თქმა უნდა, მოეწონა ყაენს და მაშინვე თავის დედას უთხრა: ამიერიდან ეს კაცი ნუღარავის დაემორჩილება (ესე იგი, მეფის მორჩილი ნუღარ იქნება!), ჩვე-

ნი იყოსო — „ჩვენ დავიცვათ და არავინ ვამყოფოთ ამაზედ მფლობელად“... ამას რომ გადმოგვცემს სტეფანოს ორბელიანი, იქვე განაგრძობს: „და დაარქვეს მას ენჩუ (ინჯუ), ესე იგი საუფლო ანუ სახასო“... ეს არის სწორედ ხასინჯუდ შეწყალება; ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამის შემდეგ მართლაც დამოუკიდებლად გრძნობდა თავს სუმბატ ორბელი, და, ბუნებრივია, კეთილდღეობასაც ეწია. ჩვენს ნაცნობთაგან ასევე ხასინჯუდ იყო შეწყალებული სადუნ მანკაბერდელი, და მისი კეთილდღეობაც ამას მიეწერება...

რაკი ყაენს ხასინჯუდ შეწყალებული მთავარი ასეთ პატივში ჰყავდა, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამით მის ხაზინას შემოსავალი მოჰკლებოდეს. არა, რაღა თქმა უნდა. არც ხაზინა ზარალდებოდა და არც დივნის მოხელეები. რასაც ხასინჯუდ შეწყალებულ კუთხეში ვერ იღებდნენ, ათმაგად ინაზღაურებდნენ მეზობელი კუთხეებიდან; იმათი უწყალო და წრესგადასული ექსპლოატაციით ავსებდნენ ხაზინასაც და საკუთარ ჯიბეებსაც. ქვეყნის ერთი კუთხის შედარებითი კეთილდღეობა სხვა კუთხეების სრულ გაჩანაგებას მოასწავებდა, და, ბუნებრივია, ქვეყნის ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისთვის დიდ დაბრკოლებას ქმნიდა.

რატომ იყო ყაენი დაინტერესებული ზოგი მთავრის ასეთი კეთილდღეობით, ეს ძალიან ადვილი ასახსნელია: ამით ერთგულ ხალხს იჩენდა, ისეთებს, რომელთაც უნდა დაყრდნობოდა... და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამითვე ცალკეულ სამთავროთა შორის შურსა და ურთიერთ შუღლს, ურთიერთ უნდობლობას თესავდა... მეფეს თავისივე ქვეშევრდომებს გადაჰკიდებდა ხოლმე და ასეთი შინადაძაბულობის დროს თავად მოგებული რჩებოდა.

ახლა ისევ მეფეზე გულნატკენ და ქვეგამხედვარე სარგის ჯაყელს დავუბრუნდეთ. ყაენმა რომ მადლიერების ნიშნად კარნუ ქალაქი შესთავაზა სამცხის სპასალარს, უნდა ვიფიქროთ, ეს პირველი ნაბიჯი იყო მისი ხასინჯუდ შეწყალებისა. ძნელი სათქმელია, ფიქრობდა თუ არა მანამდე სამცხის სპასალარი ამ დიდ პატივზე... ფიქრი თავისით მოეძალება ხოლმე ადამიანს. იქნებ ეწვია კიდეც ასეთი მაცთური ფიქრი, მაგრამ თრგუნავდა ამ ბოროტ ფიქრს კარგი ვაჟკაცი და მამულიშვილი, იგი განათლებული კაცი იყო და იცოდა, რომ ეს ქვეყნისთვის საზიანო იქნებოდა, ღალატს უდრიდა... მაგრამ

ახლა ერთბაშად შეიცვალა მდგომარეობა; მეფის საშინელმა უმადურობამ გული მოუკლა ვაჟკაცს და გადაწყვიტა, არ ეპატიებინა ეს, დაესაჯა ამ საშინელი ბოროტებისთვის... ეტყობა, ახლა გადაწყვიტა შეურაცხყოფილმა სარგის ჯაყელმა ყაენისთვის ხასინჯად შეწყალება ეთხოვა. ამას პირდაპირ არ გადმოგვცემს მემატიანე, მაგრამ მოვლენათა შემდგომი განვითარებიდან ჩანს, რომ ასე იყო. ასე ძალად გადაიკიდა მეფემ უერთგულესი ქვეშევრდომი, წინდაუხედაობითა და უმადურობით ასე დააყენა ღალატის გზაზე შესანიშნავი მამულიშვილი...

ყაენისთვის ამაზე სასურველი რა უნდა ყოფილიყო — სამცხის სპასალარის შეტკბობითა და ხასინჯად შეწყალებით იგი მოკავშირედ იხდიდა აქტიურ მტერს, ქვეყნის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის მთავარს, რომლის მამაცი ხალხი ვერა და ვერ შეეგუა დამპყრობლის უღელს, განუწყვეტლივ ბორგავდა, ხან სად დაანთებდა და ხან სად აჯანყების ცეცხლს!..

მაგრამ ჯერ ეს გადაწყვეტილი არ იყო, ჯერ ალბათ ყოყმანობდა სამცხის სპასალარი... და იქნებ მორეოდა კიდეც თავს — აეი ცთუნება დაეთრგუნა, რომ ისევ არ გამოეჩინა მეფეს სულმოკლეობა და მალემრწმენობა... უკეთურმა ადამიანებმა („უკეთურთა კაცთაო", სწორედ ასე წერს ჟამთააღმწერელი) მეფესთან დაასმინეს სამცხის სპასალარი: შენგან განდგაო... მეფის ხასიათს ჩვენ ხომ უკვე ვიცნობთ — ხელად ირწმუნა ყველაფერი, ამჟამადაც დაივიწყა ქვეშევრდომის ერთგულება, „დაივიწყა მისი ნამსახურება" და სიკეთე და გადაწყვიტა დაესაჯა — ამაზე ხომ მეფე მარდი იყო!.. მალევე მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა: ის იყო, შემოდგომა იწყებოდა, 1266 წლის შემოდგომა. ამ დროს ხომ, ჩვეულებრივ, სიბაზე დგომა უწევდათ ქართველებს. ულუ დავითმა შეკრიბა ჯარი — „მოუწოდა სპათა თვისთა და სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელსა"...

გრძნობდა თუ არა სარგის ჯაყელი მეფის აე ზრახვებს, ძნელი სათქმელია; ეტყობა, იდუმალი შიში მაინც ჰქონდა, და გაფრთხილებული ჰყავდა თანმხლები აზნაურები — თუკი მეფე მის შეპყრობასა და დასჯას მოინდომებდა, სასწაფოდ ეცნობებინათ ყაენისთვის. მართლაც ასე მოხდა: მეფემ ვერაგულად სასახლეში მიიწვია სამცხის სპასალარი — „მოუწოდა პალატად და შეიპყრა და ტყუე ყო"... სამცხელი აზნაურები მაშინვე ყაენთან გაქანდნენ — ჯერ აბათა ნოინს მოახსენეს და მერე ყაენს... და მეფემ სამცხის სპასალარის დასჯა ვერ მოასწრო: ყაენის ელჩი მოვიდა ბრძანებით, რათა მეფეს სარ-

გის ჯაყელი გაეთავისუფლებინა — მას თვით ყაენი იბარებდა. რაღა უნდა ექნა მეფეს, წინააღმდეგობას ხომ ვერ გაუწევდა ყაენს — დასჯაც იმიტომ ვერ მოასწრო თავისი ტყვისა, რომ ყაენის შიში ჰქონდა; ყოყმანობდა, ვერ გაებედა.

რაც შემდეგ მოხდა, ძალიან მოკლედ გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი; მოკლედ და დღეანდელი მკიხველისთვის იქნებ ბუნდოვნადაც: „მიერითგან იქმნეს ჯაყელნი მორჩილნი ულოსისანი, ვიდრე ჟამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსა დიდისა გიორგისათა“...

მორჩილი იქმნესო!.. მორჩილი აკი ისედაც იყო, თუ აქ დამპყრობლისადმი ჩვეულ მორჩილებას ვიგულისხმებთ... მაგრამ გასაგები გახდება ყველაფერი, როცა ყაენის მიერ ხ ა ს ი ნ ჯ უ დ შ ე წ ყ ა ლ ე ბ ა ს გავიხსენებთ — მ ო რ ჩ ი ლ ი უ ლ ო ს ი ს ა ნ ი სწორედ ამას ნიშნავს, ხასინჯუდ შეწყალებას ნიშნავს, ასე უწოდებდნენ ქართველები. საგულისხმოა, რომ როცა სარგის ჯაყელის შეპყრობისა და მერე ყაენთან მისი გაწვევის ამბავს გადმოგვცემს, ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „...მაშინ ყაენმან მოუმცნო მეფესა განტევება სარგისისა, და განუტევა და იქმნა მიერითგან გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ე ბ ა მ ე ს ხ თ ა, ვიდრე მეფის გიორგი ბრწყინვალისადმდე“... უფრო მოგვიანო დროის მწერალმა თანამედროვე მკითხველისთვის გასაგებად დაწერა ის, რაც მაშინ ნამდვილად მოხდა.

სამცხის სპასალარს ახლა უკვე სხვა გზა აღარა ჰქონდა, მას მხოლოდ ამით შეეძლო სიცოცხლის შენარჩუნება, და ყაენს ხასინჯუდ შეწყალება სთხოვა. ყაენმაც სიხარულით შეიწყალა.

ზემოთ ითქვა, მეფემ აიძულა სამცხის სპასალარი, ღალატის გზას დასდგომოდაო; მას შემდეგ, რაც ხასინჯუდ შეწყალების არსს გაეცანით, ეს სიტყვები, ვფიქრობ, უსამართლოდ მკაცრი აღარ მოეჩვენება მკითხველს; ეს ხომ, ფაქტიურად, ქვეყნის გათიშვას მოასწავებდა; მთლიანობა ირღვეოდა; ხასინჯუდ შეწყალებული კუთხე ქვეყნის საერთო ცხოვრებას ეთიშებოდა, მის ჭირსა და ლხინს ვეღარ იზიარებდა, ეროვნული ცხოვრების ჭაპანს აღარ სწევდა, საერთო რიტმიდან ამოვარდებოდა... და დიდხანს თუ გაგრძელდებოდა ამგვარად, ეს ეროვნულ თვითშეგნებაზედაც იმოქმედებდა. სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ) ადამიანი თანდათანობით ეგუება ხოლმე ყოველგვარ ცვლილებას, და საშიში იყო, ქვეყნის კუთხური დაყოფა-დაქუცმაცებაც ადამიანთა შეგნებაში, ქვეცნობიერად, მოსათმენ მოელენად არ ჩამოყალიბებულიყო... ჯერ იყო და ორად გაიყო ქვეყანა..

ახლა კი ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი, ეკონომიკურად ღონიერი და კულტურულად დაწინაურებული კუთხე გამოეთიშა... ვახუშტი ბატონიშვილი აკი სწორედ ასე ახასიათებს ამ მოვლენას — „იქმნა განდგომილება მესხთაო“ — ესე იგი, მთელი მესხეთი განუდგა მეფეს, ანუ ეს მშვენიერი კუთხე ქვეყნისა მთლიან საქართველოს ჩამოშორდა... საგულისხმოა დიმიტრი ბაქრაძის სიტყვები; იგი ჯერ იმ საკალალო მდგომარეობაზე წერს, რასაც ქვეყნის ორად გათიშვა იწვევდა, და განაგრძობს: საქართველოს ორად გაყოფით „მთავართაც ისარგებლეს, პირველად გადგა ჯაყელის სახლი, მათ მიჰბაძეს სხვათაც და მონღოლთა სასიამოვნოდ და ჩვენდა საუბედუროდ ჩვენვე შევასუსტეთ და დაკამხეთ ის ჩვენი ძალა, რომელიც დავით კუროპალატის დროდამ დიდის შრომით გვქონდა მოპოვებული“.

როგორ წარიმართა ამის შემდეგ სამხრეთ საქართველოს ცხოვრება და როგორი იყო ურთიერთობა მეფესა და ჯაყელების სახლს შორის, ამას ქვემოთ ვნახავთ. ახლა კი ცოტათი უკან დავიხიოთ. სარგის ჯაყელის „განდგომა“, ანუ ყაენის მიერ მისი „ხასინჯად“ შეწყალება, როგორც ვნახეთ, 1266 წლის შემოდგომაზე მოხდა, ამაზე ერთი წლით ადრე კი ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი საშინელი უბედურება დაატყდა.

●

ჰულაგუ ყაენი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო, ტახტზე მისი შვილი — „ძე უხუცესი“ — აბაღა იჯდა (სწორედ ამ აბაღამ შეიწყალა ხასინჯად სარგის ჯაყელი). ქართველი მეფისა და ქართველი მეომრების სიბაზე დგომა აბაღა ყაენის შემდეგაც გრძელდებოდა: დღე დღეზე მოელოდნენ ჩრდილოეთის ურდოს ხელახალ შემოტევას; ჯერ ისევ ჰულაგუ ყაენის მიერ საგანგებოდ გაგზავნილ მზვერავებს მოჰქონდათ ცნობები, რომ ბერქა კვლავ სალაშქროდ ემზადებოდა, ამჯერად კიდევ უფრო დიდი ძალებით; მართალია, პირველ ომში მან გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ, ეტყობა, ძვირი დაუჯდა ის გამარჯვება და ახლა უფრო ფრთხილობდა; იმიტომაც შეწყვიტა ბრძოლა — წინ აღარ წაუწევია, ქვეყნის სიღრმეში შეჭრილს მეტი ძალები დასჭირდებოდა და ახლა ჯარს ამრავლებდა. სწორედ იმ ხანებში ყუბილა ყაენიც გარდაიცვალა და ალბათ ამანაც დააყოვნა ილხანებზე მეორედ გალაშქრება...

ჰულაგუ ყაენი რომ მოკვდა, ბერქა დაფაცურდა — იფიქრა, ამ არეულობის დროს უფრო ადვილად მიეაღწევ წარმატებასო, და ამის შემდეგ მართლაც არ გაუელია დიდ ხანს, რომ იგი კვლავ დაიძრა, ამჟამად უკვე „აურაცხელითა ლაშქრითა“ (ჰულაგუს მზვერავების ცნობა, ბერქა ჯარს ამრავლებსო, მართალი გამოდგა) — 300.000 მეომარი ჰყავდა ბერქას.

როცა ჩრდილოელი ყაენის მეორედ გამოლაშქრების ამბავი გაიგო, „აბაღა ყაენმან მოუწოდა სპათა თვისთა, და მეფესა დავითს“...

პირველივე შეტაკებისას დარწმუნდა აბაღა, რომ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან ლაშქარს ვერ გაუმკლავდებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ შეტაკების დროს ჩრდილოეთის ურდოს ერთ-ერთი მთავარი სარდალი და დიდად გავლენიანი მოღვაწე ნოღაი მძიმედ დააშავეს — თვალი დაუზიანეს — მაინც მაშინვე უკან დაიხია (ჯერ მხოლოდ მეწინავე რაზმი ჰყავდა მდინარის გაღმა გაგზავნილი); ხიდი დაანგრია. ახლა უკვე ბუნებრივი ზღუდე — მდინარე — ჰყოფდა ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებულ ორ ლაშქარს... ორი კვირა იტრიალა ბერქამ და რაკიღა მდინარის გადმოლახვა სახიფათოდ მიიჩნია (მტკვარი მაშინ დიდი იყო, და სანამ ამოდენა ლაშქრის გადმოყვანას მოახერხებდა, დამხდური ჯარი გამოღმიდან დიდ ზარალს მიაყენებდა), გადაწყვიტა მტკვრის ნაპირს აღმა შეჰყოლოდა და სადაც ხიდს ნახავდა, გამოღმა გადმოსულიყო... მაგრამ აბაღას უკვე მოესწრო და ხიდები ყველგან აეყარა. მაშინ ჩრდილოეთის ურდოს ყაენმა გადაწყვიტა, თბილისამდე ეელო ასე და თბილისში გადაელახა მდინარე, ზურგიდან მოქცეოდა აბაღას ლაშქარს...

ნეტა იქვე მოეხერხებინა მტკვრის გადალახვა!.. მაშინ იქნებ სრულ განადგურებას გადარჩენოდა ის მშვენიერი სოფლები და ქალაქები — მტკვრისა და რახსის შესართავიდან მოკიდებული თბილისამდე. „ბერქამან მოაოხრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი, და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყვიდეს“, წერს ჟამთააღმწერელი. აბა, რუკას დახედეთ და წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა მტკვარგაღმა, ალაზნისა და ივრის აუზებში გაფენილი ბაღები და ზვრები, ხალხმრავალი სოფლები და ქალაქები, როცა მათ მტრის 300 000 მეომარი გადაუელიდა!.. ხომ გახსოვთ, როგორი არხებით იყო დასერილი აქაურობა, რა წალკოტად იყო ქცეული ყველაფერი, ყოველი მტკაველი მიწა — როგორი ნალოლიავები და ნაფერები... რა ტაძრები, რა სკოლები, როგორი მოვლილი გზები — თქვენ ეს

გზებიც გახსოვთ! — გზებზე განუწყვეტელი მიმოსელა ხალხისა, ქარავნებისა... ლამაზად ნაგები აივნიანი ფუნდუკები, აფუსფუსებული ქალაქები, სავაჭრო ცენტრები — როგორც კაცობრიობის იმდროინდელი განვითარების მიხედვით უმაღლესი კულტურის ხალხს შეეფერება... ზერებსა და ბაღებში ზამთარ-ზაფხულ მოფუსფუსე ხალხი; სიმღერით, სიცილით, მხიარული ჟრიამულით სავსე პაერი...

·იმოდენა ლაშქარს რა გადაურჩებოდა?!.

ის 300 000 ათასი მეომარი თითქოს ამ კუთხეების დასარბევად არ წამოსულა... მაგრამ რა განსხვავება იყო!.. კაცის საკლავად გამზადებული ველური ბრბოსთვის რა მნიშნველობა ჰქონდა, ვის მოკლავდა და რას გაანადგურებდა! მაშინდელ აოხრებულსა და განადგურებულს მერე აღარც ღირსებია გახარება. ჟამთააღმწერლის სიტყვებს ამ კუთხეების მოოხრების შესახებ ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს: „მოვიდა ბერქა, მოაოხრა მოვაკანი და ჰერეთი ტფილისამდეო“...

აქ ასე ზოგადად გადმოგვცემს ქვეყნის აოხრების ამბავს, მაგრამ ჩავიხედოთ მისი თხზულების გეოგრაფიულ ნაწილში, რა გულისშემძვრელ ფრაზებს წავაწყდებით...

აგერ, თუნდაც, როცა უძველეს ქალაქ რუსთავზე წერს:

„...კვალად იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან–ქალაქი, რომელ არს რუსთავი... (შემდეგ მოთხრობილია, საუკუნეების განმავლობაში როგორ უშენებიათ ეს დიდებული ქალაქი: ჯერ „აღაშენა ცოლმან ქართლოისამან“, მერე „მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია კეთილი“... „გორგასალ დასვა აქ ეპისკოპოზი“... — რამდენ თაობას უშენებია, რამდენი საუკუნის განმავლობაში!)... არამედ გამოსვლასა ბერქა ყვენისასა მოოხრდა და აწცა არს ოხერ“... ეს სიტყვები მეთვრამეტე საუკუნეში იწერებოდა, იმ მოვლენიდან ექვსი საუკუნის შემდეგ — ისე განადგურდა მაშინ, რომ მერე ველარ წამოდგა, წელში ველარ გაიმართა...

ან კიდევ:

...აქ „არს ჰერეთი, რომელი აღაშენა ჰეროს... და იყო ქალაქ და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე, შემდგომად მოოხრდა და აწცა ოხერ არს“...

კიდევ ერთი ასეთი ფრაზა:

„...იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოხრდა გამოსელასა ბერქასა“...

კიდევ ერთი ფრაზა:

„...ყოფილ არსცა ძველად შეობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოხერ არს“...

და ისევე:

..მუნ არს ხორნაბუჯი... აქ კლდესა ზედა შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოხრდა“...

აქ, ამ ადგილებში, ყველგან მშვიდობიანი მოსახლეობა ხვდებოდა ბერქას ლაშქარს, აქ ბრძოლას ვერავინ გაუმართავდა მათ... და მაინც განადგურდა ყველაფერი. ამ ერთი გაელით, ასე ერთბაშად მოისპო საუკუნეობით ნაღვაწი და ნაშენი.

უკვე მერამდენედ ვცადეთ, არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით გაგვეცოცხლებინა საუკუნეების წინათ დატრიალებული ტრაგედიის ფურცლები. აქაცა გვაქვს ამის საშუალება. ზემოთ ქალაქ რუსთავის განადგურების ვახუშტი ბატონიშვილისეულ ცნობას გავეცანით. მეთვრამეტე საუკუნეში, როცა ის სიტყვები იწერებოდა, მხოლოდ საუკუნეების წინანდელი ყოვლისმომსპობი ნგრევის კვალი ჩანდა მიწის ზემოთ; მაშინ არავინ იცოდა, რომ იქვე საშინელი ტრაგედიის ცოცხალ სურათს ფარავდა მიწის სქელი ფენა. ეს უფრო გვიან გამოჩნდა, ჩვენს დროში, როცა XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აქ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო. არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე მოგვითხრობს, როგორ გადახსნა მიწამ გული, რათა ეჩვენებინა, რვა საუკუნის წინათ როგორ ერთბაშად დაინთქა ცეცხლსა და სისხლში ბედნიერი და აყვავებული ხალხმრავალი ქალაქი... მიწამ თითქოს ცოცხლად შეინახა, რათა რვა საუკუნის შემდეგ შთამომავლებისთვის ეჩვენებინა დაუტირებელი მწუხარება შორეული წინაპრებისა, და არა მარტო საშინელი ცეცხლის წაუშლელი ნაკვალევი... აგერ, თითქოს ჭირისუფალს უცდიდა თავწაჭრილი ჩონჩხი ახალგაზრდა ქალისა... და იქვე პატარა წალდი (ნუთუ თავს იცავდა ამ წალდით ახალგაზრდა ქალი!..)... მამაკაცის ჩონჩხი — გაჩეხილი თავის ქალა... და კიდევ უფრო გულისმომწყველი სურათი: დასათესად გამზადებული ბოსტნეულის თესლები, რაც ჭურჭლის ნამტვრევებში ნახეს არქეოლოგებმა — შვიდი საუკუნის წინათ დასათესად გამზადებული თესლი გაუღივებელი დახვდათ; თითქოს საგანგებოდ შეუნახავს მიწას, რათა შორეულ შთამომავლებს უფრო ცოცხლად განეცადათ ტრაგედია. დიახ, ეს ტრაგედია გაზაფხულზე დატრიალდა, აღდგომის დღეებში (იქვე შეღებილი კვერცხის ნაჭუჭებიც ცოცხლად შეუნახავს მიწას)...

ასეთი კვალი დატოვა ბერქას ლაშქარმა.

თეით ბერქა ყაენი ამ დროს იდგა „მთათა შინა გარეჯისათა“... მას არც თბილისში შესვლა ეწერა და აღარც უკან მშვიდობიანად გაბრუნება... აქ, გარეჯის მთებშივე მოუსწრო საშინელმა სენმა და სიკვდილმა. აქედან „წარიღეს მკვდარი და განვლეს კარი დარუბანდისა“.

თბილისი და ქვეყნის დანარჩენი კუთხეები ამჯერად გადაურჩნენ აოხრებას; იმიტომაც წერს ჟამთააღმწერელი, როცა ბერქას სიკვდილის ამბავს გვაცნობებს, „ესრეთ დამშვიდნა ქუეყანა ესეო“...

რა მწარე ირონიად გაისმის ეს სიტყვები, როცა მომდევნო ამბებსაც გავეცნობით!

●

ბერქა ყაენი კი მოკვდა, მაგრამ ჩრდილოეთის ურდოს თავდასხმის საშიშროებას ამით არ გაუვლია; არც ახალ ყაენს — მენგუ თემურსა — და არც მის სარდლებს ილხანების მდიდარი ქვეყნებისა და იქაური სავაჭრო გზების ხელში ჩაგდების ჟინი არ განელებიათ. ეს, რაღა თქმა უნდა, კარგად იცოდა აბაღა ყაენმა და კვლავ გაფაციცებით ამაგრებდა ჩრდილოეთის საზღვრებს, კვლავ გრძელდებოდა ქართველი მეფის სიბაზე დგომა...

რამდენი წვალება გამოუვლია ქართველ მეფეს, რამდენი დამცირება და სატანჯველი, რამდენჯერ თვალებში შეუხედავს სიკვდილისთვის, მაგრამ ასეთი გაუხარელი და უაზრო დღეები, ადამიანური ღირსების ასეთი დამცირება მას არასოდეს განუცდია... ადამიანის გონება ვერ მოიგონებს უფრო მძიმე სასჯელს, ვიდრე სიბაზე დგომა იყო. ირგვლივ ჯიუტი ერთფეროვნებით მძვინვარებდა შიმშილი, სიცივე, სიბინძურე, სენი საშინელი... და ამათზე კიდევ უფრო ძნელად ასატანი სიძულვილი და ცინიზმი...

როგორც ითქვა, უკურნებელ სენს ვერც ულუ დავითი გადაურჩა...

ჯერ შვილს, უფლისწულ გიორგის შეეყარა მოარული მუცლის სალმობა და ერთბაშად ისე დარია ხელი, რომ გადარჩენის აღარავითარი იმედი არ იყო — „განგრძელდა სალმობა ესოდენ, რომელ კნინღა მკუდარ საგონებელ იყო, და იდვა უხმრად, უძრავად, სულთა აღმომფშვინველი“...

მოსიყვარულე მამა გამოდგა დავით ულუ; მემატიანე აგვიწერს, როგორ შესძრა შვილის ავადმყოფობამ. მკურნალობის საქმე მა-

შინ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა, დაეხვია ექიმები და სასიკვდილოდ გადადებულმა უფლისწულმა მოიხედა... ამასობაში მეფეს სიბაზე წასვლის დრო დაუდგა, და ახლა იმას შეეყარა იქ მუცლის სალმობა; იქ ვინა პყავდა პატრონი და მომველელი — ცოტა ხანში ისე მოაქცია, რომ სასიკვდილოდ გადადებული მეფე საკაცით წამოიყვანეს... და ისიც გადაარჩინეს დახელოვნებულმა მკურნალებმა. იმანაც მოიხედა. მაგრამ მუცლის სახადისგან ასე ადვილად რას მორჩებოდა, მძიმე სენი იყო, დიდი ხნის მკურნალობა სჭირდებოდა, განსაკუთრებული მოვლა, ხელისშეწყობა, გაფრთხილება... შემოდგომაზე კვლავ გაიწვიეს მეფე სიბაზე, და სანამ ის იქ იყო, აქ შვილს ისევ შეუბრუნა სენმა, ამჯერად ისე მაგრად ჩაავლო კლანჭები, რომ ვეღარაფერმა უშველა, უკიდურესად გაურთულდა, და იმსხვერპლა კიდეც — „სისხლისა მდინარებისაგან აღსრულდა". უკვე გაზაფხული დამდგარიყო და მეფეს დღე დღეზე ელოდნენ. სიონში დაასვენეს უფლისწული, მეფეს დაელოდნენ... მეფე რომ მოუახლოვდა თბილისს, ვერაკინ გაეგება და ეს ცუდად ენიშნა — „ზარგახდილი მიისწრაფოდა პალატად, სადა დაუხდეს სპანი და ვაზირნი დამალულნი და შავით მოსილნი".

თვრამეტი წლისა იყო უფლისწული გიორგი, როცა გარდაიცვალა. ეს მოხდა 1268 წლის გაზაფხულზე. და მეფეს „მიერითგან არღარა აქუნდის ლხინება და სენთაცა მრავალთა მოიცვეს და გუამითა უძლურებდა უმრავლესთა ჟამთა"... მაგრამ ყაენს მაინც ემსახურებოდა, სიბაზეც უნდა ევლო, რადგან „არა იყო სხუა ღონე".

●

ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს ამბავს, რომელიც კარგად მიგვანიშნებს, როგორ სულ უფრო და უფრო იძაბებოდა ურთიერთობა ჩინგიზ ყაენის მრავალრიცხოვან შთამომავალთა შორის. რამდენადაც ეს ამბავიც შეეხო ჩვენს ქვეყანასა და ხალხს, ანუ ივანე ჯავახიშვილის მარჯვე გამოთქმით, — რაკი მონღოლთა ცალკეული ურდოების „ურთიერთშორისი ბრძოლა საქართველოს ისტორიის მოთხრობასაც ჩაექსოვა", აქვე მოკლედ მოგითხრობთ მას.

ილხანების სახელმწიფოში მთელი თავისი ურდოთი — დედაწულით, ჯოგებით — ჩასახლებული იყო ჩრდილოეთელი უფლისწული თეგუდარი, ჩაღატას ერთ-ერთი შვილის შვილი. აბაღა ყაენს მისთვის მიუბოძებია ზაფხულის სადგურად „მთანი არარატისანი და

საზამთროდ რახსისა პირი და ნახჭევანი". საკმაოდ დიდი ყოფილა თეგუდარის ურდო — მარტო მოლაშქრე პირველად 20.000 პყოლია, მერე კი 40.000-მდე გაზრდილა, ფარები, ჯოგები და ცხენის რემები ხომ უთვალავი! აქ იგი ავაზაკობას ეწეოდა, ესხმოდა გზებზე ქარავნებს, მეზობელ კუთხეებს და საბოლოოდ ისე გამდიდრდა, რომ მისი ქონების გადატანას 300 აქლემი და 150 ურემი დასჭირდებოდაო, მემატიანეები წერენ.

მაგრამ ქონება როდი იკმარა თეგუდარმა — ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ უფლისწული ვარ, დიდი ჩინგიზის შთამომავალიო!... უსამართლობად მიიჩნია, რომ თავად არ იყო ყაენი და გადაწყვიტა ეს უსამართლობა გამოესწორებინა. თავიდანვე ამ განზრახვით შეეხიზნა ილხანებს, თუ როცა გამდიდრდა და გალაღდა, მერე მოუვიდა განდიდების სურვილი, ამის გადაჭრით თქმა ძნელია; ფაქტი ის არის, რომ მეტად უმადური სტუმარი გამოდგა, გადაწყვიტა ტახტიდან ჩამოეგდო თავისივე მასპინძელი და ნათესავი აბაღა. დამოუკიდებლად ვერ შეასრულებდა ამ განზრახვას და მოლაპარაკება გამართა თავისივე ძმასთან — ბარახასთან, რომელიც თურანში, შუა აზიაში ყაენობდა, მაგრამ, ეტყობა, მთლად მყარი მდგომარეობა არა პქონია; როგორც ახლაევ ვნახავთ, ისიც ბედის მომდურავი ყოფილა. — „რად მივსცემთ ყაენობასა და ქუეყანასა დიდსა აბაღას! აწ წარმოემართე მანდით შენ და აქათ მე, და ორთავე შევმუსროთ აბაღა, და ჩუენ დავიპყრათ ქუეყანა მისი", ასეთი წერილი მიუწერია თეგუდარს ძმისთვის. დამახასიათებელია ერთი დეტალი: ზემოთაც ითქვა, მონღოლებს გზებზე და სადგურებში მცველები პყავდათ და დიდი გაფაციცებით, საგულდაგულოდ ამოწმებდნენ ყველას — „განიკითხიან მგზავრი და მოციქული", — ამიტომ წერილის აშკარად გაგზავნა საშიში იყო, და თეგუდარმა „მოიეერაგა ესრეთ", რომ ხის ისარი ამოჩიჩქნა და შიგ ჩადვა ბარათი. ბარახამ პასუხად თანხმობის ბარათი გამოგზავნა და დროც დაუნიშნა, როდის და სად უნდა შეკრებილიყვნენ მათი ლაშქრები ფარულად და მოულოდნელად — რათა აბაღას დასხმოდნენ თავს. მაგრამ ბარათის დამწერი თავისი საქმის კარგი მცოდნე ვერა ყოფილა, შეეშალა და შეხვედრის თარიღი სხვა დაწერა: თეგუდარი რომ ამხედრდა აბაღას წინააღმდეგ, ბარახა ჯერ არსად ჩანდა... ვინ იცის, მოახერხებდნენ თუ არა ერთობლივი ძალით აბაღას დამარცხებას, მაგრამ ახლა მარტო თეგუდარის ლაშქარი, ფაქტია, ვერაფერს გახდებოდა. თანაც, იმ მცდარი ბარათის მიხედვით, ისე ახლოს იყო დანიშნული გალაშქრების დრო, რომ თეგუდარი

მთელი ჯარის შეკრებას ვერც მოასწრებდა... და ჯერ სანახევროდაც არა ჰყოლია შეკრებილი, რომ შეთქმულების ამბავი, ეტყობა, გამჟღავნდა და აბაღას ყურამდე მივიდა... თეგუდარი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო, სასწრაფოდ აიყარა „ბარგითა და დედაწულით“ და დაიძრა; 10 500 მებრძოლის შეყრაღა მოასწრო. სად უნდა გაქცეულიყო? ჩრდილოეთის ურდოში ისე ვერ გადავიდოდა, აბაღას ჯარს არ შეჰყროდა... დასავლეთი საქართველო იყო მონღოლებისგან თავისუფალი (ეს თეგუდარსაც კარგად სცოდნია) და იქითკენ აიღო გეზი, რათა იქიდან მერე ჩრდილოეთში გადასულიყო, იქაც ეგულებოდა კავკასიონის დიდ ქედზე გადასასელელი.

მაგრამ გაატარებდა კი დასავლეთ საქართველოს მეფე თეგუდარის ურდოს, გზას მისცემდა? დასავლეთ საქართველოში შეჭრა მონღოლთა მთავარმა ძალამ ვერ მოახერხა, და თუკი იქაური მეფე თავისი ნებით არ მისცემდა გზას, ძალით მოახერხებდა თეგუდარი დასავლეთი საქართველოს გაელას და ძნელად გადასალახავი უღელტეხილებით ჩრდილოეთში გადასელას?

ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ თეგუდარს აქამდეც ექნებოდა კავშირი და მოლაპარაკება დავით ნარინთან. ყველაზე დიდ საშიშროებას დასავლეთი საქართველო ილხანებისგან მოელოდა; ბოლოს და ბოლოს, აკი ილხანებს აუჯანყდა და გაექცა დავით ნარინი, — და ბუნებრივია მეფე კავშირის შეკვრას ცდილიყო ილხანების მტრებთან. ჯერ კი ვერ მოიცალეს ილხანებმა დავით ნარინის დასასჯელად — ხან ეგვიპტის სულთანთან ჰქონდათ გააფთრებული ბრძოლები და ხან ოქროს ურდოელებთან — მაგრამ იმერეთში გადასული მეფე არ შეიძლებოდა მთლად დამშვიდებული ყოფილიყო და ილხანების შიში არა ჰქონოდა. მართლაც, საბუთებით მტკიცდება, რომ დავით ნარინს უცდია — და, როგორც ჩანს, მიუღწევია კიდეც — კავშირის გაბმა ეგვიპტის სულთანთან. დესპანი გაუგზავნია სულთან ბეიბარსთან და ძვირფასი საჩუქრები გაუტანებია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასეთივე მისვლა-მოსვლა დესპანებისა და საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა ჰქონდათ ეგვიპტის სულთანსა და ოქროს ურდოს ყაენს ბერქას. ის დესპანები იქნებ სწორედ ქუთაისზე გავლით დადიოდნენ. ეს უფრო მარჯვე გზა იყო. მაშინ დავით ნარინიც უფრო მტკიცედ ჩაბმული იქნებოდა ანტიილხანურ კავშირში...

დავით ნარინს რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გაუგზავნია დესპანი და წერილები ეგვიპტის სულთანთან. ეს 1268 წლის თებერვალ-მარტში მომხდარა.

ამის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დავით ნარინი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ილხანების სახელმწიფოში მომხდარ ამბებს, და თეგუდართან მისი კავშირიც დაუჯერებელი არ არის.

ასე იყო თუ ისე, თეგუდარი სამხრეთ-დასავლეთიდან მოადგა საქართველოს. „...მომართა მთათა ღადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შორის შავშეთსა და აჭარასა, და დადგა შავშეთისასა ფიჭუთას“... და აქედან სარგის ჯაყელს შეუთვალა, გზა მომეცი, რომ დასავლეთ საქართველოში დავით ნარინთან გადავიდეო...

თეგუდარი, გზადაგზა, თავის ჩვეულებას არ ღალატობდა, რაც კი რამ შეხვდებოდა, ყველაფერს ძარცვავდა... როცა გაიგო მახლობლად ოპიზის მდიდარი მონასტერი იყო, მისი დარბევა გადაწყვიტა („ესმა რა სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატიოსნითა ხატითა, და კანდელთა მიერ აღსავსეობა, ინება წარმოღება მისი“); გაგზავნა ათასი მხედარი, „რათა მოაოხრონ“... ბედად, ნისლმა და ავდარმა მოუსწრო ყაჩაღების რაზმს, ჯერ გზა აებნათ, მერე კი ამოიჭრა ქარი, წამოუშინა წვიმა, წამოვიდა სეტყვა, „და აღდგეს ღელვანი ვითარცა შუა ზღვასა, და წარმოეცა წყალი მძაფრი და იქმნა მდინარე დიდი“.... ჟამთააღმწერელი ამას ხატის სასწაულს უკავშირებს... მთაში ხშირად იცის ასე — ერთბაშად გაავდარდება და მოვარდება ხოლმე ნიაღვარი... ყაჩაღების მთელი რაზმი წაიღო ნიაღვარმა, იმ ათასი კაციდან მხოლოდ ერთი გადარჩა ამბის მიმტანიო, ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს...

სარგის ჯაყელმა პასუხი დაუგვიანა თეგუდარს და ამასობაში აბაღას მდევარმა ლაშქარმაც მოუსწრო, რომელსაც შირმან ნოინი მოუძღოდა, ჩორმაღანის შვილი; ამათ არტანის მთებში დაიბანაკეს. ბრძოლა გაიმართა „თავსა ყუელისასა“ და ორ დღეს გაგრძელდა; საბოლოოდ თეგუდარი დამარცხდა. მისი ჯარი დაიფანტა — ყველა გარბოდა „რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისხევით“, ისეთი ადგილები გაიარეს, სადაც არა თუ ადამიანს, ნადირსაც კი ფეხი არ დაედგა... ათასი კაცი აქაც ზავამა დაიტანა აჭარის მთებში...

ბოლოს თეგუდარი თავისი გადარჩენილი ხალხით (გადარჩენილა კი საკმაოდ ბევრი) დავით ნარინს მიადგა ქუთაისში. და ახლა ნახეთ ქართველი მეფის მასპინძლობა! ამ ველურ ხალხს „სერი დიდი განუმზადა“ — მარტო თეგუდარსა და მის ამალას ხუთასი ძროხა მოხარშული მოართვეს, ღორისა და ცხვრის გარდა. მონღოლების დანარჩენ ლაშქარს კი — 600 ცხენი, 1500 ძროხა, 1000 ცხვარი, 2000 ღორი... ღვინოს უანგარიშოდ ასმევდნენ — ურმებით მოჰქონ-

დათ ჭურები... თვით მეფე თეგუდარს ემსახურებოდა, დედოფალი კი — თეგუდარის ცოლს; „გაუშინაურდეს ურთიერთასო“, მემატიანე გადმოგვცემს. ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ გამოიდო თავი ასე ქართველმა მეფემ.

კარგად რომ დაისვენა თეგუდარმა, ჩრდილოეთით გამგზავრება დაეზარა, გადაიფიქრა, თუკი მართლა აპირებდა გამგზავრებას — იმ მთებში რაღას ებღოტიალა (მით უმეტეს, სწორედ ახლახან მიაყენა მთებმა დიდი ზარალი), როცა აგერ, დიდებული მასპინძლობაც გაუწიეს და მოეწონა კიდეც აქაურობა!.. ლაშქრიდან სამი სარდალი გამოჰყო და თავიანთი ჯარითა და დედაწულით წარავლინა: შეესიენ ესენი მესხეთს და იწყეს მოსახლეობის უწყალო ძარცვა-გლეჯა... მერე თვით თეგუდარი გადმოვიდა ქართლს — თითქოს აქ მდგარ მონღოლთა რაზმებს ესხმოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ინდობდა ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას; სომეხი მემატიანის ცნობით, შეიჭრებოდნენ ხოლმე მონასტრებში, გაძარცვავდნენ, მოაოხრებდნენ; თუ იქ საჭირო საჭმელ-სასმელს ვერ იპოვნიდნენ, ბერებს აწამებდნენ — თავდაყირა დაკიდებდნენ, ცხვირს ჭვარტლითა და მარილით გამოუტენიდნენ, პირში ძაღლის კუდს ჩასჩრიდნენ.... იტაცებდნენ ჯოგებს, გზაზე კაცს არ გაუშვებდნენ, არ გაეძარცვათ... ქართლიდან და მესხეთიდან თანდათანობით სომხურ თემებსაც შეესიენ... გააბეზრეს აბაღას რაზმებიცა და ადგილობრივი მოსახლეობაც.

ბოლოს აბაღა ყაენმა 100 000 მონღოლი მხედარი ჩააბარა შირამუნ ნოინს, რათა შეეპყროთ თეგუდარი და მისი თარეშისთვის ბოლო მოეღოთ. თრიალეთში რომ მივიდა ეს დიდი ლაშქარი, ულუ დავითსაც უბრძანეს, შენი ჯარით შემოგვიერთდიო; მაგრამ დავით ულუ ამ დროს ხომ ავადმყოფობდა, თავად ვერ წავიდა, ჯარი და სარდლები გაგზავნა. ასე რომ, თეგუდარს ამჯერად მონღოლთა და ქართველთა შეერთებული ლაშქარი დაუპირისპირდა.

აბაღამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ თეგუდარს დავით ნარინი უჭერდა მხარს, და თუ მომავალშიაც მისცემდა ქართველი მეფე მონღოლ უფლისწულს თავშესაფარს, მისი შეპყრობა ძალიან გაძნელდებოდა; ამიტომ ყაენმა წინასწარ შეუთვალა დავით ნარინს — ნულარ შეეწევი თეგუდარს, თავშესაფარსაც ნუ მისცემ და, სამაგიეროდ, დიდ საჩუქრებს მოგართმევო.

საჩუქრებით ალბათ ვერ მოისყიდიდა დავით ნარინს ყაენი; მაგრამ აქ სხვა მომენტიც იყო, რამაც ქართველი მეფე დააფიქრა: ჯერ

ერთი, რომ ქართველი მეფე არ შეიძლებოდა თვითონვე არ ყოფილიყო შეწუხებული თეგუდარის თავაშვებული თარეშით, მის მიერ ქართლისა და მესხეთის აწიოკებით, და, მეორეც, რაც მთავარია, ეჭვი ჰქონდა აღებული, რომ მონღოლი უფლისწული მასაც ღალატობდა, მის მიმართ შეთქმულებას ამზადებდა — მეფისავე უკმაყოფილო დიდებულებთან გააბა კავშირი. ამიტომ იყო, რომ მეფე დავით რუსუდანის ძემ ამჯერად უკვე გზა შეუკრა თეგუდარს და დასავლეთ საქართველოში აღარ შეუშვა.

გადამწყვეტი ბრძოლა ქართლში გაიმართა — „იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი“... ისე დაღამდა, რომ ბრძოლის ბედი სათუო იყო. როგორც კი გათენდა, ბრძოლაც განახლდა. ჟამთააღმწერელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართული ლაშქარი ამჯერადაც „წინამბრძოლობდა“... საბოლოოდ დაამარცხეს აჯანყებული მონღოლი უფლისწული, მისი ლაშქარი გაფანტეს, თვით თეგუდარი და მისი შვილი კი შეიპყრეს და აბაღა ყაენს მიჰგვარეს. ეს მოხდა 1269 წლის იანვარში. სხვათა შორის, ავაღას სიკვდილით არ დაუსჯია ამბოხებულები — ერაყში გაუგზავნია, ოღონდ ახალი აჯანყების საშუალება მოუსპია მათთვის; უფრო მშვიდი თავშესაქცევი საქმე გაუჩენია: მიუცია თორმეტი ყმა, ბლომად ქორ-შევარდენი და ავაზები — რათა ენადირათ და უკულმართ რამეზე არ ეფიქრათ, და, რაღა თქმა უნდა, საჭმელ-სასმელიც უხვად მისცა: „განუჩინა საზრდელი, რომელ არა მოაკლდეს“... სიფრთხილეს თავი არ სტკივეო, ყოველი შემთხვევისათვის მცველებიც მიუჩინა. ასე დასრულდა იმ ბობოქარი ყაჩაღის ცხოვრება.

●

დავით ნარინმა ის თხოვნა კი შეუსრულა აბაღა ყაენს — თეგუდარს გზა ჩაუკეტა და, ფაქტიურად, შეაპყრობინა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, საბოლოოდ მინდობოდეს ილხანს და მასთან სამოკავშირეო ურთიერთობა გაეგრძელებინოს. არა, მან იცოდა: ილხანებთან ისე შერიგება, რომ თან თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, არ მოხერხდებოდა. არც უმოქმედოდ განზე გადგომა იქნებოდა მიზანშეწონილი; და დავით რუსუდანის ძემ ილხანების სახელმწიფოდან დევნილი კიდევ ერთი მონღოლი შეიფარა; მისი სახელი გახლავთ ღალღური. ვინ იყო ეს კაცი, რა თანამდებობა ეპყრა ილხანების სახელმწიფოში ან რა ძალა ჰქონდა, ამაზე

არაფერს ამბობს მემატიანე. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ გაელენიანი პირი იქნებოდა, რაკილა ქართველმა მეფემ ღირსად ჩათვალა, შეეერდომებინა და დაეახლოვებინა. მაგრამ თეგუდარისა არ იყოს, ვერც ამას შეუღირსებია ქართველი მეფის სტუმართმოყვარეობა, მალევე დასდგომია ღალატის გზას, ადვილად გადაუბირებია მეფის მტერს რაჭის ერისთავ კახაბერს. საგულისხმოა, რომ ეს კახაბერი შთამომავალი იყო ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბაღვაშების გვარისა. ალბათ გახსოვთ, ამისმა წინაპრებმა რამდენი უსიამოვნება მიაყენეს ქართველ მეფეებს; და ახლა ესეც წინაპართა უკულმართ გზას დასდგომია: „იყო თესლით ბოროტი, ვითარ გვაუწყებს წიგნი მეფეთა ბაღუშისთა და ნათესავთა მისთაო“, წერს ჟამთააღმწერელი. შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს კახაბერი მეთაურობდა წარჩინებულთა იმ ჯგუფს, რომელთაც გადაწყვიტეს, ულუ დავითის იმერეთში გადასვლის შემდეგ, ქართველ მეფეთა შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ (კახაბერი ულუ დავითის მომხრეთა ჯგუფში იყო და არც არის გასაკვირი, რომ რაჭის ერისთავი ულუ დავითს უჭერდა მხარს — მეფე ხომ სიძე იყო მისი, გვანცა აკი კახაბერის ქალი იყო!.. და სიძეს უჭერდა მხარს პატივმოყვარე ერისთავი. თუკი სიძე გაიმარჯვებდა, მერე, რაღა თქმა უნდა, თავადაც განდიდდებოდა და გალაღდებოდა. შეგახსენებთ, რომ გვანცა იმ დროს დასჯილი არ იყო; ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში ცოცხალი ეგონათ). მაშინ ვერ მოახერხეს, ვერ მოასწრეს, მეფეები ვერ დაუპირისპირეს ერთმანეთს, რადგან ულუ დავითი მალევე შეურიგდა ჰულაგუ ყაენს და აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა.

მას შემდეგ კახაბერი, ეტყობა, გულში ინახავდა დავით რუსუდანის ძის მტრობას, ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდა. და, აჰა, ეს შემთხვევაც მიეცა; „ღალღურ და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგენ მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა“... გადაწყვიტეს, გაპარულიყვნენ, აბაღა ყაენს ხლებოდნენ და მისი დახმარებით ემოქმედათ. ღალღური, ეტყობა, კარგად იცნობდა აბაღა ყაენის ერთ-ერთ სარდალს, ათასისთავს ალიყან ბადურს, — რომელიც ჯავახეთისა და კოლას მთებში იდგა, — და მისი შუამავლობით აბაღა ყაენთან მივიდნენ. რა უთხრეს ყაენს მოღალატე ქართველმა ერისთავმა და ღალღურმა, ამას არ გვეუბნება ჟამთააღმწერელი, ეს ისედაც იგულისხმება. ყაენმა მაშინვე მოუხმო შირამუნ ნოინს და უთხრა: დავით ნარინი არ ისვენებს, ჩვენგან განდგომილ ხალხს თავშესაფარს აძლევს და ჩვენს წინააღმდეგ გამოჰყავს... ჯერ

თეგუდარის გამო რამდენი საჩუქარი გაუგზავნე, მაგრამ მაინც ვერ შეეიტკბე — ახლა ღალღურიც გადაუბირებია: „აწ მნებავს, რათა შური ვაგოთ მათ ზედა“... კახაბერი იქვე ყოფილა ამ საუბრის დროს. როგორც კი შურისგება ახსენა ყაენმა, იგი წინ წარდგა და მოახსენა: შურისგება თუკი გნებავთ, მეც მაგისთვის მოსულვარ. გამატანეთ ლაშქარი — გზა ვიცი და კვალი. დარწმუნებული ვარ, მეფეს ხელთ ვიგდებ... აგერ, ღალღურმაც კი იცის მისი ასავალ-დასავალიო (მონღოლიც გარია საქმეში, რათა მეტი დამაჯერებლობა მიეცა თავისი სიტყვებისთვის).

გამოყვეს მაშინვე 30 000 მონღოლი მეომარი და შირამუნ ნოინის წინამძღოლობით დაიძრნენ. რაკი მოღალატე ქართველი ერისთავი თან ახლდა ამ ჯარს, ადვილად მოახერხეს, რომ ლაშქრობის მიზანი შეენიღბათ და დავით რუსუდანის ძეს ქუთაისში არაფერი გაეგო. გაიარეს თრიალეთი, გარდავლეს მთა ლიხისა, და ისე შევიდნენ ქუთაისში, რომ ქართველ მეფეს მართლაც არაფერი გაუგია. მეფე აბანოში იყო, როცა მტრის ჯარმა ალყა შემოარტყა... და მაინც მოახერხა გაქცევა: „ძლით შეესწრო ცხენსა, ერთითა კაბითა მარტო იელტოდა“. — ლამის შიშველი მოხტომია ცხენს და გაქცეულა.

მეფე გადარჩა, ვერ შეიპყრეს... მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა ხვირს დააყრიდა ძნელი გზით გაწამებული, დამშეული და გაგულისებული ლაშქარი მტრისა ძველ დიდებულ ქალაქს — „მოაოხრეს ეკლესიანი (მაშინ ბაგრატის მშვენიერი ტაძარი ისევ ძველი სიდიადით იდგა და თითქოს საგანგებოდ იზიდავდა ძარცვას დაჩვეულ ველურ ურდოებს) და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა და ტყუე იქმნა“, ასე მოკლედ გადმოგვცემს მემატიანე საშინელ უბედურებას, რაც მტრის სისხლმოწყურებულმა ჯარმა იმ მდიდარ, მშვიდობიან ქალაქში დაატრიალა...

იქ დიდხანს გაჩერება სარისკო იყო; ანკი რაღა აზრი ჰქონდა — მეფეს მაინც ველარ შეიპყრობდნენ, მოაოხრეს ყველაფერი და მაშინვე უკან გაბრუნდნენ.

აბაღა ყაენმა კიდევ ერთხელ სცადა დავით რუსუდანის ძის იმერეთიდან მოტაცება – ამჯერადაც მოღალატე კახაბერ ერისთავის წაქეზებით. ორი წელი გავიდა იმ პირველი ცდის შემდეგ და „წელსა მესამეს კუალად წარმოვიდეს სირმონ და ალიყან... შეპყრობად მეფისა“... ამჯერადაც ვერაფერს გახდნენ, — „მეფემან მიპრიდა“; მონღოლებმა „მოაოხრეს ქუეყანა“ და უკან გაბრუნდნენ.

ამის შემდეგ, ცხადია, მოღალატე რაჭის ერისთავს იმერეთში აღარ მიესვლებოდა; ბუნებრივია, აღარც ყაენი უყურებდა კარგი თვალით... რაღა უნდა ექნა — ისევ წინაპრების მამული მოძებნა ქართლში, ატენში, დასახლდა... მაგრამ პატივმოყვარე ერისთავს აქ რა მოასვენებდა, როცა არც ყაენი სწყალობდა და არც აქაური მეფე!... იწრიალა, იწრიალა და ისევ დავით ნარინს შეუთვალა — მე თვითონ ვგრძნობ, რა დანაშაულიც მიმიძღვის შენს წინაშე, მაგრამ ახლა ვნანობ და მაპატიე, შემიწყალე, ჩემი მამული ისევ მე დამიბრუნეო, დავით ნარინმა შეუნდო — ალბათ იფიქრა, მირჩევნია ახლოს მყავდეს, შორიდან უფრო მეტი არ მავნოსო, ერთგულების ფიცი ჩამოართვა და მამული დაუბრუნა რაჭაში. არ გასულა დიდი ხანი, რომ ისევ აბორგდა მოღალატის სისხლი — „იწყო მათვე მამა-პაპურთა კუალად სლვად, და, ვითარ ღორი, ისწრაფდა მწვირეთა მიმართო“ (თქვენ ალბათ გახსოვთ, ძველი მემატიანეც სწორედ ამ სიტყვებით ახასიათებდა კახაბერის წინაპარ ბაღვაშებს...)... გაიხსენა ალიყან ათასისთავი (მასთან ალბათ უფრო ადვილად გამოძებნა საერთო ენა) და წერილი მისწერა — ამ ერთხელაც დამიჯერეთ, წამოდით, და მეფეს ნამდვილად შეგაპყრობინებთო. მეფე, ეტყობა, მთლად არ ენდობოდა მოღალატე ერისთავის ფიცს, მეთვალყურე ჰყაედა მიჩენილი: ხელადვე გაუგეს რაჭის ერისთავს მონღოლ სარდალთან მიწერ-მოწერის ამბავი, „შეიპყრო მეფემან [რაჭის ერისთავი], პირველ თუალი დასწუა და მერმე ერთი ხელი და ერთი ფერხი მოჰკვეთა“; მისი ორი შვილი კი კონსტანტინოპოლში გაასახლა. რამდენადაც ამასწინანდელი შეწყალება იყო მეტად მოულოდნელი და ლმობიერი, იმდენად ულმობელი გამოდგა შურისძიება. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია მოღალატე ერისთავს — ანკი რაღა მადლი უნდა ჰქონოდა თვალდავსებული და ხელ-ფეხწაჭრილი ადამიანის სიცოცხლეს.

თავი IX

მეფე დიმიტრი თაყვანდებული

ბიზანტიის სამეფო კარი გამალებით ცდილობდა ჯერ კიდევ თამარ მეფის თაოსნობით 1204 წელს ჩამოყალიბებული ტრაპიზონის სამეფოს გაუქმებას და ამ ტერიტორიის უშუალოდ ბიზანტიისთვის მიერთებას ✦ დავით ნარინმა ტრაპიზონზე გაილაშქრა ✦ დავით ულუს მესამედ გაუხსენა მძიმე სენმა და 1270 წლის ზაფხულში გარდაიცვალა. იგი მცხეთაში დაკრძალეს ✦ ყაენს მოეწონა უფლისწული დიმიტრი და საქართველოს მეფედ დაამტკიცა ✦ მცირეწლოვანი მეფე ქართული წესით აკურთხეს და 1272 წელს ტახტზე დასვეს ✦ ყაენმა მეფეს მზრუნველად თავისი ერთგული სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა – გაწდიდებული და გამდიდრებული კაცი ✦ დიმიტრი „მეფემან აღაშენნა ქუეყანანი მოოხრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა... იყო უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხუათა კაცთა“ ✦ გრძელდება მონღოლთა გაუთავებელი ბრძოლები ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ✦ სენი და შიმშილი მუსრს აკლებს ხალხს ✦ მთელ თვეს გაგრძელდა ყოვლისდამანგრეველი მიწისძვრები ✦ ყაენები ერთმანეთს ცვლიან. იწყება აშკარა თუ ფარული ბრძოლები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, ინტრიგები, რომელსაც შეეწირა დიმიტრი მეფე – იგი შეთქმულთა რიცხვში აღმოჩნდა ✦ დიმიტრი მეფემ ხალხს მიმართა. ეს მიმართვა მომავალი თაობებისთვის ზნეობრივ მაგალითად იქცა ✦ მამულისთვის თავდადებული მეფის ცხედარი მალვით ჩამოასვენეს და მცხეთაში დაკრძალეს

დავით ნარინი უკვე ისედაც დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, ხოლო იმ ბოლო მოვლენების შემდეგ, როცა მოღალატე ერისთავის მიერ წაქეზებულმა ყაენმა რამდენჯერმე ამაოდ სცადა მისი შეპყ-

რობა, უფრო აშკარა გახდა, რომ ამ დამოუკიდებლობას აღარაფერი ემუქრებოდა, მონღოლები ვეღარ მოახერხებდნენ დასავლეთ საქართველოს დაპყრობას; ჯერ ხომ თავიდანვე მოერიდნენ მთებში ძნელ ბრძოლებსა და მსხვერპლს, ახლა, მით უმეტეს, ეგვიპტის სულთანთან და ჩრდილოეთის ულუსსთან ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებამ, — და, ამასთან დაკავშირებით, ლაშქრის იძულებითმა დაქსაქსვამ, — კიდევ უფრო დაუჩლუნგა მათ დასავლეთ საქართველოს დაპყრობის ჟინი. ასეთ პირობებში დავით ნარინს საშუალება მიეცა ფართო სახელმწიფოებრივი და ეროვნული პრობლემების მოსაგვარებლად ეზრუნა. კერძოდ, ქართველ მეფეს ახლა უკვე შეეძლო, უფრო აქტიურად დაინტერესებულიყო ტრაპიზონის სამეფოს ბედით. საგულისხმოა, რომ ტრაპიზონით ქართველი მეფის დაინტერესებას ივანე ჯავახიშვილი სწორედ მას შემდეგ განიხილავს, როცა მოგვითხრობს, როგორ პირში ჩალაგამოვლებული გაბრუნდა უკან დავით ნარინის შესაპყრობად წარმოგზავნილი მონღოლთა ლაშქარი.

მკითხველს, ალბათ ახსოვს, რომ ტრაპიზონის სამეფო თამარ მეფის დროს, თამარისავე თაოსნობით ჩამოყალიბდა 1204 წელს, სწორედ მაშინ, როცა კონსტანტინოპოლი ლათინებმა აიღეს. სამეფოს ძირითადი მოსახლეობა ქართველები გახლდათ — ლაზები; და ახალჩამოყალიბებული სახელმწიფოს მმართველები ქართული ორიენტაციისა იყვნენ, უმთავრესად ახლო ნათესაობით დაკავშირებულნი საქართველოს სამეფო კართან. იმდენად მტკიცე საფუძველი ჰქონდა ამ ურთიერთობას და ისეთ ძლიერ ტრადიციად იქცა, რომ საქართველოს თავზე დატრიალებული უბედურების შემდეგაც ინერციით გრძელდებოდა. თ. უსპენსკი წერს: მეცამეტე საუკუნის ბოლომდე — ესე იგი, საქართველოსთვის უმძიმეს წლებში — ტრაპიზონის მეფეები ცოლად უმთავრესად ქართველ პრინცესებს ირთავდნენო. ეს ფაქტი იმასაც კარგად მიგვანიშნებს, თუ რამდენად ძლიერი იყო აქ საქართველოს გავლენა.

ბიზანტია, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა თავის მეზობლად, თავისად დაგულებულ ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს არსებობას, და განსაკუთრებით იმას, რომ იქ ქართველთა სრული ჰეგემონია სუფევდა, ქართული სული ტრიალებდა, ქართული ორიენტაცია გამეფებულიყო... და როგორც კი მიეცათ ამისი საშუალება — ესე იგი, როგორც კი განდევნეს ლათინები (ეს მოხდა 1261 წელს) — ბიზანტიის იმპერიის მესვეურები შეეცადნენ, წართმეული მხარეები კვლავ შემოეერთებინათ ბიზანტიისთვის. სხვა კუთხეები დაიბრუნეს

კიდეც, მაგრამ ტრაპიზონის დაბრუნება ადვილი არ გამოდგა, ეს ვერ მოახერხეს... აქ ქართველი ტომები მოსახლეობდნენ, სამეფო კარზე უკვე ქართული ორიენტაცია იყო გაბატონებული, ქართველი მეფის მხარდაჭერა ჰქონდათ და ადვილად ვერ გატეხდნენ... და იწყება ბიზანტიის საიმპერატორო კარის ბრძოლა ტრაპიზონის სამეფოს შესაერთებლად.

უცხოელ მემატიანეთა მიერ გადმოცემული ცალკეული ფაქტები კარგად მიგვანიშნებენ, როგორ გამწარებით ცდილობდა ბიზანტიის საიმპერატორო კარი, გაეუქმებინა ტრაპიზონის სამეფოს დამოუკიდებლობა და უშუალოდ ბიზანტიისთვის შეეერთებინა ეს მხარე. ზოგჯერ კურიოზებამდეც მიდიოდა ბიზანტიის იმპერატორთა ეს გამწარებული სწრაფვა. ტრაპიზონის სამეფოს ხშირად იმპერიას ან საკეისროს უწოდებდნენ და ესეც საშინლად აღიზიანებდათ ბიზანტიის იმპერატორებს. მით უფრო ბოღმით ევსებოდათ გული, როცა ტრაპიზონის მეფეს იმპერატორად ან კეისრად მოიხსენიებდნენ — ესეც ხშირად ხდებოდა ხოლმე. თითქოს სასაცილოა, მაგრამ იმაზედაც ცოფდებოდნენ, რომ ტრაპიზონის მეფეებს კეისრის სამოსი და კეისრის წითელი წუღები ეცვათ. ეს საკუთარი ღირსებისა და თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნდათ. კეისარს ნუ უწოდებთ თავსო, გამწარებით უთვლიდნენ, ეს სამოსიც გაიხადეთ, კეისრის წითელი წუღებიც ნუ გაცვიათო; შეიგნეთ, რომ თქვენ ლაზთა მთავრები ხართო (ასე ეძახდნენ ხოლმე — ლაზთა მთავრები, ან ლაზთა არქონტებიო, და ამით თითქოს ამცირებდნენ, ჟინს იკლავდნენ)... რა ძალაუფლებაც გეკუთვნით, გქონდეთ, მაგრამ იმპერატორის სახელს ნუ ეპოტინებით, მისი სამოსიც ნუ გაცვიათ, ბოლოს და ბოლოს, შეიგნეთ, რომ იმპერატორი მე ვარ, ტახტზე მე ვზიავარ და სხვას რა უფლება აქვს ამ უზეშთაესი პატივ-ღირსებებით იწოდებოდნენ, თქვენ რას ეტმასნებით მეფის ღირსებასო!.. ზუსტად ასე გადმოგვცემს მეცამეტე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი პახიმერე ბიზანტიის კეისრის მიხეილ VIII პალეოლოგოსის სიტყვებს და განწყობილებას.

მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და ქვეყნის სამხედრო ძლიერება შესუსტდა, ბუნებრივია, ბიზანტიელი იმპერატორები უფრო გააქტიურდებოდნენ და მოინდომებდნენ საქართველოსთვის ჩამოეშორებინათ ეს მხარე, საქართველოს გავლენა მოესპოთ და უშუალოდ თავისი იმპერიისთვის შეეერთებინათ.

დამახასიათებელია სიტყვები ბიზანტიელი მწერლისა, რომელიც თანამედროვეთა ამბებსა და საკუთარი თვალით დანახულ მოვლენებს გადმოგვცემს. ბიზანტიის იმპერატორი ცდილობდა, აელაგმა იმ ხალხის თაეგასულობა, რომლებიც მის სამფლობელოში არ შედიოდნენო — ზოგიერთებს *იარაღით აიძულებდა* „ზომიერ ჩარჩოებში მოთავსებულიყვნენო“... და იქვე ასახელებს „ლაზთა არქონტს (საგულისხმოა, რომ ეს მწერალიც „არქონტს“ უწოდებს) იოანე მეორეს, რომელსაც „თავი მოჰქონდა მეფური ნიშნებით“ და ფაქტიურად კი არ ეკუთვნოდაო. იმპერატორი (იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VIII პალეოლოგოსი) ხშირად უგზავნიდა მითითებებს და სრულ მორჩილებას მოითხოვდა, მაგრამ ვერაფერს გახდა — „იმის მეტს ვერაფერს მიაღწია, რომ დარწმუნდა, ვერაფერს მივაღწევო“.. იოანე ამაყი კაცი იყო და იმპერატორის ბრძანებას არაფრად აგდებდაო; იმპერატორის დაჟინებულ მოთხოვნაზე კი მეტად მარტივი და დასაბუთებული პასუხი ჰქონდა: მე კი არ მომიგონია კეისრობა, წინაპართაგან გადმომეცაო; კეისრის ტანსაცმელი და წითელი წუღებიც განა მე მაცვია პირველად, ჩემს მამა-პაპათაც ასე ეცვათო... მე რომ გავიხადო, სხვები არ მომცემენ ამის უფლებას, არ მაპატიებენო, თანაც, რა შესაშურებელია წითელი წუღები, შენ განა მეტი დიდება არ გაქვსო...

ერთი სიტყვით, ბიზანტიის კეისარი მიხვდა, რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა და გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა; ამისი კარგი გამოცდილება ჰქონდათ ბიზანტიის იმპერატორებს: მოყვრობით მოინდომეს ტრაპიზონის მეფის გადაბირება. ამ დროს ტრაპიზონში მეფობს საესებით ახალგაზრდა იოანე II, და ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ პალეოლოგოსმა მოციქულები მიუგზავნა მას, თავისი ასული შესთავაზა ცოლად. მემატიანე ხაზს უსვამს — დიდად საპატიო ხალხი შეარჩია მოციქულებად, რათა ტრაპიზონის ახალგაზრდა მეფეს მეტი ნდობა ჰქონოდა და ეჭვი არაფერზე აეღოო; ამ მოციქულებს უნდა დაერწმუნებინათ იოანე და ტრაპიზონელი დიდებულები, რომ „ამ უკანასკნელთ გამოეშვათ ჭაბუკი მეფე კეისართან, ხოლო თვითონ იოანეს იმედი ჰქონოდა, რომ კარგი რამისთვის ეძახდნენ კონსტანტინოპოლში, და სიხარულით შეხვედროდა ამ სიკეთეს“...

ამას კეისარი ფიქრობდაო, ბიზანტიელი მემატიანე წერს, ტრაპიზონელი დიდებულები კი სულაც არ აპირებდნენ ახალგაზრდა მეფის გაშვებას, და დიდად არც იოანეს მიუწევდა გული, რადგან ბიზანტიის სასახლის ელვარებას ზომიერი უბრალოებით ცხოვრება ერჩივნაო.

მოციქულები უარით დაბრუნდნენ იმპერატორთან; მაგრამ მიხეილ პალეოლოგოსს მაინც არ დაუყრია ფარხმალი, ახლა სხვა მოციქულები გაგზავნა... და ასე „ხშირად აგზავნიდა ელჩებს — ხან მუქარით, ხან ტკბილი დაპირებებით“... ვერა და ვერ დაიყოლია ახალგაზრდა მეფე და მისი მრჩეველები. ბოლოს სასახლის ლოგოთეტი და ეკლესიის უხუცესი მიუგზავნა, — ეტყობა, ეს ყველაზე ავტორიტეტული დელეგაცია იყო, — ამათ უნდა გაეფანტათ ყოველგვარი ეჭვები და გაჯიუტებული სასიძო როგორმე გაეტეხათ. მართლაც, ბევრი უჩიჩინეს ამ დიდად საპატიო პირებმა ახალგაზრდა მეფეს, ბევრი არწმუნეს, აღუთქვეს, რომ მისი სახელი და დიდება არა თუ დამცირდებოდა, არამედ პირიქით — ძლევამოსილი იმპერატორის სიძობით კიდევ უფრო გაიზრდებოდა, მრავალი სიკეთით დასაჩუქრებული დაბრუნდებოდა, მის ამალასაც ღირსეულად მიიღებდნენ... დათაფლულ ენას რა არ შეუძლია – დაითანხმეს ახალგაზრდა მეფე, ჩასხდნენ გრძელ ხომალდში და კონსტანტინოპოლისკენ გაემგზავრნენ.

ძნელი სათქმელია, მალევე მიხვდნენ თუ არა ახალგაზრდა მეფე და მისი მხლებლები, რომ მწარედ მოტყუებულნი იყვნენ; ყოველ შემთხვევაში, გასცდნენ თუ არა ტრაპიზონის საზღვრებს, ელჩებმა მეფის მხლებლები გაიხმეს და უთხრეს — ურჩიეთ თქვენს ბატონს, წითელი წულები გაიხადოს და შავი ჩაიცვას, აგერა გვაქვს წამოღებული სწორედ მაგისი ფეხის სარგოო. შავი წულებით რომ წარდგება იმპერატორის წინაშე, მეტი დაფასება იქნება, მეტ პატივსა სცემენო... ასე ურჩიეს და თვითონვე მიეშველნენ წითელი წულების გახდაში...

ასე ძალით შერთეს ტრაპიზონის მეფე იოანეს ბიზანტიის იმპერატორის ასული ევდოკია, დაი მომავალი იმპერატორის ანდრონიკესი, რომელიც ამის შემდეგ მალევე ავიდა ტახტზე...

სიძე ერთხანს თავის კარზე დაიტოვა იმპერატორმა, არ გაუშვა... იქნებ იმიტომაც, რომ მეფის დაბრუნებამდე იქ, ტრაპიზონში თავისი საქმე ეკეთებინა, სამეფო კარზე საქართველოს ორიენტაციის ხალხი შეემცირებინა და თავისი გაემრავლებინა...

იქნებ ამასვე უკავშირდებოდეს ქართველი მეფის დავით ნარინის ტრაპიზონზე გალაშქრება.

„ტრაპიზონის კეისრის ბიზანტიელთაგან ასე მოტყუებით ხელში ჩაგდებისა და დამცირების, მეტადრე დასიძების ამბავი საქართველოში ისევე კარგად ექნებოდათ გაგებული, როგორც თვით ტრაპიზონშიაც, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ეს ბიზანტიის კეისრისაგან შავი ზღვის ამ სანაპიროზე კელავ გაბატონების დასაწყისი იყო. ამის

არავითარი სურვილი არც ტრაპიზონელთა საქართველოს მომხრეთა დასსა და არც მით უმეტეს თვით საქართველოს მთავრობას არ შეიძლება ჰქონოდა". ტრაპიზონის გაუქმება საქართველოსთვის კვლავ ბიზანტიის დამეზობლებას ნიშნავდა, ხოლო რას მოასწავებდა ბიზანტიის უშუალო მეზობლობა, ეს კარგად ჰქონდა გამოცდილი ქართველ ხალხს. ამიტომაც არ შეეძლო საქართველოს სამეფო კარს „ტრაპიზონის სამეფოში პოლიტიკური ვითარების ასეთი ცვლილების გულხელდაკრეფილ გ'არეშე მაყურებლად დარჩენილიყო".

და დაიძრა კიდეც დავით ნარინი ტრაპიზონისკენ.

ალბათ ზედმეტიც კი იქნება იმისი აღნიშნა, რომ ქართველ მეფეს ის ძლევამოსილი ლაშქარი აღარა ჰყავდა; ტრაპიზონამდე კი მივიდა იგი, მაგრამ ქალაქის აღება ვეღარ მოახერხა; როგორც მეორე ბიზანტიელი მწერალი გადმოგვცემს, 1282 წლის აპრილში ქართველი მეფე დავითი შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა"...

ტრაპიზონის მეფე იოანე მეორე თავის მეუღლესთან ერთად, უფრო მოგვიანებით, ერთ-ორი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. შერჩა თუ არა ძველი ამბიციები, ისევ წამოუარა წითელი წუღების სიყვარულმა თუ კონსტანტინოპოლში დაარწმუნეს, რომ შავები ჯობდა, ეს არ არის ცნობილი, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ დამშვიდებული მეფობა არა ჰქონია. დიდი ხანი არ გასულა კონსტანტინოპოლიდან დაბრუნების შემდეგ, რომ ტრაპიზონს კვლავ შეესია საქართველოს ლაშქარი: იოანეს მეფობა დაათმობინეს და ტახტზე დაჯდა იოანესავე გერი დაი თეოდორა, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი (საგულისხმოა, რომ ეს ქალი დედით ქართველია, ტრაპიზონის მეფეს მანუელ I კომნენოსს მესამე ცოლი ქართველი ჰყოლია — სახელად რუსუდანი); იოანეს ტახტიდან ჩამოგდება ალბათ იმანაც გააადვილა, რომ უკვე ცოცხალი აღარ არის ბიზანტიის იმპერატორი, მტკიცე და ენერგიული მიხეილ მერვე პალეოლოგოსი, ტახტზე ახლა ზის მისი შვილი ანდრონიკე, რომელსაც მამის სიმტკიცე და ძლიერება არ გამოჰყოლია. იოანე მეორის ტახტიდან ჩამოგდება და თეოდორას გამეფება ფაქტიურად ტრაპიზონში ქართული პოლიტიკისა და გავლენის კვლავ გამარჯვებას ნიშნავდა.

მდგომარეობა ამის შემდეგაც მერყეი და ცვალებადი იყო; გარკვეული დროის მერე იოანეს კვლავ მოუხერხებია ტახტის დაბრუნება. გავიდა ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანი, და ტრაპიზონის ახალმა მეფემ, იოანეს შვილმა ალექსიმ ცოლად შეირთო ქართველი ქალი, ბექა ჯაყელის ასული. ეს დამოყვრებაც პოლიტიკით იყო ნა-

კარნახევი. საგულისხმო ის არის, რომ ტრაპიზონის ახალგაზრდა მეფეს ახლაც ბიზანტიის საიმპერატორო კარი უპირებდა დასიძებას, ამჯერადაც შეიქნა მოციქულების გზავნა კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონში, ამ ახალგაზრდა მეფესაც გამწარებით ურჩევდნენ ცოლად შეერთო ბიზანტიელი ქალი, იმპერატორ ანდრონიკე მეორის დისწული. მოციქულებიო, წერენ და ამით უფრო კეთილშობილურ საბურველში ახვევენ, თორემ ქართულად ამ მოქმედებას უფრო შესაფერი სახელი აქვს, და ასეთი დავალებით გაგზავნილ პირებსაც მაჭანკლებს ეძახიან; მართალია, ამით კნინდება წარჩინებულ მოციქულთა მისია, მაგრამ სამაგიეროდ ზუსტად გამოხატავს მდგომარეობას. დიდი მეცადინეობისა და თავგამოდების მიუხედავად, ამჯერად ვერაფერს გამხდარან ბიზანტიის იმპერატორის მოციქულები: ტრაპიზონის ახალგაზრდა მეფემ, როგორც ვნახეთ, ქართველი ქალი შეირთო, ქართველ დიდებულს დაუსიძდა.

იმდენად უსიამოვნო და მოულოდნელი გამოდგა ეს დამოყვრება ბიზანტიის საიმპერატორო კარისთვის, რომ ვერა და ვერ შეურიგდნენ. მშვიდობიანმა მოლაპარაკებამ რომ ვერ გაჭრა, მუქარასაც აღარ მოერიდნენ, მოინდომეს გაეცილებინათ ახალჯვარდაწერილი ცოლქმარი, ახალგაზრდა ქართველი ქალი, აწ უკვე ტრაპიზონის დედოფალი, შინ გაეშვათ და მეფისთვის ძალით მიეთხოვებინათ ბიზანტიის იმპერატორის ნათესავი... მაინც ვერ მოახერხეს — ქვემოთ ვნახავთ, ბექა ჯაყელი გაელენიანი კაცი იყო და ვერ მოერივნენ, ვერ დაამარცხეს.

როცა ამ ბრძოლებს გავითვალისწინებთ, უფრო დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ ტრაპიზონის კარზე ქართველი დედოფლის გამოჩენა კვლავ ქართველთა ჰეგემონიის განტკიცებას ნიშნავდა... თუმცა სამეფოს ბედი ამის შემდეგაც ცვალებადი იყო: ბიზანტია კვლავ თავგამოდებით იბრძოდა, რათა ტრაპიზონის სამეფო მთლიანად თავისი გაელენის სფეროში მოექცია, და საქართველოც არა თმობდა თავის ჰეგემონიას... ტრაპიზონის სამეფოსთან დაკავშირებული მოვლენები კვლავ დრამატულად ვითარდებოდა...

მაგრამ ეს უფრო მოგვიანო დროის ამბებია; კერძოდ, ტრაპიზონის მეფისა და ჯაყელების სახლის დამოყვრება მეცამეტე საუკუნის მიწურულს მოხდა. ჩვენ კი ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში მანამდე მომხდარ ბევრ მოვლენას არ გავცნობიერართ.

შვილის გარდაცვალების შემდეგ დავით ულუ ერთბაშად მოტყდა, სენმა კიდევ უფრო დარია ხელი; ყაენი მაინც არ ეშვებოდა, დამშვიდებით სიკვდილიც არ აცალა — ხან სიბაზე, ხან ლაშქრობებში დაპყავდა ეს დასნეულებული და დაუძლურებული კაცი... მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, საჭურველს რომ აისხამდა მეფე, თითქოს ძალა და სიმხნეევ ემატებოდა, ბრძოლის ჟინით აენთებოდა; თითქოს აღარ ახსოვდა, რომ თავისივე დამპყრობელის დროშის ქვეშ იდგა და სხვისთვის იბრძოდა; თუმცა მოწინააღმდეგეც მისი მტერი იყო — მონღოლები მონღოლებსავე ებრძოდნენ; ერთს უკვე დაპყრობილი ჰყავდა ქართველი მეფე და მეორე მის დასაპყრობად მოდიოდა... სამხრეთ-დასავლეთით თუ გაიწვევდნენ ბრძოლაში, იქაც ასე იყო — იქაც მისი ქვეყნის და ხალხის დაპყრობის მოსურნე სულთანს უნდა შებრძოლებოდა, იქაც მისი მტერი იყო... და მიუძღოდა ლაშქარს ეს დაუძლურებული კაცი ხან აღმოსავლეთით, ხან სამხრეთით... ღონე არ მოსდევდა, სულიერად გატეხილიყო, და მაინც ბრძოლის ჟინი მოუელიდა, როცა მოწინააღმდეგის საბრძოლო ყიჟინას გაიგონებდა...

ერთ საოცარ ეპიზოდს გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი. ისევ მონღოლ უფლისწულთა აბაღა ყაენის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას უნდა დავუბრუნდეთ. ერთი შეთქმული ძმის ბედს უკვე გავეცანით — საბედისწერო შეცდომის გამო თეგუდარმა დათქმულ დროზე უფრო ადრე დაიწყო ჯარის მზადება... და, როგორც უკვე ვნახეთ, მარცხი განიცადა. დათქმული დრო რომ მოვიდა, მეორე ძმა, თურანის ყაენი ბარახა მრავალრიცხოვანი ლაშქრით წამოვიდა — „შეიძრა ულუსი დიდი თურანისა, და ყაენი დიდი ბარახა გამოვიდა ჯეონსა, უამრავითა ლაშქრითა“... ჟამთააღმწერლის ეს სიტყვები კარგად მიგვანიშნებს, როგორ ყოველისწამლეკავი გრიგალივით დაძრულა ბარახა აღმოსავლეთიდან. ავაღა ყაენი, ეტყობა, აღარც ელოდა ამას: როცა ბარახას გამოლაშქრების ამბავი მოახსენეს, მაშინღა შეკრიბა თავისი ჯარი, და მოუწოდა აგრეთვე ყოველთა ქართველთა... მეფე ამ დროს დაუძლურებული იყო, მაგრამ მაინც წარვიდა ყოველითა ძალითა მისითაო, წერს მემატიანე. რაღა თქმა უნდა, წინამბრძოლად ყაენმა ახლაც ქართველთა რაზმი გაგზავნა, მეფისავე წინამძღოლობით, და თავისი ნოინებიც გააყოლა; ოღონდ ამჯერად დაავალა, დაეზვერათ მხოლოდ მოწინააღმდეგე და უკანვე შემო-

ბრუნებულიყენენ, უბრძოლეელად. ძირითადი ლაშქრით თვითონვე მიპყვა, აბაღა, ოღონდ ცოტა უფრო დაშორებით.

ორი დღე იარეს წარგზავნილებმა და ერთ ადგილას დაიბანაკეს. განთიადისას („ცისკარი რა მოეახლა") შორს დაინახეს ცაში ავარდნილი მტვერი, „ვითარ ღრუბელი" — მოწინააღმდეგის ლაშქარი მოდიოდა. დასაზვერად გაგზავნილმა მონღოლმა ნოინებმა მაშინვე უკან მობრუნება გადაწყვიტეს, როგორც ყაენისგან იყვნენ გაფრთხილებულები; მაგრამ ქართველი მეფე არ დაეთანხმა, იგი წინ მიიწევდა — „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომაკალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკუდილი", ამბობდა მეფე... ისე გაჯიუტდა, რომ ვერაფრით ვერ გადაათქმევინეს მონღოლმა ნოინებმა... ბოლოს, აბაღა ყაენს რომ მოახსენეს, იმან ქართველ მეფეს უთხრა: „ვიცი სიმხნე თქუენი ბრძოლათა შინა. თქუენ ქართველნი ურჩნი ხართ და შმაგნი. უკეთუმცა ნოინს რომელსამცა ექმნა, მო-მცა-ეკალ; ამისთვის არა ბრალეულ გყო, რამეთუ უმეცარნი ხართ წესისა ჩუენისანი"... აპატია მეფეს ეს შეცოდება, დავით ულუ კი თავისას გაიძახოდა: „დიდო ყაენო, არა არს ჩვეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოს"...

ამასობაში მოწინააღმდეგეც მოახლოვდა და ყაენმა მაინც წინამბრძოლად აჩინა ქართველი მეფე. მერენდელი ამბები ამჟამად ჩვენთვის საინტერესო აღარ არის — ჩვენ ეს ეპიზოდი გვაინტერესებდა.

ამ ეპიზოდს კომენტარი ალბათ არცა ჭირდება: კარგად გვაჩვენებს ქართველი მეფისა და ქართველი მეომრების რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას; რასაც ჩვენ ახლა გავეცანით, მხოლოდ ბრძოლად შემართული მეომრის დაუოკებელი ჟინი კი არ არის, ერთბაშად რომ მოედება ხოლმე, როცა ხმალამოწვდილ მოწინააღმდეგეს დალანდავს, ეს უფრო მეტად საერთო დაბნეულობით აიხსნება... უკვე აირია, ძნელი გასაგები გახდა, ვინ იყო მისი მტერი და ვინ — მოყვარე... უკეთ რომ ვთქვათ, შეუძლებელი იყო იმის ამოცნობა, რომელ მტერს მოპქონდა უფრო დიდი ჭირი და უბედურება...

შვილის სიკვდილის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია მეფეს. სიბაზე ჩვეულებრივი დგომის დროს მესამედ გაუხსენა მძიმე სენმა. უკვე ზაფხულიც დამდგარიყო — და შინ დაბრუნებულმა მეფემ მალე დალია სული. ეს მოხდა 1270 წელს... მაშინვე გავრცელებულა ხმა, თითქოს მეფე დედოფალ ესუქნს მოეწამლოს, „შურისათვის ბასილი

უჯარმელისაო“... მაგრამ მემატიანეს თვითონვე არა სჯერა ეს: „თქმულ არს ესეცაო“ — ასე ყოყმანითა და დაეჭვებით გადმოგვცემს ამ ცნობას. მეფე მცხეთაში დაკრძალეს.

●

ტახტის მემკვიდრე დიმიტრი იყო — მას მეტოქე არა ჰყოლია. კიდეც რომ მოენდომებინა დავით ნარინს გადმოსვლა ან შვილის გამოგზავნა და ტახტის ხელში ჩაგდება, ვერ მოახერხებდა, ვერ გაბედავდა — ის აკი დევნილი იყო, მაშინვე ყაენი შეიპყრობდა და სიკვდილით დასჯიდა.

გარდაიცვალა თუ არა მეფე, უფლისწული მოიკითხეს; იგი ჯერ ისევ პატარა იყო — 11-12 წლისა და სუმბატ ორბელის ძმის ტარსაიჭის სახლში იზრდებოდა: გვანცას გარდაცვალების შემდეგ დავით ულუმ ტარსაიჭს ჩააბარა უფლისწული აღსაზრდელად. მოიყვანეს დიმიტრი სამეფო კარზე, მაგრამ მეფედ ჯერ ვერ აკურთხებდნენ, ჯერ ურდოში უნდა წაეყვანათ, ყაენს უნდა დაემტკიცებინა მეფედ. უფლისწულის ურდოში წაყვანა მანდატურთუხუცესს ივანე შანშეს ძეს მიანდეს. ყაენს მოეწონა დიმიტრი — „შეიწყალა, შეიყუარა“ და საქართველოს მეფედ დაამტკიცა; „მოსცა ყოველი სამეფო, თვინიერ სარგის ჯაყელისა“ — სარგის ჯაყელი აკი ხასინჯად შეწყალებული იყო და ყაენი პირადად მფარველობდა... თბილისში დაბრუნებული ახალგაზრდა მეფე ქართული წესით აკურთხეს და 1272 წელს ტახტზე დასვეს.

მაგრამ როგორც ითქვა, მეფე მცირეწლოვანი იყო და მზრუნველი სჭირდებოდა. რაკიღა ტარსაიჭ ორბელის აღზრდილი იყო უფლისწული, თითქოს მზრუნველადაც ის უნდა დანიშნათ, სამართლიანი ეს იქნებოდა; მაგრამ ასე არ მოხდა; ყაენს თავისი სამართალი ჰქონდა — უფლისწულს მზრუნველად მან თავისი ერთგული კაცი დაუნიშნა, სადუნ მანკაბერდელი, რომელიც ამასობაში კიდევ უფრო განდიდებულიყო და გამდიდრებულიყო... სადუნ მანკაბერდელის განდიდებას დიდად შეუწყო ხელი ყაენის პირველმა ვაზირმა საპიბ დივანმა; ამ კაცს სადუნმა ცოლად მიათხოვა ხვაშაქი, ავაგ მხარგრძელისა და გვანცას ასული... მკითხველს ალბათ ახსოვს, დავით ულუმ რომ ახალდაქვრივებული გვანცა შეირთო, ხვაშაქი სულ პატარა იყო და „ქალი იგი ავაგისი მეფემ დაუტევა მამულსა თვისსა ზედა, და შეეყარა მანკაბერდელსა სადუნსა“... სადუნს ჩააბარა. როცა გაიზარდა

ქალი, სადუნმა იმდენი მოახერხა, რომ საპიბ დიეანს მიათხოვა — ერთ-ერთ ყველაზე უფრო გაელენიან პირს ყაენის კარზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ამის შემდეგ კიდეე უფრო გალაღდა და გამდიდრდა სადუნი...

მაგრამ მისი გამდიდრება ახლა ნახეთ! ახლა, როცა ყაენმა მცირეწლოვანი მეფის მეურვეობა მიანდო... სადუნ მანკაბერდელი იმისთანა კაცი არ გახლდათ, რომ უქმად დაეკარგა დრო და ყოველგვარი ხელსაყრელი შემთხვევით არ ესარგებლა. ჟამთააღმწერელი საგანგებოდ შენიშნავს: „შეიყუარა ყაენმა სადუნი და მანაც „იწყო ურვად საქმეთა საქართველოსათა“. ჯერ უფლისწულის ურდოშივე ყოფნის დროს — როცა მეფედ ამტკიცებდნენ — დიმიტრიმ მას ათაბაგობა უბოძა. ასე ითქმის, თორემ მცირეწლოვან მეფეს ვინ რას ჰკითხავდა — რაღა თქმა უნდა, ყაენმა უბოძა ათაბაგობა. გავიდა ამის შემდეგ მცირე ხანი და „საქართველოს ლაშქართა საქმეც“ მას ჩააბარა მეფემ — ესე იგი, ამირსპასალარობაც მიუბოძა. აქეთ ხვაშაქმა უბოძა ეჯიბობა... ასე გახდა სადუნ მანკაბერდელი პირველი და მთელს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული კაცი. უმისოდ არაფერი საქმე არ წყდებოდა. საოცარი სიცხადითა და პირდაპირობით გადმოგვცემს მეფისა და ათაბაგის ურთიერთობას ჟამთააღმწერელი: მეფე დიმიტრი „ხელთა შინა სადუნისთა იყოო“...

ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებდაო, ზემოთ ითქვა, იმდენი მოახერხა სადუნმა, რომ მეფეს გამოსტაცა თელავი და ბელაქანი და „მრავალნი ქუეყანანი“... როგორ მოახერხა ამ ქალაქების ხელში ჩაგდება, ამას კონკრეტულად არ გვეუბნება ჟამთააღმწერელი, მაგრამ ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როცა გავიგებთ, როგორ მიიღო მან კიდეე ერთი ქალაქი — უფრო მდიდარიც და სტრატეგიულადაც უფრო მნიშვნელოვანი. ამას უკვე დაწვრილებით გადმოგვცემს მემატიანე. მეფეს ხომ ხშირად იბარებდნენ ურდოში, და ერთხელ „ურდოსა შინა ყოფასა მეფისასა სთხოვეს საფასე ურიცხვი მეფესა“ — დიდძალი ფული მოუთხოვიათ ყაენის კარზე; ასეთ გაუთვალისწინებელ დაბეგვრებს მეფე დაჩვეული იყო, მაგრამ ერთბაშად ამდენი ფული სხვა დროს არ მოუთხოვიათ, გადახდა მის ძალას აღემატებოდა... მთავარი აქ ის არის, რომ მეფეს ფული მოსთხოვეს „განზრახვითა სადუნისითა“; განგებ მოუწყვია ყველაფერი ათაბაგს, კონკრეტული მიზნები ჰქონია. საგონებელში ჩავარდნილი მეფე რომ ნახა, სადუნმა მიზეზი ჰკითხა (ვითომ არ იცოდა, ვითომ მისი მოწყობილი არ იყო ყველაფერი!); ეგ ნუ გადარდებსო, ანუგეშა მეფე:

„უკეთუ მომცე დმანისი, მე მივსცე საფასე ყაენსა“ — მაგ ფულს მე გადავიხდი, ოღონდ შენ დმანისი მომეციო. ამაზე მეტი თავგასულობის წარმოდგენა შეუძლებელია. დმანისის დათმობა ძნელი იყო და წელი მოსწყვიტა მეფეს, მაგრამ რა უნდა ექნა, ფულს გადახდა უნდოდა, ყაენს ხუმრობა როდი უყვარდა. „და უნებლიედ მისცა მეფემ დმანისი „და მიმდგომი მისი“... დააკვირდით: „მიმდგომი მისიო!“...დმანისი როდი იკმარა — სადუნ მანკაბერდელს უფრო დიდი გეგმები აქვს.

ასე ჩაიგდო ხელში ამ ვერაგმა და მედროვე კაცმა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხე! ასე თანდათანობით ირღვეოდა და იშლებოდა ქვეყანა, ასე ეცლებოდა საფუძველი საუკუნეობით ნაშენ ერთიანობასა და მთლიანობას!..

მადა ჭამაში მოდისო — დმანისი და „მიმდგომი მისი“ რომ დაისაკუთრა, კიდევ უფრო მოუნდა გაფართოება. ვინ დაუშლიდა, წინ ვინ დაუდგებოდა: აბაღა ყაენს გამორჩეულად უყვარდა; ამას რამდენჯერმე აღნიშნავს ჟამთააღმწერელი; ყაენის პირველი ვაზირი და იმის ცოლი მას მფარველობენ — ამასაც საგანგებოდ გადმოგვცემს მემატიანე: „ესე საჰიბ-დივანი განდიდებულ იყო... [ყაენისაგან] და სადუნიცა მისგან განდიდებულ იყო, და ყოველი საბრძანებელი ყაენისა მისთა ხელთა შინა იყო და ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს. და იყიდნა მრავალნი ქუეყანანი, და უბოძეს მეფეთა კარი“...

ხედავთ, როცა დმანისსა და მიმდგომ კუთხეებს ღებულობდა, კარიც თავისად ჰქონდა დაგულებული და მიიღო კიდეც, კარის (ყარსის) პატრონიც გახდა; ამრიგად მთელ სამხრეთს დაეუფლა, აქ გამავალი დიდი სავაჭრო გზების ბატონ-პატრონი შეიქნა... ახლა მისი შიშით და მისთვის დაუკითხავად იმ კუთხეში კაცი ვეღარ გაიჭაჭანებდა — ვერა ქარავანი, ვერა ვაჭარი. საგულისხმოა, რომ თავისი რეზიდენცია ათაბაგმა კარში გადაიტანა — „დაჯდა კარსა“!.. ამასაც როდი დასჯერდა — კიდევ უფრო რომ განემტკიცებინა მდგომარეობა, კარის „მიმდგომი ქუეყანა მოიევრაგა ახალციხელთაგან“...

და იქვე იმასაც გადმოგვცემს მემატიანე, თუ როგორ ჩაიგდო ხელთ მიმდგომი ქვეყანა: „ასული ახალციხელისა ცოლად მოიყვანა!“...

არაფერს არ თაკილობს, არაფერს ერიდება, არაფერზე უკან არ იხევს. ქრისტიანია, მაგრამ სამი ცოლი ჰყავს (ცოლებს, როგორც ვნახეთ, კარიერის მოპოვებისა და გამდიდრების მიზნით ირთავს) — თავისი მფარველი მონღოლები მრავალცოლიანობას, რაღა თქმა



1910 წელს ანისში, არქეოლოგიური გათხრების დროს, ნიკო მარი წააწყდა ქვაზე ამოჭრილ ქართულ წარწერებს, რაც 1218 წლის ძეგლი აღმოჩნდა — ეს იყო ეტიფანე კათალიკოსის განჩინება



ასი ათასი მოწამე

ჯალალ ად-დინის
ლაშქრობების რუკა

ჩინგიზ ყაენი

რუსუდანი

რუსუდანის მონეტა

დავით ნარინი

დავით ნარინის მონეტა

დავით ულუ



დავით ულუს მონეტა

ივანე მხარგრძელი

ცოტნე დადიანი

ცოტნე დადიანის გმირობა

ბაიკალის ტბის სანაპიროზე ჩინგიზ ყაენის მწყერვალი



სელჯუკების მავზოლეუმი ირანში

დიმიტრი თავდადებული

დიმიტრი თავდადებული
ემშვიდობება ქართველ ერს

უნდა, არ დაუშლიდნენ, პირიქით, მოუწონებდნენ. ახალციხელის ასულის შერთვით ხომ დამატებითი მიწა-წყალი ჩაიგდო ხელთ, ახლა მეფესთან დამოყვრებაც მოინდომა — მართალია, მეფე ისედაც მის ხელში იყო, მაგრამ მეფის სიძობას მაინც სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა პეწი, სხვა მომხიბლაობა; ამის შემდეგ კიდევ უფრო ყინჩად სიარული შეეძლო...

და ამასაც მიაღწია. მეფის და, თამარი, არღუნ-აღამ იძულებით შერთო ცოლად თავის შვილს: ბუნებრივია, ქართველი მეფის ასულისთვის სასურველი არ იქნებოდა ყაენის მოხელის რძლობა; ეს არც დიმიტრისთვის იყო სასურველი, მაგრამ არღუნმა უარის თქმა არ დააცალა: მამაშენი ულუ დავითი შეპირებული იყო, რომ რძლად მომცემდა, მაგრამ აღარ დასცალდაო, უთხრა; ახლა შენ მამის სურვილის წინააღმდეგ ვერ წახვალ და უარს ვერ მეტყვიო. და მეფესაც რა გზა ჰქონდა. ძალიან წინააღმდეგი იყო თვით თამარი, მაგრამ ვერაფერს გახდა, მეფის ასული იყო, მაგრამ ყური მაინც არ ათხოვეს, ძალით მისცეს მონღოლი მოხელის შვილს. ამის შემდეგ არღუნს ბევრი აღარ უცოცხლია; მეფის ასულსაც ეშველა – და როგორც კი მოუკვდა მამამთილი, მაშინვე დაჰკრა ფეხი და გაიქცა, ქმარს გაექცა, მთიულეთში გადაიხვეწა, „რამეთუ სძაგდა [ქმარი], ვითარ უსჯულო და წარმართი“... მამამთილისა ეშინოდა, ქმრის შიში არ ჰქონია. სადუნმა რომ გაიგო, მეფის ასული ქმარს გაექცაო, იხელთა დრო და ცოლგაქცეულ ქმარს დაეეაჭრა — შენი ცოლი მომყიდეო... დაცინვასავით იყო — ამ კაცს ცოლი სადღა ჰყავდა, რომელ ცოლზე ეეაჭრებოდა, ცოლი ხომ გაექცა!.. მაგრამ როდი დაიბნა, იფიქრა, ფულს მაინც გავაკეთებო, და ეს გაქცეული ცოლი სადუნ მანკაბერდელს მიჰყიდა; ალბათ კაი ფასად. სადუნს ფული არ უჭირდა. მერე აბაღა ყაენისგანაც აიღო ნებართვა სადუნმა (ალბათ იმიტომ, რომ მისი დიდი მოხელის რძალი იყო); ყაენსაც, რა თქმა უნდა, ძვირფას საჩუქრებს მიართმევდა... მეფის თანხმობა კიდევ უფრო ადვილად მიიღო ათაბაგმა და, ამრიგად, ცოლად შეირთო მეფე დავით ულუს ასული, სამეფო სახლს დაუსიძდა; როგორც ითქვა, ამით კიდევ უფრო „განდიდნა“, მეტი რიხი მიეცა...

პირველი ვაზირის მიერ სამი ცოლის შერთვა დიდი ცოდვა და უბედურება იყო, ზნეობრივ გახრწნას მოასწავებდა, ცუდ გაელვნას მოახდენდა უბრალო ხალხზე... და ამიტომ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია კათალიკოსმა ნიკოლოზმა... მაგრამ ღრმა მოხუცი

იყო, ძალა აღარ მოსდევდა, და როდი უსმინა ბედით გალაღებულმა ათაბაგმა — „მძლავრებისგან სადუნისა ვერ უძლო განყენებად“... შეჩვენებით კი შეაჩვენა, მაგრამ გათავხედებული და ზნედაცემული კაცისთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა!

●

სადუნ მანკაბერდელზე ვამბობდით, მისი სამცოლიანობა ცუდი ზნეობრივი მაგალითი იყოო. ვაზირზე ითქვა ეს, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ არც მეფეს მიუცია ქვეშევრდომებისთვის უკეთესი მაგალითი. მეფე დიმიტრისაც სამი ცოლი ჰყავდა.

ჯერ იყო-და, გამეფებიდან ორიოდე წლისთავზე სრულიად ახალგაზრდა კაცს ტრაპიზონის მეფის ასული შერთეს — „ჯერეთ ყრმა იყო (მეფე), არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა კომიანოსისა, მეფისა ტრაპიზონელისა... და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესისაებრ“. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი — ზემოთაც შევნიშნეთ, ასეთი ურთიერთდამოყვრება საქართველოს სამეფო კარისა ტრაპიზონის სამეფო სახლთან ტრადიციად იყო დამკვიდრებული. პირველი ცოლისგან დიმიტრის ოთხი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა — დაითი, ვახტანგი, მანოელი, ლაშა და რუსუდანი.

მეფის მეორე ცოლი მონღოლი იყო, სახელად სორღალა; ამისგან სამი შვილი შეეძინა მეფეს — ორი ვაჟი და ერთი ქალი — ბაადურ, იადგარ და ჯიგდა.

მესამე ცოლი ბექა ჯაყელის ასული გახლდათ; „ხოლო ასულმან ბექასამან ნათელ უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელ უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა“...

სწორედ ამ გიორგის არგუნა ბედმა, უდიდესი როლი შეესრულებინა ქართველი ხალხის ცხოვრებაში; ბარემ აქვე შევნიშნოთ, რომ მას ხალხმა გიორგი ბრწყინვალე შეარქვა. რაღა თქმა უნდა, ქვემოთ უფრო ახლოს გავეცნობით მას.

ახლა კი ამას დავაკვირდეთ: მეფე დიმიტრის პირველი ცოლი ტრაპიზონის კეისრის ასულია, მესამე ცოლი — ბექა ჯაყელისა, ბექა ჯაყელის სხვა ასული ტრაპიზონის კეისარს მისთხოვდა (არა იმ კეისარს, ვისი ქალიც დიმიტრიმ შეირთო)... ეს კარგად მიგვანიშნებს, როგორა ცდილობენ ნათესაობის მტკიცე ქსოვილით შეკრან ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის!..

ბუნებრივია, მეფის სამცოლიანობამაც დიდი პროტესტი გამოიწვია ეკლესიის მხრივ — „დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი მაწყუერელი ჯუანშერის ძე, გარნა არავინ ყურად იღებდა სიტყუასა მათსა“... მერე კიდევ იმეორებს ჟამთააღმწერელი: „...ნიკოლოზ კათალიკოსი, განრისხებული, უთქმიდაევ და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა“. ბოლოს მოხუცი ნოკოლოზი იძულებული გახდა, გადამდგარიყო: კათალიკოსად მანვე აკურთხა ჯვარისმტვირთველი მეფისა აბრაჰამი.

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, ჟამთააღმწერლის მოთხრობის მიხედვით, „დემეტრე II-ის დამოკიდებულება ქრისტიანული მოძღვრებისადმი ძალზე შერყეული ყოფილა. მის გულში ეკლესიისა და მისი, როგორც მწყემსმთავრისა, ისევე მოძღვარისადმი, ოდნავი პატივისცემაც კი არ ჩანს, ამ მხრივ ის გიორგი-ლაშას მიაგავსო“.

საქმე ის არის, რომ ეკლესიის რისხვა მარტო მეფის სამცოლიანობას კი არ გამოუწვევია, არამედ იმასაც, რომ დიმიტრი მეორე ეკონომიკურ სფეროშიაც თავისი მამისა და მწიგნობართუხუცეს ბასილ უჯარმელის პოლიტიკას ატარებდა; იგულისხმება წინათ ეკლესიისთვის შეწირული მამულების ჩამორთმევა, რათა ოდნავ მაინც შემსუბუქებულიყო გაჭირვება, რომელიც სულ უფრო და უფრო მძვინვარდებოდა. ჩვენ უკვე ვიცით ამ მოვლენისადმი ეკლესიის დამოკიდებულება; რაც მამას არ აპატიეს, ბუნებრივია, შვილსაც არ აპატიებდნენ...

მეფე იძულებული იყო, ეს პოლიტიკა გაეგრძელებინა. მაგრამ ჟამთააღმწერელი იქვე მოგვითხრობს — იმ საშინელი გაჭირვების დროსაც კი როგორ დაუცხრომლად ზრუნავდა მეფე აღმშენებლობისთვის; მის სახელს უკავშირდება, მაგალითად, მეტეხის დიდებული ტაძარი...

„მეფემან... აღაშენნა ქუეყანანი მოოხრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა“... ჟამთააღმწერელს არ ავიწყდება მეფის საოცარი გულმოწყალება და სათნოება — „იყო... უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურიეთა და დაერდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხუათა კაცთა“; მეფე დიმიტრის ჩვეულება ჰქონდა — შემოივლიდა ღამით ქალაქს, და დაერდომილებსა და გლახაკებს, რომლებიც იმ დროს ძალიან მომრავლე-

ბულიყვნენ, თავისი ხელით აძლევდა წყალობას; ამ გაუბედურებულმა ხალხმაც იცოდა მეფის ჩვეულება და „ამისათვის გალახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვენ მეფესა“...

ეს თვისებები მეფისა მით უფრო დასაფასებელია, როცა გავითვალისწინებთ, რომ იგი სანახევროდ არა ყოფილა თავის ქვეყანაში; მამის მსგავსად, ისიც სულ ლაშქრობაში ახლდა მონღოლებს; ლაშქარში და სიბაზე — სიბაზე დგომა ვერც დიმიტრის აცდა.

●

დიმიტრი მეორის მეფობის დროსაც ილხანებს განუწყვეტელი ომები ჰქონდათ — უმთავრესად, ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს ერთი ასეთი ბრძოლის ამბავს, რომელიც 1277 წლის აპრილში გამართულა; მაგრამ სანამ ამას გავეცნობოდეთ, მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩერო ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომლის შესახებ გაკვრით ზემოთაც ითქვა.

რაკიღა ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი გამოდგა, ილხანების სახელმწიფომ გადაწყვიტა კავშირის გაბმა ევროპის ქვეყნებთან, იქაურ ჯვაროსნებთან, რომლებიც, აგრეთვე, ეგვიპტის სულთანს ებრძოდნენ. ერთი ასეთი ცდა აბაღა ყაენისა ოდნავ წინ უსწრებდა (ან იქნებ პარალელურად ხდებოდა) ზემოთ ნახსენებ ბრძოლას, და ჩვენთვის იმიტომაც არის საინტერესო, რომ აბაღა ყაენს ევროპაში მოციქულებად ამჟამად ქართველები გაუგზავნია. უცხოურ წყაროებს შემოუნახავთ დაწერილებითი ანგარიში ამ დიპლომატიური მოგზაურობისა და თამაზ ნატროშვილი თავის წიგნში გამოდმოგვცემს მას. კერძოდ, იტალიელი ისტორიკოსის სორანცოს ცნობით, 1277 წლის გაზაფხულზე, აბაღა ყაენის დავალებით, ევროპაში მოგზაურობენ ძმები იოანე და იაკობი — „ქვეშევრდომნი თათართა (მონღოლთა), წარმოშობით ქართველები, სარწმუნოებით — ქრისტიანები“ (უნებურად გახსენდება დავით ნარინის მიერ დასჯილი კახაბერის შვილები — ძმები, რომლებიც ევროპაში გაასახლა მეფემ). ამ ძმებს ჩვენ ვხედავთ რომში, საფრანგეთში, ინგლისში; ყაენის დავალებით, მოლაპარაკება აქვთ რომის პაპთან, საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებთან (ამის მიხედვით, ქართველი მკვლევარი სამართლიანად ასკვნის, რომ ელჩები განათლებულები უნდა ყოფილიყვნენ, ევროპული და აღმოსავლური ენების მცოდნენი)...

ყველგან პატივისცემით შეხვედრიან ყაენის ელჩებს; საფრანგეთში მათი ყოფნა აღდგომის დღეებს დამთხვევია და, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანებს, მათაც მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ დიდ ქრისტიანულ დღესასწაულში... საფრანგეთიდან ინგლისში გადასულან და ინგლისის მეფე ედვარდს სწვევიან... მაგრამ ეს დიპლომატიური მოგზაურობა ფუჭი გამოდგა: ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ კოალიციის შეკვრა ილხანების სახელმწიფოს მესვეურებმა ვერა და ვერ მოახერხეს.

და იმ ბრძოლაშიაც, — რომელიც აბაღა ყაენსა და ეგვიპტის სულთან ფუნდუყადარ ბეიბარსს შორის 1277 წლის აპრილში გაიმართა, — მონღოლებს მხოლოდ ქართველთა დიდი რაზმი ახლდა... თუმცა არა, სხვა მოკავშირეც ჰყავდათ მონღოლებს — რუმის სულთანი ფარმანი (ფარვანა)... (დიდი სულთანი ყიასდინი, — ქართველების სიძე, — ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ არის, „სულტნობა მონასა მისსა ფარმანს“ მიუტაცნია, და „ცოლიცა მისი, ასული რუსუდანისი, გურჯი-ხათუნ, მიეყვანა ცოლად“...). დაიძრა აბაღას დიდი ლაშქარი, მივიდა „ფარმანს თანა და დაიბანაკეს ევხაიტს, რომელ არს ასურასტანი“... ყაენს რუმის სულთნის იმედი ჰქონდა, და ამან კი ულალატა — წინასწარვე შეატყობინა ფუნდუყადარ ბეიბარსს მონღოლთა ლაშქრის რაოდენობაც, განლაგებაც და გეგმებიც. ეგვიპტის სულთანმა დაასწრო მონღოლებს — ჯერ კარგად არ გათენებულიყო, რომ თავს დაესხა მათ ბანაკს და მუსრი გაავლო... აქაც თავგანწირვით უბრძოლიათ ქართველებს, მონღოლები გაკვირვებულნი იყვნენ მათი მამაცობითო, მემატიანე წერს. სამი ათასი ქართველიდან ცოტაღა გადარჩენილა. ასე ძვირი დაუჯდათ ქართველებს ის თავგანწირული ბრძოლა და თავიანთი სიმამაცით მონღოლების გაკვირვება. ფარვანა ღალატისთვის სიკვდილით დასაჯეს („არა ენება ყაენსა აბაღას მოკვლა მისი“, ნოინებმა მოკლეს თურმე), მაგრამ ამდენი მსხვერპლის შემდეგ ეს დიდი ნუგეში ვერ იყო — ვერც აბაღა ყაენისთვის და ვერც ქართველებისთვის. რუმის სასულთნოში ფარვანას მაგივრად მონღოლი ნოინი დასვეს, სახელად ერინჯი, და მთელი სასულთნო მას გადასცეს, გარდა აწყვერისა. თქვენ ალბათ გახსოვთ, რომ აწყვერი მზითვად ჰქონდა გურჯი-ხათუნს, და, ამდენად, რუმის სასულთნოს ეკუთვნოდა. ახლა აწყვერი სარგის ჯაყელსა და მის შვილს ბექას უბოძეს.

ილხანები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ ეგვიპტის სულთნისაგან, მაგრამ ყაენს მაინც არ ეთმობოდა და, ძნელად ასახსნელი სიჯიუტით, სულ ახალ და ახალ ძალებს აგზავნიდა იქითკენ... რათა ეს მეომრებიც მოწინააღმდეგისთვის შეეჟლიტა. ყაენიც საქართველოს მტერი იყო და ეგვიპტის სულთანიც, მათგან სიმწრის მეტი არაფერი ახსოვდა ჩვენს ქვეყანას, და რაც უფრო დასუსტდებოდნენ ისინი ურთიერთ ბრძოლით, რასაც მეტს გაჟლეტდნენ ერთმანეთს, თითქოს მით უფრო შვება უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხისთვის — მით უფრო ნაკლები ძალა დარჩებოდათ მის სარბევად, გატანჯულ ხალხს მეტი საშუალება მიეცემოდა სანატრელად ქცეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად... ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო... მაგრამ ყველა იმ ბრძოლაში, რაც ზემოთ აღწერილ ომს ზედიზედ მოჰყვა, ყაენს სულ უფრო და უფრო მეტი ქართველი მეომარი გაჰყავდა, და პირველად სწორედ მათ აჟლეტდა მოწინააღმდეგეს. ათასობით ქართველი დაეცა ამ მძვინვარე ბრძოლებში, რაც 1280, 1281 წლებში ისევ ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ გაიმართა, და ისევ და ისევ ყაენის მწარე დამარცხებით დამთავრდა.

გარდაიცვალა ეგვიპტის სულთანი ბეიბარსი, ნაყიჩაყარი კაცი, შეუპოვარი და დაუდგრომელი, მონღოლების რისხვა, და, ეტყობა, ყაენს იმედი ჩაესახა, რომ ახლა მაინც მოახერხებდა მოწინააღმდეგის დამარცხებას... მაგრამ ახალი სულთანი ნასირ მელიქი კიდევ უფრო მეტის შეუპოვრობით ეკვეთა მონღოლთა მრავალრიცხოვან ლაშქარს, რომელსაც, ჩვეულებრივ, ქართველები მოექციათ წინ: და კვლავ სასტიკი დამარცხება აგემა. ამ ბრძოლაში ქართველი მეფე ძლივს გადარჩა. საგულისხმოა, რომ ახალმა სულთანმა, რაკი იცოდა „წყობათა შინა მხნედ წინადაუდგრომლობა [ქართველი] მეფისა და სპათა მისთა“, და რაკი ქართველთა ჯარი მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმს წარმოადგენდა, მას საგანგებოდ შერჩეული თორმეტი ათასი მხედარი დაუპირისპირა და წინამძღოლად ორი გამოცდილი სარდალი დაუნიშნა... „განძლიერდა ომი და მოსწყა ორგნითვე ურიცხვი“... მოწინააღმდეგის სარდლებმა გადაწყვიტეს როგორმე ახალგაზრდა მეფე მოეკლათ და მერე უფრო გაადვილდებოდა საქმე; „მაშინ მსწრაფლ ზედა მოტევნეს მეფესა ყარა-სონღულ და იაყუბ აფრაშ (სულთნის სარდლები) ათორმეტი ათასითა რჩეულითა მხედრითა“... ყარა-სონღულმა შუბი აძგერა მეფის ცხენს და მოუკლა. მოწინააღმდეგე ელოდა, რომ ახლა ქართველებს პანიკა მოიცავდა

და გაიფანტებოდნენ, მაგრამ მეფეს გამოცდილი მხედრები ახლდნენ; ამ მარცხის შემდეგ უფრო მედგრად შეუტიეს: მეფეს რომ ცხენი მოუკლეს, ამის „მხილველთა ქართველთა იწყეს ბრძოლა ძლიერად და უმრავლესნი მეგვიპტელნი მოისრნეს და მეფეც ცხენმოკლული ძლიერად იბრძოდა“... იმ რთულ ვითარებაში ერთ-ერთმა ქართველმა მეომარმა „სიქანალის ძემან აბაშმან“ თავისი ცხენი მიაშველა მეფეს და ზედ შესვა, — იგულისხმება, რომ ამ გაბედულმა მეომარმა თავი განსაცდელში ჩაიგდო; და ასე დაიმკვიდრა ერთგული და მამაცი ადამიანის სახელი, თუმცა მაშინ ამაზე სულაც არ ფიქრობდა.

როგორც ითქვა, საბოლოოდ ამ ბრძოლაშიაც მარცხი განიცადეს ილხანებმა, და ისევ და ისევ — „უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს“...

მარტო სამხრეთ-დასავლეთით როდი ჰქონდათ ილხანებს ბრძოლა. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს გილანზე გალაშქრების ამბავს — „რამეთუ იგი ოდენ დაშთომილ იყო ხელთუგდებლად, და არა მორჩილებდეს, და არცა ხარაჯასა მისცემდეს“... ალამუთის მსგავსად, გილანიც ძნელი ასაღები გამოდგა, იგი ჩრდილოეთ ირანში მდებარეობდა, კასპიის ზღვის ნაპირას, ალამუთისგან ოდნავ ჩრდილოაღმოსავლეთით, და ერთი მხრით რომ ზღვის გამო იყო მიუდგომელი, სხვა მხარეს კლდოვანი მთები და გაუვალი ტყე ერტყა. გილანის წინააღმდეგ ყაენს პირადად მეფე არ გაუგზავნია, მაგრამ ქართველი მეომრები ბლომად გაგზავნა. ადვილი წარმოსადგენია, რა მძვინვარე ბრძოლები იქნებოდა ამ მიუვალი ციხე-ქალაქის ასაღებად, რომელსაც გააფთრებით იცავდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები („გილანელთა დაასხეს ისარი, ვითა წვიმა“...), და რამდენი ქართველის სიცოცხლე შეეწირებოდა მას...

ისევ განახლდა მძვინვარე ბრძოლები ჩრდილოეთის ულუსის წინააღმდეგ, დარუბანდთან... და ისევ ქართველი მეომრები გაიჟლიტნენ ამ ბრძოლაში; ამჟამად მეფეც თან იახლა ყაენმა. საგულისხმო და ბევრის მთქმელია ერთი ფრაზა ჟამთააღმწერლის თხზულებაში: როცა დარუბანდთან „ანიყად წოდებულ“ ციხეს მიადგნენ და ვერაფერი დააკლეს, ვერაფერი ავნეს, ყაენმა „უბრძანა მეფესა, რათა ებრძოლოს, რამეთუ ი ყ ო ფ რ ი ა დ მ ა გ ა რ ი!“. როგორ უნდა გავიგოთ ყაენის სიტყვები — მეფის წაქეზებაა თუ საშინელი ცინიზმი?!. ერთიც და მეორეც.

ბრძოლებს ბოლო არ უჩანდა, და, როგორც ენახეთ, ყველა ბრძოლაში ქართველები მონაწილეობდნენ, უმოწყალოდ იჟლიტებოდ-

ნენ. ამით, ბუნებრივია, ისედაც განადგურებულ ქვეყანას მუშახელი აკლდებოდა; თუ სადმე გადაურჩა მონღოლთა ჯოგებს აუოხრებელი სახნავ-სათესი მიწები, დაუთესავი რჩებოდა... გაძვირდა პური, გამძვინვარებულ სენს არანაკლებ მძვინვარე შიმშილი დაერთო; ასეთ ვითარებაშიაც ბასკაკები კარდაკარ დაძრწოდნენ გადასახადების ასაკრეფად — განახევრებულ ქვეყანაში გადასახადების აკრეფაც ჭირდა, და ხაზინას რომ შემოსავალი დააკლდა, „კუალად მოვიდა“ არღუნი ხალხის აღსაწერად, „რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას ვითარი ქუეყანა აღშენდა, გინა აოხრდა, — და აღთუალა ახლად და ცნა (ამ დროს ეკუთვნის ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები სიტყვები), რამეთუ უმეტესი მოოხრებულიყო“; განსაკუთრებით ის კუთხეები იყო მოოხრებული, სადაც ამას წინათ ბერქას მრავალრიცხოვანმა მხედრობამ გაიარა... ქვეყანა ბორგავდა, გმინავდა, ხალხი მესხეთისკენ დაიძრა — ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო მესხეთი ოდნავ უკეთეს დღეში იყო; მესხეთ-ჯავახეთში ხომ მოსავალიც უკეთესი იცოდა ხოლმე... მაგრამ დამშეულ ქვეყანას ერთი კუთხის მოსავალი, ისიც საგრძნობლად შემცირებული, რას ეყოფოდა...

და როგორ საოცარ ცინიზმად გაისმის ამ დროს ერთი უცნაური სტუმრობის ამბავი. არღუნ-აღას გადაუწყვეტია, თავაზიანობის ვიზიტით სწვეოდა უკვე ღრმად მოხუცსა და დაუძლურებულ სარგის ჯაყელს. მაგრამ ჩვეულებრივი სტუმრობა არ გეგონოთ — ოცი ათასი მხედარი იახლა არღუნმა... ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა იმ ვითარებაში მონღოლთა ოციათასიანი მხედრობის „გაელა“ („შემოვლო სომხითი, ტფილისი და ქართლი“) და მერე მათი გამასპინძლება. მონღოლები ბრძოლებშიაც დედაწულიანად დადიოდნენ, და ახლა, მით უმეტეს, ასეთი სტუმრობის დროს ცოლებსაც და შვილებსაც თან წაიყვანდნენ — აქლემებზე მომაღლოდ წამოასკუპებდნენ ცოლებს... ალბათ ჯოგებიც თან ახლდათ... და თუმცა არღუნს ამჯერად ბოროტი ზრახვები არა ჰქონიაო, მემატიანე გადმოგვცემს, მათი გამასპინძლება მაინც მძიმედ დააწვა ქვეყანას (და თუმცა „არაბოროტისმყოფელი, არამედ საზრდელისა ძალით დიდად დასჭირდა ქუეყანას“...) რა მშვიდობიანი მოგზაურობაც არ უნდა ყოფილიყო, ოცი ათას მხდარს რა გაუძლებდა, რა გადაურჩებოდა...

სენი და შიმშილი მუსრს ავლებდა ხალხს, გახშირდა სიკვდილიანობა, მკვდრების დამარხვასაც ვერ ასწრებდნენ და ცხედრები ქუჩა-ფოლოცებსა და მინდვრებში ეყარა უპატრონოდ...

და ისევე ის მწარე ანდაზა უნდა გავიხსენოთ, გაჭირვებულ კაცს რომ აღმართში ქვა დაეწევა. ზუსტად ისე, როგორც დიდი თურქობის დროს, დავით აღმაშენებლის გამეფების წინ, ქვეყანას საშინელი სტიქიური უბედურება დაატყდა: „მოიწია ენების კვირიაკე, და დიდსა ოთხშაბათსა შეიძრა მძაფრად ქუეყანა“... მთელ თვეს გაგრძელდა თითქმის ერთმანეთზე წაბმული ყოვლისდამანგრეველი მიწისძვრები: „და კუალად ხუთშაბათსა მცირედ შეიძრა ... და ვითარ მოიწია პარასკევი ენებისა უფლისა, კუალადცა შეიძრა ქუეყანა... და ვითარ მოიწია, და... იყო სიხარული აღდგომისათვის უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხარულსა... საფუძელითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლ-კლდენი, ნაშენებნი მოოხრდეს, მთანი და ბორცუნი მაღალნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტევრისა დაიგალნეს, და მიწა განიპო და შავი წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან ძრვასა ქუეყანისასა... საყდარი აწყუერისა დაიქცა... გუმბათი ჩამოიჭრა და ვითარ ქუდი კაცისა ესრეთ თავსა დაერქუა... მცხეთის საყდარიცა დაიქცა; სამცხეს ურიცხვი სული მოწყდა (სამცხეში განსაკუთრებით მძვინვარებდა სტიქია), და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცეევარი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო...“

თითქოს გლოვა და ტირილი აკლდა ხალხს!..

ამ ხანებში სამეფო კარზე ერთი დიდი ცვლილება მოხდა: გარდაიცვალა ათაბაგი და ამირსპასალარი სადუნ მანკაბერდელი; ყველა ელოდა, რომ, ამ ორ დიდ თანამდებობას მეფე, ჩვეულებრივ, გარდაცვლილის შვილს ხუტლუ ბუღას მიუბოძებდა. რაღა თქმა უნდა, ამას ელოდა თვით ხუტლუ ბუღაც. მაგრამ ასე არ მოხდა. მეფეს, ეტყობა, აწუხებდა და ვერ მოეთმინა ვერაგი მედროვე ადამიანის ასეთი განდიდება, და მომავალშიაც რომ სანანებელი არა ჰქონოდა, მის შვილს მხოლოდ ამირსპასალარობა მისცა, ათაბაგობა კი უბოძა ტარსაიჭ ორბელს. ამირსპასალარობა, თავისთავად, ძალიან დიდი და საპატიო თანამდებობა იყო, მაგრამ გალაღებული მედროვის შვილს, ეტყობა, ეცოტავა, ეწყინა; მეფეს მაშინ იქნება ვერაფერი ჰკადრა, მაგრამ გულში დაიხვია...

მანკაბერდელს მალე მისი მფარველი ყაენიც მიჰყვა — 1282 წლის 1 აპრილს გარდაიცვალა აბაღა. ერთი თვის შემდეგ ნოინებმა ყაენად დასვეს აბაღას ძმა აჰმადი. ამ ახალი ყაენის სახელიც კარგად მიგვანიშნებს, რომ მას მაჰმადის რჯული ჰქონდა მიღებული. ჟამთააღმწერელი დიდი ქებით ვერ მოიხსენიებს ამ ყაენს — არარა ნიჭთა სახელმწიფოთა მქონებელიო, წერს.

მეფე დიმიტრი წესისამებრ ეახლა ახალ ყაენს, მიულოცა და სრული მორჩილება გამოუცხადა... მაგრამ ამ ახალ ყაენს დიდი დღე არა ჰქონია. ალბათ იმის გამო, რომ თავისი საქმის შესაფერი ვერ იყო, მალევე გადაუდგნენ ნოინები. პირველად, ეტყობა, მისივე ძმა, რუმის მბრანებელი ყონღადარი განუდგა. როგორც კი გაიგო ეს ყაენმა, მან დაიბარა და სიკვდილით დასაჯა. რუმის სულთანს, ეტყობა დაახლოებული ჰყავდა ორი ქართველი — ძმები აბულეთის ძენი, რომლებიც სადუნ მანკაბერდელს განედევნა საქართველოდან; და აბულეთის ძენიც მოაკვდინა ყაენმა; ჟამთაალმწერელი გადმოგვცემს, ეს სადუნის ძის, საქართველოს ახალი ამირსპასალარის ხუტლუ ბუღას დასმენით მოხდაო. როგორც ვხედავთ, თავისი მაღალი და მრისხანე თანამდებობისთვის საესებით შეუფერებელი და უკადრისი საქციელით შესდგომია საქმეს ქვეყნის ახალი მხედართმთავარი.

ყონღადარის ისე ვერაგულად დასჯამ ნოინები დააფიქრა; ჩვენც ეს დღე მოგველის, თუ ახლავე არ ვუშველეთ თავსო, გადაწყვიტეს, და ხვარასნელი ნოინები აჯანყდნენ — აჰმადის ნაცვლად აბაღასავე შვილი არღუნი გამოაცხადეს ყაენად. ბუნებრივია, აჰმადი არ იქნებოდა ამის თანახმა — სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი, ქართველ მეფესა და მის მხედრობასაც მოუწოდა, მანდატურთუხუცესი ივანე შანშეს ძე და ახალი ამირსპასალარი ხუტლუ ბუღაც იახლა და დაიძრა. როგორც ვხედავთ, დიდი ლაშქრით წასულა აჰმადი. არღუნმა რომ იხილა „სიმრავლე ლაშქრისა, ვერ წინააღუდგა“ და ქალსის ციხეს შეაფარა თავი. აჰმადის ლაშქარი გარს შემოერტყა ციხეს. ციხეში მომწყდეულმა არღუნმა პატიება სთხოვა ბიძას და სრული მორჩილება აღუთქვა. აჰმადმა თითქოს შეუნდო და თავის სარდალს ალიყანს ჩააბარა; თანაც სარდალს საიდუმლო დავალება მისცა — მცირე ხნის შემდეგ მოეკლათ არღუნი.

არღუნს თავისი მომხრეები ჰყავდა; გაიგეს იმათ აჰმადის საიდუმლო ბრძანება და დაასწრეს — ღამით შეუვარდნენ ალიყანს კარაეში და მოკლეს; როცა გათენდა, კელავ გამოაცხადეს არღუნი ყაენად და „წამოვიდეს დევნად აჰმადისა“, მიეწივნენ უჟანში და „საბლით მოაშთეს“.

მეფე დიმიტრის წინასწარვე შეუთვალეს, აჰმადს განუდექიო, და მანაც შეასრულა ეს ბრძანება — ამით მომავალი ყაენის მადლობა

და ნდობა დაიმსახურა. არღუნის გაყაენებისთვის განსაკუთრებით იღვწოდა ბულა-ნოინი, რომელიც ქართველი მეფის მძახალი იყო — თავისი ქალი რუსუდანი მეფემ ბულას შვილს მიათხოვა (და, სხვათა შორის, ამისთვისაც დაიმსახურა კათალიკოსის დიდი გულისწყრომა).

არღუნ ყაენმა აპმადის მომხრეები სიკედილით დასაჯა და ყველა თანამდებობაზე თავისი ერთგული ხალხი დანიშნა. ცხოვრება კვლავ ჩვეულებრივად წარიმართა. რაკიღა ქართველი მეფე ყაენის პირველი მრჩეველისა და ყველაზე ახლობელი კაცის მოყვარე იყო, არღუნმა იგი დაიახლოვა. ბრძოლებშიაც თან იახლებდა ხოლმე. ამ ბრძოლებს აქ აღარ ჩამოვთვლით, მხოლოდ იმას მოვახსენებ მკითხველს, რომ ზემოთ ნახსენები დარუბანდის ბრძოლა არღუნ ყაენის დროს მოხდა — სწორედ არღუნმა უბრძანა მეფეს, „რათა ებრძოლოს, რამეთუ იყო ფრიად მაგარი“....

ყაენის კარზე ცხოვრება ჩვეულებრივ მიედინებოდა. ქართველი მეფის მოყვარე ბულა-ნოინი სულ უფრო და უფრო მეტ პატივში ჰყავდა არღუნს, 1286 წელს უმაღლესი წოდება — ჩინგსანგობაც მიანიჭა, და ამით ბევრი მტერიც გაუჩინა...

პირველ ხანებში ჩინგსანგის ხათრით, ქართველი მეფეც დიდ პატივში იყო, მაგრამ მალე ყველაფერი თავდაყირა დადგა, გამოაშკარავდა შეთქმულება არღუნ ყაენის წინააღმდეგ; და შეთქმულების მოთავეობა სწორედ ყაენის უახლოეს და თითქოს უერთგულეს ადამიანს, ჩინგსანგად ამაღლებულ ბულას დაბრალდა.

საქმის საფუძვლიანად გამორკვევა არც არღუნ ყაენს ჰყვარებია — როგორც კი მოახსენეს ბულას ღალატი, მან მაშინვე გაგზავნა ნოინები, თავისი პირველი მრჩეველი მოაყვანინა და „მსწრაფლ ბრძანა განუკითხავად მოკვლა მისი და ძისა მისისა“. მერე ნათესავებიც ერთიანად გაუწყვიტეს ჩინგსანგს; რამდენადაც დიდი ნდობა ჰქონდა ყაენს თავისი პირველი მრჩეველისა, იმდენად მკაცრი გამოდგა მისი შურისძიება; ნათესავებსაც არ დასჯერდა: „წარაველინეს ყოველგან კაცი — საბერძნეთს, შამს და ხუარასანს“, სადაც კი წააწყდნენ ბულას ნაცნობსა თუ მეგობარს, ან მასთან საქმით დაკავშირებულ პირს, განუკითხავად გაჟლიტეს — „მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყვიდნეს, და ესრე შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა“... ვინ იცის, რამდენ უდანაშაულო ადამიანს დაუჯდა ასე ძვირად დიდი კაცის ნათესაობა და მეგობრობა.

დადგა დიმიტრის ჯერიც. ქართველ მეფეს რომ მოუვიდა ყაენის ბრძანება, ურდოში გამოცხადდიო, მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. მაშინვე დარბაზი შეკრიბა — მოუხმო დიდებულებს, აბრა-

ჰამ კათალიკოსს, ეპისკოპოსებს, მღვდელ-მონაზონებს და „ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა“. მეფემ დარბაზს მოახსენა: აქამდე როგორც შემეძლო, თქვენის დახმარებით განვაგებდი ქვეყანას, აწ ყაენი გამირისხდა და მიბარებს... მე რომ ახლა მთაში გავიქცე და დავიმალო, იქნებ სასჯელს გადავრჩე, მაგრამ ქვეყანას ააწიოკებენ, „რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან“... თუ წავედი ყაენთან, ვიცი, რომ ნამდვილად მომკლავს, მაგრამ იქნებ ხალხი და ქვეყანა გადავარჩინოო... „მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელი და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებ და აჩრდილებრ წარვლენ... რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს“.

საგანგებოდ ვრცლად მოვიტანე ქართველი მეფის მიმართვა თავისი ხალხისადმი. შთამომავლობა ვალდებულია, ზეპირად იცოდეს სიტყვები წინაპრისა, რომლის მოქმედება მომდევნო თაობებისთვის ზნეობრივ გაკვეთილად იქცა...

დარბაზი მეფეს დაჟინებით ურჩევდა, მთაში გახიზნულიყო, მაგრამ მეფის გადაწყვეტილება მტკიცე გამოდგა. მან შვილები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს გაგზავნა: ზოგი მთიულეთს, ზოგი კახეთს, „ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს“ — დედულეთში გაგზავნა უმცროსი შვილი.... და თავად დაადგა ურდოს გზას. გაუარა ხვაშაქს, თავის გერს, სადაც უფროსი შვილი დავითი ჰყავდა, და უფლისწულიც თან წაიყვანა, რათა ამით დაერწმუნებინა ყაენი ერთგულებაში. ურდოს რომ მიუახლოვდა, ნოინებმა დააპატიმრეს ქართველი მეფე და ყაენს წარუდგინეს... ხომ მაინც ყაენთან მიდიოდა, მაგრამ ასე დამცირებული უნდა წარედგინათ.

ყაენს, ეტყობა, უკვე განელებოდა პირველი გულისწყრომა, თან იმასაც ფიქრობდა: ეს რომ მოვკლა, საქართველოში მეფედ ვინღა დავნიშნოო, და ჭოჭმანში იყო — დაესაჯა თუ არა; მით უმეტეს, შეთქმულებაში მონაწილეობა არ უმტკიცდებოდა დიმიტრის... სხვათა შორის, დაკითხვის დროს მეფე არგნით სცემეს, და ეს კარგად ენიშნათ მის კეთილისმსურველებს, ეგონათ, აღარ დასჯიდნენ მეფეს — „რამეთუ წესადა აქვთ, რა არგნითა სციან, არღა მოაკუდინიან“...

იქნებ მართლაც გადარჩენილიყო დიმიტრი, — ყაენი, ეტყობა, აქეთკენ იხრებოდა — მაგრამ მოულოდნელად მტერი გამოუჩნდა მეფეს და საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. ეს მტერი თავისივე ამირსპასალარი ხუტლუ ბუღა იყო. როგორც ყველა გაიძვერას სჩვე-

ვია, აქამდე მალავდა თურმე ხუტლუ ბუღა ბოღმას, აქამდე არ ამ-ჟღავნებდა მეფის სიძულვილს, და ახლა, როცა შურისძიების საშუ-ალება მიეცა, უკან აღარ დაუხევია. რა ნახა ყაენი ორჭოფობს და ისიც აწუხებს, მეფედ ვიღას დავსვამო, ხუტლუ ბუღამ მოახსენა, ეგ ნუ გადარდებს — დასავლეთ საქართველოდან გადმოვიყვან და-ვით ნარინის შვილს, და მეფედ ის დასვიო, შენგან დავალებული და სამუდამოდ შენი მორჩილი იქნებაო. მემატიანე პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ხომ აშკარაა, რომ თავიდანვე მან დაასმინა, მან შეაპყრობინა, და ახლა ერთბაშად დაფეთდა, როცა მოეჩვენა — ყაენმა იქნებ შეი-წყალოსო; წააქეზა მონღოლი მბრძანებელი, და ყაენსაც მეტი რა უნ-დოდა; მე შენ გეტყვი და, უდანაშაულო სისხლის დაღვრას მოერიდე-ბოდა. დაამტკიცა მეფის სიკვდილით დასჯა.

გარეთ მარტის სუსხი იდგა. ეზოში ქართველი მთავრები ელოდ-ნენ მეფის გამოსვლას — ნუგეშის საცემლად მოსულიყვნენ ისინი; მაგრამ როცა ვალმოხდილი ადამიანის ღვთაებრივი სიმშვიდით გა-ცისკროვნებული სახე დაინახეს, ერთბაშად გაშეშდნენ, ველარაფრის თქმა ვერ მოახერხეს... მეფემ თვითონვე ანუგეშა, გაულიმა, მოი-კითხა... ხუტლუ ბუღაც იქ იყო — აწურული, საქციელწამხდარი, გაფითრებული, მოუსვენარი თვალები ახლა თითქოს გაექცეოდინა და წარბებისთვის მიებჯინა... შეებრალა მეფეს ეს უბედური, იუ-დას ცოდვით დამძიმებული ადამიანი, და იქნებ სწორედ იმიტომ გამოელაპარაკა, რომ ცოდვა შეემსუბუქებინა — შვილი შეაეედრა, უფლისწული დავითი; ყაენს ნუ მოაკლევინებო, უთხრა...

მოვიდა თორმეტი მონღოლი მხედარი, ცხენზე შესვეს მეფე და მდინარისკენ წაიყვანეს... მდინარესთან რომ მივიდნენ, ცხენიდან ჩამოსვეს... და უცებ მოხდა ყველაფერი: „მეფემ წარუპყრა ქედი... და წარკვეთეს მეფეს დიმიტრის თავი“. ცხედარს მეფისა დღედაღამ იცავდნენ, რათა ქართველებს არ გაეტაცათ. ბევრი უტრიალეს ქა-რთველმა მთავრებმა, მაგრამ მოპარვა ვერ მოახერხეს. მერე კათა-ლიკოსმა და მღვდელმა მოისყიდეს კაცი და ღამით მოიპარეს მეფის ცხედარი... წინასწარ თბილისელ ვაჭრებთან ჰქონდათ მოლაპარაკება — იმათ თევზი მიჰქონდათ ურმებით და „თევზთა თანა იტვირთეს“... ასე მალვით მოასვენეს მცხეთაში ქართველი მეფე, მალვით დაიტირეს მამულისათვის თავდადებული ადამიანი — ხალხის მიერ თავდადე-ბულადვე შერაცხული — რომელსაც მარადიული სიცოცხლე არგუნა ბედმა, რათა მისი მამულიშვილობა, კაცური კაცობა და უბრალოებით მომხიბლავი გმირობა მაგალითი გამხდარიყო შთამომავლობისათვის.

(მეოთხე წიგნის დასასრული)

შინაარსი

თავი I. „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“ გადაჭიმულ სახელმწიფოს შენარჩუნება სჭირდებოდა
თამარის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა ლაშა გიორგიმ 18-20 წლისამ ჩაიბარა სამეფო – მაშინდელი მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია გადაჭიმული იყო „ნიკოფსიდან დარუბანდამდე“. მოსახლეობა რვა მილიონზე მეტს შეადგენდა, ხოლო საკუთრივ საქართველოსი – ხუთნახევარ მილიონს. ქვეყანა ძლიერი იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად ✦ ლაშა გიორგის გაორებული ბიოგრაფია ✦ ლაშა გიორგი ზეობის მოკლე პერიოდში განუწყვეტელ ომებში იყო ჩაბმული სამეფოს ტერიტორიის შენარჩუნებისთვის ✦ 1220 წლის შემოდგომაზე, როცა ქართველი მეფე ჯვაროსნული ლაშქრობისთვის ემზადებოდა, საქართველოს საზღვარი მტრის დიდმა მხედრობამ გადმოლახა ✦ ლაშა გიორგის სამისიონერო მოღვაწეობა მთაში – „ლაშარის ჯვარი“ და „გუდანის ჯვარი“ ✦ ლაშა გიორგიმ ათიოდე წელს იმეფა და სულ ახალგაზრდა, 30 წლისა გარდაიცვალა..... 7

თავი II. საფრთხის თავიდან ასაცილებლად არაფერი გაკეთებულა
ლაშა გიორგის ანდერძის თანახმად, სამეფო ტახტი მისმა დამ, რუსუდანმა ჩაიბარა, დროებით, ვიდრე გარდაცვლილი მეფის შვილი, დავითი გაიზრდებოდა ✦ რუსუდანის გამეფების შემდეგ პირველი საბუთი, რაც ჩვენამდე შემორჩენილა, გვიდასტურებს, რომ არც მეფეს და არც მის ვაზირებს ოდნავადაც კი არ ჰქონიათ შეგნებული იმ საფრთხის სერიოზულობა, რაც არა მარტო ამიერკავკასიის ქვეყნებს, არამედ მთელ მცირე აზიას ემუქრებოდა ✦ რომის პაპისადმი მიწერილი თითქმის იდენტური წერილები მეფისა და მხედართმთავრის, ათაბაგ მხარგრძელისა ✦ მონღოლთა შემოსევები ✦ მონღოლთა და ხვარაზმელთა ომი 59

თავი III. მონღოლთა ურდოები საქართველოსაც მოადგნენ
ჩვენი ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენები ✦ მონღოლთა ურდოები ზედიზედ იპყრობენ შუა აზიის ქვეყნებს ✦ ხვარაზმის ახალგაზრდა სულთნის დაუდეკრობა ✦ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ჯალალ ად-დინმა ქართველებს შემოუთვალა, დამმორჩილდითო, რაც ომის გამოცხადებას ნიშნავდა ✦ ქართული ლაშქარი ივანე მხარგრძელის სარდლობით მტრის სამჯერ დიდი ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად მოეშზადა 88

თავი IV. ღალატი გარნისში
1223 წლის 3 თებერვალს რუსუდან მეფემ არზრუმის მფლობელის ვაჟზე იქორწინა, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა – თამარი და დავითი ✦ ქართველი მხედართმთავრის ღალატი გარნისში ✦ მრავალი წლის შემდეგ ქვეყანას მანამდე არნახული განსაცდელი დაატყდა თავს ✦ 1226 წლის იანვარში სულთანმა მოკლა გარნისში ტყვედჩავარდნილი ქართველი სარდალი, შესანიშნავი მამულიშვილი და დიდებული მეომარი შალვა ახალციხელი ✦ ივანე ათაბაგმა ამირსპასალარობა თავის შვილს, ავაგს უბოძა, თავად კი ბერად აღიკვეცა ✦ სულთანმა ავაგს დაუბარა, თქვენი მეფე მომათხოვეთ, თუ არადა, კვლავაც მოგაოხრებთო ✦ რუსუდანი ქუთაისს გაემგზავრა. დიდი განსაცდელის

მოლოდინში მეფის მიერ ხატახტო ქალაქის დატოვება ძალიან საჩოთირო იყო. თბილისში არც ამირსპასალარი ჩანს ✦ ჯალალ ად-დინმა აიღო თბილისი და ხელთ იგდო ციხეები, დანგრია ეკლესიები, გაყლიტა მოსახლეობა, ხოლო მეორედ აღებისას გადაწვა ქალაქი ✦ სულთანი ზედიზედ მარცხდება მონღოლებთან ბრძოლებში ✦ რუსუდანმა ბოლნისთან შეყარა დიდი ლაშქარი და საქართველოში დაბრუნებულ სულთანს დაუხვდა, მაგრამ ისევ დამარცხდა ✦ ხანგრძლივი დევნის შემდეგ მონღოლებმა მოკლეს უდიდესი ქეყნის მბრძანებელი 117

თავი V. რუსუდანის ვერაგობა და... ისევ ღალატი
ხვარაზმელთა აოხრებას გადარჩენილი გახიზნული ხალხი თანდათან დაუბრუნდა თავის დანგრეულ სახლ-კარს, ჩამქრალ კერას ✦ რუსუდან მეფემ ვერაგობა ჩაიდინა თავისი ძმისშვილის წინაშე – ძმის ანდერძის უგულებელყოფით მეფედ თავისი ხუთი წლის შვილი, დავითი აკურთხა – თანამესაყდრედ გაიხადა ✦ რუსუდანი განუწყვეტლივ დევნის ძმისწულს. მან დიდი უბედურება დაატეხა თავს ვაჟსაც და თავის ქალიშვილსაც ✦ 1235 წლის მახლობლად მონღოლებმა იწყეს საქართველოს რბევა და აოხრება. ასეთ ვითარებაში მეფემ კვლავ მიატოვა დედაქალაქი და ქუთაისს შეაფარა თავი ✦ ამირსპალარი, მსახურთუხუცესი და მანდატურთუხუცესი მოღალატურად და სამარცხვინოდ დამორჩილდნენ მტერს..... 181

თავი VI. ცოტნე დადიანის გმირობა და ორმეფობა საქართველოში
მეფე რუსუდანი ერთ სუსტ იმედს მოებღაუჭა – რომის პაპს ურჯულოთა მიერ გატანჯული თავისი ქვეყანა შეაევედრა, შველა და საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთება სთხოვა. პაპმა სამხედრო დახმარებაზე უარი შეუთვალა, სამაგიეროდ გამოგზავნა შვიდი „მოქადაგეთა წესის ძმა“ ✦ ქართველმა დიდებულებმა მეფის სახელით მორჩილება მოახსენეს ნოინებს, რომლებმაც თანხმობა შეუთვალეს რუსუდანს და მეფედ მისი ძე დავითი დამტკიცეს. ამრიგად გადაურჩა დასავლეთი საქართველო აოხრებას ✦ მონღოლებმა საქართველო რვა დუმბად დაყვეს ✦ დასნეულებული რუსუდან მეფე 1245 წელს გარდაიცვალა ✦ საქართველო უმეფოდ დარჩა, რადგან რუსუდანის შემდგომ ქართველი მეფეები და ქართველ ვაჟკაცთა მრავალრიცხოვანი რაზმები თვეობით იყენენ მოწყვეტილნი სამშობლოს და მონღოლთა მიერ წარმოებულ ომებში მონაწილეობდნენ ✦ ცოტნე დადიანის გმირობა ✦ საქართველოს ორი მეფე ჰყავს – დავით ულუ და დავით ნარინი.....210

თავი VII. მტრის უღლის ქვეშ მგმინავი საქართველო
დავით ულუს მიერ აღზევებული მესტუმრე ჯიქური მეფის მალემრწმენობის მსხვერპლი შეიქნა ✦ მონღოლთა უღლის ქვეშ მყოფი მოსახლეობის უმძიმესი, უკიდურესი სასოწარკვეთის წლები ✦ სოფლები დაიცალა, მეურნეობა განადგურდა ✦ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნახოფლარები ✦ მევახშეობა და სამხედრო ბეგარა, რის მიხედვიდაც ყოველწლიურად აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების 90 000 ჭაბუკი გაჰყავდათ უცხო ომებში ✦ უცხოეთში გადახვეწილი ქართველი დიდებული, ქართლის ერისთავი ლიპარიტი და მისი მოდგმა. ძველი უფლებების აღდგენის დამტკიცება ✦ დავით ნარინისა და დავით ულუს მარცხით დამთავრდა აჯანყებები მონღოლთა წინააღმდეგ ✦ მეფის მაგივრად დასჯილი დედოფალი ✦ ურდოში დაკითხვაზე დაბარებული დავით ულუ და სარგის ჯაყელი 238

თავი VIII. ბერქა ყაენის მიერ კიდევ ერთხელ მოოხრებული ქვეყანა
უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმულ იმპერიას ახალი ქვეყნების დასაპყრობად ძალა აღარ ეყო, მონღოლთა ურდოები ერთმანეთს დაერივნენ. ასე დაიწყო ამ ძლევამოსილი იმპერიის დაცემა ✦ მიწას დამმუშავებელი აღარ ჰყავდა და მოსავალს არ იძლეოდა ✦ სამეფო კარმა ეკლესიისთვის სხვადასხვა დროს ბოძებული მიწების ერთი ნაწილის ჩამორთმევა გადაწყვიტა, რასაც ეკლესია გააფთრებული შეხვდა ✦ დავით ულუს მალემრწმენობას ამჟერად მეფის პირველი ეახირი, მწიგნობართუხუცესი ბასილ ჭყონდიდელ-უჯარმელი შეეწირა ✦ უკურნებელმა სენმა – მუცლის სალმობამ იმხვერპლა დავით ულუს 18 წლის ვაჟი, უფლისწული გიორგი, თავად მეფე კი მძიმედ დაავადდა ✦ მონღოლები (ბერქა ყაენი) კიდევ ერთხელ, 300 000-იანი მეომრით (გაელით) შემოესივნენ საქართველოს ✦ სარგის ჯაყელის შეწყალება და მესხეთის „განდგომა" ✦ მონღოლთა ლაშქარმა რამდენიმეჯერ დააპირა მოღალატე დავით ნარინის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა 308

თავი IX. მეფე დიმიტრი თავდადებული
ბიზანტიის სამეფო კარი გამალებით ცდილობდა ჯერ კიდევ თამარ მეფის თაოსნობით 1204 წელს ჩამოყალიბებული ტრაპიზონის სამეფოს გაუქმებას და ამ ტერიტორიის უშუალოდ ბიზანტიისთვის მიერთებას ✦ დავით ნარინმა ტრაპიზონზე გაილაშქრა ✦ დავით ულუს მესამედ გაუხსენა მძიმე სენმა და 1270 წლის ზაფხულში გარდაიცვალა. იგი მცხეთაში დაკრძალეს ✦ ყაენს მოეწონა უფლისწული დიმიტრი და საქართველოს მეფედ დაამტკიცა ✦ მცირეწლოვანი მეფე ქართული წესით აკურთხეს და 1272 წელს ტახტზე დასვეს ✦ ყაენმა მეფეს მზრუნველად თავისი ერთგული სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა – განდიდებული და გამდიდრებული კაცი ✦ დიმიტრი „მეფემან აღაშენნა ქუეყანანი მოოხრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა... იყო უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხუათა კაცთა" ✦ გრძელდება მონღოლთა გაუთავებელი ბრძოლები ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ✦ სენი და შიმშილი მუსრს ავლებს ხალხს ✦ მთელ თვეს გაგრძელდა ყოვლისდამანგრეველი მიწისძვრები ✦ ყაენები ერთმანეთს ცელიან. იწყება აშკარა თუ ფარული ბრძოლები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, ინტრიგები, რომელსაც შეეწირა დიმიტრი მეფე – იგი შეთქმულთა რიცხვში აღმოჩნდა ✦ დიმიტრი მეფემ ხალხს მიმართა. ეს მიმართვა მომავალი თაობებისთვის ზნეობრივ მაგალითად იქცა ✦ მამულისთვის თავდადებული მეფის ცხედარი მალვით ჩამოასვენეს და მცხეთაში დაკრძალეს 341